ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსტეტის იურიდიული ფაკულტეტი

ქეთევან ჯაფარიძე

მშობლებისა და შვილების პირადი და ქონებრივი ურთიერთობები

სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი – **თევდორე ნინიძე,**
თსუ იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი

თბილისი
2015

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნაშრომში გამოყენებული აბრევიატურები 4

შესავალი 5

თავი 1. თანამედროვე თეორიები ოჯახის განვითარების შესახებ 27

§1.1. ოჯახი, როგორც მშობლებსა და შვილებს შორის პირადი არაქონებრივი და ქონებრივი ურთიერთობების წარმოშობის საფუძველი 27

§1.2. „საოჯახო ბიზნესი“ და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ფორმები 33

§1.3. გენდერული თანასწორობის პრინციპი თანამედროვე ოჯახში 40

თავი 2. მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების ზოგადი იურიდიული ბუნება და შინაარსი 50

§2.1. არაქონებრივი ურთიერთობების ზოგადი შინაარსი 50

§2.2. საალიმენტო ურთიერთობების ზოგადი შინაარსი 59

თავი 3. მშობლებისა და შვილების პირადი უფლება-მოვალეობები 70

§3.1. ოჯახში საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება 70

§3.2. სახელის უფლება 75

§3.3. მშობლების მიერ ბავშვის აღზრდის უფლება-მოვალეობანი 79
3.3.1. აღზრდა, როგორც ბავშვის უფლებათა პრიორიტეტი 79
3.3.2. „ინტენსიური აღზრდა“ 87

§3.4. მშობლის პასუხისმგებლობა 90
3.4.1. ბრალი, როგორც მშობელთა პასუხისმგებლობის პირობა, არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანისათვის 90
3.4.2. პასუხისმგებლობა აღზრდის მოვალეობის შესრულებისას 96

§3.5. აღზრდის მოვალეობის განხორციელება მშობლების ცალ-ცალკე ცხოვრების დროს 105
3.5.1. საცხოვრებელი ადგილი 105
3.5.2. „ერთობლივი თუ ერთპიროვნული მეურვეობა“ 113

§3.6. ბავშვთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობის მეშვეობით 126
3.6.1. წარმომადგენლობა სასამართლოში 126
3.6.2. წარმომადგენლობა არასრულწლოვნის მიერ ქონებრივი ურთიერთობის განხორციელებისას 131

3.6.3. წარმომადგენლობის განხორციელება
არასრულწლოვანი მშობლების მიერ ... 139

თავი 4. ქონებრივი (საალიმენტო) ვალდებულება მშობლებსა და შვილებს შორის ... 143

§4.1. მშობლების მიერ შვილების რჩენის მოვალეობა, როგორც საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობა ... 143

§4.2. საალიმენტო ვალდებულება, როგორც სამოქალაქო უფლებაუნარიანობის ელემენტი ... 148

§4.3. საალიმენტო ვალდებულების ოდენობა ... 154

§4.4. შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილების რჩენის ვალდებულება ... 172

§4.5. მშობლების რჩენის ვალდებულება ... 175

§4.6. მშობლებისა და შვილების ურთიერთობები დამატებით ხარჯებთან დაკავშირებით ... 180

§4.7. ალიმენტის გადახდისა და გადახდევინების წესი ... 181

§4.8. სახელმწიფოს როლი მშობლის მიერ საალიმენტო მოვალეობის შეუსრულებლობისას ... 194

თავი 5. ახალი ინსტიტუტები საალიმენტო ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ... 203

§5.1. საალიმენტო შეთანხმება ... 203
5.1.1.საალიმენტო შეთანხმების მხარეები ... 203
5.1.2. საალიმენტო შეთანხმების სამართლებრივი ბუნება და მისი თანაფარდობა ხელშეკრულებასთან ... 208
5.1.3. საალიმენტო შეთანხმების ფორმა ... 219
5.1.4. საალიმენტო შეთანხმების შეწყვეტა, შეცვლა ან ბათილად ცნობა ... 220

§5.2. საალიმენტო ფონდი ... 225
5.2.1. საალიმენტო ფონდის იურიდიული სტატუსი ... 225
5.2.2. საალიმენტო კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებული წინაპირობები ... 226
5.2.3. საალიმენტო კომპენსაციის მიღების პროცესი ... 227

დასკვნა ... 230

ბიბლიოგრაფია ... 236

კანონპროექტი „საალიმენტო ფონდის საქმიანობის შესახებ“ ... 252

ნაშრომში გამოყენებული აბრევიატურები

იხ.	იხილე
რედ.	რედაქტორი
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
სკ	სამოქალაქო კოდექსი
შეად.	შეადარე
ed.	edition (გამომცემლობა)
CRC	Convention on the Rights of the Child (ბავშვის უფლებათა კონვენცია)
ISFL	International Society of Family Law (საოჯახო სამართლის საერთაშორისო საზოგადოება)
SIDA	Swedish International Development Cooperation Agency (შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო)
UNFPA	United Nations Population Fund (გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდი)
UNDP	United Nations Development Programme (გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა)
UNESCO	United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (გაერთიანებული ერების საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაცია)
ICESCR	International Covenant on Economy Social and Cultural Rights (ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო კონვენცია)
ENOC	European Network of Commissioners for Children (ბავშვთა წარმომადგენლობის ევროპული გაერთიანება)

შესავალი

<u>კვლევის თემის აქტუალურობა.</u> საზოგადოებრივი ცხოვრების მოდერნიზაციის პროცესი, რომელმაც უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე საქართველოში ძლიერი იმპულსები შეიძინა, აისახება საოჯახო ურთიერთობებზეც.

მოდერნიზაციის ძირითად პრინციპს ადამიანური, ანუ ჰუმანური განზომილება შეადგენს. საოჯახო ურთიერთობები ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა, სადაც თავს იყრის როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივი ინტერესები. იმ მოთხოვნების სამართლებრივი გზით გადაწყვეტის პროცესში, რომლებიც საბოლოოდ, საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებში უნდა აისახოს, გადამწყვეტია ადამიანის უფლებების როლი, რაც ჰუმანური განზომილების ძირითადი ინსტრუმენტია.

საქართველოს სახელმწიფო არის ადამიანის უფლებების შესახებ, პრაქტიკულად, ყველა საერთაშორისო აქტის მონაწილე. საქართველოს კონსტიტუციაში მოცემულია უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც მიმართულია ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფისა და დაცვისაკენ. აქედან გამომდინარე, წინამდებარე კვლევის პროცესში ძირითად პრობლემად იკვეთება საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობის ერთი ძირითადი სახის – მშობლებსა და შვილებს შორის პირადი და ქონებრივი ურთიერთობების განხილვა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების ფონზე.

ბავშვი თანამედროვე მსოფლიოში განიხილება არა როგორც მშობლის ავტორიტეტის ან უფლებების ობიექტი, არამედ როგორც უფლებათა სუბიექტი. ეს მიდგომა ითხოვს მშობლის უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ რეგლამენტაციას, რომელიც უზრუნველყოფს თავისებურ მიმართებას მშობლის, ერთი მხრივ, თავისუფალ არჩევანსა და, მეორე მხრივ, ბავშვის მიმართ მზრუნველობის ვალდებულებებს შორის.

ვინ არის ვალდებული, არჩინოს შვილები? რამდენად დაცულია საქართველოში იმ ქალთა უფლებები, რომლებიც ბავშვის აღზრდის პროცესში კარგავენ კარიერისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევის შესაძლებლობას, ხოლო განქორწინების შემდეგ დგებიან პრობლემის წინაშე: რამდენად უზრუნველყოფს ქმარი მის და მისი შვილების მომავალს? გადახდილი იქნება თუ არა ალიმენტი და რა მოცულობით? რამდენად შეუნარჩუნდება ბავშვს ცხოვრების ის პირობები, რომელიც მას მშობლების განქორწინებამდე ჰქონდა? ამასთან, მნიშვნელოვანია, გადასახდელი ალიმენტის მოცულობის განსაზღვრისას დადგინდეს, მართლაც ყოველთვის შეესაბამება თუ არა მოსამართლის მიერ მიღებული „გონივრული“ გადაწყვეტილება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს? რამდენად არის სახელმწიფო უფლებამოსილი, და ამასთან – ვალდებულიც, ჩაერიოს მშობლების მიერ საალიმენტო მოვალეობის შეუსრულებლობის დროს, რათა ბავშვს ჰქონდეს ცხოვრების სტანდარტული დონის მინიმუმი

მაინც, და რა ახალი ინსტიტუტები ინერგება საერთაშორისო საკანონმდებლო სისტემებში საალიმენტო ვალდებულების უზრუნველსაყოფად?

მშობლებსა და შვილებს შორის პირადი და ქონებრივი ურთიერთობები წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს საოჯახო კანონმდებლობის ბაზაზე, რომელიც შეადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნაწილს. საქართველოს საოჯახო სამართალი, სხვა ბევრი პოსტსაბჭოთა ქვეყნის ანალოგიური კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ინტეგრირებულია სამოქალაქო კოდექსში, რომელიც ქართული კერძო სამართლის მთავარი წყაროა. ეს რეფორმატორული ნაბიჯი უკვე ითხოვს საოჯახო კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული არაერთი სამართლებრივი ცნების კონსტრუქციის ახლებურ ინტერპრეტაციას, მათ შორის, ისეთებისას, რომლებიც დაკავშირებულია მშობლებსა და შვილებს შორის პირად და ქონებრივ ურთიერთობებთან.

საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დანერგვასთან ერთად, ახლებურად დგება კონკრეტული, ერთი შეხედვით – ტრადიციული, სამართლებრივი პრობლემები. ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში საოჯახო სამართლის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს სხვადასხვა დროს ფუნდამენტური გამოკვლევები მიუძღვნეს ცივილისტებმა: ს. ჯორბენაძემ, შ. ჩიკვაშვილმა, რ. შენგელიამ, ე. შენგელიამ. ამასთან, საგულისხმოა, რომ გამოქვეყნებული ნაშრომების ძირითადი ნაწილი ეთმობოდა საბჭოთა საოჯახო სამართლის ინსტიტუტებს, როცა კვლევის საგანს კანონმდებლობის სისტემაში დღევანდელისაგან განსხვავებული ადგილი ეჭირა; რაც შეეხება უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში საოჯახო სამართლის პრობლემებზე შექმნილ ნაშრომებს, ისინი ზოგადი ხასიათისაა და ცალკეული ინსტიტუტების დაწვრილებითი განხილვა მათი ამოცანა არ არის.

უშუალოდ მშობლებსა და შვილებს შორის პირადი და ქონებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების პრობლემები სპეციალური მონოგრაფიული კვლევის საგანი არ ყოფილა არც საბჭოთა, არც პოსტსაბჭოთა პერიოდის კანონმდებლობის მიხედვით.

<u>წინამდებარე კვლევის ობიექტი</u> მშობლებსა და შვილებს შორის პირადი და ქონებრივი ურთიერთობებია. ამ ურთიერთობათა განსახილველად გაანალიზებულია სამართლის ისეთი ცნებები, რომელთა შინაარსი სცილდება ზემოაღნიშნული ურთიერთობის რეგულირების მიზნებს და მოიცავს სამართლებრივი ხასიათის სხვა ურთიერთობებსაც. სამართლის ასეთი ცნებებია: აღზრდა, რჩენა, ერთპიროვნული და ერთობლივი მეურვეობა, საალიმენტო შეთანხმება, საალიმენტო ფონდები და სხვა.

<u>კვლევის საგანია</u> დისპოზიციური სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმები, საქართველოს კერძო და საჯარო სამართლის სხვა ინსტიტუტებთან სისტემურ კავშირში.

<u>სადისერტაციო კვლევის მიზანია</u> ცნებითი აპარატის დაზუსტება შემდგომი ანალიზისა და საოჯახო ურთიერთობების რეგულირების ოპტიმიზაციისათვის. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო გახდა მრავალი ძირითადი ამოცანის გადაწყვეტა:

1. *თანამედროვე პირობებში აქტუალურობას იძენს ოჯახის, როგორც მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძვლის, ცნების განსაზღვრება.* სოციალურ ცხოვრებასა და

საკანონმდებლო პრაქტიკაში ინერგება ისეთი ცნებები და ინსტიტუტები, როგორებიცაა: „თანამედროვე ოჯახი“, „საოჯახო ბიზნესი“. გენდერული თანასწორობის განვითარების შესაბამისად, იცვლება მშობლების ურთიერთდამოკიდებულებათა სტრუქტურული შინაარსი. „მამა-მარჩენალი“ აღარ არის ოჯახის რჩენის ერთადერთი წყარო. ეკონომიკური წინსვლისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას იწყებს ქალთა უმეტესი ნაწილი. ამ პროცესების ასახვის შედეგია „თანამედროვე ოჯახის“ ცნება, რომელიც მკვიდრდება სოციოლოგიურ და იურიდიულ ლიტერატურაში. „თანამედროვე ოჯახის“ ცნების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია თვითრეგულირება. „თანამედროვე ოჯახი“ არის მრავალსაუკუნოვანი საოჯახო ურთიერთობების ისტორიის თანამედროვე რეზულტატი, რომელიც საოჯახო ურთიერთობებისათვის ტრადიციულად დამახასიათებელი ინსტიტუტების – ქორწინების, განქორწინების, განქორწინების შემდგომი ქორწინების, ქორწინებისგარეშე დაბადების, მარტოხელა მშობლის, დე ფაქტო პარტნიორობის, დაუქორწინებლობის – მიმართ ქმნის საოჯახო სამართლის სფეროში არსებულ პლურალიზმს, რომლის მიზანია თანამედროვე ოჯახის მთავარი იდეა – ჰარმონია, რომელიც ემყარება დამოუკიდებელ არჩევანს.

2. *ოჯახი სუბიექტური კატეგორიაა, მაგრამ, ამავე დროს, ოჯახი არ არის სამართლის სუბიექტი და ამიტომაც, როგორც წესი, არ მონაწილეობს სამართლებრივ ურთიერთობებში.* მიმაჩნია, რომ ოჯახი არის მაინტეგრირებელი სუბიექტური წარმონაქმნი, მაგრამ, ვიდრე არ იქნება დადგენილი მისი სამართლებრივი სტატუსი და კანონმდებლობის საფუძველზე არ განისაზღვრება საოჯახო სამართალსუბიექტურობის ცნება, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლის სუბიექტად. თუმცა ოჯახი, როგორც სამართლის სუბიექტი, უკვე გვხვდება თანამედროვე ქვეყნებში, ამასთან დაკავშირებით კი ლიტერატურაში სხვადასხვა ავტორი ახალი ცნების – „საოჯახო ბიზნესის“ – დამკვიდრებას იწყებს, რაც დღის წესრიგში აყენებს ამ სამართლებრივი ფორმის მარეგულირებელი ნორმების შექმნის აუცილებლობას. საქართველოშიც არსებობს გარკვეული იურიდიულ-ეკონომიკური საქმიანობის მაგალითები, რომლებიც საოჯახო ბიზნესის საფუძველზე ხორციელდება, თუმცა მას, როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, კანონმდებლობა ჯერ კიდევ არ იცნობს. თვით ამ ბიზნესიდან აღმოცენდება მშობლებსა და შვილებს შორის ისეთი სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც სრულიად ახალია და უაღრესად საინტერესო მემკვიდრეობის კუთხით, რაც გულისხმობს იმას, რომ, თუ ვინ გაუძღვება მომავალში საოჯახო ბიზნესს და დასახელდება ამ ქონებრივი აქტივის მემკვიდრედ, დამოკიდებულია სწორედ მშობლებსა და შვილებს შორის არსებულ პირად და ქონებრივ ურთიერთობებზე. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლები აღიარებენ „საოჯახო ბიზნესის“ მნიშვნელობას,[1] საერთაშორისო დონეზე ჯერ მხოლოდ მცირე რაოდენო-

[1] იხ. *Pujol R. B.,* El protocol familiar com a instrument apte per pactar la compansacio economica per rao de treball de l'article 41 del Codi de Familiar, Revista Juridica de Catalunya, 2006 (3), 712, მითითებულია: *Artigot-Golobardes M., Alascio-Carrasco L.,* (Universitat Pompeu Fabra, Barcelona, Spain), Family business: The Need for a General Framework, Family Finances, *(Verschraegen B. (ed.)),* Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 771.

ბის ინიციატივებია ამ მიმართულებით.[2] დღემდე საკანონმდებლო სისტემები არ მოიცავენ კონკრეტულ ნორმებს, რომლებიც, გარდა იმ ღონისძიებებისა, რომლებიც ამცირებს და ამარტივებს საოჯახო ბიზნესთან დაკავშირებულ ბიუროკრატიას, თითქმის არ ეხმარება საოჯახო ბიზნესს მის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევაში. სწორედ ამიტომ ამ საქმის პროფესიონალებმა საერთაშორისო დონეზე შექმნეს კერძოსამართლებრივი ინსტრუმენტები ასეთი სიცარიელის შესავსებად. ამ ინსტრუმენტებს ეწოდება „საოჯახო პროტოკოლი“ და, მიუხედავად იმისა, რომ ისინი, ზოგადად, ჯერჯერობით არ გამოიყენება, მათი აღიარება მნიშვნელოვნად იზრდება.

3. *„ბავშვთა უფლებების კონვენციის“ თანახმად, ბავშვს ენიჭება უფლება, გამოხატოს საკუთარი მოსაზრება გარესამყაროს მიმართ, ასევე იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მის ინტერესებს ეხება ოჯახში.* თანამედროვე მსოფლიო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს და აღიარებს, რომ „მთავარი ასპექტი ბავშვის, როგორც უფლების მფლობელისა, არის ის, რომ ვიღაცას ამ დროს აქვს მოვალეობა, პატივი სცეს სხვის უფლებას“.[3] ბავშვთა უფლებების დაცვისა და მათი აზრის გათვალისწინების პრიორიტეტულობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ევროპის ბავშვთა უფლებების კომიტეტი მიუთითებს სახელმწიფოებს, დანერგონ „ბავშვთა ომბუდსმენის“ ინსტიტუტი. „ომბუდსმენი“ გახდა იმ პირის ან ორგანოს მნიშვნელობის განსაზღვრისათვის ცნება, რომელიც იცავს პირის ან ინდივიდთა ჯგუფის ინტერესებს, მოქმედებს მათი სახელით და ქმნის უკეთეს პირობებს მათი ინტერესების შესაბამისად“;[4] ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ კი წევრი სახელმწიფოებისათვის შეიმუშავა რეკომენდაცია, რომლის მიხედვით, „თუ არ ჰყავთ, დანიშნონ სპეციალური ბავშვთა ომბუდსმენი, რომელიც ინფორმაციას მიაწოდებს ბავშვებს თავიანთი უფლებების შესახებ, ითათბირებს მათთან, გამოკითხავს და, შესაძლოა, მათი სახელითაც იმოქმედოს“. დღეისათვის ოცდაათზე მეტი მსგავსი ორგანო მოქმედებს სხვადასხვა ქვეყანაში, რაც ბავშვთა უფლებების დაცვის გარანტიას იძლევა სახელმწიფოს მხრიდან. საქართველოს საკანონმდებლო სისტემაც მეტ-ნაკლებად იცავს ბავშვის საკუთარი აზრის გამოხატვის უფლებას, როცა მიუთითებს 10 წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვნის აზრის მნიშვნელობაზე სხვადასხვა საკითხის განხილვის დროს, თუმცა მიზანშეწონილია საერთაშორისო მოთხოვნების უფრო მაღალ დონეზე შესრულება და ქვეყანაში მსგავსი ინსტიტუტების დანერგვა, რათა გარანტირებული იყოს ბავშვთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა სახელმწიფო დონეზე.

4. *მშობლებისა და შვილების პირადი ურთიერთობებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს სახელის უფლება.* სახელის უფლება, რო-

---

2 European Commission Recommendation 94/1069/EC, of 7 Decembers 1994, <http:eur-lex.europa.eu/:exUriServ/LexUriServ.do?uri> [15.09.2013].

3 *Doek J. E.,* What Does the Children's Convention Require? (Professor of Law, Vrije Universiteit in Amsterdam, and Chairperson of the U.N. Committee on The Rights of the Child), Spring, 20 Emory Int'l L, 2006, 202, <http://www.law.emory.edu/fileadmin/journals/eilr/20/20.1/Doek.pdf>, [24.02.14].
Flekkoy M. G., The Childrens Ombudsman as an Implementor of Childrens Rights, 1996, 353, 355. www.docstoc.com/docs/64785967/California-Relators-Association, <ouralexander.org/vaccines.doc> [24.02.14].

გორც პირადი უფლება, უნდა განვასხვაოთ მშობლის უფლებისაგან, შეურჩიოს შვილს სახელი. სახელის შერჩევასთან დაკავშირებული მშობლების უფლება-მოვალეობანი სხვა სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს ქმნის. ეს უფლება უკვე შეფარდებითი სამართლებრივი ურთიერთობის სფეროა, ვინაიდან ის პირდაპირ მიმართულია მშობლის კონკრეტულ ვალდებულებაზე. სახელის უფლება აბსოლუტურ შინაარსს ატარებს სამოქალაქო სამართლებრივ სფეროში, ხოლო მშობლის მიერ შვილისათვის სახელის მინიჭების ვალდებულების ჭრილში ის უკვე გარდაიქმნება შეფარდებით სამართლებრივ ურთიერთობად, რომლის რეალიზაციის გარანტად თვით სახელმწიფო გვევლინება. წმინდა აბსოლუტური სამართლებრივი ურთიერთობები არ არის დამახასიათებელი საოჯახო სამართლისათვის. მესამე პირებთან ურთიერთობაში ისინი შეიძლება აბსოლუტური შინაარსის მატარებლად მოგვევლინონ, თუმცა თვით საოჯახო ურთიერთობებში, მონაწილეთა მიმართ, შეფარდებით ხასიათს ავლენს. საოჯახო სამართლისათვის უფრო ტიპური წმინდა შეფარდებითი (მაგალითად, საალიმენტო ვალდებულება) და ისეთი შეფარდებითი სამართლებრივი ურთიერთობებია, რომლებიც მათი დაცვის აბსოლუტურობით ხასიათდება (მშობლის მიერ შვილის აღზრდის უფლება). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ პირადი საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობები მნიშვნელოვან როლს ასრულებს არა მხოლოდ ერთ ცალკე აღებულ ოჯახში, არამედ მთლიანად სახელმწიფოში. საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით არაქონებრივი უფლებების გამყარება შესაძლებლობას გვაძლევს, ვამტკიცოთ, რომ არაქონებრივი უფლებები შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ადამიანის უფლებები, ვინაიდან საქართველოს სამართლებრივ სისტემაში შემავალი საერთაშორისო სამართლის ნორმები მისი განუყოფელი ნაწილია. ამიტომაც სამართლებრივი სისტემის მოდერნიზაციის შედეგად უამრავი ადამიანი უფრო დაცულად იგრძნობს თავს.

5. *ბავშვების მიმართ მშობელთა პირადი უფლება-მოვალეობებიდან, შეიძლება ითქვას, ყველაზე რთული და მნიშვნელოვანია შვილების აღზრდის მოვალეობა.* მშობლები პასუხისმგებლები არიან შვილების აღზრდაზე. ისინი ვალდებულნი არიან, იზრუნონ ბავშვის ჯანმრთელობაზე, ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სულიერ და ზნეობრივ განვითარებაზე. სამართლებრივ ურთიერთობათა პირველი ჯგუფისა (ურთიერთობები მშობლებს შორის ბავშვის აღზრდასა და განათლებასთან დაკავშირებით) და მეორე ჯგუფის (ურთიერთობები თითოეულ მშობელსა და ბავშვს შორის) შინაარსს შეადგენს მშობლების უფლებები და მოვალეობები, რომელთაც თავიანთი სპეციფიკური ნიშნები აქვთ: 1) მშობლების უფლებები, იმავდროულად, მათი მოვალეობებია; 2) მათ აქვთ ვადიანი ხასიათი; 3) მთლიანად ან ნაწილობრივ გასხვისებადია; 4) მათ უკავშირდება ბავშვების თანდაყოლილი (კონსტიტუციური) უფლებები; 5) ამ უფლება-მოვალეობათა შეუსრულებლობა მშობლის უფლების ჩამორთმევას ან შეზღუდვას იწვევს.

თუმცა მშობლების უფლებებისა და მოვალეობების შეფარდება განსხვავდება სამართლებრივ ურთიერთობათა ჯგუფების მიხედვით. პირველ ჯგუფში წინ წამოიწევა მშობელთა უფლებები, მეორეში კი პირიქით – მათი მოვალეობები, რაც სამართლებრივ ურთიერთობათა განსხვავებულ ხასიათს უკავშირდება.

სამართლებრივ ურთიერთობათა პირველი ჯგუფი კერძო ხასიათს ატარებს, რაც თითქმის არ რეგულირდება კანონმდებლობით. მის შინაარსს ქმნის მშობელთა უფლებები (მოვალეობები), რაც მათ თანასწორუფლებიანობის პრინციპით ეკუთვნით და რაც ერთობლივად უნდა განახორციელონ.

სამოქალაქო საზოგადოებისათვის ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, მეორე ჯგუფს საჯარო ხასიათი აქვს. ამ ჯგუფში შემავალ სამართლებრივ ურთიერთობათა შინაარსს უნდა ქმნიდეს ბავშვების კონსტიტუციური უფლებები და მათი შესაბამისი მშობლების მოვალეობები (უფლებები), რაც კანონმდებელს სრული მოცულობით არ გაუთვალისწინებია. ეს გარემოება არასრული სამართლებრივი ურთიერთობების არსებობას იწვევს, რადგანაც კანონმდებელს, რომელმაც ერთ სუბიექტს უფლება მიანიჭა, მეორე სუბიექტისათვის შესაბამისი მოვალეობა არ დაუკისრებია.

6. *შვილის აღზრდასთან დაკავშირებით შეიძლება დაისვას შეკითხვა – თითქმის ყველა მზრუნველობით საქმიანობას რატომ ახორციელებენ მხოლოდ ქალები?* საოჯახო შრომის განაწილების შესწავლამ 21 ქვეყანაში[5] აჩვენა, რომ ამ ქვეყნებში ქალები უფრო მეტ საოჯახო საქმეს აკეთებენ, ვიდრე მამაკაცები.[6] ემპირიულმა კვლევებმა, რომლებმაც მოიცვა ბოლო რამდენიმე ათწლეული, გამოავლინა, რომ, მართალია, ქალები ახლა უფრო ნაკლებ საოჯახო საქმეს აკეთებენ, ვიდრე წარსულში და მამაკაცები ოდნავ მეტს, ვიდრე ქალები, ქალების მიერ შესრულებული საოჯახო საქმე მაინც ორჯერ აღემატება მამაკაცების მიერ შესრულებულ საოჯახო საქმეს.[7] ამ საკითხს ეხება კვლევა „კაცები და გენდერული ურთიერთობები“, რომელიც ჩატარდა გაეროს ერთობლივი პროგრამის – „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ – ფარგლებში და ხორციელდება შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) მხარდაჭერით, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA), გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გაეროს ქალთა ფონდის (UN Women) მიერ.[8] კვლევა აჩვენებს, რომ ბავშვების აღზრდის პროცესში ქალები და კაცები ერთობლივ პასუხისმგებლობას არ იღებენ, ბავშვის აღზრდა იმთავითვე ქალის მოვალეობად მიიჩნევა.[9]

---

5 ნორვეგია, ამერიკა, შვეცია, კანადა, გერმანია, ისრაელი, ახალი ზელანდია, დიდი ბრიტანეთი, სლოვენია, ნიდერლანდი, უნგრეთი, ავსტრია, რუსეთი, ბულგარეთი, პოლონეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, საბერძნეთი, ავსტრალია, იტალია და იაპონია.

6 იხ. *Batalova J. A., Cohen P.N.,* Premarital Cohabitation and Housework: Couples in Cross-National Perspective, Journal of Marriage and Family, Volume 64, Issue 3, August, 2002, 743-755, http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/jomf.2002.64.issue-3/issuetoc [15.10.13].

7 იხ. *Resetar B.,* Matrimonial Property in Europe: A Link between Sociology and Family Law, Electronic Journal of Comparative Law, 10, <www.ejcl.org/123/art123-4.doc> [15.10.13].

8 კაცები და გენდერული ურთიერთობები, რომელიც ეყრდნობა Promundo-ს მიერ IMAGES (International Men and Gender Equality Survey) კვლევას < http://www.calameo.com/-read/000713529851130dc6a7b> [06.04.2014.].

9 დებულებას, რომ ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვაა, რესპონდენტთა 89% ეთანხმება. მნიშვნელოვანია, რომ ამ შეხედულებას თანაბრად იზიარებენ როგორც მამაკაცები, ასევე ქალებიც.

რა თქმა უნდა, ეს გენდერულ როლებს ეხება, მაგრამ ასევე ეკონომიკის საკითხიცაა. რამდენადაც მამაკაცები, ძირითადად, ქალებზე მეტ ხელფასს იღებენ, ოჯახი, როგორც ერთეული, უფრო მეტ სარგებელს მიიღებს სამუშაოს დაყოფის შედეგად, სადაც ქალები აუცილებელ მზრუნველობას ახორციელებენ, მამაკაცს კი ოჯახში ფული შემოაქვს.

კანონი ამის პრერეკვიზიტს უზრუნველყოფს: ქმარი და ცოლი განიხილება ერთ ერთეულად, როგორც ზრუნვის, ასევე ეკონომიკის მხრივ. ვფიქრობ, კანონი მეუღლეებს ზრუნვის საკითხში ორ ცალკე ერთეულად უნდა განიხილავდეს, რის საფუძველზეც სამუშაოს დაყოფა გაგებული იქნებოდა როგორც საკითხების კერძოდ მოგვარება ორ ადამიანს შორის, რომელთაგან თითოეული თანაბრად იქნებოდა პასუხისმგებელი ყველა საზრუნავ სამუშაოზე, რაც კი მათი შვილების აღზრდას ეხება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევის მიზნით, ქალების უმრავლესობა იწყებს ფიქრს, რომ საზრუნავი მინიმუმამდე დაიყვანოს, სახლის გარეთ მუშაობა კი მაქსიმუმამდე გაზარდოს. ამგვარად, შვილებზე ზრუნვას ხშირად დაბალი პრიორიტეტი ენიჭება, რის გამოც ბავშვი საკმარისი ზრუნვის გარეშე რჩება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლიანად მიმაჩნია მშობლების თანაბარი და განცალკევებული ვალდებულებების დარეგულირება კანონის შესაბამისად, როგორც შვილების მოვლაზე, ასევე მათ რჩენაზე. ამასვე ადასტურებს მეცნიერთა ნაწილის მოსაზრებაც: „იმისათვის, რომ ამჟამინდელი სისტემის მიერ შექმნილი დამოკიდებულება თავიდან ავიცილოთ, ყველა უფლება და მოვალეობა თანაბრად უნდა იქნეს გაზიარებული მშობლების მიერ, იმის მიუხედავად, თუ რა ურთიერთობა არსებობს მათ შორის, და კანონმა ეს უნდა მოაწესრიგოს ისე, რომ სამუშაო და არა სტატუსი გახდეს საფუძველი ეკონომიკური სარგებლის მიღების უფლებისათვის“.[10]

ამასთან დაკავშირებით დგება საკითხი იმის შესახებ, რომ რეალურად უნდა არსებობდეს და კანონმდებლობით განმტკიცდეს თანაბარი და განცალკევებული ვალდებულება შვილების მოვლაზე. ისმება სერიოზული კითხვები – უნდა მიენიჭოს თუ არა მშობლების ერთობლივ მეურვეობას (ე.წ. 50/50) უპირატესობა საქმის განხილვის დროს? რა სამართლებრივ საფუძვლებს უნდა ემყარებოდეს ერთპიროვნული აღზრდის უფლება და შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას ავტომატურად ითვლება თუ არა, რომ მშობელი, რომელთანაც ცხოვრობს ბავშვი, სარგებლობს უფლებების განხორციელების უპირატესობით? რომელ ფაქტორებს უნდა მიენიჭოს მნიშვნელობა ბავშვის „საუკეთესო ინტერესის“ განსაზღვრისას ამ საკითხების განხილვის დროს? – თითოეული მშობელი თანაბრად უნდა იყოს პასუხისმგებელი შვილის მოვლასთან დაკავშირებულ ქმედებაზე. ეს კი შესაძლებელი ხდება, თუ სამოქალაქო კოდექსში დამკვიდრდება ახალი ტერმინები – ერთპიროვნული და ერთობლივი მეურვეობა, რაც ზუსტად განსაზღვრავს, თუ რომელი მშობელი რა მოცულობით არის პასუხისმგებელი ბავშვის აღზრდაზე, და რა ვალდებულებები წარმოიშობა ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ბავშვის

---

[10] *Braekhus H.,* Regulation of Parenthood – Deregulation of Marriage, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 571.

მეურვეობა (custody) გულისხმობს განქორწინების შემდგომ არასრულწლოვანი ბავშვის ცხოვრების დარეგულირებას, ხოლო ერთობლივი მეურვეობა გულისხმობს უფრო თანაბრად გაწონასწორებულ პასუხისმგებლობას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სანამ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას – ერთობლივი იყოს მეურვეობა თუ ერთპიროვნული, საკანონმდებლო ნორმები უნდა განსაზღვრავდეს ისეთ დებულებებს, რომლებიც, როგორც მინიმუმ, უნდა ასახავდეს, რომ ბავშვთან დაკავშირებით მშობლის მოვალეობების განსაზღვრისას მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ითვალისწინებდეს: ბავშვის ასაკსა და განვითარების ეტაპს, პატარა ბავშვების კონკრეტული მოთხოვნების გათვალისწინებით – ბავშვის „მომწიფებულობა“ გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას; ოჯახის შესაძლებლობას, უზრუნველყოს მზრუნველობის განაწილება იმგვარად, რომ ამან გამოიწვიოს ბავშვისათვის ემოციურად შესაფერისი გარემოს შექმნა; მშობლებს შორის ნებისმიერი კონფლიქტის ან ძალადობის პოტენციურ გავლენას ბავშვზე.

ბავშვებისათვის სასარგებლოა, როცა მათ აქვთ ხანგრძლივი და რეგულარული კონტაქტი ორივე მშობელთან, როცა ისინი თანამშრომლობენ, ურთიერთობენ და ნაკლებად კონფლიქტურები არიან. თუმცა არ არსებობს ემპირიული მტკიცებულება, რომელიც ზუსტად აჩვენებს მშობლის მიერ მზრუნველობისათვის გამოყენებული დროის მოცულობასა და ბავშვის მდგომარეობის გაუმჯობესებულ შედეგებს შორის კავშირს. დადებითი შედეგები უფრო მეტად შეიმჩნევა იმ ოჯახებში, რომლებმაც არჩევანი გააკეთეს ერთობლივ მზრუნველობაზე და რომელთაც შეუძლიათ, იზრუნონ შვილებზე ერთმანეთთან თანამშრომლობით, ბავშვის მოთხოვნებზე ორიენტირებულად, და პირიქით, ერთობლივი მზრუნველობა უფრო სარისკოა ბავშვებისათვის მაშინ, როცა მშობლებს შორის არსებობს კონფლიქტის მაღალი რისკი. ამ დროს ბავშვებისათვის უფრო დამახასიათებელია უსაფრთხოების პრობლემები, ეს განსაკუთრებით ეხება 4 წლამდე ასაკის ბავშვებს. კანონთან დაკავშირებული გაუგებრობა ხშირია, რაც იწვევს იმას, რომ ბევრ მამას ჰგონია, მას აქვს ერთობლივი მზრუნველობის უფლება, ხოლო ბევრ დედას ჰგონია, მას არ შეუძლია, წამოჭრას ისეთი საკითხები, რომლებიც შედის მისი შვილების საუკეთესო ინტერესებში. მთლიანობაში, აღსანიშნავია, რომ ერთობლივი მზრუნველობის ხელშემწყობი დებულებები გათვალისწინებული უნდა იყოს კანონმდებლობაში, ვინაიდან დაზუსტებულმა ცვლილებებმა შესაძლოა, მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღოს.

ასევე მნიშვნელოვანია თანაბარი და განცალკევებული ვალდებულება შვილების რჩენაზე, რაც სწორედ ერთპიროვნულ/ერთობლივ მეურვეობაზეა დამოკიდებული და გულისხმობს, რომ თუ ერთ-ერთი მშობელი 40 პროცენტზე ნაკლებ დროს ატარებს ბავშვთან, ითვლება, მეორე მშობელს ბავშვზე ერთპიროვნული მეურვეობა აქვს რჩენის თვალსაზრისით, შესაბამისად, ალიმენტის ოდენობაც უფრო მეტი იქნება, ვიდრე ორმაგი მეურვეობისას; ამასთან, თვით ალიმენტის ოდენობა უნდა გამომდინარეობდეს საალიმენტო ფორმულებიდან, რომლებიც უნდა შემუშავდეს ბავშვის ასაკის, სქესის, ოჯახური მდგომარეობისა და ფინანსური სახსრების მიხედ-

ვით, ხოლო მოსამართლე მიიღებს გადაწყვეტილებას ამ ფორმულებზე დაყრდნობით, რაც საშუალებას იძლევა, თავიდან იქნეს აცილებული მხოლოდ მოსამართლის შეხედულებაზე დამყარებული სასამართლო გადაწყვეტილებები.

7. *საოჯახო სამართლის მიხედვით, ქალები მამაკაცებს ექვემდებარებიან ოჯახში ვალდებულებებისა და უფლებების განაწილების გზით მაშინაც კი, როცა გენდერული თანასწორობა სამართლებრივი სისტემის ძირეული პრინციპია.* შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ საოჯახო სამართალში ცვლილების საჭიროება უდავოა. ახალმა სამართლებრივმა სისტემამ წვლილი უნდა შეიტანოს იმაში, რომ ოჯახური ცხოვრება თანაბრად სასურველი გახდეს ოჯახის ყველა წევრისათვის, როგორც ქორწინებაში ყოფნისას, ასევე განქორწინების შემდეგაც. ოჯახებში თანასწორობის მისაღწევად, ვფიქრობ, უნდა გამოიყოს სამართლებრივი ცვლილებების ხუთი პუნქტი: 1. ზრუნვის განმახორციელებელი მშობლებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფულის სამართლიანი წილი. რა არის დღეისათვის თანხის სამართლიანი წილი? – უპირველეს ყოვლისა: ეს ის არ არის, რაც ასი წლის წინ იყო. დღეს ეს ისეთი რამ უნდა იყოს, რითაც ცხოვრება შეიძლება. იგი უნდა უზრუნველყოს კანონმა, როგორც ეს სახელფასო ან სხვა სახის ფულადი მოთხოვნების დროს ხდება და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დამოკიდებული მიმწოდებლის კეთილ ნებაზე. იგი პროპორციული უნდა იყოს იმისა, თუ რა აუცილებელი სამუშაო ხორციელდება ოჯახში, როგორც ქორწინების დროს, ასევე განქორწინების შემდეგ; 2. შვილებზე მზრუნველობაში დედებიც და მამებიც უნდა მონაწილეობდნენ (როგორც ქორწინების დროს, ასევე განქორწინების შემდეგ). ბევრი მამის შემთხვევაში მხოლოდ განქორწინების შემდეგ მოელიან მათგან ზრუნვას, როგორც მოვალეობას კანონის საფუძველზე. თუმცა მამებთან კონტაქტი ყველა ბავშვს სჭირდება, დედებს კი დრო სჭირდებათ, რათა ბაზარზე თავიანთი უნარები განავითარონ. ოჯახური ცხოვრება უკეთ წარიმართებოდა, თუ ზრუნვა რეალური ვალდებულება იქნებოდა არა მარტო დედებისა და განქორწინებული მამებისათვის, არამედ ყველა მამისათვის; 3. ზრუნვისათვის საკმარისი დრო უნდა გამოიყოს ორივე მშობლის მიერ; 4. არ უნდა მოხდეს შვილების დისკრიმინაცია მშობლებს შორის არსებული ურთიერთობის გამო; 5. ქორწინება ნებაყოფლობითი უნდა იყოს არა მარტო მაშინ, როცა ის იწყება, არამედ ასევე ყველა დროს. რა არის ნებაყოფლობითი ქორწინება? – ეს უნდა იყოს ქორწინება ეკონომიკური დამოკიდებულების გარეშე. დღეს ქალები გაცილებით ნაკლებად არიან დამოკიდებულნი თავიანთ ქმრებზე, ვიდრე ასი წლის წინ, მაგრამ დამოკიდებულები მაინც არიან.

8. *თანამედროვე საზოგადოების ჩამოყალიბებასთან ერთად ტრანსფორმაცია განიცადა ბავშვთა ცხოვრების წესმა – მათი სოციალური კომუნიკაციების დიდი ნაწილი დღეს სოციალურ ქსელებში ხორციელდება.* იმავდროულად, ასევე შეიცვალა მშობლის სტატუსი. თანამედროვე მშობელი გახდა „აქტიური მშობელი“, რომლის მისიაა, იყოს მუდმივად ინფორმირებული და განახორციელოს თავისი შვილების ე.წ. მონიტორინგი. ცნება „ინტენსიური აღზრდა“ გულისხმობს იმ ქმედებებს, რომელთაც თავისი შეხედულებისამებრ ახორციელებს დომინანტი თანამედროვე მშო-

ბელი, ეს მშობელი კი არის ინტენსიური მშობელი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს თავისი შვილის აღზრდაში, იძენს ბავშვის საუკეთესოდ აღზრდის მოწინავე გამოცდილებას და იყენებს თავის ცოდნას იმისათვის, რათა ახლოს დააკვირდეს ბავშვის განვითარებასა და ყოველდღიურ აქტივობებს. აქედან გამომდინარე, აღმოჩნდა, რომ, თუ წარსულში მშობლის მიზანი იყო, წარმოეჩინა თავისი შვილი გარესამყაროსათვის, დღევანდელი მშობელი ცდილობს, დაიცვას თავისი შვილი გარესამყაროსაგან.

მშობლების ამ პრობლემებზე რეაგირების მიზნით მეცნიერებმა შეიმუშავეს კანონპროექტები, რომლებიც უზრუნველყოფს ბავშვების სოციალურ ქსელებში საქმიანობასთან მშობლების ხელმისაწვდომობას ბავშვის სურვილის წინააღმდეგ, აგრეთვე შემოთავაზებულია აღზრდის ნორმები, რომელთაც შეუძლიათ, ხელი შეუწყონ ინტენსიური აღზრდის მაღალი სტანდარტების ინტეგრაციას სამართლებრივ სტანდარტებში.[11] ინტენსიურ აღზრდას დადებითი გავლენა აქვს აკადემიურ მოტივაციასა და მიღწევებზე, სკოლაში ქცევაზე, ზიანის მიღების შესაძლებლობასა და კოლეჯში დამაკმაყოფილებელ შედეგებზე, მაგრამ კვლევის ახალი საგანი, უამრავ გავრცელებულ მნიშვნელოვან მოსაზრებასთან ერთად, გვთავაზობს, რომ ინტენსიური აღზრდის არსებული ტენდენციები სინამდვილეში შესაძლოა, საზიანო აღმოჩნდეს ბავშვებისათვის. ინტენსიური აღზრდა არ აძლევს ბავშვებს საშუალებას, განუვითარდეთ დამოუკიდებლობის, თვითკმაყოფილების შეგრძნება და შეიძინონ ცხოვრებაში მათ წინაშე არსებული გამოწვევების გადალახვის უნარები.[12] ინტენსიური აღზრდის პირობებში ბავშვები ვერ ივითარებენ ხასიათის მნიშვნელოვან თვისებებს, მათ შორის – უნარს, მართონ თავიანთი დრო, შეიმუშაონ სტრატეგია და მოაწესრიგონ ღია კონფლიქტი თამაშის დროს. უფრო მეტიც, კვლევებმა გამოავლინა, რომ ინტენსიური აღზრდა ხელს უწყობს აღგზნებას, დეპრესიას, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებას. ინტენსიური აღზრდის სტანდარტები დამოკიდებულია ადამიანთა სოციალურ კლასზე, რასაზე, ეთნიკურობაზე, სქესსა და კულტურაზე, ამიტომ აღზრდის სტანდარტიზებული სტილის იძულებით განხორციელება წარმოქმნის კულტურული ზეწოლის რისკს და ზიანს აყენებს იმ ადამიანებს, რომელთა ბავშვის აღზრდის ფილოსოფია განსხვავდება არსებული გავრცელებული მოსაზრებებისგან. იგივე შეიძლება ითქვას სოციალური ქსელების საშუალებით მშობლების მხრიდან ბავშვების მონიტორინგზე, რაც ასევე ინტენსიური მშობლის ერთ-ერთი დამახასიათებელი ქმედებაა. ასეთი კონტროლი შესაძლოა, ერთი მხრივ, სასარგებლო იყოს შვილებისათვის გარკვეული არასასურველი ურთიერთობებისაგან მათ დასაცავად, თუმცა ამან შეიძლება ხელი შეუწყოს მშობლის გადაჭარბებულ ზედამხედველობას, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს ბავშვის პირად ცხოვრებაზე, ბავ-

---

11 იხ. *Bernstein G.,* Under the Parental Gaze: Intensive Parenting, Social Networks and Children's Privacy, კონფერენციის მასალების კრებულში: Fostering Family Harmony: Principles and Practices, Papers from North American Regional Conferece, Brooklyn Law School, Brooklyn, June 6-8, 2013, 5.

12 იხ. *Grolick W. S., Seal K.,* Pressured Parents, Stressed-out Kids: Dealing with Competition While Raising a Successful Child, Prometeus book, New York, 2007, 24.

შვისა და მშობლის ურთიერთობასა და მშობლის კეთილდღეობაზე. გამომდინარე აქედან, შემოთავაზებული სტანდარტული ინსტრუქციები სოციალური ქსელებით სარგებლობის დროს ბავშვის ქმედებების შეზღუდვასთან დაკავშირებით (მაგალითად: მშობლის ნებართვა, გამოიყენოს სოციალური ქსელები, შესვლაზე პაროლის დაყენება, ინფორმაციების წაშლა მშობლის მოთხოვნით და ა.შ), ვფიქრობ, უნდა იყოს არა სავალდებულო ძალის მქონე, არამედ მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისა, რომელთაც მშობელი აღზრდის საკითხების განსაზღვრისას დამოუკიდებლად გამოიყენებს თავისი შეხედულებისამებრ.

9. *საოჯახო უფლებების დაცვის ზომისა და სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომის გამაერთიანებელი ნიშანია მათი დაცვითი მიმართულება.* ორივე ზემოაღნიშნული ზომა დაცულობის საშუალებაა. დაცულობა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე დაცვა. მეცნიერთა აზრით, დაცვა არის დაცულობის ელემენტი, რომელიც შესაბამისი უფლებებისა და ინტერესების დაცულობის საშუალებაა და განხილულ უნდა იქნეს დაცულობის კონკრეტული გამოვლენის სახით.[13] დაცვა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ირღვევა საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის უფლება, ხოლო საოჯახო სამართლებრივი პასუხისმგებლობა – ესაა რეაქცია ჩადენილ სამართალდარღვევაზე. მაგალითად, ისეთი საოჯახო სამართალდარღვევის შემთხვევაში, როგორიცაა ბავშვის მიმართ მშობლის სასტიკი მოპყრობა, რომლისთვისაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის ზომა, მშობლის უფლების ჩამორთმევა, რა თქმა უნდა, ხდება ბავშვის უფლებების დარღვევა. მშობლის უფლების ჩამორთმევა – ესაა სამართლებრივი დაცვის ერთ-ერთი ზომა და, იმავდროულად, სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომა. ჩვენი დასკვნა დასტურდება იურიდიული ლიტერატურის საფუძველზე: საოჯახო სამართალში სანქცია, უპირველეს ყოვლისა, გამოიყენება როგორც ბავშვების უფლებებისა და ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის საშუალება. შესაბამისად, საუბარი, პირველ რიგში, უნდა იყოს ბავშვის უფლებების დაცვასა და, მხოლოდ ამის შემდეგ, – დამრღვევის პასუხისმგებლობაზე. ამავე დროს, ისეთი სამართლებრივი სანქცია, როგორიცაა მშობლის უფლების შეზღუდვა, მუდამ დაცვის საშუალებაა, მაგრამ ყოველთვის არაა საოჯახო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომა, ვინაიდან მშობლის ბრალის არარსებობისას მას არ შეიძლება შეეფარდოს პასუხისმგებლობა, მშობლის უფლების შეზღუდვის შესახებ სანქციის გამოყენების მიუხედავად. ამ შემთხვევაში ეს არის დაცვის, და არა პასუხისმგებლობის, ზომა, ხოლო მშობლების ბრალეული ქცევის შემთხვევაში (მშობლის უფლების ჩამორთმევის შემთხვევის ანალოგიურად) – ეს იქნება როგორც დაცვის, ასევე პასუხისმგებლობის ზომა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პასუხისმგებლობის ზომის სანქციის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე დაცვის ზომის სანქციის ცნება, რადგანაც პასუხისმგებლობის

---

13 იხ. *Шерстнева Н. С.,* Семейно-правовая сущность принципа обеспечения приоритетной защиты прав и интересов несовершеннолетних, Современное право, №3, 2006, 43, http://www.nauka-pravo.org/m/articles/view/СОДЕРЖАНИЕ-3-2006 [28.10.13].

ზომა ყოველთვის დაცვის ზომასაც გულისხმობს, თუმცა დაცვის ზომა შეიძლება ყოველთვის არ მოიცავდეს პასუხისმგებლობის ზომას.

10. *საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საერთოდ არ განსაზღვრავს მშობლის უფლებაჩამორთმეულ პირთა პასუხისმგებლობას მათი შვილების მიერ მიყენებული ზიანის დროს.* მშობლის უფლებების ჩამორთმევის საფუძველი, როგორც წესი, არის მშობლების უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ბავშვების აღზრდისადმი, მათ შორის: საკუთარი მოვალეობებისაგან თავის არიდება, მშობლის უფლებების ბოროტად გამოყენება, ბავშვებისადმი სასტიკი მოპყრობა და ა.შ. მშობლების ასეთი ქცევა ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ბავშვებზე, რის გამოც ის მიზეზშედეგობრივ კავშირშია ბავშვების მიერ მესამე პირებისათვის საზიანო ქმედებების ჩადენასთან. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილია უფლებაჩამორთმეული მშობლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება, მაგრამ, ვინაიდან უფლებაჩამორთმეულ მშობლებს არ შეუძლიათ მონაწილეობის მიღება ბავშვების აღზრდაში, ბავშვის მიერ მიყენებული ზიანისათვის მათზე პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობა გარკვეული ვადით უნდა შეიზღუდოს. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით (მაგალითად, რუსეთი) გათვალისწინებულია სამწლიანი ვადა მშობლის უფლების ჩამორთმევიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დადგომამდე, რაც, ვფიქრობ, საკმაოდ დიდი პერიოდია, და ერთწლიანი ვადა სავსებით საკმარისი იქნება, ვინაიდან საჭიროა, არსებობდეს მიზეზშედეგობრივი კავშირი ყოფილი მშობლის მიერ თავისი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებასა და ბავშვის მხრიდან ზიანის გამომწვევ არასათანადო ქცევას შორის, რაც ერთი წლის გასვლის შემდეგ საფუძველს მოკლებულია. ამ ვადის გასვლის შემდეგ უფლებაჩამორთმეული მშობლების პასუხისმგებლობა გამოირიცხება. გამომდინარე აქედან, მშობლები ოჯახური ურთიერთობის დაკარგვისას ინარჩუნებენ სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას მათი არამართლზომიერი და ბრალეული ქმედებისათვის. უფლებაჩამორთმეული მშობელი პასუხს აგებს საკუთარი ბრალისათვის, ამიტომაც მას არ წარმოეშობა რეგრესული მოთხოვნის უფლება ზიანის მიყენებაში ბრალეული არასრულწლოვანი პირის მიმართ.

11. *სამოქალაქო კოდექსის 1206-ე მუხლში არ არსებობს მითითება მშობელთა ბრალეულობის შესახებ.* ბრალის არსებობა იმის აუცილებელი პირობაა, რომ დადგეს საკითხი მშობელთა პასუხისმგებლობის შესახებ მშობელთა მოვალეობების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო. ამასთან, ვფიქრობ, ამ მუხლში უნდა იყოს შეტანილი დამატებები და პირდაპირ მიეთითოს, რომ ბრალი არის მშობელთა პასუხისმგებლობის პირობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მშობელთა უფლებები ქრონიკულად ალკოჰოლიზმითა და ნარკომანიით დაავადებულ მშობლებს ჩამოერთმევა. კანონმდებლობაში უნდა იყოს ფორმულირებული ბრალის ცნება იმ შემთხვევებისათვის, როდესაც ბავშვთა აღზრდის მოვალეობების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო ხდება მშობელთა უფლებების ჩამორთმევა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მშობელთა ბრალად უნდა მივიჩნიოთ აღზრდის პროცესისა და ბავშვზე ზემოქმედების მეთოდების მიმართ ისეთი ფსიქიკური დამოკიდებულება, როდესაც მშობლები შეგნებულად უშვებდნენ ან გულ-

გრილად ეკიდებოდნენ აღზრდის უარყოფითი შედეგების შესაძლებლობას, ან ითვალისწინებდნენ უარყოფითი შედეგების დადგომას, მაგრამ მათი თავიდან აცილების მიზნით არ მიიღეს ადეკვატური ზომები.

საინტერესოა უნგრეთის კანონმდებლობის ის მუხლი, სადაც სასამართლო წესით მშობლის უფლების ჩამორთმევის მიზეზი შეიძლება გახდეს ერთი მშობლის თანაცხოვრება იმ მეორე მშობელთან, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, და არსებობს ეჭვი, რომ მშობლის უფლება არ იქნება განხორციელებული ბავშვის ინტერესების შესაბამისად. თუ სასამართლომ მშობელს ჩამოართვა მშობლის უფლება ყველა შვილის მიმართ, მაშინ ეს გავრცელდება გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გაჩენილი ბავშვის მიმართაც.

12. *ორივე მშობელს თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვთ ბავშვის ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, იმყოფებიან თუ არა ისინი ოფიციალურ ქორწინებაში.* არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლების ფუნქციას მშობლები ასრულებენ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ გაცემული სპეციალური დანიშნულების გარეშე, მხოლოდ ნათესაობის ფაქტის დადასტურების საფუძველზე. ამით ისინი განსხვავდებიან მეურვეებისა და მზრუნველებისაგან, რომლებსაც ნიშნავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. მშობელთა წარმომადგენლობის მოცულობა განისაზღვრება კანონით და არა წარმოდგენილი პირის ნებით.

13. *ზოგიერთი ქვეყნის (ავსტრიის, რუსეთის და ა.შ.) სამოქალაქო კანონმდებლობა, საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებით, შედარებით უფრო მისაღები ფორმით ახდენს სამი ასაკობრივი ჯგუფის გამოყოფას.* მაგალითად, რუსეთში: 6 წლამდე, 6-დან 14 წლამდე და 14-დან 18 წლამდე. აღსანიშნავია, რომ, ყოველი მომდევნო ჯგუფის წევრთა შეზღუდული ქმედუნარიანობის მიუხედავად, მათი უფლებამოსილებანი უფრო ფართოა, ვიდრე წინა ჯგუფისა. ვფიქრობ, ამ ქმედუნარიანობის ფარგლები მისაღები იქნებოდა საქართველოს კანონმდებლობისათვის. 7-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი პირები ერთნაირად არიან შეზღუდული ქმედუნარიანობაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ნებისმიერ სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობენ თანაბარი უფლებებით, რაც მართებულად არ მიმაჩნია,

14. *საინტერესოა საკითხი იმის თაობაზე, ანიჭებს თუ არა სრულ ქმედუნარიანობას არასრულწლოვან მშობლებს, რომლებიც არ არიან დაქორწინებულები, ბავშვის დაბადების ფაქტი და მიეკუთვნება თუ არა იგი იმ გარემოებებს, რომლებსაც ემანსიპაციაა შესაძლებელი.* რა თქმა უნდა, არა. შვილების წარმოშობა მშობლებისაგან, ანუ ბავშვის დაბადების ფაქტი არ არის ის გარემოება, რომელიც იწვევს არასრულწლოვანი მშობლების ემანსიპაციას. ქმედუნარიანობის მოცულობას განსაზღვრავს არა საოჯახო სამართლის კონკრეტული დებულებები, არამედ სამოქალაქო კანონმდებლობა, ზოგადად.

15. *მეცნიერებაში აქტუალობას არ კარგავს საალიმენტო ვალდებულების სამართლებრივი ბუნების შესწავლა.* საალიმენტო ვალდებულება არის კანონისმიერი ვალდებულება, რომლის წარმოშობას კანონი კონკრეტულ იურიდიულ ფაქტს, განსაზღვრული ხარისხის ნათესაობით (ან

მასთან გათანაბრებულ) მდგომარეობას უკავშირებს. ყველა შემთხვევაში, ფაქტობრივი შემადგენლობის ელემენტი, რომლის ძალითაც წარმოიშობა რჩენის მოვალეობა, არის განსაზღვრული ურთიერთობა ვალდებულ პირსა და უფლებამოსილ პირს შორის (ქორწინება, განსაზღვრული ხარისხის ნათესაური კავშირი, ქორწინება ბავშვის მამასთან ან დედასთან, ბავშვის აღსაზრდელად ან სარჩენად აყვანის ფაქტი, შვილად აყვანა). მშობლების (მშვილებლების) მიერ არასრულწლოვანი შვილების (შვილობილების) რჩენის მოვალეობის შემთხვევაში, ეს ურთიერთობები ამომწურავი ფაქტობრივი შემადგენლობაა, რომელიც რჩენის მოვალეობის წარმოშობას განაპირობებს. მშობლები ვალდებულები არიან, არჩინონ არასრულწლოვანი შვილები, იმის მიუხედავად, ფლობენ თუ არა ისინი საკუთარ ქონებას. მშობლების მიერ მიღებული შემოსავალი განკუთვნილია ასევე ბავშვების მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მშობლებსა და არასრულწლოვან ბავშვებს შორის ურთიერთობა თავისთავად რჩენის მოვალეობას წარმოშობს, ხოლო თუ ბავშვი მშობლისაგან ცალკე ცხოვრობს და მშობელი წყვეტს ბავშვზე ზრუნვას, პირდაპირი გაგებით, ამ მომენტიდან თვალსაჩინოა საალიმენტო ვალდებულება.

16. *უფლებაუნარიანობა საოჯახო სამართალში სამოქალაქო უფლებაუნარიანობის შემადგენელი ნაწილია, რაც კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში მისი მოცულობით განისაზღვრება;* შესაბამისად, საალიმენტო ვალდებულების, როგორც სამოქალაქო უფლებაუნარიანობის, სპეციფიკა მკაფიოდ ჩანს მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის კავშირში ცალკეული უფლებების განხორციელებასა და ზოგიერთი მოვალეობის შესრულების შესაძლებლობასთან. მაგალითად, ალიმენტის გადახდის დაკისრების მოთხოვნა სასამართლო წესით მრავალი სუბიექტისათვის შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოვლინდება მათი ასეთი ფორმით რჩენის საჭიროება, თუმცა მხოლოდ ეს ფაქტორი არ არის საკმარისი გაცხადებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რადგანაც ამ შემთხვევაში ხელმოკლეობა, ისევე როგორც კმაყოფაზე ყოფნა, სამართლებრივ მნიშვნელობას იძენს მხოლოდ პირის შრომისუუნარობასთან კომპლექსში.

17. *ლიტერატურაში კვლავ აქტუალური რჩება პრობლემა, რომელიც ეხება ალიმენტის ოდენობის განსაზღვრას – ვინ და როგორ განსაზღვრავს კონკრეტული ბავშვის მოთხოვნილებების გონივრულობას?* – მოქმედი სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე, შვილების ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა გათვალისწინებით და ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილების რეალურ მატერიალურ მდგომარეობას. ამ დებულების განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოში ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას ყოველთვის წარმოიქმნება არაერთგვაროვანი შეხედულება კონკრეტული ბავშვის მოთხოვნილებებთან დაკავშირებით გონივრულ, სამართლიან შეფასებაზე. ყველა მოსამართლე თავისებურად აფასებს და განსაზღვრავს შვილების რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ პირობათა წრეს, მით უმეტეს, მისთვის ცნე-

ბა „გონივრული მოთხოვნილებისა“ არ შეიძლება იყოს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი. სასამართლო პრაქტიკამაც დაგვანახვა, რომ ყველა კონკრეტული შემთხვევისას ალიმენტის ოდენობის „სამართლიანი და გონივრული“ განსაზღვრა ხშირად არაადეკვატურია შვილების ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის გათვალისწინებული აუცილებელი მოთხოვნილებებისა. ამასთან, „გონივრული მოთხოვნილების“ ცნებაც არ არის ხისტი, ვინაიდან ბავშვის ზრდასთან ერთად იზრდება მისი მოთხოვნილებებიც. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა წილობრივი მეთოდით არ არის ამ სიტუაციიდან გამოსავალი, ვინაიდან ალიმენტის გადახდევინება წილის სახით მიღებული იყო იმ საზოგადოებისათვის, სადაც ყველა პირს ჰქონდა მხოლოდ ერთი შემოსავლის წყარო – ხელფასი. შემოსავლების დამატებითი წყაროები მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა, შეთავსება კი კანონით იყო რეგულირებული, ამიტომ ამ წყაროების დადგენა და, შესაბამისად, სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე ალიმენტის გადახდევინების შემთხვევაში შემოსავლების მოძიება რთული არ იყო. დღეს კი სიტუაცია შეიცვალა. ნებისმიერ პირს, პირობითად, შეუძლია შემოსავლების წყაროების განუსაზღვრელი რაოდენობა ჰქონდეს. ამიტომაც, მრავალი ქვეყნის გამოცდილების საფუძველზე დაყრდნობით, უნდა შემუშავდეს ცხრილები, ფორმულები, ალიმენტის გამოთვლის სხვადასხვა მექანიზმი, რათა მოსამართლეს შესაძლებლობა ჰქონდეს, პირდაპირ მიუთითოს ბავშვის ასაკის, მისი ფსიქოლოგიური განვითარებისათვის აუცილებელი პირობების ალიმენტვალდებული პირის შემოსავლის მიხედვით წინასწარ დადგენილ საალიმენტო მოცულობის ფარგლებზე, რაც ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის შეუსაბამო და მხოლოდ მოსამართლის შეხედულებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებათა თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. სახელმძღვანელო მითითებების (ფორმულების) მთავარი პრინციპია, „მეუღლეებს ჰქონდეთ ერთობლივი ფინანსური ვალდებულება ქორწინებიდან მათი შვილების რჩენისა, მათი შესაძლებლობების შესაბამისად, და თავიანთი წვლილი შეიტანონ ვალდებულების შესრულებაში“, სახელმძღვანელო მითითებებმა კი ეს პრინციპები უნდა ასახოს განსაზღვრული მიზნების საშუალებით, ეს მიზნებია:

ა) განსაზღვროს ბავშვების დახმარების სამართლიანი სტანდარტი, რაც უზრუნველყოფს მათ, მშობლების დაცილების შემდეგ ორივე მეუღლისაგან კვლავ გაუგრძელდეთ ფინანსური სარგებლის მიღება.

ბ) შემცირდეს კონფლიქტი და დაძაბულობა მეუღლეებს შორის, რათა ბავშვის ალიმენტი უფრო ობიექტურად გაანგარიშდეს.

გ) გაუმჯობესდეს სასამართლო პროცესის ეფექტურობა ბავშვის ალიმენტის გადახდის დონის განსაზღვრისას, სასამართლოებისა და მეუღლეებისათვის სახელმძღვანელო მითითებების უზრუნველყოფა ალიმენტის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის დროს.

დ) უზრუნველყოფილი იყოს მსგავს გარემოებებში მყოფი მეუღლეებისა და ბავშვების მუდმივი ურთიერთობა.

18. *ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს პრინციპით, რომელიც ბავშვს მაქსიმალურად შეუნარჩუნებს ცხოვრების არსებულ დონეს,* რაც მას მშობლების ნორმალური ურთიერთობის მომენტამდე ჰქონდა. ამიტომაც მიზანშეწონილია, სამოქა-

ლაქო კოდექსით პირდაპირ განისაზღვროს დებულება შემდეგი შინაარსით: „ალიმენტის მოცულობა საშუალებას უნდა აძლევდეს ბავშვს, შეინარჩუნოს, სულ მცირე, ისეთი ცხოვრების სტანდარტი, როგორიც აქვს ალიმენტის გადამხდელ მშობელს“. ეს დებულება აუცილებელია იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული სიტუაცია, რომლის დროსაც ალიმენტის გადამხდელი მშობელი იხდის მის ფაქტობრივ შესაძლებლობებზე გაცილებით ნაკლებს იმის გამო, რომ ალიმენტის მიმღებს არ შეუძლია ალიმენტის გადამხდელის შემოსავლისა და მისი ქონების მოცულობის დამტკიცება.

19. *საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად, ალიმენტის გადახდევინების ვადის გაზრდა არ ხდება, როდესაც ბავშვი სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ სწავლას აგრძელებს.* ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის 28-ე მუხლით აღიარებულია მისი განათლების მიღების უფლება. ამ კონვენციის 27-ე მუხლის თანახმად, მშობლებს ენიჭებათ ბავშვზე ფინანსური პასუხისმგებლობა და, თავიანთი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყონ იგი მისი განვითარებისთვის საჭირო საცხოვრებელი პირობებით. ალიმენტის გადახდის ვადის გაგრძელების საკითხის გადაწყვეტისას, ვფიქრობ, დიფერენცირებული მიდგომაა საჭირო. ალიმენტის მიმღებს უნდა მიეცეს საშუალება, მიმართოს სასამართლოს ალიმენტის გადახდის ვადის გაგრძელების მოთხოვნით, თუ გადამხდელის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა საკმარისია ამ საკითხის მოსაგვარებლად. სრულწლოვანი ბავშვის უფლება ალიმენტის მიღებაზე, როცა მას არ შეუძლია მუშაობა იმის გამო, რომ იგი აგრძელებს სწავლას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობითაც, ვინაიდან ეს მექანიზმი საშუალებას მისცემს ბავშვებს, სრულწლოვანების შემდეგაც თავისუფლად განაგრძონ სრულყოფილი განათლების მიღება, თუმცა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ალიმენტთან დაკავშირებული დამცავი მუხლი, რომლის მიხედვითაც, სრულწლოვან ბავშვს არ აქვს ალიმენტის მიღების უფლება, თუ ალიმენტთან დაკავშირებით მისი მოთხოვნა „აშკარად უსამართლოა“ მშობლებისათვის. თითოეულ კონკრეტულ სიტუაციაში აშკარა უსამართლობის განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ალიმენტის გადახდის ვადის გაგრძელების საკითხის გადაწყვეტისას არ დაიშვება ისეთი შემთხვევები, როდესაც ალიმენტის მიმღები ბავშვი, თუ ის ალიმენტის გადამხდელთან არ ცხოვრობს, აღმოჩნდება უარესს პირობებში, ვიდრე ბავშვი, რომელიც ალიმენტის გადამხდელთან ერთად ცხოვრობს, მაგალითად, მეორე ქორწინებიდან.

20. *ლიტერატურაში სათანადო ყურადღება არ ექცევა ალიმენტის უფლების წარმოშობის მომენტის დადგენას, ანუ საალიმენტო სამართლებრივ ურთიერთობებს.* პირს, რომელსაც აქვს ალიმენტის მიღების უფლება, შეუძლია, მიმართოს სასამართლოს ალიმენტის გადახდევინების სარჩელით, მიუხედავად იმისა, რა დრო გავიდა ალიმენტის მიღების უფლების წარმოშობიდან. შესაბამისად, პირი, რომელიც მიმართავს სასამართლოს ალიმენტის გადახდევინების სარჩელით, ამით ალიმენტის მიღებაზე საკუთარ უფლებას ახორციელებს. ეს უფლება არ წარმოიშობა სასამართლოში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან ან

მის საფუძველზე. სასამართლო მხოლოდ იცავს და ახორციელებს ამ უფლებას. ეს კი ნიშნავს, რომ სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის არსი, ერთი მხრივ, არის ალიმენტის მიღების უფლება, მეორე მხრივ კი, – მათი გადახდის მოვალეობა, წარმოიშვა უფრო ადრე, ვიდრე დაინტერესებულმა პირმა მიმართა სასამართლოს. ამის გამო არ ვეთანხმები აზრს იმის შესახებ, რომ საალიმენტო სამართლებრივი ურთიერთობები წარმოიშობა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

მაგრამ ჩნდება კითხვა – როდის წარმოიშობა საალიმენტო სამართლებრივი ურთიერთობები (საალიმენტო ვალდებულება) მშობლებსა და სრულწლოვან შვილებს შორის? უკვე აღვნიშნეთ, რომ შვილის აღზრდისა და რჩენის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ვალდებულება მშობლების მხრიდან წარმოიშობა ბავშვის დაბადებისთანავე, მაგრამ ეს ჯერ არ არის საალიმენტო სამართლებრივი ურთიერთობები – ისინი ჩნდება იმ დროს, როდესაც მშობლები აღარ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს ბავშვის მატერიალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, აღარ ზრუნავენ მასზე. ამ მომენტიდან ბავშვს უჩნდება უფლება, მოითხოვოს უზრუნველყოფა საარსებო სახსრებით, ანუ ალიმენტის გადახდა. მშობლებს კი უჩნდებათ მოვალეობა, უზრუნველყონ შვილი ასეთი საშუალებებით. ამ დროს მშობლების ვალდებულებები ბავშვის რჩენასთან (ამ ვალდებულების შესრულებასთან) დაკავშირებით გარდაიქმნება საალიმენტო სამართლებრივ ურთიერთობებში და ამ მომენტიდან ბავშვს უჩნდება უფლება, მიიღოს ალიმენტი იმ სახით, როგორც ეს იქნება გათვალისწინებული საალიმენტო შეთანხმებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ალიმენტის გადახდევინების შესახებ.

21. *თანამედროვე პირობებში აქტუალური ხდება საალიმენტო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის კიდევ ერთი საინტერესო მექანიზმი – საალიმენტო შეთანხმების სახით.* ბავშვის ალიმენტის თაობაზე მშობლებს შორის შეთანხმება არის ერთ-ერთი ინსტიტუტი, რომელიც ხელს უწყობს ალიმენტთან დაკავშირებით ბავშვის ინტერესების დაცვას. საოჯახო კანონმდებლობა მხარს უჭერს მშობლისა და ბავშვის ურთიერთობებს, შედეგად კი ალიმენტთან დაკავშირებულ მშობლების შეთანხმებას. მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1213-ე მუხლის შესაბამისად, განსაზღვრულია, რომ „არასრულწლოვანი ან სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილებისათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობას განსაზღვრავენ მშობლები ურთიერთშეთანხმებით“, თუმცა აქ ისმის კითხვა: სამართლებრივად რა შედეგი მოჰყვება ამ შეთანხმებას, თუ მისი არც ფორმა და არც შესრულების მექანიზმი არ იქნა კანონით გათვალისწინებული? მიზანშეწონილია, ეს საკანონმდებლო ხარვეზი გამოსწორდეს და სსკ-ის 1213-ე მუხლს დაემატოს მეორე პუნქტი შემდეგი შინაარსით: „თუ მშობლებს სურთ, საალიმენტო შეთანხმებას მიენიჭოს სააღსრულებო ფურცლის ძალა, მაშინ იგი წერილობით უნდა იყოს შედგენილი და სანოტარო წესით დადასტურებული“. ამასთან, საალიმენტო შეთანხმება არ უნდა მოიცავდეს იმ კანონმდებლობის საწინააღმდეგო პირობებს, რომლის საფუძველზე ალიმენტის გადახდევინება სასამართლოს წესით ხორციელდება. ბავშვის მდგომარეობა, რომელიც ღებულობს ალიმენტს შეთანხმების საფუძველზე, არ შეიძლება იყოს უარესი იმ ბავშვის

პირობებზე, რომელიც ღებულობს ალიმენტს სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ მათი პირობები შედარებით ერთნაირია. კანონმდებლობაში უნდა იყოს მითითებული, რომ საალიმენტო შეთანხმების პირობები ბათილად ითვლება შემდეგ შემთხვევებში: თუ ისინი არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს ალიმენტის სასამართლოს გადაწყვეტილებით გადახდევინების შესახებ; თუ ისინი აუარესებენ ბავშვის საარსებო პირობებს.

ასევე საინტერესოა ამ შეთანხმების შინაარსის განსაზღვრა და მისი ხელშეკრულების შინაარსთან თანაფარდობა. ეს საკითხი აქტუალურად განიხილება იურიდიულ ლიტერატურაში, რასაც, საბოლოოდ, მივყავართ დასკვნამდე, რომ საალიმენტო შეთანხმება, გამომდინარე თვით მისი შინაარსიდან, რომელიც კანონით განისაზღვრება და მონაწილე პირების მიერ ვალდებულების დაფიქსირებასა და გარკვეული პირობების განსაზღვრას მოიცავს, ვერ იქნება ხელშეკრულება, რომლის შინაარსიც მხარეების ნების ავტონომიაზეა დაფუძნებული და ხელშეკრულების დადებამდე მათ შორის არავითარი ვალდებულება არ არსებობს. საალიმენტო შეთანხმების შედგენისას მხარეების მხრიდან არ განისაზღვრება შეთანხმების საგანი – ალიმენტი, რადგან ის უკვე კანონითაა დადგენილი. ამ შემთხვევაში განისაზღვრება ალიმენტის ოდენობა, მათი გადახდის წესი და სხვ. ალიმენტის გადახდევინების შემთხვევაში მშობლისეული რჩენისა და აღზრდის მოვალეობა შვილების მიმართ გამომდინარეობს კანონიდან, ხოლო თვით საალიმენტო ვალდებულება ემყარება სისხლით ნათესაობას – ეკისრებათ თავიანთი შვილების რჩენის მოვალეობა. ეს ვალდებულება იმ განგრძობადი იურიდიული ფაქტიდან (გრძელვადიანი ხდომილებები) მომდინარეობს, რომელსაც სუბიექტის თვისებრივ მდგომარეობას უწოდებენ და რომელიც საოჯახო სამართლის მონაწილე პირებისათვის უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველია (ნათესაობა, ქორწინება, შვილად აყვანა, მეურვეობა, მზრუნველობა). ე.წ. კანონისმიერი სამართლებრივი ურთიერთობები, ჩვეულებრივ, ნიშნავს ისეთ სამართლებრივ კავშირებს, რომელთა მოძრაობას საფუძვლად უშუალოდ კანონი უდევს. ვალდებულებათა წარმოშობის საფუძვლების სისტემაში საალიმენტო მოვალეობა იმ ვალდებულებების კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც უშუალოდ კანონის ძალით წარმოიშობა. თუმცა არსებობს ამ თეორიის საწინააღმდეგო თეზისიც, რომლის მიხედვითაც საალიმენტო მოვალეობა არ არის „კანონისმიერი ვალდებულება“, „ურთიერთმოვალეობები შვილსა და მის მშობლებს შორის სისხლით ნათესაობას ემყარება“.[14] მაგრამ რა არის სისხლით ნათესაობა? –ნათესაობა პირთა სისხლისმიერი კავშირია, რომელიც დაფუძნებულია ერთი პირის მეორისაგან ან სხვადასხვა პირის საერთო წინაპრისაგან წარმოშობაზე. „როგორც იურიდიული ფაქტი – ეს არის შეფარდებითი იურიდიული მოვლენა. შესაბამისად, საალიმენტო ვალდებულების წარმოშობის სპეციალური საფუძველია იურიდიული მოვლენა. აქედან გამომდინარე, განსახილველ ვალდებულებას არა „კანონისმიერი ვალდებულება“, არამედ „ნათესაობი-

[14] *Красавчиков О. А.,* Категории науки гражданского права, Избранные труды, том второй, «Статус», М., 2005, 240.

დან გამომდინარე ვალდებულება“ უნდა ეწოდოს“.[15] სწორედ მშობლებსა და შვილებს შორის არსებული ნათესაობის ხარისხი წარმოშობს მშობლის საალიმენტო ვალდებულებას – არჩინოს თავისი არასრულწლოვანი ან შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილი, ხოლო შემდგომ სრულწლოვანი შვილის ვალდებულებას – შეინახოს მისი შრომისუუნარო მშობელი, რომელიც დახმარებას საჭიროებს. არასრულწლოვანი შვილების მიმართ ეს ვალდებულება წარმოიშობა მაშინ, როცა არსებობს შემდეგი ფაქტობრივი შემადგენლობა: ჯერ ერთი, პირველი ხარისხის ნათესაური კავშირი დაღმავალი ხაზით; მეორე, სრულწლოვანების ასაკს მიუღწეველი ბავშვები; სრულწლოვანი ბავშვების შემთხვევაში, აუცილებელია: ჯერ ერთი, პირველი ხარისხის ნათესაური კავშირი დაღმავალი ხაზით; მეორე, შვილის შრომისუუნარობა და საარსებო წყაროს არარსებობა.

კანონი არ არის კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის დინამიკის უშუალო საფუძველი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. იგი ნებისმიერ სამართლებრივ ურთიერთობაზე მაღლა დგას და სამართლებრივ ურთიერთობათა მოძრაობის საფუძვლად ამა თუ იმ ფაქტს აღიარებს; კანონი სამართლებრივი კავშირების დინამიკის ზოგადი და აუცილებელი წინაპირობაა და არა მათი კერძო საფუძველი, როგორც, მაგალითად, ხელშეკრულება ან დელიქტი; კონკრეტულ შემთხვევაში კი, კანონი აღიარებს მშობლებსა და შვილებს შორის არსებულ ნათესაურ კავშირს, როგორც იურიდიულ ფაქტს, რომლის საფუძველზეც მათ შორის წარმოიშობა საალიმენტო ვალდებულება. მშობლის ვალდებულება, არჩინოს შვილი, ბავშვის დაბადებისთანავე წარმოიშობა, და ეს ვალდებულება არ არის განპირობებული მშობლებსა და შვილს, ან შვილსა და მშობლებს შორის რაიმე შეთანხმების დადების აუცილებლობით. ასეთი შეთანხმებები, როგორც წესი, იდება ალიმენტის გადახდევინების გარანტიისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საალიმენტო ვალდებულებას კანონისმიერი ვალდებულება უნდა ეწოდოს, ვინაიდან მხოლოდ ნათესაობის ფაქტი რაიმე იურიდიულ შედეგს ვერ განაპირობებდა, თუ მას კანონი საალიმენტო ვალდებულების წარმოშობის საფუძვლად არ აღიარებდა.

22. *რადგან საოჯახო სამართლის დავები თავისი ხასიათით პირადულია, ხშირად არის დისკუსია, რამდენად უნდა ჩაერიოს კანონი, პოლიტიკა და მთავრობა ოჯახურ ცხოვრებაში.* ამ შემთხვევაში კიდევ ერთხელ შეიმჩნევა კერძო სამართლისა და საჯარო სამართლის სამართლებრივი სისტემების ინტეგრაცია, ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში (საალიმენტო ვალდებულების შესრულებისას), კერძო ვალდებულებების განხორციელება უფრო ეფექტური ხდება მოთხოვნის უფლების სახელმწიფოზე გადასვლით, როცა ვალდებული პირი არ ასრულებს ამ მოვალეობას.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს, რომ „ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა“, ხოლო მე-8 მუხლის მეორე პუნქტი ადგენს: „დაუშვებელია ამ უფლების განხორ-

---

[15] *Красавчиков О. А.,* Категории науки гражданского права, Избранные труды, том второй, «Статус», М., 2005, 240.

ციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობისა ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად“[16].

საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად არის სახელმწიფო ვალდებული, ჩაერიოს იმ შემთხვევაში, თუ მშობლები არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს შვილებთან მიმართებით? ეჯახება თუ არა ბავშვის საუკეთესო ინტერესები სახელმწიფოს ინტერესებს, თუ ისინი ავტომატურად მიიჩნევა ყველაზე მნიშვნელოვნად? და შესაძლოა თუ არა თითოეული ბავშვისათვის განსაზღვრული „ზრუნვის საბაზისო მინიმალური სტანდარტის მიღწევა?“ ამასთან, ნიშნავს თუ არა სახელმწიფოს ჩარევა გენდერული თანასწორობის დაცვის უზრუნველყოფას, როცა ქალი დამოუკიდებლად ვერ ახორციელებს საალიმენტო ვალდებულების შესრულების საკითხის მოგვარებას?

ლოგიკური იქნებოდა, სახელმწიფოს დახმარება გაეწია ბავშვისათვის მშობლისაგან ალიმენტის მიღების მოთხოვნასთან დაკავშირებით. ეს ხელს შეუწყობდა არა მარტო ბავშვის ინტერესებისა და მისი ფინანსური უზრუნველყოფის საკითხს, არამედ იმ ქალთა უფლებების დაცვასაც, რომლებიც ბავშვის აღზრდის პერიოდში კარგავენ ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შესაძლებლობას და განქორწინების შემდეგ თითქმის მთლიანად ყოფილი მეუღლის კეთილსინდისიერების იმედად რჩებიან, რაც, უმეტეს შემთხვევაში, არ ამართლებს. პრაქტიკულად, ეს ასე არ ხდება და სახელმწიფო მშობლის ნაცვლად არ აღძრავს სარჩელს ყოველი იმ ვალწარმოქმნილი, მოვალე, მშობლის წინააღმდეგ, რომლებიც ვერ ან არ იხდიან თავიანთი შვილების ალიმენტებს. სწორედ ამიტომაც მიზანშეწონილია, საქართველოში შეიქმნას ისეთი ორგანოები (მაგალითად, საალიმენტო ფონდის სახით), რომელიც უზრუნველყოფს ბავშვთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას საალიმენტო ვალდებულებების განხორციელების კუთხით.

23. *საალიმენტო ფონდის შექმნის მთავარი მიზანია, შეამციროს იმ მშობლის მიერ ალიმენტის გადაუხდელობის გამო ბავშვისათვის ზიანის მიყენების შედეგები, რომელთანაც ბავშვი არ ცხოვრობს.* საალიმენტო ფონდის მიზანია, გავლენა მოახდინოს ალიმენტის გადახდაზე ვალდებულ პირებზე, რომლებიც არ იხდიან და ისევ ცდილობენ, თავი აარიდონ თავიანთი შვილებისათვის შეთანხმებული ან განსაზღვრული ალიმენტის გადახდას. საალიმენტო ფონდის დანიშნულებაა, მისი საშუალებით ბავშვები, რომლებიც ყველაზე მეტად ზარალდებიან ალიმენტის გადაუხდელობით, იღებდნენ დახმარებას. სახელმწიფოებში, სადაც ბიუჯეტი საშუალებას იძლევა, დაფინანსდეს უამრავი პროექტი და მოგვარდეს სხვადასხვა პრობლემა, ბავშვების დახმარება უნდა იყოს პრიორიტეტული, ვინაი-

[16] Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, entry into force 3/9/1953, (in Georgia entry into force 20/5/1999), www.conventions.coe.int, [17.05.2015].

დან გარდა იმისა, რომ ეს გათვალისწინებულია გაეროს კონვენციით „ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ“, ასევე იმ თვალსაზრისით, რომ ბავშვები ზარალდებიან სიღარიბის გამო, რაც, თავის მხრივ, ლახავს მათ ადამიანურ უფლებებს. ქვეყნები შესაძლოა აღმოჩნდნენ დილემის წინაშე და გააკეთონ სახელმწიფო ინტერესებსა და ბავშვის საუკეთესო ინტერესებს შორის არაპოპულარული არჩევანი. თუმცა ეს უნდა იქნეს განხილული როგორც უფრო დამატებითი ღონისძიება და მხოლოდ ბავშვის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთებით სახელმწიფო შეძლებს, ეფექტურად აღიაროს ბავშვების მიმართ სრული პასუხისმგებლობა დახმარების ვალდებულებების შესრულებაში. დახმარების გაწევისას ყოველთვის არსებობს სახელმწიფო ინტერესთან დაპირისპირების პრობლემა და ბავშვს ყოველთვის მოუწევს სახელმწიფო ხაზინის მიმართ არსებული სხვა მოთხოვნებისათვის კონკურენციის გაწევა, თუმცა მსოფლიოში, სადაც გამუდმებით აცხადებენ, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები ყველაზე მნიშვნელოვანია, ამგვარი შეხედულება მიუღებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საალიმენტო ფონდი, შესაძლებელია, უმნიშვნელოვანეს დაცვის მექანიზმად მოგვევლინოს ალიმენტის გადახდის უზრუნველსაყოფად, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ბავშვთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესის დაცვას.

<u>ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძველი</u> მეცნიერული შემეცნების ისეთი მეთოდებია, როგორებიცაა: ისტორიული, შედარებითი, დაკვირვების, აბსტრაჰირების, შედარებითსამართლებრივი, დოგმატური, ნორმატიული და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება ნაშრომში ეთმობა თეორიულ და სტრუქტურულ სინთეზს, როგორც მეთოდს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება ანალიზის (სხვადასხვა დონისა – დაწყებული ზედაპირულიდან და დამთავრებული გენეტიკურით) შედეგად მიღებული ნაწილების გაერთიანება ერთ მთელად.

<u>კვლევის თეორიული საფუძველია</u> ქართველი და უცხოელი ავტორების სამეცნიერო ნაშრომები სამოქალაქო სამართლის, საერთაშორისო და აგრეთვე სამართლის ზოგადი თეორიის სფეროში.

<u>დისერტაციის სამეცნიერო სიახლე</u> ისაა, რომ ეს არის ერთ-ერთი პირველი ნაშრომი, რომელშიც წარმოდგენილია საქართველოში მშობლებსა და შვილებს შორის პირადი და ქონებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმების კომპლექსური სამართლებრივი კვლევა; განხილულია მათი შესაბამისობა ადამიანის თანდაყოლილ (ბუნებრივ) უფლებებსა და საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე რეალურად ჩამოყალიბებულ ოჯახურ ურთიერთობებთან; დისერტაციაში განზოგადებულია შესაბამისი კანონმდებლობა, წარმოდგენილია თეორიულად მნიშვნელოვანი წინადადებები. გარდა ამისა, შეთავაზებულია საალიმენტო ვალდებულების უზრუნველყოფის ახალი მექანიზმები და საალიმენტო ფონდის ახალი კონცეფცია, ასევე ჩამოყალიბებულია წინადადებები განსახილველი ურთიერთობების სფეროს მარეგულირებელი მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე.

<u>დისერტაციის სტრუქტურა</u> ნაშრომის მიზნით და ამოცანებითაა განპირობებული და მოიცავს შესავალს, ძირითად ნაწილს, დასკვნას, ბიბლიოგრაფიასა და დანართს.

სადისერტაციო ნაშრომის **პირველი თავი** ეხება თანამედროვე თეორიებს ოჯახის განვითარების შესახებ. განხილულია ოჯახის ცნება ძველი დროიდან თანამედროვე ოჯახის კონცეფციამდე, ასევე ლიტერატურაში დანერგილი, მაგრამ ჯერ საკანონმდებლო პრაქტიკაში არასრულყოფილად ჩამოყალიბებული „საოჯახო ბიზნესის“ ცნება და მისი პრაქტიკაში დანერგვის მექანიზმები, მოცემულია თანამედროვე ოჯახის მთავარი პრინციპი, რომელიც გენდერულ თანასწორობაზეა აგებული.

მეორე თავში განხილულია მშობლებსა და შვილებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობების ზოგადი ბუნება და მათი შინაარსი. მოცემულია როგორც პირადი-არაქონებრივი ასევე ქონებრივი ურთიერთობების ანალიზი და ამ ურთიერთობების თანამედროვე ცხოვრებისადმი მისადაგება საკანონმდებლო ჩარჩოებში.

მესამე თავი ეთმობა მშობლებისა და შვილების პირად ურთიერთობებს, რომელთაგანაც უმნიშვნელოვანესია ბავშვის მიერ ოჯახში საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება, სახელის უფლება, მშობლების მიერ ბავშვის აღზრდის უფლება-მოვალეობანი, შემოთავაზებულია თანამედროვე აღზრდის მეთოდები (ინტენსიური აღზრდა), მშობლების პასუხისმგებლობა აღზრდის მოვალეობის შეუსრულებლობისას, მოცემულია საერთაშორისო პრაქტიკაში დანერგილი ახალი ცნებების ერთობლივი და ერთპიროვნული მეურვეობის ანალიზი და სხვ.

მეოთხე თავი მოცავს მშობლებსა და შვილებს შორის საალიმენტო ვალდებულებას, ამ ვალდებულების არსის შესწავლას და მის თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანას ახალი ცნებების, საალიმენტო ფორმულების, მისი გამოთვლის ახლებური მექანიზმების დამკვიდრების საფუძველზე, ასევე საუბარია სახელმწიფოს მნიშვნელოვან როლზე მშობლების მიერ საალიმენტო მოვალეობის შეუსრულებლობისას.

მეხუთე თავი ეთმობა იმ ახალ ინსტიტუტებს, რომლებიც ინერგება საერთაშორისო პრაქტიკაში და საკმაოდ დიდ მნიშვნელობას იძენს როგორც საალიმენტო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმები. ეს ინსტიტუტებია საალიმენტო შეთანხმება და საალიმენტო ფონდი.

თავი 1. თანამედროვე თეორიები ოჯახის განვითარების შესახებ

§1.1. ოჯახი, როგორც მშობლებსა და შვილებს შორის პირადი არაქონებრივი და ქონებრივი ურთიერთობების წარმოშობის საფუძველი

ოჯახი საზოგადოების ორგანული ნაწილია. იგი არცთუ უხილავი ძაფებით არის დაკავშირებული მთელი საზოგადოების სხეულთან; ოჯახი კაცობრიობის მოდგმის განგრძობის, მოსახლეობის ზრდის საზოგადოებრივი ფორმაა, მაგრამ მხოლოდ ამით არ ამოიწურება მისი მნიშვნელობა – ოჯახი, აგრეთვე, ის პირველადი საზოგადოებრივი უჯრედია, სადაც ყველაზე მეტად ხორციელდება ადამიანის აღზრდა, მისი აზროვნების ფორმირება; ოჯახი მრავალწახნაგოვანი სოციალური მოვლენაა, რომელიც აერთიანებს ბიოლოგიურ და საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და ზნეობრივ, იდეოლოგიურ თუ ფსიქოლოგიურ ურთიერთობებს; თუმცა ოჯახს განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, დღესაც აქტუალური ხდება თანამედროვე ოჯახის მნიშვნელობა და მისი წევრების უფლება--მოვალეობების განსაზღვრა საკანონმდებლო კუთხით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე ცხოვრებას. საერთაშორისო საკანონმდებლო პრაქტიკაში ინერგება ისეთი ცნებები და ინსტიტუტები, როგორებიცაა: „თანამედროვე ოჯახი“, „საოჯახო ბიზნესი“, „ერთპიროვნული და ერთობლივი მეურვეობა“, „საალიმენტო ფორმულები“ და მისი გამოთვლის მექანიზმები, „საალიმენტო შეთანხმება“, „საალიმენტო ფონდი“; ასევე აქტუალობას არ კარგავს გენდერული თანასწორობის დაცვა მშობელთა მიერ შვილების აღზრდის, რჩენისა და მათთან სხვაგვარად ურთიერთობის პროცესში. მამაკაცი აღარ არის ოჯახის რჩენის ერთადერთი წყარო, ვინაიდან ეკონომიკური წინსვლისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ქალთა უმეტესი ნაწილი იწყებს. სწორედ ამ დროს წარმოიშობა მთელი რიგი პრობლემებისა, რომლებიც დაკავშირებულია მშობლის მიერ შვილის აღზრდისა და რჩენის მოვალეობის შესრულების განაწილებასთან მეუღლეთა (ყოფილ მეუღლეთა, მშობელთა) შორის. ეს საკითხები ახლებურად დარეგულირებას მოითხოვს სამართლებრივ დონეზე. ამიტომაც მიზანშეწონილია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება, ახალი ცნებების დამკვიდრება, მათი მნიშვნელობის განსაზღვრა, საერთაშორისო კანონმდებლობის გაანალიზება და შესაბამისი ნორმების მასთან მისადაგება.

ცნებათაგან „ოჯახი“ არის ერთ-ერთი, რომელიც, შეუძლებელი თუ არა, რთულია განსამარტავად: ერთი მნიშვნელობით, ის გულისხმობს ყველა პირს, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან სისხლით ან ქორწინებით, მეორე მხრივ, მასში მოიაზრება ყველა წევრი ოჯახის, მშობლების, შვილებისა და მათი შესაძლო ნათესავების ჩათვლით, ასევე ოჯახში მცხოვრები პირები („lodgers“) და მოსამსახურეებიც კი. მაგრამ ორივე ეს განსაზღვრება, რა თქმა უნდა, შორს დგას „ოჯახის“ ცნების ზოგადი განსაზღვრებისაგან: „ოჯახი არის საბაზისო სოციალური გაერ-

თიანება (basic social unit), იგი შედგება, სულ ცოტა, ორი ადამიანისაგან, რომელთა ნათესაობაც შესაძლოა სხვადასხვა კატეგორიაში მოექცეს“.[17]

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე „ოჯახის“ ცნებამ ძირეული ცვლილებები განიცადა. ძველ რომში ოჯახი – „patria potests“ – განიხილებოდა როგორც მისი უფროსის – „paterfamilias“ – მფლობელობა, რომელსაც ახასიათებდა: ჯერ ერთი, ოჯახის მამის – „sui iuris“ – ძალაუფლება შვილებზე, შვილიშვილებზე, შვილთაშვილებზე, ცოლსა და ოჯახის ყველა წევრზე ერთობლივად – „siu“; და მეორეც, აგნატიკური (იურიდიული) კავშირი, ე.ი. ოჯახის – „familia“ – შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც აგნატები: ცოლი – „in manu mariti“, შვილები – „in patria potestate“, რძლები, ვაჟიშვილები, ვაჟიშვილების შთამომავლობა, ასევე ოჯახის კუთვნილი მონები, საქონელი, ნივთები“.[18]

თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში „ოჯახის“ ცნების საყოველთაოდ აღიარებული დეფინიცია არ მოიპოვება. რა თქმა უნდა, არსებობს ქვეყნები, სადაც ოჯახის სამართლებრივი კონცეფცია წარმოდგენილია სამოქალაქო კოდექსებში, მაგალითად, „პორტუგალიის საოჯახო კანონმდებლობა კანონიერი საოჯახო ურთიერთობების წყაროდ განიხილავს ქორწინებას, დედობას/მამობას, ქორწინებით ნათესაობასა და შვილად აყვანას“,[19] თუმცა ეს არის ოჯახის სამართლებრივ-ტექნიკური კონცეფცია და არა ოჯახის ცნება; სამხრეთ აფრიკის არასრულწლოვანთა შესახებ კანონი შეიცავს „ოჯახის წევრის“ ფართო განმარტებას და შინაარსობრივად მოიცავს: „ოჯახს“, კერძოდ, ბავშვის მშობელს; ნებისმიერ სხვა პირს, ვისაც აქვს დედობრივი თუ მამობრივი პასუხისმგებლობები და უფლებები ბავშვთან დაკავშირებით; ბავშვის ბებია-ბაბუას, ძმას, დას, ბიძას, დეიდას/მამიდას, ბიძაშვილს/დეიდაშვილს; ან ნებისმიერ სხვა პირს, ვისთანაც ბავშვს აკავშირებს მნიშვნელოვანი ურთიერთობა ფსიქოლოგიურ ან ემოციურ დონეზე, და რომელიც ჰგავს ოჯახურ ურთიერთობას.[20] ეს განმარტება შეესაბამება გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის შეხედულებას „ოჯახთან“ მიმართებით. იგი აღიარებს იმ ფაქტს, რომ არსებობს უამრავი ადამიანი, რომელმაც შეიძლება აიღოს პასუხისმგებლობა ბავშვებზე.[21]

---

17 *Lowe N.V.,* Bromley's family law, Ninth Edition, Publishing Ltd.: London, London, Butterwirths, 1998, Chapter 1, 1.

18 Римское частное право, под ред. *Новицкого И.Б., Перетерского И.С.,* «Юрист», М., 1997, 124.

19 *Maria Joao Romao Carriero Vaz Tome*, (Porto, Portugal), Elderly Dependency, Family Caretaking and Law in Portugal, შრომათა კრებულში: Family Finances, *(Verschraegen B. (ed.)),* Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 712.

20 იხ. *Van der Linde A.,* (University of Pretoria, South Africa), The Extent of the State's Duty to Support Family Life through Prevention and Early Intervention Programmes: A Reflection on the Children's Act 38 of 2005, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B. (ed.)),* Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 99, 100.

21 In terms of article 5 of the CRC, states are obliged to respect the responsibilities, rights and duties of parents or, where applicable, the members of the extended family or community as provided for by local custom, legal guardians or other persons legally responsible for the child, to provide, in manner consistent withevorving capacities of the child, appropriate direction and guidance in the exercise by the child of the right recognized in the present Convention. (მონაწილე სახელმწიფოები პატივს მიაგებენ მშობლებისა და შესაბამის შემთხვევებში ადგილობრივი ადათწესების შესატყვისად ფართოდ გაგებული ოჯახის წევრების ან თემის, მეურვეებისა

ოჯახის ცნების ლეგალურ დეფინიციასთან დაკავშირებით ორი საპირისპირო მოსაზრება არსებობს: მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ოჯახის ცნება უნდა განისაზღვროს კანონმდებლობის საფუძველზე. თუმცა, რამდენადაც ოჯახის წევრთა შორის არსებულ, შინაარსობრივად განსხვავებულ, ურთიერთობებს სამართლის სხვადასხვა დარგი არეგულირებს, ამდენად „ოჯახის“ ცნების განსაზღვრება უნდა შემუშავდეს და კანონით გამყარდეს სამართლის თითოეული იმ დარგისათვის, რომელთა სუბიექტებიც ოჯახის წევრები არიან.[22] მაგრამ არსებობს საწინააღმდეგო პოზიციაც, რომლის მიხედვითაც, ოჯახი, როგორც ასეთი, არ არის სამართლის სუბიექტი და სუბიექტებს მისი კონკრეტული წევრები წარმოადგენენ. უფრო მეტიც – ოჯახი არა სამართლებრივი, არამედ სოციოლოგიური მოვლენაა.[23] ოჯახის სოციოლოგიური ცნება შეიძლება განიმარტოს როგორც „ისტორიულად ორგანიზებული მცირე სოციალური ჯგუფი, რომლის წევრები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ცოლქმრული ან ნათესაური ურთიერთობებით, საერთო ყოფა-ცხოვრებით, ერთმანეთის მიმართ მორალური პასუხისმგებლობითა და სოციალური აუცილებლობით, რასაც განაპირობებს მოსახლეობის ფიზიკური და სულიერი აღწარმოების საჭიროება“.[24]

„ოჯახის“ ცნების ზოგადი სოციალური კუთხით განსაზღვრისათვის არაა საჭირო მისი სრული კონკრეტიზაცია, ანდა მისი ფუნქციებისა და ნიშნების ამომწურავი ჩამონათვალის დადგენა; ვფიქრობ, საკმარისია ზოგადი, სტაბილური თვისებებით შემოვიფარგლოთ. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ოჯახი, როგორც სოციალური ინსტიტუტი, შემდეგნაირად შეიძლება განიმარტოს: ოჯახი – ესაა მცირე სოციალური ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც გაერთიანებულნი არიან სისხლისმიერი ნათესაობითი ან მასთან გათანაბრებული კავშირებით, ურთიერთუფლებებითა და ურთიერთმოვალეობებით.

ოჯახის სოციალურ ხასიათზე მითითება სავსებით მართებულია, მაგრამ ეს არ უარყოფს მისი სამართლებრივი განსაზღვრის შესაძლებლობას. სამართლებრივი რეგულირების სფეროში მოქცევის შედეგად ოჯახი სოციალურ-სამართლებრივ მოვლენად იქცევა, რაც საშუალებას გვაძლევს, მის განსაზღვრებაში გავითვალისწინოთ როგორც სოციალური, ასევე სამართლებრივი ნიშნები. მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა, კანონმდებლობაში „ოჯახის“ ცნებას მიეცეს ზუსტი დეფინიცია, რომელსაც საერთოდარგობრივი მნიშვნელობა ექნება. ამ იდეის მომხრეთა თვალსაზრისით, ოჯახი განიმარტება ადამიანთა, როგორც წესი, ნათესავთა, ერთობლიობად (ერთობად, ჯგუფად), რომელსაც საფუძვლად უდევს ქორწინება, ნათესაობა, ერთად ცხოვრება, საერთო მეურნეობის წარმოება, და რომელიც ბუნებრივ გარე-

---

და სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც კანონის მიხედვით პასუხისმგებელნი არიან ბავშვზე, იმაზე, რომ სათანადოდ ხელმძღვანელობდნენ ბავშვს წინამდებარე კონვენციით აღიარებულ უფლებათა განხორციელებაში და აკეთებდნენ ამას ბავშვის უნართა განვითარების გათვალისწინებით.)

22 იხ. *Муратова С. А.*, Семейное право, 2-е издание, «Эксмо», М., 2005, 37.

23 იხ. Комментарий к Семейному кодексу Российской Федерации, «БЕК», М., 1996, 10.

24 *Харчев А.Г.,* Социология воспитания, «Юрист», М., 1990, 121.

მოს ქმნის მისი წევრების კეთილდღეობის, ბავშვების აღზრდის, ურთიერთდახმარებისა და გვარის გაგრძელების მიზნით.[25] „საოჯახო სამართლის თვალსაზრისით, ოჯახს თავისი განმასხვავებელი მახასიათებლები აქვს. ეს, როგორც წესი, საოჯახო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოვალეობებით დაკავშირებულ თანამცხოვრებ პირთა ერთობაა“.[26] იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს ოჯახის ცნების უფრო ფართო განმარტებაც: „კავშირი პირებისა, რომელთაც ერთმანეთთან აკავშირებს პირადი და ქონებრივი უფლება-მოვალეობანი, მატერიალური ერთობა და მხარდაჭერა, ბავშვების დაბადება და აღზრდა, საერთო მეურნეობის წარმოება“.[27] „ოჯახის“ ცნების ორივე მნიშვნელობაზე მიუთითებენ სხვა მეცნიერები: „სოციოლოგიურ კონტექსტში – ეს არის პირთა კავშირი, რომელსაც საფუძვლად უდევს ქორწინება, ნათესაობა, ბავშვის აღსაზრდელად საკუთარ ოჯახში მიღება, და რომელიც ხასიათდება ცხოვრებისა და ინტერესების ერთობით, ურთიერთზრუნვით, ხოლო იურიდიული თვალსაზრისით, – „იმ პირთა წრე, რომელთაც ერთმანეთთან აკავშირებს უფლება-მოვალეობანი, რაც გამომდინარეობს ქორწინების, ნათესაობის, ბავშვის გაშვილების ან სხვა ფორმით აღსაზრდელად ოჯახში განთავსების ფაქტიდან, და ხელს უწყობს ოჯახური ურთიერთობების გამყარებასა და განვითარებას“.[28]

1. „ოჯახის“ ცნებასთან დაკავშირებით არსებული შეხედულებების სხვადასხვაობის მიუხედავად, ავტორთა პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა იმაში, რომ ოჯახი არის თავისებური საზოგადოებრივი ორგანიზმი, ჩამოყალიბებული ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ განსაზღვრებებში თვალსაჩინოა ორი განსხვავებული, კერძოდ, სოციოლოგიური და იურიდიული, მიდგომის შერევა და, ფაქტობრივად, მათი დაყვანა ერთ – იურიდიულ – მიდგომამდე, იმის გამო, რომ ოჯახის შექმნას საფუძვლად დაედო ოფიციალური ცოლქმრული ურთიერთობები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, კანონმდებლობაში „ოჯახის“ ცნება შეიძლება შემდეგნაირად განიმარტოს: ოჯახი არის ერთობა პირებისა, რომელთაც ერთმანეთთან აკავშირებთ პირადი და ქონებრივი უფლება-მოვალეობანი, რასაც საფუძვლად უდევს ქორწინება, ბავშვების დაბადება და აღზრდა, ნათესაობა, ბავშვის აღსაზრდელად ოჯახში მიღება, ერთად ცხოვრება, საერთო მეურნეობის წარმოება, მორალური და მატერიალური მხარდაჭერა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ „საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობები ოჯახის შექმნით იწყება, მაგრამ არ მთავრდება განქორწინებით“.[29] რაც შეეხება თანამედროვე ოჯახს, „ის მნიშვნელოვნად განსხვავდება ტრადიციული, საუკუნეებით ჩამოყალიბებული, დედისა და მამის ქორწინებაზე დამოკიდებული, მშობელთა ავტორიტეტულ ძალაუფლებასა და მრავალ-

---

25 იხ. Комментарий к Семейному кодексу РФ/Под ред. *Крашенинникова П.В., Седугина П.И.,* «Юрист», М., 1997, 21.

26 *Нечаева А.М.,* Семейное право, Курс лекций, «Юрист», М., 1998, 8.

27 *Матвеев Г.К.,* Советское семейное право, «Юрид. лит.», М., 1985, 46-48.

28 Комментарий к Семейному кодексу РФ/Под ред. *Рясенцева В.А.*, «Юрид. лит.», М., 1982, 42-43.

29 *Апень А.Л., Бабаянская Н.С.,* Расторжение брака, «Питер», СПб., 2004, 4.

შვილიანობაზე დაფუძნებული ოჯახისაგან“.[30] მეცნიერთა აზრით, „თანამედროვე ოჯახის მისწრაფება ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით არის მისი უნარის გაღვივება საზოგადოებაში ადაპტაციისათვის, სადაც ის იქნება წარმატებული, მატერიალურად უზრუნველყოფილი საქმიანი პარტნიორი, ხოლო ცხოვრების მთავარი მიზანი გამდიდრებაა“.[31] ეს თეზისები განსაკუთრებით შეინიშნება თანამედროვე ლიტერატურაში წარმატებული ოჯახის დამახასიათებელი ნიშნების განსაზღვრებისას, რომელსაც ასე განმარტავენ: „ეკონომიკურად უზრუნველყოფილი, სოციალურად აქტიური ოჯახი, რომელიც შედგება ცოლქმრული კავშირისა და ორი ან მეტი შვილისაგან, ან, რომელიც ორიენტირებულია ორი ან მეტი შვილის გაჩენაზე“.[32] თუმცა წარმატებული ოჯახის ეს განსაზღვრება ვერ იქნება მთავარი კრიტერიუმი თანამედროვე ოჯახის მნიშვნელობისა, ვინაიდან მხოლოდ მატერიალური მდგომარეობა და პროფესიონალური შესაძლებლობების წარმატებული გამოვლენა ადგილს არ უტოვებს ზნეობრივ ფასეულობებს, რის შედეგადაც ოჯახში თავის პრიორიტეტულობას კარგავს აღზრდა, რაც თანამედროვე ოჯახის შემადგენელი ელემენტია. სწორედ ამიტომ თანამედროვე კონცეფცია ოჯახის შესახებ ერთ-ერთ მთავარ პრინციპად უნდა ითვალისწინებდეს ოჯახში ბავშვთა უფლებების უპირატესობას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს თანამედროვე ოჯახის ცნება შემდეგი ფორმულირებით: თანამედროვე ოჯახი არის ოჯახი, რომელიც დაფუძნებულია გენდერულ თანასწორობაზე, ოჯახის წევრთა დამოუკიდებელ არჩევანზე, ბავშვის უფლებათა პრიორიტეტულობაზე, ჰარმონიასა და თვითრეგულირებაზე.

ოჯახის წევრის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბადების მომენტიდან, რის შედეგადაც მას შეუძლია, საკუთრების უფლებით ფლობდეს ქონებას, მაგალითად, მიიღოს და განკარგოს მემკვიდრეობა, განახორციელოს გარიგება, ჰქონდეს სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი, აგრეთვე სარგებლობდეს სხვა სამოქალაქო და საოჯახო უფლებებით (ქორწინება და განქორწინება, შვილად აყვანის უფლება, მამობის დადგენის უფლება და სხვ.). ამ საკითხთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „პირთა საოჯახო სამართლებრივი უფლებაუნარიანობა („საოჯახო უფლებაუნარიანობა“) – ესაა უნარი, იქონიონ საოჯახო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა უფლება და მოვალეობა“.[33]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ განსაზღვრავს საოჯახო უფლებაუნარიანობის სპეციალურ ცნებასა და შინაარსს, თუმცა საოჯახო უფლებაუნარიანობის შინაარსის პირდაპირი საკანონმდებლო განსაზღვრის არარსებობა ჯერ კიდევ არ ადასტურებს იმას, რომ კანონმდებლობა საერთოდ არ ახორციელებს საოჯახო უფლებაუნარიანობის რეგლამენტირებას: უპირველეს ყოვლისა, კანონმდებლობის ზოგადი დებულებები საკმარისად მკაფიოდ ადგენენ საოჯახო უფლებაუნარიანობის

---

30 *Нечаева А. М.,* XXI век и наши дети, Государство и право, 2014, N 6, 56.

31 *Нечаева А. М.,* Семейное право и педагогика, Государство и право, 2014, N 5, 60.

32 იქვე, 61.

33 *Веберс Я. Р.,* Правосубъектность граждан в советском и семейном праве, «Зинатне», Рига, 1976, 86.

შინაარსის მახასიათებელ პრინციპებს; მეორე რიგში, საოჯახო სამართლის ცალკეული ინსტიტუტების შემადგენელ ნორმებში ასევე საკმარისად მკაფიოდ არის განსაზღვრული, ვის შეიძლება ჰქონდეს ეს კონკრეტული უფლებები და მოვალეობები. უფლებაუნარიანობის ცნება საოჯახო სამართალში შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „პირებს შეუძლიათ, კანონის შესაბამისად შეასრულონ საოჯახო სამართლებრივი აქტები და ჰქონდეთ კანონმდებლობით გათვალისწინებული ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და მოვალეობები“.

საოჯახო კანონმდებლობის შესაბამისად, ყველა პირს აქვს თანაბარი უფლებაუნარიანობა. თანასწორუფლებიანობის საკითხი შეეხება არა კონკრეტული უფლებებისა და მოვალეობების ფლობას (ვინაიდან მათი შინაარსი სხვადასხვა პირისათვის არ არის გაიგივებული), არამედ თანაბარ უნარს, ჰქონდეთ მითითებული უფლება-მოვალეობები.

განსხვავებით სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებისაგან, რომელთა სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რადგან ის არის საზოგადოების წევრი, საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებში შეიძლება მონაწილეობდნენ სუბიექტები მხოლოდ როგორც ოჯახის წევრები. ოჯახური ურთიერთობების მრავალფეროვნება და არაერთგვაროვნება აისახება პირთა სამართალსუბიექტურობის სამართლებრივ რეგლამენტირებაზე საოჯახო სამართალში.

საოჯახო კანონმდებლობაში დაწვრილებით და მკაფიოდ არის განსაზღვრული გარემოებები, რომლებსაც ენიჭებათ იურიდიული მნიშვნელობა პირთა სამართალსუბიექტურობის ფორმირებისას საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობების თითოეულ კონკრეტულ სახესთან მიმართებით. მხოლოდ ის, ვინც უპასუხებს კანონით წაყენებულ მოთხოვნებს, შეიძლება იყოს განსაზღვრული საოჯახო უფლებების სუბიექტი, ე.ი. ჰქონდეს ეს უფლებები, მაგალითად: ქორწინების, ბავშვის აყვანის უფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ არა ოჯახი, არამედ ოჯახის წევრი არის სამართლის სუბიექტი და კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე (უფლებაუნარიანობის მატარებელი); რაც შეეხება ოჯახსა და მის უფლებაუნარიანობას, უნდა ითქვას, რომ იგი არ ექვემდებარება რეგისტრაციას იურიდიული პირის ან სხვა სამართლის ობიექტის სახით, მას არ შეუძლია, დადოს რაიმე სახის გარიგება, შეთანხმება ან ხელშეკრულება, – ეს მისი ცალკეული წევრების პრეროგატივაა. სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში ფიზიკური ან იურიდიული პირი (იურიდიულად გაფორმებისთანავე) სუბიექტის სტატუსს იძენს ყველა უფლებითა და მოვალეობით. ამგვარ გაერთიანებაში ყველა მონაწილე მატერიალურად პასუხისმგებელია წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე, თანაც კანონის საფუძველზე და მისი მონაწილეობის ან ბრალეულობის ფარგლებში. ეს არ ვრცელდება ოჯახზე, მიუხედავად იმისა, რომ ცოლქმრული წყვილი ყველაზე ახლოსაა იურიდიულ სტრუქტურასთან, ვინაიდან ისინი გაერთიანებულნი არიან ცოლქმრული კავშირით კანონის შესაბამისად დადგენილი უფლება-მოვალეობების ფარგლებში. ამასვე ადასტურებს სხვადასხვა ქვეყნის (მაგალითად, პორტუგალიის) კანონმდებლობა, სადაც მითითებულია, რომ ოჯახი შედგება ფიზიკური პირების ჯგუფისგან, მაგრამ ის თვითონ არ არის იურიდიული პირი.

გამომდინარე აქედან, ფიზიკურ პირთა ინტერესები, მათი ავტონომიისა და დამოუკიდებლობის გათვალისწინებით, გამიჯნულია ოჯახის ინტერესისა და/ან სარგებლისაგან. ეს არ ნიშნავს, რომ ზოგ შემთხვევაში კანონი არ აღიარებს ჯგუფის წევრთა, როგორც ოჯახის ინტერესების მატარებელთა, ინდივიდუალურ ინტერესებს. იგივე პორტუგალიის კანონმდებლობის მიხედვით: „ნორმატიული თანამედროვე ქორწინება არის პრინციპების გაზიარებაზე დაფუძნებული ეკონომიკური პარტნიორობა“.[34]

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ოჯახი სუბიექტური კატეგორიაა, მაგრამ, ამავე დროს, ოჯახი არ არის სამართლის სუბიექტი, და ამიტომაც, როგორც წესი, არ მონაწილეობს სამართლებრივ ურთიერთობებში. მიმაჩნია, რომ ოჯახი არის მაინტეგრირებელი სუბიექტური წარმონაქმნი, მაგრამ, ვიდრე არ იქნება დადგენილი მისი სამართლებრივი სტატუსი და კანონმდებლობის საფუძველზე არ განისაზღვრება ოჯახური სამართალსუბიექტურობის ცნება, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლის სუბიექტად.

§1.2. „საოჯახო ბიზნესი“ და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ფორმები

ოჯახი, როგორც სამართლის სუბიექტი, უკვე გვხვდება თანამედროვე ქვეყნებში, ამასთან დაკავშირებით კი, ლიტერატურაში სხვადასხვა ავტორი ახალი ცნების – „საოჯახო ბიზნესის“ – დამკვიდრებას იწყებს, რაც დღის წესრიგში აყენებს ამ სამართლებრივი ფორმის მარეგულირებელი ნორმების შექმნის აუცილებლობას. საქართველოშიც არსებობს გარკვეული იურიდიულ-ეკონომიკური საქმიანობის მაგალითები, რომლებიც საოჯახო ბიზნესის საფუძველზე ხორციელდება, თუმცა მას, როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, კანონმდებლობა ჯერ კიდევ არ იცნობს. თვით ამ ბიზნესიდან აღმოცენდება მშობლებსა და შვილებს შორის ისეთი სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც სრულიად ახალია და უაღრესად საინტერესო მემკვიდრეობის კუთხით, რაც გულისხმობს იმას, რომ, თუ ვინ გაუძღვება მომავალში საოჯახო ბიზნესს და დასახელდება ამ ქონებრივი აქტივის მემკვიდრედ, დამოკიდებულია სწორედ მშობლებსა და შვილებს შორის არსებულ პირად და ქონებრივ ურთიერთობებზე.

ესპანურ სამართლებრივ მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ოჯახური ბიზნესი შეიძლება შეიქმნას ნებისმიერი ისეთი კომპანიის ან კორპორაციული სტრუქტურის ფარგლებში, რომელიც კი არსებობს სამართლის შესაბამისად: ისინი შეიძლება იყვნენ ინდივიდუალური კომპანიები, ან მიიღონ კორპორაციული ფორმა, რაც საშუალებას მისცემს კორპორაციის დამფუძნებლებს, ისარგებლონ შეზღუდული პასუხისმგებ-

[34] *Maria Joao Romao Carriero Vaz Tome*, (Porto, Portugal), Elderly Dependency, Family Caretaking and Law in Portugal, შრომათა კრებულში: Family Finances, *(Verschraegen B. (ed.)),* Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 712.

ლობით“.[35] ბიზნესის შექმნისას მისი განვითარების, მართვისა და წარმატებისათვის საოჯახო ბიზნესის ოპტიმალური სტრუქტურისა და იურიდიული ფორმის შერჩევა მნიშვნელოვანია როგორც სამართლებრივი, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით.

საოჯახო ბიზნესი შეადგენს ყველა ბიზნესსაწარმოს 80–90 პროცენტს ჩრდილოეთ ამერიკაში; 50 პროცენტს ესპანეთში და 80 პროცენტს გერმანიაში.[36] საოჯახო ბიზნესის, როგორც ბიზნესის განსაკუთრებული სახეობის, შესწავლა სხვადასხვა ქვეყანაში (ესპანეთი, საფრანგეთი) დაიწყო გასული საუკუნის 60–70-იან წლებში, მაგრამ ჯერ მაინც არ არსებობს მისი ერთგვაროვანი განმარტება. არის შემთხვევები, როცა საოჯახო ბიზნესის კონცეფცია ნაწილობრივ ემთხვევა მცირე ან საშუალო საწარმოების განმარტებას ან მახასიათებლებს, თუმცა ყველა საოჯახო ბიზნესი არ არის მცირე და საშუალო ბიზნესი, და ყველა მცირე და საშუალო ბიზნესი სულაც არ არის საოჯახო ბიზნესი. საოჯახო ბიზნესები, მოცულობის თვალსაზრისით, განსხვავებულია, მისი სტრუქტურაც მრავალფეროვანია – დაწყებული ამხანაგობიდან და შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიებით ან კორპორაციებით დამთავრებული.

საოჯახო ბიზნესის მახასიათებლების მრავალფეროვნება ართულებს მის განმარტებასა თუ აღწერას და, შესაბამისად, ამ საკითხის გარშემო ერთიანი კონცეფციის შემუშავებას. თუმცა ლიტერატურაში ყურადღება გამახვილებულია რამდენიმე მახასიათებელზე, რომლებიც შესაძლოა, საერთო იყოს ამ ბიზნესისათვის: „საოჯახო ბიზნესის ფლობა, როგორც წესი, კონცენტრირებულია იმ პირების გარშემო, რომლებიც ერთმანეთთან ოჯახურ-ნათესაობით ურთიერთობაში არიან“.[37] ეს მაინცადამაინც არ ნიშნავს, რომ საოჯახო ბიზნესს სრულად ან მარტო ფლობენ ოჯახის წევრები – მას შესაძლოა, სხვა აქციონერებიც ჰყავდეს, მაგრამ ამ ბიზნესს, ჩვეულებრივ, ფლობენ (ან წილის უმრავლესობას ფლობენ) ერთი კონკრეტული ოჯახის წევრები; საოჯახო ბიზნესის მართვას, როგორც წესი, ახორციელებენ ოჯახის ის წევრები, რომლებიც ფლობენ კომპანიის აქციების უმრავლესობას; და ბოლოს, საოჯახო ბიზნესს აქვს გრძელვადიანი განზრახვა, წარმოდგენილი იყოს ბაზარზე, თუ შესაძლებელია, დამფუძნებელი ოჯახის მეშვეობით.[38] გერმანიის საკანონმდებლო სისტემაში შემოთავაზებულია საოჯახო ბიზნესის განმარტების მთავარი კრიტერიუმები, რაც მოიცავს:

---

35 *Artigot-Golobardes M., Alascio-Carrasco L.,* (Universitat Pompeu Fabra, Barcelona, Spain), Family business: The Need for a General Framework, შრომათა კრებულში: Family Finances, *(Verschraegen B. (ed.)),* Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 764.

36 იხ. *Crause R.,* (Freie Universitat Berlin, Germany), The Planning in International Family Business Recent Developments in Germany, შრომათა კრებულში: Family Finances, *(Verschraegen B. (ed.)),* Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 779.

37 *Artigot-Golobardes M., Alascio-Carrasco L.,* (Universitat Pompeu Fabra, Barcelona, Spain), Family business: The Need for a General Framework, შრომათა კრებულში: Family Finances, *(Verschraegen B. (ed.)),* Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 762.

38 იხ. *Perez-Fadon Martinez J. J.,* La empresa familiar: fiscalidad, organizacion protocolo familiar, CISS, Bilbao, 2005, 18, მითითებულია: *Artigot-Golobardes M., Alascio-Carrasco L.,* (Universitat Pompeu Fabra, Barcelona, Spain), Family business: The Need for a General Framework, Family Finances, *(Verschraegen B. (ed.)),* Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 763.

ა) ოჯახის ძლიერ კავშირს ბიზნესთან მფლობელის მეშვეობით, ოჯახის მფლობელობაში არსებული კაპიტალის მეშვეობით, ან მართვას ოჯახის წევრების მეშვეობით;

ბ) ოჯახის ძლიერ გავლენას კომპანიის სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე;

გ) თაობათა სურვილს – იქონიონ ბიზნესი, როგორც აქტივი, მფლობელთა ვიწრო წრეში (ოჯახში) და უხელმძღვანელონ ბიზნესის განვითარებას, მათ შორის მემკვიდრის დასახელებას.[39]

ცნება „საოჯახო ბიზნესი“, ჩვეულებრივ, ასოცირდება მცირე კომპანიასთან – მფლობელისა და მისი მეუღლის შემადგენლობით, რომლებიც მართავენ ბიზნესს. თუმცა 21-ე საუკუნეში რეალობა სულ სხვაა. გერმანიის ფირმათა ტოპასეულიდან 39 ოჯახურ მფლობელობაშია, მათ შორისაა: Porsche, BMW, Aldi, Langenscheidt, Quelle, INA (Schaeffler), Haniel, Beisheim, Bosch, Bertelsmann.[40]

საოჯახო ბიზნესის მფლობელებს, როგორც წესი, არ აქვთ ბიზნესის რეგისტრირების მოკლევადიანი მიზნები, გაყიდონ ბიზნესი მოგების მისაღებად, ან მიიღონ მაღალი მოკლევადიანი უკუგება ინვესტიციიდან. უმეტეს შემთხვევაში, საოჯახო ბიზნესების მესაკუთრეთა მიზანია, დარჩნენ ბაზარზე, მოიცვან თავიანთ დარგში ბაზრის წილი და გააგრძელონ საქმიანობა ოჯახის წევრების კონტროლით.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლები აღიარებენ „საოჯახო ბიზნესის“ მნიშვნელობას,[41] საერთაშორისო დონეზე ჯერ მხოლოდ მცირე რაოდენობის ინიციატივებია ამ მიმართულებით.[42] დღემდე საკანონმდებლო სისტემები არ მოიცავს კონკრეტულ ნორმებს, რომლებიც, გარდა იმ ღონისძიებებისა, რომლებიც ამცირებს და ამარტივებს საოჯახო ბიზნესთან დაკავშირებულ ბიუროკრატიას, თითქმის არ ეხმარება საოჯახო ბიზნესს მის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევაში. სწორედ ამიტომ ამ საქმის პროფესიონალებმა საერთაშორისო დონეზე შექმნეს კერძოსამართლებრივი ინსტრუმენტები ასეთი სიცარიელის შესავსებად. ამ ინსტრუმენტებს ეწოდება „საოჯახო პროტოკოლი“ და, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჯერჯერობით, ზოგადად, არ გამოიყენება, მათი აღიარება მნიშვნელოვნად იზრდება (მაგალითად, ესპანეთის საოჯახო ბიზნესის თითქმის 25% სარგებლობს საოჯახო პროტოკოლით).

საოჯახო პროტოკოლი, მეცნიერთა ნაწილის აზრით, „არის შეთანხმება ოჯახის წევრებს შორის, რაც გამოიყენება მათ ქცევასა და თვი-

---

39 იხ. *Krause R.,* (Freie Universitat Berlin, Germany), The Planning in International Family Business Recent Developments in Germany, შრომათა კრებულში: Family Finances, *(Verschraegen B. (ed.)),* Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 778.

40 გერმანიის საოჯახო ბიზნესის ზემოთ აღნიშნული ჩამონათვალი იხ.: <http://www.familienunternehmen.de/top500/> [31.01.2014].

41 იხ. *Pujol R. B.,* El protocol familiar com a instrument apte per pactar la compansacio economica per rao de treball de l'article 41 del Codi de Familiar, Revista Juridica de Catalunya, 2006 (3), 712, მითითებულია: *Artigot-Golobardes M., Alascio-Carrasco L.,* (Universitat Pompeu Fabra, Barcelona, Spain), Family business: The Need for a General Framework, Family Finances, *(Verschraegen B. (ed.)),* Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 771.

42 European Commission Recommendation 94/1069/EC, of 7 Decembers 1994, <http:eur-lex.europa.eu/:exUriServ/LexUriServ.do?uri> [15.09.2013].

თონ ბიზნესთან მათ დამოკიდებულებას შორის კოორდინაციისათვის“.[43] მას ასევე განმარტავენ როგორც „წესების კრებულს, რომელსაც უნდა მიმართონ დამფუძნებელმა და ბიზნესის მფლობელმა, ოჯახის ყველა სხვა წევრმა, და რომელიც ითვალისწინებს მომავალში ბიზნესში ახალი წევრების შეყვანის წესებს“.[44] ავტორთა ერთი ნაწილის აზრით, საოჯახო პროტოკოლი არის სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ არ ატარებს იურიდიულად სავალდებულო ხასიათს, უზრუნველყოფს საიმედოობასა და ერთმანეთის მიმართ ნდობას მასში შემავალი მხარეებისათვის, თუმცა პროტოკოლის არსებობა არ იძლევა კოორდინაციის გარანტიას, თუკი არ იქნება იმავდროულად ოჯახის ყველა წევრის სურვილი, შესრულდეს მისი დებულებების ყოველი მოთხოვნა. ამის გამო პროტოკოლი მიჩნეულია „დაპირებების შეჯიბრად“.[45] არსებობს სხვა მეცნიერთა პოზიციაც, რომლებიც პროტოკოლს განიხილავენ როგორც მხოლოდ მართვის ინსტრუმენტს, რადგან ის წარმოშობს სამეწარმეო ოჯახისადმი მიკუთვნების იდეას, რითაც ასრულებს პოტენციური პრობლემების შეფასებისა და მათი გადაჭრის გზების სახელმძღვანელოს ფუნქციას,[46] თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით, ვფიქრობ, საოჯახო პროტოკოლი არასასარჩელო ძალის მქონე ინსტრუმენტადაც შეიძლება მივიჩნიოთ, თავისი მოქნილი შინაარსით, რომელიც დამოკიდებული იქნება თითოეული ოჯახისა და ბიზნესის მოთხოვნებზე. ამიტომ მისი ეფექტურობა დამოკიდებულია პროტოკოლის ყველა მხარის ვალდებულებაზე, შეასრულონ ყოველი მისი მოთხოვნა.

საოჯახო პროტოკოლის ფორმა და ხასიათი სხვადასხვა ბიზნესისა და ოჯახების მიხედვით განსხვავებულია: ყოველი ოჯახი ცდილობს, ის მოარგოს საკუთარ მოთხოვნებს. საოჯახო პროტოკოლის მომზადებისას ოჯახის წევრები იკრიბებიან და განსაზღვრავენ ბიზნესის მიმართულებას და ურთიერთობის ფორმას ოჯახსა და ბიზნესს შორის. პროტოკოლის არსებითი შინაარსი შეიძლება გაიყოს სამ კატეგორიად: საოჯახო სამართალთან დაკავშირებული დებულებები, მემკვიდრეობის სამართლის ნორმები და სამეწარმეო სამართლის დებულებები. პროტოკოლების უმრავლესობა იწყება ოჯახის ისტორიითა და ღირებულებებით და იმ საქმიანობით, რომელიც განსაზღვრავს ბიზნესის მიზნებს. პირადი და ოჯახთან

---

43 *Alcalde J. J. R., Zapatero M. R.,* El protocolo familiar: un juego de promesas, La Notaria, 2006, num 33, 13, მითითებულია: *Artigot-Golobardes M., Alascio-Carrasco L.,* (Universitat Pompeu Fabra, Barcelona, Spain), Family business: The Need for a General Framework, Family Finances, *(Verschraegen B. (ed.)),* Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 771.

44 *Artigot-Golobardes M., Alascio-Carrasco L.,* (Universitat Pompeu Fabra, Barcelona, Spain), Family business: The Need for a General Framework, შრომათა კრებულში: Family Finances, *(Verschraegen B. (ed.)),* Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 773.

45 *Alcalde J. J. R., Zapatero M. R.,* El protocolo familiar: un juego de promesas, La Notaria, 2006, num 33, 13, მითითებულია: *Artigot-Golobardes M., Alascio-Carrasco L.,* (Universitat Pompeu Fabra, Barcelona, Spain), Family business: The Need for a General Framework, Family Finances, *(Verschraegen B. (ed.)),* Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 773.

46 იხ. *Tressguerres Garcia A. F.,* Protocolo familiar: un intsrumento para la autorregulacion de sociedad familiar, *Revista de Derecho de Sociedades*, vol. 2, num. 19, 2002, 90, მითითებულია: *Artigot-Golobardes M., Alascio-Carrasco L.,* (Universitat Pompeu Fabra, Barcelona, Spain), Family business: The Need for a General Framework, Family Finances, *(Verschraegen B. (ed.)),* Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 774.

დაკავშირებული დებულებები, ძირითადად, მოიცავს საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის ნორმებს და გამოიყენება იმის საგარანტიოდ, რომ აქციები დარჩეს ოჯახის ფარგლებში. საოჯახო სამართლის ნორმებთან დაკავშირებით, პროტოკოლები, ზოგადად, მოიცავს ქორწინების საფუძველზე არსებული ბიზნესის მფლობელების ვალდებულებას, გააფორმონ საქორწინო ხელშეკრულება იმისათვის, რომ შეიქმნას ცალკე ქონებრივი რეჟიმი, ან შეიცვალოს საერთო საკუთრების რეჟიმი, რათა არ მოხდეს ბიზნესაქციების გაყოფას დაქვემდებარებულ საერთო საკუთრებად გადაქცევა. თუ მეუღლე არ არის ბიზნესის მფლობელი და პროტოკოლის ხელმომწერი მხარე, არ არის ვალდებული, შეასრულოს მისი (პროტოკოლის) მოთხოვნები. ასეთ შემთხვევაში წარმოიქმნება პრობლემა, თუ რამდენად შეიძლება, ბიზნესის მფლობელი პასუხისმგებელი იყოს პროტოკოლის დებულებების დარღვევაზე, იმ შემთხვევებში, როცა მის მეუღლეს არ სურს, გააფორმოს საქორწინო კონტრაქტი. რაც შეეხება მემკვიდრეობითი სამართლის ნორმებს, სხვადასხვა ქვეყნის (მაგალითად, ესპანეთი) საოჯახო პროტოკოლები ხშირად მოიცავს წესებს, რომელთა მიხედვით, ბიზნესის დამფუძნებელი პირობას იძლევა, თავისი ერთ-ერთი შვილი გამოაცხადოს მემკვიდრედ, რათა მან გააგრძელოს მშობლის ბიზნესი; თუმცა ბევრ კანონმდებლობაში (მაგალითად: ესპანეთი, საფრანგეთი) ასეთი ტიპის ნორმები განუხორციელებელია, რადგან არსებობს მემკვიდრეობის სამართლის პრინციპები, რომლებიც გულისხმობს მამკვიდრებლის თავისუფლებას მისი სიცოცხლის ბოლომდე; ასევე ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობები (გერმანია, ესპანეთი) საერთოდ არ უშვებენ სამემკვიდრეო კონტრაქტებს, რომლებშიც მამკვიდრებელი თანახმაა, დანიშნოს მემკვიდრე გარდაცვალებამდე; მესამე ტიპის დებულებებით, რომლებიც, ჩვეულებრივ, შეტანილია პროტოკოლში, არის სამეწარმეო სამართლის კატეგორიისა და დაკავშირებულია, მაგალითად, ბიზნესის მართვასთან, შეიძლება მოითხოვნილ იქნეს ისეთი მმართველი ორგანოს შექმნა, როგორიცაა საოჯახო საბჭო. საოჯახო საბჭო შეიძლება შედგებოდეს ოჯახის წევრებისაგან, თუმცა სავალდებულო არ არის, ისინი ბიზნესის მფლობელები იყვნენ.

საოჯახო პროტოკოლები სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება მსოფლიოს თანამედროვე ქვეყნებში (მაგალითად, ესპანეთში) და მისი მიზანია ოჯახსა და ბიზნესს შორის ურთიერთობის მოგვარება. თუმცა პროტოკოლის განმარტებისათვის საჭირო იურიდიული მოსაზრებების ნაკლებობა, მათი ხანმოკლე ისტორიიდან გამომდინარე, ამ იურიდიული დოკუმენტის ეფექტურობასა და განხორციელებადობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. მსგავსმა ორგანიზაციულ-სამართლებრივმა ფორმამ რომ იარსებოს და განვითარდეს, საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო სისტემის შექმნა და მომავალში მისი დახვეწა. საოჯახო პროტოკოლი უნდა დაეხმაროს ოჯახის წევრებსა და ბიზნესმენეჯერებს, მიიღონ ბიზნესგადაწყვეტილებები საკანონმდებლო რეგულაციების საფუძველზე და, შესაბამისად, დაცულად იგრძნონ თავი ყოველგვარი გაუგებრობისაგან. ოჯახის წევრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში წარმოშობილი ჩიხური მდგომარეობა სერიოზულ საფრთხეს უქმნის მართვას და შეიძლება გამოიწვიოს ბიზნესის სრული განადგურება, ბაზარზე პოზიციების შემდგომი

დაკარგვა, ამიტომაც მენეჯერებსა და იმ აქციების მფლობელებს შორის ბალანსი, რომლებიც, იმავდროულად, ოჯახის წევრებიც არიან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საოჯახო ბიზნესის შემთხვევაში.

საოჯახო ბიზნესის თვალსაზრისით, ოჯახურ ურთიერთობებში (მაგალითად: განქორწინების, მემკვიდრეთა უთანხმოების შემთხვევაში) საინტერესოა საკითხი – რამდენად ახდენს ზეგავლენას მშობლებისა და შვილების სამართლებრივი ურთიერთობები შემდგომში ამ ბიზნესის მემკვიდრედ დასახელებისა და საოჯახო ბიზნესის წარმართვასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე, არის თუ არა, შვილების მშობლებთან ცხოვრება საოჯახო ბიზნესის მემკვიდრეობით მიღების გარანტი? ზოგმა კანონმდებელმა,[47] მათ შორის, ესპანელმა კანონმდებლებმა გაითვალისწინეს ასეთი ბიზნესების მზარდი რაოდენობა, მათი მნიშვნელობა და დაიწყეს შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რათა შემუშავდეს ამ ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმატიული აქტები.[48] მეცნიერთა აზრით, „ეს იქნება დისციპლინათაშორისი ამოცანა, ე.ი. ჩართული იქნებიან საოჯახო, მემკვიდრეობის, კორპორაციულ, შრომისა და საგადასახადო საკითხთა სპეციალისტი იურისტები, ასევე საჯარო და სოციალურ სამართალში გამოცდილი იურისტები და, სავარაუდოდ, ფსიქოლოგები და თერაპევტები“.[49] გერმანული სამართალი, მაგალითად, გვთავაზობს უამრავ შესაძლო (იურიდიულ) ინსტრუმენტს საოჯახო ბიზნესთან დაკავშირებით,[50] და მაინც, ისინი, ყველანი, ხდებიან „ბუდენბროკების პრინციპის“ მსხვერპლნი და ქრებიან მესამე თაობაში. ამის თავიდან ასაცილებლად გერმანელმა კანონმდებლებმა შეცვალეს მემკვიდრეობაზე გადასახადი, რაც, მეცნიერთა აზრით, „ნამდვილი შეღავათია საოჯახო ბიზნესისათვის და აუცილებელია სამუშაო ადგილების შენარჩუნებისა და დაცვისათვის“.[51] ამასთან დაკავშირებით, ასევე განხორციელდა ისეთი საკანონმდებლო ცვლილებები, როგორებიცაა: ბიზნესაქტივების, სასოფლო-სამეურნეო და სატყეო აქტივების, უძრავი ქონების ახალი შეფასების წესები, კომპანიის მემკვიდრეზე გადაცემის დროს გადასახადისაგან ნაწილობრივ გათავისუფლება და გაუქირავებელ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, გადასახადისაგან გათავისუფლება. 2009 წლის გერმანიის კანონმდებლობა ბეგრავს უძრავ ქონებას საბაზრო ღირებულებით, მაგრამ ათავისუფლებს გაუქირავებელი საცხოვრებლის მემკვიდრეს მემკვიდრეობის გადასახადისაგან, თუ გარდაცვლილი იყო მისი მეუღლე, მშობელი ან ბებია-ბაბუა. გადასახადისა-

---

47 იხ. *Artigot-Golobardes M., Alascio-Carrasco L.,* (Universitat Pompeu Fabra, Barcelona, Spain), Family business: The need for a general framework, შრომათა კრებულში: Family Finances, (Verschraegen B. (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 761-776.

48 თითოეულ მეუღლეს, მაგალითად სერბეთში, არსებული მდგომარეობის საწინააღმდეგოდ უფლება აქვს, ჰქონდეს მეორე მეუღლის ბიზნესსაქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

49 *Verschraegen B.,* (Universities of Vienna, Austria, and Bratislava (Uninova), Slovakia), Fiddler on the Roof: On the Ambiguity of Family Finances, შრომათა კრებულში: Family Finances, *(Verschraegen B. (ed.)),* Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 793.

50 იხ. *Krause R.,* The Planning of Succession in International Family Business. Recent Developmens in Germany, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B*. (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 777-788.

51 იქვე, 777.

გან გათავისუფლება გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრე ცხოვრობს ამ სახლში ათი წლის განმავლობაში, ამასთან, შვილებსა და შვილიშვილებთან მიმართებით მხოლოდ ერთი საცხოვრებლის 200 კვადრატული მეტრი თავისუფლდება გადასახადისაგან. ბიზნესის მემკვიდრის გადასახადისაგან გათავისუფლება საშუალებას აძლევს მას, შეინარჩუნოს ადგილობრივი ბიზნესი ან სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ადგილობრივი დასაქმების დონე. ამგვარი გადასახადისაგან გათავისუფლება გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ბიზნესის ფინანსური აქტივები არ აღემატება გარკვეულ პროცენტულ მაჩვენებელს. ნებისმიერ შემთხვევაში, ბიზნესის ფუნქციონირების შენარჩუნების დებულებები ძალიან შემზღუდველია, მიუხედავად ამისა, ისინი დაკავშირებულია რეინვესტირების მუხლთან.[52]

საოჯახო ბიზნესის წინაშე არსებული პრობლემები მემკვიდრეობასთან დაკავშირებით მოიცავს შესაფერისი მემკვიდრის გამოვლენას, რომელიც შეძლებს და დაინტერესებული იქნება ბიზნესის გაძღოლით. ამ დროს წარმოიშობა მთელი რიგი საკითხებისა, რაც ართულებს საოჯახო ბიზნესის ფუნქციონირების გაგრძელებას, მაგალითად, შესაძლებელია, რომ ბიზნესის გაძღოლით დაინტერესებული რამდენიმე, და ხშირად ერთმანეთთან დაპირისპირებული, მსურველი მემკვიდრე აღმოჩნდეს, ან პირიქით, მომდევნო თაობიდან არავინ არ დაინტერესდეს ან ვერ შეძლოს ხელმძღვანელობა, რის შემთხვევაშიც მფლობელს საწარმოს გარეთ მოუწევს შესაფერისი კანდიდატის მოძებნა. საოჯახო ბიზნესის კიდევ ერთი საფრთხეა მისი იძულებით გაყიდვის აუცილებლობა განქორწინების ან მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავის გამო.

თუ საოჯახო ბიზნესი შემოსავლის მთავარი წყაროა და შეიქმნა მეუღლეების მიერ ერთობლივად, შეიძლება, დაიწეროს ერთობლივი ანდერძი (გერმანიაში ცნობილია როგორც gemeischaftliches Testament). დაქორწინებულ წყვილს შეუძლია, შეადგინოს ერთობლივი ანდერძის სპეციალური ფორმა (erliner Testament), რომელიც გულისხმობს ქონების გადაცემას ცოცხლად დარჩენილი მეუღლისათვის, ხოლო მისი გარდაცვალების შემთხვევაში, – შვილებისათვის. ერთობლივი ანდერძი არ არის საოჯახო ბიზნესის მუდმივი გარანტია, რადგან შვილებმა შეიძლება მოითხოვონ სამკვიდრო ქონების თავიანთი წილი.

მამკვიდრებელმა შესაძლოა, გააფორმოს ასევე მემკვიდრეობის (rbvertrag) კონტრაქტი მეორე პირთან (და არა მეუღლესთან), რომელშიც მონაწილეობენ შვილები, როგორც პერსპექტიული მემკვიდრეები, შესაბამისი უფლებით, მიიღონ ოჯახური ბიზნესიდან შესაბამისი წილი. მემკვიდრეობის ასეთი კონტრაქტი უნდა დამოწმდეს ნოტარიულად.

საოჯახო ბიზნესის შენარჩუნების კლასიკური ინსტრუმენტია უკანასკნელი ანდერძი, რომელიც მოიცავს მომდევნო მემკვიდრეების დასახელებას. მამკვიდრებელმა შესაძლოა, თავისი სამკვიდრო დაუტოვოს Vorerbe-ს (მთავარ მემკვიდრეს) და Nacherbe-ს (მომდევნო მემკვიდრეს) იმგვა-

---

52 იხ. *Krause R.,* The Planning of Succession in International Family Business. Recent Developmens in Germany, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 787.

რად, რომ ნებისმიერი პირი პირველად გახდება მემკვიდრე კონკრეტულად რომელიმე მემკვიდრის შემდეგ ზუსტ დროს ან რაიმე მოვლენის წარმოქმნის შემთხვევაში, და ეს უკანასკნელი მითითებული იქნება როგორც მომდევნო მემკვიდრე. შესაძლოა, ოჯახის სახლი და ბიზნესთან დაკავშირებული ყველა ქონება გადავიდეს მთავარ მემკვიდრეზე სიცოცხლის ბოლომდე, ხოლო მისი გარდაცვალების შემდგომ – მომდევნო მემკვიდრეზე. ამ შემთხვევაში, როგორც მთავარი მემკვიდრე, ასევე მომდევნო მემკვიდრე არიან მამკვიდრებლის მემკვიდრეები გარკვეული დროით, ე.ი. მამკვიდრებლის ერთადერთი მემკვიდრე გარკვეული დროით. ამგვარი კონსტრუქცია უზრუნველყოფს გარკვეული პირების ამოღებას სამკვიდროდან (უმეტეს შემთხვევაში, ეს არის ახალი მეუღლე) და იცავს სამკვიდრო ქონებას წილის მოთხოვნისაგან, რადგან ის ითვლება მეუღლეებისაგან დამოუკიდებელ ცალკე ქონებად.

საოჯახო ბიზნესის კიდევ სხვა საინტერესო ფორმები არსებობს საოჯახო ჰოლდინგის, საოჯახო ფონდისა და სხვათა სახით, რაც ასევე თავისებურ წესებს ქმნის ამ ბიზნესის მემკვიდრეებზე გადასვლის ნორმებთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ საოჯახო ბიზნესი კონკრეტული გამოწვევების წინაშეა – მისი შექმნის, ფუნქციონირებისა და გადაცემის დროს საოჯახო, მემკვიდრეობისა და საკორპორაციო სამართლის ნაწილობრივი დამთხვევა აუცილებელს ხდის, შეიქმნას საერთო მარეგულირებელი სისტემა, რომელიც შეძლებს ბიზნესის წინაშე წარმოქმნილი კონკრეტული პრობლემების დაძლევას. კერძო სექტორმა უკვე სცადა სამართლებრივი საკითხების მოგვარება საოჯახო პროტოკოლების საშუალებით, მაგრამ წარმატება არც ისე დიდია საკორპორაციო, საოჯახო და სამემკვიდრეო სამართლის იმპერატიული დებულებების გამო, რომელთა მიზეზითაც ასეთ პროტოკოლებს არ აქვთ სავალდებულო ხასიათი. საერთო საკანონმდებლო ნორმების მიღება, რაც დაეხმარება საოჯახო ბიზნესის წარმატებას და პოტენციურ წინსვლას, გადაუდებელი საქმეა, რადგან მისი წილი ბევრი ქვეყნის და, მათ შორის საქართველოს, ეკონომიკაში საკმაოდ დიდია.

§1.3. გენდერული თანასწორობის პრინციპი თანამედროვე ოჯახში

„თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში დადგა ფინანსურ უზრუნველყოფასა და ოჯახის წევრთა თანასწორობასთან დაკავშირებული კანონის ნორმების გადახედვის დრო, რაც „დღევანდელმა ეკონომიკურმა პირობებმა, საწვავისა და საკვების ფასების მომატებამ და ინფლაციის გაზრდამ გამოიწვია“.[53] მეცნიერებამ ამასთან დაკავშირებით ლიტერატურაში „თანამედროვე ოჯახის“ ცნება შემოიტანა, რომლის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა ადამიანის პირადი ცხოვრების თვითრეგულირება. „თანამედროვე ოჯახი არის პროდუქტი მრავალსაუკუნოვანი საოჯახო

53 *Pote A.,* (London and Oxford, United Kingdom), Financial Provisions and Child Equility, Family Finances, *(Verschraegen B. (ed.)),* Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 665.

ურთიერთობების განვითარებისა, დამყარებული ქორწინების ან ნათესაობის საფუძველზე იმ პირთა გაერთიანებაზე, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია პირადი და ქონებრივი ურთიერთობებით, უფლებებითა და მოვალეობებით, შვილების აღზრდით, საერთო მეურნეობის წარმოებით".[54] „საოჯახო სამართალში არსებული გარკვეული მრავალფეროვნება (ქორწინება, განქორწინებისშემდგომი ქორწინება და ოჯახის ხელახლა შექმნა, ქორწინების გარეშე დაბადება, მარტოხელა მშობელი, დაუქორწინებლის სტატუსი, *დე ფაქტო* პარტნიორობა, მარტოხელას სტატუსი და სხვა) იმის მაჩვენებელია, რომ არსებული პლურალიზმი არ არის ახალი ცნება. ყოველივე ეს წარმოშობს იდეას, რომ ადამიანები უნდა განთავისუფლდნენ ტრადიციული ოჯახის მოდელისაგან, რომელიც ხასიათდება ქორწინებით და ბავშვებთან სივრცული კოჰაბიტაციით".[55]

სოციალური სისტემის შუაგულში ოჯახის ცნება, ფაქტობრივად, წარმოშობს ტრადიციული პატრიარქალური ოჯახის იმიჯს, რომლის სათავეშია ოჯახის მარჩენალი მამა. სოციალურ სისტემებში გენდერული უთანასწორობის წყაროები წარმოიქმნება რეჟიმებისაგან ოჯახის ტრადიციული კონცეფციის საფუძველზე, რომლის ფარგლებშიც ქმარი არის მარჩენალი, ხოლო ცოლი განიხილება ეკონომიკურად დამოკიდებულად, რომლის სოციალური უზრუნველყოფის გადასახდელები დამოკიდებულია ქმარზე. ოჯახის კონცეფცია დროთა განმავლობაში ბევრად არ შეცვლილა. სოციალური უფლებები ემყარება ტრადიციული დაქვემდებარებულობის მოდელს და ნაკლებად გამოიყენება თანამედროვე წყვილების მიმართ.[56]

საკანონმდებლო დონეზე ინდივიდებსა და ოჯახის ინსტიტუტს შორის სუბიექტივიზებული ურთიერთობების სამართლებრივი მნიშვნელობის ახალი კრიტერიუმი მნიშვნელოვანი მომენტია ისტორიაში, რადგან საოჯახო გარემოში ახალი უფლებების დაცვა ისეთი ცვლილებების შესაძლებლობას იძლევა, რომლებიც ძირითადი უფლებების პირთა პირად ცხოვრებაში ინტეგრაციის საშუალებით არეგულირებს უფრო დემოკრატიული და სამართლიანი წესის შექმნის სურვილს. ეს არის ერთ-ერთი მთავარი ცვლილება, რომელიც საოჯახო სამართალმა განიცადა. მეცნიერთა აზრით, „საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტივიზების ამგვარი ტენდენციის მთავარი საკითხია დასავლურ სამართლებრივ სისტემებში კანონების კოდიფიცირებაზე გამახვილებული ყურადღების გადანაწილება. ეს არის იმ მიკროსისტემების საშუალებით განხორციელებული საკანონმდებლო სფეროების დეტალიზების ასახვა, რომლებსაც აქვთ კონსტიტუციურ ტექსტებსა და კონსტიტუციურ პრინციპებში იერარქიულად ჩამოთვლილი ავტონომიური უფლებები და ადამიანის უფ-

---

54 *Королев Ю.А*., Комментарий к семейному кодексу российской федерации, «Юстицинформ», М., 2004, 8.

55 *Pozzi C. E.,* (University of Coimbra, Portugal), Self-Determination and State Intervention: A Balance for Protection of the Reserved Portion of the Estate in the 2002 Brazilian Civil Code in the Light of New Family Arrangements, Family Finances, *(Verschraegen B. (ed.)),* Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 725.

56 იხ. *Maria Joao Romao Carriero Vaz Tome*, (Porto, Portugal), Elderly Dependency, Family Caretaking and Law in Portugal, შრომათა კრებულში: Family Finances, *(Verschraegen B. (ed.)),* Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 712-714.

ლებები, რაც ინტერპრეტაციას დაქვემდებარებული სახელმძღვანელოა იმისათვის, რომ გარანტირებული იყოს მთლიანი სისტემის ისტორიული და სამართლებრივი ერთიანობა, ან – სამოქალაქო კოდექსის, როგორც საზოგადოების მოწყობის მთავარი საშუალების, კონსტიტუციურად ინტერპრეტაციას დაქვემდებარებულ საშუალებად გადაქცევა“.[57]

თანამედროვე ოჯახის ცნების პრინციპები უფრო გამყარდა მას შემდეგ, რაც საოჯახო სამართალი სამოქალაქო სამართლის სისტემაში შევიდა და მის განუყოფელ ნაწილად იქნა მიჩნეული; ეს კი განპირობებული იყო საოჯახო სამართალში არსებული იმპერატიული ნორმებით მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობების შეუსაბამობით თანამედროვე მოთხოვნილებებთან. ერთ-ერთი უნგრელი მოსამართლის სიტყვებით: „ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ქონებრივ ურთიერთობებში, გაიზარდა მათი მნიშვნელობა, კერძო საკუთრების მოცულობა, და საქმიან ცხოვრებაში ფიზიკურ პირთა პირდაპირ და არაპირდაპირ მონაწილეობა“.[58] კომუნისტური წყობის კოლაფსის შემდეგ ეკონომიკურმა და სოციალურმა ცვლილებებმა მოიტანა ისეთი ცვლილებები სამოქალაქო ურთიერთობებში, რომ მათმა სამართლებრივმა კავშირმა მოითხოვა ახალი სამოქალაქო კოდექსის შექმნა. ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებით გაუქმდა საქართველოს საქორწინო და საოჯახო კოდექსი, ხოლო საოჯახო ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირება შევიდა სამოქალაქო კოდექსის ფუნქციებში, რის შემდეგაც საოჯახო სამართალში გაიზარდა დისპოზიციური ნორმების რაოდენობა, ვინაიდან სამოქალაქო სამართალი სწორედ დისპოზიციურობის პრინციპზეა აგებული. სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირების დისპოზიციური მეთოდის თაობაზე მეცნიერთა მიერ გამოთქმული მოსაზრება არ ეთანხმება ამგვარ მიდგომას და მიიჩნევს, რომ „აქ მთავარ როლს ასრულებს უფლების მიმნიჭებელი ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ სუბიექტების უფლებას, განახორციელონ მათი ინტერესებით განპირობებული საინიციატივო სამართლებრივი ქმედებები. რაც შეეხება დისპოზიციურ დანაწესებს, ისინი დაშვებულობის ერთ-ერთ გამოვლინებად, მის კერძო შემთხვევად გვევლინებიან“.[59] იურიდიულ ლიტერატურაში ასევე აღინიშნება, რომ იმპერატიულად განსაზღვრული ნორმებისაგან განსხვავებით, „დისპოზიციური ნორმები, რომლებიც შემავსებელ ფუნქციას ასრულებენ, იმავდროულად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მხარეთა ურთიერთობების განსაზღვრულობის უზრუნველსაყოფად“.[60] ამ საკითხთან დაკავშირებით ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავდა, რომ „დისპოზიციურ ნორმებზე უფრო ფართო კატეგორიას მიეკუთვნება დისპოზიციურობის პრინციპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია დამოუ-

---

57 *Pozzi C. E.,* (University of Coimbra, Portugal), Self-Determination and State Intervention: A Balance for Protection of the Reserved Portion of the Estate in the 2002 Brazilian Civil Code in the Light of New Family Arrangements, Family Finances, *(Verschraegen B. (ed.)),* Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 725-727.

58 *Köros A.,* Supreme Court of Hungary, Budapest, New Features of Hungarian Matrimonial Property Law in the Draft of a New Civil Code, Family Finances, *(Verschraegen B. (ed.)),* Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 675.

59 *Пугинский Б.И.,* Теория и практика договорного регулирования, «Зерцало», М., 2008, 81.

60 იქვე, 82.

კიდებლობა, სუბიექტების თავისუფლება უფლებათა განკარგვისას. ეს პრინციპი შეესაბამება დეცენტრალიზებულ რეგულირებას, რაც გამოიხატება არა მარტო დისპოზიციურ, არამედ იმპერატიულ ნორმებშიც“.[61] შესაბამისად, ის იმპერატიული ნორმები, რომლებიც დარჩა საოჯახო სამართლის სფეროში, უმეტესად დისპოზიციურ პრინციპზეა აგებული და მას იმპერატიულ-ნებადამრთველ ნორმებსაც კი უწოდებენ. მაგალითად: არავინ არ არის ვალდებული, დაქორწინდეს ან განქორწინდეს, თუმცა როგორც ქორწინების, ასევე განქორწინების წესი და პირობები განსაზღვრულია კანონის მიერ იმპერატიულად.

იურიდიულ ლიტერატურაში არაერთგვაროვანი შეხედულებები არსებობს საოჯახო სამართლის ადგილზე სამართლის სისტემაში. საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის დამოუკიდებლად არსებობა ბევრი მეცნიერის წარმოდგენაში ქმნიდა საოჯახო სამართლის, როგორც დარგისა და მეცნიერების, დამოუკიდებლობის ილუზიას. ისინი უმეტესად სამოქალაქო სამართლისაგან მისი გამიჯვნის საფუძვლად მიიჩნევდნენ საოჯახო ქონებრივი ურთიერთობის არაეკვივალენტურ ხასიათს და პრივატული ხასიათის სხვა სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტებისაგან ავტონომიურად არსებობის შესაძლებლობას.[62] ამ კონცეფციის მიმდევრები მიიჩნევდნენ, რომ საოჯახო ურთიერთობები პრინციპულად განსხვავებულ საფუძვლებზე არის აგებული სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებთან შედარებით. საოჯახო ურთიერთობები ეყრდნობა, პირველ რიგში, ურთიერთსიყვარულის გრძნობებს, რადგან მხოლოდ სიყვარულის შედეგად ჩნდებიან ბავშვები (რა თქმა უნდა, ზოგადი წესით), აგრეთვე, პატივისცემის, ურთიერთგაგების გრძნობებს და ა.შ., მაშინ, როდესაც სამოქალაქო ურთიერთობებს საფუძვლად უდევს მონაწილეთა თანასწორობა, ნების ავტონომია და ქონებრივი დამოუკიდებლობა; თუმცა ავტორთა მეორე ნაწილს, ვფიქრობ, სამართლიანად მიაჩნია, რომ არ არსებობს საოჯახო სამართლის დამოუკიდებლობის მატერიალური საფუძველი.[63] ქონებრივი და პირადი არაქონებრივი ურთიერთობის ურთიერთგანპირობებულობამ განსაზღვრა ოჯახში მათი პირადულ-ნდობითი ხასიათი, რაც სხვა სახის სამოქალაქო ურთიერთობებისაგან მათი შეფარდებითი დამოუკიდებლობისა და სამოქალაქო სამართლის ქვედარგად აღიარების საფუძველია. ამ შეხედულების მიხედვით, საოჯახო სამართალს ურთიერთობათა რეგულირებისათვის დამახასიათებელი მეთოდი აქვს; მეცნიერთა ნაწილის აზრით, „საოჯახო ურთიერთობები ხასიათდება შემდეგი თვისებებით: მონაწილეები იურიდიულად თანასწორნი არიან, დამოუკიდებელ ნებას ავლენენ და მათი ქონება განცალკევებულია ოჯახის სხვა წევრების ქონებისაგან, შესაბამისად, სამოქალაქო სამართლის ნორმებისა და საოჯახო სამართლის ნორმების თანაფარდობა შეიძლება განვიხილოთ როგორც თანაფარდობა ზოგად და სპეციალურ ნორმებს შორის, და საოჯახო ურთიერთობების მიმართ სამოქალაქო სამართლებრივი ნორმები გა-

---

61 *Алексеев С.С.,* Общая теория права, Т. 2, «Юрид. лит.», М., 1981, 76.

62 იხ. *Рясенцев В.А.,* Семейное право, «Юрид. лит.», М., 1971, 16.

63 იხ. *Антокольская М. В.,* Семейное право, «Юрист», М., 2004, 36.

მოიყენება შემდეგი წესის შესაბამისად: საოჯახო სამართლის სპეციალური ნორმების არსებობისას საოჯახო ურთიერთობები ამ ნორმებით რეგულირდება, ხოლო მათი არარსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ზოგადი სამოქალაქო სამართლებრივი ნორმები".[64]

საოჯახო ურთიერთობათა შინაარსის ანალიზი და მათი სამართლებრივი რეგულირების თავისებურებანი იმაზე მეტყველებს, რომ საოჯახო სამართალი არასდროს ყოფილა სამართლის დამოუკიდებელი დარგი ან ქვედარგი და მის მიერ რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი სამოქალაქო ურთიერთობათა ნაირსახეობაა. იმ მეცნიერთა აზრით, რომელსაც, ვფიქრობ, უნდა დავეთანხმოთ, „მათი სამართლებრივი რეგულირების პროცესში თავს იჩენს განსაზღვრული არაარსებითი ხასიათის სპეციფიკა, რის გამოც საოჯახო სამართალი უნდა ჩაითვალოს სამოქალაქო სამართლის დამოუკიდებელ ინსტიტუტად".[65] როგორც საოჯახო, ასევე ქონებრივი სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ერთიანი მიდგომით, ვინაიდან აგებულია თანასწორობის საწყისებზე, ხოლო მარეგლამენტებელი ნორმები შეიძლება იყოს როგორც იმპერატიული, ასევე დისპოზიციური. აქედან გამომდინარე, კეთდება დასკვნა, რომ საოჯახო და სამოქალაქო სამართლის გამიჯვნის საფუძველი არ არსებობს. რაც შეეხება მხარეთა იურიდიული თანასწორობის პრინციპს სამოქალაქო სამართალში, უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით გარკვეულ საკითხებში საოჯახო სამართალი საჯარო სამართლის ელემენტებს მოიცავს, მაგალითად, როცა დგას მშობლების მიერ თავიანთი არასრულწლოვანი შვილების მიმართ ე.წ. „მშობლის უფლებამოსილების" საკითხი; მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში „მშობლის უფლებამოსილება" გარკვეულწილად შესუსტდა და აღარ განიხილება იმ მნიშვნელობით, რომელიც დაიწყო Patria potestas-ის (მამის ძალაუფლება) რომის სამოქალაქო სამართლის დოქტრინით მართულ ოჯახში და დასრულდა სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის ურთიერთობის ინდივიდუალიზაციით.[66] რაც შეეხება მშობლებისათვის შვილის აღზრდის მოვალეობას (სსკ-ის 1198-ე მუხლი), უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის არა მხოლოდ მათი მოვალეობა შვილების მიმართ, არამედ ვალდებულებაც სახელმწიფოს მიმართ, რაც საოჯახო სამართლის ნორმებს ასევე ანიჭებს საჯარო ხასიათს. საჯარო სამართლის ელემენტებით არის აღჭურვილი ბავშვისათვის ალიმენტით დახმარების სფეროც. თუ მშობლები, არ არიან შეთანხმებულები შვილის სარჩენად გადასახდელ თანხებზე, არ აქვს მნიშვნელობა, არსებობს თუ არა მშობლის მოთხოვნა, „სასამართლო მაინც ვალდებულია, მიიღოს გადაწყვეტილება მშობლის პასუხისმგებლობის

---

64 Гражданское право: под ред. *Сергеева А.П., Толстого Ю.К.,* Учебник, Том 3, «Проспект», М., 2005, 321.

65 *შენგელია რ., შენგელია ე.,* საოჯახო სამართალი, თეორია და პრაქტიკა, „მერიდიანი", თბ., 2011, 30-31.

66 იხ. *Kronborg A., Jeppensen de Boer C. G.,* Coperhagen University, Denmark, The Child's Right to Two Parents: Facilitating and Financing Joint Parenting, Family Finances, *(Verschraegen B. (ed.)),* Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 615.

ქვეშ მყოფი მცირეწლოვანი ან სრულწლოვანი ბავშვების ალიმენტით დახმარებასთან დაკავშირებით, ყოველთვის, როცა ის მიიღებს გადაწყვეტილებას განქორწინების ან ქორწინების ბათილობის შესახებ".[67] თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ საოჯახო სამართალი საჯარო სამართლის ქვედარგად მივიჩნიოთ, ვინაიდან საოჯახო სამართლის მონაწილეთათვის დამახასიათებელია „უფლება, ინდივიდუალური თავისუფლება და სახელმწიფოს განუსაზღვრელი ჩარევის დაუშვებლობა",[68] რაც ასევე სამოქალაქო სამართლის უმთავრესი პრინციპია. სახელმწიფო ორგანოები, როგორც საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობის დამცველები, მხოლოდ გამონაკლისის სახით გვევლინებიან (მშობლის უფლების ჩამორთმევის, შვილად აყვანის ბათილად ცნობის დროს), ვინაიდან სახელმწიფო საოჯახო სამართლის სფეროში უფლებამოსილია, შეზღუდოს ინდივიდის თავისუფლება მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია საზოგადოებრივი ინტერესის განსახორციელებლად, დანარჩენ საკითხებში კი მისი მონაწილეობა ორიენტირებულია ხსენებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთათვის უფლება-მოვალეობის თვითრეგულირების მინიჭებაზე. „შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების მიღებით, სახელმწიფო მიიღწის, შეძლებისდაგვარად არ ჩაერიოს პირთა უაღრესად პირად ურთიერთობებში, იზღუდება რა მხოლოდ იმ ნორმების დაწესებით, რაც აუცილებელია ოჯახისა და მისი წევრების უფლებათა და კანონიერი ინტერესების განმტკიცებისა და დაცვისათვის".[69]

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაშიც კი მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ „საოჯახო და სამოქალაქო სამართალს შორის რეალური კავშირი ნამდვილად არსებობს და ამ კუთხით საოჯახო სამართლის სამოქალაქო სამართლისადმი „დაქვემდებარების" თეორია არის მნიშვნელოვანი ამ ორი დამოუკიდებელი და, იმავდროულად მჭიდროდ დაკავშირებული, დარგის – სამოქალაქო და საოჯახო სამართლის – ურთიერთქმედების ხასიათის დადგენის თვალსაზრისით.[70]

სამოქალაქო, ასევე საოჯახო სამართალი ვრცელდება ფიზიკურ პირთა შორის არსებულ ურთიერთობებზე და აწესრიგებს პირად და ქონებრივ ურთიერთობათა გარკვეულ კომპლექსს. შეუძლებელია, მათი საერთო კომპონენტები არ აისახოს ზემოხსენებულ დარგებს შორის არსებულ ურთიერთკავშირებზე. ცხადია, არსებობს მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ განსხვავებას საოჯახო და სამოქალაქო სამართალს შორის და მიუთითებენ თითოეული მათგანის თავისებურებაზე, თუმცა მთლიანობაში ყოველივე ზემოაღნიშნული გვაძლევს იმის მტკიცების შესაძლებლობას, რომ საოჯახო სამართალი მიეკუთვნება სამოქალაქო სამართლის სფეროს, თუმცა უთანასწორობა, რომელიც რეა-

---

67 *Resetar B.,* (Croatia), New Child Maintenance Obligations in Croatia: More and More Being a Concern of the Public Law and Less of the Civil Law, Family Finances, *(Verschraegen B. (ed.)),* Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 609.

68 *Антокольская М. В.,* Семейное право, «Юрист», М., 2004, 35.

69 *Королев Ю.А.*, Комментарий к семейному кодексу российской федерации, «Юстицинформ», М., 2004, 13.

70 იხ. *Свердлов Г.М.*, Советское семейное право, «Юрид. лит.», М., 1958, 24.

ლურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ არსებობს საოჯახო სამართლის მონაწილე პირებს შორის, რაც მათი პირადი ურთიერთობების, გრძნობებისა და მიჯაჭვულობის საფუძველზე ყალიბდება, უნდა მოწესრიგდეს სწორედ საოჯახო სამართლისათვის დამახასიათებელი იმპერატიული ნორმებით.

თანამედროვე ოჯახის მთავარი პრინციპია ჰარმონია, რომელიც, ძირითადად, ემყარება დამოუკიდებელ არჩევანს. თანამედროვე არგენტინელი მეცნიერის აზრით, „ფორმულა „დამოუკიდებლობა – ბედნიერება“ (ზრდასრული ადამიანებისათვის), როგორც ჩანს, უზრუნველყოფს ჰარმონიულ ოჯახურ ცხოვრებას“.[71] „არისტოტელეს მიმდევრებისა და თითქმის ყველა დასავლელური ეთიკის მქადაგებელი მოაზროვნეების აზრით, ჰარმონია არის მთავარი სიკეთე; „ჰარმონია“ ასევე არის ჩინური სიტყვა „li“-ს თარგმანი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია კონფუციანური სოციალური აზროვნებისათვის. ოჯახში ჰარმონიის ხელშეწყობა არის ფუნდამენტური სიკეთე, ისევე როგორც ჰარმონია ოჯახებსა და საზოგადოებრივ წესრიგს შორის და, ზოგადად, სოციალური წესრიგისა და კანონის ფარგლებში“.[72] თუმცა მოდელს, რომელიც აკავშირებს დამოუკიდებლობასა და ჰარმონიას, აქვს ფაქტებზე დაფუძნებული კონტრარგუმენტები. მონაცემები აჩვენებს, რომ ზუსტად იმ სფეროში, რომელშიც დამოუკიდებლობას უპირატესობა ენიჭება ოჯახურ ურთიერთობაში, ოჯახის წევრებს შორის კონფლიქტები მკვეთრად გაიზარდა. ბავშვები უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, იტანჯებიან მათზე მზრუნველთა დამოუკიდებელი არჩევანის შედეგებით და უფრო დაუცველები არიან უფროსებისათვის მინიჭებული ინდივიდუალური ცხოვრების უფლების გამო. არასტაბილურობა ვერ უზრუნველყოფს იმ მყარ საფუძველს, რომელიც აუცილებელია ბავშვის აღზრდისათვის.

არსებობს მოსაზრება, რომ თანამედროვე პირობებში „ერთშემოსავლიანი ოჯახი გაქრა, რადგან ოჯახების უმრავლესობა მოითხოვს, ოჯახში ორი რეალური ხელფასიდან იყოს შემოსავალი“.[73] მიუხედავად ამისა, ოჯახებში ზრუნვის განაწილება პასუხისმგებლობების ფარგლებში დროთა განმავლობაში ბევრად არ შეცვლილა. არ აქვს მნიშვნელობა, რამდენ ფულს შოულობს ქალი, ან რამდენს დებენ ისინი თავიანთ კარიერაში, – მათ მაინც ეკისრებათ ოჯახზე ზრუნვის უპირატესი პასუხისმგებლობა. ამ საკითხთან დაკავშირებით თანამედროვე მეცნიერი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „კანონის მხრიდან მამების ასეთი უპრეცედენტო იგნორირება წარმოშობს ტოტალურად უპასუხისმგებლო მამაკაცების ახალ თაობას, რომლებსაც არ სჯერათ, რომ ოჯახში, ცოტაოდენი ფულის მოტანის

---

71 *Basset U. C.,* Autonomous Choices of Adults and the Rights of Children to a Harmonious Family Life. Can a Satisfactory Balance Ever be Achieved?, Papers from North American Regional Conferece: Fostering Family Harmony: Principles and Practices, Brooklyn Law School, Brooklyn, June 6-8, 2013, 3.

72 *FitzGibbon S.,*(Boston college law school, J.D. Harvard, B.C.L., Oxford), Harmonious Legal Discourse and The good of a Family Law, Papers from North American Regional Conferece: Fostering Family Harmony: Principles and Practices, Brooklyn Law School, Brooklyn, June 6-8, 2013, 15.

73 *Fineman M. A.,* The Neutered Mother, the Sexual Family and Other Twentieth Century Tragedies, Published by Routledge, New York, London, 1995, 164-166.

გარდა, მათ აქვთ ოჯახური მოვალეობები ან პასუხისმგებლობები“.[74] უნდა აღინიშნოს, რომ მეუღლეებს შორის უთანასწორობის მიზეზი ქალის ეკონომიკური დამოკიდებულებაა, რაც, რა თქმა უნდა, პრობლემაა ქალი–მეუღლისათვის. მეცნიერთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ „ქალები, რომლებსაც აქვთ მზრუნველობითი პასუხისმგებლობები, ეკონომიკურად დაუცველები ხდებიან“.[75]

საოჯახო კანონები ბუნებრივად კი არ არსებობს, არამედ ადამიანთა კანონშემოქმედებითი საქმიანობის შედეგია, აქედან გამომდინარე, მეცნიერებში ისმის კითხვა, თუ „რატომ არ ვიღებთ ისეთ კანონებს, რომლებიც ქორწინებასა და ასევე განქორწინებას უფრო მეტი უპირატესობის მომტანს ხდის ამ პროცესში მონაწილე ყველა მხარისათვის – ქალებისთვის, კაცებისა და შვილებისათვის?“[76]

ფული თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს. დამოუკიდებლობას ღირსება მოაქვს შედეგად. დამოკიდებულება ქმნის დაქვემდებარებას, რომელიც, შეიძლება ითქვას, მოქალაქეობისა და დემოკრატიული ჩართულობის თანამედროვე სტანდარტებს და, რასაკვირველია, თანასწორობას ეწინააღმდეგება. როგორც თანამედროვე ამერიკელი მწერალი მიუთითებს თავის წიგნში, „მე-18 საუკუნის ბევრი პოლიტიკოსი და ფილოსოფოსი შიშს გამოთქვამდა, რომ ქორწინება სტაბილურ ინსტიტუტად რჩებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ სამართლებრივმა სისტემამ ცოლები თითქმის სრულად დამოკიდებული გახადა თავიანთი ქმრების ეკონომიკურ მხარდაჭერაზე“.[77] მას შემდეგ თითქმის ორი საუკუნე დასჭირდა მე-18 საუკუნის ფილოსოფოსთა მოსაზრებების ნაწილობრივ გაქარწყლებას და მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ქალებმა ერთგვარი ეკონომიკური დამოუკიდებლობა მოიპოვეს ბაზარზე არსებული სამუშაოს წყალობით. „ცოლების შემოსავლების გაზრდის მეტ-ნაკლებად პროპორციულად გაიზარდა განქორწინების მაჩვენებელი“.[78] ეს ნამდვილად არ არის ქალებისაგან მიღებული სასიამოვნო მესიჯი თავიანთ ქორწინებათა შესახებ. აქედან გამომდინარე, ლოგიკა, რომ განქორწინების სტატისტიკამ შეიძლება მოიმატოს იმ შემთხვევაში, თუ ქალების ეკონომიკური შესაძლებლობა და ეკონომიკური დამოუკიდებლობა კიდევ უფრო გაიზრდება, შესაძლოა, გამართლდეს კიდეც. შრომის ბაზარზე თანაბარი უფლებები ძლიერი პოლიტიკური მოთხოვნაა დასავლეთის ქვეყნებში, რის საფუძველზეც თანაბარი უფლებებისა და თანაბარი ანაზღაურებისათვის ბრძო-

---

74 *Dyuzheva O.A.,* (Law faculty, Lomonosov Moscow State University), Is There a Way to Harmonize Dad's and Mom's Rights Under Russian Family Law? Papers from North American Regional Conferece: Fostering Family Harmony: Principles and Practices, Brooklyn Law School, Brooklyn, June 6-8, 2013, 12.

75 *Carriero Vaz Tome M. J. R.,* (Porto, Portugal), Elderly Dependency, Family Caretaking and Law in Portugal, შრომათა კრებულში: Family Finances, *(Verschraegen B. (ed.)),* Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 714.

76 *Braekhus H.,* Regulation of Parenthood –Deregulation of Marriage, SromaTa krebulSi: Family Finances, *(Verschraegen B. (ed.)),* Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 569.

77 *Coontz S.,* Marriage, a History, from Obedience to Intimacy or How Love Conquered Marriage, Publisher: Viking, Penguin Group, New York, 2005, 149-150.

78 *Braekhus H.,* Regulation of Parenthood – Deregulation of Marriage, SromaTa krebulSi: Family Finances, *(Verschraegen B. (ed.)),* Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 570.

ლა ბაზარზე უფრო მეტ წარმატებას აღწევს, რაც შეიძლება საფუძველი გახდეს იმისა, რომ კიდევ უფრო ბევრმა ქალმა აირჩიოს განქორწინება.

თუმცა, სავარაუდოდ, ამის პარალელური განვითარებაც არსებობს: თავად ქორწინება თაობიდან თაობამდე იცვლება, რის საფუძველზეც ახალგაზრდა მამაკაცების აღქმისათვის მისაღები ხდება ის, რომ ახალგაზრდა ქალები უფრო მეტ თავისუფლებასა და თანასწორობას მოელიან ქორწინებიდან, ვიდრე ეს წინა თაობებში იყო.

ქორწინება მასში მონაწილე პირებზე ფინანსურ ზეგავლენას ახდენს. ბევრი ქალისათვის ქორწინება განსაზღვრავს მათი ცხოვრების სტილს, რადგანაც ქორწინება მათი ცხოვრების დაფინანსების ძირითადი წყაროა. ზეგ შემთხვევაში ქალებს შეუძლიათ, ქორწინება თავიანთი ფინანსური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად გამოიყენონ. სხვადასხვა ქვეყნის საოჯახო სამართალთა ბევრი განსხვავების მიუხედავად, მნიშვნელოვანი მსგავსებაა ის, რომ ოჯახის მარჩენალ პირებს თითქმის ყოველთვის შეუძლიათ გააკონტროლონ შემოსავალი პირდაპირ ან ირიბად, ვინაიდან ფულს ცალკე ანგარიშებზე ინახავენ.[79]

საინტერესოა საკითხი იმ შესახებ, უნდა ჰქონდეს თუ არა ქალს უფლება, რომ მამაკაცის ქონების რაიმე წილი მიიღოს იმ პერიოდისათვის, როცა ის მხოლოდ ბავშვებზე ზრუნვით არის დაკავებული, ან ჰქონდეს იმის უფლება, რომ მას მამაკაცმა კომპენსაცია გადაუხადოს, თუ მათი ცხოვრების სტანდარტებში რაიმე განსხვავება იქნება? თუ მამაკაცს რამდენიმე შვილი ჰყავს სხვადასხვა ქალისაგან, მაშინ მისი აქტივების მიმართ მრავალი პრეტენზია შეიძლება არსებობდეს. თანამედროვე ავტორთა ნაწილი, ვფიქრობ, სამართლიანად მიიჩნევს, რომ „დედა, რომელიც საერთო შვილზე ზრუნავს, მიჩნეული უნდა იქნეს როგორც ადამიანი, რომელსაც ირიბად შეაქვს წვლილი მამის მიერ სიმდიდრის უწყვეტად დაგროვებაში, მაშინაც კი, თუ ქალი ამ მამაკაცთან უკვე აღარ ცხოვრობს, ან, თუ არასოდეს უცხოვრია მასთან და თუ მათ საერთო „ცხოვრების გეგმა“, ე.წ. ხანგრძლივობის პრინციპი (the duration principle) არასოდეს ჰქონიათ“.[80] არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომ „მჭიდრო კავშირი არ ჩანს მზრუნველის საქმიანობებსა და სიმდიდრის დაგროვებას შორის. რისი კომპენსაცია ხდება? – კარიერული შესაძლებლობების დაკარგვისა, რაც დედამ დაკარგა ზრუნვის გაწევის სანაცვლოდ? თუმცა ჩვენ არ ვიცით, თუ რას გააკეთებდა ქალი, მას რომ ბავშვისათვის დედობა არ გაეწია. მას შეეძლო, მეორე ბავშვიც გაეჩინა. აქედან გამომდინარე, ეს თემა ძალიან დიდი სპეკულაციის საგანი შეიძლება გახდეს“.[81] ამ საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთი მოსამართლე ამბობს: „ის წლები, როდესაც ქმარი იმაღლებს საკუთარ განათლებას და კარიერულ პერსპექტივებს, არის

---

79 იხ. *Blumberg G. G.,* Community Property in California (Law School Casebook Series), Second Edition, Little Brown & Co Law & Business, California, 1993, 460-461.

80 *Glennon L.,* Obligations between Adult Partners: Moving from Form to Function?, International Journal of Law, Policy & the Family, Volume 22, issue 1, april, 2008, 22, http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1149658 [02.02.2014].

81 *Eekelaar J.,* (Pembroke College Oxford, United Kingdom), Partners, Parents and Children: Grounds for Allocationg Resources across Households, Family Finances, *(Verschraegen B. (ed.)),* Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 31.

წლები, რომლებიც ასუსტებს ცოლის პერსპექტივებს სამუშაო ძალაში“.[82] სწორედ ამიტომ აუცილებელია გენდერული თანასწორობის დაცვა და აღზრდის საკითხების სამართლებრივად ისე მოგვარება, რომ ქალთა უფლებები არ დაირღვეს მათ მიერ შვილების აღზრდის პროცესში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საოჯახო სამართალი ახალი გამოწვევების წინაშე დგება: სასწრაფოდ უნდა მოხდეს უფროსების თავისუფალ არჩევანსა და ბავშვების მიმართ მზრუნველობის ვალდებულებას შორის ბალანსის დაცვა. უფრო მეტიც, მომავალი თაობების მდგრად განვითარებას შესაძლოა, საფრთხე შეექმნას, თუ ჩვენ ვერ შევძლებთ, გადავხედოთ ჩვენს არსებულ მოდელს, რომელიც უკავშირდება საოჯახო სამართლის საკითხებს ამ ბალანსის დაწესების სფეროში. საზოგადოების განვითარებასთან ერთად, დროთა განმავლობაში მოხდა კულტურული ცვლილებები, რომელთა ფარგლებშიც ქორწინება უფრო განიხილება როგორც „შეწყვეტას დაქვემდებარებული კონტრაქტი და არა გრძელვადიანი ვალდებულება“.[83] თანამედროვე ოჯახის უნარი, შეასრულოს ის ამოცანა, რომელსაც მას საზოგადოება აკისრებს, მნიშვნელოვნად შეიცვალა ოჯახის სტრუქტურის ცვლილებების, შრომით საქმიანობაში ქალების მონაწილეობისა და თვითონ დაქვემდებარებულობის ხასიათში ცვლილებების გამო. ორშემოსავლიანი ოჯახი ბავშვებით და, განსაკუთრებით, ერთმშობლიანი ოჯახი, მასში დამოკიდებულ წევრებთან დაკავშირებით, უფრო მეტად უნდა ეყრდნობოდეს საკანონმდებლო სისტემის ნორმებს, რომლებიც რეალური თანასწორობის გარანტიას უნდა იძლეოდნენ ოჯახის ყველა წევრისათვის.

---

82 *Abella R. S.,* Economic Adjustment on Marriage Breakdown: Support, Family Law and Social Policy Workshop Series WS-4a, Toronto, 1981, 19.

83 *Carriero Vaz Tome M. J. R.,* (Porto, Portugal), Elderly Dependency, Family Caretaking and Law in Portugal, შრომათა კრებულში: Family Finances, *(Verschraegen B. (ed.)),* Jan Sramek Verlag, Vienna, 2009,715.

თავი 2. მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების ზოგადი იურიდიული ბუნება და შინაარსი

§2.1. არაქონებრივი ურთიერთობების ზოგადი შინაარსი

თანამედროვე საქართველოში ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფისა და დაცვის პრობლემა მეტად აქტუალური გახდა, მით უმეტეს, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დაცვა უმთავრესი პრიორიტეტი და ქვეყნის წარმატების განმსაზღვრელია ევროინტეგრაციის პროცესში.

ადამიანის უფლებები, როგორც საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო მსოფლიო სტანდარტი, შესაძლებელია და უნდა იქცეს არა მხოლოდ დეკლარირებული, არამედ პრაქტიკაში რეალიზებული სამართლებრივი ნორმის ფორმალურ-იურიდიულ წყაროდ სახელმწიფოში. კანონით დაცული არაქონებრივი სიკეთე ასახულია შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში. გარდა ამისა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განმსაზღვრელი ფუძემდებლური საერთაშორისოსამართლებრივი აქტები, როგორებიცაა, მაგალითად: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და სხვა დოკუმენტები, ასევე ითვალისწინებენ ადამიანის ძირითადი უფლებების უზრუნველყოფის აუცილებლობას.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი განსაზღვრავს ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემის პრინციპის განმავითარებელ და მაკონკრეტებელ ვალდებულებებს, რომლებსაც საერთაშორისო სტანდარტები ეწოდება. მშობლებისა და შვილების ურთიერთობის, სახელისა და გვარის შერჩევის, შეცვლის, საოჯახო ცხოვრებისადმი პატივისცემის, ოჯახის პატივისა და ღირსების დაცვის და სხვა მსგავსი საკითხები უყურადღებოდ არ რჩება მსოფლიო საზოგადოებრიობის მხრიდან.

მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივი ურთიერთობები ზოგადად იყოფა არქონებრივ-პირად და ქონებრივ ურთიერთობებად, რომელთა იურიდიული ბუნებისა და შინაარსის შესწავლა იურიდიულ მეცნიერებაში მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ ასეთ ანალიზს ეფუძნება შემდგომ ამ ურთიერთობების სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა და თანამედროვე ცხოვრებისადმი მისადაგება. ამიტომ მიზანშეწონილია მშობლებისა და შვილების პირადი არაქონებრივი და ქონებრივი ურთიერთობების მაინდივიდუალიზებელ ნიშანთა გამოვლენა, მათი წარმოშობის საფუძველთა დადგენა და სამართლებრივი ბუნებისა და შინაარსის განსაზღვრა.

„ფიზიკურ პირთა პირად უფლება-მოვალეობებს „პირადი არაქონებრივი“ ეწოდება, რაც ნიშნავს, რომ ისინი განუყოფელია პიროვნებისაგან და არ ატარებენ ქონებრივ ხასიათს“.[84] პირადი არაქონებრივი სამართლებრივი ურთიერთობების სოციალური შინაარსით განსაზღვრული ნიშნები თვით ამ ურთიერთობების დასახელებაშია ასახული. ჯერ ერთი,

[84] *Фадеева Т.А.,* Личные права и обязанности граждан в семейных отношениях, «Правоведение», 1988, №2, 62.

ეს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები პირადი ურთიერთობებია და მათი ჩამოყალიბება უკავშირდება აშკარად გამოხატული პირადი (არამატერიალური) ხასიათის მქონე ობიექტების განსაკუთრებულ კატეგორიას – არამატერიალურ სიკეთეებს. ამ სიკეთეების არსებობა შეუძლებელია კონკრეტულ (ფიზიკურ ან იურიდიულ) პირთან კავშირის გარეშე. ისეთი სიკეთეები, როგორებიცაა ადამიანის ან ორგანიზაციის პატივი და ღირსება, ადამიანის სახელი, პირადი ხელშეუვალობა და სხვ., ყოველ ცალკეულ ინდივიდს ეკუთვნის და მასთან განუყრელადაა დაკავშირებული. ამის წყალობით, ისინი, როგორც წესი, განუმეორებელ და ინდივიდუალურ შეფერილობას იძენენ. უკანასკნელი სრულიად ნათელი ხდება ისეთ სოციალურ სიკეთესთან მიმართებით, როგორიცაა პირადი ცხოვრება. მთელ მსოფლიოში არ მოიძებნება ორი ადამიანი, რომლებსაც ერთნაირი პირადი ცხოვრება აქვთ და, მეორეც, ეს სამართლებრივი ურთიერთობები არაქონებრივი ხასიათისაა და ქონებრივ ურთიერთობებთან მათ უშუალო კავშირი არ გააჩნიათ. აღნიშნული ნიშანი იმ სფეროს თავისებურებებს ასახავს, რომელშიც მათი ჩამოყალიბება ხდება. პირადი არაქონებრივი ურთიერთობები ყალიბდება საზოგადოებრივი ცხოვრების არამატერიალურ, სულიერ სფეროში და სრულიად მოკლებულია რაიმე ეკონომიკურ (ღირებულებით) შინაარსს.

იურიდიული შინაარსით განსაზღვრული ნიშნები ასევე ორი გარემოებით ავსებენ პირად არაქონებრივ სამართლებრივ ურთიერთობათა ცნებას: ჯერ ერთი, პირადი არაქონებრივი სამართლებრივი ურთიერთობები, თავისი სტრუქტურის მიხედვით, აბსოლუტურ ურთიერთობებს განეკუთვნება. ამ ურთიერთობებში უფლებამოსილ პირს უპირისპირდება განუსაზღვრელი წრე ვალდებული პირებისა. ისინი ვალდებულნი არიან, თავი შეიკავონ მოქმედებისაგან, რომელმაც შესაძლოა, ზიანი მიაყენოს უფლებამოსილი პირის პირად არაქონებრივ უფლებას და, მეორეც, ეს უფლება მიეკუთვნება განუსხვისებადი უფლებების რიცხვს. აღნიშნული იურიდიული თავისებურება თვით არამატერიალური სიკეთის განუყოფელობის ფაქტიდან გამომდინარეობს. კანონმდებელი ამ გარემოებას ითვალისწინებს და ასახავს სამართლებრივ ნორმებში, გამორიცხვას რა განსახილველი პირადი არაქონებრივი უფლებების ერთი სუბიექტისაგან მეორეზე გადასვლას. სწორედ ამ ფაქტის გამო იურიდიულად შეუძლებელია სხვა პირისათვის საკუთარი სახელის, პირადი ცხოვრების დაცვის, პირადი ხელშეუვალობის უფლებისა და სხვა მსგავსი უფლებების გადაცემა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს უფლებები არა მხოლოდ იურიდიულ, არამედ სოციალურ აზრს დაკარგავდნენ. განსახილველი პირადი არაქონებრივი სამართლებრივი ურთიერთობების ამ ნიშნების გათვალისწინებით, ისინი იურიდიულ ლიტერატურაში ასე განისაზღვრება: „არაქონებრივი სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც ჩამოყალიბდება პიროვნების (ინდივიდის, სოციალური წარმონაქმნის) კუთვნილ და მისგან განუყოფელ პირად (არამატერიალურ, სულიერ) სიკეთეებთან დაკავშირებით“.[85]

---

[85] *Красавчиков О. А.,* Советское гражданское право, том 1, 3-е изд., «Высшая школа», М., 1985, 191.

საოჯახო სამართლით გათვალისწინებული პირადი ურთიერთობები ქონებრივი ურთიერთობებისაგან არამხოლოდ მათი ეკონომიკური ხასიათით განსხვავდება – პირადი ოჯახური ურთიერთობების არაქონებრივი ბუნება მხოლოდ უარყოფითი ნიშანია; ამ ურთიერთობებს ასევე დადებითი მახასიათებელიც აქვს, რაც გამოიხატება მათი სპეციფიკური შინაარსით, რომელიც ოჯახის წინაშე მდგარ მაღალ ამოცანებზეა დაფუძნებული. პირადი ოჯახური ურთიერთობები არ შეიძლება განისაზღვროს როგორც ერთი მხარის უფლება, მოითხოვოს მეორე მხარისაგან გარკვეული მოქმედების შესრულება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება. პირადი ოჯახური ურთიერთობები ხასიათდება არა ქმედებების განსაზღვრულობით, არამედ ოჯახის წევრთა ერთმანეთის მიმართ სათანადო ქცევის საყოფაცხოვრებო და ეთიკური საფუძვლებით. ამასთან, ოჯახური ურთიერთობები, პირველ რიგში, ზნეობრივ და მორალურ პრინციპებს ეყრდნობა. მორალური ფაქტორი ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ზოგადად და ოჯახის ცხოვრებაში კერძოდ. სამართლებრივი ნორმებისაგან განსხვავებით, მორალური ნორმები არ არის უზრუნველყოფილი სახელმწიფოებრივი იძულებით და მათი დარღვევისათვის შესაძლო სანქციად საჯარო დაგმობა განიხილება. თუმცა არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ქორწინებისა და ოჯახის საკითხების მომწესრიგებელი მორალური საფუძვლის მქონე სამართლებრივი ნორმები ყოველთვის მაქსიმალურად ეფექტურია. ამასთან, ოჯახის წევრების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად და განსახორციელებლად აუცილებელი კანონების გამოცემისას სახელმწიფო ცდილობს, შეძლებისდაგვარად არ ჩაერიოს პირად ოჯახურ ურთიერთობებში.

ცივილისტურ ლიტერატურაში ვხვდებით პირადი არაქონებრივი ურთიერთობების ასეთ განსაზღვრებას: „არაქონებრივ სიკეთესთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელთა დროსაც ხდება პიროვნების ან კოლექტივის შეფასება მათი ინდივიდუალური თვისებების გამოვლენის საფუძველზე“.[86] კონკრეტული ინდივიდის (კოლექტივის) ეს თვისებები შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ მის გარშემო არსებულ ადამიანებთან შედარებისას. აქედან გამომდინარე, პიროვნების ან კოლექტივის სათანადო ინდივიდუალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდის (კოლექტივის) და მის გარშემო არსებული პირების დამაკავშირებელი აბსოლუტური ურთიერთობების ჩარჩოებში. სწორედ ამიტომ პირად არაქონებრივ ურთიერთობებს ყოველთვის აბსოლუტური ხასიათი აქვს. იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ პირად არაქონებრივ ურთიერთობათა განმსაზღვრელი ფაქტორი არაქონებრივ სიკეთესთან დაკავშირებული ურთიერთობებია, რომლის დროსაც ხდება პიროვნების შეფასება; ავტორი ასევე მიუთითებს ამ თვისებების მაინდივიდუალიზებელ მნიშვნელობაზე.[87] პიროვნების ღირსება და პატივი მას ინდივიდუალურს, განუმეორებელს ხდის. გარკვეული გაგებით, პიროვნების საცხოვრებელი ადგილი, საქმიანობის სახე, აგრეთვე, მის ინდივიდუალიზაციას ახდენს.

---

86 *Егоров Н. Д.,* Гражданско-правовое регулирование общественных отношений, «Изд. Ленинградского университета», Л., 1986, 169.

87 იქვე.

არსებობს ისეთი ურთიერთობებიც, რომლებიც ემყარება მხოლოდ მაინდივიდუალიზებელ ნიშანს (მაგალითად, სახელს). სახელი პიროვნების ინდივიდუალიზაციას ახდენს და მიუთითებს მის ოჯახურ, ზოგჯერ კი ეროვნულ, კუთვნილებაზე. პიროვნების მაინდივიდუალიზებელი ნიშანი უნდა შედიოდეს პირადი არაქონებრივი ურთიერთობების ცნების შინაარსში განმსაზღვრელი ფაქტორის სახით. ამიტომ პირადი არაქონებრივი ურთიერთობები შეიძლება განვიხილოთ „როგორც არაქონებრივ სიკეთესთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელთა დროსაც ხდება პიროვნების (ორგანიზაციის, კოლექტივის) შეფასება და ინდივიდუალიზაცია იურიდიულად მნიშვნელოვანი ინდივიდუალური თვისებების გამოვლენის და, აგრეთვე, სახელისა და ადგილმდებარეობის (საცხოვრებელი ადგილის) დადგენის საფუძველზე“.[88] ის გარემოება, რომ პიროვნების ინდივიდუალიზაცია მის გარშემო არსებულ ადამიანებთან შედარებისას ხდება, არ აქცევს ასეთ ურთიერთობებს აბსოლუტურ ურთიერთობებად. მაგალითად, მშობლების უფლება, შეურჩიონ თავის შვილს სახელი, არის აბსოლუტური უფლება, რომელიც არავინ არ უნდა დაარღვიოს და, ამავე დროს, შეფარდებითი – თუ საუბარია მშობლების ერთობლივ უფლებაზე, რომელიც უწყვეტად დაკავშირებულია მათ მოვალეობებთან.

პირადი არაქონებრივი უფლებების განხორციელებისას ოჯახის წევრები სარგებლობენ თანაბარი შესაძლებლობებით. პირადი ურთიერთობები მოიცავს ისეთ ურთიერთობებს, როგორებიცაა: სიყვარული, მეგობრობა, ურთიერთპატივისცემა, ქცევა ოჯახში, ურთიერთობა შვილებთან და ა.შ. ამ ურთიერთობათა დიდი ნაწილი არ ექვემდებარება სამართლის ნორმებით რეგულირებას და ყალიბდება მორალის პრინციპებისა და ცხოვრების წესების საფუძვლებზე. იურიდიულ გამოკვლევებში, როგორც წესი, განიხილება ისეთი პირადი ურთიერთობები, რომლებიც შესაძლოა, სამართლებრივი რეგულირების საგნად იქცეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სხვა სახის პირად ურთიერთობას არ შეიძლება მიეცეს იურიდიული შეფასება. ამ შემთხვევაში აშკარაა სამართლისა და მორალის მჭიდრო კავშირი, მათი ურთიერთქმედება კი სისრულეს აღწევს. გარდა ამისა, არსებობს პირადი არაქონებრივი ოჯახური ურთიერთობების სხვა თავისებურებებიც, კერძოდ: ოჯახის წევრთა ინტერესების ჰარმონიული შეხამება, უფლებების განხორციელება თანაბარ საწყისებზე, სახელმწიფოს მხრიდან რეალური, გარანტირებული დახმარება და კონტროლი ამ უფლებების უზრუნველსაყოფად და ა.შ.

სამეცნიერო ლიტერატურაში დღესაც დისკუსიას იწვევს საკითხი იმის შესახებ, აბსოლუტურია თუ შეფარდებითი მშობლებისა და შვილების პირადი უფლებებისა და მოვალეობების ხასიათი. აბსოლუტური და შეფარდებითი უფლებების საკითხი როგორც ისტორიულად, ასევე არსობრივად უკავშირდება უფლების ობიექტების საკითხს. სამოქალაქო სამართლის ობიექტების საკითხი მიეკუთვნება ცივილისტური მეცნიერების ერთ-ერთ ნაკლებად გამოკვეთილ საკითხთა რიგს. თვით ამ ცნების – „უფლების ობიექტის“ – გამოყენების თვალსაზრისით, არსებობს განუ-

[88] *Фадеева Т.А.,* დასახელებული ნაშრომი, 63.

საზღვრელობა. უფრო ხშირად, მისი გამოყენება დაფუძნებულია ობიექტისა და სუბიექტის სიტყვიერ დაპირისპირებაზე. რადგან არსებობს უფლების სუბიექტი, მაშასადამე უნდა არსებობდეს ობიექტიც. აქედან გამომდინარე, სამართლებრივ ურთიერთობებში სუბიექტებთან ერთად უნდა მოიძებნოს ობიექტებიც, თუნდაც ხელოვნური მსჯელობების გზით.

უფლების შინაარსში მოიაზრება სუბიექტის ბატონობის გამოვლინება რაღაცის მიმართ, რაც მის მიღმა არსებობს. ის, რაზეც სამართლის ძალით ბატონობს სუბიექტი, არის უფლების ობიექტი; მეორე თეორია სავსებით სწორად განასხვავებს აბსოლუტურ და შეფარდებით სამართლებრივ ურთიერთობებს იმ საფუძველზე, რომ აბსოლუტურ სამართლებრივ ურთიერთობებში აქტიური სუბიექტის (მაგალითად, მესაკუთრის) უფლებას შეესაბამება განუსაზღვრელი რაოდენობის პასიური სუბიექტების (ყველასი და თითოეულის) მოვალეობა, თავი შეიკავონ გარკვეული ქმედებისაგან, მაშინ, როდესაც შეფარდებით სამართლებრივ ურთიერთობებში აქტიური სუბიექტის (მაგალითად, კრედიტორის) უფლებას შეესაბამება ერთი ან რამდენიმე კონკრეტული პირის მოვალეობა, მოახდინოს განსაზღვრული ქმედება, ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედებისაგან.[89]

მშობლებისა და შვილების უფლებებთან დაკავშირებით, მკვლევართა ნაწილი იზიარებს იმ პოზიციას, რომ ეს უფლებები აბსოლუტურია და სამართლებრივი ურთიერთობების გარეშეც არსებობს.[90] მაგრამ ალბათობა იმისა, რომ უფლება არსებობს მოვალეობის კორესპონდირების გარეშე და მოვალეობა – შემხვედრი უფლების გარეშე, ისეთივეა, როგორიც ხელის ჩამორთმევის ალბათობა ერთი გაწვდილი ხელის შემთხვევაში. „სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებისა და მოვალეობის კავშირი ობიექტური კანონზომიერების ხასიათს ატარებს... უფლება და იურიდიული მოვალეობა – ეს ის „ურთიერთშემხვედრია“, რაც ერთიანობის (სამართლებრივი ურთიერთობების) გარეშე ვერ იარსებებს სამართლის მოვლენების სახით“.[91] აბსოლუტური უფლებები ასევე სამართლებრივ ურთიერთობათა ელემენტებია, მაგრამ უკვე განუსაზღვრელი სუბიექტური შემადგენლობით ვალდებული მხარისათვის.

ზოგიერთი ცივილისტი უპირატესობას ანიჭებს პოზიციას, რომლის თანახმად, მშობელთა პირადი უფლებები და მოვალეობები შესაბამისი შეფარდებითი სამართლებრივი ურთიერთობების ელემენტებს შეადგენენ, მაგრამ მათ დაცვის აბსოლუტური ხასიათი აქვთ.[92]

სავარაუდოა, რომ მშობლებისა და შვილების პირადი უფლებები შეიძლება იყოს როგორც აბსოლუტური, ასევე შეფარდებითი, მათი დაცვის

---

89 იხ. *Агарков М. М.,* Обязательство по советскому гражданскому праву, Типография «Известий Советов депутатов трудящихся СССР», М., 1940, 18.

90 იხ. *Пергамент А. И.,* Ответственность родителей за воспитание детей, В кн.: Проблемы совершенствования советского законодальства, «ВНИИСЗ», выпуск N 19, М., 1981, 156; მითითებულია: *Елисеева А. А.,* Автореферат диссертации: Правовое регулирование личных неимущественных отношений в семейном праве Российской Федерации, М., 2008, http://www.dissercat.com/content/pravovoe-regulirovanie-lichnykh-neimushchestvennykh-otnoshenii-v-semeinom-prave-rossiiskoi-f [10.10.13].

91 *Алексеев С. С.,* Проблемы теории права, Курс лекции, Т.3, «Статут», М., 1972, 321.

92 იხ. *Рясенцев В. А.,* Семейное право, «Наука», М., 1971, 183.

ხასიათით. შეიძლება დავეთანხმოთ, რომ ბავშვის საკუთარი მოსაზრების გამოხატვის უფლება არის აბსოლუტური უფლება. ამ შემთხვევაში ბავშვს უპირისპირდებიან არა მხოლოდ მშობლები, არამედ სხვა პირებიც, მაგრამ ძნელია დავეთანხმოთ ზემოაღნიშნული მოსაზრების ავტორს,[93] რომ ბავშვის სახელის, გვარისა და მამის სახელის უფლება ასევე აბსოლუტური უფლებაა. ეს უფლება ფარდობითია, მას უპირისპირდება მშობელთა უფლება და, გარკვეულწილად, მოვალეობაც – შეურჩიონ და დაარქვან ბავშვს სახელი, გადაწყვიტონ მამის სახელსა და გვართან დაკავშირებული საკითხები. „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „თუ დაბადების რეგისტრაციისას უფლებამოსილი პირი არ განაცხადებს ბავშვისათვის სახელის მინიჭების თაობაზე, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო, ბავშვის სქესის გათვალისწინებით, ანიჭებს მას სახელს სპეციალური ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, სააგენტოს მონაცემთა ბაზაში აღრიცხული, შესაბამისი სქესისათვის დამახასიათებელი სახელებიდან, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით“.[94] ეს გარემოება კი აღნიშნული პირადი უფლების დაცვის აბსოლუტური ხასიათის დასტურია. მშობლების მხრიდან მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბავშვის უფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო გადაწყვეტს ამ საკითხს. ამ უფლების დამცველად და განმახორციელებლად კი თვით სახელმწიფო გვევლინება შესაბამისი ორგანოებით, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საჯარო სამართლის გავლენას საოჯახო სამართალზე. მაგრამ აქ მნიშვნელოვანია, არ აგვერიოს ერთმანეთში ბავშვის სახელისა და გვარის შერჩევის უფლება, რაც საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობების ელემენტებს მიეკუთვნება, და მოქალაქის სახელის უფლება (სსკ-ის მე-17 მუხლი). ეს უფლება აბსოლუტური სამართლებრივი ურთიერთობების ელემენტია და თვით უფლებაც აბსოლუტურია, რადგან მოქალაქის უფლებას უპირისპირდება ყველა მესამე პირი, რომლებიც ვალდებულნი არიან, თავი შეიკავონ იმ ქმედებებისაგან, რაც მოქალაქის სახელის არასწორად (დამახინჯებასთან) ან უკანონო გამოყენებასთანაა დაკავშირებული.

ასეთივე მნიშვნელოვანია არასრულწლოვნის პირადი ხასიათის უფლება საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით, რომელიც თავისი ბუნებით შეფარდებითი და, ამავე დროს, აბსოლუტური უფლებაა, რადგან კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილის ცნებას და, ამავე დროს, იცავს მას ვალდებულებებით, რომ ბავშვს აქვს ოჯახში ცხოვრების უფლება. ეს კი თავისთავად არის გარანტი იმისა, რომ არასრულწლოვანი უნდა ცხოვრობდეს მშობლებთან ან მის კანონიერ წარმომადგენელთან (მეურვე). სწორედ ამის გამოა, რომ კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის საფუძველზე არასრულწლოვანთა საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევს მათი მშობლების საცხოვრებელ ადგილს. მშობლები ვალდებულნი არიან, დაკავებულ

---

93 იხ. *Антокольская М. В.,* Семейное право, «Юрист», М., 2004, 209.

94 კანონი „სამოქალაქო აქტების შესახებ“, თბ., 2011, 20 დეკემბერი, №5562 <http://codex.ge/2510> [25.09.14].

საცხოვრებელ ფართზე ამყოფონ ბავშვი. თუ მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, არასრულწლოვნის საცხოვრებელ ადგილად ითვლება იმ მშობლის საცხოვრებელი ადგილი, რომელთანაც იგი მუდმივად ცხოვრობს მშობლების შეთანხმების ან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. ბავშვის ეს უფლება შეფარდებითია. ამ სამართლებრივ ურთიერთობებში ბავშვის მშობლები ვალდებულ მხარეს წარმოადგენენ. მაგრამ ბავშვის უფლება აბსოლუტურად დაცულია, რადგან ბავშვების მშობლებთან შესახლება არ ითხოვს თანხმობას არც ოჯახის წევრებისაგან, არც გამქირავებლისაგან ან საცხოვრებელი ფართის მფლობელისაგან. აქვე უნდა აღინიშნოს იმის თაობაზე, რომ კანონი არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას პირდაპირ უკავშირებს მშობლის უფლების მქონე მშობლების საცხოვრებელ ადგილს, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ არასრულწლოვანი ბავშვის მშობელს ან მშობლებს ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლება, მაშინ მის საცხოვრებელ ადგილს განსაზღვრავს სასამართლო. ასეთი სანქცია მშობლის მიმართ არასრულწლოვანს უნარჩუნებს უფლებას საცხოვრებელ ადგილზე, ისევე როგორც ნათესაობიდან გამომდინარე ქონებრივ უფლებებს (სსკ-ის 1207-ე მუხლი).

მშობელთა პირადი უფლება-მოვალეობებისა და ბავშვის პირადი უფლებების განხორციელების განსაკუთრებული მიზანი და ინტერესია ბავშვის უფლება, აღიზარდოს მშობლების მიერ და, რაც მთავარია, ოჯახში. ამას ადასტურებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლიც, რომლის თანახმად, ბავშვს აქვს უფლება, აღიზარდოს თავისი მშობლების მიერ და ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში.

ცივილისტურ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ბავშვის აღზრდის სამართლებრივ ურთიერთობებში მშობლები ერთდროულად წარმოადგენენ უფლებამოსილ და ვალდებულ მხარეს.[95] მაგრამ ერთსა და იმავე სამართლებრივ ურთიერთობაში ასეთი რამ შეუძლებელია, რადგან მხარე ერთი და იმავე სუბიექტის მიმართ და ერთი და იმავე ბავშვის გამო ვერ იქნება ერთდროულად ვალდებულიც და უფლებამოსილიც. ერთ პიროვნებაში მოვალისა და კრედიტორის დამთხვევა იწვევს ყოველგვარი ვალდებულების შეწყვეტას. იურიდიულ ობიექტურ სინამდვილეში არ არსებობს ერთიანი „სამართლებრივი მოვალეობები“, ისევე, როგორც ვერ იარსებებს, მაგალითად, ერთიანი „სქესი“ განვითარებისა და გამრავლების ბიოლოგიური ურთიერთობების სფეროში. იურისპრუდენციაში საკითხი შეიძლება დავაყენოთ მხოლოდ ასე: „უფლება“ ან „მოვალეობა“, ყველაფერი სხვა მკვლევარს მოვლენის არსს დააცილებს. პრაქტიკულად კი ეს მიგვიყვანს იქამდე, რომ სამართლებრივი ნორმებს არ გამოიყენებენ დანიშნულებისამებრ, სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტთან მიმართებით ეს ნორმები არ დაიცავენ სოციალურ სამართლიანობას“.[96] ამავე დროს, ზემოთ აღნიშნული არ გამორიცხავს მშობელთა უფლება-მოვალეობების არსებობას სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთო-

---

[95] Советское семейное право, Под ред. *Маслова В. Ф., Пушкина А. А.,* «Вища школа», Киев, 1982, 129.

[96] *Леженин В. Н.,* Проблемы семейно-правового регулирования имущественных и личных отношений, В кн.: Проблемы развития гражданского законодательства и методологиая преподавание гражданско – правовых дисциплин, Харьков, «ХИВД», 1993, 139.

ბის სიბრტყეში – მშობლებსა და შვილებს შორის, მშობლებსა და სახელმწიფოს შორის, მშობლებსა და მესამე პირებს შორის, და ა.შ.

სამართლის თეორიაში უფლებად მოიაზრება სუბიექტის გარკვეული სახის ქცევის შესაძლებლობა, რომლის შესაბამისად, სუბიექტს აქვს თავისუფლება – იმოქმედოს თვითონ, მოსთხოვოს სხვა პირს ან პირებს გარკვეული ქმედებების განხორციელება, ან პირიქით, გარკვეული ქმედებებისაგან თავის შეკავება. ამასთან, ეს უფლება უზრუნველყოფილია შესაძლებლობით, საკუთარი უფლებით დაცულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი ან პირები არ შეასრულებენ დაკისრებულ ვალდებულებებს.[97] „უფლებას, რომელიც აქვს სუბიექტს, იმიტომ ეწოდება მისი უფლება, რომ მის ნებაზეა დამოკიდებული მინიჭებული უფლების გამოყენება“.[98] ბავშვის აღზრდის უფლების არსია მისი უფლება, მოსთხოვოს ვალდებულ პირებს, განახორციელონ სხვადასხვა სახის აღმზრდელობითი ქმედებები. ამავე დროს, მშობლების ეს ვალდებულება, შეიძლება ითქვას, გაწონასწორებულია არასრულწლოვნის უფლებით, დაიცვას თავი მშობელთა (სხვა კანონიერ წარმომადგენელთა) მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევისას, მათ შორის, მშობელთა (ერთ-ერთი მშობლის) მიერ ბავშვის აღზრდასთან, განათლებასთან დაკავშირებული მოვალეობების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისას, ან მშობლის უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, არასრულწლოვანს უფლება აქვს, დამოუკიდებლად მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, 14 წლის ასაკიდან კი სასამართლოს. ეს უფლება, ამავე დროს, იწვევს სხვა – მესამე – პირების ვალდებულებასაც, რომ, იმ შემთხვევაში, თუ მათთვის ცნობილი გახდა არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის შემთხვევები, ვალდებულნი არიან, ამის შესახებ შეატყობინონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს. ამ ნორმით პრაქტიკულად უზრუნველყოფილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლით მშობლებისათვის დაკისრებულ უფლება-მოვალეობათა განხორციელება, რაც ძალზე მნიშვნელოვანია არასრულწლოვნისათვის კანონით მინიჭებული პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის თვალსაზრისითაც.

„მოვალეობა, როგორც აუცილებელი, სავალდებულო საქციელი, განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობების ფარგლებში უპირისპირდება უფლებას“,[99] „მისი დანიშნულებაა, შეუქმნას სუბიექტს საკუთარი უფლების განხორციელების ფაქტობრივი შესაძლებლობა“.[100] მკვლევართა

---

97 იხ. *Матузов Н. И.,* Личность. Права. Демократия. Теоретические проблемы субъективного права, «Изд-во Саратовского ун-та», Саратов, 1972, 91-146, <http://www.lawlibrary.ru/-izdanie13403.html> [05.10.13].

98 *Казанцева А. Е.,* Обязанности и права родителей (заменяющих их лиц) по воспитанию детей и ответственность за их нарушение, «Изд-во Томского ун-та», Томск, 1987, 20.

99 *Явич Л. С.,* Общая теория права, «ЛГУ», Ленинград. 1976, 173.

100 *Матузов Н. И.,* Личность. Права. Демократия. Теоретические проблемы субъективного права, «Изд-во Саратовского ун-та», Саратов, 1972, 237, <http://www.lawlibrary.ru/izdanie13403.html> [05.10.13].

ნაწილის აზრით, მშობლისათვის ბავშვის აღზრდის მოვალეობა – ეს არის სავალდებულო ქცევის ზომა, რომელიც გამოიხატება ბავშვზე მშობლის პირადი გავლენით, საკუთარი ქმედებების პედაგოგიკის ნორმებთან, ზნეობისა და მორალის ნორმებთან, თანაცხოვრების წესებსა და ბავშვის აღზრდის უფლებასთან თანაფარდობით.[101]

თუ ამ პოზიციებიდან გავაანალიზებთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე, 1198-ე მუხლებს, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე: რადგან 1197-ე მუხლი ბავშვს ანიჭებს უფლებას, აღზარდონ საკუთარმა მშობლებმა, მაშინ მშობლები, 1998-ე მუხლის თანახმად, ვალდებულნი არიან, აღზარდონ შვილი. მაშასადამე, ბავშვსა და მშობლებს შორის, დედასა და მამას შორის წარმოიქმნება ორი პირობითი სამართლებრივი ურთიერთობა: ერთი მხრიდან – შვილი და დედა, მეორე მხრიდან – შვილი და მამა. შესაბამისად, არსებობს დედისა და მამის მიერ ბავშვის აღზრდის მოვალეობა. ორივე მშობელს თანასწორი უფლება-მოვალეობები აკისრია (სსკ-ის 1199-ე მუხლი), მაგრამ მშობლები მხოლოდ მაშინ შეძლებენ სათანადო შედეგის მიღწევას ბავშვის აღზრდაში, როდესაც იგი მათ მიერ ერთობლივად იქნება განხორციელებული. ამასთან დაკავშირებით, მამისა და დედის უფლება-მოვალეობები არა მხოლოდ თანაბარი, არამედ თანაზიარიცაა. ეს უფლება-მოვალეობები შეადგენენ მშობელთა მიერ ბავშვის აღზრდის პირობითი სამართლებრივი ურთიერთობების შინაარსსაც. ასე მაგალითად, მამის უფლებას – აღზარდოს შვილი, უპირისპირდება დედის მოვალეობა – ხელი არ შეუშალოს ამ უფლების განხორციელებაში და, პირიქით, დედის უფლებას უპირისპირდება მამის მოვალეობა – ხელი არ შეუშალოს ბავშვის აღზრდის უფლების რეალიზებაში. ამასთან, ბუნებრივია, ყოველი მშობელი კონტროლს უწევს აღზრდის პროცესს, რომელსაც მეორე მხარე ახორციელებს. ამიტომაც, სუბიექტური შემადგენლობის მიხედვით, აღზრდის უფლებისა და მოვალეობის განხორციელებისას თვალსაჩინოა სამართლებრივი ურთიერთობა სამმხრივი მონაწილეობით, რადგან მონაწილეობს ორივე მშობელი და, ამასთან, გათვალისწინებულია თვით ბავშვის აზრიც, ხოლო აღზრდაში მონაწილეობის თანმიმდევრობის რეალიზება მშობლების მიერ ხორციელდება შემხვედრი მოქმედებებით, როგორც მშობლის, ასევე შვილის მხრიდან.[102] შვილის სწორ აღზრდაში მშობელი დაინტერესებულია როგორც ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი და ბუნებითი უფლების მქონე პირი, რომელიც მათ შვილების დაბადებით წარმოეშობათ. ერთი მშობლის მხრიდან ბავშვის აღზრდის მოვალეობის შეუსრულებლობით ან არასათანადო შესრულებით ილახება არა მხოლოდ ბავშვის, არამედ მეორე მშობლის ინტერესებიც. ამიტომ სამართლებრივ ურთიერთობებში მშობელთა ურთიერთუფლებების დაცვა შესაძლებელია იმ სანქციებით, რომლებიც ბავშვის უფლებებს იცავენ.

იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი გაჩნდა არარეგისტრირებული ქორწინების შედეგად და მამობა დადგენილი არ არის, არსებობს მხოლოდ ერთი პირო-

---

101 იხ. *Казанцева А. Е.,* Обязанности и права родителей (заменяющих их лиц) по воспитанию детей и ответственность за их нарушение, « Изд-во Томского ун-та», Томск, 1987, 19.

102 იხ. *Антокольская М. В.,* Семейное право, 2-е изд., «Юрист», М., 2002, 95, http://stratonomik.-ru/combook/semejnoe_pravo_andopol'skaja_7.html [04.10.13].

ბითი სამართლებრივი ურთიერთობა – ბავშვსა და დედას შორის, რაც პირდაპირ გამორიცხავს ბავშვის ბიოლოგიური მამის სამართლებრივ ვალდებულებას მის აღზრდაზე, რჩენაზე და საერთოდ გამორიცხავს მის მიმართ ყოველგვარი პირადი და ქონებრივი ხასიათის უფლება-მოვალეობებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ წმინდა აბსოლუტური სამართლებრივი ურთიერთობები არ არის დამახასიათებელი საოჯახო სამართლისათვის. მესამე პირებთან ურთიერთობაში ისინი შეიძლება აბსოლუტური შინაარსის მატარებლად მოგვევლინონ, თუმცა თვით საოჯახო ურთიერთობის შიგნით, მონაწილეთა მიმართ, შეფარდებით ხასიათს ავლენენ. უფრო ტიპური საოჯახო სამართლისათვის წმინდა შეფარდებითი (მაგალითად: საალიმენტო ვალდებულება) და ისეთი შეფარდებითი სამართლებრივი ურთიერთობებია, რომლებიც მათი დაცვის აბსოლტურობით ხასიათდებიან (მშობლის მიერ შვილის აღზრდის უფლება).[103] ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ არაქონებრივი ოჯახური სამართლებრივი ურთიერთობები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ არა მხოლოდ ერთ ცალკე აღებულ ოჯახში, არამედ მთლიანად სახელმწიფოში. საერთაშორისო ნორმატიულსამართლებრივი აქტებით არაქონებრივი უფლებების გამყარება შესაძლებლობას გვაძლევს, ვამტკიცოთ, რომ არაქონებრივი უფლებები შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ადამიანის უფლებები, ვინაიდან საქართველოს სამართლებრივ სისტემაში შემავალი საერთაშორისო სამართლის ნორმები მისი განუყოფელი ნაწილია. ამიტომაც სამართლებრივი სისტემის მოდერნიზაციის შედეგად უამრავი ადამიანი უფრო დაცულად იგრძნობს თავს.

§2.2. საალიმენტო ურთიერთობების ზოგადი შინაარსი

მშობლებსა და შვილებს შორის საალიმენტო ურთიერთობები ყოველთვის უმნიშვნელოვანესი იყო საოჯახო სამართალში, მაგრამ მისი როლი მეტად გაიზარდა საზოგადოების განვითარების თანამედროვე პირობებში. უმუშევართა რიცხვის გაზრდას, ცხოვრების დონის მნიშვნელოვან გაუარესებას იქითკენ მივყავართ, რომ შრომისუუნარო პირები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, უპირველეს ყოვლისა კი ბავშვები, არსებობისათვის საჭირო აუცილებელი თანხების გარეშე დარჩენის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ.

საალიმენტო ვალდებულება არის სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ძალითაც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ოჯახის წევრებმა უნდა არჩინონ ოჯახის სხვა წევრები, რომელთა მიმართაც აკისრიათ რჩენის ვალდებულება. საალიმენტო ვალდებულება წარმოიშობა კანონით გათვალისწინებული შემდეგი იურიდიული ფაქტების საფუძველზე, თუ: ა) სუბიექტთა შორის არსებობს საოჯახო ურთიერთობა; ბ) აშკარაა ალიმენტის მოთხოვნისათვის აუცილებელი პირობები, რომლებიც დადგენილია კანონით ან მხარეთა შეთანხმებით (მაგალითად, ალიმენტის მიმღები პირის არასრულწლოვანება ან შრომისუუნარობა და მის

[103] იხ. *Антокольская М. В.,* Семейное право, 2-е изд., «Юрист», М., 2002, 96, http://stratonomik.ru/combook/semejnoe_pravo_andopol'skaja_7.html [04.10.13]

მიერ მატერიალური დახმარების საჭიროება; გ) ალიმენტის გადახდის შესახებ მხარეთა შეთანხმება ან სასამართლოს გადაწყვეტილება.

„ალიმენტი არის ფულადი სახსრები არასრულწლოვანთა ან სრულწლოვან შრომისუუნარო ოჯახის წევრთა სარჩენად“.[104] საალიმენტო ვალდებულების შინაარსს შეადგენს ალიმენტვალდებული პირის მოვალეობა – გადაიხადოს ალიმენტი და ალიმენტის მიმღების უფლება – მიიღოს იგი, ხოლო მის შესრულებას უზრუნველყოფენ სასამართლო ორგანოები.

საალიმენტო ვალდებულების საფუძველია საოჯახო ურთიერთობები, მიზანი კი – არჩინოს ის შრომისუუნარო ოჯახის წევრები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, თუმცა საოჯახო ურთიერთობა თავისი შინაარსით უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ურთიერთობა ოჯახში (მაგალითად, ურთიერთობა დედ-მამის შვილებს შორის შეიძლება იყოს საოჯახო სამართლებრივი (საალიმენტო), მაგრამ ისინი სხვადასხვა ოჯახის წევრები იყვნენ. მეცნიერები მიუთითებენ, რომ „საოჯახო სამართალში საალიმენტო ვალდებულების არსებობა განპირობებულია მატერიალური ღირებულებების არასწორი განაწილებით და ოჯახის წევრთა განსხვავებული შესაძლებლობებით შემოსავლის მიღებაზე“.[105] საალიმენტო ვალდებულების ელემენტებს მიეკუთვნება ვალდებულების ობიექტი (ვალდებული პირის მოქმედება მიმღებისათვის სარჩოს გადაცემაზე), მისი მონაწილე მხარეები და შინაარსი.

„ურთიერთობა მეუღლეებს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის, ოჯახის სხვა წევრებს შორის – ეს არის, უწინარეს ყოვლისა, პირადი ურთიერთობა იმ ადამიანთა შორის, რომლებიც ნათესაობით არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. თავიანთ ურთიერთობაში ისინი ხელმძღვანელობენ ზოგადი ზნეობრივი პრინციპებითა და მორალური ნორმებით“.[106] ოჯახის წევრთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება ემყარება და სავსებით ემთხვევა ამ პრინციპებს. სათანადო შემთხვევაში კანონი ხაზს უსვამს ოჯახის წევრთა მოვალეობას – იზრუნონ თავიანთი ახლობლებისათვის. ამასთან, კანონი ადგენს ოჯახის წევრთა ურთიერთრჩენის ნებაყოფლობით წესს, რაც ყველაზე უკეთ შეესაბამება საზოგადოებაში დამკვიდრებულ პირთა შორის ურთიერთობის დამყარების ზნეობრივ კატეგორიას, მაგრამ, აუცილებლობის შემთხვევაში, ოჯახის წევრს შეუძლია, მატერიალური დახმარება მიიღოს სასამართლოს გადაწყვეტილების ძალითაც.

ერთი პირის მიერ იმ მეორე პირის რჩენის მოვალეობა, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს, მართალია, შეესაბამება მორალის მოთხოვნებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველას, ვინც დახმარებას საჭიროებს, ყოველთვის აქვს უფლება, მოითხოვოს სხვა პირისაგან მატერიალური დახმარება. მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ ვინ ვის მიმართ და რა ზომითაა ვალდებული, აღმოუჩინოს მატერიალური დახმარება.

ოჯახის წევრთა შორის სარჩოს მიცემის ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონით აღიარებული საკმარისი

---

104 *Столбов М.Г.,* Как увеличить размер алиментов, «Ось-89», М., 2005, 3.

105 *Абашин Э. А.,* Семейное право, «Форум-Инфра М», М., 2003, 74.

106 *ონ'კიერველი გ.,* სახელმწიფო და სამართლის თეორია, „მერიდიანი“, თბ., 1974, 80-83.

და აუცილებელი საფუძველი ასეთი მატერიალური დახმარების აღმოჩენისათვის. ამასთან დაკავშირებით, თანამედროვე გერმანელი მეცნიერი აღნიშნავს, რომ „სისხლით ნათესაობა და ქორწინება, როგორც ჩანს, მნიშვნელოვან როლს ასრულებს დახმარებაზე მოთხოვნის უფლებასთან დაკავშირებით“.[107] ამასთან, ოჯახური ურთიერთობა აუცილებლად არ გულისხმობს შთამომავლობით ნათესაობას. კანონი ითვალისწინებს საალიმენტო ვალდებულებას ისეთ პირთა შორისაც, რომლებიც ერთმანეთის მიმართ შთამომავლობით ნათესაობაში არ იმყოფებიან (შვილად ამყვანი და შვილად აყვანილი, მამინაცვალი და გერი, დედინაცვალი და გერი, ფაქტობრივი აღმზრდელი და აღსაზრდელი).

საალიმენტო უფლება-მოვალეობა მკაცრად განსაზღვრულ პირადულ ხასიათს ატარებს, რაც იმით გამოიხატება, რომ ყველა შემთხვევაში იგი ზუსტად არის დადგენილი კანონის მიერ გარკვეულ პირთა მიმართ და არ შეიძლება მისი სხვა პირებისათვის დაკისრება. ოჯახის წევრებს უფლება არ აქვთ, ურთიერთშეთანხმებით აიცილონ თავიდან მათზე კანონით დაკისრებული საალიმენტო ვალდებულების შესრულება ან შეზღუდონ მისი გამოყენების ფარგლები. ბათილია უარის თქმა ალიმენტის მიღებაზე მომავლისათვის, თუნდაც საამისოდ არსებობდეს ალიმენტის მიმღები პირის წერილობითი თანხმობა. ალიმენტის მიმღებ პირს შეუძლია მოითხოვოს ალიმენტის გადახდა მოვალისაგან ამ უფლების არსებობის მთელი დროის განმავლობაში. ბათილია, აგრეთვე, ვინმეს მიმართ ალიმენტის ნებაყოფლობით გადახდის ვალდებულების თავის თავზე აღება, თუ იგი კანონით არ არის გათვალისწინებული.

საგულისხმოა, რომ თვით კანონი საქორწინო ხელშეკრულების დადების თაობაზე კრძალავს შეთანხმებას მშობლების უფლება-მოვალეობების შვილების მიმართ დადგენილი წესისა და საალიმენტო მოვალეობის შეცვლის შესახებ, ანუ „საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება შეიცვალოს მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა, მშობლების უფლება--მოვალეობანი შვილების მიმართ, საალიმენტო მოვალეობანი და დავის შემთხვევაში – სასამართლოში მიმართვის უფლება“ (სკ-ის 1179-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

მშობლების დახმარების ვალდებულებები შვილების მიმართ ეფუძნება ოჯახური სოლიდარობის პრინციპს. ის, თუ რას გულისხმობს „ოჯახური სოლიდარობა“, სადავო საკითხია. „სოლიდარობა“ საოჯახო სამართალში ზოგადად მოიცავს ახლო ნათესავების ერთმანეთის მიმართ ეკონომიკურ პასუხისმგებლობას, მათ შორის სრულწლოვანი შვილების პასუხისმგებლობას მათი მშობლების (ბებია-ბაბუების) მიმართ (“თაობათა შორის ოჯახური სოლიდარობა“). თუ ეს პასუხისმგებლობა ნებაყოფლობით არ არის აღებული, მაშინ ოჯახური სოლიდარობის გასამყარებლად შესაძლებელია დახმარებასთან დაკავშირებული მოვალეობების იძულებით აღსრულება. მაგრამ, როცა მოვალეობები ოფიციალური ხდება, ადამიანები ხშირად ცდილობენ, თავი აარიდონ პასუხისმგებლობას.[108]

---

[107] *Frank R.,* Family Solidarity in Support and Inheritance Law, translated from the original German into English by *Dr. Scott A.,* Brigham Young University, Provo, Utah, USA, SromaTa krebulSi: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 1-2.

[108] იხ. *Verschraegen B.,* Fiddler on the Roof: On the Ambiguity of Family Finances, SromaTa krebulSi: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 789.

საინტერესოა საკითხი, თუ რა სამართლებრივ ბუნებას ატარებს საალიმენტო ვალდებულება, როგორია მისი შინაარსი და რა კლასიფიკაცია უდევს მის წარმოშობას საფუძვლად უძველესი დროიდან. ვალდებულებითი ურთიერთობა კერძოსამართლებრივი ურთიერთობაა. იგი განსხვავდება საჯარო სამართალში არსებული მოვალეობებისგან. მაგალითად, პირი ვალდებულია, ავტომანქანა მართოს მხოლოდ მართვის მოწმობით. ამ მოვალეობის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, მაგრამ არა კერძოსამართლებრივს, ამიტომ ყოველი კონკრეტული შემთხვევის დახასიათებისას უნდა გადაწყდეს საკითხი, გამოყენებულ იქნეს თუ არა ვალდებულებითი სამართლის ნორმები განსახილველი ვალდებულების მიმართ. ვალდებულებითი ურთიერთობა კერძო სამართლის სუბიექტებს შორის წარმოშობილი ურთიერთობაა. ამ ურთიერთობის ერთ მონაწილეს, რომელსაც მეორისაგან შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს, ეწოდება კრედიტორი, ხოლო მეორეს, რომელიც ვალდებულია, კრედიტორის მოთხოვნისთანავე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება – მოვალე. კრედიტორი ან მოვალე შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური და იურიდიული პირები, ისე პირთა გაერთიანებები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები.[109]

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოშობის საფუძვლის მიხედვით, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ სახელშეკრულებო და კანონისმიერი (არასახელშეკრულებო) ვალდებულებები. საალიმენტო სამართლებრივი ურთიერთობა, იმის მიხედვით, თუ რამდენად ინდივიდუალიზებულია მისი სუბიექტები, ფარდობით პრინციპზეა აგებული – ერთი კონკრეტულად განსაზღვრული სუბიექტის უფლებას შეესაბამება მეორე სუბიექტის მოვალეობა.[110]

ვალდებულების ცნება თავისი ხანდაზმულობით გამოირჩევა. იგი ჯერ კიდევ რომაელმა იურისტებმა ჩამოაყალიბეს. „ვალდებულება“ შეიძლება განიმარტოს, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ძალით ერთი (ან რამდენიმე) პირი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მეორე (ან რამდენიმე) პირს განსაზღვრული ქმედების შესრულება ან ქმედებისაგან თავის შეკავება. ამ განსაზღვრებაში დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევა კრედიტორის მოთხოვნის უფლება. ვინაიდან კრედიტორის მოთხოვნის უფლებას ყოველთვის შეესაბამება მოვალის მოვალეობა, ამგვარი განსაზღვრა არსობრივად მოიცავს მითითებას ვალდებულების როგორც აქტიურ, ასევე პასიურ მხარეებზე. რომის სამართალში ცნება „ობლიგაციო“ აღნიშნავდა როგორც სამართლებრივ ურთიერთობას, ასევე მის აქტიურ და პასიურ მხარეებსაც, ამ ცნებების ერთმანეთისაგან მკვეთრი გამიჯვნით.[111] ზოგიერთ ავტორს მიაჩნდა, რომ ვალდებულებას უნდა ჰქონდეს ქონებრივი ინტერესი და ასეთი ინტერესის არარსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ურთიერთობა არ იქნება დაცული ვალ-

---

109 იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, „სამართალი“, თბ., 2001, 25.

110 იხ. *შენგელია რ., შენგელია ე.,* საოჯახო სამართალი, თეორია და პრაქტიკა, მეორე გამოცემა, „მერიდიანი“, თბ., 2011, 35.

111 იხ. *Агарков М. М.,* Обязательство по советскому гражданскому праву, Типография «Известий Советов депутатов трудящихся СССР», М., 1940, 10.

დებულებითი სამართლის ნორმებით: „ქონებრივი ვალდებულება არის ნებისმიერი ვალდებულება, რომელსაც, შეუსრულებლობის შემთხვევაში, შეუძლია გამოიწვიოს მისი ჩანაცვლება ზარალის ანაზღაურების ვალდებულებით, ანუ ფულადი ვალდებულებით. მხოლოდ ასეთი სახის ვალდებულება ქმნის ვალდებულებას სამოქალაქო სამართლის თვალსაზრისით“.[112] ამ კითხვაზე განსხვავებულად პასუხობს ავტორთა სხვა ნაწილი და ამტკიცებს, რომ ნებისმიერი, მათ შორის არაქონებრივი ინტერესიც, საკმარისია და შემდეგნაირად განსაზღვრავს ვალდებულებითი სამართლის ფარგლებს: „ისეთი ტიპის ურთიერთობებს, რომლებსაც არანაირი სამეურნეო მნიშვნელობა არ გააჩნიათ (მაგალითად: მეგობრობას, თავაზიანობას და ა.შ.), საერთოდ კი, არაქონებრივ ინტერესებს, უდავოდ, შეიძლება ჰქონდეს ვალდებულების შინაარსი“.[113] ვალდებულებაში არაქონებრივი ინტერესის ამგვარ პოზიციას იზიარებს სხვა ავტორი, რომელიც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სამართალში დასაშვებია ვალდებულებაში არაქონებრივი ინტერესის არსებობა, თუმცა „არაქონებრივი ინტერესისაგან განსხვავებით, ქონებრივი ინტერესის ობიექტი არის მატერიალურ ფასეულობაზე (ნივთზე, ფულზე) უფლება, და ამიტომაც შეიძლება, მეტ-ნაკლები სიზუსტით გამოიხატოს ფულის ან გარკვეული ღირებულების მქონე ნივთის სახით“.[114]

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ვალდებულებას უნდა ჰქონდეს ქონებრივი ხასიათი, ე. ი., საბოლოო ჯამში, მაინც ვალდებულება უნდა იყოს მიმართული ნივთების (მათ შორის, ფულის) გადაცემაზე, ნივთით სარგებლობაზე, ამა თუ იმ ქმედებაზე, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად მისი ეკონომიკური შინაარსის გათვალისწინებით. ვალდებულების ქონებრივი ხასიათი არ ნიშნავს იმას, რომ ვალდებულების შინაარსის შემადგენელი, დამოუკიდებლად აღებული თითოეული ქმედება ქონებრივ ხასიათს ატარებს. ქონებრივი ხასიათი ვალდებულებამ შეიძლება შეიძინოს კონკრეტული ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარე (მაგალითად, დავალების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულება).

ვალდებულების წარმოშობის მომენტის განსაზღვრა მოითხოვს ვალდებულების წარმოშობის გამომწვევი ფაქტობრივი შემადგენლობის ზუსტად დადგენას. ამ მომენტში უნდა არსებობდეს ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელი ყველა ელემენტი. ერთ-ერთმა ფრანგმა მეცნიერმა ვალდებულებათა წარმოშობის საფუძვლების შემდეგი სისტემა ააგო: ვალდებულებათა წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს: ხელშეკ-

---

112 *Гоихбарг А. Г.,* Хозяйственное право РСФСР, т. I, Гражданский кодекс, изд. 3-е, 1924, 146, მითითებულია წიგნში: *Агарков М. М.,* Обязательство по советскому гражданскому праву, Типография «Известий Советов депутатов трудящихся СССР», М., 1940, 34.

113 *Новицкий И. В.,* Обязательственное право, комм., к ст. 106–129, 1925, 17, 18; მითითებულია წიგნში: *Агарков М. М.,* Обязательство по советскому гражданскому праву, Типография «Известий Советов депутатов трудящихся СССР», М., 1940, 34.

114 *Рясенцев В.,* Неимущественный интерес в советском гражданском праве, Ученые записки Московского юридического института НКЮ СССР, вып. 1, 1939, 27; მითითებულია წიგნში: *Агарков М. М.,* Обязательство по советскому гражданскому праву, Типография «Известий Советов депутатов трудящихся СССР», М., 1940, 34.

რულებები ან ქვაზიხელშეკრულებები (quasi-contrats), დელიქტები ან ქვაზიდელიქტები (quasi-delits), ზოგჯერ კი კანონი ან სამართლიანობა („quelquefois la loi ou l'equite seule“). მას ასევე მოჰყავს „თითქოს ხელშეკრულების“ (quasi-contrat) განმარტება, რომლის წარმოშობის საფუძვლად მიიჩნევს კანონს ან სამართლიანობას, რაც ვალდებულების წარმომშობ ქმედებას მაკავშირებელ ძალას ანიჭებს;[115] „დელიქტს“ და „თითქოსდელიქტს“ იგივე ავტორი განმარტავს როგორც ქმედებას, რომლითაც ერთი პირი განზრახ ან ბოროტი განზრახვით (დელიქტი), ან უხეში გაუფრთხილებლობით (ქვაზიდელიქტი) ზიანს აყენებს სხვა პირს. ამასთან, კანონზე საუბრისას ხან „ბუნებრივ კანონს“ (la loi naturelle), ხან კი დისპოზიციურ კანონს გულისხმობს. ბუნებრივი კანონი ნებისმიერი სახის ვალდებულების საფუძველია, მათ შორის, ხელშეკრულებიდან, თითქოსხელშეკრულებიდან, დელიქტიდან და თითქოს დელიქტიდან წარმოშობილი ვალდებულებებისა. მაგრამ ამ საფუძვლების არსებობის პირობებში კანონი ვალდებულებებს იმ კონკრეტული ფაქტების მეშვეობით წარმოშობს, რომლებსაც მათ წარმოშობას უკავშირებს. ზოგიერთ შემთხვევაში კი, თვით კანონი უშუალოდ წარმოშობს ვალდებულებას. მაგალითად, შვილების მოვალეობა – გაჭირვებული მშობლების სასარგებლოდ ალიმენტების გადახდა – უშუალოდ ბუნებრივ კანონს ეფუძნება. „ამ კლასიფიკაციას ეფუძნებიან: ბიგო-დრეამენე, ფავარა, ჟობერი და მორიკო, რომელთა ნაშრომებში საუბარია, ზოგადად, ხელშეკრულებებსა და ვალდებულებებზე, ხოლო ტრელიარის, ბერტრან დე გრეილისა და ტარიბლის ნაშრომებში – მხოლოდ არასახელშეკრულებო ვალდებულებების წარმოშობაზე“.[116] აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქვაზიკონტრაქტების, დელიქტებისა და ქვაზიდელიქტების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები, საბოლოო ჯამში, ასევე დაფუძნებულია კანონზე, მაგრამ ამ შემთხვევაში, კანონისმიერი ვალდებულებებისაგან განსხვავებით, ისინი კანონიდან წარმოიშობიან არა უშუალოდ, არამედ იმ კონკრეტული ფაქტების მეშვეობით, რომლებსაც კანონის ძალით შეუძლიათ ვალდებულებათა წარმოქმნა.

საალიმენტო ვალდებულება, როგორც კანონისმიერი ვალდებულება, საოჯახო სამართლის ინსტიტუტია. ნათესაური და საქორწინო ურთიერთობების მიუხედავად, სარჩოს გადახდის მოვალეობა არ არის საალიმენტო ვალდებულება, ამ ცნების პირდაპირი გაგებით. მაგალითად, ანაზღაურების გადახდის მოვალეობა იმ პირის მხრიდან, რომელმაც ზიანი მიაყენა სხვა პირის ჯანმრთელობას, რამაც, თავის მხრივ, მისი შრომისუნარიანობის სრული დაკარგვა გამოიწვია, არ განიხილება საალიმენტო ვალდებულებად. ეს მოვალეობა წარმოიშობა არა იმიტომ, რომ პირი ვალდებულია, გაუყოს სხვა პირს თავისი შემოსავლის წილი, არამედ იმიტომ, რომ მას მიყენებული ზიანის ანაზღაურება ევალება. საოჯახო სამართლის შესაბამისად, თუ სარჩოს მიღებაზე უფლებამოსილი პირი ვალდე-

---

115 იხ. *Pothier,* Traité des obligations, Oeuvres de Pothier, contenant les traités du droit français, Paris, 1824, т. I, 61-62, მითითებულია წიგნში: *Агарков М. М.,* Обязательство по советскому гражданскому праву, Типография «Известий Советов депутатов трудящихся СССР», М., 1940, 89.

116 *Агарков М. М.,* Обязательство по советскому гражданскому праву, Типография «Известий Советов депутатов трудящихся СССР», М., 1940, 89.

ბულ პირთან ერთად ცხოვრობს, მაშინ ვალდებულებითი ურთიერთობა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, არ არსებობს. ერთად ცხოვრების პირობებში რჩენის მოვალეობა არ არის ისეთი სიზუსტით განსაზღვრული, რაც აუცილებელია ვალდებულებების შესახებ წესების გამოსაყენებლად. ერთად ცხოვრების პირობებში რჩენის მოვალეობა მჭიდროდ და უწყვეტად გადაბმულია პირად ურთიერთობებთან. აქ ქონებრივი და პირადი ინტერესების გაყოფა მხოლოდ ხელოვნურადაა შესაძლებელი. ზოგადი წესის მიხედვით, ამ შემთხვევაში სარჩო ნატურალური სახით გაიცემა და სხვა პირზე ზრუნვასთან არის დაკავშირებული. შეუძლებელია მშობლების მხრიდან ბავშვების რჩენის გამოყოფა ოჯახში ოჯახური აღმზრდელობითი პროცესისაგან. ამიტომ ოჯახში ცხოვრების პირობებში რჩენის მოვალეობის დარღვევა არ იწვევს ვალდებულების დარღვევის სამართლებრივ შედეგებს, თუმცა განაპირობებს პირადი ოჯახური მოვალეობების დარღვევისათვის სპეციალურად დადგენილი შედეგების დადგომას. საალიმენტო ვალდებულებაში ვლინდება ვალდებულებითი ურთიერთობების ყველა ნიშანი – ერთი პირი (კრედიტორი, ალიმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირი) უფლებამოსილია, მოსთხოვოს მეორე პირს (მოვალეს, ალიმენტის გადახდაზე ვალდებულ პირს) განსაზღვრული მოქმედების შესრულება, კერძოდ, ფულადი სახით, ზოგიერთ შემთხვევაში კი, ნატურალური სახით პერიოდულად გადახდა. ამ ვალდებულებას მნიშვნელოვანი თავისებურებები ახასიათებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც ვალდებულებაა. მის მიმართ გამოიყენება ვალდებულებების შესახებ ზოგადი დებულებების წესები და, უპირველეს ყოვლისა, წესები, რომლებიც ეხება ვალდებულების შესრულებით შეწყვეტას, აგრეთვე მის იძულებით შესრულებას სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მოვალის ქონებიდან გადახდევინების გზით. ვალდებულ პირთან ერთად მცხოვრები პირის რჩენის მოვალეობის შესრულება იმ ქმედებათა შემადგენელი ნაწილია, რომლებითაც ხდება ვალდებული პირის სამომხმარებლო მეურნეობის ფორმირება. მშობლები ბავშვებისათვის საკვებ პროდუქტებს, ტანსაცმელს ისევე ყიდულობენ, როგორც ოჯახისათვის საჭირო სხვა ნივთებს. თუ ალიმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებული პირისაგან ცალკე ცხოვრობს, მაშინ რჩენის მოვალეობა მოსწყდება ამ უკანასკნელის სამომხმარებლო მეურნეობას და გარდაიქმნება სხვა მოვალეობად – გაუყოს ალიმენტის მიღებაზე უფლებამოსილ პირს თავისი შემოსავლის წილი. ამ შემთხვევაში, რჩენის მოვალეობა საალიმენტო ვალდებულებად იქცევა.

მშობლებს ეკისრებათ თავიანთი შვილების რჩენის მოვალეობა. ისინი ვალდებულები არიან, არჩინონ არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო შვილები, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას. არასრულწლოვანი შვილების მიმართ ეს ვალდებულება წარმოიშობა, როცა არსებობს შემდეგი ფაქტობრივი შემადგენლობა: ჯერ ერთი, პირველი ხარისხის ნათესაური კავშირი დაღმავალი ხაზით; მეორე, ბავშვები, რომლებსაც არ მიუღწევიათ სრულწლოვანების ასაკისათვის. სრულწლოვანი შვილების შემთხვევაში, აუცილებელია: ჯერ ერთი, პირველი ხარისხის ნათესაური კავშირი დაღმავალი ხაზით; მეორე, შვილის შრომისუუნარობა და საარსებო წყაროს არარსებობა.

იურიდიულ ლიტერატურაში აქტუალურია საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი იურიდიული ფაქტის საფუძველზე წარმოიშობა საალიმენტო ვალდებულება. საალიმენტო ვალდებულების წარმოსაშობად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ორ იურიდიულ ფაქტს: ნათესაობის არსებობის ფაქტს (ან მის შემცვლელ, მაგალითად, შვილების არსებობის ფაქტს) და ქორწინებას. არსებობს მოსაზრება, რომ საალიმენტო ვალდებულების წარმოშობის საფუძველი ორი სახის იურიდიული შემადგენლობაა, რომელთაგან თითოეული შეიცავს: „ფაქტს – მდგომარეობას“ და „ფაქტს – მოქმედებას“. საალიმენტო შეთანხმების საფუძველზე ალიმენტის გადახდა არის ნათესაობის მდგომარეობა და ორმხრივი შეთანხმება, ხოლო მეორე შემთხვევაში, „ფაქტს – მდგომარეობას“ ემატება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება“.[117] არანაირ ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ნათესაური ან ქორწინებიდან გამომდინარე ურთიერთობებით დაკავშირებული პირების სამართლებრივი მდგომარეობა განსხვავდება იმ სუბიექტების იურიდიული პოზიციისაგან, რომლებიც არც ნათესაურ და არც ცოლქმრულ კავშირში არ იმყოფებიან. ნათესაური ურთიერთობები იურიდიულ საფუძველს ქმნიან კონკრეტული სამართლებრივი კავშირების წარმოქმნისა და არსებობისთვის. საოჯახო ურთიერთობების წინამორბედი სამართლებრივი ურთიერთობები განაპირობებენ საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობას, და ამ კუთხით იურიდიულ ფაქტად გვევლინებიან. ამასთან დაკავშირებით, ისეთი იურიდიული ფაქტი, როგორიცაა მდგომარეობა, რომელიც, მკვლევართა აზრით, ვინაიდან იგი იურიდიული ფაქტია, ხანგრძლივად არსებობს და მუდმივად ან პერიოდულად სამართლებრივ შედეგებს იწვევს.[118]

„სამართლის თეორია იურიდიულ ფაქტებს სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობას, ცვლილებასა და შეწყვეტას უკავშირებს“.[119] ეს ნიშნავს, რომ „იურიდიული ფაქტი უნდა იყოს მყისიერი და დროში ზუსტად განსაზღვრული. თუ განგრძობადი იურიდიული ფაქტის კონცეფციას გავიზიარებთ, მაშინ გამოდის, რომ სამართლებრივი ურთიერთობა თითქოს „გაურკვევლობაა“, ის წარმოიშობა და, იმავდროულად, არ წარმოიშობა“.[120] მდგომარეობა არის განგრძობადი სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც წარმოიშობა იურიდიული ფაქტების ზემოქმედების შედეგად. მაგალითად, ნათესაობის მდგომარეობა ბავშვის დაბადების ფაქტიდან გამომდინარეობს და ბავშვის დაბადებამდე არ არსებობს. დაბადების მომენტიდან წარმოიშობა მშობლების უფლება-მოვალეობები, რომლებსაც აქვთ განგრძობადი ხასიათი, და ამ კუთხით განგრძობადი სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს შეადგენენ. თავის დროზე ერთ-ერთმა მეცნიერმა მიუთითა, რომ ამა თუ იმ მდგომარეობისადმი პირის კუთვნილება „თავისი არსით სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებული პირის თვისებაა, და არა მისი უფლება“.[121]

---

117 *Абашин Э. А.,* Семейное право, «Форум-Инфра М», М., 2003, 75.

118 Советское семейное право, Под ред. *Рясенцева В.А.,* «Наука», М., 1982, 83.

119 *Веберс Я. Р.,* Правосубъектность граждан в советском и семейном праве, «Зинатне», Рига, 1976, 186.

120 *Халфина Р. О.,* Общее учение правоотношении, «Юрид. лит.», М., 1974, 31.

121 *Победоносцев К. П.,* Курс Гражданского права, Часть 1, «Статут», М., 2002, 73.

ამგვარად, პირის მდგომარეობა სხვა არაფერია, თუ არა სამართლებრივი სტატუსი, ხოლო იურიდიულ ფაქტად უნდა განვიხილოთ პირის მიერ კონკრეტული სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული იურიდიული სტატუსის მოპოვების მომენტი. ამასთან, კონკრეტული სამართლებრივი სტატუსის მოპოვებას შეიძლება მიეცეს სამართლებრივი ურთიერთობის ფორმა. ზოგ მკვლევარს მიაჩნია, რომ „თვით სამართლებრივი ურთიერთობები შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც იურიდიული ფაქტები“.[122] ამ მოსაზრებას შეიძლება დავეთანხმოთ, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ იურიდიული აქტები, როგორც სამართლებრივი ურთიერთობების შედეგი, აგრეთვე იურიდიულ ფაქტებად განიხილება.[123]

ხშირ შემთხვევაში საოჯახო სამართლებრივი მდგომარეობები გაიგივებულია საოჯახო ურთიერთობებთან. მაგალითად, ცოლქმრობის მდგომარეობა ნიშნავს საქორწინო სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას, ხოლო მშობელთა და შვილთა შორის ნათესაობის მდგომარეობა – მშობლისმიერი სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას (თუ მშობელს ჩამორთმეული არა აქვს მშობლის უფლება). სხვა მდგომარეობები საოჯახო ურთიერთობებისაგან დამოუკიდებლად არსებობს, თუმცა გარკვეულ გარემოებაში საოჯახო სამართლებრივი იურიდიული ფაქტების როლს ასრულებენ. მაგალითად, შრომისუუნარო ან გაჭირვებულ მდგომარეობაში შესაძლოა იმყოფებოდეს მარტოხელა პირი, რომელიც საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი არ არის; ამავე დროს, თუ შრომისუუნარო ან გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება სრულწლოვანი შვილი, მაშინ იგი არის იურიდიული შემადგენლობის ელემენტი, რომელიც აუცილებელია საალიმენტო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისათვის.

რაც შეეხება თვით ნათესაობის ფაქტს, აქ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ პირდაპირი და გვერდითი ნათესაური ხაზები: ნათესაობა პირდაპირი ხაზით დაფუძნებულია ერთი პირის მეორისაგან წარმოშობაზე. ნათესაობის პირდაპირი ხაზი შეიძლება იყოს დაღმავალი – წინაპრებიდან შთამომავლობისაკენ მიმართული (მშობლები, შვილები, შვილიშვილები და ა.შ.), ან აღმავალი – შთამომავლობიდან წინაპრებისაკენ მიმართული (შვილიშვილები, შვილები, მშობლები). გვერდითი ხაზია მაშინ, თუ ნათესაობა დაფუძნებულია სხვადასხვა პირის საერთო წინაპრისაგან წარმოშობაზე: და-ძმებისათვის საერთო წინაპარია დედა და მამა ან ერთერთი მშობელი; თუ ბავშვებს საერთო მშობლები ჰყავთ, ისინი ღვიძლი ძმები (დები) არიან, ხოლო თუ საერთოა მხოლოდ ერთი მშობელი, – დე-

---

122 იხ. *Казанцев М.Ф.*, Гражданско-правовое договорное регулирование: исходные положения концепции//Правоведение, 2003, 2, 90-102; *Данилин В.И., Реутов С.И.,* Юридические факты в советском семейном праве, «Уральский университет», Свердловск, 1989, 9, 10; *Брагинский М. И., Витрянский В.В.,* Договорное право, Книга первая: обшие положения, изд. 3-е, «Статут», М., 2000-2006, 220; *Красавчиков О. А.,* Юридические факты в советском гражданском праве, «Госюриздат», М., 1958, 68-70.

123 იხ. *Антокольская М. В.,* Семейное право, «Юрист», М., 2004, 93; *Рясенцев В. А.,* Юридические акты в семейном праве //Проблемы охраны прав граждан и огранизаций в свете положений Конституции СССР: Труды / ВЮЗИ, М., 1980, 117, 118; *Волчанская Л.М.,* Семейное право, 2-е изд., «ВолГУ», Волгоград, 2004, 28.

დით/მამით ერთი ძმები (დები). ერთი მამისა და ორი სხვადასხვა დედისაგან შობილ ბავშვებს მამით ერთნი ეწოდებათ, ხოლო თუ მათ ერთი დედა ჰყავთ და სხვადასხვა მამა, – დედით ერთნი. საოჯახო სამართალში სრულყოფილ და არასრულყოფილ ნათესაობას ერთნაირი იურიდიული მნიშვნელობა აქვს. საალიმენტო სამართლებრივი ურთიერთობა შესაძლებელია, წარმოიშვას როგორც ღვიძლ ძმებს (დებს) შორის, ასევე დედით-/მამით ერთ ძმებს (დებს) შორის. დედით/მამით ერთი ძმები (დები) უნდა განვასხვაოთ დედინაცვლის/მამინაცვლის შვილებისაგან – ერთ-ერთი მეუღლის წინა ქორწინებიდან გაჩენილი ბავშვებისაგან. მათ შორის ნათესაობის მდგომარეობა არ წარმოიშობა.

საალიმენტო ვალდებულების წარმოშობისათვის სამოქალაქო კანონმდებლობა სამართლებრივ მნიშვნელობას ანიჭებს ნათესაობის ხარისხს. ნათესაობის ხარისხის დადგენა ორ პირს შორის ნათესაური კავშირის წარმოქმნამდე არსებული შობის (მათი წინაპრის გარდა) რიცხვის მიხედვით ხდება. მაგალითად, ბაბუასა და შვილიშვილს შორის არსებობს მეორე ხარისხის ნათესაური კავშირი, ვინაიდან მისი წარმოქმნისათვის საჭიროა, რომ დაიბადოს (ბაბუის გარდა): 1) შვილიშვილის დედა (ბაბუის ქალიშვილი); 2) თვით შვილიშვილი; დეიდას (მამიდას) და ძმის(დის)შვილს მესამე ხარისხის ნათესაობა აკავშირებთ, რადგანაც მას წინ უსწრებდა დაბადების სამი ფაქტი, ანუ უნდა დაიბადოს: 1) დეიდა (მამიდა); 2) ძმის-(დის)შვილის დედა ან მამა, შესაბამისად, დეიდის (მამიდის) და ან ძმა; 3) ძმის(დის)შვილი. სწორედ ამიტომ საოჯახო სამართალში იურიდიული მნიშვნელობა აქვს არა ყველა ხარისხის, არამედ მხოლოდ ე.წ. ახლო ნათესაობას.[124]

მოქმედი საოჯახო კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მშობლებსა და შვილებს შორის საალიმენტო ვალდებულების წარმოშობისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს პირდაპირი ხაზით პირველი ხარისხის (მშობლები და შვილები) და მეორე ხარისხის (ბაბუა, ბებია და შვილიშვილები) ნათესაობა, ხოლო გვერდითი ხაზით – მეორე ხარისხის ნათესაობა (ღვიძლი ძმები (დები) და დედით/მამით ერთი ძმები (დები)). სხვა შემთხვევაში, ნათესაობის ხარისხიდან გამომდინარე, სამართლებრივ ფარგლებს სცილდება ბავშვის მოთხოვნა, საალიმენტო ურთიერთობა ჰქონდეს სხვა ნათესავებთან (ანუ დედის, მამის, ბაბუის, ბებიის, და-ძმების გარდა) და, შესაბამისად, სხვა ნათესავების მოთხოვნაც ბავშვთან ამგვარი ურთიერთობისათვის.[125] ნათესაობის ფაქტის არარსებობისას საალიმენტო ვალდებულება წარმოიშობა მამინაცვალს, დედინაცვალსა და მათ გერს შორის, ასევე ფაქტობრივ აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (სკ-ის 1226-ე, 1227-ე, 1229-ე მუხლები).

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საალიმენტო ვალდებულება არის კანონისმიერი ვალდებულება, რომლის წარმოშობას კანონი კონკრეტულ იურიდიულ ფაქტს, განსაზღვრული ხარისხის ნათესაობით (ან მასთან გათანაბრებულ) მდგომარეობას უკავშირებს. ყველა შემთხვევაში, ფაქტობრივი შემადგენლობის ელემენტი, რომლის ძალითაც

---

124 იხ. *Муратова С. А.*, Семейное право, 2-е издание, «Эксмо», М., 2005, 51.

125 იქვე, 52.

წარმოიშობა რჩენის მოვალეობა, არის განსაზღვრული ურთიერთობა ვალდებულ პირსა და უფლებამოსილ პირს შორის (ქორწინება, განსაზღვრული ხარისხის ნათესაური კავშირი, ქორწინება ბავშვის მამასთან ან დედასთან, ბავშვის აღსაზრდელად ან სარჩენად აყვანის ფაქტი, შვილად აყვანა). მშობლების (მშვილებლების) მიერ არასრულწლოვანი შვილების (შვილობილების) რჩენის მოვალეობის შემთხვევაში, ეს ურთიერთობები არის ამომწურავი ფაქტობრივი შემადგენლობა, რომელიც რჩენის მოვალეობის წარმოშობას განაპირობებს. მშობლები ვალდებულები არიან, არჩინონ არასრულწლოვანი შვილები, იმის მიუხედავად, ფლობენ თუ არა ისინი საკუთარ ქონებას. მშობლების მიერ მიღებული შემოსავალი განკუთვნილია ასევე ბავშვების მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. „მშობლებსა და არასრულწლოვან ბავშვებს შორის ურთიერთობა თავისთავად რჩენის მოვალეობას წარმოშობს, ხოლო თუ ბავშვი მშობლისაგან ცალკე ცხოვრობს და მშობელი წყვეტს ბავშვის შენახვის მოვალეობის განხორციელებას, ამ მომენტიდან არსებობს საალიმენტო ვალდებულება, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით“.[126]

[126] *Агарков М. М.,* Обязательство по советскому гражданскому праву, Типография «Известий Советов депутатов трудящихся СССР», М., 1940, 165.

თავი 3. მშობლებისა და შვილების პირადი უფლება-მოვალეობები

§3.1. ოჯახში საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება

მშობლებისა და შვილების პირადი უფლებები და მოვალეობები არაქონებრივი ხასიათისაა. მშობლებისა და შვილების ურთიერთობის პირადულობა იმით ვლინდება, რომ მშობელთა სამართლებრივი ურთიერთობები მკაფიოდ გამოხატულ სუბიექტურ ხასიათს ატარებს და შეუძლებელია ვინმესთვის მათი გადაცემა, თუნდაც მშობლების ან შვილების ნება-სურვილის შემთხვევაში. ამ უფლება-მოვალეობებს არა აქვთ, და არც შეიძლება ჰქონდეთ, მატერიალური ხასიათი, რის გამოც შეუძლებელია მათი შეფასება. ეს უფლება-მოვალეობები ჩნდება ბავშვის დაბადებისთანავე და წყდება ბავშვის სრულწლოვანების მიღწევის მომენტში, ან არასრულწლოვნის დაქორწინებისა და მისი ნაწილობრივ ემანსიპაციის შედეგად. პირად უფლებებს მიეკუთვნება: შვილისათვის გვარის, სახელისა და მამის სახელის მიცემა; მშობლების უფლება და მოვალეობა შვილების აღზრდაზე; მშობლის უფლება, წარმოადგინოს და დაიცვას შვილების ინტერესები და სხვ. კანონში შვილების უფლებები საკმაოდ ფართოდ არის რეგლამენტებული, რაც ბავშვისადმი, როგორც მშობელთა ზრუნვის პასიური ობიექტისადმი, ტრადიციული მიდგომის დაძლევის საშუალებას იძლევა. „მსოფლიოში ტრადიციული (პატრიარქალური) ურთიერთობა შვილების მიმართ დიდი ხნის განმავლობაში დაფუძნებული იყო ფაქტზე, რომ ბავშვი არის მშობლის ავტორიტეტისა და უფლებების ობიექტი, თუმცა ბავშვის უფლებათა კონვენციამ შეცვალა ეს მიდგომა, როცა ბავშვი უფლებების მფლობელად აქცია“.[127] კონვენცია ბავშვს იხილავს როგორც პირს, რომელსაც აქვს შესაბამისი უფლებები და მათი გარკვეულწილად დამოუკიდებლად განხორციელებისა და დაცვის უნარი. ამ კონვენციის თანახმად, ბავშვად ითვლება პირი, რომელსაც არ მიუღწევია 18 წლის ასაკისათვის (სრულწლოვანებისათვის).[128] „ბავშვის უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, წარმოიშობა მისი დაბადების მომენტიდან“.[129]

პირად უფლებებს მიეკუთვნება:

ა) ოჯახში ცხოვრებისა და აღზრდის უფლება;

ბ) მშობლებსა და სხვა ნათესავებთან ურთიერთობის უფლება;

გ) დაცვის უფლება;

დ) ოჯახში საკუთარი აზრის გამოხატვის თავისუფლება;

ე) სახელის, გვარისა და მამის სახელის უფლება.

---

127 *Cvejic O. J.,* (Serbia), Challenges of the Modern Family-Draft Civil Code of Serbia Relating to Family Law Relations, ნაშრომთა კრებულში: The International Survey of Family Law, (Atkin B., Banda F. (ed.)), Jordan Publishing Limited, Great Britain, Bristol, 2012, 306.

128 UN Convention on the Rights of the Child, Adopted and opened for signature, ratification and accession by General Assembly resolution 44/25 of 20 November 1989, <http://www.globaldetentionproject.org/fileadmin/docs/Convention-on-the-Rights-of-the-Child.pdfPreamble> [29.09.13]

129 *ჩიკვაშვილი შ.,* საოჯახო სამართალი, „მერიდიანი“, თბ., 2004, 291.

მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობების ასეთი სიმრავლის მიუხედავად, ნაშრომის კვლევის საგანია ის უფლებები და მოვალეობები, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. მათგან კი მეტად საინტერესოა: ბავშვის უფლება სახელზე, მისი სამართლებრივი ბუნების დადგენა და ამ უფლების განხორციელების დაცვის მექანიზმის განხილვა; ბავშვის საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული პრობლემები მშობლების ცალ-ცალკე ცხოვრებისას და იმ მშობლის მიერ განსახორციელებელი სავალდებულო ქმედებების დადგენა, რომელთანაც არასრულწლოვანი რჩება სამეურვეოდ (ე.წ. custody refers); აღზრდისა და აღზრდის პროცესში არასათანადო მოპყრობის საკითხები; მშობლების მიმართ არსებული პასუხისმგებლობის ზომები; ასევე ბავშვთა ინტერესების დაცვა და წარმომადგენლობა.

ბავშვის პირად უფლებებში უნდა მოვიაზროთ არა მხოლოდ საოჯახო კანონმდებლობით რეგლამენტებული უფლებები, არამედ ის უფლებებიც, რომლებიც ბავშვთა უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტებით არის გათვალისწინებული და რეგლამენტებული.

საქართველოს სამართლებრივი სისტემის შემადგენელი ნაწილია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული და მიღებული პრინციპები, საერთაშორისო ხელშეკრულებები. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ (საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი)[130] და არის ქართული საოჯახო სამართლის წყაროც.

„ბავშვის უფლებათა კონვენციის“ თანახმად, ბავშვს ენიჭება საკუთარი ინდივიდუალობის შენარჩუნების უფლება, მოქალაქეობის, სახელისა და ოჯახური კავშირების ჩათვლით (მე-8 მუხლი); უფლება, ჰქონდეს ცხოვრების გარკვეული დონე, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის (27-ე მუხლი);[131] უფლება, გამოხატოს საკუთარი მოსაზრება გარესამყაროს მიმართ და იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მის ინტერესებს ეხება და სხვ.

„უფროსები არ მისმენენ, როცა განსხვავებულად ვფიქრობ“ – ფინელი ბავშვის ეს ციტატა ერთ ფოკუსში მოქცეული მთავარი დასკვნების ილუსტრაციაა. იგი ფინეთში ბავშვთა ჩართულობის შესახებ პოლიტიკის განხილვის ნაწილია: „ბავშვები, რომლებსაც არ უსმენენ, თავიანთ თავს მიიჩნევენ იმედგაცრუებულებად, გაბრაზებულებად, რომელთა აზრი არავის აინტერესებს. მათი სიტყვებით რომ ვთქვათ: „მე ვგრძნობ, რომ ჩემი

---

130 საქართველოს კონსტიტუცია, 2012 წლის 11 სექტემბრის მდგომარეობით, „იურისტების სამყარო“, თბ., 2012, 8.

131 UN Convention on the Rights of the Child, Adopted and opened for signature, ratification and accession by General Assembly resolution 44/25 of 20 November 1989, article 8, article 27, <http://www.globaldetentionproject.org/fileadmin/docs/Convention-on-the-Rights-of-the-Child.pdfPreamble> [29.09.13].

აზრი არ არის მნიშვნელოვანი.., რომ მე ძალიან პატარა ვარ, სხვებზე ცუდი ვარ“.[132] ყველასათვის ცნობილია, რომ თვითშეფასება მნიშვნელოვანი ასპექტია ყოველი ადამიანის პირადი განვითარებისათვის. ეს გამოიყენება კონკრეტულად ბავშვების მიმართ, რადგან ის, თუ როგორ აღიქვამენ ისინი საკუთარ თავს ადრეულ ასაკში, გავლენას მოახდენს სხვებთან მათ ურთიერთობებზე და მათ მომავალ განვითარებაზე. ამიტომაც ახალგაზრდა ადამიანმა, რათა დაიცვას თავისი უფლებები და გახდეს თავდაჯერებული ზრდასრული ადამიანი, აუცილებელია იგრძნოს, რომ უფროსები მას პატივს სცემენ. ის სარგებელი, რომელიც მოაქვს ჩართულობას ინდივიდუალური ბავშვისათვის და ის, თუ როგორ ცვლის გადაწყვეტილების მიღების პროცესს, არის ორი კარგი მიზეზი ბავშვის მონაწილეობის გასაძლიერებლად. თუმცა მთავარი მიზეზი, რისთვისაც ევროპის საბჭო ხელს უწყობს ბავშვის მონაწილეობას, არის ის, რომ ბავშვებს აქვთ ჩართულობის უფლება და ეს უფლება დღეს არცთუ ისე დაცულია ევროპაში“.[133]

სამოქალაქო კანონმდებლობა არ მიუთითებს ბავშვის იმ მინიმალურ ასაკზე, როდესაც მას უჩნდება საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება, თუმცა კონვენცია ამყარებს მოსაზრებას, რომ ეს უფლება ენიჭება იმ არასრულწლოვანს, რომელსაც აქვს უნარი, ჩამოაყალიბოს საკუთარი შეხედულებები. გამომდინარე აქედან, როგორც კი ბავშვი მიაღწევს განვითარების ისეთ დონეს, როცა ამის გაკეთებას შეძლებს, მას უფლება ენიჭება, გამოხატოს ოჯახში საკუთარი აზრი ნებისმიერ თემაზე, მისი ინტერესების ფარგლებში. ამ დროიდან მას აქვს უფლება, მისი მოსაზრება მოსმენილ იქნეს ნებისმიერი სასამართლო ან ადმინისტრაციული განხილვის დროს, რომელიც მას უშუალოდ ეხება. გარემოებების მიხედვით, შესაძლებელია ბავშვის სასამართლოში გამოძახება მისი აზრის გასარკვევად. თუ სასამართლო სხდომაზე დასწრებამ შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ბავშვზე, მაშინ მისი გამოკითხვა ხდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოთა წარმომადგენლების მიერ სასამართლო სხდომის ფარგლებს გარეთ. ბავშვის გამოკითხვისას სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბავშვის მოსაზრებების სრულყოფილებისა და დამოუკიდებლობის შეფასებას, მასზე ზეგავლენის არარსებობას დაინტერესებული პირების მხრიდან, ასევე ბავშვის უნარს, გააცნობიეროს საკუთარი ინტერესები განსახილველ საკითხთან მიმართებით.[134]

ბავშვის ასაკიდან გამომდინარე, მის აზრს სხვადასხვა სამართლებრივი მნიშვნელობა ენიჭება. ხსენებული კონვენციის მე-12 მუხლი მიუთითებს, რომ „ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად“.[135] აუცილებელია 10 წლის ასაკს მიღწეული ბავშვის აზრის გათვალისწინება, თუმცა ასევე მოსმე-

---

132 Child and Youth Participation in Finland, Programme “Building a Europe for and with Children”, A Council of Europe Policy Review, Council of Europe, 2011, 5, <http://www.coe.int/t/dg3/-children/participation/PolicyReview_en.pdf> [25.10.13].

133 იხ. იქვე.

134 იხ. *Антокольская М. В.,* Семейное право, «Юрист», М., 2004, 189.

135 UN Convention on the Rights of the Child, Adopted and opened for signature, ratification and accession by General Assembly resolution 44/25 of 20 November 1989, article 12, <http://www.globaldetentionproject.org/fileadmin/docs/Convention-on-the-Rights-of-the-Child.pdfPreamble> [21.01.14].

ნილ უნდა იქნეს ამ ასაკამდე თავისი შეხედულებების გამოხატვის უნარის მქონე ბავშვის აზრიც, მაგრამ მისი მცირეწლოვანების გამო, მშობლები, მეურვეები და თანამდებობის პირები, რომლებიც არ ეთანხმებიან მის აზრს, ვალდებულნი არ არიან, დაასაბუთონ თავისი უთანხმოება. ამ ასაკში ბავშვი საკმარისად მოწიფული ჯერ არ არის, რაც საფუძველია იმისა, რომ ხშირად მას შეუძლია, ჩამოაყალიბოს თავისი აზრი, მაგრამ არ შესწევს უნარი, გააცნობიეროს საკუთარი ინტერესები.

ბავშვის აზრის გათვალისწინება გულისხმობს, რომ, ჯერ ერთი, აზრი მოსმენილი იქნება და, მეორე, თუ პირი, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის ინტერესებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას, არ ეთანხმება მის აზრს, ის ვალდებულია დაასაბუთოს, რა მიზეზების გამო არ იქნა ბავშვის სურვილი დაკმაყოფილებული. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო კანონმდებლობა ბავშვის ნებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ზოგ შემთხვევაში გარკვეული ქმედებების განხორციელება საერთოდ შეუძლებელი ხდება, თუ ამას ეწინააღმდეგება 10 წლის ასაკზე უფროსი ბავშვი. საუბარია ბავშვის გვარის შეცვლაზე, მშობლის უფლებების აღდგენაზე, ბავშვის გაშვილებაზე, გაშვილების დროს ბავშვის დაბადების ადგილისა და თარიღის შეცვლაზე, შვილად აყვანის ბათილად ცნობაზე – ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სიტუაცია ბავშვის მნიშვნელოვან ინტერესებს შეეხება (სსკ-ის 1196-ე, 1209-ე, 1255-ე, 1264-ე, 1272-ე მუხლები).[136] სახელსა და სხვა მაიდენტიფიცირებელ ნიშნებზე (დაბადების ადგილი და თარიღი) უფლებით ბავშვი სარგებლობს იმავე პირობებით, როგორც სრულწლოვანი პირი. არავის შეუძლია, შეცვალოს ისინი ბავშვის თანხმობის გარეშე. მშობლის უფლებების აღდგენა, ბავშვის გაშვილება ბავშვის მთელი ცხოვრების შეცვლას იწვევს და აიძულებს მას, იცხოვროს ერთიან ოჯახში კონკრეტულ პირებთან. ამგვარი ქმედების განხორციელება ბავშვის სურვილის საწინააღმდეგოდ შეუძლებელია, თუმცა ეს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მის ინტერესებს. ამასვე ადასტურებს სასამართლო პრაქტიკა. სასამართლომ შესაძლოა, არ ჩათვალოს ბავშვის აზრი მნიშვნელოვნად, თუ არ იქნა დადასტურებული, რომ ეს შეესაბამება მის ინტერესებს. მაგალითად, ერთ-ერთი საქმის განხილვისას, რომელიც ეხებოდა ბავშვის გვარის გამოცვლას, უზენაესმა სასამართლომ უარი უთხრა მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე, იმ მოტივით, რომ „ამ საკითხზე დავის შემთხვევაში სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაითვალისწინოს ბავშვის ინტერესები. მარტო ის გარემოება, რომ ბავშვს, რომელიც დავის გადაწყვეტის დროს 12 წლის იყო, სურს, ატაროს დედის გვარი, არ შეიძლება ჩაითვალოს ბავშვის ინტერესების დაცვად. მოსარჩელე ვერც სასარჩელო განცხადებაში და ვერც სასამართლო სხდომაზე ვერ განმარტავს, თუ რატომ არის დედის გვარის მიკუთვნება ბავშვის ინტერესებში. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა

[136] სხვადასხვა საერთაშორისო კვლევამ აჩვენა, რომ, სადაც ბავშვი ჩართულია გადაწყვეტილების მიღების პროცესში, იქ ბევრად უკეთესი შედეგი დგება. იხ. *Skjorten K.*, *Barlindhaug R.,* The Involvement of Children in Decisions About Shared Residence, International Journal of Law, Policy and the Family, volume 21, issue N 3 2007, 373-385, <http://lawfam.oxfordjournals.org/content/21/3/373.short?rss=1> [25.10.13].

თვლის, რომ სარჩელი დაუსაბუთებელია, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას“.[137]

ასევე საინტერესოა უზენაესი სასამართლოს კიდევ ერთი გადაწყვეტილება, სადაც მითითებულია, რომ არასრულწლოვნის მიერ გამოხატული აზრი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მის ინტერესს, სხვა შემთხვევაში, სასამართლო არ გაითვალისწინებს ბავშვის სურვილს. უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას გაითვალისწინა სპეციალისტის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ბავშვის მიერ გამოთქმული ნება ეწინააღმდეგებოდა მის ინტერესს, როგორც ბავშვის ასაკის, ასევე მისი მამასთან დამოკიდებულების გამო, ხოლო ვერბალურად გამოთქმული არასრულწლოვნის აზრი რეალურად არ ემთხვეოდა მის შინაგან ნებას, რაც სწორედ დედასთან საცხოვრებლად გადასვლას გულისხმობდა, – ეს გარემოებები კი გახდა საფუძველი სარჩელზე უარის თქმისა, ბავშვის საცხოვრებელ ადგილად მამის საცხოვრებელი ადგილი განსაზღვრულიყო.[138]

ყოველივე აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ ბავშვის აზრი მნიშვნელოვანია და ყურადსაღები, განსაკუთრებით, თუ ის 10 წელზე მეტი ასაკისაა; ამასთან, დაცული უნდა იქნეს მისი კანონიერი ინტერესი, რაც შესაძლებელია ყოველი ინდივიდუალური საქმის შესწავლის, სხვადასხვა სპეციალისტის ჩართვისა და სწორი გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე. რაც შეეხება ამ უფლების განხორციელების მექანიზმს, თანამედროვეობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს და აღიარებს, რომ „მთავარი ასპექტი ბავშვის, როგორც უფლების მფლობელისა, არის ის, რომ ვიღაცას ამ დროს აქვს მოვალეობა, პატივი სცეს სხვის უფლებას“.[139] ამ საკითხთან დაკავშირებით, სტრასბურგში 2015 წლის 12-13 მაისს გაიმართა ევროპის ბავშვთა უფლებების კომიტეტის შეხვედრა (2nd meeting of the Committee of Experts on the Council of Europe strategy for the Rights of the Child, Strasbourg), სადაც წარმოდგენილ იქნა ახალი სტრატეგია ბავშვთა უფლებების შესახებ, რომლიც ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად გადაწყვეტილების მიღების პროცესში სწორედ ბავშვის მონაწილეობას მიიჩნევს[140]. ბავშვთა უფლებების დაცვისა და მათი აზრის გათვალისწინების პრიორიტეტულობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ევროპის ბავშვთა უფლებების კომიტეტი მიუთითებს სახელმწიფოებს, დანერგონ „ბავშვთა ომბუდსმენის“ ინსტიტუტი.[141] „ომბუდსმენი“ გახდა ცნება იმ პირის ან ორგანოს მნიშვნელობის განსაზღვრისათვის, რომელიც იცავს პირის ან ინდივიდე-

---

137 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე № 3კ/1047-02, 19/12/2002, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [18.01.14].

138 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე №ას-211-204-2012, 19/07/2012, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [18.01.14].

139 *Doek J. E.,* What Does the Children's Convention Require? (Professor of Law, Vrije Universiteit in Amsterdam, and Chairperson of the U.N. Committee on The Rights of the Child), Spring, 20 Emory Int'l L, 2006, 202, <http://www.law.emory.edu/fileadmin/journals/eilr/20/20.1/Doek.pdf>, [24.02.14].

140 იხ. Draft Strategy for the Rights of the Child 2016-2019, http://www.coe.int/t/dg3/children/DECSENF/DECS-ENF_2nd_meeting_en.asp, [17.05.2015].

141 იხ. The Role of Independent National Human Rights Institutions in the Protection and Promotion of the Rights of the Child, CRC, U.N. Doc. CRC/GC/2002/2, <www.unhchr.ch/tbs/doc.nsf/(symbol)-/CRC.GC.2002.2.En> [24.012.14].

ბის ჯგუფის ინტერესებს, მოქმედებს მათი სახელით და ამყარებს უკეთეს პირობებს მათი ინტერესების შესაბამისად“.[142] ხოლო ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ შეიმუშავა რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისათვის: „თუ არ ჰყავთ, დანიშნონ სპეციალური ბავშვთა ომბუდსმენი, რომელიც ინფორმაციას მიაწოდებს ბავშვებს მათი უფლებების შესახებ, ითათბირებს მათთან, გამოჰკითხავს და, შესაძლოა, მათი სახელითაც იმოქმედოს“.[143] დღეისათვის ოცდაათზე მეტი მსგავსი ორგანო მოქმედებს სხვადასხვა ქვეყანაში, რაც სახელმწიფოს მხრიდან ბავშვთა უფლებების დაცვის გარანტიას იძლევა.

§3.2. სახელის უფლება

საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილი ზოგიერთი უფლება ბავშვისა შემდგომში შეიძლება სამოქალაქო უფლებებში იყოს ტრანსფორმირებული. ამ ჭრილში საინტერესოა ბავშვის სახელის უფლების განსაზღვრის საკითხი, რომელიც საოჯახო კანონმდებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია.

სახელს ფლობს ნებისმიერი ადამიანი. მეცნიერები დიდი ხანია კამათობენ ბავშვის ამ უფლების სამართლებრივი ბუნების შესახებ. გამოთქმულია მოსაზრებები, რომ სახელის უფლება არის ადმინისტრაციული უფლება,[144] საოჯახო ან ადმინისტრაციული უფლება,[145] ან სამოქალაქო უფლება.[146] „სახელის უფლება, რომელიც პიროვნებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ამ პიროვნების უფლებაა“.[147] ამ უფლების განუყოფელი თვისებაა სახელმწიფოებრივი იძულების წესით მისი რეალიზაციის უნარი. თუ ამ უფლების მფლობელს ხელს უშლიან მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებაში, მას უფლება აქვს, სარჩელით მიმართოს სასამართლოს. სახელის უფლება არა მხოლოდ უფლებამოსილი პირის ქცევის იურიდიულ შესაძლებლობას განსაზღვრავს, არამედ სხვა პირებსაც ავალდებულებს, უზრუნველყონ თავისი სათანადო ქცევა.

სახელთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებამოსილ სუბიექტს უპირისპირდება ყველა სხვა სუბიექტი ვალდებული პი-

---

142 *Flekkoy M. G.,* The Childrens Ombudsman as an Implementor of Childrens Rights, 1996, 353, 355. www.docstoc.com/docs/64785967/California-Relators-Association, <ouralexander.org/vaccines.doc> [24.02.14].

143 Recommendation on the Rights of Children, Eur. Parl. Ass. 27th Sess., Doc. No. 1121, 1990, <assembly.coe.int/Documents/AdoptedText/TA90/erec1121.htm> [24.02.14].

144 იხ. *Иоффе О. С.,* Советское гражданское право, Том 1, «ЛГУ», Л., 1971, 151.

145 იხ. *Братусь С. Н.,* Предмет и система советского гражданского права, «Госюриздат», М., 1963, 80.

146 იხ. *Красавчиков О. А.,* Советское гражданское право, Том 1, «Высшая школа», 1972, 155, *Малеин Н. С.,* Охрана личных (неимущественных) прав граждан, В кн.: Развитие советского гражданского права на современном этапе / под ред: *Мозолина В.П.,* «Наука», М., 1986, 209-213.

147 *Фадеева Т.А.,* Личные права и обязанности граждан в семейных отношениях, «Правоведение», 1988, №2, 62.

რების სახით. ეს არის აბსოლუტური სამართლებრივი ურთიერთობა, რომელშიც კონკრეტიზებულია ერთი მხარე – უფლებამოსილი სუბიექტი, ხოლო ყველა სხვა პირს ეკისრება ვალდებულება, არ დაარღვიოს აბსოლუტური უფლება.

სახელის უფლება, როგორც აბსოლუტური შინაარსის მქონე, უნდა განვასხვაოთ მშობლების უფლებისაგან, შეურჩიონ თავიანთ შვილს სახელი. სახელის შერჩევასთან დაკავშირებული მშობლების უფლება-მოვალეობანი სხვა სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს ქმნიან. ეს უფლება უკვე შეფარდებითი სამართლებრივი ურთიერთობაა, ვინაიდან ის პირდაპირ მიმართულია მშობლის კონკრეტულ ვალდებულებაზე. საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად, სახელის შერჩევის, როგორც ასეთის, შესახებ საუბარია სამოქალაქო კოდექსის საოჯახო სამართლის ნაწილის ნორმებში, კერძოდ: შვილს სახელს არქმევენ მშობლები ურთიერთშეთანხმებით (სსკ-ის 1194-ე მუხლი),[148] მაშინ, როდესაც სსკ-ის მე-17 მუხლში საუბარია მოქალაქის სახელის უფლებაზე და ასევე სამოქალაქო ბრუნვაში საკუთარი სახელის გამოყენების შესაძლებლობაზე. განვითარების სტადიის მიხედვით, სახელის უფლება უნდა განვიხილოთ უფლებაუნარიანობის ან უფლების (კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის შემდეგ) კონტექსტში. თუ უფლებაუნარიანობაში ვიგულისხმეთ ყველა მოქალაქისათვის საერთო და ერთიანი კატეგორია, მაშინ სახელის უფლება, მისი პირველი მნიშვნელობით, შეგვიძლია მივაკუთვნოთ პიროვნების სამართლებრივ სტატუსს. „მოქალაქის სახელი, თავის მხრივ, მოიცავს ასევე გვარსაც“,[149] რაც პიროვნების ამა თუ იმ ოჯახისადმი კუთვნილებაზე მიუთითებს.

საოჯახო კანონმდებლობისა და სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლების თანაფარდობა საშუალებას გვაძლევს, ჩავთვალოთ, რომ ბავშვის სახელის უფლება, როგორც საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობების ელემენტი, ბავშვის დაბადების მომენტში ჩნდება. ამასთან დაკავშირებით, მართებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ არასრულწლოვანს თავისი ამ უფლების დამოუკიდებლად განხორციელება არ შეუძლია. მისი რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ მშობლებს აქვთ მოვალეობა – მისცენ ბავშვს სახელი,[150] მაგრამ სახელისა და გვარის რეგისტრირების შემდეგ ბავშვის უფლება გარდაიქმნება სამოქალაქო უფლებად, რადგან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, შემდგომში სამოქალაქო უფლება-მოვალეობების განხორციელება მას შეუძლია მხოლოდ საკუთარი სახელის გამოყენებით. სხვა პირის სახელის გამოყენებით უფლება-მოვალეობების მიღება დაუშვებელია. სახელის რეგისტრაციისა და სამოქალაქო უფლებაში სახელის უფლების

---

148 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 2012 წლის 20 აპრილის მდგომარეობით, თბ., 2012, 256.

149 *Муратова С. А.*, Семейное право, 2-е издание, «Эксмо», М., 2005, 160.

150 იხ. *Нечаева А. М., Ершова Н. М.,* Социальное значение правового регулирования брачно-семейных отношений, В кн.: Гражданско-правовое положение личности в СССР, «Наука», М., 1975, 327.

ტრანსფორმირების შემდეგ ეს უფლება სამოქალაქო სამართლის მეშვეობით არის დაცული. მოქალაქის სახელის დამახინჯების ან ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციისათვის შემლახველი ფორმებითა და მეთოდებით გამოყენების შემთხვევაში, პირს შეუძლია, მოითხოვოს შელახული უფლებების დაცვა და, გარდა ამისა, ზიანის (ზარალის) ანაზღაურება და არაქონებრივი (მორალური) ზიანის კომპენსირება, ქონებრივი ზარალის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად (სსკ-ის მე-18 მუხლი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელის დარქმევა ან შეცვლა არის სამოქალაქო გარიგება. ზოგიერთ შემთხვევაში ეს გარიგება მესამე პირის (ბავშვის) თანხმობასაც საჭიროებს.

ბავშვის სახელისა და გვარის შეცვლის უფლება (საქართველოს კანონი „სამოქალაქო აქტების შესახებ“, თავი VII) დამოუკიდებელი უფლებაა. მისი რეალიზება ხდება ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობების ფარგლებში და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მონაწილეობით. მოქალაქეთა სახელის შეცვლის შესახებ განცხადებების განხილვის წესი საქართველოს კანონის „სამოქალაქო აქტების შესახებ“ 62-ე–69-ე მუხლებით არის გათვალისწინებული. 16 წლის ასაკიდან 18 წლამდე არასრულწლოვნის სახელის ან/და გვარის შეცვლა დაიშვება ამ პირის მოთხოვნით და მისი მშობლის (მშობლების) ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით; 16 წლამდე არასრულწლოვნის სახელის ან/და გვარის შეცვლა ხორციელდება მისი მშობლების შეთანხმებით. მშობლების შეუთანხმებლობის შემთხვევაში, არასრულწლოვნის სახელის ან/და გვარის შეცვლის საკითხს მისი ინტერესების გათვალისწინებით წყვეტს სასამართლო (კანონი „სამოქალაქო აქტების შესახებ“, 63-ე მუხლი). ამ კანონის 68-ე მუხლის თანახმად, მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას სახელის ან/და გვარის შეცვლაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვის სახელისა ან/და გვარის შეცვლა შესაძლოა, საჭირო გახდეს სხვადასხვა გარემოების დროს, მაგალითად, მშობელთა ოჯახური მდგომარეობის შეცვლასთან დაკავშირებით, კერძოდ: არასრულწლოვანი შვილის გვარის გამოცვლის აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში მყოფი მშობლების მიერ ქორწინების რეგისტრაციის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ მამობის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ან მშობლების მხრიდან მის მიმართ აღიარების გზით მამობის დადგენისას, მაგრამ მარტო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება მამობის დადგენის შესახებ ან ნებაყოფლობით მისი აღიარება თავისთავად არ არის საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ ბავშვს გამოეცვალოს გვარი, რაც მას უკვე მიკუთვნებული აქვს კანონმდებლობის გათვალისწინებით. ამ დროს, ისევე როგორც რეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებული ბავშვების მიმართ, საჭიროა მშობლების შეთანხმება.

შვილების გვარის გამოცვლის საკითხი შეიძლება დადგეს ასევე მათი მშობლების მიერ გვარის გამოცვლის დროსაც, თუმცა კანონის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: „ქორწინებაში არმყოფი დედის მიერ გვარის შეცვლისას, აგრეთვე იმ მშობლის მიერ გვარის შეცვლისას, რომლის

გვარსაც ატარებს მისი არასრულწლოვანი შვილი და მშობლებს სხვადასხვა გვარი აქვთ, 10 წლამდე არასრულწლოვნის გვარი შეიცვლება მშობლის გვარის შეცვლასთან ერთად“, ხოლო ამ მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: „თუ არასრულწლოვანს შეუსრულდა 10 წელი, მისი სახელის ან/და გვარის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მისი თანხმობით“.

გვარის შეცვლასთან დაკავშირებით, სამოქალაქო კანონმდებლობის არასრულყოფილებაზე მიუთითებენ ქართულ ლიტერატურაში, კერძოდ გამოთქმულია მოსაზრება, რომ სამოქალაქო კოდექსის 1196-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის მიხედვითაც „მშობლებს, რომლებთანაც არასრულწლოვანი შვილი საცხოვრებლად დარჩა ქორწინების შეწყვეტისა ან ბათილად ცნობის შემდეგ, უფლება აქვთ, შვილის ინტერესის შესაბამისად, მიმართონ სასამართლოს შვილისათვის თავიანთი გვარის მიკუთვნების შესახებ“, არღვევს ცალკე მცხოვრები მშობლების პირად უფლებებს და ამავე დროს, ეწინააღმდეგება სსკ-ის 1198-ე, 1199-ე, 1202-ე მუხლებს, რომელთა თანახმადაც, მშობელს, რომელიც შვილთან ერთად არ ცხოვრობს, შვილების მიმართ თანაბარი უფლებები და მოვალეობები აკისრია. კანონი მოცემულ შემთხვევაში ცალკე მცხოვრები მეუღლის თანხმობას არ ითხოვს ბავშვისათვის გვარის გამოცვლის თაობაზე.[151] ვფიქრობ, შესაძლებელია განხორციელდეს აღნიშნულ ნორმასთან დაკავშირებული შემოთავაზებული ცვლილება, რომ ბავშვისათვის გვარის გამოცვლა შესაძლებელი იყოს არა მარტო ბავშვის ინტერესების, არამედ ცალკე მცხოვრები მშობლის ინტერესების გათვალისწინებითაც, თუმცა, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, ბავშვის ინტერესი პირველ ადგილზე უნდა იქნეს წამოწეული.

სხვანაირად წყდება სრულწლოვანი შვილის გვარის გამოცვლის საკითხი. სრულწლოვანებას მიღწეულ პირებს (შვილებს) შეუძლიათ მიიღონ ის გვარი, რომელსაც მოისურვებენ. უფრო მეტიც, იგი შეიძლება არ ემთხვეოდეს დედის ან მამის გვარს იმის გამო, რომ ამ შემთხვევაში საკითხი ეხება სრულწლოვანი პირის სახელის ან/და გვარის შეცვლას, რომელიც წმინდა სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათის უფლებაა.

ბავშვის სახელის შეცვლა დაიშვება მშვილებლის თხოვნით. ასეთ შემთხვევაში ნაშვილებისათვის სახელის ან/და გვარის გამოცვლა უნდა მოხდეს შვილად აყვანის რეგისტრაციისას, მშვილებლის მოთხოვნით ან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. თუ ნაშვილებს შეუსრულდა ათი წელი, აუცილებელია მისი თანხმობაც, რადგან მას უჩნდება სამოქალაქო უფლება ახალ სახელზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სახელის უფლება აბსოლუტურ შინაარსს ატარებს სამოქალაქო სამართლებრივ ბრუნვაში, ხოლო მშობლის მიერ შვილისათვის სახელის მინიჭების ვალდებულების ჭრილში, ის უკვე შეფარდებით სამართლებრივ ურთიერთობად გარდაიქმნება, რომლის რეალიზაციის გარანტად თვით სახელმწიფო გვევლინება.

---

[151] იხ. *შოშიაშვილი ნ.,* საოჯახო კანონმდებლობის სრულყოფისათვის, სამართალი №4, 2002, 15.

§3.3. მშობლების მიერ ბავშვის აღზრდის უფლება-მოვალეობანი

3.3.1. აღზრდა, როგორც ბავშვის უფლებათა პრიორიტეტი

ბავშვების მიმართ მშობელთა პირადი უფლება-მოვალეობებიდან, შეიძლება ითქვას, ყველაზე რთული და მნიშვნელოვანია შვილების აღზრდის მოვალეობა. მშობლები პასუხისმგებლები არიან შვილების აღზრდაზე. მშობლები ვალდებულნი არიან, იზრუნონ ბავშვის ჯანმრთელობაზე, ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სულიერ და ზნეობრივ განვითარებაზე.

ბავშვის აღზრდა ოჯახში – ეს მისი უფლებაა. თუ როგორ უნდა აღიზარდოს ბავშვი, – ეს კი, მეტწილად, მშობლების გადასაწყვეტია და, ზოგადი წესიდან გამომდინარე, ამ საქმეში ჩარევის უფლება არავის აქვს.

ბავშვის მიმართ მშობლების აღზრდის მოვალეობას სოციალური ფუნქციაც ენიჭება, რადგან მშობლებმა უნდა აღზარდონ საზოგადოების ახალი წევრი, და საზოგადოებისათვის არ არის უმნიშვნელო, როგორ ადამიანად ჩამოყალიბდება იგი, რა ინტერესები ექნება, ვისი და რა უფლებები უნდა იყოს დაცული. სახელმწიფო ოჯახიდან იღებს ადამიანს და შეჰყავს იგი საზოგადოებრივ ურთიერთობებში, მის განვითარებულ თავისუფლებას შემოფარგლავს ვალდებულებისა და აუცილებლობის სფეროთი, ხღუდავს მას უამრავი ვალდებულებითა და ურთიერთობით, რომელთა წიაღშიც უნდა განვითარდეს მისი ცხოვრება. „შვილების აღზრდა მშობლებისაგან დიდ ენერგიას, ყურადღებას და პატივისცემას მოითხოვს. ბავშვი თავშესაქცევი საგანი არ არის. მის აღზრდას მუდმივი ზრუნვა და ყურადღება ესაჭიროება. შვილი მარტო მშობლების სიხარული როდია. იგი მომავალი მოქალაქეა, ამიტომ მშობლები პასუხს აგებენ მის სწორად აღზრდაზე. აღზრდის დროს არ შეიძლება წვრილმანი და ნეიტრალური მოვლენები არსებობდეს. აღზრდას მშობელთა უდიდესი პასუხისმგებლობა ახლავს“.[152]

აღზრდის ძირითადი მიმართულებები გამომდინარეობს ბავშვთა უფლებების კონვენციის შინაარსიდან, რომლის 21-ე მუხლის თანახმად, აღზრდა უნდა იყოს მიმართული ადამიანთა უფლებების, ძირითადი თავისუფლებებისა და პრინციპების მიმართ პატივისცემის ჩამოყალიბებისკენ, რაც აღიარებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებითაც; აღზრდა უნდა იყოს მიმართული მშობლების, საზოგადოების, ზნეობრივი ღირებულებების, კულტურული თვითმყოფადობის, ენისა და საკუთარი ქვეყნის ეროვნული ფასეულობების, ასევე განსხვავებულ ცივილიზაციათა მიმართ პატივისცემის გაჩენისკენ; ბავშვს უნდა ჰქონდეს მსოფლიოს ხალხების, ქალისა და კაცის თანასწორუფლებიანობის, ერებს, ეთნიკურ, ეროვნულ და რასობრივ ჯგუფებს შორის მეგობრობის შეგნება; აღზრდა უნდა იყოს მიმართული გარემოს მიმართ პატივისცემის, საკუთარი ღირსების გრძნობისა და საკუთარი მნიშვნელობის ჩამოყალიბებისკენ და ა.შ. ყოველივე აღნიშნული მოწმობს, რომ თანამედროვე კანონმდებლობა უარს არ ამბობს აღზრდის საკითხებში გარკვეული კონკრეტული ორიენ-

---

[152] *ჯორბენაძე ს.,* საბჭოთა საოჯახო სამართალი, „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბ., 1957, 271.

ტირების განსაზღვრაზე, რაც იმაზეც მეტყველებს, რომ აღზრდა მშობლების არა მხოლოდ უფლებაა, არამედ მათი მოვალეობაც.

კონვენციის 27-ე მუხლის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, ჰქონდეს ცხოვრების დონე, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური აღზრდისათვის. მშობლები ან სხვა პირები, რომლებიც ზრდიან ბავშვს, ვალდებულნი არიან, საკუთარი უნარისა და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის ცხოვრების აუცილებელი პირობები. მე-18 მუხლის თანახმად კი, კონვენციით გათვალისწინებული უფლებების გარანტიისა და განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები სათანადო დახმარებას გაუწევენ მშობლებსა და კანონიერ წარმომადგენლებს (მეურვეებს) ბავშვის აღზრდის მოვალეობების შესრულებაში და უზრუნველყოფენ ბავშვთა დაწესებულებების ქსელის განვითარებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის შესაბამისად, მშობლები მოვალენი არიან, აღზარდონ შვილები. ერთი შეხედვით, ამ ნორმიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ არასათანადო აღზრდის შემთხვევაში, ანუ, თუ ბავშვს არ ჩაუნერგეს, მაგალითად, სიყვარულის გრძნობა სხვა ერების მიმართ, პატივისცემა ბუნების მიმართ და სხვ., უნდა განხორციელდეს შესაბამისი საოჯახო სამართლებრივი სანქციები, მაგრამ ეს ასე არ არის. ამჟამად, კანონმდებლობა აღარ იძლევა იდეალურ ვარიანტს, თუ როგორ უნდა მოხდეს სამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბება, რადგან მშობლები თვითონ აგვარებენ თავიანთ კონფლიქტებს. ამის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ მშობლებს, რომლებიც აღარ ცხოვრობენ ერთად, თავისუფლად შეუძლიათ შეთანხმდნენ მშობლის უფლებამოსილების განაწილებაზე (მარტო/ერთობლივად) და მიაღწიონ ბავშვთან კონტაქტის შესახებ ცალკე შეთანხმებას.[153]

ამასთან, სკ-ის 1198-ე მუხლში საუბარია არა მხოლოდ შვილების აღზრდის მოვალეობაზე, არამედ მშობლების უფლებაზეც, აღზარდონ თავიანთი შვილები. ზოგიერთი ავტორის აზრით, „ბავშვებზე ზრუნვა იმდენად დიდი სამუშაოა, რომ ბევრ ოჯახში მზრუნველისათვის ეს სამუშაო სერიოზული დაბრკოლებაა ნორმალური შემოსავლის მიღებისა და საარსებო სახსრების შოვნის მხრივ“.[154] ბევრ დედას მიაჩნია, რომ მათი კარიერა და ეკონომიკური დამოუკიდებლობა ქრება იმ დროის განმავლობაში, როცა შვილები პატარები არიან, მაშინ, როცა მამები განაგრძობენ თავიანთი კარიერის განვითარებას ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე. ოჯახში დამოუკიდებლობის ერთგვარი ხარისხის უზრუნველსაყოფად უფრო და უფრო მეტი ქალი იყენებს თავის უფლებას, ანაზღაურებადი სამუშაო იშოვოს საჯარო სფეროში, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია, თავიანთი ოჯახების საჭიროებათა გათვალისწინებით.

---

153 იხ. *Kronborg A., Jeppensen de Boer C. G.,* The Child's right to Two Parents: Facilitating and Financing Joint Parenting, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 617.

154 *Braekhus H.,* Regulation of Parenthood – Deregulation of Marriage, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 569.

შეიძლება დაისვას კითხვა – თითქმის ყველა მზრუნველობით საქმიანობას მხოლოდ ქალები რატომ ახორციელებენ? საოჯახო შრომის განაწილების შესწავლამ 21 ქვეყანაში[155] აჩვენა, რომ ყველა ამ ქვეყანაში ქალები უფრო მეტ საოჯახო საქმეს აკეთებენ, ვიდრე მამაკაცები.[156] ემპირიულმა კვლევებმა, რომლებმაც მოიცვა ბოლო რამდენიმე ათწლეული, გამოავლინა, რომ, მართალია, ქალები ახლა უფრო ნაკლებ საოჯახო საქმეს აკეთებენ, ვიდრე წარსულში და მამაკაცები ოდნავ მეტს, ვიდრე ქალები, ქალების მიერ შესრულებული საოჯახო საქმე მაინც ორჯერ აღემატება მამაკაცების მიერ შესრულებულ საოჯახო საქმეს.[157] ამ საკითხს ეხება კვლევა „კაცები და გენდერული ურთიერთობები“, რომელიც ჩატარდა გაეროს ერთობლივი პროგრამის – „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ – ფარგლებში და ხორციელდება შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (შიდა) მხარდაჭერით, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA), გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გაეროს ქალთა ფონდის (UN Women) მიერ.[158] კვლევა აჩვენებს, რომ ბავშვების აღზრდის პროცესში ქალები და კაცები ერთობლივ პასუხისმგებლობას არ იღებენ, ბავშვის აღზრდა იმთავითვე ქალის მოვალეობად მიიჩნევა.[159]

რა თქმა უნდა, ეს გენდერულ როლებს ეხება, მაგრამ ასევე ეკონომიკის საკითხიცაა. რამდენადაც მამაკაცები, ძირითადად, ქალებზე მეტ ხელფასს იღებენ, ოჯახი, როგორც ერთეული, უფრო მეტ სარგებელს მიიღებს სამუშაოს დაყოფის შედეგად, სადაც ქალები აუცილებელ მზრუნველობას ახორციელებენ, მამაკაცს კი ოჯახში ფული შემოაქვს.

კანონი ამის პრერეკვიზიტს უზრუნველყოფს: ქმარი და ცოლი განიხილება ერთ ერთეულად, როგორც ზრუნვის, ასევე ეკონომიკის მხრივ. ვფიქრობ, კანონი მეუღლეებს ზრუნვის საკითხში ორ ცალკე ერთეულად უნდა განიხილავდეს, რის საფუძველზეც სამუშაოს დაყოფა გაგებული იქნებოდა როგორც საკითხების კერძოდ მოგვარება ორ ადამიანს შორის, რომელთაგან თითოეული თანაბრად იქნებოდა პასუხისმგებელი ყველა საზრუნავ სამუშაოზე, რაც კი თავიანთი შვილების გაზრდას ეხება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევის მიზნით ქალების უმრავლესობა იწყებს ფიქრს, რომ საზრუნავი მინიმუმამდე დაიყვანოს, სახლის გარეთ მუშაობა კი მაქსიმუმამდე გაზარდოს. ამგვარად,

---

155 ნორვეგია, ამერიკა, შვეცია, კანადა, გერმანია, ისრაელი, ახალი ზელანდია, დიდი ბრიტანეთი, სლოვენია, ნიდერლანდი, უნგრეთი, ავსტრია, რუსეთი, ბულგარეთი, პოლონეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, საბერძნეთი, ავსტრალია, იტალია და იაპონია.

156 იხ. *Batalova J. A., Cohen P.N.,* Premarital Cohabitation and Housework: Couples in Cross-National Perspective, Journal of Marriage and Family, Volume 64, Issue 3, August, 2002, 743-755, http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/jomf.2002.64.issue-3/issuetoc [15.10.13].

157 იხ. *Resetar B.,* Matrimonial Property in Europe: A Link between Sociology and Family Law, Electronic Journal of Comparative Law, 10, <www.ejcl.org/123/art123-4.doc> [15.10.13].

158 იხ. კაცები და გენდერული ურთიერთობები, რაც ეყრდნობა Promundo-ს მიერ IMAGES (International Men and Gender Equality Survey) კვლევას < http://www.calameo.com-/read/000713529851130dc6a7b> [06.04.2014.].

159 დებულებას, რომ ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვაა, რესპონდენტთა 89% ეთანხმება. მნიშვნელოვანია, რომ ამ შეხედულებას თანაბრად იზიარებენ როგორც მამაკაცები, ასევე ქალებიც.

შვილებზე ზრუნვას ხშირად დაბალი პრიორიტეტი ენიჭება, რის გამოც ბავშვი საკმარისი ზრუნვის გარეშე რჩება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლიანად მიმაჩნია მშობლების თანაბარი და განცალკევებული ვალდებულებების დარეგულირება კანონის შესაბამისად, როგორც შვილების მოვლაზე, ასევე მათ რჩენაზე. ამასვე ადასტურებს მეცნიერთა ნაწილის მოსაზრებაც: „იმისათვის, რომ ამჟამინდელი სისტემის მიერ შექმნილი დამოკიდებულება თავიდან ავიცილოთ, ყველა უფლება და მოვალეობა თანაბრად უნდა იქნეს გაზიარებული მშობლების მიერ, იმის მიუხედავად, თუ რა ურთიერთობა არსებობს მათ შორის, და კანონმა ეს უნდა მოაწესრიგოს ისე, რომ სამუშაო და არა სტატუსი გახდეს საფუძველი ეკონომიკური სარგებლის მიღების უფლებისათვის“[160]

თანაბარი და განცალკევებული ვალდებულება შვილების მოვლაზე. თითოეული მშობელი თანაბრად უნდა იყოს პასუხისმგებელი შვილის მოვლაზე. ამასთან დაკავშირებით, არსებობს საინტერესო მოსაზრება, რომ „ეს ვალდებულება შეიძლება სხვებს გადაეცეს, თუნდაც მეორე მშობელს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის ანაზღაურება მოხდება შრომითი ხელშეკრულებით, ან ვალდებულებითი სამართლის შესაბამისი ნორმებით“.[161] ეს მეტად მნიშვნელოვანი დებულებაა, ვინაიდან, როცა ზრუნვა მშობლების „საერთო პასუხისმგებლობაა“, იგი მიკერძოებულობას ქმნის სამუშაოს დაყოფის სასარგებლოდ, რამაც შეიძლება უთანასწორობა ან ჩაგვრა გამოიწვიოს. მშობლებს შორის ვალდებულებების მკაცრად დაყოფა განსაკუთრებით აუცილებელია იმ მშობლებისათვის, რომლებიც ერთად არ ცხოვრობენ. აქ უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვებზე ზრუნვა სადღეღამისო სამუშაოა, სულ მცირე, მანამდე, ვიდრე ბავშვები ძალიან პატარები არიან.

მშობლები, რომლებიც შვილებზე ზრუნავენ, შესაძლებელია ვიგულისხმოთ, რომ გარკვეულწილად ფულს იხდიან იმ სამუშაოთი, რასაც თავად ასრულებენ. მშობლები, რომლებიც ზრუნვის საკუთარი წილის განხორციელებას სხვას ავალებენ, შესაბამისად, სათანადოდ უნდა უხდიდნენ ამ ადამიანებს. ეს კი იმ მზრუნველებისათვის, რომლებიც ზრუნვის პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებენ მშობლების ნაცვლად, უნდა უზრუნველყოფდეს შემოსავალს. მშობლები, რომლებსაც საშუალება არა აქვთ, რომ თავიანთი წილი სამუშაოს შესრულებისათვის სხვებს ფული გადაუხადონ, იძულებულნი არიან, მზრუნველობითი სამუშაო თავად განახორციელონ. ეს აბსოლუტურად ახალი სიტუაცია იქნება მამებისათვის, რადგანაც თუნდაც დაბალშემოსავლიანი და მრავალშვილიანი მამები მიჩვეულნი იყვნენ იმას, რომ სულ ჰყავდათ ადამიანი, რომელიც მათ შვილებზე ზრუნავდა, ამისთვის თანხის გადახდის საჭიროების გარეშე; მეორე მხრივ, დედებისათვის ეს სიტუაცია ნაცნობი იქნება, რადგანაც თითქმის ყველა დედას აქვს გამოცდილი დილემა ფულის შოვნასა და შვილებზე ზრუნვას შორის.

თანაბარი და განცალკევებული ვალდებულება შვილების რჩენაზე. თუ ოჯახური ცხოვრების სამართლებრივი რეგულაციისათვის იარსებებს სისტემა, სადაც არ იქნება ფინანსური დამოკიდებულება ქორწინებაზე,

---

160 *Braekhus H.,* Regulation of Parenthood –Deregulation of Marriage, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 571.

161 იქვე, 572.

არც განსხვავება ქორწინებასთან, განქორწინებასა თუ მარტოხელა მშობლობასთან დაკავშირებულ ფინანსურ სტატუსში, ვფიქრობ, ამგვარი სისტემა მხარს დაუჭერს მშობლების თანაბარ ვალდებულებას, არჩინონ შვილები როგორც ქორწინების, ასევე განქორწინების შემდეგ. ამან შეიძლება ჩვენს საზოგადოებაში არსებული კიდევ ერთი უთანასწორობა შეცვალოს მამაკაცებსა და ქალებს შორის. „დღესდღეობით არსებული მწვავე პრობლემები ქორწინების კავშირებს კი არ ეხება, არამედ მზრუნველზე დამოკიდებული პირების ურთიერთობას. იმ სამყაროში, სადაც ქალები საბაზრო სფეროში თანაბარი მონაწილეები და პარტნიორები არიან და სადაც კონსენსუსია მიღწეული, რომ უიღბლო ქორწინებები უნდა დასრულდეს, ქალებს არ სჭირდებათ განსაკუთრებული დაცვა სამართლებრივი ქორწინებისაგან. ქორწინების ნაცვლად ჩვენ უნდა განვიხილოთ მშობლისა და ბავშვის ურთიერთობა როგორც კვინტესენციური, ანუ არსებითი მნიშვნელობის ოჯახური კავშირი და ფოკუსირება უნდა მოვახდინოთ იმაზე, თუ როგორ შეუძლია პოლიტიკას ამ კავშირის გაძლიერება“.[162]

ოჯახში თანასწორობის მოსაწესრიგებლად და დედის უფლებების დაცვისათვის ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში სახელმწიფოებმა განახორციელეს რეფორმები, რომლებიც ეხება კომპენსაციის მიცემას პირდაპირ დიასახლისებისათვის სოციალური უზრუნველყოფის დახმარებების საშუალებით. ეს დახმარებები ეძლევა არ მხოლოდ დაქორწინებულ დედებს, არამედ ყველა დედას, მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ არის საკმარისი ოჯახებში დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. სამოქალაქო სამართალში აუცილებელია განხორციელდეს რეფორმები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს ქალების, კერძოდ კი დედის, მონაწილეობას ანაზღაურებად სამუშაოში, საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობას და თანაბარ უფლებებს შრომის ბაზარზე, მშობლების დამოუკიდებლობას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქალსა და მამაკაცს შორის დისბალანსის აღსადგენად საოჯახო ურთიერთობების თვალსაზრისით. ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგალითად, ავსტრალიის კანონმდებლობის რეფორმის კომისიამ შეიმუშავა რეკომენდაცია, რომლის მიხედვით, „განქორწინების დროს ქონების განაწილების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს ის, რომ ქორწინება განსხვავებულ ეკონომიკურ გავლენას ახდენს კაცებსა და ქალებზე. ყოვლისმომცველი ფაქტობრივი მტკიცებულების აღიარების დროს კომისიამ უპირატესობა მიანიჭა „უფრო პრაქტიკულ და არა ფორმალურ თანასწორობას“, ვინაიდან, მიუხედავად „საქორწინო კონტრაქტის“ „თანასწორობის“ ან „პარტნიორობის“ შესახებ საზოგადოების რიტორიკისა, ქალები მაინც განიცდიან მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს ქორწინებისა და ფეხმძიმობის გამო. ქონების გადაცემა, რომელიც გადაიწონება ქალების მხარეს, ხშირად ყველაზე ეფექტური საშუალებაა ამ დისბალანსის შესაცვლელად“.[163]

---

162 *Fineman M. A.,* Why marriage? 9 Virginia Journal of Social Policy & the Law, Fall, 2001, 245, მითითებულია შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 588.

163 *Graycar R.,* Family Law and Social Security in Australia: The Child Support Connection, Legal Studies Research Paper No. 08/99, August 2008, p. 89. Social Science Research Network Electronic Library at: http://ssrn.com/abstract=1243082.

რადგან მშობლებს ბავშვის აღზრდაზე თანასწორი უფლება-მოვალეობები აქვთ, იგულისხმება, რომ აღზრდასთან დაკავშირებული ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე და მშობელთა ურთიერშეთანხმების საფუძველზე. ამასთან, საერთაშორისო საკანონმდებლო პრაქტიკაში დომინირებს აზრი, რომ არა ყველა, არამედ მნიშვნელოვანი საკითხები უნდა იყოს ურთიერთშეთანხმებული, ხოლო მნიშვნელოვნად მიიჩნევა ის საკითხები, რომელთაც „განგრძობადი ხასიათი“ აქვთ, ანუ გადაწყვეტილება, რომელიც დიდი ხნით შეეხება ბავშვს“.[164]

მშობლებს შორის დავის არსებობის შემთხვევაში, მათ, ან ერთ-ერთ მათგანს, შეუძლია მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს ან სასამართლოს. სავსებით შესაძლებელია, უთანხმოება არსებობდეს მშობლებსა და შვილებს შორის. ასეთ სიტუაციაში, საკუთარი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, 14 წლამდე ასაკის ბავშვს შეუძლია, მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, 14 წლის ასაკის მიღწევისას კი – სასამართლოს (1198[1]-ე მუხლი).

14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა ცხოვრებისეული გამოუცდელობის გათვალისწინებით, ძნელია, დაიჯეროს, რომ ბავშვი თვითონ მონახავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების ადგილმდებარეობას. ამ საკითხთან დაკავშირებით ბავშვები მიმართავენ მასწავლებელს, საბავშვო დაწესებულებათა აღმზრდელებს და სხვ. ეს პირები კი ვალდებულნი არიან, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს მიაწოდონ ინფორმაცია ბავშვის სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობისათვის შესაძლებელი საფრთხის შესახებ, მისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის შესახებ და სხვ. ამასთან, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბავშვები სარგებლობენ ინტერესების უპირატესი დაცვის უფლებით მშობლების მიერ უფლებამოსილების განხორციელებისას,[165] თუმცა მშობლის ინტერესებსაც აქვთ დაცვის უფლება. დაუშვებელია ამ უფლებების იგნორირება და პირდაპირ შვილის ინტერესებისათვის მსხვერპლად შეწირვა, რადგანაც ეს უსამართლობაა და არაჰუმანური, ხოლო შვილების აღზრდის მხრივ, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს თვით ბავშვს, ეგოიზმის განვითარებით. ამიტომაც მიზანშეწონილია კანონმდებლობის დაბალანსება ამ მხრივ და სამოქალაქო კოდექსში იმ ნორმის გათვალისწინება, რომელიც, მშობლისა და შვილის ინტერესების სერიოზული წინააღმდეგობისას, ბავშვის ინტერესებს უპირატესობას მიანიჭებს მხოლოდ გამონაკლისის სახით, როცა, ყოველგვარი მცდელობის მიუხედავად, კომპრომისის მიღწევა უშედეგოა.

ვინ არის ვალდებული, ანგარიში გაუწიოს მშობელთა უფლებებს, ანუ შვილების აღზრდასთან დაკავშირებულ კანონით დაშვებულ ქცევას? – ეს არის ყველა მესამე პირი, რადგან მშობლებს აქვთ არა უბრალო უფლება, არამედ შვილების აღზრდის უპირატესი უფლება მესამე პირებთან შედარებით. მაგალითად ის, რომ მშობლებს უფლება აქვთ, სასამარ-

---

164 *Stanik G. K.,* Important Issues Concerning a child: Decision Making, კონფერენციის მასალების კრებულში: Fostering Family Harmony: Principles and Practices, Papers from North American Regional Conferece, Brooklyn Law School, Brooklyn, June 6-8, 2013, 23.

165 იხ. *Антокольская М. В.,* Семейное право, 2-е изд., «Юрист», М., 2002, 195, http://stratonomik.ru/combook/semejnoe_pravo_andopol'skaja_7.html [04.10.13].

თლოს წესით მოსთხოვონ არასრულწლოვანი შვილის დაბრუნება იმ პირს, რომელიც მას თავისთან ამყოფებს კანონიერი საფუძვლის ან სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, ერთხელ კიდევ ადასტურებს მშობლების აბსოლუტურ უფლებას თავიანთი შვილების აღზრდისა და მათთან ყოფნის მიმართ. თუმცა ეს უფლებები კანონში გაწონასწორებულია ბავშვის ინტერესებით, რაც სასამართლოს აძლევს უფლებას, არ დააკმაყოფილოს მშობლების ასეთი მოთხოვნა, თუ იგი ეწინააღმდეგება შვილის ინტერესებს. სწორედ მესამე პირთა მოვალეობები იქნება შესაბამისი მშობელთა უფლებების მიმართ. შესაბამისად, ეს უფლება აბსოლუტური უფლებაა და აბსოლუტური სამართლებრივი ურთიერთობების ელემენტია. მაგრამ ჩნდება კითხვა: როგორ აღზრდიან მშობლები თავიანთ შვილებს, თუ კანონში არაფერი არ არის ნათქვამი აღზრდის პროცესში შვილების რაიმე მოვალეობების შესახებ მშობლების მიმართ, მაგალითად, პატივისცემით მოპყრობაზე, მშობლების მოთხოვნათა შესრულებაზე და ა.შ.? ხომ არ არის საჭირო შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის რამდენადმე საკანონმდებლო რეგულირება?

უნდა აღვნიშნოთ, რომ არაერთი ქვეყნის კანონმდებლობაში გათვალისწინებულია წესები „მშობელთა უფლებების“, „მშობელთა ავტორიტეტის“ შესახებ:[166] ჩეხეთში ბავშვის მიმართ მშობელთა უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობა ატარებს „მშობლის პასუხისმგებლობის“ („rodicovska zodpovednost“), და არა „მშობლის უფლების“ („rodicovska moc“), სახელწოდებას; უნგრეთის ქორწინების, ოჯახისა და მეურვეობის შესახებ კანონში მოცემულია ზოგადი ნორმა ბავშვების ვალდებულებათა შესახებ, რაც ბავშვებს ავალდებულებს, თავი შეიკავონ ჯანმრთელობაზე მავნე გავლენის მქონე ცხოვრების წესისაგან, ითანამშრომლონ მშობლებთან აღზრდასა და განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;[167] ანალოგიური რამ ზოგიერთი სოციალისტური ქვეყნის კანონმდებლობაშიც იყო გათვალისწინებული, მშობელთა და შვილთა ურთიერთუფლებებისა და მოვალეობების სახით. ეს იძლეოდა იმის საფუძველს, რომ აღზრდის პროცესში დადგენილი ყოფილიყო შვილების შესაბამისი მოვალეობები მშობლების მიმართ. არსებობდა წინადადებები, შემოღებულიყო ნორმები, რომლებიც სამართლებრივად გაამყარებდნენ შვილების მოვალეობას – მოექცნენ მშობლებს პატივისცემით, შეასრულონ მათი მოთხოვნები ოჯახური აღზრდის სფეროში. ეს ნორმები მისცემდნენ მშობლებს აღმზრდელობითი ხასიათის ზომების გამოყენების უფლებას არადისციპლინებული შვილების მიმართ. მართალია, სამოქალაქო კოდექსში საუბარია მშობლების უფლებებსა და მოვალეობებზე შვილების მიმართ, მაგრამ მასში (კოდექსში) არ არსებობს მითითება ამ უფლება-მოვალეობების ურთიერთმიმართული ხასიათის შესახებ. შვილების აღზრდის მშობლებისეული უფლება მიმართულია არა შვილებისაკენ, არამედ მესამე პირებისაკენ – მეორე მეუღლისაკენ (მშობლისაკენ). ამიტომ არ არსებობს ნორმა, რომელიც ავალდებულებს შვილებს, იყვნენ მორჩილნი, დამჯერნი და ა.შ. ბუ-

166 იხ. *Зенин И. А.,* Гражданское и торговое право капиталических стран, «Изд-во Моск. Ун-та.», М., 1992, 184.

167 იხ. *Залесский В. В.,* Семейное право Российской Федерации и иностранных государств, «Юринформцентр», М., 2005, 222, 223.

ნებრივია, საუბარია იურიდიული მოვალეობის შესახებ. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობის საკანონმდებლო რეგულირება საერთოდ დაუშვებელია. აღზრდა უნდა ეყრდნობოდეს სიყვარულის, პატივისცემის, ურთიერთგაგების გრძნობებს, რაც თავისთავად ბადებს არასრულწლოვან ბავშვში მშობლებისადმი პატივისცემის, დაჯერებისა, მიმბაძველობის, შეიძლება ითქვას „მორჩილების“, გრძნობებს.

ბავშვის აღზრდისას მშობლებმა არ შეიძლება პრეტენზიები განაცხადონ შვილების მხრიდან რაიმე მოვალეობებზე, რადგან ამ შემთხვევაში არ არსებობს სამართლებრივი ურთიერთობები შვილების მხრიდან მოვალეობების სახით. ბავშვის უფლებათა კონვენციაშიც საუბარია მხოლოდ ბავშვის უფლებებზე, და არა მათ მოვალეობებზე.

ამ პრობლემას, ანუ ბავშვის მოვალეობების საკითხს, არაერთი მკვლევარი სწავლობდა და აღნიშნავდა, რომ ბავშვის ყველა მოვალეობა მშობლების, ნათესავების მიმართ, განსაკუთრებით კი ხანდაზმულების, უძლურებისა და ინვალიდების მიმართ, მისი მორალური ვალია. თუნდაც ყველა ეს მოვალეობა სამართლებრივი მოვალეობების სახით იყოს გათვალისწინებული, მაინც მათი შეუსრულებლობის გამო არასრულწლოვან პირს ვერ დაეკისრებოდა სამართლებრივი პასუხისმგებლობა.[168]

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ბევრი ქვეყნის კანონმდებლობაში ამა თუ იმ სახით დაკანონებულია მშობლების მიმართ არასრულწლოვანი ბავშვების მოვალეობები, ხდება შესაბამისი მოვალეობის კონსტრუირება (მაგალითად, ესპანური სამართალი მშობლებს აძლევს ბავშვების დასჯის უფლებას, უფლებას – სასამართლო წესით მოითხოვონ მათთვის თავისუფლების აღკვეთა ერთი თვის ვადით), მაინც მართებულად უნდა მივიჩნიოთ ქართველი კანონმდებლის პოზიცია, რომ არასრულწლოვანთა რაიმე პირადი ხასიათის მოვალეობები კანონით გათვალისწინებული არ არის. ამდენად, მეცნიერთა წინადადებები, რომ საოჯახო კანონმდებლობაში ასახული იყოს შესაბამისი მოვალეობები, ჩემი აზრით, გასათვალისწინებელი არ არის. თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა არგენტინის სამოქალაქო კოდექში მოსალოდნელი ცვლილებები, რომელიც ძალაში 2016 წელს შევა და რომელიც ითვალისწინებს შვილების მოვალეობას მშობლების მიმართ: „მშობლებს უმეტესად ვალდებულებები გააჩნიათ, ხოლო შვილებს უფლებები, მიუხედავად ამისა ისინი ვალდებული არიან ითანამშრომლონ და დაექვემდებარონ მშობლების გადაწყვეტილებებს, თუ ის არ ეწინააღმდეგება შვილების საუკეთესო ინტერესებს. ბავშვები, მათი ასაკის შესაბამისად ვალდებული იქნებიან ასევე იზრუნონ მათ მშობლებზე ან სხვა აღმზრდელებზე“.[169]

როგორც დავინახეთ, საოჯახო სამართლის მიხედვით, ქალები მამაკაცებს ექვემდებარებიან ოჯახში უფლებებისა და მოვალეობების განაწილების გზით მაშინაც კი, როცა გენდერული თანასწორობა სამართლებრივი სისტემის ძირეული პრინციპია. გამომდინარე აქედან, უნდა ითქვას,

---

168 იხ. *Нечаева А. М.,* Семейное право, Курс лекций, «Юрист», М., 1998, 237.

169 The ISFL Family Letter, Fall 2014, published by the International Society of Family Law, by Prof. Brinig M., F., editor, Notre Dame Law School, < http://www.isflhome.org/resources/Newsletters/2014Sep.pdf>[24.11.2014].

რომ საოჯახო სამართალში ცვლილებების საჭიროება უდავოა. ახალმა სამართლებრივმა სისტემამ წვლილი უნდა შეიტანოს იმაში, რომ ოჯახური ცხოვრება თანაბრად ხელსაყრელი გახდეს ოჯახის ყველა წევრისათვის, როგორც ქორწინებაში ყოფნისას, ასევე განქორწინების შემდეგ. ოჯახებში თანასწორობის მისაღწევად, ვფიქრობ, უნდა გამოიყოს სამართლებრივი ცვლილების ხუთი პუნქტი: 1. ზრუნვის განმახორციელებელი მშობლებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფულის სამართლიანი წილი; რა არის დღესდღეობით თანხის სამართლიანი წილი? –უპირველეს ყოვლისა, ეს ის არ არის, რაც ასი წლის წინ შეიძლებოდა ყოფილიყო. დღეს ეს ისეთი რამ უნდა იყოს, რითაც ცხოვრება იქნება შესაძლებელი. იგი უნდა უზრუნველყოს კანონმა, როგორც ეს სახელფასო ან სხვა სახის ფულადი მოთხოვნების დროს ხდება, და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დამოკიდებული მიმწოდებლის კეთილ ნებაზე. იგი პროპორციული უნდა იყოს იმის მიხედვით, თუ რა აუცილებელი სამუშაო ხორციელდება ოჯახში, როგორც ქორწინების დროს, ასევე განქორწინების შემდეგ; 2. შვილებზე მზრუნველობაში დედებიც და მამებიც უნდა მონაწილეობდნენ (როგორც ქორწინების დროს, ასევე განქორწინების შემდეგ). ბევრი მამის შემთხვევაში, მხოლოდ განქორწინების შემდეგ მოელიან მათგან ზრუნვას, როგორც მოვალეობას, კანონის საფუძველზე. თუმცა მამებთან კონტაქტი ყველა ბავშვს სჭირდება, დედებს კი დრო სჭირდებათ, რათა ბაზარზე თავიანთი უნარები განავითარონ. ოჯახური ცხოვრება უკეთ წარიმართებოდა, თუ ზრუნვა რეალური ვალდებულება იქნებოდა არა მარტო დედებისა და განქორწინებული მამებისათვის, არამედ ყველა მამისათვის; 3. ზრუნვისათვის საკმარისი დრო უნდა იყოს გამოყოფილი ორივე მშობლის მიერ; 4. არ უნდა მოხდეს შვილების დისკრიმინაცია მშობლებს შორის არსებული ურთიერთობის გამო; 5. ქორწინება ნებაყოფლობითი უნდა იყოს არა მარტო მაშინ, როცა ის იწყება, არამედ ასევე ყველა დროს. რა არის ნებაყოფლობითი ქორწინება? – ეს უნდა იყოს ქორწინება ეკონომიკური დამოკიდებულების გარეშე. დღესდღეობით ქალები გაცილებით ნაკლებად არიან დამოკიდებულნი თავიანთ ქმრებზე, ვიდრე წარსულში, მაგრამ დამოკიდებულები მაინც არიან.

3.3.2. „ინტენსიური აღზრდა“

„ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დაცვის სფეროში საყოველთაო რევოლუციაა. ბავშვები, რომლებსაც ეპყრობიან უფრო როგორც საკუთრებას და არა როგორც ადამიანს, ახლა იქცა არაერთი სამართლებრივი დოქტრინისა და სასამართლო გადაწყვეტილების, საერთაშორისო კონვენციების, კანონმდებლობებისა და საზოგადოების ყურადღების ობიექტად“.[170] მშობლების მიერ ბავშვის აღზრდის პროცესში წამოიჭრება მთელი რიგი კითხვებისა იმასთან დაკავშირებით, თუ სად გადის ზღვარი მშობლის მიერ განხორციელებულ ქმედებებსა და ბავშვის საუკეთესო

[170] *Laufer-Ukeles P.,* „Seperating Care from the Caregiver“, კონფერენციის მასალების კრებულში: Fostering Family Harmony: Principles and Practices, Papers from North American Regional Conferece, Brooklyn Law School, Brooklyn, June 6-8, 2013, 27.

ინტერესებს შორის? არის თუ არა ყოველთვის აღზრდის მეთოდები სწორი და ხომ არ ხდება უფლებამოსილების გადამეტება ზედმეტი მზრუნველობის გამოხატვით? რამდენად არის ყოველივე ეს ბავშვისათვის მისაღები და სასარგებლო? ფლობენ თუ არა მშობლები თანამედროვე ცოდნას და ტექნიკას არასრულწლოვნის მიერ სოციალური ქსელებით სარგებლობის დროს კონტროლის უზრუნველსაყოფად? და რამდენად მიზანშეწონილია სამართლებრივი ჩარჩოების დაწესება ამ ურთიერთობების მოსაწესრიგებლად?

თანამედროვე საზოგადოების ჩამოყალიბებასთან ერთად ტრანსფორმაცია განიცადა ბავშვთა ცხოვრების წესმა – მათი სოციალური კომუნიკაციების დიდი ნაწილი დღეს სოციალურ ქსელებში ხორციელდება. იმავდროულად, ასევე შეიცვალა მშობლის სტატუსი. თანამედროვე მშობელი გახდა „აქტიური მშობელი“, რომლის მისიაა, იყოს მუდმივად ინფორმირებული და განახორციელოს თავისი შვილების ე.წ. მონიტორინგი. ცნება „ინტენსიური აღზრდა“ (Intensive Parenting) გულისხმობს იმ ქმედებებს, რომელთაც თავისი შეხედულებისამებრ ახორციელებს დომინანტი თანამედროვე მშობელი,[171] ეს მშობელი კი არის ინტენსიური მშობელი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს თავისი შვილის აღზრდაში, იძენს ბავშვის საუკეთესოდ აღზრდის მოწინავე გამოცდილებას, და იყენებს თავის ცოდნას იმისათვის, რათა ახლოს დააკვირდეს ბავშვის განვითარებასა და ყოველდღიურ აქტივობებს. აქედან გამომდინარე, აღმოჩნდა, რომ, „თუ წარსულში მშობლის მიზანი იყო, წარმოეჩინა თავისი შვილი გარესამყაროსათვის, დღევანდელი მშობელი ცდილობს, დაიცვას თავისი შვილი გარესამყაროსაგან“.[172]

ინტენსიური მშობელი ხშირად იყენებს ტექნოლოგიებს თავისი შვილების სამეთვალყურეოდ და, გამოკითხვების თანახმად, მშობლების დიდი უმრავლესობა თითქმის ყოველთვის ამოწმებს თავისი შვილების ურთიერთობებს სოციალურ ქსელებში, რის მიზეზადაც ასახელებენ ამ საშუალებებით გავრცელებულ არასწორ ინფორმაციებს, სექსუალური მანიაკებისა და პორნოგრაფიაში ჩართვის შიშს. იმისათვის, რომ გააკონტროლონ თავიანთი შვილების ყოველდღიური სოციალური ურთიერთობები, ინტენსიური მშობლები უპირატესობას ანიჭებენ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას (ფიჭური ტელეფონი, კამერები, ინტერნეტი). აღზრდასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც წარსულში შეუმჩნეველი რჩებოდა ფიზიკურ სივრცეში, ახლა ხორციელდება მშობლის დაკვირვების ქვეშ.

მშობლების ამ პრობლემებზე რეაგირების მიზნით მეცნიერებმა შეიმუშავეს კანონპროექტები, რომლებიც უზრუნველყოფს ბავშვების სოციალურ ქსელებში საქმიანობასთან მშობლების ხელმისაწვდომობას ბავშვის სურვილის წინააღმდეგ, აგრეთვე შემოთავაზებულია აღზრდის ნორმები, რომელთაც შეუძლიათ, ხელი შეუწყონ ინტენსიური აღზრდის მაღალი სტანდარტების ინტეგრაციას სამართლებრივ სტანდარტებში.[173] ინტენსი-

---

171 იხ. *Bernstein G., Triger Z.,* „Over-Parenting”, 1,< http://ssrn.com/abstract=1588246> [15.10.13].

172 *Kelley T.,* ‚Dear Parents: Please Relax, it’s Just Camp, N.Y. Times, N.Y./Region, july 26, 2008, 1, <http://www.nytimes.com/2008/07/26/nyregion/26camp.html?_r=2&oref=slogin&> [16.10.13].

173 იხ. *Bernstein G.,* Under the Parental Gaze: Intensive Parenting, Social Networks and Children’s Privacy, კონფერენციის მასალების კრებულში: Fostering Family Harmony: Principles and

ურ აღზრდას დადებითი გავლენა აქვს აკადემიურ მოტივაციასა და მიღწევებზე, სკოლაში ქცევაზე, ზიანის მიღების შესაძლებლობასა და კოლეჯში დამაკმაყოფილებელ შედეგებზე, მაგრამ კვლევის ახალი საგანი, უამრავ გავრცელებულ მნიშვნელოვან მოსაზრებასთან ერთად, გვთავაზობს, რომ ინტენსიური აღზრდის არსებული ტენდენციები სინამდვილეში შესაძლოა, საზიანო აღმოჩნდეს ბავშვებისათვის. ინტენსიური აღზრდა არ აძლევს ბავშვებს საშუალებას, განუვითარდეთ დამოუკიდებლობის, თვითკმაყოფილების შეგრძნება და შეიძინონ ცხოვრებაში მათ წინაშე არსებული გამოწვევების გადალახვის უნარები.[174] „ინტენსიური აღზრდის პირობებში ბავშვები ვერ ივითარებენ ხასიათის მნიშვნელოვან თვისებებს, მათ შორის უნარს, მართონ თავიანთი დრო, შეიმუშაონ სტრატეგია და მოაწესრიგონ ღია კონფლიქტი თამაშის დროს“.[175] უფრო მეტიც, კვლევებმა გამოავლინა, რომ ინტენსიური აღზრდა ხელს უწყობს აღგზნებას, დეპრესიას, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებას.[176] ინტენსიური აღზრდის სტანდარტები დამოკიდებულია ადამიანთა სოციალურ კლასზე, რასაზე, ეთნიკურობაზე, სქესსა და კულტურაზე, ამიტომ აღზრდის სტანდარტიზებული სტილის იძულებით განხორციელება წარმოქმნის კულტურული ზეწოლის რისკს და ზიანს აყენებს იმ ადამიანებს, რომელთა ბავშვის აღზრდის ფილოსოფია განსხვავდება არსებული გავრცელებული მოსაზრებებისაგან. იგივე შეიძლება ითქვას სოციალური ქსელების საშუალებით მშობლების მხრიდან ბავშვების მონიტორინგზე, რაც ასევე ინტენსიური მშობლის ერთ-ერთი დამახასიათებელი ქმედებაა. ასეთი კონტროლი შესაძლოა, ერთი მხრივ, სასარგებლო იყოს შვილებისათვის გარკვეული არასასურველი ურთიერთობებისაგან მათ დასაცავად, თუმცა ამან შეიძლება ხელი შეუწყოს მშობლის გადაჭარბებულ ზედამხედველობას, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს ბავშვის პირად ცხოვრებაზე, ბავშვისა და მშობლის ურთიერთობასა და მშობლის კეთილდღეობაზე. გამომდინარე აქედან, შემოთავაზებული სტანდარტული ინსტრუქციები სოციალური ქსელებით სარგებლობის დროს ბავშვის ქმედებების შეზღუდვასთან დაკავშირებით (მაგალითად: მშობლის ნებართვა, გამოიყენოს სოციალური ქსელები, შესვლაზე პაროლის დაყენება, ინფორმაციების წაშლა მშობლის მოთხოვნით და ა.შ), ვფიქრობ, უნდა იყოს არა სავალდებულო ძალის მქონე, არამედ მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისა, რომელთაც მშობელი აღზრდის საკითხების განსაზღვრისას დამოუკიდებლად გამოიყენებს თავისი შეხედულებისამებრ. თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია თვით „ინტენსიური მშობლის“ ცნების განსაზღვრა და მითითება სამოქალაქო კოდექსში შემდეგი შინაარსით: „ინტენსიური მშობელი არის მშობელი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს თავისი შვილის აღზრდაში, იძენს ბავშვის საუკეთესოდ

Practices, Papers from North American Regional Conferece, Brooklyn Law School, Brooklyn, June 6-8, 2013, 5.

174 იხ. *Grolick W. S., Seal K.,* Pressured Parents, Stressed-out Kids: Dealing with Competition While Raising a Successful Child, Prometeus book, New York, 2007, 24.

175 *Lareau A.,* Unequal Childhoods: Class, Race and Family Life , 2nd ed, University of California Press, U.S.A, 2003, 67.

176 იხ. *Bernstein G., Triger Z.,* „Over-Parenting”, 10, < http://ssrn.com/abstract=1588246> [15.10.13].

აღზრდის მოწინავე გამოცდილებას და იყენებს თავის ცოდნას იმისათვის, რომ ახლოს დააკვირდეს ბავშვის განვითარებას და ყოველდღიურ აქტივობებს“, ამასთან, ამ მუხლის მეორე პუნქტმა უნდა დააბალანსოს ინტენსიური მშობლის აქტივობა, ბავშვის ფსიქიკის დაცულობა ზედმეტი ჩარევისაგან და ამ მუხლის მეორე პუნქტი განისაზღვროს შემდეგი შინაარსით: „ინტენსიურმა მშობელმა არ უნდა გადააჭარბოს უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს მხოლოდ შვილის ინტერესების სასარგებლოდ“. ეს ნორმა შესაძლებელს ხდის, მშობელმა თავისი შეხედულებისამებრ აღზარდოს შვილი, გამოიყენოს ამ საკითხთან დაკავშირებული თანამედროვე შეხედულებები და რეკომენდაციები, ამასთან, გათვალისწინებულ იქნეს შვილის პიროვნული თვისებები, რაც სრულად შეუწყობს ხელს ოჯახური ურთიერთობის ჰარმონიზაციას.

§3.4. მშობლის პასუხისმგებლობა

3.4.1. ბრალი, როგორც მშობელთა პასუხისმგებლობის პირობა, არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანისათვის

საქართველოს საოჯახო სამართალი არ ითვალისწინებს მშობელთა პასუხისმგებლობას იმაზე, თუ როგორ „აღიზარდა“ ბავშვი. ამ შემთხვევაში თუ საერთოდ შესაძლებელია საუბარი პასუხისმგებლობის შესახებ, მაშინ ეს იქნება სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, მაგრამ არა მორალური, არამედ მატერიალური – მაგალითად, მშობელთა პასუხისმგებლობა არასრულწლოვანის მიერ მიყენებული ზიანის გამო. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბევრ ბავშვს არა აქვს საკმარისი ფინანსური შესაძლებლობა, აანაზღაუროს ზიანი, მაშინაც კი, როცა იგი შემცირდება არგუმენტირებულობის შესაბამისად, ყურადღება გადადის მშობლების პასუხისმგებლობაზე.[177] ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა, რომ დელიქტური სამართალი გამოყენებული იყოს ბავშვების აღზრდაში მშობლისა და ოჯახის როლის განსაზღვრის ინსტრუმენტად? თუ პასუხია „დიახ“, ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეს აისახოს ბავშვთა უფლებებზე. ბავშვთა უფლებები თავისი არსით აბსოლუტურია და არ უნდა იქცეს რაიმეზე დამოკიდებულ უფლებად. ბავშვის დაცვისა და ასევე დამოუკიდებლობის უფლება მუდმივად უნდა იყოს გათვალისწინებული, მიუხედავად იმისა, თუ ვის ინტერესებში შედის სამართლებრივი რეფორმა.

თუ ზიანი მიყენებულია სრულწლოვნის მიერ და, შეიძლება, არასათანადო აღზრდის შედეგი იყოს, იგი თვით ზიანის მიმყენებლმა უნდა აანაზღაუროს. ამ შემთხვევაში საერთოდ არ დგება მშობლების პასუხისმგებლობის საკითხი. ბავშვის ზრდასთან ერთად შინაარსობრივად იცვლება მშობლების პასუხისმგებლობა: 10 წლამდე არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანისათვის ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა, ათი წლის ზევით სუბსიდიური (დამატებითი) პასუხისმგებლობა ზარალი-

177 იხ. *Singer A.,* (Sweden), Parental Influence-More and Less, ნაშრომთა კრებულში: The International Survey of Family Law, (Atkin B., Banda F. (ed.)), Jordan Publishing Limited, Great Britain, Bristol, 2012, 372.

სათვის, რომელიც მიაყენა 10-იდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანმა, და ბოლოს, მშობლები სრულად თავისუფლდებიან აღზრდის შედეგებზე პასუხისმგებლობისაგან, თუ შვილი სრულწლოვანი გახდა ან გაჩნდა კანონით გათვალისწინებული გარემოებები, რომელთა გამო 18 წლამდე ასაკში შესაძლებელია სრული მოცულობით ქმედუნარიანობის მიღწევა. საერთო ჯამში კი, შეიძლება დავასკვნათ, რომ, რაც უფრო მეტად ვლინდება არასწორი აღზრდა ბავშვის საქციელში, მით უფრო შეზღუდული ხდება მშობლების პასუხისმგებლობა.

ზოგიერთი ავტორი თვლიდა, რომ „არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ ქმედებებზე მესამე პირების პასუხისმგებლობა დგებოდა ზედამხედველობისადმი დაუდევარი დამოკიდებულების გამო“.[178] ამგვარი პოზიცია არ არის სწორი, ვინაიდან სამოქალაქო კანონმდებლობა მოიცავს ბავშვების მიმართ მშობელთა მოვალეობების საკმაოდ დეტალურ აღწერას: „მშობლები ვალდებულნი არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით“ (სსკ-ის 1189-ე მუხლი).

მკვლევრებმა გააანალიზეს სხვადასხვა ნორმა, რომლებითაც დგინდება ამა თუ იმ სახის ზედამხედველობა არასრულწლოვანთა მიმართ (მაგალითად, მცირეწლოვან სამართალდამრღვევთა მშობლების ზედამხედველობის ქვეშ გადაცემა, ბავშვებზე ზედამხედველობა მასწავლებლების მხრიდან) და დაასკვნეს, რომ თვით „არასრულწლოვნებზე ზედამხედველობის“ ცნება გაფართოებულად განიმარტებოდა და აღმზრდელობით ზომებს მოიცავდა.[179] ერთ-ერთი მეცნიერი, რომელიც შედარებითსამართლებრივ კვლევებს ატარებდა, აღნიშნავდა, რომ „ასეთ შემთხვევებში პასუხისმგებლობა მშობლებს ეკისრებათ სწორედ ბავშვების აღზრდასა და განათლებასთან დაკავშირებული მოვალეობის შეუსრულებლობის გამო“.[180]

„ევროპული საოჯახო სამართლის პრინციპებში“, რომელიც ეხება მშობლის პასუხისმგებლობას“,[181] მითითებულია, რომ „ყველა საკითხში, რომლებიც ეხება მშობლის პასუხისმგებლობას, უმთავრესია ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება“.[182] ცნება „მშობლის პასუხისმგებლობა“ განსაზღვრულია „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“ ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენციაში, „რომელიც მოი-

---

178 *Гуляев А.М.,* Русское гражданское право, Тип. М.М., Стасюлевича, СПБ., 1913, 66.

179 იხ. *Мостовой С. М.,* Развитие деликтной ответственности несовершеннолетних в русском дореволюционном праве, журнал Общество и право, 2010, 3, <http://www.juristlib.ru/book_-8210.html> [21.01.2014].

180 *Богдановский А.М.,* Молодые преступники, вопрос уголовного права и уголовной политики, Типография Моригеровского, СПБ., 1971, 27, <http://www.twirpx.com/file/182615/> [22.01.2014].

181 *Boele-Woelki K.,* in collaboration with *Antokolskaia M.,* Principles of a European Family Law regarding parental responsibilities, European family law series,Volume 16, Intersentia, Antwerp, 2007, 38.

182 *Cvejic O. J.,* (Serbia), Challenges of the Modern Family-Draft Civil Code of Serbia Relating to Family Law Relations, ნაშრომთა კრებულში: The International Survey of Family Law, (Atkin B., Banda F. (ed.)), Jordan Publishing Limited, Great Britain, Bristol, 2012, 307.

ცავს მშობლის უფლებამოსილებას ან სხვა ანალოგიურ დამოკიდებულებას, რომელიც განსაზღვრავს მშობლების, მეურვეების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების უფლებებს, უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს ბავშვის პიროვნებასთან ან ქონებასთან მიმართებით".[183] ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა შვედეთის კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც, ბავშვის მეურვეები, ჩვეულებრივ, მშობლები, შესაბამისად, შეიძლება პასუხისმგებლები იყვნენ ბავშვის ქმედებით გამოწვეულ ზარალზე, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ მოხდება მათი მხრიდან ბრალეულობის დადასტურება. ბავშვის მეურვე მშობელი ვალდებულია, დარწმუნდეს იმაში, რომ ბავშვი ზედამხედველობის ქვეშაა, ან ხდება სხვა შესაბამისი ზომების მიღება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბავშვის მხრიდან სხვებისათვის ზიანის მიყენება. ამის შემდეგ, თუ დადასტურდება, რომ მეურვემ განზრახ ან გაუფრთხილებლობის გამო ვერ შეძლო ბავშვისათვის ზედამხედველობის გაწევა, მას შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს ბავშვის ქმედებით გამოწვეულ ზიანზე.[184] მეცნიერები მიუთითებენ, რომ მშობლებისა და მეურვეების ბრალი გულისხმობს როგორც მცირეწლოვნებზე სათანადო ზედამხედველობის განუხორციელებლობას, ასევე მათი აღზრდისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას, ან ბავშვების მიმართ საკუთარი უფლებების არამართლზომიერ გამოყენებას, რომელსაც მოჰყვა ზიანის გამომწვევი არასათანადო ქცევა ბავშვის მხრიდან (სიცელქის, ხულიგნური საქციელის მიშვებულობა ან წახალისება, ბავშვებისათვის ზედამხედველობის მოკლება, მათ მიმართ ყურადღების ნაკლებობა და ა.შ.). „თავისი არაბრალეულობის დასამტკიცებლად მშობლებმა და მეურვეებმა უნდა საკმაოდ საფუძვლიანი მტკიცებულებები წარადგინონ, მაგალითად, დაასაბუთონ ბავშვთა აღზრდისა და მათზე ზედამხედველობის განხორციელების შეუძლებლობა თავიანთი მძიმე და ხანგრძლივი დაავადების, ხანგრძლივი იძულებითი მივლინების გამო და ა.შ.".[185] აშკარად ძალიან რთულია იმის დასაბუთება, რომ მშობელმა სათანადო ზედამხედველობა ვერ გაუწია ბავშვს და, უფრო მეტიც, ამ ზედამხედველობის ნაკლებობის გამო (არაპირდაპირ) გამოიწვია ზიანი.

მცირეწლოვანი ბავშვებისაგან განსხვავებით, 10-იდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი პასუხს აგებს მიყენებული ზიანისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანის მიყენებისას მას არ შეეძლო, თავისი მოქმედების მნიშვნელობა გაეგო (სსკ-ის 994-ე მუხლის მე-3 ნაწილი). თუმცა კანონი ითვალისწინებს იმასაც, რომ 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებს, როგორც წესი, არ გააჩნიათ საკმარისი ფულადი სახსრე-

---

183 მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენცია, რომელსაც საქართველო შეუერთდა პარლამენტის 2014 წლის 5 თებერვლის №1953-II ს დადგენილებით, I თავი, 1-ლი მუხლი, მე-2 პუნქტი.

184 იხ. *Singer A.,* (Sweden), Parental Influence-More and Less, ნაშრომთა კრებულში: The International Survey of Family Law, (Atkin B., Banda F. (ed.)), Jordan Publishing Limited, Great Britain, Bristol, 2012, 372.

185 *Абрамова Е. Н., Аверченко Н. Н., Байгушева Ю. В.,* Гражданское право: учебник: в 3-х томах Том 3, Часть 1., 2010, <http://all-books.biz/pravo-grajdanskoe/otvetstvennost-vred-prichinennyiy.-html> [21.01.14].

ბი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად. ამასთან, მხედველობაში მიიღება ის გარემოებაც, რომ ამ ასაკშიც არასრულწლოვანთა ქცევა, ძირითადად, განპირობებულია აღმზრდელობითი ზემოქმედებით მშობელთა (მზრუნველთა) მხრიდან, რომლებმაც ასევე შესაბამისი ზედამხედველობა უნდა გაუწიონ ბავშვებს. ასეთ პირობებში მშობლებს (მზრუნველებს) დაეკისრებათ დამატებითი (სუბსიდიური) პასუხისმგებლობა არასრულწლოვნების მიერ მიყენებული ზიანისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მშობლები (მზრუნველები) დაზარალებულის წინაშე პასუხს აგებენ მხოლოდ იმ ნაწილში, რა ნაწილშიც თავად არასრულწლოვანი მოკლებულია შესაძლებლობას, პასუხი აგოს საკუთარი ქონებითა და შემოსავლებით. მშობლების (მზრუნველების) პასუხისმგებლობის პირობაა მათი ბრალი ბავშვების არასწორ აღზრდასა და ზედამხედველობაში, რომელიც პრეზუმირდება.

მშობლები არიან მთავარი პასუხისმგებლები თავიანთ შვილებზე და პასუხისმგებლობის გაძლიერების სიგნალები არის მესიჯი, რომ სხვის სამართალდარღვევაზე პასუხისმგებლობა აღიქმება როგორც მშობლებისათვის მასტიმულირებელი საგარანტიოდ იმისა, რომ ისინი უფრო ღრმად გაეცნონ საკუთარი შვილების ცხოვრებას და გააკეთონ რეაგირება, როცა ბავშვი ავლენს არასასურველი და ზიანის მომტანი ქცევის ნიშნებს. სხვა სიტყვებით, ბავშვების მიმართ უფრო მკაცრი პასუხისმგებლობა ხაზს უსვამს მშობლების პასუხისმგებლობას, ზედამხედველობა გაუწიონ თავიანთ შვილებს. თანამედროვე ინგლისურენოვან მეცნიერთა სამართლიანი მოსაზრების შესაბამისად, „მეურვე მშობლების პასუხისმგებლობის რისკები რეალობაში იქცევა ბავშვების ცუდი აღზრდის გამო სასჯელად“.[186] საინტერესოა, თუ რა გარემოებები უნდა იყოს გათვალისწინებული მშობლის პასუხისმგებლობის შემცირების ან საერთოდ გაუქმების დროს; რამდენად აქტიური უნდა იყოს მშობელი, რათა თავიდან აიცილოს ზიანის ანაზღაურება? სასამართლო პრაქტიკის თვალსაზრისით, საინტერესოა შვედეთის სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც მშობლები გათავისუფლდნენ ზარალის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.[187] ეს საქმე ეხებოდა 16 წლის გოგონას, რომელიც ბრალეულად იქნა ცნობილი ყაჩაღობასა და თავდასხმაში. სამართალდარღვევის მსხვერპლმა სარჩელით მიმართა სასამართლოს გოგონასა და მისი მშობლებისაგან ზიანის ანაზღაურების მიზნით. სააპელაციო სასამართლოს უნდა მიეღო გადაწყვეტილება, რამდენად აშკარად მიზანშეუწონელი იყო მშობლების იძულება, აენაზღაურებინათ ზარალი. მთავარი შეკითხვა იყო: რა უნდა გააკეთოს მშობელმა, რათა თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა? სასამართლომ დაადგინა, რომ მშობლები გოგონას მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენამდე, წინა წელსაც, ცდილობდნენ, მიეღოთ დახმარება სოციალური ორგანოებისა და სკოლე-

---

186 *Singer A.,* (Sweden), Parental Influence-More and Less, ნაშრომთა კრებულში: The International Survey of Family Law, (Atkin B., Banda F. (ed.)), Jordan Publishing Limited, Great Britain, Bristol, 2012, 373.

187 The Court of Appeal for Western Sweden, Gothenburg, (verdict 2012-02-15, Case T 4008-11), The International Survey of Family Law, (Atkin B., Banda F. (ed.)), Jordan Publishing Limited, Great Britain, Bristol, 2012, 374.

ბისაგან და თავიანთი მხრიდან ისეთ მნიშვნელოვან ზომებს მიმართეს, როგორიც, ჩვეულებრივ, მოსალოდნელია მშობლისაგან, რომლის ბავშვსაც ამ გოგონას მსგავსი პრობლემები აქვს. ამის გამო მშობლებს არ დაეკისრათ ზიანის ანაზღაურება. გადაწყვეტილება გონივრულია. მშობელს უნდა შეეძლოს, თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა, თუ დადასტურდება, რომ მან იმოქმედა კანონმდებლის მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად. მშობლის მიმართ ძალიან მკაცრი მოთხოვნები, რათა თავიდან იქნეს აცილებული პასუხისმგებლობა, აიძულებს რისკის წინაშე მყოფი ბავშვების მშობლებს, თავიანთი მოქმედება უმიზნოდ ჩათვალონ. ისინი ნებისმიერ შემთხვევაში იქნებიან პასუხისმგებელნი. ამ გზით კანონი მოგვცემს გამიზნულის საწინააღმდეგო შედეგს. შეკითხვა, თუ რა უნდა გააკეთოს მშობელმა, რათა თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა, ჯერ კიდევ დასაზუსტებელია. არის თუ არა გონივრული იმის მოთხოვნა, რომ მშობელმა მუდმივად მოითხოვოს შესაბამისი ორგანოებისაგან დახმარება ბავშვის ზედამხედველობასთან დაკავშირებით? „ნორმალური“ მშობლის ზედამხედველობის გარდა, სხვა რა ღონისძიებები უნდა ჩაითვალოს მისაღებად მშობლების პასუხისმგებლობის განსაზღვრისას და როგორ ხდება ბავშვის უფლებების დაცვა?

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირების თითოეული კატეგორიის მიმართ უნდა განისაზღვროს იმ სამოქალაქო სამართალდარღვევის შემადგენლობა, რომელმაც გამოიწვია ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობა. ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს მშობლებისა (მშვილებლებისა) და მეურვეების (მზრუნველების) მართლსაწინააღმდეგო მოქმედების (უმოქმედობის), მათი ბრალისა და არასრულწლოვანთა მიერ მიყენებულ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობისას, მშობლებზე პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში, კერძოდ: „არასრულწლოვნებზე ზედამხედველობის განუხორციელებლობა, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება მათი აღზრდისადმი, ბავშვების მიმართ საკუთარი უფლებების არამართლზომიერი გამოყენება, რომელსაც მოჰყვა ზიანის გამომწვევი არასწორი ქცევა ბავშვის მხრიდან (სიცელქის, ხულიგნური საქციელის მიშვებულობა ან წახალისება, ბავშვთა უზედამხედველობა, მათ მიმართ ყურადღების ნაკლებობა და ა.შ.)“.[188] შემოთავაზებულია ასევე, რომ „ბრალის სტრუქტურას დაემატოს მითითება ბავშვის რჩენაზე, რადგანაც, ხშირ შემთხვევაში, ბავშვის მიერ ზიანის მიყენებას სწორედ ამ მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება იწვევს“.[189] გამომდინარე ყოველივე აღნიშნულიდან, შეიძლება ითქვას, ამ დელიქტის სპეციფიკა ისაა, რომ აქ მნიშვნელოვანი ხდება არა არასრულწლოვნის ბრალი, რომელიც მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ, არამედ მისი მშობლებისა, რაც გამოიხატება მათ მიერ აღზრდის, ზედამხედველობისა თუ სხვა ვალდებულებებისადმი გამოხატული გულგრილობით.

---

188 *Брагинский, М.И.*, Комментарий к части второй Гражданского кодекса РФ для предпринимателей, «Правовая культура», М., 1996, 114-115.

189 *Рузанова Е. В.,* Обязательства вследствие причинения вреда с участием несовершеннолетних граждан, Автореферат на соискание ученой степени кандидата юридических наук, Саратов, 2013, 14, <http://test.ssla.ru/dissertation/referats/16-10-2013-2.pdf > [21.01.2014].

ამრიგად, მშობლები (მშვილებლები, მეურვეები, მზრუნველები) პასუხს აგებენ როგორც ბავშვების არასათანადო აღზრდის, ასევე მათზე არასათანადო ზედამხედველობის შემთხვევაში. მშობელთა პასუხისმგებლობა დგება იმის მიუხედავად, ცხოვრობენ ისინი ბავშვთან ერთად თუ არა. ცალკე მცხოვრებ მშობელს ეკისრება ისეთივე პასუხისმგებლობა, როგორიც ბავშვთან ერთად მცხოვრებ მშობელს. ცალკე მცხოვრები მშობელი შეიძლება განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, თუ მას არ მიეცა საშუალება, მონაწილეობა მიეღო თავისი ბავშვის აღზრდაში მეორე მშობლის ბრალით.[190]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საერთოდ არ განსაზღვრავს მშობლის უფლებაჩამორთმეულ პირთა პასუხისმგებლობას მათი შვილების მიერ მიყენებული ზიანის დროს. მშობლის უფლებების ჩამორთმევის საფუძველი, როგორც წესი, არის მშობლების უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ბავშვების აღზრდისადმი, მათ შორის: საკუთარი მოვალეობებისაგან თავის არიდება, მშობლის უფლებების ბოროტად გამოყენება, ბავშვებისადმი სასტიკი მოპყრობა და ა.შ. მშობლების ასეთი ქცევა ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ბავშვებზე, რის გამოც ის მიზეზშედეგობრივ კავშირშია ბავშვების მიერ მესამე პირებისათვის საზიანო ქმედებების ჩადენასთან. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილია, უფლებაჩამორთმეულ მშობელზე პასუხისმგებლობის დაკისრება, მაგრამ, ვინაიდან უფლებაჩამორთმეულ მშობლებს არ შეუძლიათ მონაწილეობის მიღება ბავშვების აღზრდაში, ბავშვის მიერ მიყენებული ზიანისათვის მათზე პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობა გარკვეული ვადით უნდა შეიზღუდოს. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით, (მაგალითად რუსეთი),[191] გათვალისწინებულია სამწლიანი ვადა მშობლის უფლების ჩამორთმევიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დადგომამდე, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნის კანონმდებლობითაც „მშობლისუფლებაჩამორთმეული პირები კარგავენ ყველა უფლებასა და ვალდებულებას, რაც დაფუძნებულია ბავშვთან ნათესაობის ფაქტზე (საალიმენტო ვალდებულების გარდა)“.[192] ვფიქრობ, ეს საკმაოდ დიდი პერიოდია და ერთწლიანი ვადა სავსებით საკმარისი იქნება, ვინაიდან საჭიროა, არსებობდეს მიზეზშედეგობრივი კავშირი ყოფილი მშობლის მიერ თავისი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებასა და ბავშვის მხრიდან ზიანის გამომწვევ არასათანადო ქცევას შორის, რაც ერთი წლის გასვლის შემდეგ დასაბუთების გარეშე მიმაჩნია. ამ ვადის გასვლის შემდეგ უფლებაჩამორთმეული მშობლების პასუხისმგებლობა გამოირიცხება. გამომდინარე აქედან, მშობლები ოჯახური ურთიერთობის დაკარგვისას ინარჩუნებენ სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას მათი არამართლზომიერი და ბრალეული ქმედებისათვის. უფლებაჩამორთმეული მშობელი პასუხს აგებს საკუთარი ბრალისათვის, ამიტომაც მას არ წარმოეშობა რეგრესული მოთხოვნის უფლება ზიანის მიყენებაში ბრალეული არასრულწლოვანი პირის მიმართ.

---

190 იხ. *Грибанов В.П.,* Осуществление и защита гражданских прав, «Статут», М., 2000, 170.

191 Гражданский Кодекс РФ, Статья 1075, 2014, <http://www.gk-rf.ru/statia1075 > [25.03.2014].

192 *Поляков И. Н.,* Ответственность по обязательствам, вследствие причинения вреда, «Городец», М., 1998, 105.

3.4.2. პასუხისმგებლობა აღზრდის მოვალეობის შესრულებისას

სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად, ძირითადად, მშობლების სამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება არა აღზრდის შედეგების გამო, ანუ, თუ როგორი გახდა ბავშვი, არამედ აღზრდის პროცესში არასწორი, არაკანონიერი, არაპედაგოგიური მეთოდების, ამორალური და უზნეო ქმედებებისა და ხერხების გამოყენების გამო, რამაც, შესაძლებელია, გამოიწვიოს არა მხოლოდ საოჯახო სამართლებრივი, არამედ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლი დასჯად ქმედებად მიიჩნევს არასრულწლოვნის დაყოლიებას მათხოვრობაზე ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე. აქ საქმე გვაქვს როგორც სისხლის სამართლის, ასევე საოჯახო სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან ერთდროულად, ვინაიდან ამ შემთხვევაში მშობელს, სამოქალაქო კოდექსის 1206-ე მუხლის თანახმად, ჩამოერთმევა მშობლის უფლებაც. სისხლის სამართლის 171-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებში კი მითითებულია, რომ „დანაშაულად ითვლება აგრეთვე არასრულწლოვნის ჩაბმა გამაბრუებელ ან სამკურნალწამლო საშუალებათა არასამედიცინო მოხმარებაში, ან მათი ჩაბმა პროსტიტუციაში“.[193] „ბავშვების არასათანადო აღზრდასთან დაკავშირებული საოჯახო პასუხისმგებლობის არსი იმით ვლინდება, რომ ვალდებულ პირებს ბავშვის აღზრდას ჩამოაშორებენ, ეს კი სხვადასხვა ფორმით გამოიხატება და აღზრდასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის საფუძველზე არის დამოკიდებული“.[194] ბავშვთა უფლებების ყველა დამცველი უნდა შეთანხმდეს იმაზე, რომ „მშობლის პასუხისმგებლობა არ არის თავისთავად მიზანი, არამედ არის ბავშვის სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის საჭირო უმთავრესი ფუნქცია“.[195]

საოჯახო სამართლებრივი სანქციების კლასიფიკაცია შესაძლებელია მათი დაცვის ხერხების მიხედვით. „ისინი იყოფა ორ ჯგუფად: იურიდიული პასუხისმგებლობის ზომები და საოჯახო უფლების დაცვის ღონისძიებები“.[196] „მშობლის მიერ სამართალდარღვევის შემადგენლობის მიხედვით, სანქციები შეიძლება იყოს როგორც პასუხისმგებლობის ზომები, ასევე დაცვითი ხასიათისა“.[197] თუმცა ზოგიერთი მეცნიერი არ ეთანხმება ამგვარ დაყოფას და მხოლოდ იურიდიულ პასუხისმგებლობას აღიარებს,[198] რაც, ვფიქრობ, არასწორია, ვინაიდან, საოჯახო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომები, ძირითადად, ჩადენილი სამართალდარღვევი-

---

193 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2013 წლის 25 მარტის მდგომარეობით, „ბონა კაუზა“, თბ., 2013, 80.

194 *Казанцева А. Е.,* Обязанности и права родителей (заменяющих их лиц) по воспитанию детей и ответственность за их нарушение, «Изд-во Томского ун-та.», Томск, 1987, 109.

195 *Jaap D. E*., Parents and the Rights of Child, Council of Europe Committee of Experts on Children and families (CS-EF), Stras-bourg, Dec 8 and 9, 2004, <http://www.kinderrechte.gv.at/home/upload/50%20thema/tm_0705_jaap_e_doek__eltern_und_die_krk.pdf> [16.04.2013].

196 *Звенигородская Н.Ф.,* Договорные семейно-правовые санкции, Вестник Пермского Университета, «Юридические Науки», http://www.jurvestnik.psu.ru/ru/component/content/article/59-dogovornye-semejno-pravovye-sankczii.html [13.10.13].

197 *Антокольская М. В.,* Семейное право, «Юрист», М., 2004, 210.

198 იქვე.

სათვის სამართალდამრღვევის დასჯისაკენ არის მიმართული, ხოლო საოჯახო უფლებების დაცვის ღონისძიებები, როგორც წესი, მიზნად ისახავს უფლების აღდგენას, აგრეთვე, სამართალდარღვევების თავიდან აცილებასა და აღკვეთას. „დამცავი ზომების გამოყენება უზრუნველყოფს ოჯახის იმ წევრის დაცვას, რომლის უფლებები და კანონიერი ინტერესები დაირღვა და, შესაბამისად აღდგენას ექვემდებარება“,[199] – სამართლიანად მიიჩნევენ რუსი მეცნიერები. დამცავი ზომები მიმართულია დარღვეული უფლების დაცვისაკენ, ხოლო „პასუხისმგებლობის ზომები მოიცავს არა მხოლოდ დარღვეული უფლების დაცვის ზომებს, არამედ სამართალდამრღვევისათვის არასასურველ შედეგებსაც“.[200]

საოჯახო უფლებების დაცვის ზომისა და სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომის გამაერთიანებელი ნიშანია მათი დაცვითი მიმართულება. ორივე ზემოაღნიშნული ზომა დაცულობის საშუალებაა. დაცულობა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე დაცვა. მეცნიერთა აზრით, დაცვა არის დაცულობის ელემენტი, რომელიც შესაბამისი უფლებებისა და ინტერესების დაცულობის საშუალებაა და განხილულ უნდა იქნეს დაცულობის კონკრეტული გამოვლენის სახით.[201] დაცვა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ირღვევა საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის უფლება, ხოლო საოჯახო სამართლებრივი პასუხისმგებლობა – ესაა რეაქცია ჩადენილ სამართალდარღვევაზე. მაგალითად, ისეთი საოჯახო სამართალდარღვევის შემთხვევაში, როგორიცაა ბავშვის მიმართ მშობლის სასტიკი მოპყრობა, რომლისთვისაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის ზომა – მშობლის უფლების ჩამორთმევა, რა თქმა უნდა, ხდება ბავშვის უფლებების დარღვევა. მშობლის უფლების ჩამორთმევა – ესაა სამართლებრივი დაცვის ერთ-ერთი ზომა და, იმავდროულად, სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომა. ჩვენი დასკვნა დასტურდება იურიდიული ლიტერატურის საფუძველზე: საოჯახო სამართალში სანქცია, უპირველეს ყოვლისა, გამოიყენება როგორც ბავშვების უფლებებისა და ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის საშუალება. შესაბამისად, საუბარი, პირველ რიგში, უნდა იყოს ბავშვის უფლებების დაცვაზე და მხოლოდ ამის შემდეგ – დამრღვევის პასუხისმგებლობაზე. ამავე დროს, ისეთი სამართლებრივი სანქცია, როგორიცაა მშობლის უფლების შეზღუდვა, მუდამ დაცვის საშუალებაა, მაგრამ ყოველთვის არაა საოჯახო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომა, ვინაიდან მშობლის ბრალის არარსებობისას მას არ შეიძლება შეეფარდოს პასუხისმგებლობა, მშობლის უფლების შეზღუდვის შესახებ სანქციის გამოყენების მიუხედავად. ამ შემთხვევაში ეს არის დაცვის, და არა პასუხისმგებლობის, ზომა, ხოლო მშობლების ბრალეული ქცევის შემთხვევაში (მშობლის უფლების ჩამორთმევის შემთხვევის ანალოგიურად) – ეს იქნება როგორც დაცვის, ასევე

---

199 *Данилин В. И., Реутов С .И.,* Юридические факты в семейном праве, «Изд-во Урал. ун-та», Свердловск,1989, 100.

200 *Малеин Н. С.,* Правоотношение: понятие, причины, ответственность, «Юрид. лит.», М., 1985, 35.

201 იხ. *Шерстнева Н. С.,* Семейно-правовая сущность принципа обеспечения приоритетной защиты прав и интересов несовершеннолетних, Современное право, №3, 2006, 43, http://www.nauka-pravo.org/m/articles/view/СОДЕРЖАНИЕ-3-2006 [28.10.13].

პასუხისმგებლობის ზომა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პასუხისმგებლობის ზომის სანქციის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე დაცვის ზომის სანქციის ცნება, რადგანაც პასუხისმგებლობის ზომა ყოველთვის დაცვის ზომასაც გულისხმობს, თუმცა დაცვის ზომა შეიძლება ყოველთვის არ მოიცავდეს პასუხისმგებლობის ზომას.

დაცვის ზომის სამართლებრივი სანქცია განისაზღვრება როგორც საოჯახო უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად მიმართული სამართლებრივი ზემოქმედების საშუალება, რომელიც საოჯახო მოვალეობების შესრულებას უზრუნველყოფს ოჯახის წევრის მხრიდან სამართალდარღვევების თავიდან აცილებისა და აღკვეთის, აგრეთვე საოჯახო უფლება-მოვალეობების განხორციელების ხელშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრის გზით.[202]

მშობელთა მოვალეობების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო მშობლის პასუხისგებაში მიცემის პირობების გაანალიზებით, მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ამისათვის, როგორც მინიმუმი, ორი ფაქტორი უნდა არსებობდეს: მშობელთა დანაშაულებრივი ქმედება ან უმოქმედობა და მათი ბრალეულობის არსებობა.[203]

არ არის აუცილებელი, რომ, მშობელთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გამო, ბავშვის ცხოვრებაში არასასურველი შედეგები დადგეს. საკმარისი არის თვით მართლსაწინააღმდეგო ქმედებების არსებობა. საოჯახო სამართალდარღვევის შემადგენლობაში ზედმეტია მავნე შედეგების ელემენტის ჩართვა, რადგან მშობელთა უფლებების ასეთი დაგვიანებული ჩამორთმევა აღარ ემსახურება ბავშვის ინტერესების სათანადოდ უზრუნველყოფასა და დაცვას. ადამიანის საქციელში ვლინდება მისი ნება, შესაბამისად მისი ფსიქიკური დამოკიდებულება თავისი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ან უმოქმედობის მიმართ. მაგრამ ზუსტად სუბიექტის ფსიქოლოგიური დამოკიდებულება საკუთარი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ან უმოქმედობის მიმართ არის ბრალი. ბუნებრივია, ყოველი ქმედება არ არის დანაშაულებრივი, რადგან ქცევა შეიძლება იყოს როგორც მართლზომიერი, ასევე მართლსაწინააღმდეგო. მაგრამ ბრალის ობიექტივირება ყოველთვის ქცევის მეშვეობით ხდება. ცხადია, რომ მშობლებისათვის ქცევის შეცვლის მოთხოვნით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, პირველ რიგში, მოითხოვს ბავშვის აღზრდის მიმართ მშობელთა დამოკიდებულების შეცვლას. ბავშვის აღზრდის მიმართ მშობლების შეცვლილი დამოკიდებულება ხდება მართლზომიერი დამოკიდებულება ბავშვის აღზრდის მიმართ და ბრალეულობა, შესაბამისად, გამოირიცხება. ქცევა არის ადამიანის შინაგანი მდგომარეობის გარდაქმნა ქმედებებში სოციალურად მნიშვნელოვანი ობიექტების მიმართ. იგი ადამიანთა ქმედებების (ქცევების) გარეგნულად შესამჩნევი სისტემაა, რომელშიც ადამიანის განზრახვების რეალიზება ხდება.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ, თუმცა სამოქალაქო კოდექსის 1206-ე მუხლში არ არსებობს მითითება მშობელთა ბრალე-

---

202 შეად. *Звенигородская Н.Ф.,* Договорные семейно-правовые санкции, Вестник Пермского Университета, «Юридические Науки», http://www.jurvestnik.psu.ru/ru/component/content/article/59-dogovornye-semejno-pravovye-sankczii.html [13.10.13].

203 იხ. *Матвеев Г. К.*, Советское семейное право, «Юрид. лит.», М., 1985, 153.

ულობის შესახებ, ბრალის არსებობა იმის აუცილებელ პირობაა, რომ დადგეს საკითხი მშობელთა პასუხისმგებლობის შესახებ მშობელთა მოვალეობების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო. ამასთან, ვფიქრობ, ხსენებულ მუხლში უნდა იყოს შეტანილი დამატებები და პირდაპირ უნდა იყოს მითითებული, რომ ბრალი არის მშობელთა პასუხისმგებლობის პირობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მშობელთა უფლებები ქრონიკული ალკოჰოლიზმითა და ნარკომანიით დაავადებულ მშობლებს ჩამოერთმევათ.

ლიტერატურასა და პრაქტიკაში სადავო არის საკითხი მშობელთა ბრალის იმ ფორმის შესახებ, რომელიც საკმარისია მათ პასუხისგებაში მისაცემად. მკვლევართა უმეტესობა უშვებს, წინასწარ განზრახვის გარდა, ასევე გაუფრთხილებლობით ბრალს, როგორც უხეში გაუფრთხილებლობის, ასევე უბრალო დაუდევრობის ფორმით. „ასეთ სიტუაციაში იურიდიულად მნიშვნელოვანია მშობელთა ბრალი განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის ფორმით“.[204] ეს პოზიცია სამართლიანად მიმაჩნია, ვინაიდან აღზრდის პროცესი გულისხმობს მშობელთა აუცილებელ ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ მომზადებას, სპეციალური ცოდნის არსებობას, რომლებიც სისტემური სახით შეიძლება მივიღოთ მხოლოდ შესაბამის სასწავლო დაწესებულებებში სწავლის შედეგად. მაგრამ საქართველოს მოსახლეობის უმეტესობისათვის მხოლოდ ზოგადი საშუალო განათლება არის ხელმისაწვდომი. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, მხოლოდ დაწყებითი და საბაზო განათლებაა სავალდებულო და სახელმწიფოს მხრიდან სრულად დაფინანსებული. ზოგადი საშუალო განათლების სასკოლო პროგრამები შეიცავენ მხოლოდ წყვეტილ და მოცულობით უმნიშვნელო ინფორმაციას ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის შესახებ. „რა უნდა ვილაპარაკოთ რიგითი მოქალაქეების შესახებ, თუ პირები, რომლებმაც მიიღეს ფსიქოლოგიურ-პედაგოგიკური მომზადება და რომლებიც ითვლებიან აღმზრდელობითი დარგის სპეციალისტებად, ხშირად აღსაზრდელებთან ურთიერთობებს სამ პოსტულატზე ამყარებენ, ესენია: ნებართვა, აკრძალვა, განკიცხვა“.[205]

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ ოჯახის ფორმირება ხდება არა მხოლოდ ოჯახის წევრების მიერ, არამედ თვით საზოგადოების მონაწილეობითაც. ოჯახი ვერ იქნება იზოლირებული საზოგადოების პრობლემებისაგან: უმუშევრობა, სიღარიბე, უკულტურობა, ძალადობა და საზოგადოების სხვა სიავეები ოჯახური ურთიერთობების სისტემაშიც გადმოდის.

იმისათვის, რომ სახელმწიფოსა და საზოგადოებას შეეძლოთ რაიმე მოთხოვნის წაყენება მშობლებისადმი, პირველ რიგში, თავად საზოგადოებამ და სახელმწიფომ უნდა მისცენ მშობლებს მეტი შესაძლებლობა. უპირველესად, ეს არის შესაბამისი ფსიქოლოგიურ-პედაგოგიკური მომზადება; მშობლებს უნდა ჰქონდეთ ანაზღაურებადი სამუშაო, ბავშვებს კი მომავლის კონკრეტული, რეალური ორიენტირები და სხვ. მაგრამ ამისათ-

---

204 იხ. *Матвеев Г. К.*, Советское семейное право, «Юрид. лит.», М., 1985, 154.

205 *Сухомлинский В. А.,* О воспитании, «Полит. лит-ры.», М., 1985, 34, 35.

ვის სახელმწიფოს, როგორც ყოველთვის, სახსრები არ გააჩნია. სწორედ ამიტომ უბრალო დაუდევრობა კი არა, არამედ მხოლოდ განზრახვა და უხეში გაუფრთხილებლობა შეიძლება იყოს მიჩნეული ბრალის იმ ფორმებად, რომლებიც მშობელთა უფლებების ჩამორთმევას იწვევს.

კანონმდებლობაში უნდა იყოს ფორმულირებული ბრალის ცნება იმ შემთხვევებისათვის, როდესაც ბავშვთა აღზრდის მოვალეობების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო ხდება მშობელთა უფლებების ჩამორთმევა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მშობელთა ბრალად უნდა მივიჩნიოთ აღზრდის პროცესისა და ბავშვზე ზემოქმედების მეთოდებისადმი ისეთი ფსიქიკური დამოკიდებულება, როდესაც მშობლები შეგნებულად უშვებდნენ ან გულგრილად ეკიდებოდნენ აღზრდის უარყოფითი შედეგების შესაძლებლობას, ან ითვალისწინებდნენ უარყოფითი შედეგების დადგომას, მაგრამ მათ თავიდან ასაცილებლად არ მიიღეს ადეკვატური ზომები.

სამოქალაქო სამართალში არ არსებობს ერთიანი მიდგომა მშობელთა ბრალის მტკიცების ტვირთისადმი: უნდა მივიჩნიოთ ისინი ბრალეულად, თუ პირიქით, არაბრალეულად. ამასთან დაკავშირებით, არსებობს მოსაზრება, რომ: „მშობელთა უფლებების ჩამორთმევის შემთხვევაში, მათზე არ ვრცელდება არაბრალეულობის პრეზუმფცია – ისინი ბრალეულად მიიჩნევიან“.[206] ეს დასკვნა მომდინარეობს უფრო ზოგადი მოსაზრებიდან, რომ მშობელთა უფლებების ჩამორთმევა არის საოჯახო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომა, რომელიც, შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის სახეობად. სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის კი დამახასიათებელია მოვალის ბრალეულობის ზუსტად ასეთი პრეზუმფცია.

მშობელთა უფლებების ჩამორთმევისათვის უნდა დადასტურდეს მათ ქმედებებში ბრალის არსებობა განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის ფორმით. მოპასუხის ბრალეულობის მტკიცება უნდა განახორციელონ მოსარჩელემ, იმ ორგანოებმა და დაწესებულებებმა, რომლებიც ვალდებულნი არიან, დაიცვან არასრულწლოვნის უფლებები. თუ არ არსებობს მშობელთა ბრალი მათ ქმედებაში, მშობლის უფლების ჩამორთმევა გამორიცხულია, რასაც ადასტურებს შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა. მაგალითად, ერთ-ერთი საქმის განხილვის დროს უზენაესმა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მიუთითა, რომ „მშობლის უფლების ჩამორთმევა უკიდურესი ღონისძიებაა, რომლითაც წყდება შვილსა და მშობელს შორის როგორც იურიდიული, ისე სოციალური კავშირი. კანონის ნორმა სისტემატურ თავის არიდებაში გულისხმობის შემთხვევას, როცა მშობელს აქვს როგორც ფიზიკური, ასევე მატერიალური შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს ბავშვის აღზრდა-განვითარებაში, მაგრამ შეგნებულად ასეთს არ ახორციელებს“.[207]

---

206 *Антокольская М. В.,* Семейное право, «Юрист», М., 2004, 235.

207 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა, საქმის № 3კ/480-01, 28.11.2001, თბ., <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [18.01.14].

სასამართლო განსახილველ შემთხვევაში დაეყრდნო იმ გარემოებებს, რომ მშობელს, რომელიც ფიზიკურად არ იმყოფებოდა საქართველოში, მოკლებული ან შეზღუდული ჰქონდა შესაძლებლობა, მშობლიური მზრუნველობა გამოეჩინა შვილისადმი, ხოლო მოწინააღმდეგე მხარემ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა მოპასუხის ის მატერიალური მდგომარეობა, რაც საშუალებას მისცემდა მას, ფინანსურად დახმარებოდა შვილს. ყოველივე ეს კი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ მოპასუხის მიერ გამოჩენილი ნაკლები მზრუნველობა და უყურადღებობა აღზრდის მოვალეობის შესრულებისაგან თავის არიდების ბრალეულ ქმედებად იქნეს მიჩნეული.[208]

„ისეთი სანქციებისათვის, როგორიც მშობელთა უფლებების ჩამორთმევა ან შეზღუდვაა, დამახასიათებელია ეკონომიკური შინაარსის არარსებობა, ისინი არაქონებრივი ხასიათისაა“.[209] ამასთან დაკავშირებით, სანქციები სუბიექტურად აღიქმება იმ პირების მიერ, რომლებიც სამართლებრივ პასუხისგებაში არიან მიცემულნი. მშობელთა ნაწილი განიცდის ამას და ცდილობს, შეცვალოს თავისი ქცევა და დამოკიდებულება ბავშვების აღზრდის მიმართ, რათა შემდგომში აღუდგინონ მშობელთა უფლებები; მეორე ნაწილი კი საერთოდ არ რეაგირებს საკუთარი სოციალური დეფორმაციის გამო, ან სულაც კმაყოფილია ამ ვითარებით. ერთ-ერთი მეცნიერი თავის წიგნში აღწერს დედის „გულახდილობას“: „თქვენ შეგიძლიათ, გადამახდევინოთ ალიმენტები, მაგრამ ვერავინ ვერ დამაძალებს პასუხისმგებლობას ბავშვების აღზრდაზე, რადგან მე საამისოდ არც ძალა და არც შესაძლებლობა არ გამაჩნია... თუ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას და ჩემთან ერთ ბავშვს მაინც დატოვებს, მე მაინც წავიყვან მას მამასთან“.[210]

სამართლებრივი სანქცია, გარდა სახელმწიფო იძულებისა და საზოგადოების მხრიდან გაკიცხვისა, ბრალეული პირისათვის უნდა იწვევდეს არასასურველ შედეგებს. როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამრღვევი სუბიექტურად არ აღიქვამს შესაბამის შედეგებს, როგორც მისთვის არასასურველს? შესაძლებელია, იგი ამ შედეგებით კმაყოფილიც კი აღმოჩნდეს. ვფიქრობ, ასეთი სანქციები მოსახლეობის უმეტეს ნაწილზე, და არა ცალკეულ პირებზე, არის ორიენტირებული. „უფლებების იძულებითი ჩამორთმევა – ეს არის სასჯელი, მიუხედავად იმისა, აღიქვამს პირი მას როგორც სასჯელს, თუ არა“.[211]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1206-ე მუხლში ამომწურავად არის ჩამოთვლილი მშობელთა უფლებების ჩამორთმევის საფუძვლები. პირველ რიგში, ეს არის ბავშვის აღზრდის მოვალეობის შესრულებისაგან თავის არიდება. აღზრდისაგან თავის არიდებად შეიძლება იყოს მიჩნეული, თუ მშობელი არ ზრუნავს ბავშვების ზნეობრივ და ფიზიკურ განვითარებაზე, სწავლა-განათლებაზე, საზოგადოებრივად სასარგებლო

---

208 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა, საქმის № 3კ/480-01, 28.11.2001, თბ., <http://prg.supremecourt.ge/-DetailViewCivil.aspx> [18.01.14].

209 *Матвеев Г. К.,* Советское семейное право, «Юрид. лит.», М., 1985, 155.

210 *Нечаева А. М.,* Споры о детях, «Юрид. лит.», М., 1989, 94.

211 *Братусь С. Н.,* Юридическая ответственность и законность, «Юрид. лит.» М., 1976, 97.

შრომისათვის მომზადებაზე. პრაქტიკულად, ეს, როგორც წესი, გამოიხატება იმით, რომ მშობლები არ უვლიან ბავშვს, ტოვებენ მას უპატრონოდ, აუცილებლობის შემთხვევაში, არ მიმართავენ სამედიცინო დაწესებულებას დახმარებისათვის და სხვ. ერთი სიტყვით, ბავშვი თავისით არსებობს – უპატრონოდ, ცოცხალი მშობლების გვერდით. სასამართლო პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ მშობელთა უფლებების ჩამორთმევა ზუსტად ამის საფუძველზე ხდება.

თუ მშობელთა უფლებები არაჯეროვნად იქნა გამოყენებული, ამ სიტუაციაშიც შესაძლებელია მშობლებისათვის მშობელთა უფლებების ჩამორთმევა. ამ სიტუაციაში მშობლები თავიანთ უფლებებზე უარს არ ამბობენ, პირიქით, ისინი ამ უფლებებს აქტიურად იყენებენ, მაგრამ ისე, რომ ზიანი ადგება ბავშვსაც და საზოგადოებასაც – ისინი თავიანთ უფლებას ბოროტად იყენებენ. საზოგადოებას არ შეუძლია, ამაზე თვალები დახუჭოს. ბუნებრივია, რომ ასეთ მშობლებს ჩამოერთმევათ მშობელთა უფლებები. ეს ხდება ბავშვისა და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.

მშობლებს შეიძლება ჩამოერთვათ მშობელთა უფლებები, თუ ისინი უხეშად ექცევიან ბავშვს, მათ შორის: ახორციელებენ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ძალადობას, ბავშვის სქესობრივ ხელშეუხებლობას საფრთხე ექმნება და სხვ. უხეში მოპყრობა შეიძლება გამოვლინდეს აღზრდის დაუშვებელი მეთოდების გამოყენებით (უხეში, უპატივცემულო, ადამიანური ღირსების დამამცირებელი მოპყრობა, ბავშვების შეურაცხყოფა ან ექსპლუატაცია). ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა უნგრეთის კანონმდებლობის ის მუხლი, სადაც სასამართლო წესით მშობლის უფლების ჩამორთმევის მიზეზი შეიძლება გახდეს ერთი მშობლის თანაცხოვრება იმ მეორე მშობელთან, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, და არსებობს ეჭვი, რომ მშობლის უფლება არ იქნება განხორციელებული ბავშვის ინტერესების შესაბამისად. თუ სასამართლომ მშობელს ჩამოართვა მშობლის უფლება ყველა შვილის მიმართ, მაშინ ეს გავრცელდება გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გაჩენილი ბავშვის მიმართაც.[212] აქ მნიშვნელობას იძენს ის გარემოება, რომ ბავშვის ინტერესი უმთავრესია და არ შეიძლება საფრთხე შეექმნას მომავალში გაჩენილ შვილებს, რაზეც მიუთითებს ბავშვის უფლებათა კონვენციის პრეამბულა: „ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია, იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულის და ურთიერთგაგების ატმოსფეროში, ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ.“

მშობელთა უფლებების ჩამორთმევის ერთადერთი შემთხვევა, რომელიც მშობლების ბრალზე არ არის დამოკიდებული, არის მშობლების ისეთი ქრონიკული დაავადებები, როგორებიცაა: ქრონიკული ალკოჰოლიზმი ან ნარკომანია. თუ ქრონიკული ალკოჰოლიკი ან ნარკომანი მოისურვებს შვილის ყოლას, უპრიანია ჯერ გაიაროს შესაბამისი მკურნალობის

212 იხ. *Залесский В.В.,* Семейное право Российской Федерации и иностранных государств, «Юринформцентр», М., 2005, 222.

კურსი, რათა განიკურნოს ამ დაავადებებისაგან. საწინააღმდეგო შემთხვევაში, ბავშვის დაბადების შემდეგ მშობელს – ქრონიკულ ალკოჰოლიკს და ნარკომანს – უნდა ჩამოერთვას მშობლის უფლება.

ჰიპოთეზურად შეიძლება წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როდესაც ქრონიკული ალკოჰოლიკები ან ნარკომანები ზნეობრივად არ დაეცნენ, არიან მისაბაძნი, უყვართ თავიანთი შვილები, ზრუნავენ მათზე, ერთი სიტყვით, სათანადოდ ასრულებენ მშობელთა მოვალეობებს.., მაგრამ, პრაქტიკულად, ამგვარი სიტუაციები თითქმის არ გვხვდება, პირიქით, ალკოჰოლიკებსა და ნარკომანებს არ შეუძლიათ მშობელთა უფლებების განხორციელება თავისი სპეციფიკური დაავადების გამო. ამასთან, მშობელთა უფლებები უნდა ჩამოერთვათ არა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ქრონიკული ალკოჰოლიზმი ან ნარკომანია შეძენილია (ამ სიტუაციაში, ისინი, როგორც წესი, ბრალეულები არიან, რომ ალკოჰოლიკები ან ნარკომანები გახდნენ; გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც ნარკოტიკები გამოიყენებოდა ექიმთა დანიშნულების საფუძველზე, რის შედეგადაც გაჩნდა ნარკოტიკული დამოკიდებულება). ეს პირები არ შეიძლება დავადანაშაულოთ იმაში, რომ ისინი ალკოჰოლიკები და ნარკომანები გახდნენ. კანონის საკმაოდ სასტიკი გადაწყვეტილება ამ პირთა მიმართ აიხსნება იმით, რომ კანონმდებლის პოზიციიდან ქრონიკული ალკოჰოლიკი ან ნარკომანი, ძირითადად, მშობელი ვერ იქნება.

იურიდიულ მეცნიერებაში ჩნდება საკითხი მშობელთა უფლებების აღდგენის უფლების სამართლებრივი ბუნების შესახებ. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა მოსაზრება, რომ მშობელთა უფლებების ჩამორთმევის შემდეგ „მშობლებს უჩნდება ახალი პირადი უფლება – მშობელთა უფლებების აღდგენის უფლება“.[213] მაგრამ შეიძლება კი იმის მტკიცება, რომ მშობელთა უფლებების ჩამორთმევის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან მშობლებს მაშინვე უჩნდებათ ახალი უფლება – თავისი უფლებების აღდგენა. უფლება – ეს არის სუბიექტის ქცევის კანონით დაშვებული ზღვარი, რომელიც, მისი დარღვევის შემთხვევაში, უზრუნველყოფილია სასამართლოში დაცვის შესაძლებლობით. აქვს თუ არა მშობელს უფლება, როგორც კი ძალაში შევა სასამართლოს გადაწყვეტილება მშობელთა უფლებების ჩამორთმევის შესახებ, მაშინვე მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს და სასამართლოს ამ უფლების აღდგენის შესახებ? პასუხი, რა თქმა უნდა, უარყოფითი იქნება. მშობლებს შეუძლიათ, მიმართონ სასამართლოს მხოლოდ მას შემდეგ, როცა ისინი შეცვლიან: 1) ქცევას, 2) ცხოვრების წესს, 3) დამოკიდებულებას ბავშვის აღზრდის მიმართ. სანამ ეს ყველაფერი არ მოხდება, რაიმე კანონით უზრუნველყოფილი შესაძლებლობა მათ არ გააჩნიათ. შესაბამისად, ეს ჯერ არის არა უფლება, არამედ მოქალაქის უფლებაუნარიანობის ელემენტი. ამ პრობლემის გამოკვლევის დროს ზოგი ავტორი იყენებს ისეთ ფილოსოფიურ კატეგორიებს, როგორებცაა: შესაძლებლობა და სინამდვილე.[214] სინამდვილე ის არის, რაც

---

213 *Казанцева А. Е.,* Обязанности и права родителей (заменяющих их лиц) по воспитанию детей и ответственность за их нарушение, «Изд-во Томского ун-та.», Томск, 1987, 114.

214 იხ. Советское семейное право. / Под ред. *Красавчиков О. А.*, Т. 1, «Высшая школа», М., 1972, 80.

რეალურად არსებობს, რაც უკვე მოხდა, გამოვლინდა; შესაძლებლობა კი ის არის, რაც ჯერ არ არსებობს, მაგრამ შეიძლება მოხდეს, გამოვლინდეს. შესაძლებლობა რეალიზების გზით გარდაიქმნება სინამდვილეში, ამიტომ სინამდვილე შეიძლება ვუწოდოთ განხორციელებულ შესაძლებლობას, შესაძლებლობა კი – პოტენციურ სინამდვილეს. ამ პოზიციებიდან უფლებაუნარიანობა შეიძლება განვიხილოთ როგორც შესაძლებლობა მოქალაქისათვის, ჰქონდეს ოდესმე რაიმე დასაშვები ქცევის ზღვარი. უფლებამოსილება – ეს არის რაღაც ისეთი, რაც ჯერ არანაირად არ გამოვლენილა, მაგრამ შეიძლება გამოვლინდეს სამართლის სუბიექტის კონკრეტულ ქმედებებში. შესაბამისად, ამ შემთხვევაში აღნიშნულ სამართლებრივ კატეგორიას შეესაბამება ფილოსოფიური კატეგორია „შესაძლებლობა“. პირიქით, უფლება – ეს უკვე განხორციელებული შესაძლებლობაა, რეალიზებული უფლებამოსილება. ეს ის არის, რაც კონკრეტული პირის ქცევის გარკვეულ ზღვარს შეადგენს და ამ შემთხვევაში სამართლებრივ კატეგორია „უფლებას“ შეესაბამება ფილოსოფიური კატეგორია „სინამდვილე“.

შესაბამისად, მშობელთა უფლებების ჩამორთმევის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ მშობლებს უჩნდებათ მხოლოდ და მხოლოდ შესაძლებლობა, ოდესმე აღიდგინონ მშობელთა უფლებები. ისეთი იურიდიული ფაქტების ერთობლიობიდან, როგორებიცაა: 1) ქცევის შეცვლა, 2) ცხოვრების წესის შეცვლა, 3) ბავშვის აღზრდის მიმართ დამოკიდებულების შეცვლა, მშობლებს უჩნდებათ მშობელთა უფლებების აღდგენის უფლება.

სასამართლომ, ბავშვის აზრის გათვალისწინებით, შეიძლება უარი თქვას მშობელთა უფლებების აღდგენის სარჩელის დაკმაყოფილებაზე, თუ ეს ბავშვის ინტერესებს ეწინააღმდეგება. მშობელთა უფლებების აღდგენა ბავშვის მიმართ, რომელსაც 10 წელი შეუსრულდა, შესაძლებელია მხოლოდ მისი თანხმობის შემთხვევაში. მშობელთა უფლებების აღდგენა დაუშვებელია, თუ ბავშვი გაშვილებულია და გაშვილება ბათილად ცნობილი არ არის.

მშობელთა უფლებების აღდგენა არ იწყება მათთვის უფლებების ჩამორთმევის მომენტიდან. მათი უფლებები უნდა ჩაითვალოს აღდგენილად ამის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან.

მშობელთა უფლებების ჩამორთმევა – ეს უკიდურესი ზომაა. არ არის აუცილებელი, ბავშვს წაართვა მშობლები და მშობლებს კი შვილები, თუ ოჯახში ნორმალური ურთიერთობების აღდგენის სხვა შესაძლებლობები არ არის ამოწურული. მშობლის ქცევის, ხასიათის, მისი პიროვნებისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ შეიძლება უარი თქვას მშობელთა უფლებების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე, გააფრთხილოს მოპასუხე ბავშვის აღზრდის მიმართ დამოკიდებულების შეცვლის აუცილებლობის შესახებ, დააკისროს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, გაუწიოს კონტროლი მშობელთა მოვალეობების შესრულებას. გარდა ამისა, თუ ამას სიტუაცია მოითხოვს, სასამართლომ შეიძლება გადაწყვიტოს მშობლისათვის ბავშვის ჩამორთმევის და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის ბავშვის გადაცემის საკითხები.

მშობლისათვის ბავშვის ჩამორთმევა, მშობელთა უფლებების ჩამორთმევის გარეშე, უფრო მსუბუქი სანქციაა, რადგან საკითხის ასე გადაწყვეტად უნდა დადგინდეს, რომ მშობელთა ქცევა, თუმცა ბავშვისათვის სახიფათოა, მაგრამ მშობელთა უფლებების ჩამორთმევისათვის საკმარისი საფუძველი არ არის.

მშობელთა უფლებების შეზღუდვა შესაძლებელია იმ შემთხვევებშიც, როდესაც შექმნილ სიტუაციაში მშობლების ბრალი არ არის, მაგრამ მათთან ბავშვის დატოვება სახიფათოა სხვა მიზეზების გამო: ფსიქიკური აშლილობა, სხვა ქრონიკული დაავადება, მძიმე ვითარება და სხვ. მეცნიერთა აზრით, „ასეთ სიტუაციაში ეს ზომა არ არის სანქცია, მისი გამოყენება არ უნდა მივიჩნიოთ როგორც მშობლების პასუხისმგებლობა. ეს არის ბავშვისათვის ცხოვრების ნორმალური პირობების უზრუნველყოფის საშუალება, რადგან მშობლებს არ შეუძლიათ ამის განხორციელება“.[215]

§3.5. აღზრდის მოვალეობის განხორციელება მშობლების ცალ-ცალკე ცხოვრების დროს

3.5.1. საცხოვრებელი ადგილი

ცხოვრების რეალობა და მათ შორის სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მშობლების ერთობლივი ცხოვრების შემთხვევაში მათ შორის იშვიათია შვილების აღზრდასთან დაკავშირებული დავები, ყოველ შემთხვევაში, ისეთი, რომელთა გადაწყვეტა სასამართლოში ხდება. ჩვეულებრივ, ეს დავები, იმ მშობელთა ხვედრია, რომლებიც ცალ-ცალკე ცხოვრობენ. „ბავშვის საცხოვრებლით უზრუნველყოფა და სტაბილური საცხოვრებელი გარემო მნიშვნელოვანი ფაქტორებია ოჯახურ გარემოში ცხოვრების უფლებების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას“.[216] ბავშვის საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული საკითხი საკმაოდ მწვავეა. თუ ამ საკითხზე მშობლები ერთმანეთში ვერ თანხმდებიან, დავა განიხილება სასამართლოში. სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს ბავშვის ინტერესებით და ბავშვის აზრის გათვალისწინებით. ამ დროს მხედველობაში მიიღება: ბავშვის დამოკიდებულება ორივე მშობელთან, ძმებსა და დებთან, ბავშვის ასაკი, მშობლების ზნეობრივი და სხვა თვისებები, მშობელსა და ბავშვს შორის არსებული ურთიერთობა, ბავშვის განვითარებისა და აღზრდის პირობების შექმნის შესაძლებლობა (მშობლების საქმიანობა, სამუშაო რეჟიმი, მშობლებისა და ბავშვების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა და სხვ.). საქმის განხილვაში მონაწილეობს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოც.

---

215 *Казанцева А. Е.,* Обязанности и права родителей (заменяющих их лиц) по воспитанию детей и ответственность за их нарушение, «Изд-во Томского ун-та.», Томск, 1987, 122.

216 *Kovacek-Stanic G.*, Child in Single (Absent) Parent family: Maintenance and Family Home, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 642.

მას ევალება საცხოვრებელი პირობების გამოკვლევა როგორც ბავშვის, ასევე იმ პირისა, რომელიც პრეტენზიას აცხადებს მის აღზრდაზე; მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ასევე ვალდებულია, სასამართლოს წარუდგინოს გამოკვლევის აქტი და დავის არსთან დაკავშირებული აქტის საფუძველზე გამოტანილი დასკვნა; ამავე დროს, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საკმაოდ ხშირად სასამართლო შეცდომაა ამ დავების განხილვა ბავშვისა და მშობლების საცხოვრებელი პირობების გამოკვლევის აქტებისა და შესაბამისი დასკვნების გარეშე, ზოგჯერ კი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლების გარეშეც.

ამდენად, ასეთი კატეგორიის საქმეების განხილვისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს: 1) მშობლების ობიექტური შესაძლებლობები, შეუქმნან ბავშვს სრულყოფილი განვითარებისათვის აუცილებელი პირობები (მატერიალური, საყოფაცხოვრებო და სხვა პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვის შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებას, მის ჯანმრთელობას, სწორ აღზრდას); 2) თითოეული მშობლის სუბიექტური შესაძლებლობები (მშობლის პირადი თვისებები, ბავშვის აღზრდის უნარი, ბავშვზე დადებითი ან უარყოფითი გავლენის შესაძლებლობა, მშობელთა მოვალეობების სწორი გაგება, მშობლის მორალური სახე და ჯანმრთელობა და ა.შ.); 3) ბავშვის სუბიექტური დამოკიდებულება მშობლების მიმართ (მისი სურვილი, იცხოვროს ერთ-ერთ მათგანთან, მისი დამოკიდებულება მშობლებისა და ოჯახის წევრების მიმართ, გარემოცვის მიმართ და სხვ.). ამასთან სასამართლო პრაქტიკიდან დასტურდება, რომ „მიუხედავად იმისა, რომ მოქმედებს ორივე მშობლის თანასწორობის პრინციპი, სასამართლოსთვის უპირველესად გასათვალისწინებელია თავად ბავშვების ინტერესი და ნება სადავო საკითხთან დაკავშირებით. მეტიც, დავის სწორად გადაწყვეტისათვის აუცილებელია ამ ორივე კომპონენტის ურთიერთშეჯამება, რათა არასრულწლოვნის ნება მის რეალურ ინტერესებს არ ეწინააღმდეგებოდეს“.[217]

ძალზე საინტერესოა, რომ თეორეტიკოსთა ამ მოსაზრებებში ზოგიერთი ავტორი პირველ ადგილზე აყენებს მატერიალურ პირობებს, უკანასკნელზე კი, შესაბამისად, მშობლებისა (დედა და მამა) და შვილების ურთიერთდამოკიდებულებას.[218] მაგრამ მშობლის სიყვარული ისევე, როგორც შვილის სიყვარული, არ შეიძლება იყოს მეორეხარისხოვანი. მაგალითად, თუ შვილს დედა უყვარს, შეთვისებულია მასთან, მაგრამ სასამართლო დედის მცირე შემოსავლის გამო ბავშვს აღსაზრდელად გადასცემს მატერიალურად უზრუნველყოფილ მამას, ამით ერთმნიშვნელოვნად იმის თქმა, რომ ბავშვის აღზრდა დასრულდა და, მით უმეტეს, სწორად, წარმოუდგენელია.

საქართველოს საოჯახო კანონმდებლობამ ბავშვის საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტისას პირველ ადგილზე უნდა დააყენოს თვით ბავშვის განწყობა, მისი დამოკიდებულება მშობლებსა და ოჯახის სხვა წევრებთან; შემდეგ გასათვალისწინებელია მშობლე-

---

[217] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე № ას-211-204-2012, თბ., 19 ივლისი, 2012, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>, [08.05.2015].

[218] იხ. *Иванова С. А.,* Судебные споры о праве на воспитание детей, «Юрид. лит», М., 1974, 29.

ბის პირადი თვისებები, მათი ურთიერთდამოკიდებულება; ამის შემდეგ კი ბავშვის აღზრდისა და განვითარებისთვის საჭირო პირობები. საქართველოს უზენაესი სასამართლო ამ საკითხთან დაკავშირებით თავის გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ „კანონი არ ადგენს რაიმე პრეზუმფციას დედის ან მამის სასარგებლოდ. სასამართლო დავის გადაწყვეტისას ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე არკვევს, თუ რომელ მშობელს შეუძლია უკეთ უზრუნველყოს ბავშვის აღზრდა, რაც მარტო საბინაო-საყოფაცხოვრებო და მატერიალურ პირობებზე არ არის დამოკიდებული“.[219] ცხადია, გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ შეძლებისდაგვარად თანმიმდევრობით უნდა გააანალიზოს საქმის გარემოებები, თუმცა ამ თანმიმდევრობის განუხრელი დაცვის დოგმატი არ არსებობს. სასამართლომ ყველა ეს პირობა უნდა შეაჯეროს ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტთან – არასრულწლოვნის აღზრდისას მისი ინტერესების მაქსიმალურ დაცვასთან. სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ არასრულწლოვნები, განსაკუთრებით კი მცირეწლოვანი ბავშვები, საცხოვრებლად რჩებიან დედასთან, მაგრამ ეს არ არის კანონით გათვალისწინებული დედის უპირატესი უფლება, – სასამართლო პრაქტიკაში სხვა გადაწყვეტილების მაგალითებიც გვხვდება, როდესაც ბავშვი აღსაზრდელად მამას გადაეცემა, ან მის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრება მამის საცხოვრებელი ადგილი. მაგალითად, უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე შვილი აღსაზრდელად მამას დაუტოვა და სააპელაციო პალატის განჩინება სამართლებრივად დასაბუთებულად მიიჩნია, მიუთითა რა სკ-ის 1197-ე, 1198-ე, 1201-ე მუხლებზე. ბავშვი სამი თვის ასაკში დედამ მიატოვა და სხვასთან გააჩინა შვილი. საქმეში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაბმული თბილისის განათლების განყოფილების საკოორდინაციო კომისიის დასკვნის მიხედვით, მამას ყველა პირობა ჰქონდა ბავშვის აღსაზრდელად – მუშაობდა, ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი, ასევე სოფელში სახლი და მიწის ნაკვეთი; ამასთან, იგი ჩვილს ზრდიდა ორი წლის განმავლობაში, სანამ დედას აბსოლუტურად არანაირი ურთიერთობა არ ჰქონდა შვილთან. ბავშვს საცხოვრებელ ადგილად განესაზღვრა მამის საცხოვრებელი ადგილი, თუმცა ამით არ შეიზღუდა დედის უფლება, სისტემატიური ურთიერთობა ჰქონოდეს შვილთან.[220]

სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სასამართლო განსაზღვრავს ბავშვის საცხოვრებელ ადგილს რიგრიგობით – ხან მამასთან, ხან კი დედასთან. მეცნიერებაში ამ საკითხთან დაკავშირებით შემოთავაზებულია წინადადება, რომ „განქორწინების შემდეგ ორივე მშობელთან თანაბარი ურთიერთობის შესანარჩუნებლად ბავშვი დღეგამოშვებით იცვლიდეს საცხოვრებელ ადგილს შემდეგი ცხრილის მიხედვით: ორშაბათი – დედა, სამშაბათი – მამა, ოთხშაბათი – დედა, ხუთშაბათი – მამა, პარასკევი – დედა, შაბათი, კვირა – მამა; მომ-

---

219 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე №ას-441-416-2011, თბ., 27 სექტემბერი, 2011,<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>, [08.05.2015].

220 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობის სამართალი, №5, განჩინება №ას-136-162-04, 14 ივნისი, თბ., 2005, 41, 42.

დევნო კვირა: ორშაბათი – მამა და ა.შ.“.[221] ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ხელს შეუშლის ბავშვის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ განვითარებას და, შესაბამისად, ასეთი გადაწყვეტილებაც არა მხოლოდ უკანონოა, არამედ მოკლებულია სამართლიანობის მომენტსაც. ამასთან უზენაესი სასამართლო თავის ერთ-ერთ განმარტებაში მიუთითებს, რომ მნიშვნელოვანია დადგინდეს, რომელ მშობელთან არის უფრო მიჯაჭვული ბავშვი: „საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება „ბავშვის ინტერესების“ განსაზღვრას, სასამართლო პრაქტიკისა და საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკის გათვალისწინებით. გაერთიანებული ერების „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს. ამდენად, მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის მიჯაჭვულობას ერთ-ერთ მშობელთან. სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს ფსიქო-პედაგოგიური ექსპერტიზის მიხედვით, თუ რომელი მშობლის მიმართ განიცდის უფრო მეტ სიმპატიას ბავშვი და რომელთან დარჩენა უფრო სასარგებლო იქნება მისი ფსიქიკური განვითარებისათვის. რა თქმა უნდა ბავშვის მშობელთან დამოკიდებულებას არ გააჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობა, მაგარამ აღნიშნული კრიტერიუმი სხვა კრიტერიუმებთან ერთად მოითხოვს შესაბამის კვლევას“.[222] ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას მნიშვნელობა ენიჭება ისეთ დეტალებს, მაგალითად, როგორიც არის ბავშვის ჯანმრთელობა და თუ რომელი მშობელი ხელმძღვანელობს შვილის მკურნალობის კურსს, რაც შესაძლებელია ასევე გათვალისწინებულ იქნეს სასამართლოს მიერ დავის განხილვისას. „სადავო საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ ზედმიწევნით უნდა შეისწავლოს გარემო, სადაც ბავშვი ცხოვრობს და სადაც მას ურთიერთობა უნდა ჰქონდეს ორივე მშობელთან, არასრულწლოვნის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი ინდივიდუალური მოთხოვნილებანი, რის შედეგადაც შესაძლებელია, გადაწყდეს, რამდენი ხნით და რა წესით უნდა დაერთოს მამას შვილთან ურთიერთობის (დედისაგან დამოუკიდებლად წაყვანის, ღამით დატოვების და სხვა) ნება“.[223] საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით დავის გადწყვეტისას სასამართლო ასევე ითვალისწინებს ისეთ გარემოებებს, როგორიც არის ბავშვის უკვე იმ გარემოსთან შეგუება, რომელშიც იგი ცხოვრობდა, ასევე და-ძმის ერთ მშო-

---

221 *Mazeh Y.*, Custody and Other Labels as Unnecessary Obstacles to Post- Separation Harmony, კონფერენციის მასალების კრებულში: Fostering Family Harmony: Principles and Practices, Papers from North American Regional Conferece, Brooklyn Law School, Brooklyn, June 6-8, 2013, 31.

222 *ნაჭყებია ა.,* სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), განმარტების საგანი: არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა (სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლი), საქმე №ას-1062-996-2012, თბ., 22 იანვარი, 2013, „გერმანიის თანამშრომლობა GIZ“, 2014, 320.

223 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე №ას-1194-1123-2012, თბ., 22 ნოემბერი, 2012, http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx, [08.05.2015].

ბელთან საცხოვრებლად დატოვების შესაძლებლობას. უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ „არასრულწლოვანი და-ძმის დაცილება დასაშვებია მაშინ, როდესაც ეს აუცილებლობითაა გამოწვეული და მშობელს, რომელთანაც ბავშვი იზრდება, არ აქვს შესაძლებლობა, შეუქმნას მას აღზრდის ნორმალური პირობები“.[224]

დავა ბავშვის საცხოვრებელი ადგილის შესახებ, როცა საქმე ეხება შვილის ერთ-ერთი მშობლის მიერ საცხოვრებლად საზღვარგარეთ გაყვანას, ყოველთვის უნდა გადაწყდეს, რა თქმა უნდა, ბავშვის ინტერესების სასარგებლოდ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთ-ერთი საქმის განხილვისას საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია სააპელაციო პალატის მითითება იმის შესახებ, თუ რატომ ჩაითვლება ბავშვის გერმანიაში აღსაზრდელად წაყვანა მისი ინტერესებისათვის სასარგებლოდ და საქართველოში დარჩენა საზიანოდ. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მშობლების დაცილების შემდეგ ბავშვი იზრდებოდა დედასთან და მას უცხოეთში საცხოვრებლად კარგი პირობები ჰქონდა, არ აღმოჩნდა საკმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ დაცული იქნებოდა ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი. ამიტომაც საკასაციო პალატამ იმსჯელა, რომ ბავშვის მუდმივ საცხოვრებლად გერმანიაში წაყვანის შემთხვევაში, მამა მოკლებული იქნებოდა შესაძლებლობას, მონაწილეობა მიეღო შვილის აღზრდაში.[225] ამ საკითხთან დაკავშირებით ასევე საინტერესოა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ეხებოდა ბავშვის დაბრუნებას დედასთან უკრაინაში, სადაც მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იყო, ხოლო მამა ამყოფებდა ბავშვს თავისთან. აქაც განმსაზღვრელი ბავშვის საუკეთესო ინტერესი აღმოჩნდა და კასატორის სარჩელი დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: „განსახილველი დავის საგანს წარმოადგენს საქართველოში არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის უკრაინაში დაბრუნება. შესაბამისად, მატერიალური მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები გამომდინარეობს „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციიდან და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობიდან. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს კონვენციის პრეამბულაში განვითარებულ მსჯელობას კონვენციის მიზნებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ბავშვის ინტერესებს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს მათზე მზრუნველობასთან დაკავშირებულ საკითხებში. აქვე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება, რათა უზრუნველყონ ბავშვების საერთაშორისო დაცვა მათი არამართლზომიერი გადაადგილების ან დაკავების მავნე შედეგებისაგან. ამდენად, ივარაუდება, რომ კონვენციით მოწესრიგებული ის პროცედურები, რომლებიც ხელს უწყობენ არამართლზომიერად გადაადგილებული ან დაკავებული ბავშვის სწრაფ დაბრუნებას ჩვეულ საცხოვრებელ ადგილზე და მეურვეობის უფლებათა ეფექტიანად

---

224 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე № ას-904-944-2011, 18 ოქტომბერი, 2011, http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx, [09.05.2015].

225 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობის სამართალი, №5, თბ., 2005 წ. განჩინება №ას-118-454-05, 11 მაისი, 32-40.

განხორციელებას, ემსახურება მხოლოდ ბავშვის ინტერესების დაცვას“ (ტექსტი დაცულია).[226]

ბუნებრივია, ამგვარ საქმეებში დავის საგანია მხოლოდ ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა და არა მშობელთა უფლებების ჩამორთმევა ან შეზღუდვა. ამიტომ სასამართლოს მხრიდან ბავშვის საცხოვრებელი ადგილის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ მეორე მშობელი ინარჩუნებს ბავშვის მიმართ ყველა თავის მოვალეობასა და უფლებას მეორე მშობლისა და მესამე პირების მიმართ (პაპა, ბებია და ა.შ.). მშობელს, რომელიც შვილთან ერთად არ ცხოვრობს, აქვს შვილთან ურთიერთობის უფლება, ამასთან, მოვალეც არის, მიიღოს მონაწილეობა მის აღზრდასა და განათლების მიღებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში.

მშობელთა უფლებები თანასწორი რჩება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ბავშვის საცხოვრებლი ადგილი ერთ-ერთ მათგანთან იქნება განსაზღვრული. ზოგადი წესის თანახმად, რომელიმე მშობლის უფლებების შეზღუდვა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს ბავშვის ინტერესებითაა ნაკარნახევი.

მშობელი, რომელთანაც ბავშვი ცხოვრობს, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მეორე მშობლისა და შვილის ურთიერთობას, თუ ეს ურთიერთობა არ აზიანებს ბავშვის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას, მის ზნეობრივ განვითარებას. ამავე დროს, სასამართლოს უფლება აქვს, ცალკე მცხოვრებ მშობელს განსაზღვრული ვადით ჩამოართვას შვილთან ურთიერთობის უფლება, თუ ასეთი ურთიერთობა ხელს უშლის შვილის ნორმალურ აღზრდას და მავნე გავლენას ახდენს მასზე. ერთ-ერთი საქმის განხილვისას უზენაესმა სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ჩათვალა, რომ მოსარჩელის მიერ კვირაში ერთხელ 2 საათით შვილის წაყვანა არ გამოიწვევდა უცხო გარემოში ბავშვის მოხვედრას და არ არსებობდა მტკიცებულება იმისა, რომ მამის ურთიერთობა შვილთან ხელს შეუშლიდა მის ნორმალურ აღზრდას და მავნე გავლენას მოახდენდა ბავშვზე,[227] ამიტომაც უფლება მისცა მეორე მშობელს, ურთიერთობა ჰქონოდა შვილთან განსაზღვრული დროით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გათვალისწინებულია ევროპის ქვეყნების სამოქალაქო სამართლის მიდგომა ასაკობრივ ჯგუფებთან მიმართებით, რაც, ცხადია, აისახა ასაკთან დაკავშირებულ სხვადასხვა ინსტიტუტში. გამონაკლისი ამ შემთხვევიდან არც არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა აღმოჩნდა. მიმაჩნია, რომ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა ემანსიპაციაზე (რომლის თანახმადაც განსაზღვრული პირობების არსებობისას არასრულწლოვნები ხდებიან ქმედუნარიანი პირები და სამეწარმეო ურთიერთობებში უთანაბრდებიან მათ) ითვალისწინებს მათ შეუზღუდავ ქმედუნარიანობას მხოლოდ სამეწარმეო

---

226 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე №ას-1809-1783-2011, 22/08/2012, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [18.01.14].

227 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობის სამართალი, №5, თბ., 2005, განჩინება №ას-917-1135-04, 2004, 10 დეკემბერი, 3-5.

ურთიერთობებში, ამ ურთიერთობების გარეთ იგი ჩვეულებრივად შეზღუდულქმედუნარიანად რჩება. ეს კი ნიშნავს ასეთი პირების მიერ საცხოვრებელი ადგილის დამოუკიდებლად არჩევის შეუძლებლობას.

მრავალი გარემოების გამო ბავშვი შეიძლება აღმოჩნდეს სხვა პირთა გარემოცვაში: ნათესავების, ნაცნობების. უფრო ხშირად ეს ხდება იმ ოჯახებში, სადაც არც ერთი მშობელი არ არის – ავადმყოფობის, ხანგრძლივი მივლინების, გარდაცვალების, პატიმრობის და ა.შ. გამო. ამ შემთხვევაში მშობლებს შეუძლიათ, ნებისმიერ პირს მოსთხოვონ ბავშვის დაბრუნება, თუ ეს პირი ბავშვს იტოვებს კანონიერი საფუძვლის ან სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა პირებთან შედარებით მხოლოდ მშობლებს აქვთ ბავშვის აღზრდის უპირატესი უფლება. თუ აღნიშნული პირი უარს აცხადებს ბავშვის ნებაყოფლობით დაბრუნებაზე, მშობელს (მშობლებს) აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს, რათა დაიცვას თავისი უფლებები. მაგრამ სასამართლომ შეიძლება უარი თქვას მშობლის სარჩელის დაკმაყოფილებაზე, თუ მივა იმ დასკვნამდე, რომ ბავშვის გადაცემა არ შეესაბამება ბავშვის ინტერესებს. ეს შეიძლება იყოს განპირობებული, მაგალითად, მშობლების სისასტიკით ბავშვის მიმართ, მათი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით, დაბალი ზნეობრივი თვისებებით (ალკოჰოლიზმი, ნარკოტიკები, პროსტიტუცია და ა.შ.). შეიძლება მოხდეს ისე, რომ ბავშვი დიდი ხნის განმავლობაში ბებიასთან (პაპასთან) იმყოფებოდა, მიეჩვია მათ. სასამართლო ვალდებულია, გაითვალისწინოს თვით ბავშვის და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს აზრი. თუ იქნება დადგენილი, რომ ვერც მშობლები და ვერც პირი, რომელთანაც ბავშვი იმყოფება, ვერ უზრუნველყოფენ მის სათანადო აღზრდასა და განვითარებას, სასამართლო ბავშვს გადასცემს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს.

მშობლებს შეუძლიათ, წერილობითი ფორმით შეთანხმდნენ უფლება-მოვალეობების განხორციელების წესის შესახებ იმ მშობლის მიერ, რომელიც ბავშვისაგან ცალკე ცხოვრობს. ამასთან დაკავშირებით ჩნდება საკითხი ამ შეთანხმების სამართლებრივი ბუნების შესახებ. კერძოდ, ხომ არ უნდა მიეცეს ასეთ შეთანხმებას ხელშეკრულების კვალიფიკაცია? თუ ეს შეთანხმება ხელშეკრულებად იქნება მიჩნეული, მაშინ, შესაბამისად, მეორე მხარეს უჩნდება უფლება, მოითხოვოს ამ ვალდებულების სათანადო შესრულება და შეუსრულებლობის შემთხვევაში – დააყენოს ბრალეული პირის პასუხისმგებლობის საკითხი. მაგალითად, თუ მშობელი სხვა დასახლებულ პუნქტში ცხოვრობს და ჩამოვიდა შვილის საცხოვრებელ ადგილზე იმისათვის, რომ, შეთანხმების შესაბამისად, შვილის აღზრდაში მონაწილეობა მიეღო, მაგრამ ამაზე უარი უთხრეს, მაშინ მას აქვს უფლება, მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც დაკავშირებულია მგზავრობასთან, სასტუმროს ხარჯებთან და ა.შ.

ასეთი სახის შეთანხმებებს არ შეიძლება მიეცეს ხელშეკრულების კვალიფიკაცია. ხელშეკრულება არის ორი ან რამდენიმე პირის შეთანხმება სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის, შეცვლის, შეწყვეტის შესახებ. საკვლევ სიტუაციაში მშობლებს შორის შეთანხმება არ არის მიმართული სამოქალაქო უფლება-მოვალეობების განსაზღვრაზე, შეცვლასა და შეწყვეტაზე. ასეთ შეთანხმებას სულ სხვა

მიზნები აქვს – განსაზღვროს ბავშვის მიმართ შესაბამისი საოჯახო სამართლებრივი მოვალეობის რეალიზების წესი. ამიტომ შეთანხმება არ შეიძლება მივაკუთვნოთ ხელშეკრულებათა რიცხვს, ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება მოხდეს შეთანხმების ერთ-ერთი მონაწილის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის კონსტრუირება ამ შეთანხმების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო. ამავე დროს, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ შეთანხმებას საერთოდ არ გააჩნია რაიმე იურიდიული მნიშვნელობა – ამ შემთხვევაში ის, უბრალოდ, საჭიროც არ იქნება. ეს შეთანხმება შეიძლება მნიშვნელოვან როლს ასრულებდეს, მაგალითად, მაშინ, როდესაც მშობლების პასუხისმგებლობის საკითხი დგება მათი არასრულწლოვანი შვილების მიერ მიყენებული ზიანის გამო. თუ ერთი მშობელი, შეთანხმების დარღვევით, ხელს უშლიდა მეორე მშობელს, რათა მას მონაწილეობა მიეღო ბავშვის აღზრდაში, სასამართლოს შეუძლია, დაადგინოს ბრალის არარსებობა ამ მშობლის მხრიდან და პასუხისმგებლობის ტვირთი გადააკისროს იმ მშობელს, რომელთანაც ბავშვი ცხოვრობს.

ბავშვის საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით საინტერესოა სერბეთის კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც „არასრულწლოვან შვილს და მშობლის უფლების გამომყენებელ მშობელს უფლება აქვთ, იცხოვრონ მეორე მშობლის მფლობელობაში არსებულ ბინაში იმ პირობით, რომ ისინი არ დაისაკუთრებენ ცარიელ ბინას და, ამასთან, ასეთი გადაწყვეტილება არ იქნება აშკარად უსამართლო ბინის მფლობელი მშობლისათვის“.[228]

ინგლისში შესაძლებელია, მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, რომ „საცხოვრებელი იმართებოდეს მინდობილობით მშობლების თანაბარი მონაწილეობით გაყიდვასთან დაკავშირებით, რომლის დროსაც გაყიდვა გადაიდება მანამ, სანამ ამ ოჯახის ბავშვები არ მიაღწევენ გარკვეულ ასაკს („esher order“); მეორე გადაწყვეტილება შესაძლოა იყოს ის, რომ საცხოვრებელზე საკუთრების უფლება გადაეცეს მეურვე მშობელს“.[229]

საფრანგეთში, თუ ერთ-ერთი მეუღლე გახდება ოჯახური სახლის მფლობელი განქორწინების შემდეგ, სასამართლოს შეუძლია, განსაზღვროს იჯარა მეორე ყოფილი მეუღლის სასარგებლოდ.

ავსტრიაში „საოჯახო სახლი, რომელსაც ფლობდა ერთი მეუღლე ქორწინებამდე, შეიძლება გახდეს იმ ქონების ნაწილი, რომელიც უნდა გაიყოს განქორწინების დროს; საერთო ბავშვის მოთხოვნები შეიძლება გახდეს კანონიერი საფუძველი იმისა, რომ ასეთი ქონება გათვალისწინებული იყოს გაყოფის პროცედურის დროს“.[230]

შვეიცარიაში „სასამართლოს აქვს უფლება, განსაზღვროს საოჯახო სახლის მომავალი გამოყენების წესები, ოჯახთან, კერძოდ, ბავშვებთან დაკავშირებული სიტუაციების საფუძველზე, დროში სამართლიანად შეზღ-

---

228 *Kovacek-Stanic G.*, Child in Single (Absent) Parent family: Maintenance and Family Home, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 641.

229 *Dewar J.,* Law and the Family, Butterworths, London, 2nd ed, 1992, 329-333.

230 *Verschraegen B,* Family Law Reforms in Austria from 1992 to 1999, The International Survey of Family Law, *Bainham A.* (ed.), Jordan Publishing Limited, Bristol, 2001, 42.

უდული ცხოვრების უფლების გზით (სავარაუდოდ, სანამ დედის მზრუნველობის ქვეშ მცხოვრები ყველაზე პატარა ბავშვი არ მიაღწევს 18 წელს)".[231]

მრავალი ქვეყნის კანონმდებლობის გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ არსებობს სხვადასხვა სამართლებრივი საფუძველი, რათა ძალაში შევიდეს ბავშვის უფლება, იცხოვროს ოჯახურ სახლში: საოჯახო სახლი უპირატესად გადაეცემა მეუღლეს, რომელიც ზრუნავს ბავშვებზე, იმ ფაქტის მიუხედავად, თუ ვინ არის სახლის ან ბინის მფლობელი, სანამ უმუშევარი ბავშვები ცხოვრობენ სახლში (იტალია); ერთ-ერთ მეუღლეს შეიძლება სასამართლოს მიერ მიენიჭოს ოჯახური სახლის ექსკლუზიური გამოყენების უფლება, თუ სამართლიანობის გამო, მეუღლის განსაკუთრებული გარემოებები და ბავშვების ინტერესები ამას მოითხოვს საკუთრების ან მფლობელობის უფლების მიუხედავად (საბერძნეთი).

3.5.2. „ერთობლივი თუ ერთპიროვნული მეურვეობა"

თეორიასა და პრაქტიკაში უკვე დიდი ხანია არსებობს შეხედულება, რომ ბავშვებისათვის უმჯობესია, როცა მშობლები თანამშრომლობენ და ერთად მონაწილეობენ ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში, მაგრამ შეუძლია კი სამოქალაქო სამართალს, ეფექტურად შეუწყოს ხელი ასეთ გარემოებებს (პირობებს)? შეუძლია თუ არა სამართლებრივ და პოლიტიკურ ინიციატივებს, შეცვალოს მშობელთა არყოფნისა და თანამშრომლობის ალბათობა? რა თქმა უნდა, გვაქვს მიზეზი, ვიყოთ სკეპტიკურები. კანონს აქვს მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს ოჯახურ ცხოვრებაზე. როგორც ერთ-ერთი თანამედროვე ამერიკელი სოციოლოგი აღნიშნავს: „ოჯახი ისეა გადახლართული სხვა სოციალურ სტრუქტურებთან, რომ შეუძლებელია მისი გარდაქმნა თანამედროვე სოციალურ ცხოვრებაში სხვა უამრავი ტენდენციით გამოწვეული ცვლილების გარეშე... მე არ ვიცი არცერთი დიდი ცივილიზაცია, რომელმაც თავისი ძლევამოსილებისა და მატერიალური კეთილდღეობის ზენიტში შეცვალა თავისი წინსვლა და განვითარება თუ არა დაშლისა და სამხედრო დამარცხების შედეგად. რა თქმა უნდა, არავინ მოქცეულა ასე გააზრებული სოციალური დაგეგმვის საშუალებით".[232]

შეუძლია თუ არა ინიციატივებს, გაზარდოს ჰარმონიული, ორი მშობლის მზრუნველობის შედეგად მიღებული, სასურველი შედეგების ალბათობა იმდენად, რომ მან მნიშვნელოვნად შეცვალოს მშობლის გადაწყვეტილების მიღება და ქცევა? თანამედროვე ამერიკელი მეცნიერის სიტყვებით, „კანონსა და პოლიტიკას აქვს ეფექტი ზღვართან",[233] უფრო კონკრეტულად, შეუძლია თუ არა საოჯახო სამართალს, ეფექტურად შეუწყოს ხელი ურთიერთობის სტაბილურობას და ხარისხს? თუ მშობლებს შორის

---

231 *Guillod O,* A new Divorce Law for New Millennium, The International Survey of Family Law, *Bainham A.* (ed.), Jordan Publishing Limited, Bristol, 2000, 361.

232 *Goode W.J.,* World Changes in Divorce Patterns, Yale University Press, New Haven, 1993, 318.

233 იქვე.

კავშირი უნდა გამკაცრდეს, შეუძლია თუ არა საოჯახო სამართალს, ეფექტურად შეუწყოს ხელი ასეთი ურთიერთობის შემდგომ თანამშრომლობითი ხასიათის ბავშვებზე მზრუნველობას? თუ ასეა, რა საშუალებებით უნდა მოხდეს ეს?

ამ საკითხების განხილვისას, უპირველესად, უნდა დადგინდეს, თუ რომელ მშობელს აქვს შვილის აღზრდის უპირატესი უფლება. თავის დროზე ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ „კანონმდებლობაში აუცილებელია დედის სასარგებლოდ პრეზუმფციის დადგენა მცირეწლოვანი ბავშვების შემთხვევაში“.[234] ეს პოზიცია მხარდაჭერას პოულობს სასამართლო პრაქტიკაშიც, თუმცა უნდა ითქვას, რომ ასეთი სასამართლო პრაქტიკა არ არის ამ აზრის პრინციპული მხარდაჭერა, არამედ არის რეალობით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი, რაც სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლო პრაქტიკით დამკვიდრებული სამართალი აღიარებს დედის უპირატესობას შვილის მიმართ უფლებრივი თვალსაზრისით. თავის მხრივ, ავტორთა ნაწილი ამტკიცებდა, რომ აღზრდის ყველა სხვა პირობის თანასწორობის შემთხვევაში, მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს საქმის გადაწყვეტაზე, თუ ეს ბავშვის ინტერესებით არის ნაკარნახევი. ეს მოსაზრება, ალბათ, მისაღები იქნებოდა, მით უმეტეს, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, შესაძლებელი რომ ყოფილიყო ყველა დანარჩენი პირობის საკმაოდ ზუსტი განსაზღვრა და, თანაც, ბავშვის ინტერესების ნამდვილი მნიშვნელობისა და არსის გარკვევა. ასეთი წინადადების პრაქტიკული რეალიზება კი საკმაოდ ძნელია. ამ ფონზე წამოიჭრება სერიოზული კითხვები: უნდა მიენიჭოს თუ არა მშობლების ერთობლივ მეურვეობას (ე.წ. 50/50) უპირატესობა საქმის განხილვის დროს? რა სამართლებრივ საფუძვლებს უნდა ემყარებოდეს ერთპიროვნული აღზრდის უფლება? შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას ავტომატურად ითვლება თუ არა, რომ მშობელი, რომელთანაც ცხოვრობს ბავშვი, სარგებლობს უფლებების განხორციელების უპირატესობით? რომელ ფაქტორებს უნდა მიენიჭოს მნიშვნელობა ბავშვის „საუკეთესო ინტერესის“ განსაზღვრისას ამ საკითხების განხილვის დროს? თვით ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“ კონვენციის პრეამბულაში მითითებულია, რომ: „სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს წინამდებარე კონვენციას, აღიარებენ რა საერთაშორისო შემთხვევებში ბავშვთა დაცვის სრულყოფის აუცილებლობას, ადასტურებენ, რომ, პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს“.[235] მეურვეობასთან დაკავშირებული შეკითხვა, „ბავშვის საუ-

---

234 *Соколовская Ю. С.,* Споры о детях по советскому праву, Автореф. дис. канд. юрид. наук, Челябинск, 1950, 16, http://www.dissercat.com/content/semeino-pravovoe-polozhenie-nesovershennoletnikh-roditelei-po-zakonodatelstvu-rossiiskoi-fed [11.10.13].

235 მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენცია, რომელსაც საქართველო შეუერთდა პარლამენტის 2014 წლის 5 თებერვლის № 1953-II ს დადგენილებით.

კეთესო ინტერესების განსაზღვრისას რომელი ფაქტორები უნდა იქნეს გამართლებული, არის ერთადერთი ის საკითხი, რომელიც მუდმივად თავსატეხს უჩენს გადაწყვეტილების მიმღებებს“,[236] ბავშვის საუკეთესო ინტერესებმა დაადასტურა, რომ ის არის ბუნდოვანი და არაერთმნიშვნელოვანი ცნება. „საუკეთესო“ ძალიან უზუსტო ცნებაა, რადგან არავინ შეიძლება იყოს დარწმუნებული იმაში, თუ რა არის „საუკეთესო“.[237] ვირჯინიისა და კოლუმბიის სამართლისა და ფსიქოლოგიის მეცნიერთა აზრით: „ბავშვის საუკეთესო ინტერესების სტანდარტი მეცნიერების ფართო კრიტიკის საგანი გახდა მისი ბუნდოვანებისა და გაურკვევლობის გამო, თუმცა ის მაინც დარჩა უმთავრეს მოთხოვნად მეურვეობის შესახებ დავების გადაწყვეტის დროს“.[238] ქართველ მეცნიერთა აზრით, „ბავშვის ინტერესი არ უნდა დაიყვანებოდეს მხოლოდ მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებამდე. ბავშვის ინტერესი არ შემოიფარგლება კარგი საყოფაცხოვრებო პირობებით, ისინი იმ სხვა გადამწყვეტ ფაქტორებს გულისხმობენ, რომელნიც უზრუნველყოფენ ბავშვის სწორ იდეოლოგიურ და ფიზიკურ აღზრდას, მის მომზადებას საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისთვის“.[239] თავის გადაწყვეტილებაში საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ „არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ბავშვის აზრი ძალიან მნიშვნელოვანია, იგი შეიძლება არ იქნეს გათვალისწინებული, თუკი მის ინტერესებს არ შეესაბამება. არასრულწლოვანების მამისადმი მიჩვევა და მათ მიერ დედის საწინააღმდეგოდ სხვადასხვა გარემოებების დასახელება კონკრეტულ შემთხვევაში, მამის მიერ მშობლიური მოვალეობებისადმი გონივრული მიდგომის შედეგი არ არის და იგი გამოწვეულია სურვილით, მოიპოვოს ბავშვის კეთილგანწყობა ყოველგვარი, თუნდაც არასწორი აღმზრდელობითი ღონისძიებების ფასად. აქედან გამომდინარე, ბავშვის აღზრდისათვის გარემოს შესაბამისობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დატალურად და დამაჯერებლად უნდა შემოწმდეს, და ამ მიმართებით გადამწყვეტი მნიშვნელობა მორალურ და არა მატერიალურ მხარეს უნდა მიენიჭოს“.[240]

სასამართლო ვალდებულია, ყველა შემთხვევაში დაიცვას ეს ინტერესი. მაგალითად, ზოგიერთი ქვეყნის (მალტა) კანონმდებლობის შესაბამისად,

---

236 *Blair M., D., Weiner M. H., Stark B., Maldonado S.*, Family Law in the World Community: Cases, Materials, and Problems in Comparative and International Family Law, Carolina Academic Pres Law Casebook Series, 2nd ed., Durham, North Carolina, 2009, 394.

237 *Laufer-Ukeles P.,* „Seperating Care from the Caregiver”, კონფერენციის მასალების კრებულში: Fostering Family Harmony: Principles and Practices, Papers from North American Regional Conferece, Brooklyn Law School, Brooklyn, June 6-8, 2013, 27.

238 *Scott E.S.,* (Professor of Law, Columbia University School of Law,) *Emery R.E.,(*Professor of Psychology, University of Virginia), Gender Politics and Child Custody: The Puzzling Persistence of the Best Interest Standard, კონფერენციის მასალების კრებულში: Fostering Family Harmony: Principles and Practices, Papers from North American Regional Conferece, Brooklyn Law School, Brooklyn, June 6-8, 2013, 34.

239 *ჩიკვაშვილი შ.,* საოჯახო სამართალი, „მერიდიანი“, თბ., 2004, 107.

240 *ნაჭყებია ა.,* სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), განმარტების საგანი: არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა (სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლი), საქმე №ას-441-416-2011, თბ., 27 სეტემბერი, 2011, „გერმანიის თანამშრომლობა GIZ“, 2014, 318.

როცა არსებობენ ქორწინების შედეგად ბავშვები, მეუღლემ (მეუღლეებმა) უნდა უზრუნველყოს ასეთ ბავშვებზე ზრუნვა და მეურვეობა (საცხოვრებელი და კონტაქტი). ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სასამართლო გასცემს განკარგულებას ნებისმიერ დახმარებასთან დაკავშირებით, რომელიც ემსახურება ბავშვის ინტერესებს. მაშინაც კი, თუ მეუღლე (მეუღლეები) მიიღებს გადაწყვეტილებას ამ საკითხებზე, სასამართლოს აქვს უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, განიხილოს ასეთი გადაწყვეტილებები და მოითხოვოს შეთანხმების პროექტის ხელახლა წარდგენა, ან წარმოადგინოს საკუთარი წინადადებები, სანამ არ დადგინდება, რომ შეთანხმება ნამდვილად ემსახურება ბავშ(ებ)ის საუკეთესო ინტერესებს.[241] თანამედროვე მეცნიერთა ნაწილი სამართლიანად მიიჩნევს მშობელთან ურთიერთობის დროს საუკეთესო ინტერესების ძირითად განმსაზღვრელ შემდეგ გარემოებებს: „ა) ღირებულებები, რომლებიც გავლენას ახდენს ბავშვის კარგად ყოფნაზე, ბ) მაქსიმალური სტაბილურობა და განგრძობადობა, გ) მინიმალურზე მეტი კონტაქტი და ურთიერთობა ორივე მშობელთან, დ) კონფლიქტისა და ძალადობის მინიმალიზაცია“.[242]

ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას მშობლების ცალ-ცალკე ცხოვრების დროს სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო სისტემა ზუსტად განსაზღვრავს, ერთობლივი მეურვეობა დაწესდეს შვილზე, თუ ერთპიროვნული, ანუ კანონი განსაზღვრავს „ერთპიროვნული“ და „ერთობლივი“ მეურვეობის ცნებებს. „ბავშვის მეურვეობა (ცუსტოდყ) გულისხმობს განქორწინების შემდგომ მცირეწლოვანი ბავშვის ცხოვრების დარეგულირებას, ხოლო ერთობლივი მეურვეობა გულისხმობს უფრო თანაბრად გაწონასწორებულ პასუხისმგებლობას“.[243] ამასთან დაკავშირებით შემოღებულ იქნა „თანაბრად განაწილებული მშობლის პასუხისმგებლობის“ (equal shared parental responsibility - ESPR) დაშვება. „ერთობლივი მეურვეობა“ – ეს არის ერთობლივი პასუხისმგებლობა „მთავარ გრძელვადიან პრობლემებთან დაკავშირებით“ (განსაკუთრებით ეს ეხება განათლებას, სახელს, რელიგიას, სამედიცინო საკითხებს და ცხოვრების მოწყობის მთავარ ცვლილებებს)“.[244] თანამედროვე მეცნიერთა ნაწილის აზრით, „გენდერულ ომში მთავარი ყურადღება გამახვილდა ერთობლივ მეურვეობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ბრძოლაზე, მაგრამ ამანაც დაკარგა ძალა, დედათა ჯგუფების მცდელობის დროს გაეხადათ ოჯახური ძალადობა მთავარ ფაქტორად მეურვეობის შესახებ დავების დროს და მამების საპასუხო მცდელობისას წინ წამოეწიათ მშობლის გაუცხოებასთან დაკავშირებული

---

241 იხ. *Farrugia R.,* Juxtaposing Legal Systems and the Principles of European Family Law on Divorce and Maintenance, *Orucu E.*, *Mair J.* (eds), Intersentia, 2007, 99, http://malta.academia.edu/Ruth-Farrugia/Papers, [25.10.13].

242 *Brinig M.F.,* (Notre Dame Law School, U.S.A.), Substantive Parenting Arrangements: The Tragedy of the Snipe Hunt,….<www.wikihow.com/Snipe-Hunt> [07.06.13].

243 *Stark B.,* International Family Law, an Introduction, Ashgate Publishing Limited, Great Britain, Burlington, 2012, 182.

244 *Young L.,* Reflections on the Shared Parenting Experience, შრომათა კრებულში: The International Survey of Family Law, *Atkin B., Banda F.,* (ed.), Jordan Publishing Limited, Great Britain, Bristol, 2012, 3.

პრეტენზიები“.[245] ავსტრალიის საკანონმდებლო სისტემა მშობელთა განქორწინების შემდეგ ბავშვის მეურვეობასთან დაკავშირებით ითვალისწინებს: (ა) რომ მთავარი აქცენტი გაკეთდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე, და (ბ) რომ ასეთი საუკეთესო ინტერესების შეფასებისას გათვალისწინებული იყოს საკონტროლო ჩამონათვალში მითითებული სხვადასხვა საკითხი („საუკეთესო ინტერესების საკონტროლო ჩამონათვალი“).[246] შესაძლებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესების ჩამონათვალის გაყოფა ორ ნაწილად: „მთავარ“ და „დამატებით“ ინტერესებად. ორივე მშობელთან მნიშვნელოვანი ურთიერთობით მიღებული სარგებელი და ბავშვების დაცვა ძალადობისა და უფლებების ბოროტად გამოყენებისაგან არის ორი „მთავარი“ საკითხი, ყველა სხვა ფაქტორი კი გადაეცემა „დამატებითი“ ინტერესების სიას. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ „მეურვეობა უნდა მიენიჭოს დაცილებამდე ბავშვზე მთავარ მზრუნველს, ხოლო მეორე მშობლისათვის ჩვეულებრივ განისაზღვროს ბავშვთან შეხვედრის დრო (ხელმისაწვდომობა)“.[247] ამ მოსაზრებას ეთანხმება ზოგიერთი თანამედროვე მეცნიერი, გამომდინარე იქიდან, რომ კონკრეტული სამეურვეო ღონისძიებები შედის ბავშვის საუკეთესო ინტერესებში: „სამეურვეო ღონისძიებების უწყვეტობისა და სტაბილურობის უკიდურესი აუცილებლობა – და ტკივილი, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს უკვე არსებული მზრუნველობის შეწყვეტამ და მთავარი მზრუნველის მიმართ ემოციურმა დამოკიდებულებამ – საკმაოდ ძლიერად იხრება ასეთი სამეურვეო ღონისძიებების შენარჩუნებისაკენ“,[248] მაგალითად: ყოველი მეორე შაბათი და კვირა და სასკოლო არდადეგების ნახევარი (ე.წ. „80/20“ შეთანხმება). მაგრამ განვითარების ეტაპზე ამის საწინააღმდეგო აზრიც გაჩნდა – სასამართლოს გადაწყვეტილებით უფრო მეტად წახალისდეს მშობლის ერთობლივი მოვალეობების შესრულება. ტერმინები: „მეურვეობა“ და „ხელმისაწვდომობა“ ამოღებული იყოს, რაც მიზნად ისახავს ვინმეს „გამარჯვებულად“ წარმოჩენის მინიმუმამდე შემცირებას და ბავშვებისადმი, როგორც საკუთრებისადმი, სამწუხარო დამოკიდებულების თავიდან აცილებას. „ერთობლივი სამეურვეო სტანდარტები ხაზს უსვამს იმას, რომ ბავშვისათვის თითოეული მშობლის მნიშვნელობა საჭიროა მშობლების წასახალისებლად, რათა ისინი აქტიურად ჩაერთონ თავიანთი შვილების ცხოვრებაში. მაგალითად, ზოგ ქვეყანაში ახლა „მეურვეობისა და ბავშვის ნახვის“ ნაცვლად გამოიყენება ტერმინი „მშობლის მზრუნველობის გეგმა“, რამაც შეიძლება ასევე იმოქმედოს იმ მოსაზრების დაკნინებაზე, რომ არსებობენ მეურვეობით „მო-

---

245 *Scott E.S.,* (Professor of Law, Columbia University School of Law,) *Emery R.E.,(*Professor of Psychology, University of Virginia), Gender Politics and Child Custody: The Puzzling Persistence of the Best Interest Standard, კონფერენციის მასალების კრებულში: Fostering Family Harmony: Principles and Practices, Papers from North American Regional Conferece, Brooklyn Law School, Brooklyn, June 6-8, 2013, 34.

246 *Young L.,* Reflections on the Shared Parenting Experience, შრომათა კრებულში: The International Survey of Family Law, *Atkin B., Banda F.,* (ed.), Jordan Publishing Limited, Great Britain, Bristol, 2012, 3.

247 იქვე, 4.

248 *Brinig M.F.,* (Notre Dame Law School, U.S.A.), Substantive Parenting Arrangements: The Tragedy of the Snipe Hunt,….<www.wikihow.com/Snipe-Hunt> [07.06.13].

გებულები“ და „წაგებულები“ და ამით ხელი შეუწყოს მშობლების თანამშრომლობას“.[249]

თუმცა ნაკლებ დასაჯერებელია, რომ ამ ღონისძიებებს შეუძლია გამოიწვიოს დიდი ცვლილებები მშობლის ქცევაში. შეერთებულ შტატებში ბევრი შტატის იურისდიქცია იყენებდა ერთობლივი მეურვეობის ვარიანტს ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში. „ერთობლივი მეურვეობა ახლა ხელმისაწვდომია ყველა შტატში და რამდენიმე შტატში არსებობს პრეზუმფცია ამ მეურვეობის უზრუნველყოფის სასარგებლოდ“.[250] ტერმინი „მშობლის მეურვეობის გეგმა“ ასევე გამოიყენებოდა ზოგ შტატში რამდენიმე წლის განმავლობაში. მაგრამ კვლევის მონაცემები ისევ გვიჩვენებს, რომ ბევრი მშობელი განქორწინების შემდეგ თავის შვილს იშვიათად ხედავს, ან საერთოდ ვერ ხედავს.[251] გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ დაცილების შემდგომ მშობლების თანამშრომლობის დონე ისევ დაბალია.

უმეტეს შემთხვევაში, ერთობლივი (ორმაგი) მეურვეობა (მზრუნველობა) ერთიან ოჯახში არის ოპტიმალური ვარიანტი ბავშვის აღზრდისათვის. ყველა მკვლევარმა დაადასტურა, რომ ბავშვებს ერთმშობლიან ოჯახში, სავარაუდოდ, უფრო ხშირად აქვთ ცუდი ჯანმრთელობა, ქცევითი პრობლემები, დაბალი განათლების დონე, ვიდრე ერთიან ოჯახში.[252] ორივე ბიოლოგიურ მშობელთან გაზრდის უპირატესობა გავლენას ახდენს ზრდასრულ ადამიანზე, და მომავალ თაობაზეც კი. მკვლევრებმა დოკუმენტურად დაასაბუთეს ის ძლიერი კავშირი, რომელიც არსებობს ერთმშობლიან ოჯახში აღზრდასა და ზრდასრული ადამიანის შემოსავალს, ჯანმრთელობასა და ემოციურ სტაბილურობას შორის. ასევე გამოვლინდა, რომ, როგორც ქალებს, ასევე მამაკაცებს, რომლებსაც ბავშვობაში უწევდათ ერთმშობლიან ოჯახში ცხოვრება, ზრდასრულობის ასაკში აქვთ ქორწინების დროს უთანხმოება, ეყრებიან ან სცილდებიან.[253] მკვლევრებმა ასევე შეამჩნიეს, რომ ბებია-ბაბუის განქორწინება მნიშვნელოვნად ასოცირდება შვილიშვილის თაობაში ნაკლებ განათლებასთან, უფრო მეტ ოჯახურ უთანხმოებასთან, მეტ გაყრასა და მეტ დაძაბულობასთან ბავშვისა და მშობლის ადრეულ ურთიერთობებში.[254]

ოჯახთან დაცილების შემდეგ თანამშრომლობითი ხასიათის მზრუნველობის სტიმულირებისათვის ერთ-ერთი აშკარა სტრატეგიაა მეურვეო-

---

249 *Maldonado S.,* (Seton Hall University - School of Law), Beyond Economic Fatherhood: Encouraging Divorced Fathers to Parent, 2004, 61,<http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?-abstract_id=569363> [25.12.13].

250 იხ. *Krause H.D., Elrod L.D, Garrison M., Oldham J.T.,* Family Law: Cases, Commentsand Questions, 5th ed, West Group, St. Paul, 2003, 699.

251 იხ. *Casper L.M., Bianchi S.M.,*Continuity and Change in the American Family, Sage Publications, London, New Delbi, printed in U.S.A., 2002, 138.

252 იხ. *Mclanahan S., Sandefur G.,* Growing up with a Single Parent: What Hurts, What Helps, Harvard College, U.S.A., 1994, 39.

253 იხ. *Amato P. R., Cheadle J, The* Long Reach of Divorce: Divorce and Child Well-Being Across Three Generations, Journal of Marriage & Family, 2005, 191, 192-93, <http://onlinelibrary.wiley.-com/doi/10.1111/j.0022-2445.2005.00014.x/abstract>, [28.12.13].

254 იხ. *Garrison M.,* Promoting Cooperative Parenting: Programs and Prospects, Brooklyn Law School Legal Studies Research Papers No. 99, March, 2008, 5,6, <http://ssrn.com/abstract=1086441> [25.12.13].

ბისა და ბავშვის ნახვის შესახებ კანონის იმგვარად შეცვლა, რომ ამან ხელი შეუწყოს ასეთ ქცევას. ხშირად კანონები, რომლებიც უშვებენ ერთობლივად მშობელთა მეურვეობას, ან ისინი იქმნებიან ამ მეურვეობის უზრუნველყოფის სასარგებლოდ, მიღებულ იქნა ამ მიზნის გათვალისწინებით. არაერთ კვლევაში აღნიშნული იყო, რომ ერთობლივი ფიზიკური მეურვეობა მნიშვნელოვნად ასოცირდება აღზრდაში მამის უფრო მეტად ჩართულობასთან და ბავშვის დაკმაყოფილების უფრო მაღალ დონესთან, ვიდრე ეს არის ტრადიციული დედის მეურვეობის შემთხვევაში.[255]

თუმცა ერთობლივი ფიზიკური მეურვეობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად ასოცირდება მაღალ შემოსავალთან, განათლებასთან, ხოლო წარსულში არსებული თანამშრომლობითი ხასიათის მზრუნველობა გვიჩვენებს, რომ ერთობლივი მეურვეობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პოზიტიური შედეგები შეიძლება წარმოიქმნას, ნაწილობრივ, იმ მშობლების უკვე არსებული მახასიათებლებისაგან, რომლებმაც უზრუნველყვეს ერთობლივი მეურვეობა.

მართალია, ერთობლივი მეურვეობა შეუთავსებელია ყველა ოჯახისათვის, მაგრამ ფაქტები გვიჩვენებს, რომ მისი გამოყენება უმჯობესია ერთპიროვნული მეურვეობისთვის ტიპურ შემთხვევაში. „კვლევებმა გვიჩვენა, რომ დაცილებულ მშობლებს შორის ძლიერი კონფლიქტი, ფაქტობრივად, საკმაოდ იშვიათია“.[256] დაახლოებით ოცდაათზე მეტი კვლევის მეტაანალიზმა, რომლის დროსაც მოხდა ერთობლივი და ერთპიროვნული მეურვეობის შედეგების შედარება, გამოავლინა, რომ: „ერთობლივი მეურვეობის ქვეშ მყოფი ბავშვები უკეთ შემგუებლები არიან, ვიდრე ერთპიროვნული (ძირითადად, დედის) მეურვეობის ქვეშ მყოფნი. ეს სხვაობა ... საკმაოდ ძლიერია და შეესაბამება იმ ჰიპოთეზას, რომ ერთობლივი მეურვეობა შეიძლება სასარგებლო იყოს ბავშვებისათვის ბევრ ოჯახში, ემოციურ, ქცევით და აკადემიურ გარემოში“.[257]

ასეთი დადებითი შედეგები მნიშვნელოვნად არ იცვლება ინფორმატორის იდენტობის მიხედვით; საშუალოდ, „დედებმა, მამებმა, ბავშვებმა, მასწავლებლებმა და ექიმებმა – ყველამ შეაფასა ბავშვის შემგუებლობა როგორც უკეთესი ერთობლივი მეურვეობის პირობებში“.[258] თუმცა ერთობლივი კანონიერი მეურვეობაც კი, რომელშიც მშობლები იზიარებენ გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობას, მაგრამ ერთ მშობელს აქვს ერთპიროვნული ფიზიკური მეურვეობა, პოზიტიურად ასოცირდებოდა იმავე სარგებელთან.

---

255 იხ. *Bauserman R.,* Child Adjustment in Joint-Custody versus Sole-Custody Arrangements: A Meta-Analytic Review, American Psychological Association APA, Journal of Family Psychology, Vol. 16, No. 1, 2002, <http://sharedparenting.wordpress.com/2002/03/24/5/>, [28.12.13].

256 *Garrison M.,* Promoting Cooperative Parenting: Programs and Prospects, Brooklyn Law School Legal Studies Research Papers No. 99, March, 2008, 7,8, <http://ssrn.com/abstract=1086441> [25.12.13].

257 *Bauserman R.,* Child Adjustment in Joint-Custody versus Sole-Custody Arrangements: A Meta-Analytic Review, American Psychological Association APA, Journal of Family Psychology, Vol. 16, No. 1, 2002, <http://sharedparenting.wordpress.com/2002/03/24/5/>, [28.12.13].

258 იქვე.

ერთობლივი მეურვეობა არ დაწესდება, თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ თანაბრად განაწილებული მშობლის პასუხისმგებლობა არ შედის კონკრეტული ბავშვის საუკეთესო ინტერესებში. ეს შეესაბამება იმ ფაქტს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება რჩება „მთავარ მოსაზრებად“ ამ საკითხზე ნებისმიერი მშობლის უფლების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას (ეგრეთწოდებული მთავარი პრინციპი). სასამართლომ უნდა განიხილოს პოტენციური მშობლის ვალდებულებები კონკრეტული იერარქიული თანმიმდევრულობით: პირველი, მან პირდაპირ უნდა გაითვალისწინოს, რამდენად სასარგებლო იქნება ბავშვისათვის 50/50 ერთობლივი ფიზიკური მზრუნველობა და თუ ასე არ არის, მაშინ მან უნდა გაითვალისწინოს, რომელი „რეალური და მნიშვნელოვანი დრო“ იქნება საუკეთესო ორივე მშობლისათვის.[259] მრავალ ქვეყანაში ამ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევების მონაცემების მიხედვით გამოვლინდა, რომ „50/50 მზრუნველობამ რაიმე კონკრეტული სახის სარგებელი ვერ მოუტანა ბავშვებს. მართლაც, არ არსებობს ამის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება“.[260] უფრო მეტიც, არსებობდა მტკიცებულება, რომელიც ადასტურებდა, რომ ერთობლივი მზრუნველობის მოდელი არც ისე შესაფერისი იყო ძალიან პატარა ბავშვებისათვის.[261]

ამ საკითხთან მიმართებით საინტერესოა ავსტრალიის გენერალური პროკურატურის დეპარტამენტის დაფინანსებით განხორციელებული ორი კვლევა: ერთი, რომელიც ორიენტირებული იყო ჩვილ ბავშვებზე და მეორე ახლად ფეხადგმულ ბავშვებზე დაცილებულ ოჯახებში.[262] ამ კვლევის ავტორებმა დაასკვნეს, რომ „სოციალურ-ეკონომიკური წინაპირობის მიუხედავად, მშობლის მოვალეობებმა ან მშობლებს შორის თანამშრომლობამ, ოთხ წლამდე ასაკის ბავშვებზე ღამით ერთობლივმა მზრუნველობამ უარყოფითი გავლენა მოახდინა რამდენიმე ემოციურ და ქცევით შედეგზე“.[263] კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ 2 წლამდე ბავშვები, რომელთაც გაატარეს ერთი ჩვეულებრივი ღამე მათი მთავარი მზრუნველის გარეშე, „იყვნენ უფრო გაღიზიანებულები, უფრო ფრთხილები და უფრო ეჭვის თვალთ უყურებდნენ მთავარ მომვლელთან მათ დაცილებას“, ვიდრე ის ბავშვები, რომლებიც, ძირითადად, იმყოფებიან ერთი მშობლის მზრუნველობის ქვეშ (primary care); 2-3 წლამდე ერთობლივი მზრუნველობის (shared

---

259 იხ. *Young L.,* Reflections on the Shared Parenting Experience, შრომათა კრებულში: The International Survey of Family Law, *Atkin B., Banda F.,* (ed.), Jordan Publishing Limited, Great Britain, Bristol, 2012, 4.

260 *Fehlberg B., Smyth B., Maclean M., Roberts C.,* Legislating for Shared Parenting After Separation: A research review, International Journal of Law and the Family, Volume 25, Issue 3, «Oxford University Press», 2011, 321, http://lawfam.oxfordjournals.org/content/early/2011/09/20/lawfam.ebr015.abstract [15.10.13].

261 იხ. *Solomon J., George C.,* The developments of attachment in separated and divorced families: Effects of overnight visitations, parent and couple variables, AIFS journal Family Matters No. 86, 2011, <http://www.aifs.gov.au/institute/pubs/fm2011/fm86/fm86e.html> [25.12.13].

262 იხ. *McIntosh J., Smyth B., Kelaher M., Wells Y., Long C.,* Post-separation parenting arrangements and developmental outcomes for infants and children, Collected reports, 2010, May, <http://www.familytransitions.com.au/Family_Transitions/Family_Transitions_files/Post%20Separation%20parenting%20arrangements%20and%20developmental%20outcomes%20for%20children%20%26%20infants%202010.pdf> [11.10.13].

263 იქვე, 9.

care) ქვეშ მყოფმა ბავშვებმა გამოავლინეს ქცევა, „რომელიც გამოწვეული იყო წუხილით და ტანჯვით“.[264] ასეთი შედეგები უკვე აღარ ვლინდება 4-5 წლის ბავშვებში.

ასევე მნიშვნელოვანია კვლევა, რომელიც ეხებოდა სკოლის ასაკის ბავშვებსა და მშობლის მოვალეობების შესრულებას 4 წლის შემდეგ, და ერთმანეთთან კონფლიქტში მყოფი მშობლების შემთხვევაში.[265] ამ კვლევის შედეგების მიხედვით, ბავშვები, რომელთაც ჰყავთ ერთობლივი მოვალეობის შემსრულებელი მშობლები, ნაკლებ კმაყოფილები არიან და უმეტესობა ბავშვებისა, რომელთაც სურთ, შეიცვალონ თავიანთი მდგომარეობა და რომელთაც აქვთ დაუმორჩილებელი და მოუდრეკელი ხასიათი, კიდევ უფრო ნაკლებად იყვნენ კმაყოფილები. ბავშვებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ერთობლივი მზრუნველობის შემთხვევებში კონფლიქტის დონე კვლევის პერიოდში არ შემცირდა. ეს ბავშვები, სავარაუდოდ, „ორ ცეცხლს შუა არიან“.

საბოლოო და მნიშვნელოვანი აღმოჩენა, რომელზეც შეიძლება ყურადღება გამახვილდეს ამ კვლევაში, არის ის, რომ 4 წლის ასაკის შემდეგ, „დროის ერთ ნებისმიერ მომენტში, არც ბავშვის ცხოვრების მოწყობის ხასიათი და არც მთელი დროის განმავლობაში მათი მზრუნველობის მოდელი, დამოუკიდებლად არ იძლევა ბავშვების მთლიანი ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგნოზირების საშუალებას“.[266]

ავსტრალიელმა მეცნიერებმა, დედების მიერ წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე, აღმოაჩინეს, რომ ერთობლივი მზრუნველობის დროს, როდესაც არსებობდა უსაფრთხოების პრობლემა, ბავშვის კეთილდღეობის დონე უფრო დაბალი იყო (ვიდრე ბავშვებში, რომლებიც მეტ დროს ატარებენ თავიანთ დედასთან).[267] მსგავსი პრობლემების შესახებ თავიანთ კვლევებში მიუთითებენ სხვა მკვლევრებიც.[268]

თუ კანონმდებლობის მიზანია სისტემა, რომელიც მგრძნობიარეა ცალკეული ოჯახებისა და ბავშვების მიმართ, და რომელიც ხელს უწყობს ბავშვზე ორიენტირებულ, მშობლების უთანხმოების შეთანხმებულ გადაწყვეტას, მაშინ კანონმდებლებმა თავი უნდა აარიდონ დებულებებს, რომლებიც გულისხმობს, რომ კონკრეტული გადაწყვეტა კარგია ბავშვისათვის. მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ კვლევით გამოვლენილი შედეგები „მხარს არ

---

264 იქვე.

265 *McIntosh J., Smyth B., Kelaher M., Wells Y., Long C.,* A Longitudinal Study of School-Aged Children in High-Conflict Divorce, Collected reports, 2010, May, 23, <http://www.familytransitions.com.au/Family_Transitions/Family_Transitions_files/Post%20Separation%20parenting%20arrangements%20and%20developmental%20outcomes%20for%20children%20%26%20infants%202010.pdf> [11.10.13].

266 იქვე, 78.

267 იხ. *Kaspiew R., Gray M., Weston R., Moloney L., Hand K, Qu L.* and the Family Law Evelution Team Evaluation of the 2006 Family Law Reforms, Australian Institute of Family Studies, 2009, <http://www.aifs.gov.au/institute/pubs/fle/index.html> [13.10.13].

268 იხ. *Cashmore J., Parkinson P., Weston A., Patulny R., Redmond G., Qu L., Baxter J., Rajkovic M., Sitek T., Katz I.,* Shared care parenting arrangements since the 2006 Family Law Reforms: Report to the Australian Attorney-General's Department, Social Policy Research Center, University of New South Wales, Sydney, 2010, 25, https://www.sprc.unsw.edu.au/media/SPRCFile/2_AG_Shared_Care.pdf, [13.10.13].

უჭერს ერთობლივ მზრუნველობას..., როგორც ჩვილ და 4 წლამდე ბავშვების მშობლის მზრუნველობის შესახებ საწყის ეტაპს".[269] ასევე გამოიკვეთა, რომ ერთობლივი მზრუნველობის მოდელი მუშაობს ზოგიერთი ჯგუფისათვის, მაგრამ მხოლოდ ოჯახების მცირე რაოდენობა და მხოლოდ გარკვეული ფაქტორები პროგნოზირებენ მშობლის ერთობლივი ვალდებულებების მოდელის წარმატებას.

ზოგი სახელმწიფო პირდაპირ განსაზღვრავს მეურვეობას ბავშვის ასაკისა და სქესის მიხედვით. მაგალითად, მუსლიმური სამართლის შესაბამისად, განქორწინებული დედა, ჩვეულებრივ, ვალდებულია, მეურვეობა გაუწიოს 7 წლამდე ბიჭებს და 9 წლამდე გოგონებს, კლასიკური პირობების შესაბამისად. მამას, ჩვეულებრივ, ევალება უფრო მეტი ასაკის ბავშვების მეურვეობა. ზოგიერთ მუსლიმურ სახელმწიფოში, როგორიცაა, მაგალითად, მალაიზია, ბავშვებმა, რომლებმაც მიაღწიეს „გარჩევის უნარის მქონე ასაკს", შეიძლება თვითონ აირჩიონ, რომელ მშობელთან უნდათ ცხოვრება, თუ სხვაგვარად არ იქნება გადაწყვეტილი სასამართლოს მიერ; ალჟირში განქორწინებულ ცოლს შეიძლება მიენიჭოს 16 წლამდე ასაკის ბიჭებისა და 18 წლამდე გოგონების მეურვეობა, თუ დედა ხელახლა არ გათხოვდება, ან გათხოვდება ისეთ ადამიანზე, რომლის ურთიერთობა მის ქალიშვილთან აკრძალულის ფარგლებშია; ეგვიპტური კანონმდებლობის შესაბამისად, მამას ეკისრება 7 წლამდე ვაჟიშვილებისა და 9 წლამდე ქალიშვილების მეურვეობა;[270]

იაპონიის კანონმდებლობის მიხედვით, 1960-იან წლებამდე, ბავშვებთან დაკავშირებით ერთადერთი მშობლის (sole parental) უფლებამოსილება, ჩვეულებრივ, ენიჭებოდათ მამებს. დღევანდელი მდგომარეობით, განქორწინების 80 პროცენტზე მეტ შემთხვევაში, ბავშვებზე მშობლის უფლებამოსილება ენიჭებათ დედებს. უმეტეს შემთხვევაში, დედები იღებენ ბავშვზე ერთადერთი მშობლის უფლებამოსილებას, თუ ბავშვი ახალშობილია. ამიტომ ჩვილი ბავშვების იაპონელი დედებისათვის ნათელია, რომ ისინი მიიღებენ ერთადერთი მშობლის უფლებამოსილებას. ეს ასევე ეხება იაპონიის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ იაპონელ დედებსაც. მშობელს, რომელსაც ენიჭება ერთადერთი მშობლის უფლებამოსილება, მას ეძლევა ბავშვზე როგორც ფიზიკური მეურვეობის უფლება, ასევე მშობლის პასუხისმგებლობა. (ე.ი. სხვა მშობელს, მხარეებს შორის შეთანხმებული ვიზიტების გარდა, არ აქვს რაიმე სხვა უფლება ბავშვთან დაკავშირებით).[271] ამასთან, უნდა ითქვას, რომ იმ შემთხვევაში, თუ მშობელს მიენიჭება ერთპიროვნული მეურვეობის უფლება, მას აქვს:

---

269 *McIntosh J., Smyth B., Kelaher M., Wells Y., Long C.,* Post-separation parenting arrangements: Patterns and development outcomes, Studies of two risk groups, Family Matters 86, AIFS Journal (Australian Institute of Family Studies), 2011, http://www.aifs.gov.au/institute/pubs/fm2011/-fm86/fm86e.html, [13.10.13].

270 იხ. *Stark B.,* International Family Law, an Introduction, Ashgate Publishing Limited, Great Britain, Burlington, 2012, 183.

271 იხ. *Ogawa T.,* Child Custody Issues at the Time of Divorce-From the Point of View of Japanese Family Law, შრომათა კრებულში: The International Survey of Family Law, *Atkin B., Banda F.,* (ed.), Jordan Publishing Limited, Great Britain, Bristol, 2012, 176.

(1) უფლება და მოვალეობა, იზრუნოს ბავშვსა და მის განათლებაზე;

(2) უფლება, განსაზღვროს ბავშვის საცხოვრებელი;

(3) უფლება, ყურადღება მიაქციოს ბავშვის ქცევას აუცილებლობის შემთხვევაში;

(4) უფლება, მიიღოს გადაწყვეტილება, მისცეს თუ არა ბავშვს მუშაობის უფლება;

(5) უფლება, მართოს ბავშვის ქონება და წარმოადგინოს ბავშვი ნებისმიერ სამართლებრივ საქმესთან დაკავშირებით.[272]

ამის საპირისპიროდ დასავლეთის სახელმწიფოების უმეტესობის საკანონმდებლო სისტემები მიუთითებს, რომ მეურვეობა უნდა განისაზღვროს „ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე“. ეს სტანდარტი ხელს უწყობს შემთხვევიდან შემთხვევამდე დეტალურ ანალიზს, რომელიც, საბოლოო ჯამში, დამოკიდებულია სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში „სენსიტიური ასაკის“ ვარაუდის შესაბამისად, დედა ითვლებოდა უკეთეს მზრუნველად „სენსიტიური ასაკის ბავშვებისათვის“.[273] ზოგადად, ესენი არიან 10 წლამდე ბავშვები.

ერთობლივი მეურვეობისათვის უპირატესობის მინიჭების ტენდენცია დასავლეთში მიმართულია მამის, როგორც მშობლის, უნარზე, ასევე პასუხისმგებლობაზე. ერთპიროვნული მეურვეობის მინიჭება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ ეს განსაკუთრებით არის მოთხოვნილი და თუ მეორე მშობელი თანახმაა, ან სასამართლო დაადგენს, რომ ერთპიროვნული მეურვეობა შედის ბავშვის საუკეთესო ინტერესებში. მაშინაც კი, თუ ორივე მშობელი ეწინააღმდეგება ერთობლივ მეურვეობას, მისი მინიჭება მაინც მოხდება, თუკი მოსამართლე დარწმუნდება, რომ ისინი შეძლებენ თანამშრომლობას;

შვედეთშიც ერთობლივი მეურვეობა იქცა ნორმად. 1998 წელს შემოთავაზებული იყო, რომ დაუქორწინებელ მშობლებს მიეღოთ ერთობლივი მეურვეობა ავტომატურად მამობის/დედობის დადასტურებიდან 3 თვის შემდეგ, თუ რომელიმე მშობელი არ იქნებოდა წინააღმდეგი. თუ არსებობს წინააღმდეგობა, დედა რჩება ერთპიროვნულ მეურვედ. ნებისმიერ მამას შეუძლია, დაიწყოს პროცესი ამის გასაპროტესტებლად; ავტომატურად ხდება განქორწინების შემდეგ ერთობლივი მეურვეობა ნიდერლანდებშიც, თუ რომელიმე მშობელი არ მოითხოვს ერთპიროვნულ მეურვეობას იმის საფუძველზე, რომ ეს შედის ბავშვის ინტერესებში. ვარაუდი, რომ ერთობლივი მეურვეობა საუკეთესოა ბავშვისათვის, საკმაოდ ძლიერია და მასზე არ უნდა ითქვას უარი მშობლებს შორის უთანხმოების გა-

---

272 იხ. Article 819 (1), 819 (2), 820, 821, 822 of the Civil Code (Minpo), მითითებულია: *Ogawa T.,* Child Custody Issues at the Time of Divorce-From the Point of View of Japanese Family Law, შრომათა კრებულში: The International Survey of Family Law, *Atkin B., Banda F.,* (ed.), Jordan Publishing Limited, Great Britain, Bristol, 2012, 176.

273 *Stark B.,* International Family Law, an Introduction, Ashgate Publishing Limited, Great Britain, Burlington, 2012, 184.

მო, გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა „არსებობს რისკი, რომ ბავშვი შეიძლება მოექცეს ერთმანეთთან შეუთავსებელი მშობლების გარემოში“.[274]

საკანონმდებლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენადაც აუცილებელია შვილის აღზრდის მოვალეობების შესრულება ერთობლივად ორივე მშობლის მიერ, ზუსტად დროისა და პასუხისმგებლობის განაწილება მათ შორის, როგორც გენდერული თანასწორობის პრინციპის ურღვევობის, ასევე ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე მათი ერთად ცხოვრების პერიოდში, იმდენადვე გაურკვეველი ხდება, ამ სახის მეურვეობა იქნება თუ არა მისაღები მშობელთა განქორწინებისა და მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს. უნდა ითქვას, რომ განქორწინების შემდეგ მამა-შვილს შორის ურთიერთობის მაღალი ხარისხი სარგებელს მოუტანს ბავშვების უმეტესობას.[275] ამიტომ „ერთ მშობელთან განაწილებული დროის, მეორე მშობელთან გატარებულ დროსთან შედარებით, პრიორიტეტულობის კანონმდებლობით გათვალისწინებული ემპირიული დასაბუთება არასაკმარისია“.[276] ყველა შემთხვევაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, დღევანდელი მდგომარეობით მშობლებს შეუძლიათ შეთანხმდნენ უფლება-მოვალეობების განხორციელების წესის შესახებ იმ მშობლის მიერ, რომელიც ბავშვისაგან ცალკე ცხოვრობს. თუ მშობლებს შორის შეთანხმება არ არის მიღწეული და დავა სასამართლოში წყდება, მაშინ სასამართლოს გადაწყვეტილებაში უნდა იყოს მითითებული მშობლის შვილთან ურთიერთობის სახე, მისი ხანგრძლივობა და ა.შ. სხვა შემთხვევაში, ეს გადაწყვეტილება ძნელად აღსასრულებელი ხდება, რაც, ფაქტობრივად, აზრს უკარგავს ასეთი დავების გადაწყვეტას სასამართლო აქტის (გადაწყვეტილების) საფუძველზე. ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლოები ხშირად განსაზღვრავენ მშობლისა და ბავშვის ურთიერთობის ადგილს, კონტროლის არსებობას და ა.შ. სასამართლოს გადაწყვეტილების ურჩად შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბავშვისაგან ცალკე მცხოვრები მშობლის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის ბავშვის გადაცემის შესახებ. ურჩად შეუსრულებლობაში იგულისხმება მშობლის ქმედება, რომელიც ბავშვის აღზრდაში მეორე მშობლის მონაწილეობის განხორციელებას ეწინააღმდეგება. იურიდიულ ლიტერატურაში ავტორთა ნაწილი თვლის, რომ ასეთი თხოვნის დასაკმაყოფილებლად არსებობს ყველანაირი საფუძველი, „რადგან მშობელი, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებას თავს არიდებს, აშკარად უხეშად არღვევს ბავშვის ინტერესებს, არ ფიქრობს მასზე, აყენებს მას დიდ ტრავმას. ყოველივე ამის გამო მისი საქციელი შეიძ-

---

274 იქვე.

275 იხ. *Fehlberg B., Smyth B., Maclean M., Roberts C.,* Legislating for Shared Parenting After Separation: A research review, International Journal of Law and the Family, Volume 25, Issue 3, Oxford University Press, 2011, 318, http://lawfam.oxfordjournals.org/content/early/2011/09/20/lawfam.ebr015.abstract [15.10.13].

276 იქვე, 332.

ლება განვსაზღვროთ როგორც უმართებულო, პედაგოგიკისა და სამართლის თვალსაზრისით".[277]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სანამ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, ერთობლივი უნდა იყოს მეურვეობა თუ ერთპიროვნული, აუცილებელია ისეთი საკანონმდებლო ნორმების არსებობა, რომლებშიც, როგორც მინიმუმ, მითითებული იქნება, რომ მშობლის მოვალეობების განსაზღვრისას ბავშვთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ითვალისწინებდეს:

- „ბავშვის ასაკსა და განვითარების ეტაპს, პატარა ბავშვების კონკრეტული მოთხოვნების გათვალისწინებით. ბავშვის „მომწიფებულობა" გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას;
- ოჯახის შესაძლებლობას, უზრუნველყოს მზრუნველობის განაწილება იმგვარად, რომ ამან გამოიწვიოს ბავშვისათვის ემოციურად შესაფერისი გარემოს შექმნა;
- მშობლებს შორის ნებისმიერი კონფლიქტის ან ძალადობის პოტენციურ გავლენას ბავშვზე".[278]

„ბავშვებისათვის სასარგებლოა, როცა მათ აქვთ ხანგრძლივი და რეგულარული კონტაქტი ორივე მშობელთან; როცა ისინი თანამშრომლობენ, ურთიერთობენ და ნაკლებად კონფლიქტურები არიან. თუმცა არ არსებობს ემპირიული მტკიცებულება, რომელიც ზუსტად აჩვენებს მშობლის მიერ მზრუნველობისათვის გამოყენებული დროის მოცულობასა და ბავშვის მდგომარეობის გაუმჯობესებულ შედეგებს შორის კავშირს. დადებითი შედეგები უფრო მეტ გავლენას ახდენს იმ ოჯახებზე, რომლებმაც არჩევანი გააკეთეს ერთობლივ მზრუნველობაზე და რომელთაც შეუძლიათ, იზრუნონ შვილებზე ერთმანეთთან თანამშრომლობით, ბავშვის მოთხოვნებზე ორიენტირებულად, და პირიქით, ერთობლივი მზრუნველობა უფრო სარისკოა ბავშვებისათვის, როცა მშობლებს შორის არსებობს კონფლიქტის (ამ დროს მათთვის უფრო დამახასიათებელია უსაფრთხოების პრობლემები) მაღალი რისკი, ასევე სარისკოა 4 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის. კანონთან დაკავშირებული გაუგებრობა ხშირია, რაც იწვევს იმას, რომ „ბევრ მამას ჰგონია, მას აქვს ერთობლივი მზრუნველობის უფლება, ბევრ დედას კი ჰგონია, რომ მას არ შეუძლია, წამოჭრას ისეთი საკითხები, რომლებიც შედის მისი შვილების საუკეთესო ინტერესებში".[279] მთლიანობაში, უნდა ითქვას, რომ ერთობლივი მზრუნველობის ხელშემწყობი დებულებები გათვალისწინებული უნდა იყოს კანონმდებლობაში, ვინაიდან დაზუსტებულმა ცვლილებებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღოს.

---

277 *Нечаева А. М.,* Споры о детях, «Юрид. лит.», М., 1989, 47.

278 *Young L.,* Reflections on the Shared Parenting Experience, შრომათა კრებულში: The International Survey of Family Law, *Atkin B., Banda F.,* (ed.), Jordan Publishing Limited, Great Britain, Bristol, 2012, 22.

279 *Scott E.S., Robert E.E.,* Gender Politics and Child Custody: The Puzzling Persistence of the Best Interest Standart, კონფერენციის მასალების კრებულში: Fostering Family Harmony: Principles and Practices, Papers from North American Regional Conferece, Brooklyn Law School, Brooklyn, June 6-8, 2013, 34.

ამასთან, უნდა აღინიშნოს რამდენიმე მიზეზი, თუ რატომ არ ახდენს კანონით დადგენილი ერთობლივი მეურვეობის წესები მეტ ზეგავლენას მშობელთა ქცევაზე. „პირველი, ბევრი მშობელი ვერ ახერხებს, შექმნას გარემო, რომელშიც ბავშვი განქორწინების შემდეგ მნიშვნელოვან დროს გაატარებს ორივე მშობელთან ერთად. ამის უზრუნველყოფა გაცილებით უფრო ძვირია, ვიდრე ტრადიციული ერთმშობლიანი მეურვეობა. ის ასევე მოითხოვს გეოგრაფიულ სიახლოვეს, შესაბამის სამუშაო განრიგს და ადეკვატურ დროს. ასეთი პრაქტიკული შეზღუდვები, უდავოდ, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეურვეობის შეცვლილი წესების ზეგავლენის შემცირებაზე. ეს ასევე ადასტურებს იმას, რომ ზოგიერთი არარეზიდენტი მშობელი მინიმუმამდე ამცირებს თავის შვილთან კონტაქტს, რათა შეამციროს დაცილებით გამოწვეული სტრესი და დანაკარგის განცდა“.[280]

სამართლებრივმა სტანდარტებმა შეიძლება განსაზღვროს ახალი ნორმატიული მოდელები განქორწინების შემდგომ ქცევასთან დაკავშირებით, მაგრამ მათ არ შეუძლიათ, შეცვალონ ფინანსური, ლოჯისტიკური და ემოციური შეზღუდვები, რომლებიც განქორწინების შემდეგ ხელს უშლიან მშობლის ჩართულობას. ამიტომ კანონმდებელმა იმისთვის, რომ ეფექტურად შეუწყოს ხელი სტაბილურ, თანამშრომლობითი სახის მზრუნველობას, უნდა გაითვალისწინოს ბევრი სხვადასხვა მეთოდოლოგია. ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ არცერთ მეთოდოლოგიას არ შეუძლია, ეფექტურად შეუწყოს ხელი ბავშვის აღზრდაში თანამშრომლობას და მშობლის ჩართულობას მშობლების დაცილების შემდეგ. ეს ფაქტი ასევე ადასტურებს, რომ არცერთ მეთოდოლოგიას არ შეუძლია, უზრუნველყოს ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული ოპტიმალური სტაბილურობა და უკონფლიქტო ოპტიმალური პერსპექტივა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სავალდებულო დებულებების მიზანი უნდა იყოს არა წინასწარ განსაზღვრული მოდელი, არამედ უფრო ორიენტირებული იყოს მშობლებზე, ოჯახის კონსულტანტებზე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებსა და იმ საკითხებზე გადაწყვეტილების მიმღებებზე, რომლებიც ყველაზე სათანადოდ აფასებენ, როგორი უნდა იყოს თითოეული ბავშვისათვის მშობლის მოვალეობების განმსაზღვრელი საუკეთესო მოდელი. ბავშვის საუკეთესო ინტერესები კი დაცული იქნება, თუ იარსებებს გარანტია, რომ ბავშვების ცხოვრებაში ორივე მშობლის მაქსიმალური ჩართულობა მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით სასარგებლო იქნება ბავშვისათვის.

§3.6. ბავშვთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობის მეშვეობით

3.6.1. წარმომადგენლობა სასამართლოში

„თანამედროვე საკანონმდებლო სისტემები აღიარებს მშობლებს მთავარ და ბუნებრივ მზრუნველებად და ბავშვების კეთილდღეობის დამცვე-

[280] *Arendell T.,* (Associate Professor and Chair of the Department of Sociology at Colby College), Fathers and divorce, Sage Publications, Waterville, northwestern Ohio, 1995,144.

ლებად.[281] მშობლების უფლება-მოვალეობანი შვილების მიმართ სპეციფიკურობით გამოირჩევა, მათ მკვეთრად განსაზღვრული ხასიათი აქვთ, ვინაიდან ეკუთვნით მშობლებს მხოლოდ შვილების სრულწლოვანებამდე. სრულწლოვანების შემდეგ და ზოგჯერ მანამდეც (ემანსიპაციის შემთხვევაში) ეს სამართლებრივი ურთიერთობა წყდება. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, „ის შემთხვევა, როცა სრულწლოვანი შვილი ქმედუუნაროა და მშობელი ახორციელებს მეურვის ფუნქციას, არ ნიშნავს მშობლის სამართლებრივი მიმართების გაგრძელებას, ვინაიდან მეურვისა და მეურვეობაში მყოფი სრულწლოვნის ურთიერთობის სამართლებრივი შემადგენლობა არ უთანაბრდება მშობლის სამართლებრივ ურთიერთობას შვილის მიმართ, რომელიც არსებობს სრულწლოვანების მიღწევამდე“.[282]

კანონის თანახმად, მშობლებმა სრულწლოვანების მიღწევამდე და მის შემდეგაც, ქმედუუნარობის შემთხვევაში, (უკვე მეურვის სახით) უნდა დაიცვან ბავშვების უფლებები და ინტერესები, რადგან ისინი არ არიან საკმარისად ქმედუნარიანნი და არ შეუძლიათ საკუთარი უფლებების განხორციელება და დაცვა. მშობლებს კანონისმიერი წარმომადგენლობითი უფლება აქვთ მხოლოდ თავიანთ არასრულწლოვან შვილებთან მიმართებით. რაც შეეხება სრულწლოვან, მაგრამ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებულ პირებს, მშობლები შეიძლება იყვნენ წარმომადგენლები მხოლოდ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილებით მეურვედ ან მზრუნველად დანიშვნის შემთხვევაში. სრულწლოვანი ქმედუუნარო პირი, მისი ქმედუნარიანობის ხარისხიდან გამომდინარე, სამოქალაქო კანონმდებლობაში 2015 წლის პირველ აპრილს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, შესაძლოა ცნობილ იქნეს ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირად (მხარდაჭერის მიმღები). შესაბამისად, ასეთი პირი მხარდაჭერას იღებს მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია მისი გონებრივი შესაძლებლობიდან გამომდინარე.[283] მხარდაჭერის მიმღები პირი ითვლება ქმედუნარიან პირად, რომელსაც ფსიქოსოციალური საჭიროებების ინდივიდუალური შესწავლის საფუძველზე შეიძლება სასამართლოს მიერ დაენიშნოს მხარდამჭერი, ანუ პირი, რომელიც მას დაეხმარება საკუთარი უფლებების რეალიზებასა და ინტერესების დაცვაში. ამ საკითხთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ „თავად გონებრივი ჩამორჩენილობისა და სულიერი აშლილობის მქონე პირებს შორის არის არსებითი განსხვავება. მაგალითად, მაღალი ხარისხის გონებრივი ჩამორჩენილობის ან განგრძობადი შიზოფრენიის შემთხვევაში შესაძლებელია, ადამიანი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას სრულად იყოს მოკლებული. შესაბამისად, ამ შემთხვევაში სამეურვეო პირის ნების მთლიანად ჩანაცვლება მეურვის ნებით გამარ-

---

281 *Harding M.,* (Ireland, Senior Lecturer, University of Portsmouth), A Softening of the Marital Family Paradigm?, ნაშრომთა კრებულში: The International Survey of Family Law, (Atkin B., Banda F. (ed.)), Jordan Publishing Limited, Great Britain, Bristol, 2012, 167.

282 Советское семейное право/Под ред. *Рясенцева В.А.,* «Наука», М., 1982, 154.

283 2014 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად ცნო ფსიქიური დაავადებების გამო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ქმედუნარიანობის შეზღუდვის არსებული საკანონმდებლო რეგულაციები.

თლებულია. თუმცა სხვა კატეგორიის გონებრივი ჩამორჩენილობისა და სულიერი აშლილობის შემთხვევაში, შესაძლოა, ადამიანები ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით ინარჩუნებდნენ გადაწყვეტილების მიღების უნარს. სადავო ნორმები არ ითვალისწინებს ამგვარ განსხვავებას და გონებრივი ჩამორჩენილობისა და სულიერი აშლილობის ნებისმიერი ხარისხის მქონე პირს, ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინების გარეშე, სრულად ართმევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობას, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას".[284] ადამიანისთვის ქმედუნარიანობის ჩამორთმევას პრინციპულად უარყოფს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია", რომელიც საქართველოს მიერ რატიფიცირებულ იქნა 2013 წლის 26 დეკემბერს და ძალაში შევიდა 2014 წლის 12 აპრილს. კერძოდ, კონვენციის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულია: „წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ქმედუნარიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ზომა ითვალისწინებდეს შესაბამის ეფექტურ გარანტიებს მათი ბოროტად გამოყენების აღკვეთის მიზნით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. ეს გარანტიები უნა უზრუნველყოფდეს, რომ ქმედუნარიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ზომები აღიარებს პირის უფლებებს, ნებას და არჩევანს, თავისუფალია ინტერესთა კონფლიქტისა და არასათანადო გავლენისგან, შეესაბამება პირის მდგომარეობას, მიიღება შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში და რეგულარულად გადაისინჯება კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს ან სასამართლოს მიერ. ეს გარანტიები უნდა იყოს პირის უფლებებისა და ინტერესების ხელმყოფი ზომების პროპორციული".[285]

საინტერესოა საკითხი მემკვიდრის ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით, რომელიც სამკვიდროს იღებს კანონიერი წარმომადგენლის დახმარებით. ქმედუუნარო და შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირები სამკვიდროს იღებენ მათი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით (სსკ-ის 1422-ე, 1423-ე მუხლები), მემკვიდრის თანხმობა სამკვიდროს მიღებაზე გამოხატული უნდა იყოს შეგნებულად და თავისუფლად, რაიმე გავლენის, სახელდობრ, მუქარის ან იძულების გარეშე.[286] ამასთან, ხსენებულ პირთა მიერ არ შეიძლება დამოუკიდებლად განხორციელდეს უარი სავალდებულო წილის მიღებაზე. ასეთი უარი შესაძლებელია განახორციელოს მეურვემ (მზრუნველმა), მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოთა წინასწარი თანხმობით,[287] ხოლო თუ პირი მხარდაჭერის მიმღებად არის

---

[284] საქართველოს სახელით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება, № 2-4-532,533, ქ. ბათუმი, 8 ოქტომბერი, 2014.

[285] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2006 წლის 13 დეკემბრის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია", <http://disability.ge/images/stories/pdfs/konvencia.doc.pdf>, [08.05.2015].

[286] იხ. *კოხრეიძე ლ.,* ზოგიერთი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, მართლმსაჯულება და კანონი, №2 (41) 2014, 28.

[287] იხ. *ძნელაძე ნ.,* სავალდებულო წილის ინსტიტუტის პრობლემები მემკვიდრეობით სამართალში, სამართალი №6-7, 2000, 71, <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/jur%20samartali%202000%20w(6-7).pdf>, [11.05.2015].

ცნობილი, უარი სავალდებულო წილის მიღებაზე უნდა განხორციელდეს სასამართლოს მიერ დანიშნული მხარდამჭერის დახმარებით.

„წარმომადგენლობა გულისხმობს წარმოდგენილი პირის წარმომადგენლით ჩანაცვლებას იურიდიული ქმედების განხორციელების პროცესში. წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ურთიერთობები, თავისთავად, არ მიიჩნევა ქონებრივ ურთიერთობად, მაგრამ წარმომადგენლობის მეშვეობით მყარდება როგორც ქონებრივი, ასევე არაქონებრივი სამართლებრივი კავშირები. ამასთან, წარმომადგენლობა ქონებრივ ხასიათს არ იძენს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც უფლებამოსილება პირს მინიჭებული აქვს ქონებრივი უფლებების ან მოვალეობების განსახორციელებლად“.[288]

მშობლების მიერ შვილების წარმომადგენლობა არ საჭიროებს განსაკუთრებულ დელეგირებას. ამ შემთხვევაში უფლებამოსილება წარმოიშობა ერთი და იმავე იურიდიული ფაქტის საფუძველზე, წარმომადგენლობითი მოვალეობების შემცველ სამართლებრივ ურთიერთობასთან ერთად. წარმომადგენელი, რომელიც წარმოდგენილი პირის სახელით მოქმედებს, გამოხატავს საკუთარ ნებას.

„წარმომადგენლობის სუბიექტური შემადგენლობა მოიცავს წარმომადგენელს, წარმოდგენილ პირს და მესამე პირს. წარმოდგენილი პირის (პიროვნება, რომლის სახელითაც მოქმედებს წარმომადგენელი) სახით შეიძლება გამოვიდეს სამოქალაქო სამართლის ნებისმიერი სუბიექტი, მათ შორის ბავშვიც“.[289]

არასრულწლოვანი შვილების უფლებებისა და ინტერესების დაცვა ეკისრებათ მათ მშობლებს. მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონისმიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის – სასამართლოშიც. ორივე მშობელს ენიჭება უფლება და ეკისრება მოვალეობა, განახორციელოს თავისი შვილების წარმომადგენლობა და მათი ინტერესების დაცვა. ერთერთი მშობლის მიერ წარმომადგენლობითი ფუნქციების შესრულება (მაგალითად, სასამართლო პროცესში მონაწილეობა შვილის სახელით) არ ზღუდავს მეორე მშობლის უფლებას, განახორციელოს იგივე მოქმედება. ამავე დროს, თუ მშობელმა ამ შესაძლებლობით არ ისარგებლა, ჩაითვლება, რომ ის თანახმაა წარმომადგენლობითი მოქმედების შესრულებაზე მეორე მშობლის მიერ.

რაც მთავარია, მშობლების უფლება არ შეიძლება გამოყენებული იქნეს შვილების ინტერესების საწინააღმდეგოდ. მშობლების წარმომადგენლობა მომდინარეობს მათი ინტერესების ერთობლიობიდან და იმ პოზიციიდან, რომ ბავშვისა და მშობელთა ინტერესებს შორის შეუსაბამობა არ არსებობს: ყველაფერი, რასაც მშობლები ბავშვს უკეთებენ – მის სასიკეთოდაა. მაგრამ შეიძლება იყოს გამონაკლისებიც, როდესაც ბავშვთა და მშობელთა ინტერესების თანხვედრა არ არსებობს, პირიქით, არსებობს უთანხმოება. ამ სიტუაციებში მშობლებს არ შეუძლიათ, იყვნენ ბავ-

---

288 *Фадеева Т.А.,* Личные права и обязанности граждан в семейных отношениях, «Правоведение», 1988, №2, 63.

289 იქვე, 64.

შვების წარმომადგენლები. წინააღმდეგობის ფაქტი შეიძლება იყოს დადგენილი როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მიერ, ასევე სასამართლოშიც. მშობლებსა და შვილებს შორის უთანხმოების შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ უნდა დანიშნოს წარმომადგენელი ბავშვის ინტერესებისა და უფლებების დაცვის მიზნით. თუ ასეთი უთანხმოება სასამართლო პროცესში იქნება გამოვლენილი, მაშინ სასამართლომ უნდა გადადოს საქმის განხილვა და შეატყობინოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ბავშვისათვის წარმომადგენლის დანიშვნის აუცილებლობის შესახებ.

პრაქტიკაში სავსებით შესაძლებელია, რომ უთანხმოება მშობლებს შორის გაჩნდეს ბავშვის რომელიმე ინტერესის გამო, ანუ მამა და დედა სხვადასხვანაირად უდგებოდნენ ბავშვთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტას. მაგალითად, მამა თანახმაა ბავშვის ემანსიპაციაზე, დედა კი – წინააღმდეგია, ან პირიქით. ორივე მშობლის თანხმობის შემთხვევაში, განცხადებას ბავშვის ემანსიპაციის შესახებ განახორციელებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. თუ მშობელთა შორის თანხმობა არ არსებობს, მაშინ ემანსიპაციის გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს შეუძლია. ასეთ სიტუაციაში ორივე მშობელი, როგორც ემანსიპაციის მომხრე, ასევე ამის წინააღმდეგი, არ შეიძლება იყვნენ ბავშვის წარმომადგენლები სასამართლოში, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ვერავინ ვერ იტყვის, რა უფრო შეესაბამება ბავშვის ინტერესებს. ამ შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს. (სსკ-ის 1200-ე მუხლი). ეს წესი ვრცელდება შვილის აღზრდის საკითხებზე შეუთანხმებლობის ყველა შემთხვევაში.

მშობლები არიან არასრულწლოვანი შვილის წარმომადგენლები, ანუ პირები, რომლებიც კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ნებისმიერ გარიგებას ან სხვა სახის იურიდიულ ქმედებას ახორციელებენ წარმოდგენილი პირის სახელით. ცალკეულ შემთხვევაში, წარმოდგენილი პირის სახელით გამოსვლა მხოლოდ პრეზუმირდება, ფაქტობრივად კი, მშობელი მოქმედებს საკუთარი სახელით, მაგრამ მის მიერ წარმოდგენილი ბავშვის ინტერესებში. მაგალითად, შვილის სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრების შესახებ სარჩელი სასამართლოს წარედგინება იმ მშობლის სახელით, რომელთანაც ცხოვრობს ბავშვი. ამასთან, ასეთ საქმეში მოსარჩელედ, უდავოდ, უნდა გამოვიდეს ბავშვი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვის გარდაცვალების შედეგად არ შეწყდება მშობლის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა. სწორედ ესაა იმ მშობლის წარმომადგენლობითი ფუნქციის ერთ-ერთი თავისებურება, რომელიც თავისი შვილის სახელით ან მის ინტერესებში იურიდიულად მნიშვნელოვან ქმედებებს ახორციელებს.

არასრულწლოვანთა ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი კანონიერი წარმომადგენლები – მშობლები, რომლებსაც უფლება აქვთ, მათი სახელით განახორციელონ ყველა საპროცესო მოქმედება. ზოგიერთ შემთხვევაში, მამობის დადგენის შესახებ სარჩელთან დაკავშირებით, მოპასუხედ საქმეში შეიძლება ჩაბმულ იქნეს არასრულწლოვანი პირი, და სა-

სამართლომ არ შეიძლება უარი თქვას სარჩელის მიღებაზე ზემოაღნიშნული საფუძვლით. 14–18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი პირები შეზღუდული საპროცესო უფლებაუნარიანობით სარგებლობენ. ამგვარი სარჩელების განხილვისას პროცესში უნდა ჩაერთონ არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლები – მშობლები. 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი მოპასუხის ნაცვლად ყველა საპროცესო მოქმედებას ახორციელებს მისი კანონიერი წარმომადგენელი (მშობლები, მათი არარსებობის შემთხვევაში – მეურვე/მზრუნველი). ამასთან, 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის მონაწილეობა პროცესში შეიძლება საჭირო გახდეს საქმის არსებითად განხილვის დროს განმარტების მიცემის მიზნით.

ვინაიდან, კანონის პირდაპირი მითითებით, არასრულწლოვანი შვილების უფლებებისა და ინტერესების დაცვის მოვალეობა ეკისრებათ მათ მშობლებს, მშობლები განსაკუთრებული რწმუნებულების გარეშე იცავენ მათ უფლებებს. დადგენილი წესით დადასტურებული ნათესაობის ფაქტი არის საკმარისი საფუძველი შვილების ინტერესების დასაცავად ნებისმიერ დაწესებულებაში, მათ შორის სასამართლოშიც. ამ შემთხვევაში საჭიროა მხოლოდ დაბადების მოწმობის წარდგენა, რომლიდანაც ირკვევა, რომ კონკრეტული პიროვნება ნამდვილად არის იმ ბავშვის დედა (ან მამა), რომლის უფლებებსა და ინტერესებს იცავს.

ორივე მშობელს თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვთ ბავშვის ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, იმყოფებიან თუ არა ისინი ოფიციალურ ქორწინებაში. არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლების ფუნქციას მშობლები ასრულებენ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ გაცემული სპეციალური დანიშნულების გარეშე, მხოლოდ ნათესაობის ფაქტის დადასტურების საფუძველზე. ამით ისინი განსხვავდებიან მეურვეებისა და მზრუნველებისაგან, რომლებსაც ნიშნავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. მშობელთა წარმომადგენლობის მოცულობა განისაზღვრება კანონით, და არა წარმოდგენილი პირის ნებით.

3.6.2. წარმომადგენლობა არასრულწლოვნის მიერ ქონებრივი ურთიერთობის განხორციელებისას

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ბავშვის ქონება მშობელთა ქონებისაგან საკმაოდ მკვეთრად არის გამიჯნული. ბავშვს არ გააჩნია ქონებრივი უფლებები მშობელთა ქონებაზე, მშობლებს კი არ გააჩნიათ ქონებრივი უფლებები ბავშვის ქონებაზე. სამოქალაქო კანონმდებლობაში არაფერი არ არის ნათქვამი ოჯახის სხვა წევრებზე: ძმებზე, დებზე და ა.შ., მაგრამ, ცხადია, რომ ოჯახში ბავშვები არიან მხოლოდ საკუთარი ქონების მფლობელები და არ შეიძლება პრეტენზიები ჰქონდეთ სხვათა ქონების მიმართ.

ბავშვებმა და მშობლებმა ერთმანეთის ქონების ფლობა და გამოყენება შეიძლება განახორციელონ მხოლოდ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მშობლების ქონების გარკვეული ობიექტები, მიუხედავად მათი დამოუკიდებელი ხასიათისა, ბავ-

შვის სარგებლობაში უნდა იყოს გადაცემული. ძნელი წარმოსადგენია ბავშვის აღზრდის შესაძლებლობა წიგნების, მუსიკალური ინსტრუმენტების, ელექტრონული ტექნიკისა და სხვ. გარეშე; მშობლების გარკვეული ქონების გამოყენება კი ბავშვებისათვის მხოლოდ მშობელთა თანხმობის შემთხვევაშია შესაძლებელი.

ბავშვის ქონების ფორმირება შეიძლება ხდებოდეს სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებული თანხებიდან ან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებიდან; საჩუქრად ან მემკვიდრეობით მიღებული ქონებიდან და სხვ. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ კანონით განსაზღვრულ შესაძლებლობას, რომლის თანახმადაც თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს კანონიერი წარმომადგენელი ანიჭებს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით. ეს წესი გამოიყენება როგორც საწარმოს დაფუძნების, ასევე ლიკვიდაციისა და შრომითი ურთიერთობების დაწყების ან დამთავრების მიმართაც.

როგორც ვხედავთ, პრობლემა ის კი არ არის, შეუძლია თუ არა ბავშვს, მესაკუთრის უფლებით ფლობდეს რაიმე ქონებას, არამედ პრობლემა ბავშვის მიერ საკუთარი ქონების განკარგვის შესაძლებლობაა. კანონმდებელი ითვალისწინებს ბავშვების ცხოვრებისეულ გამოუცდელობას, მათ არასაკმარისად ადეკვატურ დამოკიდებულებას სამოქალაქო ბრუნვის რეალიების მიმართ და ადგენს ბავშვთა ქმედუნარიანობის გარკვეულ მოცულობას: მცირეწლოვანთა ქმედუნარიანობა (ანუ ბავშვები 7 წლამდე) და არასრულწლოვანთა (7-იდან 18 წლამდე ასაკის) შეზღუდული ქმედუნარიანობა.

იმ ქონების მართვასა და გამგებლობას, რომელიც ეკუთვნის 7 წლის ასაკს მიუღწეველ მცირეწლოვანს საკუთრების უფლებით, ახორციელებენ მშობლები – ისინი მათ კანონიერ წარმომადგენლებად ითვლებიან. ანაბარი არასრულწლოვნის სახელზე შეიძლება შეიტანონ როგორც თვითონ არასრულწლოვანმა პირებმა, ისე სხვა პირებმა. ამ შემთხვევაში 7 წლის ასაკის მიღწევამდე ანაბარს განკარგავენ მცირეწლოვნის კანონიერი წარმომადგენლები (მშობლები და მეურვეები); ხოლო 7 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ არასრულწლოვანს უფლება ენიჭება, თვითონ განკარგოს ანაბარი, ოღონდ მისი მშობლების (მშვილებლების) ან მზრუნველის თანხმობით.

ბათილია ცალმხრივი გარიგება, რომელსაც არასრულწლოვანი დებს კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე. თუ არასრულწლოვანი დებს ორმხრივ გარიგებას (ხელშეკრულებას) კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, მაშინ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომში მისი წარმომადგენელი მოიწონებს თუ არა მას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი იღებს სარგებელს.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მშობლებს შეუძლიათ გარიგებების დადება მხოლოდ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების წინასწარი ნებართვის არსებობის პირობებში, ამავე დროს, ამ ნებართვას არ უნდა მიეცეს გადამეტებული შეფასება. შემდგომში გარიგება შეიძლება ბათილად იყოს

ცნობილი, თუნდაც არსებობდეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების წინასწარი თანხმობა. სასამართლო პრაქტიკით იყო ფორმულირებული დებულება, რომ მცირეწლოვანი ბავშვის ქონების გასხვისების გარიგების დადებაზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობის არსებობა თავისთავად გარიგების კანონიერების საკმარისი დასტური არ არის. გარიგების ნამდვილობის შეფასების კრიტერიუმი ბავშვის ქონებრივი უფლებების დაცვაა,

ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 14-იდან 18 წლის ასაკამდე არასრულწლოვნებს ნაწილობრივ ქმედუნარიანებად მიიჩნევდა. ნაწილობრივი ქმედუნარიანობის ინსტიტუტს ახალი სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს. ამ ინსტიტუტის შინაარსი განსხვავდება შეზღუდული ქმედუნარიანობისაგან და გულისხმობს „ქმედუნარიანობას საქმიანობის განსაზღვრულ სფეროებში“.[290]

არასრულწლოვნებს (7-იდან 18 წლამდე ასაკში) შეუძლიათ, დამოუკიდებლად შეასრულონ: 1) წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგებები; 2) სარგებლობის უსასყიდლო მიღებაზე მიმართული გარიგებები, რომლებსაც არ სჭირდება სანოტარო დადასტურება ან სახელმწიფო რეგისტრაცია; 3) გარიგებები, დაკავშირებული იმ სახსრების განკარგვასთან, რომლებიც კანონიერი წარმომადგენლების ან მათი თანხმობით მესამე პირების მიერ იყო გაცემული გარკვეული მიზნებისათვის, ან თავისუფალი გამოყენებისათვის. შეზღუდულქმედუნარიან პირთა ყველა სხვა სახის ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია მათი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. გარიგებით მიღებული სარგებლის ცნებას სამოქალაქო კოდექსი არ განსაზღვრავს. ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული გარიგების შეფასების დროს უნდა გადაწყდეს. ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, როცა გარიგებას დებს არასრულწლოვანი, საკითხი იმის შესახებ, ამ გარიგებამ სარგებელი მოუტანა თუ არა მას, უნდა გადაწყვიტოს არასრულწლოვნის კანონიერმა წარმომადგენელმა (მზრუნველმა). შეფასებისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული არა მხოლოდ ეკონომიკური მხარე, არამედ პედაგოგიური ასპექტიც. ის, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით მომგებიანია, და, მაშასადამე, სარგებლიანი შეიძლება იყოს, სრულიადაც არ ნიშნავს აღმზრდელობითი თვალსაზრისით სარგებლიანს. სარგებლის მომტანად არ არის მიჩნეული ასევე ორმხრივი ხელშეკრულებები, ვინაიდან ასეთ ხელშეკრულებებში უფლებებს (უფლებრივ სარგებელს) ყოველთვის უპირისპირდება მოვალეობები. ამიტომ გარიგებებს, რომლებითაც არასრულწლოვანი სარგებელს იღებს და მზრუნველის თანხმობა არ სჭირდება, მიაკუთვნებენ ჩუქებას, უპატრონო ნივთის მითვისებას. ისეთი ჩუქება, რომლის დროსაც ნაჩუქარი ნივთი სანივთო უფლებებით არის დატვირთული (გირავნობა, იპოთეკა და ა.შ.), არ ჩაითვლება სარგებლის მომტან გარიგებად. 7-იდან 18 წლამდე ასაკში არასრულწლოვნებს აგრეთვე შეუძლიათ: 1) გამოიყენონ თავიანთი ხელფასი, სტიპენდია და სხვა შემოსავლები (მაგრამ ამას კონტროლს უნდა უწევდნენ მშობლები და მეურვეობისა და

---

290 *ჭანტურია ლ.,* შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, რედ.: ჯორბენაძე ს., „სამართალი“, თბ., 2000, 155.

მზრუნველობის ორგანოები, როგორც ეს არის გათვალისწინებული მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით; და თუ ამის საკმარისი საფუძველი და გარდაუვალი საჭიროება არსებობს, მაშინ მშობელთა ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შუამდგომლობით სასამართლოს მეშვეობით შესაძლებელი უნდა იყოს, შეიზღუდოს, ან საერთოდ ჩამოერთვას არასრულწლოვანს ასეთი სახსრების დამოუკიდებელი ხარჯვის უფლება); 2) განახორციელონ საავტორო უფლებები მეცნიერებაში, ლიტერატურაში, ხელოვნებაში, აგრეთვე გამოგონებებსა ან კანონით დაცულ სხვა ინტელექტუალურ საქმიანობაში; 3) კანონის შესაბამისად შეიტანონ ანაბრები საკრედიტო დაწესებულებებში და გამოიყენონ ეს თანხები. რაც შეეხება ასაკობრივ ამპლიტუდას არასრულწლოვანთა მხრიდან უფლებათა განხორციელებაში, სხვადასხვა ქვეყანაში არაერთგვაროვნად არის განხილული. მაგალითად: ავსტრიის სამოქალაქო სამართალი სამ ასაკობრივ ჯგუფს გამოყოფს – შვიდ წლამდე ასაკის პირებს ეწოდებათ „ბავშვები“ და ისინი სრულიად ქმედუუნარონი არიან; ხოლო შვიდიდან თოთხმეტ წლამდე ასაკის პირები არიან შეზღუდულქმედუნარიანნი. ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის §865-ის მიხედვით, ისინი უფლებამოსილნი არიან, მიიღონ მხოლოდ მათ სასარგებლოდ განხორციელებული შეპირებები; თოთხმეტიდან ცხრამეტი წლის ასაკის პირები ასევე შეზღუდულქმედუნარიანთ განეკუთვნებიან, თუმცა მათი უფლებამოსილება უფრო ფართოა, ვიდრე წინა ჯგუფისა. მათ შეუძლიათ, ხელშეკრულებები დადონ მომსახურების სფეროში, მართონ და განკარგონ განსაზღვრული ნივთები და ა.შ. სრული ქმედუნარიანობა ავსტრიული სამართლის მიხედვით დგება ცხრამეტი წლის ასაკიდან.

შვეიცარიული სამართლის მიხედვით, სრულწლოვანება და, შესაბამისად, სრული ქმედუნარიანობა დგება ოცი წლის ასაკიდან. თუმცა სამოქალაქო კოდექსის მე-15 მუხლის მიხედვით, სრულწლოვანება შეიძლება თვრამეტი წლის ასაკიდანაც დადგეს. ქმედუუნაროდ მიიჩნევა პირი, რომელსაც თავისი ბავშვური ასაკის გამო არ შეუძლია, სწორად გაიგოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა.

ფრანგული სამართალიც არ ითვალისწინებს ასაკობრივ ჯგუფებს თვრამეტი წლის ასაკამდე და სჯერდება მხოლოდ იმის აღნიშვნას, რომ ბავშვებს, რომელთაც არა აქვთ განსჯის უნარი, არ შეუძლიათ, დადონ გარიგებები. ასაკის მიხედვით სრული ქმედუნარიანობა იწყება თვრამეტი წლის ასაკიდან. ფრანგულის მსგავსად აწესრიგებს ასაკის მიხედვით ქმედუნარიანობის საკითხს იტალიური სამართალიც.

გერმანული სამოქალაქო სამართალი, მსგავსად საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა, სამ ასაკობრივ ჯგუფს გამოყოფს: შვიდ წლამდე ასაკის პირები ქმედუუნარონი არიან, შვიდიდან თვრამეტ წლამდე – შეზღუდულქმედუნარიანნი, ხოლო თვრამეტი წლიდან – სრული ქმედუნარიანები.[291]

ზოგიერთი ქვეყნის (ავსტრიის, რუსეთის და ა.შ.) სამოქალაქო კანონმდებლობა, საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ახდენს

[291] იხ. *ჭანტურია ლ.,* შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, რედ.: ჯორბენაძე ს., „სამართალი“, თბ., 2000, 156.

სამი ასაკობრივი ჯგუფის გამოყოფას. მაგალითად, რუსეთში – 6 წლამდე, 6-იდან 14 წლამდე და 14-იდან 18 წლამდე. აღსანიშნავია, რომ, ყოველი მომდევნო ჯგუფის წევრთა შეზღუდული ქმედუნარიანობის მიუხედავად, მათი უფლებამოსილებანი უფრო ფართოა, ვიდრე წინა ჯგუფისა. მიმაჩნია, რომ ამ ქმედუნარიანობის ფარგლები მისაღები იქნებოდა საქართველოს კანონმდებლობისათვის, ვინაიდან 7-18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი პირები ერთნაირად არიან შეზღუდულნი ქმედუნარიანობაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ნებისმიერ სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობენ თანაბარი უფლებებით, რაც მართებულად არ მიმაჩნია, მით უმეტეს, რომ შრომის კანონმდებლობა, შეზღუდული ქმედუნარიანობის მიუხედავად, სხვადასხვაგვარად წყვეტს შრომით საქმიანობაში ჩაბმის უფლებასთან დაკავშირებულ საკითხს. კერძოდ, შრომითი საქმიანობა დაიშვება 16 წლის ასაკიდან, მაშინ ამ ასაკში მყოფი პირი ქმედუნარიანობის თვალსაზრისით გათანაბრებულია, მაგალითად, 7, 8 და ა.შ. (18 წლამდე) ასაკის პირთან. იგივე შეიძლება ითქვას სამეწარმეო კანონმდებლობასთან მიმართებით, კერძოდ, თუ თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს კანონიერი წარმომადგენელი ანიჭებს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას (ემანსიპაცია), მაშინ ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობაში იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება, თუმცა საწარმოს გაძღოლის ნებართვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ დაიშვება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით (65-ე მუხლი). აქედან გამომდინარე, ლოგიკურად იბადება კითხვა: თუ 7-იდან 18 წლამდე ასაკის პირები გათანაბრებულები არიან ქმედუნარიანობის თვალსაზრისით და არიან შეზღუდულქმედუნარიანნი, რატომ არ შეიძლება, რომ 7, 8 და ა.შ. 16 წლამდე ასაკის პირმა მონაწილეობა მიიღოს შრომით ურთიერთობაში, ან მიენიჭოს მას საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლება? უფრო მეტიც, საოჯახო სამართალში კანონმდებელი, ხშირ შემთხვევაში, ითვალისწინებს არა 7 წელს, არამედ მხოლოდ 10 წელს მიღწეული არასრულწლოვნის თანხმობას (მაგალითად, გვარის გამოცვლისას, გაშვილებისას, მშობლის უფლების აღდგენისას, მშობელთა თხოვნით შვილების გაუქმებისას, შვილად აყვანის ბათილად ცნობისას).

ამასთან დაკავშირებით ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. მაგალითად, მეცნიერთა ერთი ჯგუფი ამტკიცებს, რომ ინდივიდუალურ სამეწარმეო საქმიანობას შეიძლება ეწეოდნენ ან 18 წლის ასაკს მიღწეული პირები, ან პირები, რომლებმაც სრული ქმედუნარიანობა მიიღეს დაქორწინებისა თუ ემანსიპაციის შედეგად. ავტორთა ეს ჯგუფი გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ „სამეწარმეო საქმიანობით შეიძლება დაკავდნენ არასრულწლოვნები, რომლებსაც არ გააჩნიათ სრული ქმედუნარიანობა“.[292] მიმაჩნია, რომ ნორმის ამგვარი ინტერპრეტაცია მცდარია. ამ ნორმის შესაბამისად, ემანსიპაციის ერთ-ერთი პირობა სწორედ წარმატებული სამეწარმეო საქმიანობაა იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანი სრულად ქმედუნარიანად ჯერ არ არის გამოცხადებული. ამიტომ უფრო მართებულად ვთვლი იმ მეცნიერთა მოსაზრებას,

[292] *Нефедов Д. В.,* О различных методах регулирования коммерческих отношений, Сборник статей, Актуальные проблемы коммерческого права, вып. №6, Под общ. ред.: *Нефедов Д.В., Попондопуло В.Ф.,* «Волтерс Клувер», М., 2007, 47, 48.

რომლებიც დასაშვებად თვლიან 16 წლის ასაკიდან სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას. მით უმეტეს, გამართლებულია კანონის ამგვარი დამოკიდებულება, როცა საქმე ეხება კერძო სახის საქმიანობას, რაც მთლიანად გამორიცხავს საჯარო ურთიერთობებში ემანსიპირებული პირების მონაწილეობის შესაძლებლობას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ურთიერთობათა შედეგად მიღებულ შედეგებზე სახელმწიფო არ რისკავს, ანუ არ ქმნის საყოველთაო რისკის დაშვების შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუღებლად მიმაჩნია ქმედუნარიანობის განსაზღვრა საქართველოს სკ-ის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით დაწესებულ ფარგლებში (7-იდან 18 წლამდე).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებაში მითითებულია, რომ შეზღუდულქმედუნარიანი პირი (სრულწლოვანი, რომელსაც სასამართლომ დაუწესა მზრუნველობა) თავის ქმედუნარიანობაში უთანაბრდება არასრულწლოვანს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არასრულწლოვნები 7-იდან 18 წლამდე სარგებლობენ ისეთივე ქმედუნარიანობით, როგორითაც არიან აღჭურვილნი მე-16 მუხლში მითითებული პირები. მაგრამ უნდა აღინიშნოს მე-16 მუხლის უზუსტობა, სადაც საუბარია „სხვა სახის შემოსავლების“ შესახებ. მეურვეობას დაქვემდებარებული მოქალაქის შემოსავლებს (მათ შორის მიღებულს მისი ქონების განკარგვით), გარდა იმ შემოსავლებისა, რომელთა განკარგვა პირს დამოუკიდებლად შეუძლია, მეურვე ან მზრუნველი ხარჯავს მხოლოდ სამეურვეო ან სამზრუნველო პირის ინტერესებიდან გამომდინარე და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი ნებართვის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ნებართვის არარსებობის შემთხვევაში, მშობლებმა ამ შემოსავლებიდან შეიძლება განახორციელონ მხოლოდ ბავშვის რჩენისათვის აუცილებელი ხარჯები.

შესაბამისად, მე-16 მუხლის მიხედვით, 7-იდან 18 წლის ასაკში არასრულწლოვანს შეუძლია, აბსოლუტურად დამოუკიდებლად განკარგოს საკუთარი შემოსავლები („სხვა სახის შემოსავლები“), მაგრამ აქვე მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას შემოსავლების დიფერენცირების საკითხს, კერძოდ შემოსავლებს, რომელთა განკარგვა მას დამოუკიდებლად შეუძლია, და შემოსავლებს, რომელთა განკარგვა არა მხოლოდ არასრულწლოვანს, არამედ მეურვესა და მზრუნველსაც კი არ შეუძლიათ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი ნებართვის გარეშე.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, „მშობლები წარმომადგენლობით უფლებამოსილებას იმავე მოცულობით ფლობენ, როგორც მზრუნველები და მეურვეები“.[293] 7 წლამდე ასაკის ბავშვის ქონების მიმართ გარიგების განხორციელება მშობლებს შეუძლიათ მეურვეობის წესით; 7–18 წლის ასაკს მიღწეული ბავშვის მშობლები სამოქალაქო სამართებლივ ურთიერთობებში მონაწილეობენ როგორც მზრუნველები, ანუ ისინი თავად კი არ ახორციელებენ გარიგებას შვილის სახელით, არამედ თანხმობას იძლევიან შვილის მიერ შესაბამისი გარიგების განხორციელებაზე. აქედან გამომდინარე, გამოაქვთ დასკვნა, რომ მზრუნველის უფლებამოსილებით

---

293 *Фадеева Т.А.,* Личные права и обязанности граждан в семейных отношениях, «Правоведение», 1988, №2, 64.

მოქმედი მშობლები არ არიან თავიანთი შეზღუდულქმედუნარიანი შვილების წარმომადგენლები, და რომ ისინი არ შეიძლება იყვნენ მათი წარმომადგენლები რწმუნებულების საფუძველზეც კი. გამოდის, რომ მშობელმა რწმუნებულების გაცემის საკითხი საკუთარ თავს უნდა შეუთანხმოს.

ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს სხვაგვარი მოსაზრება: კერძოდ, რომ „წარმომადგენლობას უკავშირდება როგორც მეურვეობა, ასევე მზრუნველობაც“.[294] იმ მეურვის (მათ შორის მშობლების ან მშვილებლების) უფლებამოსილება, რომელიც მოქმედებს როგორც 7 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი – განსაკუთრებული უფლებაა, რომლის განხორციელება იმის საშუალებას იძლევა, რომ სამეურვეო პირის ქმედუნარიანობის უქონლობა შეივსოს მეურვის მიერ გარკვეული იურიდიული ქმედების შესრულებით. მზრუნველის (მათ შორის, 7-იდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა მშობლების ან მშვილებლების) უფლებამოსილებათა იურიდიული ბუნება სხვა ხასიათისაა. ეს უფლებამოსილებები ხორციელდება ისეთი განსაკუთრებული იურიდიული ქმედებების სახით, როგორებიცაა: თანხმობა და მოწონება, რაც მეურვის მიერ შეიძლება გამოიხატოს ზეპირი ფორმით ან კონქლუდენტური მოქმედებით. ამასთან, მოწონება ემყარება იმ ვარაუდს, რომ არასრულწლოვანთა იურიდიული მოქმედება არ სცილდება დასაშვები ქცევის ფარგლებს, რასაც მათ უწესებენ მშობლები, ან მზრუნველი.

სსკ-ის 1294-ე მუხლის თანახმად, მეურვეობისა მზრუნველობის ორგანოს წინასწარი თანხმობის გარეშე მეურვეს უფლება არა აქვს, სამეურვეო პირის სახელით დადოს გარიგება, ხოლო მზრუნველს არ შეუძლია, მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირის სახელით დათანხმდეს გარიგების დადებაზე, რომელიც შეეხება ქონების გასხვისებას, დაგირავებას, ათ წელზე მეტი ვადით გაქირავებას, თხოვებას ან სხვა სავალო ვალდებულებთა გაცემას, თამასუქის, სამეურვეო ან სამზრუნველო პირის კუთვნილ უფლებებზე უარის თქმას, სამეწარმეო საზოგადოებაში პარტნიორად შესვლას, სესხის აღებას, ქონების გაყოფას ან ქმედებებს, რომლებსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს ქონების შემცირება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვნის მიერ წვრილმანი ყოფითი გარიგებების გარდა, გარიგების დადება შესაძლებელია მხოლოდ მეურვის (მზრუნველის) თანხმობის არსებობის შემთხვევაში. მაგრამ ზოგიერთი გარიგების დადებაზე თანხმობის მიცემა მეურვეს (მზრუნველს) შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამის შესახებ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი ნებართვა არის მიღებული. მაგალითად: ბავშვის ქონების გაცვლა, გაქირავება, უანგარო გამოყენება ან გირაო, ქონების გაყოფა ან გამოყოფა და სხვ. ამ ნორმიდან მომდინარეობს მკაცრი თანმიმდევრობა: ჯერ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ნებართვა, შემდეგ კი – მეურვის ან მზრუნველის თანხმობა. რაც ეხება ჩუქების ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს მჩუქებლის მხრიდან ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას დასაჩუქრებულისათვის მი-

294 *Ершова Н.М.*, О правах и обязанностях опекунов и попечителей над несовершеннолетними по советскому семейному праву // Ученые записки: «Изд-во Казах. ун-та», Вып. 4, 1957, 58-82, <http://www.lawlibrary.ru/article1130650.html><http://www.lawlibrary.ru/article1130650.html> [02.01.14].

სი თანხმობით და იწვევს დასაჩუქრებულის ქონების გაზრდას მჩუქებლის ქონების შემცირების ხარჯზე, კანონის თანახმად, ასეთი ხელშეკრულების დადება სამეურვეო (სამზრუნველო) პირის სახელით არ შეიძლება.

საინტერესოა თეორიაში არსებული მოსაზრებები მშობელთა (მზრუნველთა) თანხმობის და მზრუნველობისა და მეურვეობის ორგანოს ნებართვის სამართლებრივი ბუნების შესახებ. ზოგიერთი ავტორი მშობელთა თანხმობას გარიგების კვალიფიკაციას აძლევს: „მშობლების თანხმობის, როგორც გარიგების, კვალიფიკაცია ნიშნავს, რომ ეს იურიდიული ქმედება უნდა იყოს განხორციელებული გარიგების შესახებ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად... ამდენად, თანხმობა გამოხატული უნდა იყოს ისეთივე ფორმით, როგორითაც თვით გარიგება, რომლის დადებაზე არასრულწლოვანი მშობლებს თანხმობას სთხოვს“.[295] მშობელთა (მზრუნველთა) თანხმობის ამგვარი ფორმის დაცვა მიუღებელია, ვინაიდან თანხმობა შეიძლება ჩაითვალოს დამოუკიდებელ გარიგებად, თუმცა არა იმ გარიგების ნაწილად, რომლის ნამდვილობის წინაპირობაც ისაა; წინააღმდეგ შემთხვევაში, გვექნება არა თანხმობა გარიგებაზე, არამედ პირობითი გარიგება. არასრულწლოვანთა მიერ დადებული გარიგების მხარეთა უფლება-მოვალეობები გამომდინარეობს არა მშობელთა თანხმობიდან, არამედ იმ იურიდიული ქმედებიდან, რომელსაც არასრულწლოვანი ახორციელებს. გარიგების დადებაზე მშობელთა თანხმობა არ შეიძლება იყოს გარიგების ნაწილი, მისი ელემენტი, რადგან მშობლებისათვის, რომლებმაც მისცეს თანხმობა, არანაირი უფლება-მოვალეობები არ ჩნდება – გარიგების ყველა უფლება-მოვალეობა მხოლოდ არასრულწლოვანს უჩნდება. 7-იდან 18 წლამდე არასრულწლოვნებს აქვთ მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობა ყველა დადებულ გარიგებასთან დაკავშირებით, მათ შორის იმ გარიგებებთან, რომლებიც მშობლების თანხმობით იყო დადებული. მშობელთა თანხმობა – ეს არის გარიგების მოწონების აქტი, შესაბამისად, არის გარიგების ნამდვილობის ერთ-ერთი პირობაც, რომელიც კანონიდან მომდინარეობს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით არასრულწლოვნის მიერ დადებული გარიგება ითვლება ნამდვილად, თუ შემდგომში იგი მშობლების მიერ იქნება მოწონებული. ერთი შეხედვით, ამ ნორმის შინაარსიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ გარიგების მოწონების არარსებობის შემთხვევაში, გარიგება არ უნდა იყოს ცნობილი ნამდვილად, უფრო სწორად, აღიარებულ უნდა იქნეს ბათილად, მაგრამ ეს ასე არ არის: თუ გარიგება დადებულია 7-იდან 18 წლამდე არასრულწლოვნის მიერ მშობელთა თანხმობის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში ეს თანხმობა საჭიროა, მაშინ მშობელთა ან იმ მესამე პირთა, რომელთა უფლებებიც შეილახა ამ გარიგებით, სარჩელის საფუძველზე სასამართლომ შეიძლება მიიჩნიოს იგი ბათილად, რაც მას მერყევად ბათილი გარიგების ხასიათს ანიჭებს. მაშასადამე, ასეთი სახის გარიგებები არის არა უცილოდ ბათილი, არამედ მერყევად ბათილი. ეს გარემოება იქნება კიდევ ერთი დასტური იმისა,

---

295 *Кузнецова Л. Г., Шевченко Я. Н.* Гражданско-правовое положение несовершеннолетних, «Юрид. лит.», М., 1968, 30.

რომ მშობელთა თანხმობა ბავშვის ქმედებების მოწონების აქტია. თუმცა ლიტერატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ „გარიგება მანამ, სანამ მოწონებული იქნება, ბათილია, და არანაირ სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს, მოწონების შემთხვევაში კი იგი ნამდვილია დადების მომენტიდან“.[296]

3.6.3. წარმომადგენლობის განხორციელება არასრულწლოვანი მშობლების მიერ

მშობელის მოვალეობების განხორციელება არასრულწლოვანი მშობლების მიერ ერთგვარ პრობლემად იქცა. ასეთი პირები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: 1) დაქორწინებული არასრულწლოვანი მშობლები და 2) არასრულწლოვანი მშობლები, რომლებიც დაქორწინებულნი არ არიან. ამ ჯგუფების სამართლებრივი მდგომარეობის პრინციპული განსხვავება ისაა, რომ დაქორწინებით არასრულწლოვნები იღებენ სრული მოცულობის ქმედუნარიანობას.

როდესაც ბავშვი უჩნდებათ არასრულწლოვან მშობლებს და ისინი დაქორწინებულნი არ არიან, ამ შემთხვევაში მშობლები ქმედუნარიანები არიან იმ მოცულობით, რაც გათვალისწინებულია 7-იდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებისათვის.

არასრულწლოვან მშობელს აქვს უფლება, იცხოვროს შვილთან ერთად და მიიღოს მონაწილეობა მის აღზრდაში. ცხადია, ეს შესაძლებელია მხოლოდ დაქორწინებული და თანამცხოვრები არასრულწლოვანი მშობლების შემთხვევაში. თუ ისინი არ არიან დაქორწინებულები, მამობა კი დადგენილი იყო ნებაყოფლობით ან სასამართლო წესით, მაშინ ბავშვთან ერთად ცხოვრების უფლების რეალიზება, უბრალოდ, შეუძლებელი ხდება; ასეთ მამას არ აქვს უფლება, მოითხოვოს ჩასახლება ბავშვთან ერთად მცხოვრები დედის საცხოვრებელში, მაგრამ მას აქვს ბავშვის აღზრდის არა მხოლოდ უფლება, არამედ მოვალეობაც.

არასრულწლოვან მშობლებს უფლებრივი თვალსაზრისით არ გააჩნიათ რაიმე განსაკუთრებული გარანტიები, რის შესახებაც ზოგჯერ ლიტერატურაში წერენ. მაგალითად, მკვლევართა ერთი ჯგუფი ამტკიცებს, რომ, „მიუხედავად ასაკისა, არასრულწლოვან მშობლებს ეძლევათ უფლება, იცხოვრონ შვილთან ერთად და მიიღონ მონაწილეობა მის აღზრდაში, რაც, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს იმას, რომ ბავშვი არ შეიძლება ჩამოერთვას არასრულწლოვან მშობლებს მათი ნების გაუთვალისწინებლად“.[297] თუმცა ასეთი აზრი გაუგებარს ხდის, თუ რა აქვს მხედველობაში მკვლევრებს. თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ბავშვის ჩამორთმევა არ შეიძლება მხოლოდ მშობელთა არასრულწლოვანების გამო, მაშინ ეს მართებულია. მაგრამ, თუ ისინი ცდილობენ, დაასაბუთონ პოზიცია, რომ არასრულწლოვან მშობლებს საერთოდ არ შეიძლება ჩამოართვან ბავშვი,

---

296 *ჭანტურია ლ.,* შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, რედ.: ჯორბენაძე ს., „სამართალი“, თბ., 1997, 399.

297 *Антокольская М. В.,* Семейное право, «Юрист», М., 2004, 219.

ან არ შეიძლება მშობელთა უფლებების ჩამორთმევა, მაშინ ეს მცდარი პოზიციაა. უნდა გამოვდიოდეთ არა მშობელთა, არამედ ბავშვის ინტერესებიდან. თუ არასრულწლოვან მშობლებთან ცხოვრება ბავშვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას რაიმე საფრთხეს უქმნის (ჯანმრთელობის მდგომარეობა, ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, ტოქსიკომანია და ა.შ.), მაშინ ბავშვის ჩამორთმევა არა მხოლოდ დასაშვებია, არამედ აუცილებელიც ხდება (სსკ-ის 1206-ე მუხლი). არასრულწლოვან მშობლებს შესაძლებელია, ჩამოერთვას მშობლის უფლებები, თუ ისინი მათ ბოროტად იყენებენ, ბავშვს სასტიკად ეპყრობიან და ა.შ.; როდესაც არასრულწლოვანი მშობელი მიაღწევს სრულწლოვანების ასაკს და შეძლებს ბავშვის აღზრდას, მაშინ მას შეიძლება აღუდგეს ჩამორთმეული მშობლის უფლება, თუ ამასთან, რა თქმა უნდა, აღარ იარსებებს ის მიზეზები, რაც მშობლის უფლების ჩამორთმევის საფუძველი გახდა.

არასრულწლოვან მშობლებს, თუ ისინი არ არიან დაქორწინებულები, მშობელთა უფლებების დამოუკიდებლად განხორციელება შეუძლიათ 16 წლის ასაკიდან. ამ ასაკის მიღწევამდე ბავშვს შეიძლება დაენიშნოს მეურვე, რომელიც არასრულწლოვან მშობლებთან ერთად განახორციელებს ბავშვის აღზრდას. მეურვესა და არასრულწლოვან მშობლებს შორის დავა უნდა გადაწყდეს სასამართლოს მიერ.

ისმის კითხვა, „ანიჭებს თუ არა სრულ ქმედუნარიანობას არასრულწლოვან მშობლებს, რომლებიც არ არიან დაქორწინებულები, ბავშვის დაბადების ფაქტი და განეკუთვნება თუ არა იგი იმ გარემოებებს, როდესაც ემანსიპაციაა შესაძლებელი“.[298] ამ კითხვაზე პასუხი მხოლოდ უარყოფითი შეიძლება იყოს. შვილების წარმოშობა მშობლებისაგან, ანუ ბავშვის დაბადების ფაქტი, არ არის ის გარემოება, რომელიც იწვევს არასრულწლოვანი მშობლების ემანსიპაციას. ქმედუნარიანობის მოცულობას განსაზღვრავს არა საოჯახო სამართლის კონკრეტული დებულებები, არამედ სამოქალაქო კანონმდებლობა ზოგადად.

მაგრამ ხომ არ არის ეს სიტუაცია კანონმდებლობის ხარვეზი, და ხომ არ უნდა მივიჩნიოთ მართებულად, რომ 16 წლის ასაკიდან არასრულწლოვან მშობლებს სრული ქმედუნარიანობა აქვთ (ბავშვის დაბადების ფაქტიდან გამომდინარე), და, შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლში ჩავრთოთ ეს გარემოება, როგორც ემანსიპაციის ერთერთი საფუძველი?

ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, ასეთი წინადადება მიუღებელია. სრულწლოვანების მიღწევამდე ბავშვის გაჩენა, თანაც დაქორწინების გარეშე, არ იწვევს არასრულწლოვანი მშობლების ნების სრულყოფილებას, ანუ მშობლის ბუნებითი მდგომარეობა – შვილების მათგან წარმოშობა – კანონით დადგენილი წესით ქორწინების რეგისტრაციამდე არასრულწლოვანი მშობლებისათვის არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ქმედუნარიანობის წარმოშობის გარემოებებად, რაც პირდაპირ უკავშირდება სრული მოცულობით დამოუკიდებლად მშობლის უფლება-მოვალეობათა განხორციელებას.

---

298 იქვე, 220.

შესაბამისად, დაბადების ფაქტი არ შეიძლება მივაკუთვნოთ ემანსიპაციის საფუძველთა რიცხვს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სკ-ის 65-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, თუ კანონიერი წარმომადგენელი ანიჭებს თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მაშინ ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება. ეს წესი გამოიყენება როგორც საწარმოს დაფუძნების, ასევე ლიკვიდაციისა და შრომითი ურთიერთობების დაწყების ან დამთავრების მიმართაც. საწარმოს გაძღოლის ნებართვა საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით. აქედან გამომდინარე, ემანსიპაციის საფუძველია მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობის წარმატებულად განხორციელება, რომელიც მშობელთა მეთვალყურეობით მიმდინარეობდა, რადგან მათ მისცეს თანხმობა გარიგების დადებაზე; ან წარმატებული საქმიანობა შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, როდესაც მშობლები კონტროლს უწევდნენ არასრულწლოვანი ბავშვის საქციელს; და ბოლოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, აუცილებლობის შემთხვევაში კი, სასამართლოც, სრული ქმედუნარიანობის გამოცხადების წინ ყველაფერს შეამოწმებენ და გააკონტროლებენ.

ბავშვის დაბადება არასრულწლოვანი მშობლებისათვის, რომლებიც დაქორწინებულები არ არიან, არ უნდა იყოს გათვალისწინებული სსკ-ის 65-ე მუხლის ჩამონათვალში.

ბავშვის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის უშუალო საფრთხის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება მოხდეს ბავშვის ჩამორთმევა, მშობლის უფლების ჩამორთმევის გარეშე, ერთ-ერთი ან ორივე მშობლისათვის და მისი მეურვეობისა მზრუნველობის ორგანოსათვის გადაცემა. თუ ამგვარი საფრთხე არ არსებობს, მშობელს შეუძლია უფლება-მოვალეობების განხორციელება, მაგრამ თავისი ქმედუნარიანობის მოცულობის ფარგლებში. ზოგიერთი მკვლევარი სამართლიანად ამტკიცებდა, რომ „სამოქალაქო სამართლის ნორმებიდან მომდინარე პირის სამართლებრივი სტატუსი არის განმსაზღვრელი საოჯახო სამართლისთვისაც“.[299]

საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, რამდენად შეუძლია მხარდაჭერის მიმღებ მშობელს იყოს ბავშვის წარმომადგენელი? ვინაიდან ამ სტატუსის განსაზღვრა და მხარდამჭერის უფლება-მოვალეობების საზღვრებიც სასამართლოს მიერ განისაზღვრება, შესაბამისად, მხარდაჭერის მიმღები მშობლის ქმედუნარიანობის ფარგლებიც ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს. ამასთან, დღესაც მართებულად მიმაჩნია დიდი ხნის წინ გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმად, „სამოქალაქო უფლებების განხორციელების სუბიექტური საზღვრები განისაზღვრება სამოქალაქო სამართლის სუბიექტების სამოქალაქო ქმედუნარიანობის საზღვრებით. ყო-

[299] *Рясенцев В. А.,* Общие положения гражданско-правовой охраны семьи государством, В кн.: Право и защита семьи государством, Под ред. *Мозолина В. П., Рясенцева В.А.,* «Наука», М., 1987, 73.

ველი უფლება შეიძლება იყოს იმ სუბიექტით რეალიზებული, რომელსაც სამოქალაქო ქმედუნარიანობის საკმარისი მოცულობა აქვს".[300]

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პირადი არაქონებრივი ურთიერთობები მშობლებსა და შვილებს შორის საკმაოდ მნიშვნელოვანია და ყოველი დეტალი დარეგულირებას საჭიროებს საკანონმდებლო დონეზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული მშობლის მიერ უფლებამისილების გადამეტება ბავშვის ინტერესის გათვალისწინებითა და სათანადო დონეზე დაცვით, ამასთან, არ უნდა დაირღვეს ბავშვის ორივე მშობელთან მინიმალურზე მეტი კონტაქტის შესაძლებლობა, გენდერული თანასწორობის ომში კი მაქსიმალურად იქნეს დაცული ბალანსი მშობლების ეკონომიკური წინსვლისაკენ სწრაფვასა და აღზრდის მოვალეობის შესრულებას შორის.

[300] *Грибанов В.П.,* Пределы осуществления и зашиты гражданских прав, изд. 2, «Статут», М., 2001, <http://civil.consultant.ru/elib/books/1/page_2.html#4> [14.10.13].

თავი 4. ქონებრივი (საალიმენტო) ვალდებულება მშობლებსა და შვილებს შორის

§4.1. მშობლების მიერ შვილების რჩენის მოვალეობა, როგორც საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობა

საქართველოს სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობათა ურთიერთგანპირობებულობა. სწორედ ამ პრინციპის საფუძველზე არა მარტო მშობლებს ეკისრებათ განსაზღვრული მოვალეობები და აქვთ უფლებები შვილების მიმართ, არამედ შვილებიც სარგებლობენ მშობლების მიმართ შესაბამისი უფლებებით და ეკისრებათ მოვალეობები. მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის ძირითადი საფუძველია შვილების მშობლებისაგან წარმოშობა, კერძოდ, ბავშვის დაბადება რეგისტრირებული ქორწინების დროს და სისხლით ნათესაობა, ასევე მისი დაბადება არარეგისტრირებულ ქორწინებაში.

სისხლით ნათესაობის პრინციპი, როგორც მშობლებსა და შვილებს შორის უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის საფუძველი, განმტკიცებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ კონვენციის (1989 წლის 20 ნოემბერი) მე-7 მუხლის თანახმად, ბავშვი უნდა დარეგისტრირდეს დაბადებიდანვე, რითაც დასტურდება მისი წარმოშობა. ეს წესი დაცულია საქართველოშიც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1187-ე მუხლის თანახმად, „მშობლებისა და შვილების ურთიერთუფლება-მოვალეობებს საფუძვლად უდევს შვილების წარმოშობა, რაც დადასტურებულია კანონით დადგენილი წესით“. ეს პროცედურა კი მოწესრიგებულია სამოქალაქო აქტების შესახებ კანონის 22-ე–37-ე მუხლებით. „თავის მხრივ, სწორედ ბავშვის წარმოშობის დადგენა ქმნის ობიექტურ წანამძღვრებს ბავშვის კანონით გარანტირებული უფლებების დაცვისა და ბავშვის რჩენასთან დაკავშირებული მშობელთა მოვალეობების შესრულებისათვის“.[301]

„მშობლები და შვილები ყველაზე მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი და ამიტომაც, სამწუხაროდ, მათ შორის უფრო ხშირად ჩნდება ალიმენტთან დაკავშირებული კონფლიქტები“.[302] ამ კონფლიქტების მოგვარების დროს კი წარმოიშობა მთელი რიგი საკითხებისა იმასთან დაკავშირებით, თუ საერთოდ ვინ არის ვალდებული, არჩინოს შვილები, რამდენად დაცულია საქართველოში ქალთა უფლებები, რომლებიც ბავშვის აღზრდის პროცესში კარგავენ კარიერისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევის შესაძლებლობას, ხოლო განქორწინების შემდეგ დგებიან რთული პრობლემების წინაშე: რამდენად უზრუნველყოფს ქმარი მის და მისი შვილების მომავალს? გადახდილი იქნება თუ არა ალიმენტი და რა მოცულობით? რამდენად შეუნარჩუნდება ბავშვს ცხოვრების ის დონე, რაც მას მშობლების განქორწინებამდე ჰქონდა? ამასთან, მნიშვნელოვანია,

---

301 *ჩიკვაშვილი შ.,* საოჯახო სამართალი, „მერიდიანი“, თბ., 2004, 269.

302 *Королев Ю. А.,* Комментарий к Семейному кодексу Российской федерации, «Юстицинформ», М., 2004, 211.

თვით გადასახდელი ალიმენტის მოცულობის განსაზღვრისას დადგინდეს, მართლაც ყოველთვის შეესაბამება თუ არა მოსამართლის მიერ მიღებული „გონივრული“ გადაწყვეტილება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს? რამდენად არის სახელმწიფო უფლებამოსილი, და ამასთან ვალდებულიც, ჩაერიოს მშობლების მიერ საალიმენტო მოვალეობის შეუსრულებლობის დროს, რათა ბავშვს ჰქონდეს ცხოვრების სტანდარტული დონის მინიმუმი მაინც, და რა ახალი ინსტიტუტები ინერგება საერთაშორისო საკანონმდებლო სისტემებში საალიმენტო ვალდებულის უზრუნველსაყოფად?

პირველი, და, ალბათ, ყველაზე მთავარი კითხვა არის, თუ „ვის აქვს სამართლებრივი ვალდებულება ბავშვების დახმარებაზე?“ ამ შეკითხვაზე პასუხია – „მშობლები“. „(ყველა ევროპულ ქვეყანასა და შეერთებულ შტატებში) დაქორწინებული მშობლები ვალდებული არიან, დაეხმარონ თავიანთ შვილებს. დაუქორწინებელი მშობლების შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც დადგინდება მამობა, მამამ ასევე უნდა უზრუნველყოს შვილები ფინანსური დახმარებით“.[303] ბევრ საზოგადოებაში ბავშვების ფინანსური და ფიზიკური დახმარება, ძირითადად, ეკისრებათ მათ მშობლებს. ამის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, უფრო დიდ საზოგადოებას და სახელმწიფოს ეკისრებათ დამატებითი როლი. დები, ძმები, ბებია, პაპა, მამინაცვალი, დედინაცვალი საალიმენტო ვალდებულებებში ერთვებიან მხოლოდ მას შემდეგ, როცა შვილი ან მშობელი, ან მეურვეები ვერ ახორციელებენ ამ მოვალეობას. სხვა პირების მიერ ალიმენტის გადახდის ვალდებულება, მაგალითად, შვედეთის კანონმდებლობის მიხედვითაც, „გამოიყენება მხოლოდ იმ პირობით, თუ ბავშვი არ იღებს ალიმენტს ორივე მისი ბიოლოგიური მშობლისაგან“.[304]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლის თანახმად, „მშობლები მოვალენი არიან, არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ.“ ბავშვის უფლებათა კონვენციაში მითითებულია არა მხოლოდ მშობელთა მიერ შვილების რჩენის ვალდებულებაზე, არამედ მათ ფინანსურ პასუხისმგებლობაზეც. სახელმწიფო და მისი ინსტიტუტები უფლებამოსილნი არიან, დაეხმარონ მშობლებს შვილების შენახვისას, გარკვეული შეღავათების, კომპენსაციების დაწესებით, მაგრამ მათი რჩენის ძირითადი წყარო უნდა იყოს მშობლების მიერ შვილებისათვის განკუთვნილი სახსრები (თანხები, სხვა საშუალებები).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული ბავშვთა უფლებების კონვენცია ხაზგასმით შეგვახსენებს ბავშვების უფლებას განსაკუთრებულ მზრუნველობასა და დახმარებაზე. ამ კონვენციის პრეამბულაში მითითებულია, რომ ოჯახს, როგორც საზოგადოების ძირითად უჯრედს, და როგორც მისი წევრების, განსაკუთრებით კი ბავშვების, კეთილდღეობის ზრდის ბუნებრივ გარემოს, უნ-

---

303 *Corden A., Meyer D. R.,* Child Support Policy Regimes in the United States, United Kingdom, and other Countries: Similar issues, Different approaches, University of Wisconsin–Madison Institute for Research on Poverty, Focus, Volume 21, Number 1, 2000, Spring, 75, <http://www.irp.wisc.edu/publications/focus/pdfs/foc211.pdf,> [24.09.13].

304 Ministry of Justice, Family Law: information on the Rules 39-40, 2007 <http://www.sweden.gov.se/content/1/c6/07/96/97/42c339 cc.pdf> [01.12.13].

და ჰქონდეს ჯეროვანი დაცვა და მხარდაჭერა, რათა მან საზოგადოების ფარგლებში სრულად იკისროს ვალდებულებანი. ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია, იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში. ბავშვს, ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ.

მშობლის უფლება-მოვალეობა ბავშვის მიმართ აღზრდისა და რჩენის თვალსაზრისით განისაზღვრება გარკვეული ვადით ან კანონით გათვალისწინებული პირობებით. ისინი წარმოიშობა ბავშვის დაბადების მომენტიდან და წყდება ბავშვის მიერ 18 წლის ასაკის (სრულწლოვანების) მიღწევისას; ხოლო სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილისათვის, რომელიც დახმარებას საჭიროებს, მშობლებს ალიმენტი გადახდებათ სრულწლოვანი შვილის შრომისუნარიანობის აღდგენამდე.

„გარკვეული სტატუსი, დედობა/მამობა, ითვლება ბავშვზე მზრუნველობის ვალდებულების აღების საფუძვლად, რომელიც, თავის მხრივ, წარმოქმნის მორალურ მოვალეობას. ამ ვალდებულების სამართლებრივ რანგში აყვანა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც მამობასთან/დედობასთან დაკავშირებული მორალური ვალდებულების „ბუნებრივად“ განხორციელება. აქედან გამომდინარე, ყველა მოვალეობა, რომლებიც მშობლებს უკვე აქვთ საკუთარი შვილის მიმართ, ემთხვევა მშობლების უმეტესობის სურვილსა და ინსტინქტებს და, ჩვეულებრივ, კარგად სრულდება, – ის უკავშირდება პროცესს, რომელიც შეიძლება, ძალიან მნიშვნელოვანი იყოს ბავშვის იდენტობის შეგრძნებისათვის“.[305]

შეფასებას, რომ საზოგადოებრივი წესები, და არა მორალური პრინციპები, აკისრებს მოვალეობებს მშობლებს, აქვს გარკვეული ქვეტექსტი. ეს წესები შეიძლება დაზუსტდეს, ისინი შეიძლება გამორიცხავდეს ბიოლოგიურ მამობას/დედობას, რომელიც ხელოვნური განაყოფიერების ან სუროგატობის შედეგია; მათ შეუძლიათ, განსაზღვრონ კვალიფიკაციები, თუ ადამიანები ხდებიან მშობლები შემთხვევით ან მათი სურვილის საწინააღმდეგოდ. ასეთი წესები უნდა იყოს რაციონალური, თანასწორობის პრინციპების შესაბამისი, და არასდროს დაჩრდილოს ბავშვის მიმართ ნებისმიერი პირის მოვალეობა.

თუ ვალდებულების დამრღვევმა იცის, რომ, მიუხედავად მისი წასვლისა, ბავშვის კეთილდღეობაზე იზრუნებენ სახელმწიფო (როგორც ეს ხდება ბევრ განვითარებულ საზოგადოებაში) ან ნათესავები, და მაშინაც კი, თუ ეს ხელშეწყობა იქნება უფრო დაბალხარისხოვანი, ვიდრე იქნებოდა მაშინ, თუკი თავად შეასრულებდა თავის მოვალეობებს, ასეთ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევა იქნება უფრო საზოგადოების სოციალური ნორმების, და არა ბავშვების მიმართ მორალური ვალდებულებების, წინააღმდეგ მიმართული. მაშინ რა მიზანს შეიძლება ემსახურებო-

---

305 *Eekelaar J.,* Are Parents Morally Obliged to Care for Their Children, Oxford Journal of Legal Studies,Vol. 11, N 3, «Oxford University Press», 1991, Autumn, 340, <http://www.jstor.org/-stable/764213> [20.10.13].

დეს ასეთი ვალდებულებების დამრღვევი პირის მიმართ განხორციელებული იძულებითი ღონისძიებები? ეს მიზნებია:

(1) პასუხისმგებლობის განაწილების შენარჩუნების მცდელობა ამ კონკრეტულ შემთხვევაში: მამას უნდა მოეთხოვოს, გააგრძელოს თავისი შვილისათვის დახმარების გაწევა იმ ფარგლებში, რასაც ის შეძლებდა, რომ არა ვალდებულების შეუსრულებლობა;

(2) პასუხისმგებლობის განაწილების წესების გაძლიერების მცდელობა: მამა იძულებული უნდა იყოს, აანაზღაუროს თავისი შვილის დასახმარებლად სხვების მიერ გაწეული დანახარჯები იმისათვის, რომ არსებულმა წესებმა არ დაკარგოს აზრი;

(3) იმ დისბალანსის აღდგენის მცდელობა, რომელიც, ჩვეულებრივ, წარმოიქმნება მამასა და დედას შორის მათი მოვალეობების შესრულების დროს, როცა მამა ტოვებს ოჯახს. პრინციპი არის ის, რომ მამას უნდა მოეთხოვოს დედისათვის დახმარების გაწევა, თუკი დედას თავისი, როგორც მშობლის, მოვალეობების შესრულებისას მიადგება ეკონომიკური ზიანი, რომლის კომპენსაციაც უნდა მოხდეს მამის მხრიდან მუდმივი დახმარების საშუალებით.

ამ საკითხთან დაკავშირებით ინგლისურენოვან ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ „თუ მთავარი მორალური მოვალეობა გარკვეულია (რომ საზოგადოება ვალდებულია, უზრუნველყოს ყველა თავისი წევრი ბავშვის კეთილდღეობა არა იმიტომ, რომ ეს შეიძლება შედიოდეს უფროსი თაობის ინტერესებში, არამედ იმიტომაც, რომ ძირითადი მორალური პრინციპები გულისხმობს ყოველ ინდივიდუალურ ადამიანზე მზრუნველობასა და მის ხელშეწყობას), საზოგადოებამ უნდა შეძლოს შერეული სახის სოციალური წესების შემუშავება, რომლებიც უკეთესად უზრუნველყოფენ ამ ვალდებულების შესრულებას, რა თქმა უნდა, ყოველთვის იმის გათვალისწინებით, რომ გარანტირებული იყოს უფროსების კეთილდღეობაც“.[306]

ბავშვის უფლებათა კონვენციის შესაბამის დებულებებში ნათქვამია, რომ უშუალოდ მშობლები ვალდებულნი არიან, არჩინონ თავიანთი შვილები (მაგ.: მე-18, 26-ე, 27-ე მუხლები და სხვ.).[307] ამასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: თუ მშობელთა მოვალეობები დაფიქსირებულია ესოდენ სერიოზულ იურიდიულ დოკუმენტებში, მაშინ უნდა არსებობდეს ამ მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი იმ შემთხვევისათვის, როცა მშობელს არ აქვს შემოსავალი; რა არასასურველი შედეგები უნდა იყოს გათვალისწინებული კანონმდებლობით იმ პირთა მიმართ, ვინც უარს ამბობს თავიანთი შვილების რჩენაზე? სანქციების გარეშე ეს იქნება არა სამართლებრივი, არამედ მორალური ვალდებულება, უზრუნველყოს შვილი კვებით, ჩასაცმლით და სხვა დამატებითი ხარჯებით.

ამ შემთხვევაში შეუძლებელია საქართველოს სისხლის სამართლის 176-ე მუხლის გამოყენება, რადგან ის ორიენტირებულია სიტუაციებზე, როდესაც მშობლები ჯიუტად თავს არიდებენ ალიმენტის გადახდას სამუშაო ადგილის ან საცხოვრებელი ადგილის შეცვლისა და შემოსავლე-

306 *Eekelaar J.,* Are Parents Morally Obliged to Care for Their Children, Oxford Journal of Legal Studies,Vol. 11, N 3, «Oxford University Press», 1991, Autumn, 351, <http://www.jstor.org/stable/764213> [20.10.13].

307 ბავშვის უფლებათა კონვენცია, 2007, <http://unicef.ge/uploads/CRC_text.pdf> [25.11.2014].

ბის დაფარვის გზით. პარადოქსი ისაა, რომ, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შეუძლებელია, ამ კატეგორიის მშობლებს ჩამოერთვათ მშობლის უფლებები. მშობლებს შეიძლება ჩამოერთვათ მშობელთა უფლებები, თუ ისინი თავიანთი მოვალეობების შესრულებას თავს არიდებენ, მათ შორის, ალიმენტის ურჩი არგადამხდელები არიან. ამ შემთხვევაში, მშობლებს არ სურთ მუშაობა, ან ასრულებენ მხოლოდ დაბალანაზღაურებად სამუშაოებს. შედეგად საზოგადოებამ მიიღო მშობლების სრული უპასუხისმგებლობა, და მათი შვილების რჩენის კონსტიტუციური მოვალეობა, შეიძლება ითქვას, არაფრად იქცა. ურთულესი ვითარებიდან გამოსავალი შემდეგი ზომების გამოყენებაა: მშობელთა უფლებების ჩამორთმევის საფუძვლად უნდა იყოს აღიარებული მშობლების, შვილების მიმართ მოვალეობებისაგან თავის არიდება საპატიო გარემოებების უქონლობის შემთხვევაში (მათ შორის საალიმენტო ვალდებულების შეუსრულებლობისას), რაც შესაძლებელია განხორციელდეს 1206-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

რადგანაც მშობლის უფლება, ბავშვის უფლებაც და ოჯახიც სახელმწიფოს მხრიდანაა დაცული, შესაბამისად, კანონმდებლობაში უნდა იყოს გათვალისწინებული ალიმენტის მინიმალური ოდენობა, რაც ბავშვის უფლებების კონვენციის მე-3, მე-5, მე-6, მე-18 და სხვ. მუხლებს შეესაბამება. თუ მშობლები, პატივსადები გარემოებების გარეშე, სამუშაოზე უარს იტყვიან, ან შეასრულებენ იმდენად დაბალანაზღაურებად სამუშაოებს, რომ არ იქნება უზრუნველყოფილი აღნიშნული მინიმუმი, მათ უნდა ჩამოერთვათ მშობელთა უფლებები. ამ შემთხვევაში, შესაბამისი გარანტირებული მინიმუმი იქნება სახელმწიფოს მხრიდან გადახდილი. ბუნებრივია, სახელმწიფო პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს მშობლის, როგორც ადამიანის, უფლებებს, იმავდროულად, უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვთა უფლებების დაცვასაც.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც სამართლიანად არ მიიჩნია უმუშევრობა ალიმენტის შემცირების საფუძვლად და მშობელს დააკისრა ალიმენტის გადახდის მოვალეობა, იმ მოცულობით, რაც უზრუნველყოფდა ბავშვის საარსებო მინიმუმს.[308] სასამართლო განმარტავს, რომ „ალი-

[308] იხ. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე № ას-58-49-2011, თბ., 27 ივნისი, 2011, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [25.03.2014.]. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ, მართალია, მოპასუხე ოფიციალურად უმუშევარია, მაგრამ ეს არ გამორიცხავს მისი თვითდასაქმებისა და შემოსავლის მიღების შესაძლებლობას. თავად მოპასუხის განმარტებით, იგი ავტომანქანებით ვაჭრობდა, ჰქონდა ხის საამქრო, ასევე, როგორც მუსიკოსი, შეკვეთებით იღებდა შემოსავლებს. ამდენად, მოპასუხე თვითდასაქმებული იყო და შემოსავლებიც ჰქონდა, თუმცა, მისივე განმარტებით, ყველა ზემოაღნიშნულ საქმიანობას მან თავი დაანება ალიმენტის თაობაზე სარჩელის შეტანამდე რამდენიმე თვით ადრე. უდავოა, რომ ინდმეწარმედ რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით მოპასუხემ საგადასახადო ორგანოს მიმართა მის წინააღმდეგ სარჩელის შეტანის შემდეგ. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სწორედ ზემოაღნიშნული იძლევა იმ პრეზუმფციის დაშვების შესაძლებლობას, რომ მოპასუხე შესაძლოა, ამჟამადაც დასაქმებული იყოს იმავე ან სხვა საქმიანობით. საკასაციო პალატის მოსაზრებით, გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოებაც, რომ სასამართლოს მიერ დანიშნული ალიმენტის ოდენობა მინიმალურად მაინც უნდა უზრუნველყოფდეს არასრულწლოვნის რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნებს, ანუ – საარსებო მინიმუმს. ალიმენტვალდებულის უმუშევრობა, თუ ეს არაა გამოწვეული ავადმყოფობით ან სხვა საპატიო მიზეზით, არ იძლევა იმის

მენტვალდებულის უმუშევრობა, თუ ეს არაა გამოწვეული ავადმყოფობით ან სხვა საპატიო მიზეზეით, არ იძლევა იმის საფუძველს, რომ სასამართლომ უარი თქვას არასრულწლოვანის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფაზე და არ დაავალდებულოს მშობელი გადაიხადოს ალიმენტი ამ ოდენობით".[309]

§4.2. საალიმენტო ვალდებულება, როგორც სამოქალაქო უფლებაუნარიანობის ელემენტი

მშობლებსა და შვილებს და სხვა ნათესავებს შორის ქონებრივი უფლება-მოვალეობებიდან მნიშვნელოვანია საალიმენტო ურთიერთვალდებულებები, როგორც სამოქალაქო უფლებაუნარიანობის ელემენტი.

სამართლებრივ ურთიერთობებში აუცილებელია უფლებაუნარიანობის წარმოშობის მომენტის ზუსტი დადგენა როგორც უფლებაუნარიანობის, ისე მის მეშვეობით წარმოშობილი უფლებების დასაცავად. სამოქალაქო კანონმდებლობაში ეს საკითხი რეგულირდება არასაკმარისად მკაფიოდ, ხოლო საოჯახო სამართლის ნაწილში ის არ არის სპეციალურად რეგლამენტებული, რასაც მივყავართ ურთიერთსაწინააღმდეგო თეორიულ დასკვნებთან უფლებაუნარიანობის წარმოქმნის შესახებ. ამ საკითხის გადაწყვეტისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, თუ რა იგულისხმება უფლებაუნარიანობის წარმოშობაში. ხომ არ იგულისხმება ამაში მხოლოდ უფლებებისა და მოვალეობების ფლობის უნარის წარმოშობა ზოგადად, თუ უფლება-მოვალეობების ფლობის უნარებიც იგულისხმება.

ადამიანის, როგორც სამართლებრივი პიროვნების, არსი ვლინდება იმით, რომ ის შეიძლება იყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების სუბიექტი, ე.ი. სამართლის სუბიექტის ფიგურა და სამართალსუბიექტობის, უფლებაუნარიანობის, ქმედუნარიანობის მასთან დაკავშირებული კატეგორიები არის სახელმწიფოს კანონშემოქმედებითი საქმიანობის შედეგი.

სახელმწიფო ადგენს იმ პირობებს, რომელთა არსებობის დროს ფიზიკურ პირს შეუძლია, გახდეს უფლება-მოვალეობების სუბიექტი, ანიჭებს მას იმის უნარს, რომ ჰქონდეს უფლებები და მოვალეობები („უფლებაუნარიანობა") და თავისი ქმედებებით შეიძინოს, განახორციელოს და დაიცვას ისინი („ქმედუნარიანობა").[310]

„სამართალსუბიექტობა" სამართლის თეორიაში მყარად დამკვიდრებული კატეგორიაა, თუმცა კანონმდებლობა ამ ცნებით არ სარგებლობს. ამიტომ სამართლებრივი მეცნიერების ვალია, გამოავლინოს მისი დანიშნულება, შინაარსი და თანაფარდობა სხვა სამართლებრივ კატეგორიებ-

---

საფუძველს, რომ სასამართლომ უარი თქვას არასრულწლოვნის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფაზე და არ დაავალდებულოს მშობელი, გადაიხადოს ალიმენტი ამ ოდენობით.

309 *ნაჭყებია ა.,* სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), განმარტების საგანი: ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა (სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლი), საქმე №ას-58-49-2011, თბ., 27 ივნისი, 2011, „გერმანიის თანამშრომლობა GIZ", 2014, 324.

310 იხ. *Веберс Я. Р.,* Правосубъектность граждан в советском и семейном праве, «Зинатне», Рига, 1976, 10.

თან, აგრეთვე განსაზღვროს იმ საკანონმდებლო ნორმების ერთობლიობა, რომლებიც ქმნიან სამართალსუბიექტობის ინსტიტუტს. მაგრამ სამართლებრივმა მეცნიერებამ ამ დრომდე ვერ შეძლო სამართალსუბიექტობასთან შეხების მქონე საკითხთა მთელ წყებაზე საკუთარი უდავო თვალთახედვის გამომუშავება. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია იმის გარკვევა, არის თუ არა სამართალსუბიექტობა ობიექტურად აუცილებელი სამართლებრივი კატეგორია.

სამართალსუბიექტობა დაკავშირებულია სამართლის სუბიექტთან, რომლის გარეშეც არ შეიძლება არსებობდეს სამართლებრივი რეგულირების მექანიზმი. ის არის ობიექტურად აუცილებელი, ვინაიდან თვით სამართალი ობიექტური კატეგორიაა. სამართლებრივ მეცნიერებას შეუძლია მხოლოდ მეტ-ნაკლებად სრულად და ზუსტად გახსნას მისი ცნება და შინაარსი. ამიტომ არ შეიძლება, მართებულად ვაღიაროთ სამართალსუბიექტობის ცნებაზე უარის თქმის ტენდენცია სამართლის ზოგიერთ ან ყველა დარგში. მაგალითად, ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ „უმჯობესია, საერთოდ არ იქნეს შემოღებული სამართალსუბიექტობის კატეგორია, რადგანაც ეს ართულებს ბევრ საკითხს და მივყავართ ახალ არასაჭირო დავებსა და დისკუსიებთან“.[311] კატეგორიულად უარყოფენ სამართალსუბიექტობის ცნების სამოქალაქო სამართალში გამოყენების შესაძლებლობას და იმავდროულად არ ეწინააღმდეგებიან ამ კატეგორიის გამოყენებას სამართლის ნებისმიერ სხვა დარგში სხვა მეცნიერები.[312] ასევე არსებობს მოსაზრება, რომ „სამართალსუბიექტობა უფლებაუნარიანობის იდენტურია, ქმედუნარიანობა კი უფლებაუნარიანობის განსაკუთრებული სახეა“.[313]

სამართალსუბიექტობისა და უფლებაუნარიანობის გამიჯვნის მცდელობებზე უარს ამბობს ერთ-ერთი რუსი მეცნიერი,[314] რომელიც მიიჩნევს, რომ თეორიისა და პრაქტიკის ინტერესები მოითხოვენ, ეს ცნებები გაიგივებულად განიხილებოდეს სამართლის ყველა დარგსა და ინსტიტუტში.

ამ ცნებების აბსოლუტურად იდენტურობის იდეის მომხრეები მიიჩნევენ, რომ სამართლის სუბიექტად პირის აღიარებით ჩვენ მას ვუმყარებთ უნარს, იყოს სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილე, ე.ი. სამართალსუბიექტობის მატარებელი, ეს კი არ განსხვავდება პიროვნების უნარისაგან, ფლობდეს უფლება-მოვალეობებს.[315]

განსახილველი კონცეფციის თანახმად, სწორად ივარაუდება, რომ ცალკეული უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტად ყოფნა პირს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას თავის ქმედებებთან ერთად შეუძლია ამ უფლებებისა და მოვალეობების შეძენა და განხორციელება. გარდა ამისა, სამართლის სუბიექტის მთლიანობა საერთოდ წარ-

---

311 *Матузов Н. И.,* Субъективние права граждан СССР, «Приволжское книжное издательство», Саратов, 1966, 84.

312 იხ. *Чечина Н. А.,* Гражданские процессуальные отношения, «Изд-во Ленингр. ун-та», Л., 1962, 24.

313 *Кечекьян С. Ф.,* Правоотношения в социалистическом обществе, «Изд-во АН СССР» М.,1958, 85.

314 იხ. *Толстои Ю.К.,* К теории правоотношения, «Из-во Ленинградского Ун-та», Л., 1959, 11.

315 იხ. *Чечот Д.М.,* Субъективное право и форми его защиты, «Изд-во Ленингр. ун-та», Л., 1968, 11.

მოუდგენელია ამ ორი უნარის გარეშე, იმისგან დამოუკიდებლად, შეიძლება თუ არა მათი „შეთავსება“ ერთ პირში.

ამ ორი უნარის „ერთიანობის“ შესახებ მოსაზრებამ შესაძლოა მიგვიყვანოს მცდარ წარმოდგენასთან, თითქოს მათი შეუთავსებლობა ერთ პირში ართმევს პირს სამართალსუბიექტობას სამართლის იმ ინსტიტუტებში, სადაც დაშვებულია პირის არარსებული ქმედუნარიანობის შევსება მისი კანონიერი წარმომადგენლების ქმედუნარიანობით.

არ შეიძლება ამ კონცეფციის უდავო უპირატესობის უარყოფა სამართალსუბიექტობასა და უფლებაუნარიანობასთან შედარებით, როგორც თანაბარმნიშვნელოვანი მოვლენების გაგებასთან, რაც უკვე საკმარისად არის არგუმენტებული ლიტერატურაში. მისი სისუსტე სხვა რამეა, კერძოდ კი ის, რომ ამ კონცეფციის თანახმად, თითქოს გაიგივება ხდება, ერთი მხრივ, სამართალსუბიექტობისა და, მეორე მხრივ, უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის, ე.ი. სამართალსუბიექტობა გამოდის „სამართალქმედუნარიანობის“ ცნების სუბიექტად. ამ შემთხვევაში კარგი იქნება, ცნება „სამართალსუბიექტობა“ მივიჩნიოთ ზედმეტად და საერთოდ უარი ვთქვათ მასზე, რადგანაც სამართალსუბიექტობის შინაარსს სრულად მოიცავს უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის ცნებები, რომლებიც დამკვიდრებულია კანონმდებლობაში. სამართალსუბიექტობის შინაარსის გაშლის მცდელობა ისევ მიგვიყვანს ორ დამოუკიდებელ სამართლებრივ კატეგორიასთან, რომლებიც რაიმე სახის გაერთიანებას არ საჭიროებენ.

სახელმწიფო ცნობს პირს სამართლის სუბიექტად და ანიჭებს მას უნარს, ფლობდეს უფლება-მოვალეობებს, აგრეთვე შეიძინოს და განახორციელოს ისინი თავისი ქმედებებით. ცალკეული სამოქალაქო და, მით უმეტეს, საოჯახო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობისა და, მაშასადამე, შესაბამისი სამართალსუბიექტობისათვის, აუცილებელია კანონით გათვალისწინებული სპეციალური მოთხოვნები პირისადმი, როგორც სამართლის შესაძლო სუბიექტებისადმი. ის გარემოება, რომ პირისათვის, როგორც უფლება-მოვალეობების სუბიექტისათვის, ბევრ სამართლებრივ ურთიერთობაში, მათ რიცხვში სამოქალაქო და, მით უმეტეს, საოჯახო სამართლის სფეროში, არ არის საკმარისი ყოფნა უფლებაუნარიანად და ქმედუნარიანადაც კი, თავისთავად ადასტურებს იმ დასკვნის სადავოობას, რომ სამართალსუბიექტობა შესაძლოა, გაიგივდეს ან უფლებაუნარიანობასთან, ან უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობასთან.[316]

„პიროვნების სამოქალაქო სამართალსუბიექტობის რეგლამენტირების ხარისხობრივად ახალი, მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი დონის მიუხედავად, სამოქალაქო უფლებაუნარიანობის განმსაზღვრელი საკანონმდებლო დებულებები არ არის თავისუფალი წარუმატებელი ფორმულირებების, უზუსტობებისა და ხარვეზებისაგან“.[317] ასეთი ხასიათის ხარვეზები განსაკუთრებით შეინიშნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის

---

316 იხ. *Веберс Я. Р.,* Правосубъектность граждан в советском и семейном праве, «Зинатне», Рига, 1976, 24.

317 *Михаилова И. А.,* Правосубъектность физических лиц: некоторые направления далнейшего совершенствования российского гражданского законодательства, Журнал: ``Гражданское Право``, 2009, №1, 25.

სწორედ იმ ნაწილში, რომელიც განსაზღვრავს პირთა მონაწილეობით სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების განსაკუთრებულად მნიშვნელოვან, ფუნდამენტურ წესებს. ამიტომ თითოეული მათგანი საჭიროებს გამოვლენას, ანალიზსა და განხილვას, კოდექსში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შემდგომი შეტანით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, აუცილებელია სამოქალაქო უფლებაუნარიანობის შინაარსის განსაზღვრის კორექტირება. ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლში, რომელშიც განმარტებულია ეს უმნიშვნელოვანესი ცნება, არ არის დასახელებული არცერთი მოვალეობა, იქმნება ილუზია, რომ ცნების შინაარსი ამოიწურება ამ ნორმაში გათვალისწინებული უფლებებით, რაც, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება უფლებაუნარიანობის ლეგალურ განსაზღვრებას, როგორც უნარს, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და იტვირთოს სამოქალაქო მოვალეობები. სამოქალაქო ბრუნვის ყველა მონაწილის უფლებებისა და მოვალეობების კავშირი ურღვევია: როგორც აღნიშნავდა ერთ-ერთი ავტორი, „ვალდებული პირების მიერ მათთვის დადგენილი ქცევის დაცვა აუცილებელია უფლებამოსილის მიერ მისთვის ნებადართული ქმედებების განსახორციელებლად“,[318] ამიტომ აუცილებელია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, კერძოდ, უფლებაუნარიანობის განმსაზღვრელ წესს დაემატოს მეხუთე ნაწილი შემდეგი შინაარსით: „მოქალაქენი მოვალენი არიან, თავი შეიკავონ ისეთი ქმედებებისაგან, რომლებიც არღვევენ სხვა პირთა უფლებებსა და ინტერესებს; სათანადო წესით შეასრულონ აღებული ვალდებულებები; აანაზღაურონ ვალდებულებათა შეუსრულებლობით ან არასათანადო შესრულებით მიყენებული ზარალი; კანონით გათვალისწინებული წესით აანაზღაურონ ზიანი, რომელიც მიადგა პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ან იურიდიული პირების ქონებას; შეასრულონ კანონით, სხვა სამართლებრივი აქტებით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა მოვალეობები“. ასეთი დამატება კომენტირებად ნორმას მისცემდა დამთავრებულ სახეს, რომელშიც სრულად აისახებოდა სამოქალაქო უფლებაუნარიანობის სამართლებრივი ხასიათი.

როდესაც უფლებაუნარიანობას განვიხილავთ კონკრეტული უფლება-მოვალეობებისაგან განცალკევებით, მივდივართ სამართალგამოყენებითი პრაქტიკის თვალსაზრისით არაკონკრეტულ დასკვნამდე, რომ პირები მთელი თავიანთი სიცოცხლის განმავლობაში არიან უფლებაუნარიანები, იმის მიუხედავად, რომ სამოქალაქო სამართალსა და, მით უმეტეს, სამართლის სხვა დარგებში ისინი სიცოცხლის განმავლობაში არ შეიძლება ფლობდნენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა უფლება-მოვალეობას. რამდენადაც უფლებაუნარიანობა არ ნიშნავს მხოლოდ პირის უნარს, ჰქონდეს არა მარტო ზოგადი, არამედ გარკვეული სახის უფლება-მოვალეობებიც, ამდენად უფლებაუნარიანობის წარმოშობაში შესაძლებელია ვიგულისხმოთ როგორც მისი წარმოქმნა ზოგადად, ისე მისი შინაარსის ცალკეული ელემენტების წარმოშობაც.

---

318 *Иоффе О.С.,* Избранные труды по гражданскому праву: из истории цивилистической мысли, «Статут», М., 2003, 675.

ლიტერატურაში უკვე არაერთგზის აღინიშნა, რომ პირებს უფლებაუნარიანობის შინაარსის ყველა ელემენტი ერთდროულად არ წარმოექმნებათ. ამასთან დაკავშირებით იყო მცდელობა, დაეპირისპირებინათ „საერთო უფლებაუნარიანობა“ (რომელიც წარმოიქმნება დაბადების მომენტიდან) და „სპეციალური“ (რომელიც წარმოიქმნება ქმედუნარიანობასთან ერთად). მაგრამ მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, არ შეიძლება გაკეთდეს დასკვნა უფლებაუნარიანობის „საერთოდ“ და „სპეციალურად“ დაყოფის შესახებ, ვინაიდან კანონმდებლობა გამომდინარეობს ერთიანი უფლებაუნარიანობიდან. სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლი ითვალისწინებს მხოლოდ უფლებაუნარიანობის წარმოშობას ზოგადად, თუმცა უფლებაუნარიანობის შინაარსის ელემენტების მთელი რიგი წარმოიშობა გარკვეული ასაკის მიღწევიდან. დაბადების მომენტიდან შეუძლია ადამიანს, იყოს უფლებათა მთელი წყების სუბიექტი. მაგრამ საოჯახო სამართლის ნაწილში უფლებაუნარიანობის შინაარსის ცალკეული ელემენტები წარმოიშობა მხოლოდ გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ და არა დაბადების მომენტიდან. არასწორი იქნებოდა, გვევარაუდა, რომ გარკვეული ასაკის მიღწევა ამ შემთხვევებში არის მხოლოდ ერთადერთი ფაქტორი, რომელსაც გავლენა აქვს უფლებაუნარიანობაზე. გარკვეული ასაკის მიღწევაზე უპირობოდ არის დამოკიდებული ქმედუნარიანობის წარმოშობა, როგორც უნარის, თავისი ქმედებებით შეიძინოს კონკრეტული უფლება-მოვალეობები და განახორციელოს ისინი. ოჯახური ქმედუნარიანობა უშუალოდ დამოკიდებულია ბავშვის ასაკსა და ფსიქიკურ მდგომარეობაზე (ჯანმრთელობაზე). „ფიზიკურ პირს კი აქვს ერთნაირი უნარი უფლებების მიმართ, მაგრამ უფლებების განხორციელება გულისხმობს სამოქალაქო საქმიანობის უნარს, ქმედუნარიანობას, ნებას. თუნდაც ზერელე დაკვირვება ფიზიკურ პირებზე აჩვენებს, რომ სამოქალაქო საქმიანობის უნარი წარმოიშობა არა დაბადების მომენტიდან, არამედ გარკვეული ასაკის მიღწევისთანავე“.[319] ამის მიუხედავად, უფლებაუნარიანობის შინაარსის ცალკეულ ელემენტებთან მიმართებით არ არის გამორიცხული უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის ერთდროულად წარმოშობა.

საალიმენტო ვალდებულების, როგორც სამოქალაქო უფლებაუნარიანობის, სპეციფიკა მკაფიოდ ჩანს მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის კავშირში ცალკეული უფლებების განხორციელებასა და ზოგიერთი მოვალეობის შესრულების შესაძლებლობასთან. მაგალითად, „ალიმენტის გადახდის დაკისრების მოთხოვნა სასამართლო წესით სუბიექტთა მთელი რიგისათვის შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოვლინდება მათგან ასეთი რჩენის მიღების საჭიროება, თუმცა მხოლოდ ეს ფაქტორი არ არის საკმარისი გაცხადებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რადგანაც ამ შემთხვევაში ხელმოკლეობა ისევე, როგორც კმაყოფაზე ყოფნა სამართლებრივ მნიშვნელობას იძენს მხოლოდ პირის შრომისუნარობასთან კომპლექსში“.[320]

---

319 *Мейер Д. И.,* Русское Гражданское право: В 2 ч., «Статут», М., 2000, 113.

320 *Михаилова И. А.*, Имущественное и семейное положение гражданина и их воздействие на гражданскую правосубъектность, Журнал ``Гражданское Право``, 2008, №2, 14.

საოჯახო ქმედუნარიანობა არ ნიშნავს პირის უნარს, განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. მაგალითად, ბავშვი დაბადების მომენტიდან ახორციელებს მშობლებისაგან სარჩოს მიღებისა და ოჯახურ გარემოში აღზრდის უფლებას. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: არის თუ არა პირის ემანსიპირებულად გამოცხადება ან 18 წლამდე ასაკში დაქორწინება სრული საოჯახო ქმედუნარიანობის შეძენის საფუძველი? ემანსიპირებულად გამოცხადებული პირი არ არის საქორწინო ასაკს მიღწეული და პატივსადები მიზეზების არსებობისას შეიძლება დაქორწინდეს მშობლის, მზრუნველის ან სასამართლოს თანხმობის საფუძველზე (1108-ე მუხლი). ეს პირი არ შეიძლება იყოს მშვილებელი, მეურვე ან მზრუნველი. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო პრაქტიკაში ხშირად წამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, თავისუფლდებიან თუ არა მშობლები იმ პირთა აღზრდისა და რჩენის მოვალეობისაგან, რომლებსაც არ მიუღწევიათ სრულწლოვანებისათვის, მაგრამ დაქორწინდნენ კანონით დადგენილი წესით. ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანი კანონით დადგენილი წესით დაქორწინდა თექვსმეტიდან თვრამეტი წლის ასაკს მიღწევამდე და ამით შეიძინა ქმედუნარიანობა, არ ართმევს მას უფლებას, მიიღოს დახმარება (ალიმენტი) მშობლებისაგან. არც არასრულწლოვნის ემანსიპაცია არ არის მშობლის საალიმენტო ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძველი, მიუხედავად იმისა, რომ საწარმოო სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლი მშობლებს აკისრებს მოვალეობას, არჩინონ თავიანთი შვილები, ვიდრე ისინი არ მიაღწევენ სრულწლოვანებას. მხოლოდ სრულწლოვანების მიღწევის მომენტიდან წყდება მშობლების მიერ შვილებისათვის ალიმენტის გადახდის ვალდებულება. მაგრამ ვითარებიდან გამომდინარე (მშობლების მატერიალური გაჭირვება, ეკონომიკურად დამოუკიდებელი არასრულწლოვნის ფინანსური მდგომარეობა და სხვ.), ვფიქრობ, შესაძლებელია დაისვას საკითხი ალიმენტვალდებული პირის მხრიდან საალიმენტო ვალდებულების შეწყვეტაზე. სრული ქმედუნარიანობის მიღწევა 18 წლის ასაკამდე ასეთი შვილის სრულწლოვანად ცნობას არ იწვევს, მაგრამ ამ შემთხვევებში შვილები, როგორც წესი, იძენენ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, რაც, ჩემი აზრით, შესაძლებელია განვიხილოთ ალიმენტვალდებული პირის მხრიდან საალიმენტო ვალდებულების შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძვლად. ამის ნათელი მაგალითია სლოვენიის საკანონმდებლო ნორმა, სადაც მითითებულია, რომ, „თუ შვილი, რომელიც 18 წლის არ არის და დაქორწინდება ან ცხოვრობს სხვასთან, მშობლები ვალდებული არიან, არჩინონ მხოლოდ მაშინ, თუ მას ვერ ინახავს მეუღლე ან მასთან მცხოვრები პირი“.[321]

---

321 *Rijavec V., Krajic S.*, The Maintenance of Children: Alimony Fund as the Saving Grace?, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 650.

§4.3. საალიმენტო ვალდებულების ოდენობა

მშობლების საალიმენტო ვალდებულება არასრულწლოვანი შვილების მიმართ წარმოიშობა, მიუხედავად იმისა, საჭიროებენ თუ არა შვილები ალიმენტის მიღებას; ისინი ვალდებულნი არიან, არჩინონ შვილები, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ ამისთვის საკმარისი სახსრები. საალიმენტო გადახდევინების ვალდებულება ეხება როგორც სრულწლოვან, ასევე არასრულწლოვან მშობლებს. მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს, არიან თუ არა ისინი შრომისუნარიანები და აქვთ თუ არა მათ სამოქალაქო ქმედუნარიანობა. ბავშვისა და მშობლის ურთიერთობა წარმოშობს რჩენის ურთიერთვალდებულებებს. საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობათა მიხედვით, რჩენაში შედის საკვები, ტანსაცმელი, ჯანდაცვა, საცხოვრებელი და განათლება.[322] „წლების განმავლობაში იურისპრუდენციაში დაგროვილმა გამოცდილებამ გააძლიერა თითოეული ამ კომპონენტის მნიშვნელობა ისე, რომ მცირე ეჭვი არსებობს რჩენაში შემავალ ელემენტებსა და ალიმენტის არგადამხდელი მოვალე მშობლის მიმართ იძულების წესის გამოყენებასთან დაკავშირებით“.[323]

მშობლებსა და შვილებს შორის საალიმენტო მოვალეობების წარმოშობის საფუძველი მშობლებისაგან შვილების წარმოშობაა. საალიმენტო ვალდებულების ადრესატია ბავშვი, რომელსაც უფლება აქვს, მიიღოს სარჩო თავისი მშობლებისაგან. ოჯახებში, სადაც მეუღლეები მეგობრულად ცხოვრობენ, ერთად ზრდიან და ზრუნავენ შვილებზე, საკითხი ბავშვების სარჩენად ალიმენტისა და ხარჯების შესახებ, როგორც წესი, არ დგას. უმეტეს შემთხვევაში, მშობლები შვილების რჩენის მოვალეობას ასრულებენ ნებაყოფლობით, შეძლებისდაგვარად ხარჯავენ სახსრების საჭირო რაოდენობას თავიანთი შვილების სარჩენად. ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები წარმოიშობა მაშინ, როდესაც მშობლები ნებაყოფლობით არ ასრულებენ კანონით მათთვის დაკისრებულ რჩენის მოვალეობას. ამ შეთხვევაში შეიძლება მათი იძულება სასამართლო წესით თავიანთი მოვალეობების შესასრულებლად. როგორც თითქმის ყველა თანამედროვე მეცნიერი მიუთითებს, „ალიმენტის გადაუხდელობა ნიშნავს, რომ ბავშვის რჩენის მთელი ტვირთი გადადის იმ მშობელზე, ვისთანაც ბავშვი ცხოვრობს. ამიტომ, ალიმენტის გადაუხდელობის გამო, ბავშვი იმყოფება უფრო ცუდ ფინანსურ მდგომარეობაში, რითაც ირღვევა მისი ინტერესები“.[324]

არასრულწლოვანი შვილების რჩენის თაობაზე დავები უმთავრესად წარმოიშობა მშობელთა განქორწინებასთან დაკავშირებით, თუმცა საალიმენტო ვალდებულება შეიძლება აღმოცენდეს მათ შორის ქორწინების არ-

---

322 იხ. Civil Code of Malta, Chapter 16, Article 19: (1) Maintenance shall include food, clothing, health and habitation. (2) In regard to children and others descendents, it shall also include the expense necessary for health and education. 22nd January, 1874, 15, www.justiceservices.gov.mt/-DownloadDocument.aspx?app=lom&itemid. [25.10.13].

323 *Farrugia R.,*(Advocate and Senior Lecturer, Faculty of Laws, University of Malta), State Responsibility in Enforcing Maintenance Obligations Toward Children, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 74.

324 *Rijavec V., Krajic S.*, The Maintenance of Children: Alimony Fund as the Saving Grace?, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 653.

სებობის შემთხვევაშიც. ალიმენტის დაკისრება ხდება სასამართლოს წესით მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე უარს ამბობს, ნებაყოფლობით აღმოუჩინოს მატერიალური დახმარება შვილებს, არ იღებს ხარჯებს საოჯახო მეურნეობის წარმართვისათვის, ანიავებს იმ სახსრებს, რაც აუცილებელია არასრულწლოვანი შვილების სარჩენად, ან მაშინ, როდესაც განქორწინებასა და ოჯახის დაშლასთან დაკავშირებით აუცილებელია, განისაზღვროს თითოეული მშობლის მატერიალური მონაწილეობა ბავშვის რჩენაში.

ალიმენტის გადახდევინების მოთხოვნა იმ მშობლის ან პირის (მზრუნველი, მეურვე) ვალდებულებაა, ვისთანაც ბავშვი ცხოვრობს და ვინც ახორციელებს მის წარმომადგენლობას. ალიმენტის გადახდევინების მოთხოვნაში, ბუნებრივია, ეს პირები მოქმედებენ როგორც ბავშვის კანონიერი წარმომადგენლები. მათ არ გააჩნიათ ბავშვის სახელით ალიმენტის მიღებაზე უარის თქმის უფლება. ნებისმიერი შეთანხმება, მიმართული ასეთი უარის თქმაზე, ბათილია.

თუ მშობლები არ უზრუნველყოფენ თავიანთ შვილებს საარსებო სახსრებით და არ დებენ საალიმენტო გადახდევინების შეთანხმებას, მაშინ შვილების სასარგებლოდ თანხების გადახდევინება ხდება სასამართლო წესით. კანონმდებლობით განისაზღვრა იმ პირთა წრე, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, წარადგინონ სარჩელი ალიმენტის შესახებ არასრულწლოვან შვილებთან დაკავშირებით. ეს პირები არიან: ბავშვის ერთერთი მშობელი; მშვილებელი, თუ შვილება მოხდა მხოლოდ ერთი ადამიანის მიერ და შენარჩუნებულია სამართლებრივი ურთიერთობები ნაშვილებსა და ერთ-ერთ მშობელს შორის; ბავშვის მეურვე ან მზრუნველი; მშვილებლები; საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაცია, რომელშიც იზრდება არასრულწლოვანი. მაგრამ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც კანონიერ წარმომადგენლებს არ შეაქვთ სარჩელი ბავშვის სასარგებლოდ მშობლისაგან ალიმენტის მისაღებად. ხშირად ეს გამოწვეულია მეორე მშობელთან განქორწინების შემდეგ ურთიერთობების სრული შეწყვეტის სურვილით. ამ შემთხვევაში ილახება უფლებები ბავშვისა, რომელიც კარგავს კანონით მისთვის დადგენილი სარჩოს მიღების უფლებას. ამიტომ საალიმენტო შეთანხმებაზე მშობლების თანხმობის არარსებობისას, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავს არიდებენ არასრულწლოვანი შვილების შენახვის ვალდებულებას და არც სასამართლოშია წარდგენილი სარჩელი ალიმენტის მიღების თაობაზე, ვფიქრობ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით წარადგინოს სარჩელი ბავშვის მშობლების ან ერთ-ერთი მათგანისაგან ალიმენტის მიღების თაობაზე.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს კანონით პირდაპირ არ აქვს მინიჭებული უფლება, წარადგინოს სარჩელი არასრულწლოვან ბავშვებთან დაკავშირებული საალიმენტო შეთანხმების იძულებით შესრულებაზე, შეცვლაზე, შეწყვეტაზე ან მის ბათილად ცნობაზე, მაგრამ ეს უფლება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს საერთო კომპეტენციიდან გამომდინარეობს, რომელშიც იგულისხმება არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვა.

სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი აწესრიგებს ალიმენტის გადახდევინებას სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ამ შემთხვევაში, მხარე მიმართავს სასამართლოს ალიმენტის გადახდევინების შესახებ სარჩელით. მოსამართლე, რომელმაც მიიღო ეს გადაწყვეტილება, აუწყებს მშობელს, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს ალიმენტი, მის მიმართ წარდგენილი მოთხოვნის შესახებ. ამ მშობელს უფლება აქვს, განაცხადოს თავისი უთანხმოების შესახებ ალიმენტის გადახდაზე იმ პირობებით, რომლებიც სარჩელში არის მოყვანილი. მიმაჩნია, რომ სასარჩელო წარმოების წესი ყველაზე მეტად შეესაბამება საალიმენტო ვალდებულებების კანონისმიერი რეგულირების ბუნებას, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, რუსეთში) საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ალიმენტის დაკისრებას უდავო წარმოების წესით მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად გამოცემული ბრძანებით.

ლიტერატურაში კვლავ აქტუალური რჩება პრობლემა, რომელიც ეხება ალიმენტის ოდენობის განსაზღვრას. საოჯახო ურთიერთობათა და, მათ შორის, საალიმენტო ვალდებულებათა მომწესრიგებელი ნორმები მოიცავს ცნებებს, რომლებიც არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად და მკვეთრად კანონით განისაზღვროს, რადგანაც ისინი ინდივიდუალურ დაკონკრეტებასა და საქმის სიტუაციის ყველა გარემოების გათვალისწინებას საჭიროებენ. ასეთ გარემოებად მიჩნეულია: მხარეთა მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა, ბავშვის ასაკი, სქესი და სხვა საყურადღებო გარემოებანი. მათი სიტუაციური დაკონკრეტება მხოლოდ სასამართლო განხილვის მსვლელობაში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით არის შესაძლებელი.

თუ ალიმენტის გადახდევინება ხდება იძულებითი წესით, მაშინ ალიმენტის ოდენობა დგინდება სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც არსებითად განსხვავდება 1970 წლის საქართველოს სსრ-ის საქორწინო და საოჯახო კოდექსით მოწესრიგებული ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის წესისაგან, სადაც ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღებოდა მშობლის შემოსავლის წილობრივი განაკვეთი, რომელსაც ჰქონდა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები: ერთი მხრივ, ის საგრძნობლად ამარტივებდა ალიმენტის გადახდევინების საქმის განხილვას და მისი გამოყენება მიზანშეწონილი იყო იმ შემთხვევებში, როდესაც მოპასუხე საშუალო შემოსავლების მქონე კატეგორიას მიეკუთვნებოდა; მეორე მხრივ, ამ სქემის გამოყენება ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების გასათვალისწინებლად გაცილებით ნაკლებ შესაძლებლობას ტოვებდა, რაც, ვფიქრობ, ალიმენტის მიმღები პირის ინტერესების გათვალისწინების თვალსაზრისით ზღუდავდა სასამართლოს, მხედველობაში მიეღო სხვადასხვა გარემოება, რომლებსაც მნიშვნელობა ენიჭებოდა მის განსაზღვრაში. ამასთან დაკავშირებით, საოჯახო კანონმდებლობის განვითარების პროცესში შემოსავლის წილის განსაზღვრა, რომელიც საალიმენტო განაკვეთი უნდა გამხდარიყო, სულ უფრო და უფრო ნაკლებად მკაცრი ხდებოდა. ამის გამო საალიმენტო განაკვეთის, კანონით დადგენილთან შედარებით, შემცირების შესაძლებლობა ჩნდებოდა.

ალიმენტის გადახდევინების მექანიზმის შეცვლა აუცილებელი იყო, რადგან ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა მოპასუხის შემოსავლის წილიდან წილობრივი მონაწილეობით მოსახლეობის მნიშვნელოვან ქონებრივ განსხვავებას არ ითვალისწინებდა. დღესდღეობით კი, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა: შეუძლებელია ერთი მასშტაბის გამოყენება იმ პირთა მიმართ, ვისაც ზემაღალი შემოსავლები აქვთ, და იმ პირთა მიმართ, ვინც მოსახლეობის ყველაზე ნაკლებად უზრუნველყოფილ ფენას მიეკუთვნება. ამიტომ საოჯახო კანონმდებლობაში ალიმენტის გადახდევინება სასამართლოს მიერ დადგენილი ოდენობით იძლევა საშუალებას, სწორად მოხდეს როგორც ალიმენტის მიმღების, ისე მისი გადამხდელის უფლებათა დაცვა, თანაც, თანამედროვე პირობებში სასამართლოს კანონით მინიჭებული აქვს უფლება, შეცვალოს უკვე დადგენილი ალიმენტის ოდენობა, როგორც მისი შემცირების, ისე გაზრდის თვალსაზრისით.

ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას მხარეთა მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებისას მხედველობაშია მისაღები: ძირითადი ხელფასი; ხელფასის ყველა სახის დანამატი; სახელფასო ანაზღაურებაში შემავალი წახალისება; მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში შექმნილი ნაწარმოებების ჰონორარები; შემოსავლები სხვა ფასიანი ქაღალდებიდან; პენსიები; შემწეობები; სტიპენდიები; შემოსავლები სამეწარმეო საქმიანობიდან (სააქციო დივიდენდები); შრომისუნარიანობის დაკარგვის კომპენსაციები და სხვ.

ალიმენტის დაკავება არ შეიძლება შემდეგი შემოსავლებიდან: ა) პენსიონერებისათვის დანიშნული პენსიის დანამატებიდან, ასევე იმ კომპენსაციიდან, რომელსაც იღებს პირი პენსიონერის მოვლისათვის; ბ) ჯანმრთელობის დაზიანების გამო (შრომითი მოვალეობის შესრულებისას) მიღებული თანხები (სამედიცინო ხარჯებისათვის შრომისუნარიანობის აღსადგენად); გ) სტიქიური უბედურების შედეგად პირზე გაცემული მატერიალური დახმარებიდან და სხვ. ალიმენტის მოცულობის განსაზღვრა ხდება ალიმენტის მიმღების მოთხოვნებისა და ალიმენტის გადამხდელის შესაძლებლობების შესაბამისად. ალიმენტის მიმღების მოთხოვნები დამოკიდებულია მის ასაკზე, ჯანმრთელობაზე, განათლებაზე, საკუთრებაზე, შემოსავალსა და სხვა ისეთ გარემოებებზე, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ალიმენტის სახით თანხის განსაზღვრას. ბავშვის მოთხოვნები მოიცავს პოტენციური მოთხოვნების ფართო დიაპაზონს. ესენია: განათლების, კულტურული და სოციალური მოთხოვნები. ბავშვთა უფლებების შესახებ გაეროს 1989 წლის კონვენციაში აღნიშნულია, რომ ბავშვს, სხვა უფლებებთან ერთად, აქვს მისი ასაკისთვის შესაბამისი დასვენებისა და თავისუფალი დროის, თამაშის, რეკრეაციული საქმიანობის და კულტურულ ცხოვრებასა და ხელოვნებაში თავისუფლად მონაწილეობის უფლება (31-ე მუხლი).[325]

---

[325] იხ. *Kovacek-Stanic G.*, Child in Single (Absent) Parent family: Maintenance and Family Home, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 639.

ალიმენტის გადამხდელის შესაძლებლობები დამოკიდებულია მის შემოსავალზე, სამუშაოსა და ხელფასის მიღების შესაძლებლობაზე, მის ქონებაზე, მის პირად მოთხოვნებზე, სხვა პირებისთვის ალიმენტის გადახდის ვალდებულებასა და სხვა გარემოებებზე, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ალიმენტის მოცულობის განსაზღვრას. ამასთან უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „მხარის შემოსავალში იგულისხმება ის თანხა, რასაც იგი ამა თუ იმ საქმიანობის შედეგად იღებს და ალიმენტის გამოანგარიშება უნდა მოხდეს სწორედ მისი ოდენობიდან. რაც შეეხება შემოსავლის განკარგვას, მხარე უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულების, შესაძლებლობებისა და საჭიროებისამებრ განკარგოს შემოსავლის ის ნაწილი, რაც მას კანონით დადგენილი ვალდებულების შესრულების შემდეგ დარჩება“.[326]

შესაძლებელია, რომ მოპასუხის მატერიალური მდგომარეობა ხელფასის ან სხვა შემოსავლის საალიმენტო წილის შემცირების ან გაზრდის საფუძველი გახდეს. თუ მშობლის შემოსავალი მნიშვნელოვნად მაღალია, წილობრივი მეთოდით განსაზღვრული ალიმენტის ოდენობა იქნება უზარმაზარი, რაც ბავშვის მოთხოვნილებების გონივრულ დონეს აღემატება. ამ სიტუაციაში სასამართლომ შეიძლება შეამციროს ალიმენტის ოდენობა. პირიქით, თუ მშობლის შემოსავალი უკიდურესად მცირეა, ეს, შესაძლებელია, საფუძველი გახდეს სასამართლოს მხრიდან საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მისაღებად – ალიმენტის ოდენობა შეიძლება როგორც შემცირდეს, ასევე გაიზარდოს. სასამართლოს გადაწყვეტილება საქმის კონკრეტულ გარემოებებზე არის დამოკიდებული. თუ მშობელს აქვს უკიდურესად დაბალი შემოსავალი, არ შეუძლია, საკუთარი თავი ირჩინოს, ბავშვს კი, პირიქით, აქვს მნიშვნელოვანი ქონება, რომელსაც შემოსავალი მოაქვს, მაშინ ბავშვის სასარგებლოდ გადასახდელი საალიმენტო განაკვეთის ოდენობა შეიძლება შემცირდეს; მეორე შემთხვევაში, თუ ბავშვს არ გააჩნია არსებობის სხვა რაიმე წყარო, მშობლის შემოსავალი კი უკიდურესად დაბალია და არ აძლევს საშუალებას, უზრუნველყოს ბავშვის საარსებო მინიმუმიც კი, მაშინ წილის ოდენობა შეიძლება იყოს გაზრდილი. წილის გაზრდის შემთხვევაში სასამართლო ითვალისწინებს მშობლის შემოსავლის ოდენობას და იმ მიზეზებს, რომელთა გამო ის მცირე შემოსავალს იღებს (ინვალიდობა, სამსახურის პოვნის შეუძლებლობა, შრომის სურვილის უქონლობა).[327] ძირითადად, მშობლები ვალდებულნი არიან, არჩინონ არასრულწლოვანი შვილები, მიუხედავად იმისა, საჭიროებენ თუ არა ბავშვები ამ სარჩოს. მაგრამ, თუ მშობელი უკიდურესად მცირე შემოსავლების მქონეა, ბავშვის სარჩენი ალიმენტის ოდენობის გაზრდის საკითხის გადაწყვეტისას ბავშვის ქონებრივი მდგომარეობა იქნება გათვალისწინებული. ამასთან, არა მხოლოდ მოპასუხის, არამედ ორივე მხარის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობაა ყურადსაღები. თუ ბავშვს აქვს ქონება, რომელსაც შემოსავალი მოაქვს, ან/და ის მუშაობს და უზრუნველყოფს თავის მოთხოვნილებებს, სასამართლომ შე-

---

326 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე №ას-1356-1194-2010, თბ., 4 მარტი, 2011, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>, [09.05.2015].

327 იხ. *Антокольская М. В.,* Семейное право, «Юрист», М., 2004, 251.

იძლება შეამციროს ალიმენტის ოდენობა, რომლის გადახდევინება მშობელს ევალება. ბავშვის ოჯახური მდგომარეობა შეიძლება იყოს გათვალისწინებული მხოლოდ საქმის სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში.

ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლო შეიძლება მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ მოპასუხე ალიმენტის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით მალავს თავისი შემოსავლების ნაწილს. ამ დროს წილი, რომლის გადახდევინება ხდება ბავშვის სარჩენად, შეიძლება იყოს გაზრდილი. მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებასაც, რომ გადამხდელს ჰყავს სხვა შვილებიც ან სარჩენი სხვა პირები, რომელთა რჩენა მას ევალება კანონით დადგენილი წესით. ამასთან, გათვალისწინებული იქნება ბავშვის მატერიალური მდგომარეობაც. ალიმენტის არგადამხდელები (მოვალეები) უმეტესად არიან მამები, რომლებიც ცდილობენ, თავი აარიდონ მის გადახდას სხვადასხვა გზით, ესენია:

ა) არალეგალური სამუშაო: რადგან მოვალე მშობლებს არ გააჩნიათ მუდმივი სამუშაო, მათი ხელფასი არ დაირიცხება საბანკო ანგარიშებზე, იგი მიეცემათ „ხელზე“, ამიტომ კრედიტორს (ბავშვს) არ შეუძლია, მოითხოვოს ალიმენტის გადახდა შემოსავლიდან, რადგან მოვალეს ოფიციალურად არ აქვს ხელფასი.

ბ) მფლობელობის უფლების გადაცემა: მოვალეები ქონებაზე (მაგ.: მანქანა, სახლი, უძრავი ქონება) თავიანთ უფლებას გადასცემენ თავიანთ მშობლებს, ძმებს, დებს, ახალ მშობლებს. ამის გამო ისინი აღარ ფლობენ საკუთარ ქონებას ან უფრო მეტი ღირებულების უძრავ ქონებას, საიდანაც კრედიტორმა (ბავშვმა) შეიძლება მიიღოს კომპენსაცია;

გ) ალიმენტვალდებული პირები იცვლიან დამსაქმებელს: ყოველი დამსაქმებელი ვალდებულია, გაუგზავნოს ალიმენტის გადახდის ვალდებულების შესახებ ინფორმაცია ახალ დამსაქმებელს და აცნობოს სასამართლოს ამის თაობაზე, როცა მოვალესთან შრომითი ურთიერთობა დასრულდება. დამსაქმებლები, ძირითადად, არ ასრულებენ ალიმენტის გადახდის შესრულების შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებით მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ძირითადად, ეს მათი უყურადღებობისა და დოკუმენტაციის მოუწესრიგებლობის შედეგია, რაც შემდგომ ალიმენტის გადახდისაგან თავის არიდების შესაძლებლობის საშუალება ხდება.

დ) ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირები იცვლიან საცხოვრებელს, მიდიან საზღვარგარეთ: ასეთ შემთხვევაში ალიმენტის იძულებით გადახდისათვის უფლებამოსილმა პირმა უნდა დაიქირავოს ადვოკატი საზღვარგარეთ, რომელმაც უნდა მოამზადოს ალიმენტის გადახდის ვალდებულების შესრულების რეკომენდაცია და მოიპოვოს ინფორმაცია მოვალის საცხოვრებლის, მისი დამქირავებლისა და სხვა საკითხების შესახებ, რაც ხშირად შეუძლებელს ხდის ამ პროცედურის განხორციელებას ფინანსური შესაძლებლობის კუთხით.[328]

პრაქტიკულად, არსებობს უამრავი მიზეზი, რომელმაც შესაძლოა, ხელი შეუშალოს მოვალე მშობლის მიერ ალიმენტის გადახდას. მშობელ-

---

328 იხ. *Rijavec V., Krajic S.,* (Univercity of Maribor, Slovenia), The Maintenance of Children: Alimony Fund as the Saving Grace?, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 653, 654.

მა შეიძლება, უარი თქვას თავის მთავარ მოვალეობაზე და ჩათვალოს, რომ შვილთან კონტაქტის ნაკლებობა უფლებას აძლევს მას, შეწყვიტოს საკუთარი მოვალეობების შესრულება. მშობელს შესაძლოა, ფინანსურად გაუჭირდეს ერთ ბავშვზე მეტის აღზრდა ერთზე მეტ ოჯახში, ან, შესაძლოა, ის არ მუშაობდეს, ან გაუუარესდეს ჯანმრთელობა, ან ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, რომ არ ჰქონდეს დამოუკიდებელი არსებობის საშუალება, რომ არაფერი ვთქვათ ბავშვზე. „ასეთი მოტივები არ ითვლება ალიმენტის გადაუხდელობის გამართლებად, არამედ უფრო მიიჩნევა დე ფაქტო (ფაქტობრივ) მიზეზებად, რომლებსაც ხშირად ეყრდნობა საოჯახო საქმეების სასამართლო“.[329] მაგალითად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გაათავისუფლა მშობელი შვილის რჩენის მოვალეობისაგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო და თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „1237-ე მუხლის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია, გაათავისუფლოს ალიმენტის გადახდისაგან ვალდებული პირი, თუ არსებობს საპატიო მიზეზი. ასეთი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი შეიძლება გახდეს მატერიალური და ოჯახური პირობების გაუარესება, ავადმყოფობა და სხვა, რაც არ ნიშნავს მომავალში სავსებით განთავისუფლებას ალიმენტის გადახდისაგან. ალიმენტის გადამხდელი მშობლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ, დაინტერესებული პირის სარჩელის საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია, განსაზღვროს გადასახდელი ალიმენტის ოდენობა“.[330]

მშობლებს შვილების რჩენასთან დაკავშირებით თანაბარი ვალდებულებები ეკისრებათ. ამიტომ, თუ ერთ მშობელს აქვს მაღალი შემოსავალი, ეს, თავისთავად, არ შეიძლება გახდეს საფუძველი მეორე მშობლის საალიმენტო განაკვეთის შესამცირებლად. თუ მშობელი, რომელიც მოითხოვს ალიმენტის შემცირებას, შრომისუუნარო და მცირე შემოსავლების მქონეა, მაშინ ბავშვის ოჯახური მდგომარეობა იქნება გათვალისწინებული. არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ, „შესაძლოა, წარმოიშვას ისეთი სიტუაციაც, როდესაც ქმარი, რომელმაც უნდა გადაუხადოს ალიმენტი თავის შვილს, არ იქნება მოტივირებული, გაზარდოს თავისი შემოსავალი იმის გამო, რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს გარემოებებში ცვლილების შედეგად დახმარების გაზრდის მოთხოვნა. მეორე მხრივ, ცოლი, რომელიც, ჩვეულებრივ, არის მეურვე მეუღლე, შეიძლება არ იყოს მოტივირებული რეაბილიტაციასთან დაკავშირებით განქორწინების შემდეგ შემოსავლის გაზრდაზე, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის დახმარების ან ალიმენტის შემცირების მოთხოვნა“.[331] ამ მოდიფიკაციას დაქვემდებარებული საკითხების, კლასიფიკაციამ, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ოჯახის რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ სახელმწიფო ინტე-

---

329 *Farrugia R.,*(Advocate and Senior Lecturer, Faculty of Laws, University of Malta), State Responsibility in Enforcing Maintenance Obligations Toward Children, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 71, 73.

330 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე №ას – 711-1041-07, თბ., 19 მარტი, 2008, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [25.03.2014].

331 *Cohen Y.*, Issues Subject to Modification in Famuly Law: A New Model, Ono Academic College, Columbia Law School, 2013, 19, <http://papers.ssrn.com/sol3/DisplayAbstractSearch.cfm> [10.09.13].

რესს, რადგან წარმოიქმნება ორი ახალი ოჯახი, რაც სტიმულს აძლევს მხარეებს, არ მოახდინონ რეაბილიტაცია და შესაძლოა, გააუარესონ კიდეც სიტუაცია.

არასრულწლოვანი ბავშვების სასარგებლოდ გადასახდელი საალიმენტო განაკვეთის განსაზღვრა შესაძლებელია მოხდეს მყარი ფულადი თანხის სახით ყოველთვიური გადახდით. ასეთი გადახდევინება მხოლოდ სასარჩელო წესით ხდება. თანხის ოდენობას სასამართლო მხარეთა მატერიალური და ოჯახური მდგომარეობისა და სხვა საყურადღებო გარემოებების გათვალისწინებით განსაზღვრავს. ამ შემთხვევაში, საალიმენტო განაკვეთის განსაზღვრისას, სასამართლო „რაიმე“ წილებით შეზღუდული არ არის. ფიქსირებული ფულადი თანხის ოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად და განპირობებულია ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებებით. ალიმენტის დაკისრების ინიციატივა მყარი ფულადი თანხით შეიძლება ეკუთვნოდეს როგორც რომელიმე ერთ მხარეს, ასევე სასამართლოს.[332] სასამართლოსათვის შესაძლებელი უნდა იყოს ალიმენტის მყარი ფულადი თანხის სახით ამოღება, მხოლოდ სასარჩელო წესით, შემდეგ შემთხვევებში:

– თუ ალიმენტის გადამხდელს აქვს არარეგულარული, ცვალებადი შემოსავალი;

– თუ ალიმენტის გადამხდელი ხელფასს მთლიანად ან ნაწილობრივ, ნატურით ან უცხოური ვალუტით იღებს;

– თუ ალიმენტის გადამხდელს არ გააჩნია ხელფასი ან სხვა შემოსავალი, მაგრამ იგი რაიმე ქონების მფლობელია;

– თუ ალიმენტის გადახდევინება წილობრივი ოდენობით ხელფასთან ან სხვა შემოსავალთან შეფარდებაში შეუძლებლია, გართულებულია ან მნიშვნელოვნად ლახავს რომელიმე მხარის ინტერესებს.

ალიმენტი ინიშნება ბავშვის სასარგებლოდ, მაგრამ თუ ის რომელიმე მშობელთან ცხოვრობს, ამ უკანასკნელს, როგორც კანონიერ წარმომადგენელს, აქვს უფლება, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, მიიღოს და გამოიყენოს ალიმენტის თანხა. თუ მშობელს, რომელიც ვალდებულია, გადაიხადოს ალიმენტი, არ გააჩნია ხელფასი ან სხვა შემოსავალი, საალიმენტო გადახდევინების ვალდებულება მიმართული იქნება მის ქონებაზე. მაგრამ ასეთი გადახდევინების განსახორციელებლად აუცილებელია განისაზღვროს საალიმენტო განაკვეთების ოდენობა, რომელთა გადახდა მოხდება მხოლოდ მყარი ფულადი თანხის სახით. ასეთი სიტუაცია იქმნება, როდესაც ბავშვის მშობელს ალიმენტის გადახდა არ სურს და თავის შემოსავლებს მალავს. ამავე დროს, მას აქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი ქონება. ამ შემთხვევაში სასამართლო საალიმენტო განაკვეთის მყარი ფულადი თანხის სახით განსაზღვრისას მოპასუხის ქონების შეფასებიდან გამომდინარეობს. გარკვეულ ვითარებაში ხელფასის ან სხვა შემოსავლის წილიდან ალიმენტის გადახდევინებამ შეიძლება ერთ-ერთი მხარის ინტერესების შელახვა გამოიწვიოს: გადამხდელის ინტერესები ხშირად ირღვევა, თუ მას მაღალი შემოსავლები აქვს და ამ შემოსავლების გათვალისწინე-

---

[332] იხ. *Королев Ю. А.,* Комментарий к Семейному кодексу Российской федерации, «Юстицинформ», М., 2004, 219.

ბით უწევს უზარმაზარი თანხების გადახდა; ბავშვის ინტერესები ირღვევა, თუ ალიმენტის გადახდევინების შემთხვევაში მისი ოდენობის განსაზღვრისთვის საჭირო ხდება მისი მრავალრიცხოვანი შემოსავლების დადგენა. ამიტომ, ვფიქრობ, წილობრივად ალიმენტის განსაზღვრა არასწორია. საგულისხმოა, რომ ალიმენტის გადახდევინება წილის სახით მიღებული იყო იმ საზოგადოებისათვის, სადაც ყველა პირს ჰქონდა მხოლოდ ერთი შემოსავლის წყარო – ხელფასი. შემოსავლების დამატებითი წყაროები მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა, შეთავსება კი კანონით იყო რეგულირებული. ამიტომ ამ წყაროების დადგენა რთული არ იყო. შესაბამისად, სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე ალიმენტის გადახდევინების შემთხვევაში შემოსავლების მოძიებაც არ იყო ძნელი. დღეს კი სიტუაცია შეიცვალა. ნებისმიერ პირს, პირობითად, შეუძლია, შემოსავლების წყაროების განუსაზღვრელი რაოდენობა ჰქონდეს. ვერც საგადასახადო ინსპექცია, ვერც სასამართლო აღმასრულებელი, ვერც ალიმენტის ამომღები ვერ შეძლებენ მათ დადგენას. ამ სიტუაციაში უკეთესი გამოსავალია ალიმენტის განაკვეთების განსაზღვრა მყარი ფულადი თანხის სახით. ამ გარემოებების არსებობის შემთხვევაში, ალიმენტის გადახდევინება მყარი ფულადი თანხის სახით შეიძლება მოხდეს სასამართლოს მიერ ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე.

თუმცა ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს საკითხი იმის შესახებ, რომ ალიმენტის განსაზღვრის წილობრივი მეთოდი შეიძლება არ მიესადაგოს არც ბავშვის ინტერესებს, იმ შემთხვევაში, თუ მშობლებს საერთოდ არა აქვთ ხელფასი (შემოსავალი), ან აქვთ, მაგრამ არარეგულარული, ან ძალიან ცოტა, რაც, ფაქტობრივად, საწინდარია იმისა, რომ ბავშვი დარჩეს ყოველგვარი შემოსავლის გარეშე. სასამართლო ასეთ შემთხვევაში უფლებამოსილია, გაზარდოს ალიმენტის ოდენობა, მაგრამ ეს დაცვის მექანიზმიც ყოველთვის არ იძლევა სასურველ შედეგს. ასეთი პრობლემა წყდებოდა იმით, რომ კანონმდებლობით დაწესებული იყო ალიმენტის მინიმალური ოდენობა. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად სერბეთში, დღესაც გათვალისწინებულია ალიმენტის მოცულობის მინიმალური ოდენობა 15 %-ით და მაქსიმალური – 50 %-ით, მხოლოდ რეგულარული ფულადი შემოსავლის შემთხვევაში.[333] საქართველოს კანონმდებლობით უარი ითქვა საალიმენტო მინიმუმის დაწესებაზე, იმ მოტივით, რომ ახალ ეკონომიკურ პირობებში სახელმწიფოს არა აქვს ზეგავლენის საშუალება იმ პირებზე, მაგალითად, რომლებსაც არ სურთ, იმუშაონ და მიიღონ სათანადო შემოსავალი, ანუ, იმ შემთხვევაში, თუ „მშობლებს არა აქვთ საკმარისი შემოსავალი ან ქონება, არ შეიძლება აიძულო ისინი, იმუშაონ ალიმენტის გადასახდელად, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და ხელყოფს ადამიანის უფლებებს“,[334] მაგრამ, იმავდროულად, ინტერესები და უფლებები ბავშვსაც აქვს.

შესაბამისად, სასამართლო ფართო უფლებამოსილებებით არის აღჭურვილი ხელფასის ან სხვა შემოსავლის გათვალისწინებით ალიმენტის

---

333 იხ. *Kovacek-Stanic G.*, Child in Single (Absent) Parent family: Maintenance and Family Home, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 638.

334 *Антокольская М. В.,* Семейное право, «Юрист», М., 2004, 250.

განსაზღვრისათვის, რომელთა გადახდევინება არასრულწლოვანი შვილის სარჩენად ხდება. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს საქმე ე.წ. სიტუაციური რეგულირების კლასიკურ მაგალითთან, რომლის დროსაც ალიმენტის განაკვეთის მკვეთრი დაფიქსირება კანონში უმნიშვნელო აღმოჩნდება, რადგან საალიმენტო განაკვეთის განსაზღვრისას ყოველ ინდივიდუალურ სიტუაციაში კონკრეტული საქმის ყველა გარემოებანი უნდა იყოს გათვალისწინებული. საოჯახო კანონმდებლობა ამ პრობლემის გადაჭრას სპეციალურად სასამართლოს უტოვებს. ამის გამო ალიმენტის განსაზღვრის სისტემა, როდესაც ალიმენტი გადამხდელის შემოსავლიდან განისაზღვრება, უფრო მოქნილი გახდა, თუმცა აქ წამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ და როგორ განსაზღვრავს კონკრეტული ბავშვის მოთხოვნილებების გონივრულობას? მოქმედი სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე, შვილების ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა გათვალისწინებით და ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილების რეალურ მატერიალურ მდგომარეობას. ამ დებულების განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოში ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას ყოველთვის წარმოიქმნება არაერთგვაროვანი შეხედულება კონკრეტული ბავშვის მოთხოვნილებებთან დაკავშირებით გონივრულ, სამართლიან შეფასებაზე. ყველა მოსამართლე თავისებურად აფასებს და განსაზღვრავს შვილების რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ პირობათა წრეს, მით უმეტეს, რომ მისთვის ცნება გონივრული მოთხოვნილებისა არ შეიძლება იყოს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი. სასამართლო პრაქტიკამაც დაგვანახვა, რომ ყველა კონკრეტული შემთხვევისას ალიმენტის ოდენობის „სამართლიანი და გონივრული“ განსაზღვრა ხშირად არაადეკვატურია შვილების ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის გათვალისწინებულ აუცილებელ მოთხოვნილებებთან. ამასთან, გონივრული მოთხოვნილების ცნებაც არ არის ხისტი, ვინაიდან ბავშვის ზრდასთან ერთად იზრდება მისი მოთხოვნილებებიც. ამ საკითხის განხილვისას სასამართლოს შეუძლია მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, რათა განისაზღვროს კონკრეტული ბავშვისათვის საჭირო სახსრების ოდენობა (ასაკი, სქესი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ბავშვის მიდრეკილებები და სხვ.). მაგალითად, ერთ-ერთი საქმის განხილვისას სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბავშვისათვის საკმარისი იყო ალიმენტის ოდენობის მხოლოდ 20 ლარით გაზრდა, რაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არასაკმარისად ჩათვალა და მიუთითა: „საკასაციო სასამართლო სავსებით იზიარებს გასაჩივრებული განჩინებით დადგენილ ზემოხსენებულ ფაქტებს, თუმცა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად შეაფასა ისინი, როდესაც მოპასუხეს არასრულწლოვანი შვილის სარჩენად განსაზღვრული ალიმენტის ოდენობა მხოლოდ 20 ლარით გაუზარდა, კერძოდ: სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლი ადგენს, რომ მშობლები მოვალენი არიან, არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები. ამავე კოდექსის 1213-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანი შვილებისათვის გადასახდელი ალიმენტების ოდენობას განსაზღვრავენ მშობლები ურთიერთშეთანხმებით, თუმცა ასეთი შეთანხმების მიუღწევლობისას 1214-ე მუხლი

დავის გადაწყვეტას სასამართლოს მიანდობს. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას“.[335]

ამ ნორმებიდან გამომდინარე, კანონმდებელი განსაზღვრავს ყოველი მშობლის ვალდებულებას, იზრუნოს თავის შვილზე, რაც გულისხმობს მისი მატერიალურად უზრუნველყოფის მოვალეობასაც. ჩვეულებრივ, შვილისათვის გადასახდელი თანხის ოდენობაზე თანხმდებიან მშობლები, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სასამართლო შეაფასებს ბავშვის საჭიროებებს მისი ასაკისა და სხვა ინდივიდუალური ფაქტორების გათვალისწინებით, თითოეული მშობლის ოჯახურ და მატერიალურ მდგომარეობას (იმყოფება თუ არა მათ კმაყოფაზე ოჯახის ისეთი წევრი, რომელსაც დამოუკიდებლად თავის რჩენა არ შეუძლია), რის შედეგადაც დაადგენს ალიმენტის ობიექტურ ოდენობას, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვნის რეალურ და აუცილებელ მოთხოვნილებებს.[336]

ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო ხელმძღვანელობს პრინციპით – ბავშვს მაქსიმალურად შეუნარჩუნდეს ცხოვრების არსებული დონე, რომელიც მას მშობლების ნორმალური ურთიერთობის მომენტამდე ჰქონდა. ეს კი ნიშნავს, რომ ასეთი შესაძლებლობის შემთხვევაში, სასამართლო ალიმენტს გადაახდევინებს იმ ოდენობით, რომელიც ბავშვს ცხოვრების ადრინდელ დონეს შეუნარჩუნებს. სასამართლოს ამოცანაა, ბავშვის მატერიალური მდგომარეობა მშობლების განქორწინების გამო რაც შეიძლება ნაკლებად გაუარესდეს. ამ საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ „ბავშვები განსაკუთრებით დაუცველები არიან განქორწინების ან მათი მშობლების დაცილების დროს. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც შესაძლოა, მათ დაეხმაროს ამ სტრესული სიტუაციის დაძლევაში, არის ოჯახური და იმავე სოციალური გარემოს შენარჩუნება“.[337]

„კვლევები აჩვენებს, რომ განქორწინების შედეგად, მამის სოციალურ სტატუსთან შედარებით, მათი შვილები სოციალურ კიბეზე დაბლა ეშვებიან, რადგანაც სკოლა და განათლება აღარ ფინანსდება ქორწინების სტანდარტის შესაბამისად“.[338] „თუმცა ზოგიერთ მამას, რომელიც არ უხ-

---

[335] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე №ას - 1299-1226-2012, თბ., 24 დეკემბერი, 2012, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [25.03.2014].

[336] განსახილველ შემთხვევაში მოპასუხის მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდა, მისი ყოველთვიური შემოსავალი გახდა 250 ლარი. შესაბამისად, გარემოებების შეფასების შედეგად სასამართლომ მოთხოვნა ალიმენტის ოდენობის გაზრდის შესახებ ნაწილობრივ საფუძვლიანად მიიჩნია და გადაწყვიტა ყოველთვიური ალიმენტის გაზრდა 60 ლარამდე.

[337] *Kovacek-Stanic G.*, Child in Single (Absent) Parent family: Maintenance and Family Home, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 637.

[338] *Willenbacher B.,* (Faculty of Law, Leibniz University Hannover, Germany), Family Finances through German Support Laws: Effects of Child Support Priority, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 538.

დის ბავშვს ალიმენტს, შეუძლია იმ თანხის გადახდა, რომელიც განუსაზღვრა სასამართლომ“,[339] „მამების უმეტესობას კი, რომლებიც არ იხდიან ალიმენტს, უბრალოდ, არ აქვთ ამის საშუალება“.[340]

ბუნებრივია, ბავშვის ცხოვრების დონის შენარჩუნება ყოველთვის შესაძლებელი არ არის, რადგან ალიმენტის გადამხდელმა მშობელმა შეიძლება შექმნას ახალი ოჯახი, რომლის რჩენა მისი მოვალეობა გახდება. არ შეიძლება, პირდაპირ მივიღოთ ნორმის შემდეგი განმარტება – ბავშვებს, რომელთა მშობლებს მაღალი შემოსავლები აქვთ, იზრდებოდნენ ფუფუნებაში, რაც ბავშვის მოთხოვნილებებს ბევრად აღემატებოდა, ოჯახის დაშლის შემდეგ მათ მაინც უნდა შეუნარჩუნდეთ ასეთივე მდგომარეობა. მაგრამ ვფიქრობ, ბავშვის დასაბუთებული მოთხოვნების დაკმაყოფილება აუცილებელია, თუ მშობლებს ამისი საშუალება აქვთ. მაგალითად, თუ ბავშვი საზღვარგარეთ ფასიან სასწავლებელში სწავლობდა, ეს უნდა შედიოდეს ცხოვრების ადრინდელი დონის შენარჩუნების ცნებაში და, თუ ამის შესაძლებლობა არსებობს, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის დროს უნდა იყოს გათვალისწინებული დამატებითი ხარჯების სახით, თუ, რაღა თქმა უნდა, მოთხოვნა ამის თაობაზე არსებობს. სწორედ ამ საკითხს ეხება სერბეთის საოჯახო სამართლის სიახლე, რაც გამოიხატება იმ ნორმის შემოღებით, რომელშიც პირდაპირ მითითებულია, რომ ალიმენტის მოცულობა საშუალებას უნდა აძლევდეს ბავშვს, შეინარჩუნოს, სულ მცირე, ისეთი ცხოვრების სტანდარტი, როგორიც აქვს ალიმენტის გადამხდელ მშობელს (162-ე მუხლის მე-3 პუნქტი, საოჯახო სამართალი);[341] ამასვე მიუთითებს ჩეხეთის სამოქალაქო კოდექსის 2008 წლის კანონპროექტი, სადაც ნათქვამია, რომ „ბავშვს აქვს უფლება, ისარგებლოს ისეთივე ცხოვრების პირობებით, როგორიც მას ჰქონდა მშობლების დაცილებამდე, და დედას შეუძლია მოითხოვს ბავშვის დახმარება ბავშვის ისეთივე ცხოვრების დონის შესანარჩუნებლად“.[342] ეს დებულება მიღებულ იქნა იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული სიტუაცია, რომლის დროსაც ალიმენტის გადამხდელი მშობელი იხდის მის ფაქტობრივ შესაძლებლობებზე გაცილებით ნაკლებს იმის გამო, რომ ალიმენტის მიმღებს არ შეუძლია ალიმენტის გადამხდელის შემოსავლისა და მისი ქონების მოცულობის დამტკიცება. ასეთი შემთხვევები მრავლად არის საქარ-

---

339 *Sorensen E., Zibman C.,* A Look at Poor Dads Who Don't Pay Child Support, in Assessing the New Federalism, «The Urban Institute», Washington, 2000, 3, http://www.urban.org/ Uploadedpdf/-discussion00-07.pdf [31.10.13], (ამ კვლევის თანახმად, რომელშიც მონაწილეობდა 13 სახელმწიფო, 43 პროცენტს მამებისას, რომლებიც არ იხდიან ალიმენტს, შეუძლიათ ამ თანხის გადახდა).

340 *Maldonado S.,* (Associate Professor, Seton Hall University School of Law), Deadbeat or Deadbroke: Redefining Child Support for Poor Fathers, «University of California», 2006, 1001, <http://lawreview.law.ucdavis.edu/issues/39/3/color-feminism-state/DavisVol39No3_MALDONADO.pdf > [20.10.13].

341 *Kovacek-Stanic G.*, Child in Single (Absent) Parent family: Maintenance and Family Home, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 639.

342 *Verschraegen B.,* (Universities of Vienna, Austria, and Bratislava (Uninova), Slovakia), Fiddler on the Roof: On the Ambiguity of Family Finances, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 796.

თველოს სინამდვილეში და, ვფიქრობ, ეს ნორმა გასათვალისწინებელი და მისაღებია საქართველოს კანონმდებლობისათვის, რადგან, ხშირ შემთხვევაში, ალიმენტის მიმღებისათვის ალიმენტის გადამხდელის შემოსავლისა და საკუთრების მოცულობის დამტკიცების შეუძლებლობა გამოწვეულია საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობით. მაგალითად, სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც არ დასტურდება საქმეში მონაწილე მხარის ზუსტი შემოსავლების ოდენობა, თუმცა სასამართლო მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ „ალიმენტის გადახდევინება მიზნად ისახავს ბავშვის ინტერესების დაცვას, მისთვის ძირითადი საარსებო პირობების შექმნასა და თუ ეს შესაძლებელია, ცხოვრების იმ დონის შენარჩუნებასაც, რომელიც მას ექნებოდა მშობლების ნორმალური ურთიერთობის პირობებში.“[343]

ამ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო საკანონმდებლო სისტემაში ჩნდება ცხრილები, ფორმულები, ალიმენტის გამოთვლის სხვადასხვა მექანიზმი, რათა მოსამართლეს შესაძლებლობა ჰქონდეს, პირდაპირ მიუთითოს ბავშვის ასაკის, მისი ფსიქოლოგიური განვითარებისათვის აუცილებელი პირობების, ალიმენტვალდებული პირის შემოსავლის მიხედვით წინასწარ დადგენილ ცხრილებზე, რაც საშუალებას იძლევა, ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის თავიდან იყოს აცილებული შეუსაბამო და მხოლოდ მოსამართლის შეხედულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებანი. მაგალითად ინგლისში, ბავშვის ალიმენტის შესახებ კანონით (Child Support Act 1991) შემოიღეს რთული ფორმულა, რომელიც წარმოდგენილია ალგებრული ფორმით კანონის დანართში, რომლის მიხედვითაც ვალდებულ მშობელს შესაძლოა მოეთხოვოს ალიმენტის გადახდა 50 პროცენტის ფარგლებში საშემოსავლო ან სხვა სახის გადასახადის გადახდის შემდეგ დარჩენილი თანხიდან.[344]

ბავშვის ალიმენტის შესახებ გერმანიის კანონის შესაბამისად (Kindesunterhaltsgesetz), რომელიც ძალაში შევიდა 1998 წლის 1 ივლისს, ალიმენტი შეიძლება მოთხოვნილი იყოს ფიქსირებული თანხის ოდენობით (Individualunterhalt), ან შესაბამისი სტანდარტული მოცულობის პროცენტის სახით (Regelbetrag). ფიქსირებული თანხა, ჩვეულებრივ, მოთხოვნილია წარსულში სასამართლოების მიერ განსაზღვრული სხვადასხვა ცხრილის საფუძველზე (ყველაზე ცნობილი – Dusseldorfer Tabelle), რომელიც კვლავ გამოიყენება. სტანდარტული თანხები განისაზღვრება კანონით გათვალისწინებული დოკუმენტით (Regelbetrag-Verordnung), რომელიც თან ერთვის ახალ კანონს და იძლევა აღმსრულებლის მიერ შესწორების გაკეთების შესაძლებლობას. სტანდარტული თანხები, ძირითადად, არის შეფასების საფუძველი, რომელიც საჭიროა ე.წ. დინამიკური ალიმენტის უზრუნველსაყოფად (Unterhalstitel in dynamisierter Form). კონკრეტული დინამიკური ალიმენტის უფლებით მიღებული სარგებელი ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ალიმენტის მოვალის მიერ გადასახდელი თანხა ავტომატურად კო-

---

343 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე №ას-204-191-2014, 20/10/14, http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx, [26.04.2015].

344 იხ. *Stark B.,* International Family Law, an Introduction, Ashgate Publishing Limited, Great Britain, Burlington, 2012, 211.

რექტირდება, თუ სტანდარტული თანხები შეიცვლება, ან ალიმენტის გადამხდელი გადავა მომდევნო ასაკობრივ კატეგორიაში. მსგავსი ცხრილებით სარგებლობენ ამერიკის შეერთებულ შტატებში (Child Support Enforcement Programme under Title IV-D of the social Security Act); შვედეთში ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა ეფუძნება მშობლის წლიური შემოსავლის საბაზისო დახმარების პროცენტულ მაჩვენებელს. პროცენტული განაკვეთი დამოკიდებულია იმ ბავშვების რაოდენობაზე, რომლებზეც პასუხისმგებელია ეს მშობელი; კანადაში სასამართლოს მიერ განსაზღვრული ფორმულა[345] ბოლო დროს შეიცვალა ფედერალური სახელმძღვანელო მითითებებით, რომლებშიც განსაზღვრულია ბავშვისათვის გადასახდელი ყოველთვიური დახმარებები მშობლის შემოსავალზე დაყრდნობით, მათი პროცენტი ბავშვის რაოდენობის მიხედვით იზრდება და ოდნავ იცვლება შემოსავლის დონეების მიხედვით. 1997 წელს, სახელმძღვანელო მითითებების („სახელმძღვანელო მითითებები“ – Guidelines) მიღების დროს ფედერალურმა მთავრობამ გადაწყვიტა, არჩევანი გაეკეთებინა სხვადასხვა ფორმულებს შორის და შეექმნა სისტემა, რომელიც ადაპტირებული იქნებოდა კანადურ ყოფასთან. დიდი ყურადღებით იქნა განხილული ოთხი ფორმულა, რომლებიც გამოიყენებოდა შეერთებულ შტატებში: შემოსავლისა და განაწილების მოდელი, როცა ბავშვმა თითოეული მშობლის შემოსავლის პროპორციულად უნდა მიიღოს მშობლის შემოსავლის იგივე მოცულობა, რომელსაც იღებდა მშობლების დაცილებამდე; „დელავერის“ ან „მელსონის“ მოდელი (Delaware or Melson Model), როცა ძირითადი მოთხოვნები სრულდება იმის გადაწყვეტამდე, როგორ უნდა გაინაწილოს ბავშვმა მშობლის დარჩენილი შემოსავალი; შემოსავლის ერთგვაროვანი პროცენტის მოდელი, როცა ნავარაუდევია, რომ თითოეული მშობელი დახარჯავს თავისი შემოსავლის იმავე პროცენტს ბავშვზე და არამეურვე მშობლის წილი განისაზღვრება რეგულაციით; და შემოსავლის გათანაბრების მოდელი, რომლის მიზანია მეურვე და არამეურვე მშობლების ცხოვრების დონის გათანაბრება იმგვარად, რომ ბავშვის ცხოვრების დონე რაც შეიძლება მინიმალურად შემცირდეს განქორწინების შემდეგ.[346]

ავსტრიაში, სადაც ალიმენტის ოდენობის განსაზღვრას ახორციელებს სასამართლოები, სასამართლოთა მიერ განსაზღვრული სახელმძღვანელო მითითებები მოქმედებს გარკვეული ასაკის ბავშვებისათვის სტატისტიკურად გაანგარიშებულ საშუალო მოთხოვნებსა და ალიმენტვალდებულის წმინდა შემოსავლის გარკვეულ პროცენტულ მაჩვენებელზე დაყრდნობით.[347] ბავშვის დახმარება უზრუნველყოფს ეკონომიკურ უსაფრთხოებას მისი სავარაუდო ბენეფიციარებისათვის – დანგრეული ოჯახური ურთიერთობების შედეგად არსებული ბავშვებისათვის და არა

---

345 ამ ფორმულებზე მითითებული იყო სასამართლო გადაწყვეტილებაში: Paras v. Paras, [1971] 1 O.R. 130 (C.A.), 134, კონტინო კონტინოს წინააღმდეგ, Leonelli-Contino v. Contino, *Mclachhlin C. J., Major J., Bastarache J.,* Supreme Court of Canada 2006, Part 7 Case 4, <http://www.ipsofactoj.com/international/2006/Part07/int2006(07)-004.htm> [29.10.13].

346 იხ. Federal/Provincial/Territorial Family Law Committee, Child Support: Public Discussion Paper, Report, «The Committee», Ottawa, 1991, 10, 11.

347 იხ. *Stark B.,* International Family Law, an Introduction, «Ashgate Publishing Limited», Great Britain, Burlington, 2012, 212.

მშობლებისათვის. მისი მიზანია, ბავშვების მშობლების კომბინირებული რესურსებით „შეამციროს ბავშვებზე დარტყმა“ ბავშვებისათვის გონივრული შესაბამისი ცხოვრების სტანდარტის უზრუნველყოფით. ამ თემასთან დაკავშირებით, „საერთაშორისო კერძო სამართალის“ საკითხებისადმი მიძღვნილ ჰააგის კონფერენციაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ „ბავშვის შენახვასთან დაკავშირებული ფორმულა, სასამართლო თუ საკანონმდებლო წესით დადგენილი, აბალანსებს გადახდის ვალდებულებას ბავშვის საჭიროებასა და ალიმენტვალდებული პირის შესაძლებლობებს შორის“.[348] ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე მიზანშეწონილია, საქართველოშიც შემუშავდეს მსგავსი ფორმულები ან ცხრილები, რომლებიც სავალდებულო იქნება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისას. თუმცა ამ ცხრილების შექმნისა და გამოყენებისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, განიმარტოს ერთპიროვნული და ერთობლივი მეურვეობის მნიშვნელობა, და დადგინდეს, თუ ზუსტად დროის რა მონაკვეთი უნდა გაატაროს მშობელმა ბავშვთან, რომ ის უკვე მასზე ხარჯების გაწევის კუთხით გადამხდელად ჩაითვალოს. „მეურვე“ მშობელი, „არამეურვე“ მშობელი, „გადამხდელი“ მშობელი და „მიმღები“ მშობელი – არსებული კანონმდებლობით არ არსებობს სრულყოფილი ტერმინოლოგია, თუმცა ნათელია, ერთობლივი ფიზიკური მეურვეობის დროს, ბავშვის დახმარების ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია იმის იგნორირება, რომ თანხის ერთი მშობლისაგან მეორისათვის გადაცემა თითქმის ყველა შემთხვევაში ხდება, ამიტომ უფრო მეტი სიზუსტისათვის უმჯობესია, გამოყენებულ იქნეს ტერმინები: „გადამხდელი“ მშობელი და „მიმღები“ მშობელი.

თუ ბავშვი ცხოვრობს ერთ მშობელთან 40 პროცენტზე ნაკლები დროის განმავლობაში, მაგალითად, კანადის კანონმდებლობით ითვლება, რომ ასეთ მშობელს საერთოდ არ აქვს ბავშვთან დაკავშირებული ხარჯები. ბავშვის ალიმენტის შესაბამისი დონე განისაზღვრება მათემატიკური სიზუსტით ბავშვის დახმარების ფედერალური სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად (“სახელმძღვანელო მითითებები“).[349]

ერთობლივი მზრუნველობის შემთხვევაში, ბავშვებისათვის გადასახდელი საალიმენტო ხარჯების მიუკერძოებელი გაყოფა რთული საკითხია; ამის მარტივად გადაწყვეტა არ ხდება. ნებისმიერი მცდელობა, გამოყენებული იყოს მკაცრი ფორმულა, უშედეგოდ დამთავრდება, თუ არ მოხდება სხვადასხვა ოჯახის რეალობის აღიარება. ყურადღება უნდა გამახვილდეს ერთობლივი მეურვეობის საერთო მდგომარეობასა და ამ ღონისძიებასთან დაკავშირებულ ხარჯებზე, რაც გულისხმობს მშობლებისა და ნებისმიერი ბავშვის მოთხოვნების, რესურსებისა და მდგომარეობის გათვა-

---

348 *Duncan W.,* (Deputy Secretary General of the Hague Conference on Private International Law, Professor emeritus, Trinity College, Dublin), Note on the desirability of revising the Hague Conventions on Maintenance Obligations, Hague Conference on Private International Law, January, 1999, http://www.hcch.net/upload/conventions/txt38en.pdf ან http://www.hcch.net/index_en.-php?act=conventions.listing, [29.10.13].

349 იხ. *Leonelli-Contino - vs – Contino*, *Mclachhlin C. J., Major J., Bastarache J.,* Supreme Court of Canada 2006, Part 7 Case 4, 21, <http://www.ipsofactoj.com/international/2006/Part07/int2006(07)-004.htm> [29.10.13].

ლისწინებას. ეს უზრუნველყოფს საკმარის მოქნილობას იმის საგარანტიოდ, რომ თითოეული ოჯახის ეკონომიკური რეალობა და კონკრეტული გარემოებები სათანადოდ იქნება გათვალისწინებული. აქ იგულისხმება, რომ გარანტირებული უნდა იყოს ბავშვის ალიმენტის სამართლიანი მოცულობა. ერთობლივი მეურვეობის შემთხვევაში, ბავშვის დახმარება, რამდენადაც ეს შესაძლებელია, იმ ზომისა უნდა იყოს, რომ უზრუნველყოს ბავშვისათვის ცხოვრების ერთნაირი სტანდარტი ორივე ოჯახში. ბავშვებმა შესაძლოა, უპირატესობა მიანიჭონ ერთ ოჯახს მეორესთან შედარებით, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს მათი მშობლების შესაბამისი საშუალებების ან რესურსების მიხედვით.

ერთობლივი მეურვეობის შემთხვევები, როცა მშობელს ხელი მიუწვდება ბავშვის მეურვეობაზე დროის, სულ მცირე, 40 პროცენტით, ზუსტი მათემატიკური გათვლის დაწესების ნაცვლად უნდა განისაზღვროს ის საერთო ფაქტორები, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ მოსამართლეებმა გადაწყვეტილების გამოტანისას. თითოეულ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს ბავშვის დახმარების მოცულობა შემდეგის გათვალისწინებით: (ა) ცხრილით გათვალისწინებული მოცულობა, რომელიც გამოიყენება, თუ საქმე ეხება ერთპიროვნულ მეურვეობას; (ბ) ერთობლივი მეურვეობის მზარდი ხარჯები; და (გ) თითოეული მეუღლისა და ნებისმიერი იმ ბავშვის პირობები, მოთხოვნები, სახსრები და სხვა გარემოებები, რომელთათვისაც განკუთვნილია დახმარება.

პროგნოზირებადობა, რომელიც გარანტირებულია მათემატიკური სიზუსტით ერთპიროვნული მეურვეობის შემთხვევებში სახელმძღვანელო მითითებებით, უსარგებლოა ერთობლივ მეურვეობასთან დაკავშირებით. ერთობლივი მეურვეობის დროს ბავშვი ცხოვრობს ორ ოჯახში, თითოეულში, სულ მცირე, დროის 40 პროცენტით. თუ ერთ-ერთი მშობელი 40 პროცენტზე ნაკლებ დროს უთმობს ბავშვს, წარმოიქმნება პრობლემები, ვინაიდან ზღურბლის გადალახვამ შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის დახმარების მკვეთრი ვარდნა. ამ „ზღურბლის ეფექტის“ თავიდან ასაცილებლად მეურვე მშობელს (მშობელი, რომელსაც აქვს ერთპიროვნული მეურვეობა) შესაძლოა, ჰქონდეს ცდუნება, ეგოისტურად ჩაეჭიდოს თავის ფინანსურ უპირატესობას – მაგალითად, დაიქირაოს მეტი ბავშვის მომვლელი, რათა ხელი შეუშალოს მეორე მშობელს, მიაღწიოს 40-პროცენტიან დონეს, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ერთობლივ მეურვეობას; მეორე მხრივ, მეორე მშობელს შესაძლოა, ჰქონდეს ცდუნება, გამოხატოს გაზრდილი ინტერესი, მეტი დრო გაატაროს შვილთან, რაც გამოწვეულია უფრო ფულადი ინტერესით, და არა მშობლის გრძნობებით. „გაზრდილი ხარჯები“ არის ხარჯების ზრდა, რომელიც წარმოიქმნება 40-პროცენტიანი ზღურბლის გადაკვეთის შემდეგ. ერთპიროვნულ მეურვესთან დაკავშირებულ ცხრილში წარმოდგენილი თანხების მარტივი კომპენსაცია შესაძლოა, მოხერხებული გზა იყოს დახმარების სათანადო რაოდენობის ფიქსირების პროცესის დასაწყებად და ამით „შეასრულოს ათვლის წერტილის როლი“. ერთობლივ მეურვეობასთან დაკავშირებით ცხრილში წარმოდგენილი თანხების მარტივი კომპენსაცია თითოეულ მშობელს მიაწერს იმას, რასაც ის მიიღებდა, თუ მას ექნებოდა ერთპიროვნული მეურ-

ვეობა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ ორივე მშობლისათვის ადეკვატურ კომპენსაციაზე. მაგრამ ასეთი კომპენსაცია უფრო მოჩვენებითია, ვიდრე რეალური, რადგან ის არ ითვალისწინებს ერთობლივი მეურვეობისათვის დამახასიათებელ დუბლირებებს და ხარჯების ზრდას. რაც შეეხება ერთობლივი მეურვეობის გაზრდილ ხარჯებს, ის უკავშირდება ფიქსირებული ხარჯებისა და სხვა დანახარჯების დუბლირებას, რომელიც გამოწვეულია ერთობლივი მეურვეობის მოთხოვნებით – საცხოვრებელი, სათამაშოები, ტანსაცმელი, წიგნები და ორივე ადგილას მარაგებით უზრუნველყოფა, და სხვ. ფიქსირებული ხარჯების დუბლირების მოცულობა, ზოგადად, დამოკიდებულია მხარეების მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტებზე, რომლებიც ზუსტდება სასამართლო მოსმენაზე. რაც შეეხება თვიურ დანახარჯს მშობელთა ბიუჯეტებიდან, ვფიქრობ, მხოლოდ ორი კატეგორიის ან ტიპის დანახარჯი უნდა გათანაბრდეს მშობლებს შორის: პირველი, ერთობლივი მეურვეობისათვის დამახასიათებელი დუბლირებები და სხვა წარმოქმნილი ხარჯები და, მეორე, ბავშვზე მზრუნველობის სხვადასხვა ხარჯი, რომლებიც შეიძლება სხვაგვარად გაინაწილონ მშობლებმა.

მშობლების დუბლირებულ ფიქსირებულ დანახარჯებში (ორივე მშობლის დანახარჯი, რომლის დროსაც ერთის დანახარჯი არ ამცირებს მეორის დანახარჯებს) გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ ერთობლივი მეურვეობისათვის დამახასიათებელი ფაქტობრივი, დადასტურებული და გონივრულად აუცილებელი გაზრდილი დანახარჯები; გასანაწილებელი დანახარჯების მეორე ჯგუფი მოიცავს სხვადასხვა დანახარჯსა და ანაზღაურებებს, რომლებიც შეიძლება, არათანაბრად განაწილდეს მშობლებს შორის. მაგალითად, ერთმა მშობელმა შეიძლება დახარჯოს მეტი ბავშვის ტანსაცმელზე და ბავშვის მიერ სხვებისათვის გაკეთებულ საჩუქრებზე, იმის გამო, რომ ბავშვს ურჩევნია საყიდლებზე წავიდეს ამ მშობელთან ერთად. ამის მსგავსად, ერთ მშობელს შეუძლია, დახარჯოს მეტი, ვიდრე მეორე დახარჯავს გარკვეულ გადახდებთან დაკავშირებით (ღონისძიებები, წიგნები, სწავლა, სპეციალური პროექტები, მოგზაურობა და საზაფხულო ბანაკი), რადგან ამ მშობელს აქვს მეტი ენთუზიაზმი ასეთ საქმიანობებთან დაკავშირებით, ან, ჩვეულებრივ, სურს ბავშვის განწყობის მოპოვება. არცერთ შემთხვევაში იმ მშობელმა, რომელმაც თავდაპირველად დაფარა ეს ხარჯები, არ უნდა აიღოს ისინი მხოლოდ თავის თავზე.

მეორე გასათვალისწინებელი არაციფრული ფაქტორი არის მშობლების აქტივებსა და ვალდებულებებს შორის უთანასწორობა. ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია ორი მიზეზის გამო: პირველი, იმიტომ, რომ აქტივებმა შესაძლოა, მშობლებს შეუქმნას შემოსავლის მიღების შესაძლებლობა, გაზარდოს მათი „ფინანსური სახსრები“ და მათი უნარი, უზრუნველყონ ბავშვი; მეორე, დამამძიმებელი ვალების ტვირთმა შეიძლება მოითხოვოს, რომ მშობლების შემოსავლის უფრო დიდი ნაწილი გამოყენებული იყოს ამ ვალების მომსახურებისათვის, რაც ამცირებს მშობლის უნარს, თავისი წვლილი შეიტანოს ბავშვის მზრუნველობაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგალითად, კანადაში სასამართლოების მიერ აღიარებული კომპენსაციის ფორმულის გამოყენება ხდება, ძირითადად, სამგვარად:

1. მარტივი (პირდაპირი) კომპენსაცია

ალიმენტის თანხა დაანგარიშდება თითოეული მშობლისათვის შედგენილი თანხებთან დაკავშირებული ცხრილის საფუძველზე, ისე, თითქოს თითოეული მშობელი მოითხოვს ბავშვის ალიმენტს მეორისაგან. გადასახდელი თანხა არის ამ ორ თანხას შორის სხვაობა (იხილეთ, მაგ.: Middleton v. MacPherson (1997), 2004 A.R. 37 (Q.B): Luedke v. Luedke).

2. პროპორციული კომპენსაცია

თითოეული მშობლისათვის შედგენილი ცხრილის თანხა მცირდება იმ დროის პროცენტული მაჩვენებლით, რომელსაც ბავშვი ატარებს თითოეულ მშობელთან. თანხის მიმღები მშობლის მიერ შვილებთან გატარებული დროის მოცულობა მრავლდება გადამხდელი მშობლისათვის სახელმძღვანელო მითითებებით განსაზღვრულ მოცულობაზე და გადამხდელი მშობლის მიერ შვილებთან გატარებული დროის მოცულობა მრავლდება მიმღები მშობლისათვის სახელმძღვანელო მითითებებით განსაზღვრულ მოცულობაზე. ეს პროპორციული თანხები შემდეგში ჩაითვლება ერთმანეთის ანგარიშში (იხილეთ, მაგ.: Moran v. Cook (2000), 9 RFL. 9(5th) 352 (Ont.S.C.J.); Harrison v. Harrison (2001), 14 R.F.L (5th) 321 (Ont.S.C.J); E. (C.R.H) v. E (F.G)).

3. კომპენსაცია პლუს მამრავლი (კოეფიციენტი)

კომპენსაციის მოცულობა (მარტივი კომპენსაცია ან პროპორციული კომპენსაცია) იზრდება კოეფიციენტით იმ ვარაუდზე დაყრდნობით, რომ მიმღები მშობლის ხარჯების ნაწილი ფიქსირებულია და მასზე გავლენას არ ახდენს გაზრდილი დროის ის მოცულობა, რომელსაც ბავშვი ატარებს სხვა მშობელთან.[350]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სახელმძღვანელო მითითებების მთავარი პრინციპია, „მეუღლეებს ჰქონდეთ ერთობლივი ფინანსური ვალდებულება ქორწინებიდან თავიანთი შვილების რჩენისა, თავიანთი შესაძლებლობების შესაბამისად, და საკუთარი წვლილი შეიტანონ ვალდებულების შესრულებაში“; სახელმძღვანელო მითითებებმა კი უნდა ასახოს ეს პრინციპები განსაზღვრული მიზნების საშუალებით, ესენია:

ა) განისაზღვროს ბავშვების დახმარების სამართლიანი სტანდარტი, რაც უზრუნველყოფს დაცილების შემდეგ ორივე მეუღლისაგან ფინანსური სარგებლის მიღების გაგრძელებას;

ბ) შემცირდეს კონფლიქტი და დაძაბულობა მეუღლეებს შორის ბავშვის ალიმენტის უფრო ობიექტურად დაანგარიშებით;

გ) გაუმჯობესდეს სასამართლო პროცესის ეფექტურობა ბავშვის ალიმენტის გადახდის დონის განსაზღვრისას სასამართლოებისა და მეუღლეებისათვის სახელმძღვანელო მითითებების უზრუნველყოფით ალიმენტის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის დროს.

დ) უზრუნველყოფილი იყოს მსგავს გარემოებებში მყოფი მეუღლეებისა და ბავშვების მუდმივი ურთიერთობა.

---

350 იხ. *Leonelli-Contino - vs – Contino*, *Mclachhlin C. J., Major J., Bastarache J.,* Supreme Court of Canada 2006, Part 7 Case 4, 11, <http://www.ipsofactoj.com/international/2006/Part07/int2006(07)-004.htm> [29.10.13].

§4.4. შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილების რჩენის ვალდებულება

მშობლებისაგან მატერიალური დახმარების მიღების აუცილებლობა სრულწლოვანი შვილების მიერ დაკავშირებულია იმასთან, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ეკონომიკური დამოუკიდებლობა უფრო გვიან მიიღწევა, ვიდრე სრულწლოვანება. ალიმენტის მიღების უფლების არარსებობის შემთხვევაში ბავშვები, რომლებიც მხოლოდ ერთ მშობელთან იზრდებიან, აღმოჩნდებიან გაცილებით ნაკლებად პრივილეგირებულ მდგომარეობაში, ვიდრე ბავშვები, რომლებსაც სრული ოჯახები ჰყავთ. მათი რჩენის ტვირთი 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ მხრებზე სრულად აწვება მხოლოდ ერთ მშობელს, რაც არ შეიძლება სამართლიანად მივიჩნიოთ. „ბავშვის დახმარებისა და სხვა საოჯახო დახმარების ფორმების საერთაშორისო კომპენსაციის შესახებ“ კონვენციის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი პირდაპირ ეხება შვილის დახმარებას, რომელიც გრძელდება 21 წლამდე: „საალიმენტო (შვილის შენახვის) ვალდებულებები, რომლებიც წარმოიქმნება მშობლისა და ბავშვის ურთიერთობიდან 21 წლამდე ასაკის ნებისმიერი პირთან მიმართებით“.[351]

შრომისუუნარო შვილების შემთხვევაში ეს საკითხი სხვაგვარად არის მოწესრიგებული. სამოქალაქო კოდექსის 1212-ე-1213-ე მუხლების თანახმად, მშობლები ვალდებულნი არიან, არჩინონ თავიანთი სრულწლოვანი შვილები, თუ ისინი შრომისუუნარონი არიან და დახმარებას საჭიროებენ.

მშობლების საალიმენტო ვალდებულება სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილების მიმართ არ არის იმ საალიმენტო ვალდებულების გაგრძელება, რომელიც არსებობდა შვილის 18 წლის ასაკის მიღწევამდე. სრულწლოვანების მიღწევის მომენტიდან მშობლების საალიმენტო ვალდებულება არასრულწლოვანი შვილების მიმართ მთავრდება (წყდება).

მშობლების საალიმენტო ვალდებულების შექმნის საფუძველს სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილების მიმართ ქმნის იურიდიული ფაქტების რთული შემადგენლობა: მშობლებისა და შვილების ნათესაური კავშირი, შვილების შრომისუუნარობა და მატერიალური დახმარების საჭიროება. ამ შემადგენლობის გათვალისწინებისას ძალზე მნიშვნელოვანია მშობლის (ან მშობლების) დახმარების ობიექტური შესაძლებლობის ფაქტორიც.

შრომისუუნაროდ მიიჩნევიან სრულწლოვანი შვილები, რომლებიც I ან II ჯგუფის ინვალიდები არიან, ან საპენსიო ასაკს მიაღწიეს; რაც შეეხება ალიმენტის მიღების უფლებას III ჯგუფის ინვალიდებისათვის, აქ გარკვეული დაფიქრებაა საჭირო – ისინიც შრომისუუნაროებად ითვლებიან, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ შეუძლიათ, იმუშაონ, თუმცა მხოლოდ გარკვეული პირობებით. ამიტომ ალიმენტის გადახდის საკითხი ყოველი ასეთი კონკრეტული შემთხვევისათვის ინდივიდუალურად წყდება: თუ მათ შეუძლიათ, იმუშაონ, მაშინ მათ არ უნდა ჰქონდეთ ალიმენტის მიღების უფლება; თუ ისინი ასეთ სამუშაოს ვერ მიიღებენ, მაშინ სასამართლომ უნდა დაუტოვოს ალიმენტის მიღების უფლება.

---

351 Convention on the International Recovery of Child Support and other Forms of Family Maintenance, Concluded 23 November, 2007, http://www.hcch.net/index_en.php?act=conventions.text&cid=131 [10.12.13].

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მნიშვნელობა არა აქვს, რა ასაკში და რა გარემოებებთან დაკავშირებით გახდა ბავშვი შრომისუუნარო. ეს შეიძლება იყოს როგორც თანდაყოლილი, ასევე შეძენილი შრომისუუნარობა. შრომისუუნარობა შეიძლება წარმოიშვას უკვე მას შემდეგ, რაც ბავშვი 18 წლის ასაკს მიაღწევს და, პირიქით, პირი გახდა ინვალიდი ჯერ კიდევ ბავშვობაში. უკანასკნელ შემთხვევაში, ალიმენტის გადახდევინება მოხდება არასრულწლოვანი ბავშვისათვის. როდესაც ის მიაღწევს სრულწლოვანების ასაკს, წინა საალიმენტო ვალდებულება არასრულწლოვანების საფუძვლით შეწყდება. ამის შემდგომ მას აქვს უფლება, მიიღოს ალიმენტი როგორც სრულწლოვანმა შრომისუუნარო ბავშვმა, რომელსაც დახმარება სჭირდება. ამასთან დაკავშირებით მან (მისმა წარმომადგენელმა) უნდა მიმართოს სასამართლოს ალიმენტის გადახდევინების სარჩელით. ეს სარჩელი განსხვავდება სარჩელისაგან, რომლითაც ხდება ალიმენტის გადახდევინება არასრულწლოვანი ბავშვისათვის; ბუნებრივია, ამ საფუძველთან ერთად გათვალისწინებული უნდა იქნეს ის ფაქტორიც, რომ სრულწლოვან შრომისუუნარო ბავშვს არ გააჩნია რაიმე ქონება, ან აქვს არასაკმარისი ოდენობით, ანუ, მას არ გააჩნია საარსებო სახსრები.

საარსებო თანხების საჭიროება გულისხმობს პირის საარსებო მინიმუმზე ნაკლები თანხებით უზრუნველყოფას, მაგრამ შეუძლებელია, საარსებო მინიმუმი გამოყენებული იყოს როგორც მკაცრი კრიტერიუმი „გაჭირვების“ განსაზღვრის დროს: ჯერ ერთი, არ არსებობს კანონმდებლობა საარსებო მინიმუმის შესახებ, ექსპერტების მიერ საარსებო მინიმუმად მოყვანილი ციფრების სხვაობა კი საგრძნობლად მერყეობს; მეორე, ზოგიერთ შემთხვევაში, ალიმენტის მიმღები შეიძლება იყოს „გაჭირვებულად“ მიჩნეული, მიუხედავად იმისა, აქვს მას საარსებო მინიმუმზე ნაკლები ან, თუნდაც, რამდენადმე მეტი სახსრები. მაგალითად, თუ პირი არის I ჯგუფის ინვალიდი და მოვლას საჭიროებს, მაშინ მას საარსებო მინიმუმის უზრუნველსაყოფად სჭირდება გაცილებით მეტი თანხები, ვიდრე დასჭირდება ჩვეულებრივ ადამიანს, რადგანაც მოვლის საფასურის გადახდაზე დაიხარჯება მისი სახსრების უმეტესი ნაწილი. ამ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, კანონი არ იძლევა შრომისუუნარობისა და გაჭირვების განსაზღვრას. არის თუ არა პირი შრომისუუნარო, ესაჭიროება თუ არა მას მატერიალური დახმარება – ამას განსაზღვრავს სასამართლო ყოველი შემთხვევისათვის ინდივიდუალურად, საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით.

ალიმენტის გადახდევინება სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილების სასარგებლოდ ხდება მყარი ფულადი თანხის სახით, რომლის გადახდაც ყოველთვიურად ხორციელდება. ამ თანხის ოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად ყოველი ალიმენტის მიმღებისათვის და გამომდინარეობს მხარეთა მატერიალური, ოჯახური მდგომარეობისა და სხვა საყურადღებო გარემოებების გათვალისწინებით.

ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისათვის მხარეთა მატერიალურ მდგომარეობას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს და მისი ხარისხი შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს: ერთ შემთხვევაში ის შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს სახსრებით, რომელთა ოდენობა უახლოვდება საარსებო მინიმუმს; სხვა შემთხვევაში კი, პრაქტიკულად, რაიმე სახსრები არ გააჩნდეს.

მშობლები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ საარსებო სახსრებით სრულწლოვანი შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ ალიმენტის გადახდის საშუალება. თეორიულად შესაძლებელია ალიმენტის გადახდევინება, თუ თვითონ მშობელს აქვს საარსებო მინიმუმზე ნაკლები სახსრები. ასეთი აზრი ეფუძნება იმ წარმოდგენას, რომ მშობლები და შვილები, როგორც ერთმანეთისთვის ყველაზე ახლო ადამიანები, უნდა არჩენდნენ ერთმანეთს, მიუხედავად თავიანთი მატერიალური შესაძლებლობისა. მაგრამ ასეთი წესის შენარჩუნების აუცილებლობა მეტყველებს იმაზე, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია, თავის თავზე აიღოს ვალდებულებები შრომისუუნარო პირების არსებობისათვის ნორმალური პირობებით უზრუნველსაყოფად.

მშობლების ვალდებულება, არჩინონ თავიანთი სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილები, არის პირველი რიგის საალიმენტო ვალდებულება. ეს ნიშნავს, რომ მშობლებმა უნდა გადაუხადონ ალიმენტი შვილებს, მიუხედავად იმისა, არსებობენ თუ არა სხვა პირებიც, რომლებსაც ევალებათ მათთვის ალიმენტის გადახდა. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში იქნება მიღებული, ჰყავს თუ არა ალიმენტის მიმღებს მეუღლე ან სრულწლოვანი შვილები, რომლებიც მის მიმართ პირველი რიგის ალიმენტვალდებული პირები არიან.

ალიმენტის ოდენობა განისაზღვრება ალიმენტის მიმღებისა და გადამხდელის მატერიალური მდგომარეობების შედარების გზით. ამ დროს, თუ გადამხდელის შემოსავლები ამის საშუალებას იძლევა, სასამართლო უნდა ეცადოს, ალიმენტის გადახდევინების შემდეგ ალიმენტის მიმღები საარსებო მინიმუმის ფარგლებში იყოს უზრუნველყოფილი. ბავშვებისათვის ოჯახის დაშლამდე არსებული ცხოვრების დონის შენარჩუნების პრინციპი სრულწლოვანი შვილების შემთხვევაში არ მოქმედებს.

საინტერესოა სამოქალაქო კოდექსის 1338-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, „არაშრომისუნარიან პირებს, რომლებიც მამკვიდრებლის რჩენაზე იყვნენ და დამოუკიდებლად თავის შენახვა არ შეუძლიათ, თუ მათ შესახებ ანდერძში მითითებული არ არის, უფლება აქვთ მოითხოვონ სარჩო (ალიმენტი) სამკვიდროდან. თანხის ოდენობა, რაც გადახდილ უნდა იქნეს სარჩოს სახით, შეიძლება შემცირდეს სამკვიდროს აქტივის მოცულობის გათვალისწინებით“. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ამ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსმა გამორიცხა ხსენებულ პირთა სამკვიდრო ქონებაზე მემკვიდრეობის მიღების უფლება.[352]

ალიმენტის გადახდის გარდა, მშობლებს შეიძლება დაეკისროთ ბავშვის მოთხოვნილებებთან დაკავშირებულ დამატებით ხარჯებში მონაწილეობა, რაც შეიძლება გამოიხატოს განსაკუთრებულ ვითარებებში: ბავშვის მძიმე ავადმყოფობა, დასახიჩრება, მოვლის აუცილებლობა და სხვ.

ასეთი შემთხვევების დროს სასამართლო უფლებამოსილია, დაავალდებულოს მშობლები, მიიღონ მონაწილეობა როგორც ფაქტობრივად არსებულ, ასევე მომავალში გასაწევ დამატებით ხარჯებში. ფაქტობრივი ხარ-

---

[352] *ძნელაძე ნ.,* სავალდებულო წილის ინსტიტუტის პრობლემები მემკვიდრეობით სამართალში, სამართალი №6-7, 2000, 68, <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/jur%20samartali%202000%20w(6-7).pdf>, [11.05.2015].

ჯები შეიძლება იყოს დადასტურებული შემდეგი საბუთებით: სამედიცინო დასკვნა დამატებითი კვების, სანატორიულ-საკუროტრო მკურნალობის აუცილებლობის შესახებ; ცნობები სურსათის, წამლების ღირებულების შესახებ და სხვ. უნდა აღვნიშნოთ, რომ დასადასტურებელია როგორც უკვე გაწეული დამატებითი ხარჯები, ასევე მომავალში გასაწევიც. სასამართლო პრაქტიკაში ხანდახან აკმაყოფილებენ სარჩელს დამატებითი ხარჯების შესახებ მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ ბავშვი ავადაა და მკურნალობას საჭიროებს. ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა დაადგინოს, რა სახის დამატებითი ხარჯები არის უკვე გაწეული, რა მიზნით, რა ოდენობით და სხვ., ან რა კონკრეტული ხარჯები იქნება საჭირო მომავალში.

სასამართლო ავალდებულებს მშობლებს, დამატებით ხარჯებში მიიღონ მონაწილეობა ყოველთვიური გარკვეული მყარი ფულადი თანხის გადახდით. სასამართლო უფლებამოსილია, გაითვალისწინოს მატერიალური, ოჯახური და მხარეთა სხვა არსებითი ინტერესები.

§4.5. მშობლების რჩენის ვალდებულება

კანონი ითვალისწინებს არა მარტო მშობლების მიერ შვილების რჩენის მოვალეობას, არამედ, ჰუმანურობის პრინციპიდან გამომდინარე, იგი სრულწლოვან შრომისუნარიან შვილებს ავალდებულებს, არჩინონ შრომისუუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ და იზრუნონ მათზე, რაც ნიშნავს მათ უზრუნველყოფას მოხუცებულობის ჟამს დახმარებებითა და პენსიით, სამედიცინო მომსახურებით. ჰააგის 2007 წლის ოქმის მე-4 მუხლის მესამე პუნქტი პირდაპირ აღიარებს ამ ვალდებულებას.[353] შვილების ასეთი ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როდესაც მშობელს, კანონის თანახმად, არა აქვს პენსიის მიღების უფლება, ან მისი ოდენობა არასაკმარისია.

ოჯახში, როგორც წესი, სრულწლოვანი შვილები არჩენენ მშობლებს და ზრუნავენ მათზე ყოველგვარი იძულების გარეშე, მაგრამ, თუ მაინც არიან ისეთი შვილები, რომლებიც უარს ამბობენ თავიანთი მშობლების მატერიალურ დახმარებაზე, მაშინ, კანონის საფუძველზე, მათ შეიძლება დაეკისროთ ამის გაკეთება იძულებითი წესით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1218-ე მუხლის თანახმად, სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილები მოვალენი არიან, არჩინონ შრომისუუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ, აგრეთვე იზრუნონ მათზე.

შვილების საალიმენტო ვალდებულება წარმოიშობა სრულწლოვანების, ე.ი. 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ (იმ შემთხვევების გარდა, როცა სრულწლოვანი პირი შრომისუუნაროა), ვინაიდან ამ ასაკს მიღწევამდე მათ თვითონ აქვთ უფლება, მიიღონ ალიმენტი მშობლებისაგან. არასრულწლოვანი შვილის მიერ დამოუკიდებელი ხელფასის (შემოსავლის) ქონა არ არის საფუძველი იმისათვის, რომ მას გადახდეს ალიმენტი მშობლის სარჩენად, ისევე როგორც სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილის

[353] იხ. Protocol on the the Law Applicable to Maintenance Obligations, Concluded 23 November, 2007, http://www.hcch.net/index_en.php?act=conventions.text&cid=133, [29.10.13].

უსახსრობა არ ათავისუფლებს მას მშობლის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდის მოვალეობისაგან (მაგალითად, გათხოვილ ქალიშვილს, რომელსაც არა აქვს დამოუკიდებელი ხელფასი, შემოსავალი, შეიძლება დაეკისროს მშობლების რჩენის მოვალეობა სათანადო წესების დაცვით).

მშობლებს უფლება არა აქვთ, მოითხოვონ ალიმენტი იმ შვილებისაგან, რომლებიც გაშვილებული არიან სხვა პირებზე, რამდენადაც შვილად აყვანილი პირი კარგავს პირად და ქონებრივ უფლებებს და თავისუფლდება თავისი ბიოლოგიური მშობლებისა და ნათესავების მიმართ ვალდებულებებისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაშვილებს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ერთ-ერთ მშობელთან შენარჩუნებული აქვს სამართლებრივი ურთიერთობა. მშობლებს შეუძლიათ, თავიანთ შვილებთან დადონ შეთანხმება სარჩოს ოდენობისა და პირობების შესახებ. ასეთი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, მშობლებს უფლება აქვთ, მოითხოვონ ალიმენტის გადახდევინება სასამართლო წესით. შეთანხმება ალიმენტის გადახდის შესახებ შეიძლება არასრულწლოვან შვილებთანაც დაიდოს. არასრულწლოვანი შვილები, თუნდაც მათ ჰქონდეთ სრული სამოქალაქო ქმედუნარიანობა, ემანსიპაციის ან დაქორწინების შემთხვევაში, არ არიან ვალდებულნი, გადაუხადონ მშობლებს ალიმენტი. ეს სამართლიანია იმ პირთა მიმართ, ვინც დაქორწინდა 18 წლის ასაკამდე.

ემანსიპირებულ შვილებთან დაკავშირებით ეს გაცილებით უფრო რთულია. ემანსიპაციის საფუძველია ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანი მუშაობს შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ან სამეწარმეო საქმიანობითაა დაკავებული. შესაბამისად, მას აქვს გარკვეული შემოსავალი და, ვფიქრობ, საალიმენტო ვალდებულებისაგან მისი გათავისუფლების საფუძველი არ არსებობს, თუმცა სამოქალაქო კოდექსი ამ საკითხს სხვაგვარად არეგულირებს. როგორც კანონი ამბობს, ვალდებულება ეკისრება მხოლოდ სრულწლოვან შვილებს. შესაბამისად, არასრულწლოვანი შვილები ან ემანსიპირებულნი არ არიან ვალდებულნი, არჩინონ თავიანთი მშობლები. ამ თვალსაზრისით, უფრო საინტერესოა სამოქალაქო კოდექსის 1218-ე მუხლის ახსნა, რომლის თანახმადაც, მშობლებზე ზრუნვა ევალებათ მხოლოდ სრულწლოვან შვილებს. ე.ი., თუ არასრულწლოვანმა შეიძინა სრული ქმედუნარიანობა ემანსიპაციის ან დაქორწინების შედეგად, მას, როგორც არასრულწლოვანს, არ აკისრია ვალდებულება დამატებითი ხარჯების გადახდაზე, თუნდაც ეს ხარჯები მშობლების მძიმე ავადმყოფობასთან, დასახიჩრებასა და სხვ. მოვლენებთან იყოს დაკავშირებული. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, პირველ ადგილზე აღმოჩნდა არასრულწლოვანი ბავშვების ინტერესების დაცვის გარანტიის სურვილი.

მშობლების შრომისუუნაროობა და დახმარების აუცილებლობა განისაზღვრება ისევე, როგორც სრულწლოვანი შვილების რჩენის შემთხვევაში: ალიმენტი ინიშნება მყარი ფულადი თანხის სახით, რომლის ოდენობა სასამართლოს მიერ იქნება დადგენილი მშობლებისა და შვილების მატერიალური, ოჯახური მდგომარეობებისა და სხვა საყურადღებო გარემოებების გათვალისწინებით.

შვილები ვალდებულნი არიან, არჩინონ შრომისუუნარო მშობლები, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ საამისო სახსრები. ამიტომ საალი-

მენტო ურთიერთობები წარმოიქმნება, თუნდაც შვილები თვითონ იმყოფებოდნენ მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში, მაგრამ ეს გარემოება ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას იქნება გათვალისწინებული.

შვილების მიერ მშობლების რჩენის ვალდებულება პირველი რიგის საალიმენტო ვალდებულებაა. თუ მშობლებს, მოპასუხის გარდა, ჰყავს სხვა სრულწლოვანი შვილებიც, რომლებიც ვალდებულნი არიან, მშობლები სარჩოთი უზრუნველყონ, სამოქალაქო კოდექსის 1219-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას ისინიც იქნებიან გათვალისწინებულნი, მიუხედავად იმისა, მიმართეს თუ არა მათ სარჩელით.

მშობლების უფლებაა, მოსთხოვონ ალიმენტის გადახდა ერთ შვილს ან რამდენიმეს და, იმავდროულად, არ მიმართონ დანარჩენ შვილებს დახმარებისათვის. მათ, შეიძლება, არ სურდეთ რომელიმე შვილისგან ალიმენტის მიღება პირადული მიზეზების ან იმის გამო, რომ ეს შვილები იმყოფებიან „გაჭირვებულ“ მდგომარეობაში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ, თუ მშობლებმა სარჩელი მხოლოდ რამდენიმე შვილს წარუდგინეს, მაშინ მხოლოდ მათ უნდა დააწვეს მშობლების რჩენის ტვირთი. ამიტომ ალიმენტის განსაზღვრისას სასამართლო გაითვალისწინებს თანხებს, რომლებიც შეიძლება ალიმენტის გადახდევინების შემთხვევაში მშობლებმა ყველა სრულწლოვანი შვილისაგან მიიღონ.

მშობლებს უფლება აქვთ, ალიმენტის მისაღებად მიმართონ თავიანთ მეუღლეებს ან ყოფილ მეუღლეებს, ან თავიანთ მშობლებს, რომლებიც მათ მიმართ ასევე არიან პირველი რიგის ალიმენტვალდებული პირები. ამ პირების არსებობა მშობლების ოჯახურ მდგომარეობას ახასიათებს და შეიძლება გავლენა მოახდინოს გადასახდელი ალიმენტის ოდენობაზე.

თუ სასამართლო დაადგენს, რომ მშობლები, რომლებიც შვილებისაგან ალიმენტს მოითხოვენ, წარსულში შვილების რჩენას თავს არიდებდნენ, მაშინ შვილები მშობლების რჩენის ვალდებულებისაგან გათავისუფლდებიან. ამ დროს არ არის აუცილებელი, რომ მშობლები იყვნენ გასამართლებულნი ალიმენტის ბოროტად გადაუხდელობის გამო. საკმარისია დამტკიცდეს, რომ წარსულში ისინი საპატიო მიზეზების არარსებობის შემთხვევაში არ უზრუნველყოფდნენ თავიანთ შვილებს. ეს ნორმა (სსკ-ის 1218-ე მუხლის მე-3 პუნქტი) არის სანქცია, რომელიც გამოიყენება მშობლების მიმართ მშობელთა მოვალეობების შეუსრულებლობის გამო. თავისი სამართლებრივი ბუნებით ეს ნორმა განსაზღვრავს პასუხისმგებლობის დონეს და შეიძლება იყოს გამოყენებული, თუ მშობლები დანაშაულებრივად მოქმედებდნენ. თვითონ ტერმინი „თავის არიდება“ ყოველთვის ბრალეულობის განზრახ ფორმას გულისხმობს.

შვილები გათავისუფლდებიან მშობლების რჩენის ვალდებულებისაგან, თუ მშობლებს ჩამორთმეული ჰქონდათ მშობლის უფლებები და ეს უფლებები არ იყო აღდგენილი.

სამოქალაქო კოდექსის 1218-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ავალდებულებს შვილებს, არა მხოლოდ მატერიალურად უზრუნველყონ მშობლები, არამედ იზრუნონ მათზე. ამ შემთხვევაში საუბარია პირად მოვლაზე და დახმარების სხვა სახეებზე. ზრუნვის ვალდებულება არ შეიძლება ვინმეს განახორციელებინო იძულებით. არ შეიძლება, ვინმე გახდეს ვალდებული,

იზრუნოს სხვაზე სასამართლოს დადგენილების საფუძველზე, რადგან ამ შემთხვევაში წარმოიშობა ურთიერთობები, რომლებიც იმდენად დაკავშირებულია პიროვნულთან, რომ შეუძლებელია, ვინმე აიძულო, ეს გააკეთოს. მაგრამ მშობლებისათვის დახმარების აღმოჩენა შეიძლება ალიმენტის დანიშვნის დროს იყოს გათვალისწინებული. მაგალითად, თუ მშობელი, რომელსაც სჭირდება მოვლა, მიმართავს თავის შვილებს ალიმენტის მისაღებად, მაშინ შვილი, რომელიც მას უვლის, უფლებამოსილია, მოითხოვოს მასზე დაკისრებული ალიმენტის ოდენობის შემცირება.

კანონში არ არსებობს მითითებები იმ შემთხვევებისათვის, როდესაც შრომისუნარიანი შვილები უარს ამბობენ მუშაობაზე და არანაირი ქონება არ გააჩნიათ. როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ შრომისუნარიანი სრულწლოვანი შვილი სასამართლოს დადგენილებით ვალდებულია, არჩინოს თავისი მშობლები, უარს ამბობს მუშაობაზე? საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის თანახმად, მოქალაქის შრომა თავისუფალია, იძულებითი შრომა კი – აკრძალული. მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად, ასეთი პირების მიმართ ვერ აღძრავ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. ამიტომ უნდა ვაღიაროთ, რომ სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილების ვალდებულება, არჩინონ თავიანთი მშობლები, ასეთ სიტუაციაში სანქციით არ არის უზრუნველყოფილი, თუ შვილები ამ ვალდებულებას თავს განზრახ აარიდებენ. მხოლოდ ერთი რჩება – უნდა დაისვას საკითხი ასეთი შვილებისათვის მშობლებისაგან მემკვიდრეობის უფლების დაკარგვის შესახებ.

შვილები შეიძლება განთავისუფლდნენ მშობლების რჩენის ვალდებულებისაგან, თუ სასამართლოში დამტკიცდება მშობლების მხრიდან შვილების რჩენაზე თავის არიდების ფაქტი. ჩანს, რომ შვილების ალიმენტის გადახდევინებისაგან გათავისუფლება დაკავშირებულია არა მშობლების მხრიდან ალიმენტის გადახდაზე ბოროტად თავის არიდებასთან, არამედ მშობლის მოვალეობების შესრულებაზე თავის არიდებასთან, მათ შორის – ალიმენტის გადაუხდელობის შემთხვევაში ბოროტად თავის არიდების ნიშნის კვალიფიკაციის გარეშე. არსებობს მოსაზრება და, ზოგიერთი ქვეყნის კანონითაც განმტკიცებულია, რომ, თუ მშობლები უარს ამბობენ მუშაობაზე და ამის გამო სახსრები ალიმენტის გადახდისათვის არ გააჩნიათ, შესაძლებელია, მშობლის უფლების ჩამორთმევა არა მხოლოდ ალიმენტის ურჩად გადაუხდელობის გამო, არამედ ნებისმიერი სახის თავის არიდების შემთხვევაში, მათ შორის, საპატიო გარემოებების არარსებობის დროს სამუშაოზე უარის თქმის დროსაც.

საინტერესოა შემთხვევა, როცა მშობლებს ჩამორთმეული ჰქონდათ მშობლის უფლება, ანუ საკითხი იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწევა შვილებისაგან ალიმენტის მიღების სარჩელს, როცა ადრე მშობლებს ჩამოერთვათ მშობლის უფლებები (აგრეთვე, მათი მხრიდან ალიმენტის გადახდისაგან ბოროტად თავის არიდების შემთხვევაში), შემდგომში კი მათ აღუდგინეს თავიანთი უფლებები? იყო თუ არა თავის არიდება? მართებულად მიმაჩნია, რომ მშობელთა უფლებების აღდგენის შემთხვევაში სრული მოცულობით უკლებლივ ყველა უფლება უნდა იქნეს აღდგენილი.

რაც შეეხება სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობებში შვილების მიერ მშობლების რჩენის ვალდებულების დარეგულირებას, უნდა აღინიშნოს,

რომ სკანდინავიური ქვეყნები ამგვარ სარჩელს არ ცნობენ; იგივე სიტუაციაა ინგლისშიც; აშშ-ის ბევრ შტატში კი შვილების მხრიდან დახმარების საჭიროების მქონე მშობლების რჩენის მოვალეობა აღიარებულია, თუმცა ასეთი რეგულაციები არსებითად არარელევანტურია პრაქტიკაში, ვინაიდან შვილის მოვალეობის შესახებ არსებული კანონების გამოყენება არასოდეს არ მოუთხოვიათ; ამის საპირისპიროდ, ამგვარი დახმარების მოთხოვნის დიდი ტრადიცია არსებობს ცენტრალური ევროპის დანარჩენ ქვეყნებში, ასევე რუსეთის ფედერაციაში, პოლონეთში, ჩეხეთსა და უნგრეთში, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, სადაც ახალგაზრდა თაობისაგან უფროსების დახმარების მოვალეობა ჩვეულებრივ მოვლენად არის მიჩნეული და ხშირად აღიქმება როგორც სისტემის ელემენტარული კომპონენტი უფროსების უსაფრთხოებისათვის, აზიის უმეტესი ქვეყნების მსგავსად.

თუმცა ეს ქვეყნები, სადაც შვილების მიერ თავიანთი მშობლების მიმართ ზრუნვის ვალდებულება აღიარებულია, ხშირად დგანან ხოლმე პრობლემის წინაშე, რაც ცხარე განხილვის საგანი ხდება: ასაკოვანი მშობლები – განსაკუთრებით ინდუსტრიულ ქვეყნებში – ხშირად ცხოვრობენ მოხუცებულთა ძვირადღირებულ დაწესებულებებში, რომელთა ღირებულების გადახდაც მათ თავიანთი მოკრძალებული შემოსავლებით არ შეუძლიათ. ამგვარად, 50-დან 60 წლამდე ასაკის შვილებს ეკისრებათ არა მარტო თავიანთი მშობლების, არამედ ასევე საკუთარი შვილების მოვლის ვალდებულება, რომლებიც ძვირადღირებულ უნივერსიტეტებში სწავლობენ. გერმანიაში ხალხი უკვე საუბრობს 50-დან 70 წლამდე ასაკის ადამიანების „სენდვიჩის პოზიციაზე“, რადგანაც ამ შემთხვევაში, ხსენებული კატეგორიის ადამიანებს ზოგჯერ ორი მიმართულებით ეკისრებათ დახმარების გაწევის მოვალეობა. აქ დგება საკითხი იმის შესახებ, დახმარების რომელი კონკრეტული ვალდებულება შეიძლება დაეკისროთ მოზრდილ ვაჟიშვილებსა და ქალიშვილებს თავიანთი მშობლების მიმართ. გერმანიაში საერთო სამართალმა შეიმუშავა პრინციპები ე.წ. „თვითდახმარების პრიორიტეტისათვის“ დახმარების ვალდებულების მქონე პირებს შორის, სადაც განმარტებულია, რომ პირადად გამოყენებული მიწებისა და პირადად დაკავებული რეზიდენციების გაყიდვა დაუშვებელია დახმარების ვალდებულების შესასრულებლად. გერმანიაში, როგორც სხვა ინდუსტრიულ სახელმწიფოებში, დახმარების პირად მოვალეობასა და საჯარო სოციალურ დახმარებას შორის ურთიერთობის საკითხი გადაუჭრელად რჩება. ადამიანს, რომელიც ფინანსურ სიდუხჭირეს განიცდის, შეუძლია სცადოს და დახმარება ორი გზით მოიპოვოს: მას შეუძლია, სარჩელი შეიტანოს საკუთარი შვილების წინააღმდეგ, რათა მათგან რჩენის თანხა მოითხოვოს, ან სოციალური დახმარება მოითხოვოს სახელმწიფოსაგან. რადგანაც სოციალური დახმარება არსებითად სუბსიდიურ საფუძველზე გაიცემა ხოლმე, სახელმწიფომ შეიძლება მოითხოვოს ანაზღაურება იმ ნათესავებისაგან, რომელთაც დახმარების ვალდებულება ეკისრებათ. თუმცა ის საკითხი, ეცდება თუ არა სახელმწიფო ამგვარი ანაზღაურების უზრუნველყოფას, მეტწილად დისკუსიის საგანი ხდება ხოლმე.[354]

---

354 იხ. *Frank R.,* (Emeritus der Albert- Ludwigs-Universität Freiburg, Germany), Family Solidarity in Support and Inheritance Law, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 9, 10.

§4.6. მშობლებისა და შვილების ურთიერთობები დამატებით ხარჯებთან დაკავშირებით

შვილებს, ასევე მშობლებს, გარდა საალიმენტო ვალდებულებებისა, შეიძლება დაეკისროთ დამატებით ხარჯებში მონაწილეობა. როგორც წესი, ამ ხარჯების დასაფარავად სახსრების მოძიება ნებაყოფლობით ხდება. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი სახსრების მიმღებსა და გადამხდელს შორის იდება შეთანხმება. შეთანხმება შეიძლება შედგეს იმ ხარჯების შესახებაც, რომლებიც არ არის უპირობოდ აუცილებელი და რომელთა ამოღება შეუძლებელია სასამართლო წესით. მაგალითად, მშობლებს უფლება აქვთ, შეთანხმდნენ ფასიან სასწავლებელში შვილის სწავლის ხარჯების გაწევაზე, ასევე მისი დამატებითი მეცადინეობის, საზაფხულო დასვენების ანაზღაურების ხარჯებთან დაკავშირებით.

მშობლებმა და შვილებმა შეიძლება დადონ შეთანხმება სრულწლოვანი შვილების რჩენისა და მათი სწავლის ხარჯების დაფარვის შესახებ. მოქმედი კანონმდებლობით, ასეთ შემთხვევებში ალიმენტის გადახდევინება არ არის გათვალისწინებული, მაგრამ ვერავინ ვერ აუკრძალავს მხარეებს, გაითვალისწინონ ასეთი ვალდებულება მათ მიერ დადებულ შეთანხმებაში. ასეთი შეთანხმება კანონიერია და ექვემდებარება იძულებით აღსრულებას. მის მიმართ გამოიყენება საალიმენტო გადახდევინების შესახებ ნორმები.

თუ დამატებით ხარჯებში მონაწილეობის შესახებ შეთანხმება არ არსებობს, მშობლები და შვილები, რომლებსაც სასამართლო წესით ალიმენტის მიღების უფლება აქვთ, უფლებამოსილნი არიან, შეიტანონ სარჩელი დამატებითი ხარჯების გადახდევინების შესახებ, თუ ეს ხარჯები კანონით გათვალისწინებული განსაკუთრებული გარემოებებითაა გამოწვეული.

მშობლები ვალდებულნი არიან, მონაწილეობა მიიღონ არასრულწლოვანი და სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილების დამატებითი ხარჯების გადახდაში. სრულწლოვან შვილებს ასეთივე ვალდებულება აკისრიათ შრომისუუნარო გაჭირვებული მშობლების მიმართ. ასეთი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია, დამატებითი ხარჯების მოთხოვნა გამოწვეული იყოს ასევე განსაკუთრებული გარემოებებით (მაგალითად, პირის მძიმე ავადმყოფობის ან დასახიჩრების მოვლის ანაზღაურება და სხვა განსაკუთრებული შემთხვევები). ზოგჯერ დამატებითი ხარჯები ერთჯერად ხასიათს ატარებს. ამ სიტუაციაშიც მათ ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს.

დამატებითი ხარჯების გადახდის საჭიროება შეიძლება იყოს უფრო ხანგრძლივი. მაშინ მათი ოდენობა განისაზღვრება სასამართლოს მხრიდან მყარი ფულადი თანხის სახით, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს ყოველთვიურად. ამ თანხის ოდენობა დამოკიდებულია, პირველ რიგში, დამატებითი ხარჯების აუცილებლობაზე და გადამხდელის მატერიალურ მდგომარეობაზე. გათვალისწინებული იქნება ორივე მხარის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა და სხვა საყურადღებო გარემოებები. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა უზენაესი სასამართლოს მოსაზრება, რომელიც მიიჩნევს, რომ „საალიმენტო ვალდებულებათა მიზანია

ბავშვის აღზრდისა და რჩენისათვის ნორმალური პირობების შექმნა. საალიმენტო სახსრები შეიძლება არ იყოს საკმარისი იმ დამატებითი ხარჯების განსახორციელებლად, რაც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით. ეს არის განსაკუთრებული გარემოებების გამო დამატებით ხარჯებში მონაწილეობა და არა ბავშვის სარჩენი ხარჯების დამატებით გადახდევინება. ამიტომ მისი ოდენობა უნდა განისაზღვროს ფაქტობრივად გაწეული ხარჯების (ან მომავალში აუცილებლად გასაღები ხარჯების) გათვალისწინებით, მყარი თანხებით, და არ შეიძლება მისი წილობრივი დაკავშირება ხელფასის ან სხვა შემოსავლის ოდენობასთან. დამატებით ხარჯებში მოპასუხე მშობელი მონაწილეობს ერთჯერადი გადასახდელის სახით ან განსაზღვრული დროით განსაზღვრული თანხების გადახდით".[355]

შრომისუუნარო მშობლების სარჩენად დამატებითი სახსრების გადახდევინებისას სასამართლო მხედველობაში მიიღებს ყველა სრულწლოვან შვილს, რომლებიც ვალდებულნი არიან, მონაწილეობა მიიღონ მშობლების რჩენაში, მიუხედავად იმისა, სარჩელი წარდგენილია რომელიმე მათგანისა თუ ყველა შვილის მიმართ.

§4.7. ალიმენტის გადახდისა და გადახდევინების წესი

ალიმენტის გადახდა ხდება ნებაყოფლობით ან, საოჯახო უფლებების დაცვისა და საალიმენტო ვალდებულებების დროულად შესრულების უზრუნველსაყოფად, იძულების წესით. იძულების წესით (სასამართლო გადაწყვეტილებით) ალიმენტის გადახდევინების აუცილებლობა დგება მაშინ, როდესაც პირი უარს აცხადებს, ნებაყოფლობით გადაიხადოს ალიმენტი, ან, თუ დაობენ ალიმენტის ოდენობის შესახებ, აგრეთვე მაშინაც, როდესაც არსებობს დავალიანება ალიმენტის გამო და დგება ალიმენტის ოდენობის შემცირების ან გაზრდის, ან ალიმენტის გადახდისაგან გათავისუფლების აუცილებლობა.

ალიმენტის ნებაყოფლობით გადახდა ხდება მაშინ, როდესაც ალიმენტს იხდის პირადად ალიმენტვალდებული პირი თავისი სამუშაო, პენსიის ან სტიპენდიის მიღების ადგილის მიხედვით. ალიმენტის ნებაყოფლობით გადახდის წესი არ გამორიცხავს ალიმენტის მიმღების უფლებას, ნებისმიერ დროს მიმართოს სასამართლოს სარჩელით ალიმენტის გადახდევინების შესახებ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1232-ე მუხლი). „ასეთი სარჩელის წარდგენა შეიძლება მაშინაც, როდესაც ალიმენტის გადამხდელი სადავოდ არ ხდის მას და სათანადოდ ასრულებს ალიმენტის გადახდის მოვალეობას".[356]

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია, ალიმენტის გადამხდელის განცხადების, ნოტარიულად დამოწმებული საალიმენტო შეთანხმების ან სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე ყოველთვიურად უკავებს მას ალიმენტს და გადაუხდის ან გადაუგზავნის განცხადე-

---

[355] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე № ას-180-507-09, თბ., 25 ივნისი, 2009, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [25.03.2014].

[356] *ჩიკვაშვილი შ.,* საოჯახო სამართალი, „მერიდიანი", თბ., 2004, 393.

ბაში, საალიმენტო შეთანხმებაში ან სააღსრულებო ფურცელში მოხსენიებულ პირს ხელფასის (დახმარების, პენსიის, სტიპენდიის და სხვ.) გაცემის დღიდან არა უგვიანეს სამი დღისა. აქედან გამომდინარე, საფუძველი ალიმენტის დაკავებისა სწორედ ეს სამი დოკუმენტია, თუმცა ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა მართებულად მიიჩნევს ალიმენტის დაკავების საფუძვლად სასამართლო ბრძანებასაც. უნდა აღინიშნოს, რომ ალიმენტის დაკავების რიგითობა ნოტარიულად დამოწმებული საალიმენტო შეთანხმების, სააღსრულებო ფურცლის ან სასამართლო ბრძანების საფუძველზე ერთნაირია, ვინაიდან ყველა ეს დოკუმენტი მიეკუთვნება სააღსრულებო დოკუმენტებს.

პირს, რომელიც ნებაყოფლობით იხდის ალიმენტს, უფლება აქვს, ნებისმიერ დროს გაზარდოს მისი ოდენობა ან შეწყვიტოს გადახდა, რის შესახებაც შეაქვს წერილობითი განცხადება. ბუღალტერია (საანგარიშსწორებო განყოფილება) ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს ალიმენტის მიმღებ პირს მოქალაქისაგან ასეთი განცხადების შეტანის შესახებ.

ვინაიდან განცხადებას ალიმენტის ნებაყოფლობით გადახდის შესახებ არ გააჩნია სააღსრულებო ფურცლის ძალა, რომელიც გაცემულია სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სხვა სამუშაო ადგილზე გადასვლის ან საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისას, ალიმენტი დაუკავდება პირს მის მიერ ხელახლა შეტანილი განცხადებით.

ნოტარიულად დამოწმებული საალიმენტო შეთანხმება შესაძლებელია წარედგინოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას აღსასრულებლად, ალიმენტვალდებული პირის სამუშაო ადგილის მიხედვით და ეს შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი მხარის (როგორც ალიმენტის მიმღების, ასევე ალიმენტვალდებულის) მიერ, ან ეს შეთანხმება წარედგინება სასამართლოს აღმასრულებელს.

სასამართლო ბრძანება ალიმენტის გადახდის შესახებ სხვადასხვა ქვეყანაში (მაგალითად, რუსეთში), იმავდროულად, სააღსრულებო დოკუმენტია და ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას. „სასამართლო ბრძანების ასლს მოსამართლე გადასცემს ალიმენტის მიღებაზე უფლებამოსილ პირს (ან მის კანონიერ წარმომადგენელს). მისივე თხოვნით, ეს ბრძანება შეიძლება სასამართლოს მიერ გადაეცეს სასამართლოს აღმასრულებელს“.[357] სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე ალიმენტის დაკავება ხდება იმ ოდენობით, რაც აღნიშნულია სააღსრულებო ფურცელში. მაგალითად, იტალიის კანონმდებლობის მიხედვით, „თუ მშობლები ბავშვების მიმართ თავიანთ მოვალეობებს არ ასრულებენ, მაშინ სასამართლოს თავმჯდომარემ საქმის განხილვისა და არაკეთილსინდისიერი მშობლის ჩვენების მოსმენის შემდეგ შეიძლება გამოიტანოს გადაწყვეტილება, რომელიც ამ მშობელს დაავალდებულებს, თავისი შემოსავლების ნაწილი პირდაპირ გადაურიცხოს მეორე მშობელს, ან სხვა პირს, რომელიც ფაქტობრივად ხარჯებს გაიღებს ბავშვის რჩენაზე, აღზრდასა და განათლებაზე. ასეთ გადაწყვეტილებას სააღსრულებო დოკუმენტის ძალა აქვს, მაგრამ შეიძლება გასაჩივრდეს 20-დღიან ვადაში მას შემდეგ, რაც

---

357 *Пчелинцева Л. М.*, Комментарий к Семейному кодексу Российской Федерации, 3-е издание, «Норма», М., 2004, 427-428.

ეცნობება დაინტერესებულ პირებსა და მოვალეს. გარდა ამისა, არაკეთილსინდისიერ მშობელს დაეკისრება როგორც მორალური, ასევე „ემოციური“ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მიადგა ბავშვს მისი საარსებო სახსრების სიმწირის გამო“.[358]

თუ მოვალის სამუშაო ადგილზე გადაიგზავნება სხვადასხვა ხასიათის რამდენიმე სააღსრულებო ფურცელი (დავალიანება ალიმენტის, კრედიტის, ბინის გადასახადისა და სხვათა გამო), მაშინ სასამართლოს აღმასრულებელმა უნდა დაადგინოს დავალიანების გადახდის რიგითობა. პირველ რიგში, უნდა დაკმაყოფილდეს საალიმენტო მოთხოვნა.

იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციამ, რომელიც აკავებს ალიმენტს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სამი დღის განმავლობაში უნდა აცნობოს სასამართლოს აღმასრულებელსა (გადაწყვეტილების აღსრულების ადგილის მიხედვით) და ალიმენტის მიმღებ პირს სამსახურიდან ალიმენტის გადამხდელი პირის წასვლის შესახებ, აგრეთვე მისი ახალი სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის თაობაზე, თუ ეს მისთვის ცნობილია.

თუ საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ბრალით, სადაც ალიმენტის გადამხდელი მუშაობს, არ იქნება დაკავებული გადასახდელი თანხა, ალიმენტის მიმღებს უფლება აქვს, წარადგინოს სარჩელი მისი გადახდის შესახებ. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას უფლება აქვს, დააყენოს საკითხი იმ პირის მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ, რომელსაც ბრალი მიუძღვის ზიანის მიყენებაში.

სასამართლოს წესით ალიმენტის გადახდევინება შესაძლებელია ალიმენტის გადახდის შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში. საწინააღმდეგო შემთხვევაში, უნდა გაუქმდეს საალიმენტო შეთანხმება და ამის შემდეგ შევიდეს სასამართლოში სარჩელი ალიმენტის გადახდევინების შესახებ. ამ დროს არ არის გამორიცხული სარჩელში საალიმენტო შეთანხმების გაუქმებისა და ალიმენტის გადახდევინების მოთხოვნათა გაერთიანების შესაძლებლობა.

ალიმენტის გადახდევინება არასრულწლოვანი ბავშვების სასარგებლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს; რაც შეეხება სასამართლო ბრძანებას, იგი ალიმენტის გადახდევინების საკითხის გადაწყვეტის გამარტივებული პროცედურაა. ეს პროცედურა დამახასიათებელია მრავალი ქვეყნის სამართლისათვის და მართებულად მიმაჩნია, გაზიარებულ იქნეს ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობითაც, ვინაიდან ამ შემთხვევაში არ ტარდება სასამართლო ძიება, არ ხდება ალიმენტის გადამხდელისა და ალიმენტის მიმღების სასამართლოში მიწვევა და მათი ახსნა-განმარტებების მოსმენა. მოსამართლეს ერთპიროვნულად გამოაქვს დადგენილება სასამართლო ბრძანების გაცემის თაობაზე. ბრძანება ალიმენტის გადახდევინების თაობაზე შეიძლება გაიცეს მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვების შემთხვევაში, თანაც, თუ ეს მოთხოვნა არ არის დაკავშირებული მამობის დადგენასთან. ამ შემთხვე-

358 *Залесский В.В.,* Семейное право Российской Федерации и иностранных государств, «Юринформцентр», М., 2005, 220.

ვაში სასამართლო ბრძანებით ალიმენტის გადახდევინება შეიძლება განისაზღვროს მტკიცე ფულადი თანხით, მხოლოდ ალიმენტის გადამხდელის ხელფასის ან შემოსავლის გათვალისწინებით.

მოსამართლე უარს ამბობს ბრძანების გაცემაზე, თუ – ალიმენტის გადამხდელი არ ეთანხმება გაცხადებულ მოთხოვნას; მოთხოვნა ეხება ალიმენტის გადახდევინებას სრულწლოვანი შრომისუუნარო ბავშვების სასარგებლოდ; ალიმენტის გადამხდელი სასამართლოს გადაწყვეტილებით უკვე უხდის ალიმენტს სხვა პირებს, ან ხდება გადახდევინება მათ სასარგებლოდ სხვა სააღსრულებო საბუთების საფუძველზე. ალიმენტის გადახდევინების მომთხოვნი პირები ამ შემთხვევაში უფლებამოსილნი არიან, მიმართონ სასამართლოს ამ საკითხის გადასაჭრელად. სასამართლოს მხრიდან შესაბამისი დადგენილების გამოტანამდე მოსამართლე უფლებამოსილია, გამოიტანოს დადგენილება ალიმენტის გადახდევინების შესახებ არასრულწლოვანი ბავშვების სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში, ალიმენტის ოდენობა ბავშვების სასარგებლოდ განისაზღვრება, სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი წესებით, მათ შორის, ალიმენტის გადახდევინებისას სრულწლოვანი შრომისუუნარო ბავშვების სასარგებლოდ ალიმენტის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო მხარეთა მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის მიხედვით.

ალიმენტის გადახდევინება ხორციელდება ალიმენტის გადამხდელის ხელფასიდან ან/და სხვა შემოსავლიდან. მშობლის, როგორც ფიზიკური პირის, ხელფასში ან შემოსავალში არ იგულისხმება შემოსავალი იურიდიული პირისა, რომლის ხელმძღვანელი არის ეს მშობელი. თუ ალიმენტის გადამხდელი არის ინდივიდუალური მეწარმე, ამ შემთხვევაში უნდა იყოს გათვალისწინებული ამ პირის შემოსავალი სამეწარმეო საქმიანობიდან, თანაც მთელი შემოსავალი სრულად, შესაბამისი დაბეგვრის გარეშე.

თუ ხელფასის ან შემოსავლის ოდენობა არ არის საკმარისი, ალიმენტი ამოიღება ალიმენტის გადამხდელის ფულადი სახსრებიდან, რომლებიც ინახება ბანკში ან სხვა საკრედიტო დაწესებულებებში, ან ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემულია კომერციულ ან არაკომერციულ ორგანიზაციებზე, გარდა იმ ხელშეკრულებებისა, რომლებსაც მოჰყვება ქონებრივი უფლებების გადაცემა. თუ თანხების ოდენობა მაინც არ იქნება საკმარისი, მაშინ გადახდევინება ხდება მევალის ნებისმიერი ქონებიდან, მათ შორის გადახდევინება შეიძლება მოხდეს მევალის წილიდან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საწესდებო კაპიტალში და სხვ.

ალიმენტის გადახდევინების მოთხოვნაზე არ ვრცელდება სარჩელის ხანდაზმულობის წესები. ამიტომ პირი, რომელსაც აქვს ალიმენტის მიღების უფლება, უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს სარჩელით, მიუხედავად იმისა, რა დრო გავიდა ალიმენტის მიღების უფლების წარმოშობიდან.

ლიტერატურაში სათანადო ყურადღება არ ექცევა ალიმენტის უფლების წარმოშობის მომენტის დადგენას, ანუ საალიმენტო სამართლებრივ ურთიერთობებს. ეს კი აუცილებელია საალიმენტო დავალიანების საკითხის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული გადაწყვეტისათვის. არის მოსაზრება, რომ „საალიმენტო დავალიანების გადახდევინება ხორციელდება საალიმენტო ვალდებულების წარმოშობის შემდეგ. საალიმენ-

ტო დავალიანება შეიძლება წარმოიშვას როგორც სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით ალიმენტის გადახდის დროს, აგრეთვე ალიმენტის გადახდისას მხარეთა მიერ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე. ამ შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მხარეთა ალიმენტის გადახდაზე შეთანხმების საფუძველზე, წარმოიშობა საალიმენტო ურთიერთობა, შემდეგ კი, ამა თუ იმ მიზეზის გამო, ალიმენტის გადახდა არ ხორციელდება, რაც დავალიანებას იწვევს".[359] შესაბამისად, საალიმენტო ურთიერთობა (საალიმენტო ვალდებულება) წარმოიქმნება ალიმენტის გადახდაზე სასამართლოს გადაწყვეტილების ან შეთანხმების საფუძველზე. მანამდე კი არ არსებობს არც საალიმენტო ურთიერთობა და არც საალიმენტო ვალდებულება.

სხვაგვარად არის ეს საკითხი გადაწყვეტილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, სადაც ნათქვამია, რომ პირს, რომელსაც აქვს ალიმენტის მიღების უფლება, შეუძლია, მიმართოს სასამართლოს ალიმენტის გადახდევინების სარჩელით, მიუხედავად იმისა, რა დრო გავიდა ალიმენტის მიღების უფლების წარმოშობიდან. შესაბამისად, პირები, რომლებიც მიმართავენ სასამართლოს ალიმენტის გადახდევინების სარჩელით, ამით ალიმენტის მიღებაზე საკუთარ უფლებას ახორციელებენ. ეს უფლება არ წარმოიშობა სასამართლოში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან ან მის საფუძველზე. სასამართლო მხოლოდ იცავს და ახორციელებს ამ უფლებას. ეს კი ნიშნავს, რომ სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის არსიც, ერთი მხრივ, არის ალიმენტის მიღების უფლება, მეორე მხრივ კი – მათი გადახდის მოვალეობა, წარმოიშვა უფრო ადრე, ვიდრე დაინტერესებულმა პირმა მიმართა სასამართლოს. ამის გამო არ ვეთანხმები აზრს იმის შესახებ, რომ საალიმენტო სამართლებრივი ურთიერთობები წარმოიშობა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

მშობლებსა და არასრულწლოვან შვილებს შორის საალიმენტო შეთანხმების შედეგად ჩნდება შესაბამისი უფლებები და მოვალეობები, რაც სასამართლოში ალიმენტის გადახდევინების სარჩელის შეტანამდე ან ალიმენტის გადახდაზე შეთანხმების დადებამდე არ არსებობდა.

მაგრამ ჩნდება კითხვა – როდის წარმოიშობა საალიმენტო სამართლებრივი ურთიერთობები (საალიმენტო ვალდებულება) მშობლებსა და სრულწლოვან შვილებს შორის? უკვე აღვნიშნეთ, რომ შვილის აღზრდისა და რჩენის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ვალდებულება მშობლების მხრიდან წარმოიშობა ბავშვის დაბადებისთანავე, მაგრამ ეს ჯერ არ არის საალიმენტო სამართლებრივი ურთიერთობები. ისინი ჩნდებიან მომენტიდან, როდესაც მშობლები აღარ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს ბავშვის მატერიალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, აღარ ზრუნავენ მასზე. ამ მომენტიდან ბავშვს უჩნდება უფლება, მოითხოვოს უზრუნველყოფა საარსებო სახსრებით, ანუ ალიმენტის გადახდა. მშობლებს კი უჩნდებათ მოვალეობა, ბავშვი უზრუნველყონ ასეთი საშუალებებით. ამ დროს მშობლების ვალდებულებები ბავშვის რჩენასთან დაკავშირებით (ამ ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით) გარ-

359 *Антокольская М. В.,* Семейное право, «Юрист», М., 2004, 302.

დაიქმნება საალიმენტო სამართლებრივ ურთიერთობებად და ამ მომენტიდან ბავშვს უჩნდება უფლება, მიიღოს ალიმენტი იმ სახით, როგორც ეს იქნება გათვალისწინებული საალიმენტო შეთანხმებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ალიმენტის გადახდევინების შესახებ.

სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადა, ანუ სასარჩელო ხანდაზმულობა, ასეთი სარჩელებისათვის დადგენილი არ არის ამ ურთიერთობების განსაკუთრებული სუბიექტური შემადგენლობის გამო – შვილი და მამა, შვილი და დედა და სხვ. შეგვიძლია, მივიღოთ ასეთი აზრი – ბავშვისათვის სარჩენი თანხების არმიცემა არის დროებითი ფაქტორი ურთიერთობებში ახლო ნათესავებს შორის, რაც შეიძლება მარტივად იყოს მოგვარებული. მაგრამ უკვე იმ მომენტიდან, როდესაც წყდება ბავშვის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ზრუნვა მასზე, მას უჩნდება უფლება, მოითხოვოს ალიმენტი, მშობლებს კი უჩნდებათ ვალდებულება ბავშვის მიმართ – გადაიხადონ ალიმენტი. სასამართლომ შეიძლება გადაახდევინოს ალიმენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ სასამართლოში სარჩელის შეტანამდე იყო ამ სახსრების მიღების მცდელობა, მაგრამ ვერ იქნა მიღებული, რადგან ალიმენტის გადამხდელი მათ გადახდას თავს არიდებდა. ეს, შესაძლებელია, უარყოფილი იყოს მტკიცებულებებით, რომლებიც ადასტურებენ მშობლის მიერ გადახდისაგან თავის არიდების ფაქტებს. თუ კანონმდებელი გამომდინარეობს კეთილსინდისიერების პრეზუმფციიდან, მაშინ ეს პრეზუმფცია მოქმედებს საოჯახო სამართალშიც.

მიუხედავად იმისა, რომ ალიმენტის გადახდის დაკისრება ხდება მხოლოდ მომავალი დროისათვის, სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტიდან, ალიმენტი წარსული დროისათვისაც შეიძლება იქნეს გადახდევინებული, სამი წლის ფარგლებში.

ზოგიერთი ავტორი ამ ვადას აძლევს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის კვალიფიკაციას და ამტკიცებს, რომ „ზოგადად, როგორც წესი, სასარჩელო ხანდაზმულობა არ ვრცელდება საოჯახო ურთიერთობებიდან გამომდინარე სარჩელებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შელახული უფლების დაცვის ვადა დადგენილია საოჯახო კოდექსით. მაგალითად, ასეთი ვადები დადგენილია შემდეგი შემთხვევებისათვის – გასული პერიოდის ალიმენტი შეიძლება გადაახდევინო სასამართლოში მიმართვის მომენტიდან სამი წლის ფარგლებში, თუ დადასტურდება, რომ სასამართლოში სარჩელის შეტანამდე იყო ალიმენტის მიღების მცდელობა, მაგრამ ალიმენტი არ იქნა მიღებული, რადგან ალიმენტის გადამხდელი ამას თავს არიდებდა. არ იქნება ზედმეტი იმის შეხსენებაც, რომ ვადები სამოქალაქო კოდექსითაა განსაზღვრული“.[360] როგორც ჩანს, ასეთი მოსაზრება ეფუძნება საოჯახო ურთიერთობების აღნიშნული ვადის სპეციფიკურ ბუნებას და მასზე ავრცელებენ სამოქალაქო კოდექსის სპეციფიკური ნორმების მოქმედებას. ეს ნორმები არეგულირებს სასარჩელო ხანდაზმულობის დაწყების განსაზღვრის წესს, მის შეჩერებას, დროებით შეწყვეტასა და აღდგენას.

---

[360] *Чефранова Е.А.,* Применение к семейным отношениям норм гражданского законодательства//Росийская юстиция, №10, М., 1996, 45.

სასამართლო წესით ალიმენტის გადახდევინება უნარჩუნდება ალიმენტის მიღების უფლებამოსილ პირს მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, სანამ მას აქვს ალიმენტის მიღების უფლება, მიუხედავად იმისა, რამდენი დრო გავიდა ამ უფლების წარმოშობიდან. მაგალითად, არასრულწლოვანი ბავშვის უფლება, მიიღოს ალიმენტი, არსებობს, სანამ ის არ გახდება სრულწლოვანი, და მის კანონიერ წარმომადგენლებს აქვთ უფლება, მოითხოვონ ალიმენტის გადახდა ნებისმიერ დროს ამ ვადის განმავლობაში. როგორც წესი, ალიმენტი ენიშნებათ მხოლოდ სასამართლოში სარჩელის შეტანის მომენტიდან. ეს წესი დაკავშირებულია იმასთან, რომ გასული პერიოდის საალიმენტო თანხების გადახდა მძიმე ტვირთად აწვება გადამხდელს. შესაბამისად, თუ პირმა, რომელსაც აქვს ალიმენტის მიღების უფლება, საკუთარი ნებით არ შეიტანა სარჩელი მათი გადახდევინების თაობაზე, მან თვითონვე უნდა ითმინოს საკუთარი ქმედებების არასასურველი შედეგები; სხვა საქმეა, თუ ალიმენტი არ იქნა გადახდილი ალიმენტის გადამხდელის გამო. იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელი თავს არიდებდა ალიმენტის გადახდას, მიუხედავად ალიმენტის მიმღების მცდელობისა, შესაძლებელია ალიმენტის გადახდევინება გასული პერიოდის გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს სამი წლისა საალიმენტო სარჩელის შეტანის მომენტიდან.

შესაბამისად, ეს ვადა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა კი არ არის, არამედ ვადაა, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრება გასული პერიოდის საალიმენტო დავალიანების ოდენობა. კანონმდებლობით გადასახდელი თანხების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის ვადები სხვა სიტუაციებისთვისაც არის დადგენილი. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის თანახმად, სასარჩელო ხანდაზმულობა არ ვრცელდება ზარალის ანაზღაურების მოთხოვნაზე, თუ ზიანი მიაყენეს ადამიანის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმადაც, ალიმენტის გადახდის დაკისრება ხდება სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტიდან მხოლოდ მომავალი დროისათვის; რაც შეეხება ალიმენტს წარსული დროისათვის, იგი, საქმის გარემოებათა მიხედვით, შეიძლება გადახდევინებულ იქნეს სამი წლის ფარგლებში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელის წარდგენამდე მიღებული იყო ზომები სარჩოსათვის, მაგრამ ალიმენტი არ იქნა მიღებული, რადგან ვალდებული პირი თავს არიდებდა მის გადახდას. ამ ნორმაზე მიუთითებს უზენაესი სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში: „აღნიშნული ნორმის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სარჩელის წარდგენამდე სარჩოს მოთხოვნისა და ვალდებული პირის მიერ შესრულებაზე თავის არიდების ფაქტები“,[361] ამასთან გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ „კონკრეტულ შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტით, წინა წლების ალიმენტის მოთხოვნა უსაფუძვლოა, ვინაიდან მამობის ფაქტი წინამდებარე სარჩელით დადგინდა, რის საფუძველზეც საკასაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, განმარტავს, რომ მშობლების უფლება-მოვალეობების წარმოშობის საფუძველია

[361] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე № ას-2-2-2011, თბ., 31 მაისი, 2011, < http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [07.05.2015].

შვილის წარმომავლობა და არა ამ წარმომავლობის ფაქტის დამოწმება. მშობლების უფლება-მოვალეობები შვილის მიმართ წარმოიშობა ბავშვის დაბადებიდან და არა იმ მომენტიდან, როცა მამობა სასამართლო წესით იქნა დადგენილი.[362]

თუ პირი, რომელიც ალიმენტს იხდიდა, თავისი განცხადების საფუძველზე გადავა სხვა სამუშაოზე, ან გამოიცვლის საცხოვრებელ ადგილს, ასეთ შემთხვევაში ალიმენტის გადაუხდელობის გამო დავალიანება შეიძლება დაკავებულ იქნეს როგორც მოვალის განცხადებით, ისე სასამართლოს წესით. ამ დროს სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების გამოტანა არ ხდება. სააღსრულებო ფურცლის მიხედვით, ალიმენტის დავალიანების გადახდევინება წარსული დროისათვის შეიძლება არა უმეტეს სამი წლისა, სააღსრულებო ფურცლის გადასახდელად წარმოდგენამდე. მართებულად მიმაჩნია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც უცვლელად დატოვა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინება და არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა მიუღებელი ალიმენტის დაკისრებაზე. საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო პალატის მითითება სამოქალაქო კოდექსის 1234-ე მუხლის მეორე ნაწილზე, რომლის თანახმადაც, წარსული დროის ალიმენტი შეიძლება გადახდევინებულ იქნეს სამი წლის ფარგლებში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელის წარდგენამდე მიღებული იყო ზომები სარჩოს მისაღებად, მაგრამ ალიმენტი არ იქნა მიღებული იმის გამო, რომ ვალდებული პირი თავს არიდებდა მის გადახდას, რაც ამ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დადასტურდა.[363]

თუ დავუშვებთ, რომ ეს ვადა მაინც არის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა, მაშინ უნდა იყოს გამოყენებული წესები სასარჩელო ხანდაზმულობის დაწყების, შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის ვადის შესახებ. სასარჩელო ხანდაზმულობის დასაწყისად ითვლება დღე, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო თავისი უფლებების დარღვევის შესახებ, ანუ როდესაც უფლებამოსილმა პირმა მიიღო ზომები ალიმენტის მისაღებად. მაგრამ ეს დებულება ამ შემთხვევაში არ მუშაობს, რადგან უფლება, მიმართო სასამართლოს, არ არის დაკავშირებული რაიმე ვადასთან, რომელიც გავიდა ასეთი ზომების მიღების მომენტიდან. მათი არსებობა ალიმენტის გადახდევინების წინაპირობაა, მაგრამ არ ნიშნავს სასარჩელო ხანდაზმულობის დასაწყისს. გარდა ამისა, საოჯახო კანონმდებლობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს სამწლიანი ვადა არ შეიძლება იყოს შეჩერებული, აღდგენილი და შეწყვეტილი ალიმენტის ცალკეული გადასახადებით ალიმენტის გადამხდელის მხრიდან, თუ მისი საქციელი შეიძლება მიიჩნიო როგორც თავის არიდება. ანუ ეპიზოდური გადასახადები არ უნდა იყოს გათვალისწინებული, რადგან ბავშვს მუდმივი საარსებო სახსრე-

---

362 *ნაჭყებია ა.,* სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), განმარტების საგანი: წარსული დროის ალიმენტის დაკისრება (სამოქალაქო კოდექსის 1234-ე მუხლი), საქმე № ას-2-2-2011, თბ., 31 მაისი, 2011, „გერმანიის თანამშრომლობა GIZ“, 2014, 327.

363 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, №9, თბ., 30 მარტი, 2006, №ას-1275-1514-05, 28-30.

ბი სჭირდება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მოვალის მიერ ვალის გადახდა ცალკეული გადასახადების სახით ან/და თავად ვალის აღიარება წყვეტს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადას.

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არის დრო, რომლის განმავლობაში დაინტერესებული პირი უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს თავისი უფლების დასაცავად. თუ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გასულია, მოპასუხეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს მოთხოვნით სასარჩელო ხანდაზმულობის გამოყენების შესახებ, მისი ვადის გასვლა კი სასამართლოსათვის სარჩელზე უარის თქმის საფუძველი ხდება.

ჩვენს შემთხვევაში, თუ ბავშვის სარჩენი თანხის მიღების მცდელობები 5-10 ან მეტი წლის განმავლობაში უშედეგოდ მთავრდებოდა და ალიმენტი არ იყო მიღებული, მიუხედავად მოვალის მოთხოვნისა სასარჩელო ხანდაზმულობის გამოყენების შესახებ, სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას ალიმენტის გადახდევინების თაობაზე, მაგრამ გაითვალისწინებს მხოლოდ სამ წელიწადს სარჩელის შეტანამდე. შესაბამისად, ეს ვადა არის არა სარჩელის ხანდაზმულობის, არამედ გასული პერიოდის დავალიანების განმსაზღვრელი ვადა. ამასთან, გარკვეული ვადის განსაზღვრა, ჩემი აზრით, არ არის დასაბუთებული. თუ დადგინდება ფაქტი, რომ სასამართლოში სარჩელის შეტანამდე იყო მიღებული ზომები ბავშვის სარჩენი თანხების მისაღებად, მაგრამ ალიმენტი არ იქნა მიღებული მოვალის მიერ თავის არიდების გამო, მაშინ ალიმენტის გადახდევინება, ვფიქრობ, უნდა მოხდეს მთელი გასული პერიოდის სრული მოცულობით. რაც შეეხება დებულებას სამომავლოდ ალიმენტის გადახდევინების შესახებ, დაწყებული სასამართლოში სარჩელის შეტანის მომენტიდან, ის უნდა შენარჩუნდეს როგორც ზოგადი წესი.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ გასული პერიოდის საალიმენტო დავალიანება და სააღსრულებო ფურცლის ან საალიმენტო შეთანხმების საფუძველზე მისაღები ალიმენტის დავალიანება.

საალიმენტო შეთანხმების ან სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე განვლილი პერიოდისათვის მისაღები ალიმენტის გადახდევინება ხორციელდება სამწლიან ვადაში, რომელიც უსწრებდა სააღსრულებო ფურცელს ან სანოტარო წესით დამოწმებულ შეთანხმებას ალიმენტის გადახდევინების შესახებ. ეს ვადაც არ არის სასარჩელო ხანდაზმულობა, მაგრამ თვითონ ვადის ხანგრძლივობა განსაზღვრულია სასარჩელო ხანდაზმულობის ზოგადი ვადის ანალოგიურად. სხვანაირად ვერ ავხსნით, რატომ სამი წელი, და არა სხვა ვადა.

იმავდროულად, მნიშვნელოვანია დავალიანების წარმოშობის მიზეზის დადგენა. თუ გაირკვევა, რომ დავალიანება წარმოიშვა ალიმენტის გადამხდელის ბრალით, ალიმენტის გადახდევინება ხდება თავის არიდების მთელი პერიოდის გათვალისწინებით, ანუ დავალიანების გადახდევინება ხდება სრული მოცულობით; თუ გადამხდელის ბრალეულობა არ დადგინდა, მაგალითად, ალიმენტი არ იყო გადახდილი შესაბამისი საბუთების წარუდგენლობის გამო, ალიმენტის გადახდევინება ხდება სააღსრულებო ფურცლის ან საალიმენტო შეთანხმების წარდგენის მომენტის წინა სამწლიანი ვადის გათვალისწინებით.

არასრულწლოვანი ბავშვების ალიმენტის საალიმენტო დავალიანების ოდენობა განისაზღვრება ალიმენტის გადამხდელის ხელფასის ან სხვა შემოსავლის ოდენობიდან იმ პერიოდისათვის, როდესაც ალიმენტის გადახდა არ ხორციელდებოდა. თუ ამ პერიოდში ალიმენტის გადამხდელი არ მუშაობდა, დავალიანების ოდენობის განსაზღვრა ხდება იმ ხელფასის (შემოსავლის) მიხედვით, რომელსაც იგი იღებდა დავალიანების გადახდის დროს. თუკი არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან საალიმენტო შეთანხმება, რომელსაც საღსრულებო ფურცლის ძალა გააჩნია, თვით გადამხდელმა უნდა იზრუნოს იმ მტკიცებულების წარდგენაზე, რომლებიც უდავოდ დაადასტურებენ ხელფასის ან სხვა შემოსავლის ოდენობას. მასვე მოუწევს საალიმენტო დავალიანების წარმოშობის მიზეზებისა და ოდენობის ახსნა. ამ შემთხვევაში საალიმენტო შეთანხმება სასამართლოში მტკიცებულებად შეიძლება იქნეს გამოყენებული, იმის განსასაზღვრავად, თუ რა შემოსავალზე იყო საუბარი შეთანხმების დადების დროს. სასამართლოს გადაწყვეტილების ან საალიმენტო შეთანხმების შეუსრულებლობა, ისევე როგორც ხელფასის ან სხვა შემოსავლების ოდენობის დამადასტურებელი საბუთების უქონლობა, თავიდანვე არაკეთილსინდისიერებას გულისხმობს.

თუ ალიმენტის გადამხდელს აღმოუჩნდება რაიმე საპატიო გარემოებები, მაგალითად, ავადმყოფობა, მას უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს დავალიანების გადახდევინებისაგან სრული ან ნაწილობრივი გათავისუფლების მოთხოვნით. სასამართლოს შეუძლია, მტკიცების შემთხვევაში გაიზიაროს მოთხოვნა და სრულად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს ალიმენტის გადამხდელი საალიმენტო დავალიანების გადახდევინებისაგან. ამისთვის უნდა დადგინდეს, რომ ალიმენტის გადაუხდელობა გამოწვეული იყო ამ პირის ავადმყოფობით ან სხვა საპატიო გარემოებებით და მისი მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა არ აძლევს საშუალებას, სრულად დაფაროს საალიმენტო დავალიანება. ამ შემთხვევაში სასამართლო აღადგენს ალიმენტის გადამხდელის კეთილსინდისიერების პრეზუმფციას.

სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობისას ალიმენტის გადამხდელის ქმედებას მიეცემა არაკეთილსინდისიერი ქმედებების კვალიფიკაცია. ამ შემთხვევაში, პასუხისგებაში მიცემისას გადამხდელის ბრალეულობა უნდა იყოს პრეზუმირებული. მან, პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, უნდა დაამტკიცოს ბრალის არარსებობა. გადამხდელის ბრალეულობა შესაძლებელია ემყარებოდეს როგორც განზრახ, ისე უხეშ გაუფრთხილებლობას. მაგრამ ასეთი პასუხისმგებლობა არ შეიძლება დაეკისროს გადამხდელს, თუ საალიმენტო დავალიანება წარმოიშვა სხვა პირების ბრალით, კერძოდ, ხელფასის არადროულად გადახდა, საალიმენტო თანხების შეჩერება ან არასწორი გადარიცხვა ბანკების მხრიდან და ა. შ.

ალიმენტის გადახდევინებისას უნდა იყოს გათვალისწინებული ორი მნიშვნელოვანი წესი: 1. ალიმენტი არ შეიძლება იყოს ჩათვლილი სხვა შემხვედრი სარჩელით და, ამავე დროს, შეუძლებელია მისი გაქვითვა სხვა მოთხოვნებთან; 2. შეუძლებელია, გადახდილი ალიმენტის დაბრუნება მოეთხოვოს არასრულწლოვანს, ან სრულწლოვან შრომისუუნარო პირს. თუმცა ასეთი ბავშვის წარმომადგენლებს გადახდილი ალიმენტის დაბრუნება მოეთხოვებათ შემდეგ შემთხვევებში:

– თუ ალიმენტის მიმღები წარადგენს ცრუ ცნობებს ან ყალბ საბუთებს, გაუქმდება სასამართლოს გადაწყვეტილება ალიმენტის გადახდევინების შესახებ;

– საალიმენტო შეთანხმება ბათილად იქნება ცნობილი (მაგალითად ალიმენტის მიმღების მხრიდან მოტყუების, მუქარის ან ძალადობის გამოყენებით);

– თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდება გაყალბების ფაქტი სასამართლოს დადგენილების, საალიმენტო შეთანხმების ან სააღსრულებო ფურცლისა, რომელთა საფუძველზე ალიმენტი იყო გადახდილი.

თუ ალიმენტის გადახდა ხდება მათი გადახდის შეთანხმების საფუძველზე, მაშინ შეთანხმების მოქმედების ვადა და ალიმენტის გადახდის ვადაც მხარეების მხრიდან დამოუკიდებლად დგინდება. ეს ვადა შეიძლება განსაზღვრული იყოს სრულწლოვანების მიღწევის მომენტით. შესაძლებელია უფრო ხანგრძლივი ვადის არსებობაც, მაგალითად, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებამდე. ამასთან, დაუშვებელია ისეთი პირობები, რომლებიც ბავშვს ჩააყენებს უარეს მდგომარეობაში, ვიდრე ალიმენტის გადახდევინებით სასამართლოს გადაწყვეტილების შემთხვევაში.

სამოქალაქო კოდექსის თანახმად, სასამართლოს წესით გადახდილი ალიმენტის გადახდევინება წყდება შემდეგ შემთხვევებში:

– როდესაც ბავშვი სრულწლოვანი ხდება;

– თუ იშვილებენ ბავშვს, რომლის სარჩენად იხდიდნენ ალიმენტს;

– თუ სასამართლო სრულად აღდგენილად ცნობს სრულწლოვანი პირის შრომისუნარიანობას, ან, თუ აღარ არსებობს მისთვის მატერიალური დახმარების აუცილებლობა;

– ალიმენტის გადამხდელის ან მიმღების გარდაცვალების შემთხვევაში.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ქვეყნის, მაგალითად აშშ-ის, საოჯახო კანონმდებლობით, საალიმენტო ვალდებულებები არ წყდება მათი გადამხდელი მშობლის სიკვდილის შემთხვევაში, თუ მას რაიმე ქონება დარჩა. ქონებაზე გადადის საალიმენტო ვალდებულება და ამ ქონების ახალი მფლობელი (მესაკუთრე), თუ ეს თვითონ ბავშვი არ არის, ხდება ვალდებული პირი და უნდა გადაიხადოს ალიმენტი. იგულისხმება, რომ ალიმენტის გადახდევინება ხდება ანდერძით მიღებული ქონების ღირებულებიდან. თუ მემკვიდრე ნებაყოფილობით ბავშვს სარჩოს თანხას არ უხდის, მაშინ დაწესებულების უფროსს, სადაც ბავშვი იყო მოთავსებული, ან საგრაფოს მეთაურს, რომლის მეურვეობაში დარჩა ბავშვი, უჩნდება უფლება, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი გარდაცვლილი მშობლის მემკვიდრეობის მიმართ და მოითხოვოს ბავშვის სარჩოს გადახდა ანდერძით მიღებული ქონების ღირებულებიდან.[364]

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად, ალიმენტის გადახდევინების ვადის გაზრდა არ ხდება, როდესაც ბავშვი სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ სწავლას აგრძელებს. ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის 28-ე მუხლით აღიარებულია მისი განათლების მიღე-

[364] იხ. *Залесский В.В.,* Семейное право Российской Федерации и иностранных государств, «Юринформцентр», М., 2005, 218.

ბის უფლება. ამ კონვენციის 27-ე მუხლის თანახმად, მშობლებს ენიჭებათ ბავშვზე ფინანსური პასუხისმგებლობა და, თავიანთი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყონ იგი მისი განვითარებისთვის საჭირო საცხოვრებელი პირობებით. უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებობს შემთხვევები, როდესაც სწავლის გაგრძელების მიზნით სასამართლოში შეაქვთ სარჩელი ალიმენტის გადახდევინების შესახებ. ჩრდილოეთ ამერიკაში, ინგლისსა და სკანდინავიის ქვეყნებში – დანია, ნორვეგია და შვედეთი – შემდეგი სახის ძირითადი წესი არსებობს: რჩენის მოვალეობა მაშინ მთავრდება, როცა შვილი სრულწლოვანების ასაკს მიაღწევს, ე.ი. თვრამეტი წლის გახდება, თუმცა ეს საბაზისო მკაცრი წესი ხშირად შერბილდება ხოლმე, თუ განათლების ის კურსი, რომელზეც შვილი მშობლების თანხმობით სწავლობს, სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე ვერ დასრულდება, ან, როცა სხვა ისეთი პირობები არსებობს, რომლებიც ინდივიდუალურ შემთხვევებში დახმარების მოთხოვნის ცოტა ხნით გადავადებას ამართლებს. ზოგ ქვეყანაში ასევე დაწესებულია აბსოლუტური ზედა ზღვარი, მაგ., დანიაში, სადაც 2002 წლის 1 აპრილს მიღებული „ბავშვის რჩენის“ კანონის მე-14 მუხლი განსაზღვრავს, რომ მშობლებს განსაკუთრებულ შემთხვევებში მოეთხოვებათ, თავიანთი შვილების განათლებაში წვლილი შეიტანონ, თუ შვილს ჯერ 24 წელი არ შესრულებია. თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს: „განათლება“ ამ კონტექსტში სხვა რამეა, ვიდრე ძვირადღირებული სასწავლო კურსი უნივერსიტეტში. არც ამერიკაში, არც ინგლისსა და არც სკანდინავიის ქვეყნებში არ შეუძლია ზრდასრულ ვაჟს ან ქალიშვილს, საუნივერსიტეტო განათლების ღირებულების დაფარვა მოითხოვოს მშობლებისაგან.

სამართლებრივი სიტუაცია აბსოლუტურად განსხვავებულია ცენტრალური ევროპის სხვა დანარჩენ და ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში: „შვილების რჩენის ვალდებულება მშობლების მიერ ასევე მოიცავს საუნივერსიტეტო განათლებას, შვილის შესაბამისი მიდრეკილებისა და შესაძლებლობების არსებობისას. ამას გარდა, განათლების დასრულების შემდეგ მშობლებს ასევე ევალებათ, თავიანთი შვილები არჩინონ, თუ მათ მუშაობა არ შეუძლიათ განსაკუთრებული გარემოებების გამო, ან, თუ მათ სამსახური დაკარგეს, ან ეკონომიკურად გაუჭირდათ ავადმყოფობის გამო“.[365]

სერბეთის კანონმდებლობის მიხედვით, „მშობლებმა უნდა შეინახონ შვილები და უზრუნველყონ მათი სწავლა 26 წლის ასაკის მიღწევამდე, თუ ისინი საპატიო მიზეზების გამო აგრძელებენ სწავლას საშუალო და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში“.[366]

ალიმენტის გადახდის ვადის გაგრძელების საკითხის გადაწყვეტისას, ვფიქრობ, დიფერენცირებული მიდგომაა საჭირო. ალიმენტის მიმღებს უნდა მიეცეს საშუალება, მიმართოს სასამართლოს ალიმენტის გადახდის

---

365 *Frank R.,* (Emeritus der Albert- Ludwigs-Universität Freiburg, Germany), Family Solidarity in Support and Inheritance Law, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 7, 8.

366 *Залесский В.В.,* Семейное право Российской Федерации и иностранных государств, «Юринформцентр», М., 2005, 218-219.

ვადის გაგრძელების მოთხოვნით, თუ, სასამართლოს აზრით, გადამხდელის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა საკმარისია ამ საკითხის გადასაწყვეტად. სერბეთის საოჯახო კანონმდებლობა უზრუნველყოფს სრულწლოვანი ბავშვის ალიმენტთან დაკავშირებულ დამცავ მუხლს, რომლის მიხედვითაც სრულწლოვან ბავშვს არ აქვს ალიმენტის მიღების უფლება, თუ ალიმენტთან დაკავშირებით მისი მოთხოვნა „აშკარად უსამართლოა“ მშობლებისთვის. თითოეულ კონკრეტულ სიტუაციაში აშკარა უსამართლობის განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივაა.[367] ვფიქრობ, სრულწლოვანი ბავშვის უფლება ალიმენტის მიღებაზე, როცა მას არ შეუძლია მუშაობა იმის გამო, რომ იგი აგრძელებს სწავლას, გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობითაც, ვინაიდან ეს მექანიზმი საშუალებას მისცემს ბავშვებს, სრულწლოვანების შემდეგაც თავისუფლად განაგრძონ სრულყოფილი განათლების მიღება, თუ, რა თქმა უნდა, ეს, როგორც აღინიშნა, „აშკარა უსამართლობას“ არ იწვევს ალიმენტის გადამხდელი მშობლებისათვის.

ალიმენტის გადახდის ვადის გაგრძელების საკითხის გადაწყვეტისას არ დაიშვება ისეთი შემთხვევები, როდესაც ალიმენტის მიმღები ბავშვი, თუ ის ალიმენტის გადამხდელთან არ ცხოვრობს, აღმოჩნდება უარესს პირობებში, ვიდრე ბავშვი, რომელიც ალიმენტის გადამხდელთან ერთად ცხოვრობს, მაგალითად, მეორე ქორწინებიდან.

მოქმედი კანონმდებლობა, სამწუხაროდ, ამ ფაქტორს არ ითვალისწინებს. ხშირად ალიმენტის მიმღები ბავშვები იბადებიან ქორწინების გარეშე. თუ დედა შეძლებს ბავშვის მამობის დამტკიცებას და ბავშვი მიიღებს ალიმენტს, მის ქონებრივ მდგომარეობას მაინც ვერ შევადარებთ ვითარებას, რომელშიც იმყოფება ალიმენტის გადამხდელთან მცხოვრები ბავშვი. ალიმენტის გადამხდელის შვილები, მატერიალური მდგომარეობის თვალსაზრისით, თანაბარ პირობებში უნდა იყვნენ. თუ დადგინდება, რომ ბავშვი, რომელიც ალიმენტის გადამხდელთან ცხოვრობს, სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში, ალიმენტის გადახდის ვადის გაგრძელება უნდა მოხდეს სწავლის დამთავრებამდე იმ ბავშვისთვისაც, რომელიც ალიმენტს იღებს იმავე პირისაგან, იმ განსხვავებით, რომ მასთან არ ცხოვრობს. ალიმენტვალდებულ პირთან მცხოვრები არასრულწლოვანი არ უნდა სარგებლობდეს რაიმე უპირატესობით რჩენის თვალსაზრისით იმ ბავშვებთან მიმართებით, რომლებიც ცალკე ცხოვრობენ მარჩენალისგან, რაზეც მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლო თავის განმარტებაში: „ალიმენტის გადამხდელ მშობელთან მისი დანარჩენი შვილების ცხოვრების შემთხვევაში, მათ სარჩენ არასრულწლოვანთან მიმართებით რაიმე სხვა უპირატესობა არ ენიჭებათ.“[368]

---

367 იხ. *Kovacek-Stanic G.*, Child in Single (Absent) Parent family: Maintenance and Family Home, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 639.

368 *ნაჭყებია ა.,* სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), განმარტების საგანი: ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა (სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლი), საქმე №ას-1356-1194-2010, თბ., 4 მარტი, 2011, „გერმანიის თანამშრომლობა GIZ“, 2014, 323.

§4.8. სახელმწიფოს როლი მშობლის მიერ საალიმენტო მოვალეობის შეუსრულებლობისას

ოჯახისადმი სახელმწიფოს მიერ განსაკუთრებული ზრუნვის იდეამ და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა აღიარებამ განაპირობა საქართველოს კონსტიტუციაში მისდამი განსაკუთრებული ყურადღების დათმობა, რაც, უპირველესად, გამოიხატება პრინციპით: „სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას“. ამ პრინციპს სახელმწიფო ახორციელებს მრავალმხრივი დახმარების სახით, მაგრამ მაინც ზრუნვის უდიდესი ნაწილი ოჯახის წევრებმა უნდა იკისრონ. ისინი მოვალენი არიან, მორალურად და მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს. ასევე საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის მესამე ნაწილი პირდაპირ მიუთითებს, რომ „დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით“.

ოჯახის მნიშვნელობა და მისი განსაკუთრებული როლი თითოეული ადამიანის საზოგადოებრივ განვითარებასა და ჩამოყალიბებაში აღიარებულია მსოფლიოს თანამეგობრობის მიერაც. მაგალითად, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისოსამართლებრივ დოკუმენტებში (1948 წლის 10 დეკემბრის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, 1966 წლის 16 დეკემბრის საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“, 1966 წლის 16 დეკემბრის საერთაშორისო პაქტი „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ“) აღნიშნულია, რომ ოჯახი საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედია და, შესაბამისად, მას აქვს დაცვის უფლება საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან. ხსენებული საერთაშორისო დოკუმენტების მონაწილე მხარეები უნდა დარწმუნდნენ, რომ მოქალაქეები თავისუფალნი არიან ოჯახის შექმნის თვალსაზრისით და გამორიცხონ ყოველგვარი ძალადობა ქორწინებისას.[369] ოჯახის შექმნის თავისუფლებაზე მიუთითებს აგრეთვე 1989 წლის 20 ნოემბრის ბავშვის უფლებათა შესახებ გაეროს კონვენციის პრეამბულა.[370]

აღსანიშნავია, რომ ეს დებულებები განმტკიცებულია ევროპის მრავალი განვითარებული ქვეყნის კონსტიტუციური კანონმდებლობებით. მაგალითად: იტალიის კონსტიტუციაში ოჯახი განიხილება როგორც ქორწინებაზე დამყარებული ბუნებრივი კავშირი;[371] საბერძნეთის კონსტიტუციაში – როგორც ერის შენარჩუნებისა და განვითარების საფუძველი;[372] ირლანდიის კონსტიტუციაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ „სახელმწიფო აღიარებს ოჯახს, როგორც საზოგადოების პირველწყაროსა და გამაერ-

---

369 International Covenant on Economy Social and Cultural Rights, ICESCR Article 10, http://en.wikipedia.org/wiki/International_Covenant_on_Economic,_Social_and_Cultural_Rights [15.04.13].

370 UN Convention on the Rights of the Child, Adopted and opened for signature, ratification and accession by General Assembly resolution 44/25 of 20 November 1989, entry into force 2 September 1990, Preamble, <http://www.unhchr.ch/html/menu3/b/k2crc.htm> [15.04.13].

371 იხ. Конституция Итальянской Республики / Пер. с итал. *Гринберг Л.П.* // Конституции государств Европейского Союза / Под общ. ред. *Окунькова Л.А.,* Инфра – М – Норма, М., 1997, 423, <http://italia-ru.com/page/konstitutsiya-italyanskoi-respubliki> [17.04.2014].

372 იხ. Конституция Греции, Вступила в силу 11 июня 1975, Статья 21(1) http://constitutions.ru/-archives/249 [17.04.2014].

თიანებელ საფუძველს, აგრეთვე როგორც ხელშეუვალი და განუსხვისებადი უფლებების შემცველ ზნეობრივ ინსტიტუტს“. ამასთან დაკავშირებით, „სახელმწიფო იძლევა ოჯახის, როგორც სოციალური წესრიგის, ხალხისა და სახელმწიფოს აყვავებისათვის აუცილებელი და შეუცვლელი საფუძვლის დაცვის, ორგანიზებისა და ავტორიტეტის გარანტიას“;[373] სამხრეთ აფრიკა განსაკუთრებით საინტერესო მაგალითია იმისა, თუ როგორ რეაგირებს სახელმწიფო (სასამართლოები და კანონმდებელი) ოჯახური ცხოვრების სხვადასხვა ფორმაზე და რა დონის სოლიდარობა არის მოსალოდნელი მხარდაჭერასთან დაკავშირებით.[374] მაგალითად, სამხრეთ აფრიკის კონსტიტუცია არ მოიცავს ოჯახურ ცხოვრებასთან დაკავშირებით განსაზღვრულ უფლებას. ოჯახთან მიმართებით უფლებების არარსებობის საპასუხოდ, როგორც კონსტიტუციური ასამბლეის თავმჯდომარის სახელით კონსტიტუციურმა სასამართლომ აღნიშნა, ოჯახები იქმნება და იშლება სხვადასხვაგვარად, რაც იწვევს იმ საოჯახო უფლებების კონსტიტუციონალიზაციის შესაძლებლობას, რომლებიც იმდენად ბუნდოვანია, რომ კონსტიტუციის შემქმნელები ხშირად ამჯობინებენ, არ განიხილონ ქორწინების უფლება ან ოჯახური ცხოვრება ძირითად უფლებად კონსტიტუციური თვალსაზრისით. უფრო მეტიც, კონსტიტუცია აშკარად კრძალავს სახელმწიფოს თავისუფალ ჩარევას ქორწინების ან ოჯახის შექმნის უფლებაში, მაშინ, როცა მე-7 ნაწილი პატივს სცემს ადამიანის ღირსებას, თანასწორობასა და თავისუფლებას; მეორე მხრივ, სხვადასხვა ნაწილი პირდაპირ თუ არაპირდაპირ მხარს უჭერს ქორწინებასა და ოჯახურ ცხოვრებას.[375]

„ოჯახისა და მისი თითოეული წევრის კეთილდღეობა არის, ან უნდა იყოს, მთავარი სახელმწიფოსათვის. ოჯახურ და ინდივიდუალურ დონეზე ამ კეთილდღეობის მიღწევა არის გამოწვევა, რომლის მოგვარებაც, ქვეყნის ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება, განსხვავებული იყოს და მოიცავდეს როგორც უკიდურესი ჩარევის, ასევე სრული ჩაურევლობის პოლიტიკას, ან, უფრო ხშირად, მათ შუალედურ ღონისძიებებს“.[376]

„საოჯახო სამართალი ყოველთვის იყო და იქნება უაღრესად პოლიტიკური საკითხი“.[377] იმის განსაზღვრა, თუ რა არის ოჯახი, პოლიტიკური თემაა. ერთ-ერთი თანამედროვე მკვლევარის განცხადებით: „ოჯახი თა-

---

373 Конституция Ирландии, В сб.: Конституции государств Европейского Союза / Под ред. *Окунькова Л. А.,* Инфра-Форум, М., 1997, 351.

374 იხ. *Verschraegen B.,* (Full Professor at the Universities of Vienna, Austria, and Bratislava (Uninova), Slovakia), Fiddler on the Roof: On the Ambiguity of Family Finances, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 795.

375 იხ. *Van Der Linde A.,* (University of Pretoria, South Africa), The Extent of the State's Duty to Support Family Lifwe through Prevention and Early Intervention Programmes: A Reflection on the Children's Act 38 of 2005, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 99-100.

376 *Farrugia R.,* Is there a State Responsibility to Foster Family Harmony?, კონფერენციის მასალების კრებულში: Fostering Family Harmony: Principles and Practices, Papers from North American Regional Conferece, Brooklyn Law School, Brooklyn, June 6-8, 2013, 14.

377 *Henaghan M.,* (Professor and Dean of Law, University of Otago, Dunedin, New Zealand), The Changing Politics of Family Law in New Zealand ნაშრომთა კრებულში: The International Survey of Family Law, (Atkin B., Banda F. (ed.)), Jordan Publishing Limited, Great Britain, Bristol, 2012, 254.

ვისთავად არის პოლიტიკური, ანუ კანონი და სოციალური პოლიტიკა ერთად განსაზღვრავს: პირთა რომელი ჯგუფი ითვლება ოჯახად და რომელი არა, ვინ არის (დედა, მამა) და ვინ არა, ვინ არის შვილი და ვინ არა, და რა კონკრეტული უფლებები და მოვალეობები აქვთ ადამიანებს იმ ჯგუფებში, რომლებიც განსაზღვრულია როგორც ოჯახი".[378]

რადგან საოჯახო სამართლებრივი დავები თავიანთი ხასიათით პირადულია, ხშირია დისკუსია, რამდენად უნდა ჩაერიოს კანონი, პოლიტიკა და მთავრობა ოჯახურ ცხოვრებაში. ამ შემთხვევაში კიდევ ერთხელ შეიმჩნევა კერძო და საჯარო სამართლის ინტეგრაცია, ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში (საალიმენტო ვალდებულების შესრულებისას) კერძო ვალდებულებების განხორციელება უფრო ეფექტური ხდება მოთხოვნის უფლების სახელმწიფოზე გადასვლით, როცა ვალდებული პირი არ ასრულებს ამ მოვალეობას.[379] როგორც ახალი ზელანდიის იუსტიციის სამინისტრო განმარტავს: „სახელმწიფო დაინტერესებულია ბავშვებისა და შრომისუუნარო ზრდასრული ადამიანების დაცვით, თუმცა ნაკლებად არის განსაზღვრული, სად გადის ზღვარი სახელმწიფოს როლსა და ცალკე ფიზიკური პირის როლს შორის ზოგიერთ კერძო სამართლის დავებთან დაკავშირებით (მაგ.: ბავშვებზე მზრუნველობა, როცა მშობლები ცილდებიან; სამკვიდროსთან დაკავშირებით ქონებრივი ურთიერთობები ან პრეტენზიები)".[380]

„ადამიანებს აქვთ საფუძვლიანი მოსაზრება (თავიანთი ან სხვების პირად გამოცდილებათა საფუძველზე) იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმუშაოს საოჯახო სამართლის სისტემამ".[381] ადამიანები, რომლებსაც აქვთ საოჯახო სამართლის დავებთან დაკავშირებით პირადი გამოცდილება, ხშირად უკმაყოფილოები არიან სასამართლო პროცესებით, მათი შედეგებით. ისინი, რომელთა წინააღმდეგაც მიღებულია გადაწყვეტილება, ხშირად უკმაყოფილებას გამოთქვამენ. „ახალი ზელანდიის საოჯახო სამართლით იმედგაცრუება ხშირად გამოწვეულია სისტემატური წარუმატებლობით, როგორიცაა გაჭიანურება, ხელმეორედ სასამართლოსათვის მიმართვა, არასათანადო წერილობითი ჩვენება და ზედმეტად რთული სასამართლო პროცესები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გაურკვევლობა და სტრესი. ხშირად საოჯახო სამართლის დავებით უკმაყოფილება ასევე გამოწვეულია თვითონ მხარეების მიერ, რაც მარტივი გადაწყვეტილების მიღებას შეუძლებელს ხდის".[382]

---

378 *Houlgate L.,* Must the Personal be Political? Family Law and Consept of Family, International Journal of Law, N 12, Policy and the Family, 1998, 107, 109.

379 *Stark B.,* International Family Law, an Introduction, Ashgate Publishing Limited, Great Britain, Burlington, 2012, 223.

380 Ministry of Justice *Reviewing the Family Court: A Public Consultation Paper,* Wellington Ministry of Justices, 2010, 12, <http://www.justice.govt.nz/publications/global-publications/a/a-focus-on-victims-of-crime-a-review-of-victims-rights/introduction> [05.04.2014.].

381 Masculinist Evolution New Zealand `MENZ Issues: News and Discussion About New Zealand, Men, Fathers, Family Law, Divorce, Courts Protests, Gender Polotics and Male Health's, 2004, http://menz.org.nz/ [16.04. 2012].

382 *Henaghan M.,* (Professor and Dean of Law, University of Otago, Dunedin, New Zealand), The Changing Politics of Family Law in New Zealand, ნაშრომთა კრებულში: The International Survey of Family Law, (*Atkin B., Banda F.,* (ed.)), Jordan Publishing Limited, Great Britain, Bristol, 2012, 255.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს, რომ „ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას“, ხოლო მე-8 მუხლის მეორე პუნქტი ადგენს: „დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად, და აუცილებელია, დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად“.[383]

საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად არის სახელმწიფო ვალდებული, ჩაერიოს, თუ მშობლები არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს შვილების მიმართ? ეჯახება თუ არა ბავშვის საუკეთესო ინტერესები სახელმწიფოს ინტერესებს, თუ ისინი ავტომატურად მიიჩნევიან ყველაზე მნიშვნელოვნად? და შესაძლოა თუ არა თითოეული ბავშვისათვის განსაზღვრული „ზრუნვის საბაზისო მინიმალური სტანდარტის შექმნა“? ამასთან, ნიშნავს თუ არა სახელმწიფოს ჩარევა გენდერული თანასწორობის დაცვის უზრუნველყოფას, როცა ქალი დამოუკიდებლად ვერ ახორციელებს საალიმენტო ვალდებულების შესრულების საკითხის მოგვარებას?

ამ კითხვებზე პასუხები გადამწყვეტია მთავარი თემის გააზრებაში, კერძოდ, იცავს თუ არა, და როგორ იცავს კანონი ოჯახსა და მის წევრებს და, შესაბამისად, უზრუნველყოფს თუ არა სახელმწიფო საკმარისი სახსრებით ოჯახს შემადგენლობის შესანარჩუნებლად, თუ პირიქით?

აღიარებულია, რომ მშობლები კანონით ვალდებული არიან, არჩინონ თავიანთი შვილები. უმეტეს შემთხვევებში ალიმენტის გადაუხდელობა კი არ არის პრობლემა, უფრო ხშირად, მშობლებს ძალიან უნდათ, დაეხმარონ თავიანთ შვილებს სრულწლოვანების ასაკს მიღწევის შემდეგაც, რომ არაფერი ვთქვათ მათს დახმარებაზე არასრულწლოვანების პერიოდში. თუმცა ისეთ შემთხვევებში, როცა მშობლებს არ შეუძლიათ, ან არ სურთ, არჩინონ შვილი, აქტუალური ხდება კითხვა, თუ რა სამართლებრივი საშუალებები არსებობს ასეთ შემთხვევაში. მშობელს, რომელთანაც რჩება ბავშვი, შეუძლია, სარჩელით მიმართოს ვალდებულების არშემსრულებელ მშობელს ბავშვის, და არა თავისი, სახელით, რადგან ალიმენტის გადაუხდელობამ შესაძლოა, პირდაპირი გავლენა მოახდინოს მოსარჩელე მეუღლის ვალდებულებებზე.[384] ასეთი პროცედურის წარმატება დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, მაგრამ, უფრო ზუსტად, სახელმწიფოში მოქმედ თანამშრომლობისა და იძულების მექანიზმებზე. უფრო მეტიც, როცა მშო-

---

383 *Звенигородская Н.Ф.,* Договорные семейно-правовые санкции, Вестник Пермского Университета, «Юридические Науки», http://www.jurvestnik.psu.ru/ru/component/content/article/59-dogovornye-semejno-pravovye-sankczii.html [13.10.13].

384 ამ მეუღლეს მოუწევს, თავის თავზე სრულად აიღოს ბავშვის რჩენის ვალდებულება დახმარების გარეშე, მაშინაც კი, თუ ეს გასაკეთებელია კანონის შესაბამისად.

ბელს არ შეუძლია, ან არ სურს არჩინოს ბავშვი, ჩნდება კითხვა – უნდა გადავიდეს თუ არა ეს ვალდებულება ავტომატურად სახელმწიფოზე?[385]

„ბავშვებს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დამოუკიდებლად არ მიუწვდებათ ხელი სამოქალაქო სამართალწარმოებაზე".[386] ისინი დამოკიდებული არიან თავიანთ მშობლებზე, რომლებიც მათ წარმოადგენენ ყველა სასამართლო პროცესზე. ამის გამო, რაკი ერთი მშობელი ვერ უზრუნველყოფს დახმარებას, ბავშვი, იმისათვის, რომ მიიღოს კუთვნილი ალიმენტის დავალიანება, ეყრდნობა მეორე მეურვე მშობელს. აშკარაა, რომ ბავშვი შესაძლოა დაზარალდეს, თუ მშობელი ვერ შეძლებს დახმარებასთან დაკავშირებით არსებული გადაწყვეტილების შესრულებას, რამაც შესაძლოა, გავლენა მოახდინოს მის არსებულ და მომავალ კეთილდღეობაზე. „ზოგ სახელმწიფოში საალიმენტო ვალდებულების შეუსრულებლობის დროს შესაძლოა განისაზღვროს სისხლისსამართლებრივი სანქცია".[387] თუმცა ამგვარი რეაგირება ვერ დააკმაყოფილებს ბავშვის მოთხოვნებს, მიიღოს საკვები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი, ჯანდაცვა და განათლება. როცა ვერცერთი მშობელი ვერ ასრულებს თავის ვალდებულებას, რჩება მხოლოდ სახელმწიფო, რომელმაც უნდა განახორციელოს აუცილებელი ღონისძიება იმ დახმარების საკომპენსაციოდ, რომლის უზრუნველყოფაზეც ხდება პასუხისმგებელი.

როგორ ხდება პრაქტიკულად ეს? შეუძლიათ თუ არა ბავშვებს, მოითხოვონ, ასეთი დახმარება გაწეულ იქნეს ობიექტურად განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისად, თუ მშობლებს არ შეუძლიათ, ან არ სურთ, არჩინონ თავიანთი შვილები იმგვარად, რომ გარანტირებული იყოს მათი „სიცოცხლე და განვითარება?" მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანამ აღიარა ეს ვალდებულება.[388] ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ გაეროს კონვენცია ზუსტად განსაზღვრავს მშობლის პასუხისმგებლობას, მისი შესაძლებლობისა და ფინანსური საშუალებების ფარგლებში უზრუნველყოს ბავშვის განვითარებისთვის საჭირო ცხოვრების პირობები. მაგრამ ეს ვალდებულება ექვემდებარება სახელმწიფოს დახმარებას და „თუ მშობლები არიან გაჭირვებაში... სახელმწიფო, აუცილებლობის შემთხვევაში, მატერიალურ დახმარებას უწევს და ხელს უწყობს პროგრამებს, განსაკუთრებით კვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ პროგრამებს".[389]

გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის მუხლები – მე-3(2), მე-5,18(1) და 27-ე(2) – ითვალისწინებს, რომ სახელმწიფოები ვალდებული

---

385 იხ. *Farrugia R.,*(Advocate and Senior Lecturer, Faculty of Laws, University of Malta), State Responsibility in Enforcing Maintenance Obligations Toward Children, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 72.

386 *Furrugia R.,* Achievements in Taking Children's Rights Further in Civil Justice, Towards European Guidelines on Child-Friendly Justice: Identifying Good Principles and Sharing Examples of Good Practices as Part of Council of Europe, Stockholm 2008: Building a Europe for and with Children-Towards a Strategy for 2009-2011, <www.coe.int/T/TransversalProjects/Children/pdf/Stockholm-Programme,> or http://www.crin.org/does/Farrugia_en.doc [25.10.13].

387 იხ. Malta, Article 338 of the Criminal Code, Chapter 9 of the Laws of Malta, http://www.justiceservices.gov.mt/DownloadDocument.aspx?app=lom&itemid=8580 [05.04.2014.].

388 იხ. UN CRC Article 6(2) ratified by all states in the world except for Somalia and the USA.

389 იქვე, Article 27.

არიან, უზრუნველყონ ბავშვების დაცვა და მათი კეთილდღეობისა და განვითარებისათვის საჭირო ზრუნვა. ეს ვალდებულება, ძირითადად, ეხება, უპირველეს ყოვლისა, მშობლებს, რომლებიც ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს, თუმცა კონვენცია ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოებს, უზრუნველყონ მშობლები იმგვარად, რომ მათ, ფაქტობრივად, შეძლონ ასეთი ვალდებულების შესრულება.[390]

გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია განიხილავს სახელმწიფოს ჩარევის პასუხისმგებლობას, როცა მშობელი ვერ ასრულებს შვილის რჩენის მოვალეობას. „ის იკვლევს ურთიერთქმედებას ბავშვის საუკეთესო ინტერესების ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფოს მთავარ პასუხისმგებლობის პრინციპსა და მთავარი კონკურენტის – „სახელმწიფო ინტერესის“ პრინციპს შორის, რომლის დაცვაც აუცილებელია სახელმწიფოსათვის ყველა მისი გადაწყვეტილების მიღებისას“.[391]

გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის 27-ე მუხლში მითითებულია:

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ყოველი ბავშვის უფლებას მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების დონეზე.

2. მშობელს (მშობლებს) ან ბავშვის აღმზრდელ სხვა პირებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ თავიანთი შესაძლებლობებისა და ფინანსური საშუალებების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები.

3. მონაწილე სახელმწიფოები, ეროვნული პირობების შესაბამისად და თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, მიმართავენ საჭირო ზომებს, რათა დახმარება გაუწიონ მშობლებსა და ბავშვის აღმზრდელ სხვა პირებს ამ უფლების განხორციელებისას და, აუცილებლობის შემთხვევაში, მატერიალურ დახმარებას უწევენ და ხელს უწყობენ პროგრამებს, განსაკუთრებით კვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ პროგრამებს.

4. მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბავშვი მოსავლელად დაუბრუნდეს მშობლებს ან ბავშვისათვის ფინანსურად პასუხისმგებელ სხვა პირებს, როგორც მონაწილე სახელმწიფოში, ისე საზღვარგარეთ. კერძოდ, თუ ბავშვისათვის ფინანსურად პასუხისმგებელი პირი და ბავშვი სხვადასხვა სახელმწიფოში ცხოვრობენ, მონაწილე სახელმწიფო ხელს უწყობს საერთაშორისო შეთანხმებებთან მიერთებას ან ასეთ შეთანხმებათა დადებას, „მონაწილე სახელმწიფოები მაქსიმალურად შესაძლო დონეზე უზრუნველყოფენ ბავშვის გადარჩენასა და ჯანმრთელ განვითარებას“ (ამავე კონვენციის მე-6(2) მუხლი).

---

390 იხ. იქვე, Article 5, Article 27(2); http://www.unhchr.ch/html/menu3/b/k2crc.htm, [25.10.13].

391 *Farrugia R.,*(Advocate and Senior Lecturer, Faculty of Laws, University of Malta), State Responsibility in Enforcing Maintenance Obligations Toward Children, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 71, 73.

პრაქტიკაში აქვს თუ არა სახელმწიფოს პირველადი ან მეორადი პასუხისმგებლობა ბავშვის მიმართ?[392] ისმის კითხვა – ვალდებულია თუ არა სახელმწიფო, უზრუნველყოს „ზრუნვის მინიმალური საბაზისო სტანდარტი“ თითოეული ბავშვისათვის?[393] არაერთი თანამედროვე მკვლევარი მალტის უნივერსიტეტიდან მიიჩნევს, რომ „არსებობს კონფლიქტი, ერთი მხრივ, ბავშვის ინტერესებს (როგორც ეს გარანტირებულია საერთაშორისო და ქვეყნის კანონმდებლობით) და, მეორე მხრივ, ჩარევასთან დაკავშირებით სახელმწიფოს ინტერესს შორის“.[394] ის მხარს უჭერს ასეთ მინიმალურ სტანდარტს თეორიულად, როგორც, მინიმუმ, მშობლის მზრუნველობის არმქონე იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ მოექცნენ. იმავე საკითხთან დაკავშირებით სხვა მკვლევარი მიიჩნევს, რომ „ბავშვის უფლებათა შესახებ“ გაეროს კონვენციის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტი შეიცვალა იმისათვის, რომ აშკარა გახდეს სახელმწიფოს ვალდებულება, როგორც პირველადი პასუხისმგებლობა“.[395]

რამდენიმე სახელმწიფო უკვე სხვადასხვაგვარად გამოეხმაურა ამ საკითხს – ისინი გამოყოფენ ბავშვების დახმარებას შემოსავლის საფუძველზე, უზრუნველყოფენ გადასახადების დაქვითვას ბავშვის აღზრდაში გაწეული ხარჯების გათვალისწინებით, უმატებენ სკოლაში სწავლისა და ჯანდაცვის ხარჯებს. თუმცა ასეთი რეაგირება დიდად არის დამოკიდებული სახელმწიფოს კეთილ ნებასა და შეხედულებებზე. საკითხი დგას ასე: აქვთ თუ არა სახელმწიფოებს ვალდებულება, უზრუნველყონ ასეთი დამატებითი დახმარება და არიან თუ არა ისინი ვალდებული, უზრუნველყონ „რჩენის საბაზისო მინიმალური სტანდარტი“ მათ იურისდიქციას დაქვემდებარებული თითოეული ბავშვისათვის. თუ სახელმწიფოები ვალდებული არიან, წვლილი შეიტანონ თითოეული და ყოველი ბავშვის კეთილდღეობაში, მაშინ ისინი ასევე პასუხისმგებელი არიან იმაზეც, როცა ეს ბავშვები ზარალდებიან დახმარების ნაკლებობის გამო. რა მოცულობით არის (თუკი საერთოდ არის) სახელმწიფო კანონიერად პასუხისმგებელი ნებისმიერი შესაბამისი დამატებითი დახმარების უზრუნველყოფაზე?

1948 წლიდან და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღებიდან მიმდინარეობს ბრძოლა, რათა განისაზღვროს ფიზიკური პირების უფლებები სახელმწიფოსთან მიმართებით. თუ სახელმწიფოს ჩარევა ხშირად განიხილება როგორც არახელსაყრელი აუცილებლობა, ბევრ საერთაშორისო დოკუმენტში მისი წვლილი ითვლება „sine qua non“ (აუცილებელ) სასურველად, ადამიანის ინტერესებიდან გამომდინარე. მაგალი-

---

392 *Sharon D., Doek J., Cantwell N.,* The United Nations Convention on the Rights of Child: A Guide To the „Travaux Preparatoires", Martinus Niiboff Publishers, 1 edition, «Springer», Dordrecht/-Boston/London,1992, 270.

393 იხ. *Verschraegen B.,* (Full Professor at the Universities of Vienna, Austria, and Bratislava (Uninova), Slovakia), Fiddler on the Roof: On the Ambiguity of Family Finances, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 796.

394 *Farrugia R.,*(Advocate and Senior Lecturer, Faculty of Laws, University of Malta), State Responsibility in Enforcing Maintenance Obligations Toward Children, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 83.

395 *Detrick S.,* The United Nations Convention on the Rights of the Child: A Guide to the Travaux Preparatoires, 1992, 270, www.childjustice.org/index.php/component/edocman/?task...id=49 [28.10.13].

თად, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო კონვენცია „ადეკვატური ცხოვრების დონის უზრუნველყოფაში მთავარ პასუხისმგებლობას აკისრებს სახელმწიფოს“.[396] ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოსათვის, როგორც ბოლო ინსტანციის სასამართლოსთვის მიმართვამდე, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ასევე უნდა განისაზღვროს საერთაშორისო დონეზე. „საერთო სამართლის, როგორც მთლიანის, დისპოზიციური ვალდებულების დამსახურება ისაა, რომ იგი სტიმულს აძლევს სახელმწიფოებს, ძირშივე შეებრძოლონ ადამიანის უფლებათა პოტენციურ დარღვევებს, იქნება ეს სათანადო კანონმდებლობის შემოღებით..., თუ სხვა ღონისძიებების საშუალებით“.[397] თუმცა მისი ეფექტურობა კანონმდებლობის ამ კონკრეტულ სფეროში საკმაოდ არამართლზომიერია.

და პირიქით, აღსანიშნავია, რომ ბავშვთა უფლებების დაცვის გაეროს კონვენციის მე-18(1) მუხლი არა მარტო გულისხმობს მშობლების დაცვას სახელმწიფოს მხრიდან გადაჭარბებული ჩარევისაგან (მაშინაც კი, თუ ეს ჩარევა ხდება საუკეთესო განზრახვით), არამედ ასევე მიუთითებს, რომ მშობლებს არ უნდა ჰქონდეთ ყოველი წარმოქმნილი პრობლემისას სახელმწიფოს ჩარევის მოლოდინი. პრეამბულის ტონისა და ფორმულირების ფარგლებში, რომელშიც აღნიშნულია ბავშვის „პიროვნების სრულ და ჰარმონიულ განვითარებაზე“, რთულია იმის წარმოდგენა, თუ როგორ შეიძლება ბავშვთა უფლებების დაცვის გაეროს კონვენციის, როგორც სახელმწიფოს პასუხისმგებლობის მინიმუმამდე შემცირების, განმარტება, იმ შემთხვევებში, როცა მშობლები მოითხოვენ დახმარებას იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს „ცხოვრების აუცილებელი პირობები“ ან „ცხოვრების ადეკვატური სტანდარტები“, მე-2(1) ან 1-ლი(4) მუხლიდან გამომდინარე.

27-ე(3) მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ითვლება როგორც მშობლის ვალდებულების დამხმარე ვალდებულების მქონე და მან უნდა უზრუნველყოს პრაქტიკული თანადგომა მატერიალური მხარდაჭერისა და დახმარების საშუალებით.

იდეალურ შემთხვევაში სახელმწიფო ხშირად ცდილობს ვალდებულებების გადაცემას შვილად აყვანის წახალისებით, იმგვარად, რომ სხვა მშობლებმა აიღონ მშობლის პასუხისმგებლობის ვალდებულებები. ვფიქრობ, როგორც წესი, ბავშვისათვის უფრო ხელსაყრელი იქნება, თუ სახელმწიფო დაეხმარება ოჯახს ერთიანობის შენარჩუნებაში, ვინაიდან გადაჭარბებული ჩარევა გამოიწვევს არასასურველ შედეგებს, რაც მხოლოდ მკაცრ კრიტიკას იმსახურებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ლოგიკური იქნებოდა, სახელმწიფოს დახმარება გაეწია ბავშვისათვის მშობლისაგან ალიმენტის მი-

---

396 International Covenant on Economy Social and Cultural Rights, ICESCR Article 11, http://en.wikipedia.org/wiki/International_Covenant_on_Economic,_Social_and_Cultural_Rights [10.10.13].

397 *Jacot-Guillarmod*, Oral Intervention, in Proceedings of the Sixth International Colloquy about the European Convention on Human Rights, Seville, 1985, Published by Martinus Niiboff Publishers, Netherlands, 1988, 782-784.

ღების მოთხოვნასთან დაკავშირებით. ეს ხელს შეუწყობდა არა მარტო ბავშვის ინტერესებისა და მისი ფინანსური უზრუნველყოფის საკითხს, არამედ იმ ქალთა უფლებების დაცვასაც, რომლებიც ბავშვის აღზრდის პერიოდში კარგავენ ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შესაძლებლობას და განქორწინების შემდეგ თითქმის მთლიანად ყოფილი მეუღლის კეთილსინდისიერების იმედად რჩებიან, რაც, უმეტეს შემთხვევაში, არ ამართლებს. „პრაქტიკულად ეს ასე არ ხდება და სახელმწიფო მშობლის ნაცვლად არ აღძრავს სარჩელს წარმოქმნილ ვალთან დაკავშირებით ნებისმიერი იმ მოვალე მშობლის წინააღმდეგ, რომელიც ვერ ან არ იხდის თავიანთი შვილების ალიმენტებს“.[398] ამასვე ადასტურებს არაერთი თანამედროვე ინგლისურენოვანი მეცნიერი, „სახელმწიფოს როლი არის, გააკონტროლოს მშობლის ვალდებულება, არჩინოს შვილი და შვილმა მიიღოს ის ალიმენტი, რომლითაც მისმა მშობლებმა უნდა უზრუნველყონ“.[399] სწორედ ამიტომაც მიზანშეწონილია, საქართველოში შეიქმნას ისეთი ორგანოები (მაგალითად საალიმენტო ფონდის სახით), რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას საალიმენტო ვალდებულებების განხორციელების კუთხით.

---

398 Maltese Law ,Chapter 16, Civil Code, Laws of Malta Articles 57 (1) `*Whosoever may be the person to whom the children are entrusted, the father and mother shall maintain their right to watch over their maintenance and education, and shall be bound to contribute thereto, according to law."* http://www.justiceservices.gov.mt/DownloadDocument.aspx?app=lom&itemid=8580 [05.04.2014.].

399 *Garfinkel I.,* Bringing Fathers Back Child Support Assurance Strategy, Magazine "American Prospect", Vol 11, N 26, December, 2000, 2, http://prospect.org/article/bringing-fathers-back-child-support-assurance-strategy [31.10.13].

თავი 5. ახალი ინსტიტუტები საალიმენტო ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად

§5.1. საალიმენტო შეთანხმება

5.1.1.საალიმენტო შეთანხმების მხარეები

მშობლებსა და შვილებს შორის საალიმენტო ურთიერთობები ყოველთვის უმნიშვნელოვანესი იყო საოჯახო სამართალში, მაგრამ მათი როლი მეტად გაიზარდა საზოგადოების განვითარების თანამედროვე პირობებში. უმუშევართა რიცხვის ზრდას, ცხოვრების დონის მნიშვნელოვან გაუარესებას მივყავართ იქითკენ, რომ შრომისუუნარო პირები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, უპირველეს ყოვლისა, კი, ბავშვები, არსებობისათვის საჭირო აუცილებელი სახსრების გარეშე დარჩენის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. ამიტომაც საერთაშორისო საკანონმდებლო პრაქტიკაში ინერგება ორი ახალი ინსტიტუტი:[400] მშობლებს შორის ბავშვის რჩენასთან დაკავშირებით დადებული საალიმენტო შეთანხმება, რომელსაც ზოგადი ფორმით იცნობს საქართველოს კანონმდებლობა, და საალიმენტო ფონდი, რომელიც ჩვენი სოციალურ- იურიდიული სინამდვილისთვის უცნობია. სასამართლო სტატისტიკის მიხედვით, საკმაოდ გახშირდა საალიმენტო დავების რაოდენობა. 2011 წელს საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოში ბავშვის შესანახად ალიმენტის გადახდევინების შესახებ სულ შესულია 611 საქმე, აქედან 411 განხილულია გადაწყვეტილების გამოტანით, საიდანაც 405 დასრულდა სარჩელის დაკმაყოფილებით, 2012 წლის მონაცემებით კი, სასამართლომ 767 სარჩელიდან დააკმაყოფილა 406.[401]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1213-ე მუხლის შესაბამისად, „არასრულწლოვანი ან სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილებისათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობას განსაზღვრავენ მშობლები ურთიერთშეთანხმებით“. თუმცა აქ ისმის კითხვა: სამართლებრივად რა შედეგი მოჰყვება ამ შეთანხმებას, თუ მისი არც ფორმა და არც შესრულების მექანიზმი არ იქნა კანონით გათვალისწინებული? მიზანშეწონილია, ეს საკანონმდებლო ხარვეზი გამოსწორდეს და სსკ-ის 1213-ე მუხლს დაემატოს მეორე პუნქტი შემდეგი შინაარსით: „თუ მშობლებს სურთ, საალიმენტო შეთანხმებას მიენიჭოს სააღსრულებო ფურცლის ძალა, მაშინ იგი წერილობით უნდა იყოს შედგენილი და სანოტარო წესით დადასტურებული“. ასევე საინტერესოა ამ შეთანხმების შინაარსის განსაზღვრა და მისი ხელშეკრულების შინაარსთან თანაფარდობა. ეს საკითხი აქტუალურად

---

400 აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. *Blair M., D., Weiner M. H., Stark B., Maldonado S.*, Family Law in the World Community: Cases, Materials, and Problems in Comparative and International Family Law, Carolina Academic Pres Law Casebook Series, 2nd ed., Durham, North Carolina, 2009, 616-619; ასევე იხ. *Rijavec V., Krajic S.*, The Maintenance of Children: Alimony Fund as the Saving Grace?, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 649-663.

401 თბილისის საქალაქო სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები იხ. <http://www.tcc.gov.ge/index.php/index.php?m=534&newsid=179 > [10.09.13].

განიხილება იურიდიულ ლიტერატურაში, რასაც, საბოლოოდ, მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ საალიმენტო შეთანხმება, გამომდინარე თვით მისი შინაარსიდან, რომელიც კანონით განისაზღვრება, და მონაწილე პირების მიერ ვალდებულების დადასტურებასა და გარკვეული პირობების განსაზღვრას მოიცავს, ვერ იქნება ხელშეკრულება, რომლის შინაარსიც მხარეების ნების ავტონომიაზეა დაფუძნებული და ხელშეკრულების დადებამდე მათ შორის არავითარი ვალდებულება არ არსებობს. მეცნიერებაში ასევე მწვავედ დგას პრობლემა საალიმენტო ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ინსტიტუტების ჩართვისა. ამ მხრივ, საალიმენტო ფონდი უკვე აპრობირებული და მრავალ ქვეყანაში გავრცელებული სახელმწიფო ორგანოა, რომელიც ხელს უწყობს ამ სფეროში დაზარალებული ბავშვებისა და შრომისუნარო შვილების კანონიერი ინტერესების დაცვას.

ბავშვის ალიმენტის შესახებ მშობლებს შორის შეთანხმება არის ერთ-ერთი ინსტიტუტი, რომელიც ხელს უწყობს ალიმენტთან დაკავშირებული ბავშვის ინტერესების დაცვას. „საოჯახო კანონმდებლობა მხარს უჭერს მშობლისა და ბავშვის ურთიერთობებს, შედეგად კი ალიმენტის თაობაზე მშობლების შეთანხმებას“.[402] „ამ შეთანხმების შინაარსი მოიცავს ალიმენტის რაოდენობის, პირობებისა და გადახდის წესის განსაზღვრის შესაძლებლობას“.[403] საალიმენტო შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს ალიმენტის გადახდის სხვადასხვაგვარი წესი: ალიმენტის გადახდა პირადად, ალიმენტის გადახდა მესამე პირის საშუალებით (ბებია, პაპა და სხვა ნათესავები), ალიმენტის გაგზავნა ფოსტის საშუალებით, ალიმენტის თანხის გადარიცხვა ანგარიშზე ბანკში ან სხვა საკრედიტო დაწესებულებაში; ალიმენტის გადახდა შემნახველი სერტიფიკატის საშუალებით და სხვ.; ასევე შეიძლება განისაზღვროს შეთანხმების შეცვლისა და შეწყვეტის საფუძვლები, ალიმენტის დროულად გადაუხდელობისათვის პასუხისმგებლობის ფორმები და პირობები, შეთანხმების მოქმედების ვადა.

საალიმენტო შეთანხმებები ხანგრძლივ პერიოდზეა გათვლილი. საალიმენტო შეთანხმების ერთ მხარეს, როგორც წესი, დგას არასრულწლოვანი ან შრომისუნარო ეკონომიკურ გასაჭირში მყოფი პირი, რომლის ინტერესების განსაკუთრებული დაცვაა საჭირო, ვინაიდან ეს შეთანხმებები ეხება მხარეთა სასიცოცხლო ინტერესებს და ისინი არეგულირებენ ალიმენტის მიმღებისათვის საარსებოდ საჭირო სახსრებით უზრუნველყოფას.

საალიმენტო შეთანხმება იდება პირებს შორის, რომელთაგან ერთი მოვალეა, გადაიხადოს ალიმენტი და მეორეს უფლება აქვს, მიიღოს იგი. თუკი ალიმენტის მიმღებს სასამართლოს მიერ მხარდამჭერად მიჩნეული პირი ჰყავს, შეთანხმება შეიძლება დაიდოს მხარდამჭერის მონაწილეობით.

არასრულწლოვანი შვილებისათვის ალიმენტის გადახდის თაობაზე შეთანხმებას დებენ მშობლები, მაგრამ არა საკუთარი სახელით, არამედ ბავშვის სახელით, მისი კანონიერი წარმომადგენლის სტატუსით, რის გა-

---

402 *Kovacek-Stanic G.*, Child in Single (Absent) Parent family: Maintenance and Family Home, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 638.

403 *Смоленский М. Б.*, Семейное право России для студентов вузов, «Феникс», Ростов, 2004, 83.

მოც შესაძლებელია, შეიქმნას სიტუაცია, როდესაც ისინი დებენ გარიგებას, რომელიც ლახავს ბავშვის ინტერესებს. მაგალითად, დედა თანხმდება ბავშვის მამისაგან უმნიშვნელო ოდენობის ალიმენტის მიღებაზე, თუ ის უარს იტყვის ბავშვის ნახვის უფლებაზე, ან ერთ-ერთი მშობელი თანხმდება ალიმენტის ოდენობის შემცირებაზე, თუ მისი წილი გაიზრდება ოჯახის ქონების გაყოფის დროს. განქორწინება შესაძლოა იყოს ყველაზე სტრესული შემთხვევა ადამიანის სიცოცხლეში. ერთ-ერთი მოსამართლე შენიშნავს: „განქორწინების დროს ბევრი ადამიანი ძალიან არაადეკვატურად იქცევა, აკეთებს იმას, რასაც ნაკლებად თუ დავარქმევთ გონივრულს, მაშინაც კი როცა ისინი კონსულტაციას გადიან იურიდიულ მრჩეველთან“.[404] შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ მხარეებმა არ აღიარონ ბავშვებთან დაკავშირებული ნამდვილი ხარჯები, განსაკუთრებით კი განქორწინების შემდეგ. ამიტომაც კანონმდებლობით გათვალისწინებული უნდა იყოს სპეციალური ნორმები, რომლებიც საშუალებას არ მისცემს მშობლებს, საალიმენტო შეთანხმებით დაარღვიონ ბავშვის უფლებები.

ალიმენტის მიღების უფლების სუბიექტი და, შესაბამისად, საალიმენტო შეთანხმების ერთ-ერთი მხარე არის თვითონ შვილი. თუ შვილი არ არის 7 წლის ასაკს მიღწეული, მაშინ მისი სახელით შეთანხმებას დებს ერთ-ერთი მშობელი ან მეურვე. 7-იდან 18 წლამდე არასრულწლოვნები საალიმენტო შეთანხმებას დებენ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით (მშობელი, მზრუნველი, დედინაცვალი ან მამინაცვალი).[405]

შეთანხმების საფუძველზე ალიმენტის გადახდევინება ხორციელდება იმ პირთა შორის, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, სასამართლო წესით მოითხოვონ ალიმენტი მხოლოდ კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობის შემთხვევაში (მაგალითად: თუ ალიმენტის მიმღები ეკონომიკურ სიდუხჭირეს განიცდის ან შრომისუუნაროა, თუ ალიმენტის გადამხდელს აქვს საკმარისი სახსრები), ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი პირობები არ არსებობს, რამდენადაც „საალიმენტო შეთანხმების დადება მხარეთა უფლებაა და არა მოვალეობა“.[406] ამასთან, შეთანხმების პირობების განსაზღვრა თვით მონაწილე მხარეების პრეროგატივაა და, შესაბამისად, მათ აქვთ უფლება, შეთანხმებაში მიუთითონ ისეთი პირობები, რაც კანონით გათვალისწინებული არ არის (მაგალითად, შრომისუუნარობის ან საალიმენტო სახსრების საჭიროების არარსებობა). გამონაკლისია მეურვის მიერ მხარდაჭერის მიმღები პირის სახელით (რომელიც არ არის ალიმენტვალდებული პირი) ამგვარი შეთანხმების დადების შეუძლებლობა, ვინაიდან 2015 წლის 1 აპრილიდან ძალადაკარგულია ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც შეეხება სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირის მეურვის მიერ სამეურვეო პირის უფლებებისა და ინტერესების წარმოდგენას მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის სასამართლოში.

---

404 საქმე *რიჩარდსონი რიჩარდსონის წინააღმდეგ, Richardson v. Richardson*, [1987] 1S.C.R. 857 41 (*La Forest, J.,* dissenting), Judgments of Supreme Court of Canada, SCC Case Information: 19287, <http://scc.lexum.org/decisia-scc-csc/scc-csc/scc-csc/en/item/220/index.do>, [23.09.13].

405 იხ. *ჩიკვაშვილი შ.,* საოჯახო სამართალი, „მერიდიანი“, თბ., 2004, 355-358.

406 *Муратова С. А*., Семейное право, 2-е издание, «Эксмо», М., 2005, 220.

საინტერესოა, თუ რამდენადაა შესაძლებელი, საალიმენტო შეთანხმება დაიდოს პირთა შორის, რომლებიც კანონის საფუძველზე არ მიეკუთვნებიან იმათ რიცხვს, ვინც უფლებამოსილი არიან, მოითხოვონ ალიმენტის გადახდევინება სასამართლო წესით: ფაქტობრივი მეუღლეები, მეურვეები, მზრუნველები, მშობლების დები და ძმები, და სხვ. ასეთი შეთანხმება შესაძლებელია, რადგან საოჯახო სამართალი, მიუხედავად მისი თავისებურებებისა, კერძო სამართლის ნაწილია და, შესაბამისად, მხარეებს შესაძლებლობა აქვთ, დადონ კანონით ან სხვა სამართლებრივი ნორმებით როგორც გათვალისწინებული, ისევე გაუთვალისწინებელი შეთანხმება. შესაბამისად, მხარეებს აქვთ უფლება, დადონ ხელშეკრულება სარჩოს უზრუნველყოფის შესახებ იმ შემთხვევაშიც, თუ საოჯახო სამართლით არ არის გათვალისწინებული ამ პირთა მიერ ამგვარი შეთანხმების დადება. ასეთი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, ურთიერთობებს, რომლებიც შეთანხმების დადებასა და შესრულებასთან დაკავშირებით ჩნდება, კანონი არ არეგულირებს. ამ შემთხვევაში, მათი რეგულირება კანონის ანალოგიის გზით ხორციელდება. ამასთან, ღიად რჩება საკითხი ხსენებული შეთანხმების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულების სამართლებრივი ბუნების შესახებ. მიმაჩნია, რომ ეს ვალდებულება უნდა ჩაითვალოს საალიმენტო ვალდებულებად, თუმცა შესაძლებელია, სამისდღეშიო რჩენის შესახებ ხელშეკრულების განსაკუთრებულ სახედაც მივიჩნიოთ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამგვარ კლასიფიკაციას მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა აქვს, „ვინაიდან, პრაქტიკულად, არაფერი არ იცვლება, ორივე შემთხვევაში განხილული ვალდებულება მოწესრიგდება საალიმენტო შეთანხმების შესახებ არსებული სამართლებრივი ნორმებით“.[407]

საალიმენტო შეთანხმება შეიძლება ბათილად იყოს ცნობილი ყველა იმ საფუძვლით, რაც სამოქალაქო ხელშეკრულებების ბათილად ცნობისთვისაა გათვალისწინებული. ისევე, როგორც ზოგიერთი სამოქალაქო გარიგება, საალიმენტო შეთანხმება შეიძლება იყოს მიჩნეული როგორც ბათილად, ისე საცილოდ. სამოქალაქო კანონმდებლობის გამოყენების წესებში საალიმენტო გადახდევინების შესახებ შეთანხმების ბათილად ცნობისათვის გამონაკლისები არ არსებობს. შესაბამისად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სადავო საალიმენტო შეთანხმების ბათილად ცნობა და ბათილად ცნობის შედეგების გამოყენება ბათილი შეთანხმებების მიმართ მხოლოდ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადებშია შესაძლებელი. სადავო საალიმენტო შეთანხმება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო გარიგების ბათილად ცნობის საფუძვლად მიჩნეული გარემოებების შესახებ. თუ შეთანხმება დადებულია იძულებით (ძალადობის ან მუქარის გამოყენებით), მაშინ ერთწლიანი ვადა იწყება ძალადობის ან მუქარის დამთავრების მომენტიდან; თუ სადავოა შეთანხმება, რომელიც ალიმენტის მიმღების, რომელიც მხარდაჭერის მიმღებად არის მიჩნეული, ინტერესებს ლახავს, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის საწყისად უნდა მივიჩნიოთ მომენტი, როდესაც მხარდამჭერმა ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ შეიტყვეს ალიმენტის მიმღების ინტერესების შელახვის შესახებ.

---

407 *Антокольская М. В.,* Семейное право, «Юрист», М., 2004, 236.

მხარეთა ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში საალიმენტო გადახდევინების შეთანხმების შეწყვეტა ან შეცვლა უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით და დადასტურდეს სანოტარო წესით. შეთანხმების (ან მასში ცვლილებების) სანოტარო ფორმის შეუსრულებლობას კი უნდა მოჰყვეს მისი ბათილად ცნობა. შეთანხმების შესრულებაზე ცალმხრივი უარის თქმის ან შეთანხმების ცალმხრივი ცვლილებების შემთხვევაში, მხარეს, რომლის ინტერესები ამით ილახება, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს სარჩელით მეორე მხარისაგან შეთანხმების იძულებითი შესრულების მოთხოვნით. თუ საალიმენტო გადახდევინების შეცვლის ან შეწყვეტის შეთანხმება ნებაყოფლობითი გზით არ არის მიღწეული, დაინტერესებული პირი უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს სარჩელით სასამართლო წესით შეთანხმების შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ. სასამართლო დააკმაყოფილებს მოსარჩელის მოთხოვნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩათვლის, რომ შეთანხმების დადების მომენტიდან მნიშვნელოვნად შეიცვალა მხარის მატერიალური ან ოჯახური მდგომარეობა. შეთანხმების შეცვლის ან შეწყვეტის საკითხის განხილვისას სასამართლომ შეიძლება მიიღოს მხედველობაში მხარეთა ნებისმიერი საყურადღებო ინტერესი, მაგალითად: ალიმენტის გადამხდელის შრომისუუნარობა საალიმენტო შეთანხმების დადების შემდეგ; ყოფილი მეუღლისაგან ალიმენტის მიმღები მეუღლის ახალი ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობები და სხვ. მაგრამ, ამასთან, აღსანიშნავია, რომ საალიმენტო შეთანხმებას უნდა მივუდგეთ როგორც სტაბილურსა და საიმედოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, „ნაკლები მნიშვნელობა ექნება ამ ხელშეკრულებას, და ნებისმიერი ხელშეკრულება იქნება მხოლოდ შუალედური ეტაპი სასამართლოსათვის მიმართვამდე“.[408]

დამატებითი დაცვა სჭირდებათ არასრულწლოვან და სრულწლოვან მხარდაჭერის მიმღებ პირებს, რომლებიც ალიმენტს იღებენ მათი სახელით კანონიერი წარმომადგენლების მიერ დადებული შეთანხმების საფუძველზე, და (ან) მხარდამჭერის მონაწილეობის შემთხვევაში. ამის აუცილებლობა იმითაა გამოწვეული, რომ ბავშვის მშობლები ერთმანეთის მიმართ არ არიან უცხო პირები და, ხშირად, ბავშვის რჩენასთან დაკავშირებული შეთანხმების დადებისას საკუთარ ინტერესებს მისდევენ. შესაძლებელია, ეს ინტერესები არ ემთხვეოდეს ბავშვის ინტერესებს (სარგებლის მიღება ქონების გაყოფის დროს და სხვ.). ამასთან დაკავშირებით, ასეთი შეთანხმებების ბათილად ცნობისათვის კანონმდებლობა ითვალისწინებს სპეციალურ საფუძველს. შეთანხმება შეიძლება ბათილად იყოს ცნობილი, თუ ის საგრძნობლად არღვევს ამ პირთა ინტერესებს. არასრულწლოვანი ან სრულწლოვანი მხარდაჭერის მიმღები პირების ინტერესები საგრძნობლად დარღვეულად მიიჩნევა, თუ საალიმენტო თანხა, რომელიც ამ შეთანხმების საფუძველზე მათ ეკუთვნით, გაცილებით ნაკლებია თანხაზე, რომელსაც ისინი მიიღებდნენ სასამართლოს გადაწყვეტილებით ალიმენტის გადახდევინების შემთხვევაში. თუ სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, შეთანხმების ბათილად ცნობის ნაცვლად შეიძლება სასამართლო წესით განხორციელდეს შეთანხმების შეცვლა ან შეწყვეტა. სხვა შემთხვევაში საა-

408 *Cohen Y.*, Issues Subject to Modification in Famuly Law: A New Model, Ono Academic College, Columbia Law School, 2013, 6, <http://papers.ssrn.com/sol3/DisplayAbstractSearch.cfm> [10.09.13].

ლიმენტო შეთანხმების მონაწილე მხარეები თავისუფალი არიან, განსაზღვრონ საალიმენტო თანხა ნებისმიერი ოდენობით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაქსიმალური ზღვარი ალიმენტის ზომისა, რომელიც შეიძლება განისაზღვროს საალიმენტო შეთანხმებით, შეზღუდული არ არის.[409]

საალიმენტო გადახდევინების შეთანხმებაში შეიძლება იყოს გათვალისწინებული ალიმენტის გადახდის სხვადასხვა წესის კომბინირება. იმავდროულად, მხარეები უფლებამოსილნი არიან, დამოუკიდებლად დაადგინონ ალიმენტის გადახდის მეთოდები. ალიმენტის გადამხდელის შემოსავლის წილიდან ალიმენტის განსაზღვრისას მხარეები დამოუკიდებლად ახდენენ ასეთი წილების გამოთვლას და ადგენენ შემოსავლების იმ სახეობებს, რომლებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული. მხარეები უფლებამოსილნი არიან, შეთანხმების საფუძველზე განახორციელონ ქონების შეფასება, რომელიც ალიმენტის სახით იქნება წარმოდგენილი. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ქონებიდან და ასევე მყარი ფულადი სახით განსაზღვრული ალიმენტიდან მიღებული შემოსავლის გამოყენება ალიმენტის მიმღებ პირს შეუძლია საკუთარი თავის სარჩენად. ალიმენტის გადახდა უცხოური ვალუტის სახით შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობის სავალუტო რეგულირების მოთხოვნების საფუძველზე. საალიმენტო გადასახადების ვადებიც მხარეების მიერ დამოუკიდებლად დგინდება. ალიმენტის გადახდა შეიძლება მოხდეს როგორც ყოველთვიურად, ასევე დროის სხვა პერიოდულობით ან ერთდროულად გადახდილი თანხის სახით.

საინტერესოა გარემოება ალიმენტის რეალური ღირებულების შენარჩუნებასთან დაკავშირებით, რომელთან მიმართებითაც აქტუალურია მისი ინდექსაციის საკითხი. კერძოდ, ალიმენტის ოდენობის ინდექსაცია ინფლაციისაგან საალიმენტო გადასახადების დაცვის მიზნითაა გათვალისწინებული და იგი რეგულარულად ტარდება. მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ ინდექსაციის ნებისმიერი მეთოდები, მათ შორის ალიმენტის ოდენობის თანაფარდობა უცხოურ ვალუტასთან ან რამდენიმე უცხოურ ვალუტასთან[410] (ალიმენტის ოდენობა განისაზღვრება ლარებში იმ ოდენობით, რომელიც გარკვეული თანხის ტოლია უცხოურ ვალუტაში). თუ შეთანხმებით გათვალისწინებული საალიმენტო გადასახადების ინდექსაციის მეთოდები არ არის ეფექტური, მაშინ ამის საფუძველზე ალიმენტის მიმღებს აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს შეთანხმების შეცვლის მიზნით.

5.1.2. საალიმენტო შეთანხმების სამართლებრივი ბუნება და მისი თანაფარდობა ხელშეკრულებასთან

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „საალიმენტო შეთანხმება თავისი ბუნებით არის სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება“.[411] ამავე პოზიციას იზიარებენ ზოგიერთი ქართველი მეცნიერი: „საალიმენტო შეთანხმება არის სამოქალაქო-სამართლებრივი

---

409 იხ. *Антокольская М. В.,* Семейное право, «Юрист», М., 2004, 238.

410 იხ. *Пчелинцева Л. М.*, Комментарий к Семейному кодексу Российской Федерации, 3-е издание, «Норма», М., 2004, 416.

411 *Антокольская М. В.*, Семейное право, «Юрист», М., 2004, 252.

ხელშეკრულება, რომლითაც ალიმენტვალდებული პირი კისრულობს ვალდებულებას მისცეს მატერიალური სარჩო ალიმენტის მოთხოვნის უფლების მქონე პირს ურთიერთშეთანხმებული პირობებით. საალიმენტო ხელშეკრულება არის ცალმხრივი, აუნაზღაურებელი და კონსენსუალური ხასიათისა. პირველი ორი ნიშანი დამახასიათებელია მთლიანი საალიმენტო ვალდებულებებისათვის. რაც შეეხება მის კონსენსუალურობას, იგი იმაში მდგომარეობს, რომ ალიმენტის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდანვე".[412] ეს მოსაზრება მცდარია, რადგან ხელშეკრულება არის ორი ან რამდენიმე პირის თანხმობა სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ. ხელშეკრულება ყოველთვის მხარეთა შეთანხმებაა, თანაც ისეთი შეთანხმება, რომელიც საფუძვლად უდევს მის მიერ წარმოშობილ ვალდებულებას. შესაბამისად, აქ საქმე მხოლოდ შეთანხმებას არ ეხება, ვინაიდან შეთანხმება შეიძლება წინ უსწრებდეს ხელშეკრულების გაფორმებას, და წინასახელშეკრულებო ეტაპზე განსაზღვრავდეს მომავალი ხელშეკრულების პირობებს, ან აკონკრეტებდეს ვალდებულებათა შესრულების წესს (წინასახელშეკრულებო შეთანხმება, მემორანდუმი, პროტოკოლი და სხვა მსგავსი დოკუმენტები). „რაც შეეხება თვით ხელშეკრულებას, ის არის ვალდებულების წარმომშობი შეთანხმება".[413] ამასთან, ხაზგასასმელია სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ნება სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების დამყარების, შეცვლის ან შეწყვეტის თაობაზე. ნების თავისუფლება სახელშეკრულებო კავშირების დამყარების, ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის ზოგად წინაპირობად უნდა მივიჩნიოთ. მხოლოდ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან, ე. ი. შეთანხმების ყველა პუნქტში თანხმობის მიღწევის მომენტიდან, მხარეებს უჩნდებათ გარკვეული უფლებები და ვალდებულებები. ხელშეკრულების დადებამდე მათ ჯერ არ გააჩნიათ რაიმე უფლებები და ვალდებულებები ერთმანეთის მიმართ. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, ანუ ხელშეკრულება არ არსებობს, და რაიმე უფლებები და ვალდებულებები არ გააჩნიათ სუბიექტებს, რომლებიც ცდილობდნენ შეთანხმების მიღწევას. „ხელშეკრულების სპეციფიკა გამომდინარეობს მისი სამართალდამწესებელი ხასიათიდან და მისი მისგანვე წარმოქმნილი უფლებებისა და ვალდებულებების იურიდიული ბუნებიდან ხელშეკრულების მონაწილეებისათვის. იგი არის სუბიექტებისათვის კოორდინებული საქმიანობის ორგანიზების საშუალება მათი ურთიერთუფლებებისა და ვალდებულებების დადგენის გზით".[414]

იურიდიულ ლიტერატურაში კვლავაც ინარჩუნებს აქტუალობას თვით ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების პრობლემა. მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ხელშეკრულება, როგორც უფლება-მოვალეობების წარმოშობის საფუძველი, უნდა შეიცავდეს იურიდიული ფაქტის ნიშნებს, „ამასთან, ხელშეკრულება მიეკუთვნება იმ იურიდიული ფაქტების სახეო-

---

412 *შენგელია რ., შენგელია ე.,* საოჯახო სამართალი, მესამე გამოცემა, „მერიდიანი", თბ., 2013, 249.

413 *Пугинский Б. И.,* Теория и практика договорного регулирования, «Зерцало», М., 2008, 6.

414 *Пугинский Б. И.,* Гражданско-правовые средства в хозяйственных отношениях, «Юрид. лит.», М., 1984, 107.

ბას, რომელიც იწოდება გარიგებად; მაშასადამე, არის ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მოქმედება, რაც მიმართულია სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ“.[415] „ხელშეკრულება ორმხრივი (მრავალმხრივი) გარიგებაა“.[416] „ასეთ ხელშეკრულებებს „ხელშეკრულება-გარიგება“ ეწოდება“.[417] იგი განსხვავდება „ხელშეკრულება-სამართლებრივი ურთიერთობისაგან“, რომელიც მოითხოვს „შეთანხმების სხვადასხვა შინაარსს, ანუ იმ პირობების ერთობლიობას, რომელთა გათვალისწინებით იდება და საიდანაც გამომდინარეობს მონაწილე მხარეების უფლებები და მოვალეობები“.[418] განსხვავებულ პოზიციას გამოხატავს ხელშეკრულების შინაარსსა და მის იურიდიულ ბუნებასთან დაკავშირებით სხვა მეცნიერი, რომელიც მიიჩნევს, და მეც ვეთანხმები მის მოსაზრებას, რომ ხელშეკრულების, როგორც მხოლოდ გარიგების, განხილვა არ იქნება სწორი. გარიგება არის მოქმედება, რომელიც მიმართულია უფლება-მოვალეობების დადგენის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. ხელშეკრულება არა მხოლოდ ადგენს უფლება-მოვალეობებს, არამედ ითვალისწინებს სუბიექტების მიერ გარკვეული მოქმედებების განხორციელებასაც, რომელთა შინაარსი ფიქსირდება შეთანხმებაში. ხელშეკრულება განსაზღვრავს, თუ რა უნდა იყოს კონკრეტულად გაკეთებული, და რომელ იურიდიულ მოთხოვნებს აყენებენ მხარეები ამ მოქმედებების განსახორციელებლად. „მაშასადამე, ხელშეკრულებას გაცილებით უფრო ფართო როლი და ფუნქციები ენიჭება, ვიდრე ტრადიციულად ინტერპრეტირებულ გარიგებას“.[419] უნდა აღინიშნოს ასევე, რომ არც ორმხრივი (მრავალმხრივი) გარიგებაა ყოველთვის ხელშეკრულება. ერთ-ერთი მეცნიერი წერს, რომ სახელშეკრულებო ვალდებულება „ნიშნავს მოვალის თანხმობას, გახდეს ვალდებული შესაბამისი განცხადების წარმდგენი პირის მიმართ. მხარეთა განზრახვა უნდა გამოიხატებოდეს ვალდებულების ჩამოყალიბებით, ანუ მისი შესრულების მოვალეობის მოვალეზე დაკისრებითა და შესრულების მოთხოვნის უფლების კრედიტორისათვის მინიჭებით“.[420] ამგვარი დანიშნულების არარსებობისას, გარიგება არ იწვევს სახელშეკრულებო ვალდებულების წარმოშობას, შესაბამისად არ ქმნის ხელშეკრულებას. ამრიგად, თუ გარიგების მიზანია სუბიექტების უფლებების ან მოვალეობების დადგენა (შეცვლა, შეწყვეტა), მაშინ მხარეთა მიერ გასაფორმებელ ხელშეკრულებაში ერთმანეთის მიმართ უფლება-მოვალეობების განსაზღვრა არის მონაწილეთა საერთო მიზნის მიღწევისაკენ მიმართული სახელშეკრულებო ვალდებულების შექმნის საშუალება. ამ გარემოებების მიხედვით, შეიძლება იმის მტკიცება, რომ ყველა ორმხრივი (მრავალმხრივი) გარიგება არ

---

415 *Бекленищева И. В.*, Гражданско правовой договор: классическая традиция и современные тенденции, «Статут», М., 2006, 64.

416 *ახვლედიანი ზ.,* ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, „სამართალი“, თბ., 1999, 10.

417 *Брагинский М. И., Витрянский В.В.*, Договорное право, Книга первая: обшие положения, изд. 3-е, «Статут», М., 2000-2006, гл. 1, 7.

418 *Бекленищева И. В.*, Гражданско правовой договор: классическая традиция и современные тенденции, «Статут», М., 2006, 65.

419 *Пугинский Б. И.*, Гражданско правовой договор, журнал: Вестник Московского университета, «Право», N 2, серия 11, 2002, 40-41.

420 *Ансон В.*, Договорное право, «Юрид. лит.», М., 1984, 14.

წარმოშობს სახელშეკრულებო ვალდებულებას სუბიექტებს შორის და, შესაბამისად, ხელშეკრულებად ვერ ჩაითვლება.

რაც შეეხება ხელშეკრულების, როგორც იურიდიული ფაქტის, განხილვას, ერთ-ერთი მეცნიერი სრულიად შეუძლებლად მიიჩნევს და მიუთითებს, რომ „იურიდიული ფაქტი უზრუნველყოფს სამართლებრივი ნორმის ზოგადი დანაწესების ექსტრაპოლაციას სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ქცევის კონკრეტულ მოდელზე. შესაბამისად, იურიდიული ფაქტიდან წარმოშობილ ვალდებულებაში არ შეიძლება იყოს ისეთი რამ, რასაც არ მოიცავს სამართლებრივი ნორმა, რომელიც მის მიერ რეგლამენტებულ იურიდიულ ფაქტს უკავშირდება“.[421] ამავე პოზიციას იზიარებს სხვა ავტორი: „თუ ხელშეკრულების სამართლებრივი შინაარსის ჩამოყალიბება ხდება მხარეთა შეთანხმების, და არა კანონის, საფუძველზე, მაშინ ხელშეკრულება იურიდიული ფაქტის განსაზღვრებაში ვერ მოთავსდება. ვინაიდან ხელშეკრულების პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ უფლებებსა და იურიდიულ მოვალეობებს, როგორც წესი, დგინდება მხარეთა შეთანხმებით, და არა კანონიდან გამომდინარე, ხელშეკრულება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს იურიდიულ ფაქტად, ამ ცნების საყოველთაოდ აღიარებული მნიშვნელობით“.[422]

კონცეპტუალური სქემა „სამართლებრივი ნორმა – იურიდიული ფაქტი – სამართლებრივი ურთიერთობა“ ქმნის იმ „მთვლემარე“ ნორმების სურათს, რომლებიც ამოქმედდებიან მხოლოდ იურიდიული ფაქტის დადგომისთანავე. განხილული სქემა საერთოდ გამოუსადეგარი აღმოჩნდა ძალზე დიდი და მნიშვნელოვანი სფეროსათვის – სახელშეკრულებო სამართლისათვის, სადაც გამოსაყენებელი ნორმები რეალიზდება სულ სხვა საწყისებზე. ხელშეკრულებაში მთავარი მომენტია სუბიექტების მიერ ერთმანეთის მიმართ უფლება-მოვალეობების ჩამოყალიბება შეთანხმებული ნების გამოვლენის საფუძველზე, და არა სამართლებრივი ნორმების შესრულების წესის განსაზღვრა. ამ პროცესში ხელშეკრულების შესახებ ნორმები, ძირითადად, დამხმარისა და შემავსებლის როლს ასრულებს. სწორედ ამიტომ ეს სფერო სახელშეკრულებოა, და არა ნორმატიული.

ხელშეკრულებების შესახებ რომის სამართალში არსებული წარმოდგენა შესაძლებელს ხდიდა მათ განხილვას სამი სხვადასხვა თვალსაზრისით, კერძოდ ესენია: როგორც სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი; როგორც თვით სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ამ საფუძველზე წარმოიშვა; და ბოლოს, როგორც ფორმა, რომელსაც შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობა იძენს. ამ საკითხთან დაკავშირებით სამართლიანი მოსაზრება გამოთქვა ხსენებულმა ავტორმა, რომელიც განმარტავს, რომ „სამართლებრივი ურთიერთობის“ კატეგორია ვერ ხსნის ხელშეკრულების არსს, რადგან ხელშეკრულება არის სუბიექტების საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების ინსტრუმენტი, მაშინ როდესაც სამართლებრივი ურთიერთობა ასეთი არ არის. ხელშეკრულების აღიარება სამართლებრივ ურთიერთობად გარდაუვალად იწვევს ხელშეკრულების სა-

421 *Пугинский Б. И.,* Теория и практика договорного регулирования, «Зерцало», М., 2008, 20.

422 *Красавчиков О. А.,* Юридические факты в советском гражданском праве, «Госюриздат», М., 1958, 51.

რეგულაციო პოტენციალის გამოყენების შეუძლებლობას და ნიშნავს უარის თქმას მისი ძირითადი თვისებების გამოვლენაზე. სახელშეკრულებო სამართლის სპეციალისტები ხელშეკრულების სარეგულაციო როლის განხილვას ვერ ახერხებენ იმის გამო კი არა, რომ მათ ამის სურვილი არა აქვთ, არამედ იმიტომ, რომ ხელშეკრულების სამართლებრივი ურთიერთობის დონემდე დაყვანა გამორიცხავს ასეთ შესაძლებლობას".[423] შეუძლებელია არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ „სამართლებრივი ურთიერთობის" კატეგორია გამოიყენება სამართლის ნორმებით რეგულირებული ურთიერთობების მიმართ, რომლებშიც სამართლის ზოგადი თეორია გულისხმობს სახელმწიფოს მიერ გამოცემული ან სანქცირებული საყოველთაოდ სავალდებულო ნორმების ერთობლიობას. „სამართლის თეორეტიკოსების აზრით, კერძო ხელშეკრულება არასდროს შედიოდა სამართლის შინაარსში. სწორედ ესაა კიდევ ერთი მიზეზი, რომლის გამოც სამართლებრივი ურთიერთობის კონსტრუქცია ვერ გამოიყენება ხელშეკრულების არსის ახსნის მიზნით, რადგან ვერ უზრუნველყოფს ნორმალური საბაზრო ბრუნვისათვის დამახასიათებელი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპების გამოხატვასა და რეალიზებას, აგრეთვე ინდივიდების მიერ თავიანთი ნებითა და საკუთარი ინტერესების მიხედვით უფლებებისა და იურიდიული მოვალეობების ჩამოყალიბებას".[424]

განსხვავებულ პოზიციას გამოხატავდა სხვა მეცნიერი, რომელიც ხელშეკრულებას მიიჩნევდა ორ ან რამდენიმე პირს შორის არსებულ შეთანხმებად სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ და აღნიშნავდა, რომ „ზოგჯერ ხელშეკრულება გულისხმობს თვით ვალდებულებას, რომელიც წარმოიშობა ამ შეთანხმებიდან, ზოგჯერ კი ეს ტერმინი ნიშნავს დოკუმენტს, სადაც დაფიქსირებულია ყველა მონაწილის ნების გამოვლენის საფუძველზე ვალდებულების წარმოშობის აქტი".[425] განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო მოსაზრება გამოითქვა რუსი ავტორის მიერ, რომელიც წინააღმდეგი იყო როგორც იმ მტკიცებისა, რომ ხელშეკრულება არის გარიგება, ასევე იმ განმარტებისა, რომ ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმებაა, რომელიც მიმართულია სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. მეცნიერის აზრით, ხელშეკრულების ცნება, ორი ან რამდენიმე პირის ნების შეთანხმების გარდა, „უნდა მოიცავდეს მათ სამოქალაქო უფლება-მოვალეობებსაც". ამასთან, ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ „თითოეული მხარის უფლება-მოვალეობები, როგორც წესი, განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ ისინი უნდა იყოს ურთიერთშეთანხმებული და ერთობლიობაში ერთიან სამართლებრივ შედეგს უნდა იძლეოდეს".[426]

ხელშეკრულება, როგორც უფლება-მოვალეობების წარმოშობის საფუძველი, განსხვავებულ ადგილს იკავებს სხვადასხვა ქვეყნის სამოქალა-

---

423 *Пугинский Б. И.,* Теория и практика договорного регулирования, «Зерцало», М., 2008, 40.

424 იქვე, 40.

425 *Иоффе О.С.,* Советское гражданское право, «Изд. Ленинградского университета», Л., 1958, 385.

426 *Халфина Р.О.,* Значение и сущность договора в советском социалистическом гражданском праве, М., 1952. მითითებულია წიგნში: *Пугинский Б. И.*, Гражданско правовой договор, Вестник Московского университета, «Право», N 2, серия 11, 2002, 38-57.

ქო კოდექსებში, იმის მიხედვით, გერმანული (პანდექტური მოდელი) თუ რომანული სამართლის ოჯახს (ინსტიტუციური მოდელი) ემყარებიან ეს კოდექსები. „ზოგიერთ მათგანში, ერთი მხრივ, შეთანხმების და, მეორე მხრივ, მისი წარმოშობის საფუძვლის – „ხელშეკრულება-გარიგების“ – მომწესრიგებელი ნორმები მოცემულია კოდექსის იმ ნაწილებში, რომლებიც ეხება ხელშეკრულებას, როგორც ასეთს. სხვა ქვეყნების კოდექსებში ხელშეკრულებებზე ვრცელდება გარიგებათა კოდექსის ზოგადი ნორმები ისე, რომ ყველა ხელშეკრულება და ვალდებულება გამომდინარეობს შეთანხმებიდან ზოგადად. (პირველი ტიპის კოდექსის მაგალითი შეიძლება იყოს: საფრანგეთის, იტალიის, ნიდერლანდის სამოქალაქო კოდექსები, ხოლო მეორისა – გერმანიის სამოქალაქო კოდექსი)“.[427]

საალიმენტო შეთანხმების შინაარსი სრულიად განსხვავდება სამოქალაქო ხელშეკრულების ცნების სამართლებრივი შინაარსისაგან. „ალიმენტის გადახდევინების შემთხვევაში მშობლის რჩენისა და აღზრდის მოვალეობა შვილების მიმართ გამომდინარეობს კანონიდან, ხოლო თვით საალიმენტო ვალდებულება ემყარება სისხლით ნათესაობას“.[428] მშობლებს ეკისრებათ თავიანთი შვილების რჩენის მოვალეობა. „ეს ვალდებულება იმ განგრძობადი იურიდიული ფაქტიდან (გრძელვადიანი ხდომილებები) მომდინარეობს, რომელსაც სუბიექტის თვისებრივ მდგომარეობას უწოდებენ და, რომელიც საოჯახო სამართლის მონაწილე პირებისთვის უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველი ხდება (ნათესაობა, ქორწინება, შვილად აყვანა, მეურვეობა, მზრუნველობა)“.[429] ე.წ. კანონისმიერი სამართლებრივი ურთიერთობები, ჩვეულებრივ, ნიშნავს ისეთ სამართლებრივ კავშირებს, რომელთა მოძრაობას საფუძვლად უშუალოდ კანონი უდევს. ამ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერთა ნაწილი ამტკიცებს, რომ „ვალდებულებათა წარმოშობის საფუძვლების სისტემაში საალიმენტო მოვალეობა იმ ვალდებულებების კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც უშუალოდ კანონის ძალით წარმოიშობა“.[430] თუმცა ამ თეორიის საწინააღმდეგო თეზისიც არსებობს, რომლის მიხედვითაც საალიმენტო მოვალეობა არ არის „კანონისმიერი ვალდებულება“ – „ურთიერთმოვალეობები შვილსა და მშობლებს შორის სისხლით ნათესაობას ემყარება“.[431] მაგრამ რა არის სისხლით ნათესაობა? – „ნათესაობა პირთა სისხლისმიერი კავშირია, რომელიც დაფუძნებულია ერთი პირის მეორისაგან ან სხვადასხვა პირის საერთო წინაპრისაგან წარმოშობაზე“.[432] „როგორც იურიდიული ფაქტი – ეს არის შეფარდებითი იურიდიული მოვლენა. შესაბამისად, საალიმენტო ვალდებულების წარმოშობის სპეციალური საფუძველია იურიდიული მოვლენა. აქედან გა-

---

427 *Бекленищева И. В.*, Гражданско правовой договор: классическая традиция и современные тенденции, «Статус», М., 2006, 64-65.

428 *Красавчиков О. А.,* Категории науки Гражданского права, Избранные труды, том второй, «Статус», М., 2005, 240.

429 *Муратова С. А.*, Семейное право, 2-е издание, «Эксмо», М., 2005, 49.

430 *Бару И.М.*, Договорное обязательство о содержании, «Ученые записи Харьков. юрид. ин-та», вып.3, 1946, 25.

431 *Красавчиков О. А.,* Категории науки гражданского права, Избранные труды, том второй, «Статус», М., 2005, 240.

432 *Муратова С. А.*, Семейное право, 2-е издание, «Эксмо», М., 2005, 51.

მომდინარე, განსახილველ ვალდებულებას არა „კანონისმიერი ვალდებულება“, არამედ „ნათესაობიდან გამომდინარე ვალდებულება“ უნდა ეწოდოს“.[433] სწორედ მშობლებსა და შვილებს შორის არსებული ნათესაობის ხარისხი წარმოშობს მშობლის საალიმენტო ვალდებულებას – არჩინოს თავისი არასრულწლოვანი ან შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილი, ხოლო შემდგომ სრულწლოვანი შვილის ვალდებულებას – შეინახოს თავისი შრომისუუნარო მშობელი, რომელიც დახმარებას საჭიროებს. „არასრულწლოვანი შვილების მიმართ ამ ვალდებულებას წარმოშობს შემდეგი ფაქტობრივი შემადგენლობა: ჯერ ერთი, პირველი ხარისხის ნათესაური კავშირი დაღმავალი ხაზით; მეორე, ბავშვები, სრულწლოვანების ასაკს მიღწევამდე. სრულწლოვანი ბავშვების შემთხვევაში, აუცილებელია: ჯერ ერთი, პირველი ხარისხის ნათესაური კავშირი დაღმავალი ხაზით; მეორე, შვილის შრომისუუნარობა და საარსებო წყაროს არარსებობა“.[434]

„კანონი არ არის კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის დინამიკის უშუალო საფუძველი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. კანონი ნებისმიერ სამართლებრივ ურთიერთობაზე მაღლა დგას და სამართლებრივ ურთიერთობათა მოძრაობის საფუძვლად ამა თუ იმ ფაქტს აღიარებს. კანონი სამართლებრივი კავშირების დინამიკის ზოგადი და აუცილებელი წინაპირობაა და არა მათი კერძო საფუძველი, როგორც, მაგალითად, ხელშეკრულება ან დელიქტი“.[435] კონკრეტულ შემთხვევაში კი, კანონი აღიარებს მშობლებსა და შვილებს შორის არსებულ ნათესაურ კავშირს, როგორც იურიდიულ ფაქტს, რომლის საფუძველზეც მათ შორის წარმოიშობა საალიმენტო ვალდებულება. მშობლის ვალდებულება – არჩინოს შვილი, ბავშვის დაბადებისთანავე წარმოიშობა და ეს ვალდებულება არ არის განპირობებული მშობლებსა და შვილს, ან შვილსა და მშობლებს შორის რაიმე შეთანხმების დადების აუცილებლობით. ასეთი შეთანხმებები, როგორც წესი, იდება ალიმენტის გადახდევინების გარანტიისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საალიმენტო ვალდებულებას კანონისმიერი ვალდებულება უნდა ეწოდოს, ვინაიდან მხოლოდ ნათესაობის ფაქტი რაიმე იურიდიულ შედეგს ვერ განაპირობებდა, თუ მას კანონი საალიმენტო ვალდებულების წარმოშობის საფუძვლად არ აღიარებდა, თუმცა იგი განსხვავდება სხვა კანონისმიერი ვალდებულებისაგან სწორედ მისი წარმოშობის საფუძვლით (რომელსაც კანონი მშობლებსა და შვილებს შორის არსებულ ნათესაობას უკავშირებს), თუმცა სხვა დანარჩენი საალიმენტო ურთიერთობის პირობები კანონით განისაზღვრება.

იურიდიულ მეცნიერებაში გამოთქმულია აზრი, რომლის თანახმად, ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებებიც, ფაქტობრივად, კანონისმიერი ვალდებულებებია, კანონი კი არის სახელშეკრულებო კავშირების შინაარსის ერთადერთი რეგულატორი. „ხელშეკრულების შინაარსი მთლიანად აღიქმება ნორმატიული სამართლებრივი აქტების მიხედვით და

---

433 *Красавчиков О. А.,* Категории науки гражданского права, Избранные труды, том второй, «Статус», М., 2005, 240.

434 *Агарков М. М,.* Обязательство по советскому гражданскому праву, Типография «Известий Советов депутатов трудящихся СССР», М., 1940, 163-165.

435 *Красавчиков О. А.,* Категории науки гражданского права, Избранные труды, том второй, «Статус», М., 2005, 239.

რეგულირდება სამართლის ნორმებით; ხელშეკრულების პირობების ერთობლიობა ქმნის სამართლებრივ ნორმებზე დაფუძნებულ და ხელშეკრულების მონაწილეთა საქმიანობის მარეგულირებელ, ანუ ინდივიდუალურ, წესებს".[436] „ხელშეკრულების დადების მომენტიდან ნორმატიულ სამართლებრივ აქტებში ასახული ქცევის აბსტრაქტული წესები ივსება კონკრეტული შინაარსით – განახორციელოს გარკვეული ქმედება დათქმულ ვადაში ან თავი შეიკავოს ასეთი ქმედების განხორციელებისაგან. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება ასრულებს „გამშვები მექანიზმის" როლს, რომელიც მხარეთა ურთიერთობების რეგულირებისათვის დისპოზიციური სამართლის ნორმებს აამოქმედებს".[437] სხვა მეცნიერი კანონის პრიორიტეტის თეორიას აღიარებდა და ხელშეკრულების განსაზღვრებაში აღნიშნავდა, რომ კანონი არის „ხელშეკრულების მამა"; თუ ამ შედარების პათოსს გავაგრძელებთ, შეიძლება ითქვას, რომ შეთანხმება „ხელშეკრულების დედაა".[438]

ხელშეკრულების შესახებ კანონმდებლობის ანალიზი იმის საშუალებას გვაძლევს, რომ სრულიად საწინააღმდეგო პოზიცია დავიკავოთ. სახელშეკრულებო შეთანხმება სამართლებრივი ნორმების შესრულების წესის შესახებ არ არსებობს. მხარეები, საკუთარი ნების მიხედვით და თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, განსაზღვრავენ ხელშეკრულების პირობებს, რომელთაც იურიდიული მნიშვნელობა ენიჭებათ და რომელთა შესრულებაც უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულების გამოყენების შესაძლებლობით. ხელშეკრულების პირობები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც კანონი კონკრეტულ მოთხოვნებს აწესებს ხელშეკრულების ცალკეული პირობების შინაარსისადმი, მხარეებმა ამ დანაწესებით უნდა იხელმძღვანელონ. მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების განსაზღვრასთან დაკავშირებული კანონის ნორმები სამართლებრივი რეგულირების დაშვებულ მეთოდს ასახავს და შეესაბამება ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს. ერთ-ერთი მეცნიერის სიტყვებით, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი „სახელშეკრულებო სამართლის „ზოგადი ნორმატიული კარკასის" შემადგენელი ნაწილია".[439] დაშვებული მეთოდის მნიშვნელოვანი გამოხატულებაა, რომ სამართლებრივი ნორმები შესაძლებლობას აძლევს სუბიექტებს, ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისას გარკვეულ ფარგლებში გადაუხვიონ ნორმატიული დანაწესებიდან და, აგრეთვე, თავიანთი შეხედულებისამებრ მიიღონ დისპოზიციური ნორმების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება. შეთანხმების საფუძველზე მხარეებს შეუძლიათ, გამორიცხონ ხელშეკრულებაზე ზეგავლენის მოხდენა, რაც შეიძლება, გამოწვეული იყოს უფრო გვიან გამოცემული კანონების ამოქმედების ან ხელშეკრულების დადების

---

436 *Иванов В. В.*, Общие вопросы теории договора. М., 2000, 116, მითითებულია წიგნში: *Пугинский Б.И.,* Теория и практика договорного регулирования, М., «Зерцало», 2008, 66.

437 *Корецкий А. Д.*, Договорное право России. Основи теории и практика реализации, «ИКЦ Март», М., 2004, 132.

438 *Тихомиров Ю.А.*, Договоры в экономике. М., 1993. მითითებულია წიგნში: *Пугинский Б. И.*, Гражданско правовой договор, Вестник Московского университета, «Право», N 2, серия 11, 2002, 38-57.

439 *Танага А.Н.*, Принцип свободы договора в гражданском праве России, «Юридический центр Пресс», СПб., 2003, 10.

დროს მოქმედ კანონში ცვლილებების შეტანის შედეგად. დაწესებული პირობების განმტკიცება კანონში აიძულებს სუბიექტებს, შეათანხმონ შესაბამისი სახის ხელშეკრულებისათვის აუცილებელი დებულებები და, ამასთან ერთად, შესაძლებლობას აძლევს მათ, შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა ამ დებულებათა კონკრეტული შინაარსის განსაზღვრისას. რაც შეეხება სახელშეკრულებო კანონმდებლობაში გავრცელებულ ე.წ. დისპოზიციურ წესებს, რომლებიც ხელშეკრულების მონაწილეთა ქმედებების განსაზღვრულ მოდელს ითვალისწინებს, ისინი სავალდებულო ხასიათს იძენენ მაშინ, როცა მხარეები განზრახ ან დაუდევრობის გამო ვერ ახერხებენ ხელშეკრულების შესაბამისი პირობის ჩამოყალიბებას.

„ხელშეკრულების პირობები სამართლებრივი ნორმისაგან, ძირითადად, ორი პრინციპული თავისებურებით განსხვავდება: პირველი უკავშირდება ქცევის წესების წარმოქმნას – ხელშეკრულება გამოხატავს მხარეთა ნებას, ხოლო სამართლებრივი აქტი მისი გამომცემი ორგანოს ნებას; ხოლო მეორე განსხვავება მოქმედების საზღვრებშია – ხელშეკრულების პირობები ეხება მის მონაწილე მხარეებს და მესამე მხარისათვის მას მხოლოდ უფლების, და არა ვალდებულების წარმოშობის, შესაძლებლობა აქვს, კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი კი არეგულირებს ურთიერთობებს, რომლებიც, ზოგადად, ყველას ან გარკვეულ პირთა წრეს (რომელიც კანონითვეა განსაზღვრული) ეხება“.[440]

რაც შეეხება კანონს ხელშეკრულებასთან მიმართებით, იგი, ძირითადად, სუბიექტთა შეთანხმების იურიდიული მნიშვნელობისა და სავალდებულო ძალის აღიარებას გვავალდებულებს. პირთა მიზანმიმართული იურიდიული ქმედებები, მათი შეთანხმებული ნების გამოვლინება არის სახელშეკრულებო ვალდებულების წარმოშობის ნამდვილი წყარო. „იმ ვალდებულებებს კი, რომელთა შინაარსიც კანონით განისაზღვრება და რომლებიც ვალდებული პირების ნებისა და მოქმედებისაგან დამოუკიდებლად დგინდება, საკმაოდ შეზღუდული ხასიათი აქვთ და, ძირითადად, წარმოიშობიან სასამართლო გადაწყვეტილების, განკარგულების ან სხვა არასახელშეკრულებო ურთიერთობების საფუძველზე (ალიმენტის გადახდის ვალდებულება; მეურვის ან სხვისი ქონების მმართველის ვალდებულებები და ა.შ.)“.[441] აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებები არ არის კანონისმიერი ვალდებულება, რითაც იგი არსებითად განსხვავდება საალიმენტო შეთანხმებისაგან.

ვთქვათ, საალიმენტო შეთანხმებაში მხარეები შეთანხმდნენ: ბავშვის სარჩენად ალიმენტის გადამხდელი ყოველთვიურად გადაიხდის ხელფასის ან სხვა შემოსავლის 1/4-ს. რას მოგვცემს ამ შემთხვევაში ხელშეკრულება ან შეთანხმება? ვალდებულება ბავშვის რჩენისა წარმოიშვა ბავშვის დაბადებისთანავე, ანუ შეთანხმების დადების მომენტამდე. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის წესი კანონითაა დადგენილი. ალიმენტის გადახდის ზღვრული ვადა, აგრეთვე, კანონითაა განსაზღვრული. შესაბამისად, ამ შეთანხმების შინაარსი სრულად არის კანონიდან გამომდინარე.

---

440 *Пугинский Б. И.*, Гражданско-правовой договор, Вестник Московского университета, «Право», N 2, серия 11, 2002, 56.

441 *Пугинский Б. И.,* Теория и практика договорного регулирования, «Зерцало», М., 2008, 68.

იმავდროულად, „ხელშეკრულება, რომელიც მასში მონაწილე მხარეების ნების გამოხატვაა, ითვალისწინებს მონაწილე მხარეების გადაწყვეტილებებისა და ქცევების ვარიანტებს“,[442] ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ ხელშეკრულება არის არა მხოლოდ ნების ამსახველი აქტი, არამედ მხარეთა შეთანხმება, რომელსაც საფუძვლად უდევს ნების თავისუფალი გამოვლენის პრინციპი. თუ სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება კონტრაგენტების ნების გარეშე შეუძლებელია, მაშინ რა მნიშვნელობა ექნება საალიმენტო შეთანხმების მონაწილეთა ნებას? ყოველ შემთხვევაში, მათი ნება არ არის მიმართული სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების დადგენის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. ხელშეკრულებაში კი სწორედ მხარეთა ნებაა განმსაზღვრელი. მეცნიერთა მოსაზრებით, აქ „ნებაა მხოლოდ ძირითადი და მოქმედი. ეს შინაგანი და უხილავი ფენომენია. ამიტომ გვჭირდება სიმბოლური ნიშნები, რათა მათი გაშიფვრა ვცადოთ“.[443] ამასთან, მეცნიერთა სხვა ნაწილი მიუთითებს, რომ „ხელშეკრულების დასადებად არ არის საკმარისი მხოლოდ მხარეთა შინაგანი ნება, მისი არსებობის ფაქტი. ხელშეკრულების დადების დროს მხარეთა მიერ გამოხატული ნება და მათი შინაგანი სურვილი შეიძლება არ იყოს თანმხვედრი, რაც დღის წესრიგში აყენებს გამოხატული ნებისა და შინაგანი ნების განმარტების საკითხს“,[444] რაც საალიმენტო შეთანხმების დროს საერთოდ გამორიცხულია, ვინაიდან აქ მხარეთა ნება მიმართულია მხოლოდ შეთანხმების დადებაზე და არა ამა თუ იმ შინაარსის ვალდებულების წარმოშობაზე. საერთოდ, როგორ შეიძლება შვილის რჩენის მშობლების სპეციფიკური მოვალეობა იყოს კვალიფიცირებული სამოქალაქო სამართლებრივ მოვალეობად? არსებობს თუ არა საფუძველი იმისა, რომ საალიმენტო შეთანხმება ჩაითვალოს სამოქალაქო სამართლებრივ ხელშეკრულებად? – ეს შეუძლებელია.

აღნიშნულ სიტუაციაში შეთანხმება ალიმენტის მიმღებისთვის არის თავისებური გარანტია და, აუცილებლობის შემთხვევაში, ის შეიძლება, წარდგენილი იყოს დაუყოვნებლივი შესრულებისათვის, ამ საკითხის სასამართლოში განხილვის ხანგრძლივი პროცედურის გარეშე. ამ შემთხვევაში გვაქვს უკვე არსებული უფლებისა და მოვალეობის რეალიზების ხერხი.

თუ საალიმენტო შეთანხმებაში ალიმენტი მყარი ოდენობით იქნება განსაზღვრული და დადგინდება, რომ მოხდეს მათი გადახდა ერთჯერადად თუ პერიოდულად, მაშინ, ამ შემთხვევაში საუბარია არა უფლებებისა და მოვალეობების დადგენაზე ან შეცვლაზე, არამედ ალიმენტის გადახდევინების ფორმების დაკონკრეტებაზე.

„საალიმენტო შეთანხმების შესრულების, დარღვევის ან ბათილად ცნობისათვის უნდა გამოვიყენოთ სამოქალაქო კოდექსის ნორმები, რომლებიც არეგულირებენ სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებების

---

442 *Яковлев В. Ф.,* Гражданско-правовой договор и пути повышения его эффективности // Развитие советского гражданского права на современном этапе, ред.: *Мозолин В.П.,* «Наука», М., 1986, 139.

443 *ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.,* შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, „ჯისიაი“, თბ., 2001, 86.

444 *იოსელიანი ნ.,* ხელშეკრულების განმარტება, „იურისტის ბიბლიოთეკა“, თბ., 2008, 7.

დადებას, შესრულებას, დარღვევასა და ბათილად ცნობას“.[445] შეიძლება, ერთი შეხედვით, მივიჩნიოთ, რომ ამ მდგომარეობიდან გამომდინარე, საალიმენტო შეთანხმება არის სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება. თუ საალიმენტო შეთანხმება სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებაა, მაშინ, სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, როდესაც მხარეებს შორის მიღწეულია შეთანხმება ამ ხელშეკრულების ყველა არსებითი პირობის მიმართ, კერძოდ, ხელშეკრულების საგნის მიმართ, და ეს შეთანხმება შესაბამისი ფორმითაა გაფორმებული. მაგრამ საალიმენტო შეთანხმების შედგენისას მხარეების მხრიდან არ განისაზღვრება შეთანხმების საგანი – ალიმენტი, რადგან ის უკვე კანონითაა დადგენილი. ამ შემთხვევაში განისაზღვრება ალიმენტის ოდენობა, მათი გადახდის წესი და სხვ. თუ დავუშვებთ, რომ საალიმენტო შეთანხმება არის სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება, მაშინ, აქედან გამომდინარე, საალიმენტო შეთანხმების მხარეთა უფლებები და მოვალეობები იქნება სამოქალაქო სამართლებრივი. ასეთი მიდგომა კი არ იქნება სწორი, რადგან საალიმენტო შეთანხმებას, მისი გარეგანი მსგავსების გამო, სამოქალაქო სამართლებრივი შეთანხმების კვალიფიკაციას ვაძლევთ და ამიტომ ჩნდება საფუძველი, შეთანხმების მხარეთა უფლებები და მოვალეობები, ზოგადად, სამოქალაქო სამართლებრივად ჩაითვალოს, რის შედეგადაც მშობლების სპეციფიკური მოვალეობა, – არჩინონ შვილები, რაც ეფუძნება სისხლით ნათესაურ, საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებს, – სამოქალაქო სამართლებრივი ხდება. ეს კი უკვე ჩვეულებრივი სამოქალაქო სამართლებრივი ქონებრივი ვალდებულებაა, რომელიც არ განსხვავდება მოვალის ვალდებულებისაგან, დაუბრუნოს ვალი კრედიტორს. ასეთი მიდგომა იქნება მცდარი წმინდა მეთოდოლოგიური პოზიციებიდანაც. შვილების მიმართ მშობლების ვალდებულებათა ხასიათი და ბუნება განისაზღვრება მშობლების მოვალეობებით და ბავშვის უფლებებით, მშობლისა და ბავშვის კავშირით, საალიმენტო ურთიერთობების სპეციფიკით. ამ ურთიერთობებში გადახლართულია პირადი და ქონებრივი ურთიერთობები, თანაც ქონებრივი ურთიერთობები მშობლებსა და შვილებს შორის პირად უფლებებსა და მოვალეობებს ეყრდნობა. ამასთან დაკავშირებით, ამ ურთიერთობების შემთხვევაში სამოქალაქო ხელშეკრულების გამოყენება ეწინააღმდეგება საოჯახო ურთიერთობების არსს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ საალიმენტო შეთანხმება არ არის სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება. ეს არის ორმხრივი საოჯახო სამართლებრივი აქტი (შეთანხმება). ეს აქტი მხარეებს, ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ალიმენტის იძულებითი გადახდევინების გარანტიას უნდა აძლევდეს სასამართლოში მიმართვის გარეშე. რაც შეეხება საალიმენტო შეთანხმებების რეგულირებისათვის სამოქალაქო კოდექსის ზოგიერთი ნორმის გამოყენების შესაძლებლობას, – ეს არის კანონმდებლის იურიდიულ-ტექნიკური მიდგომა, რომლის საშუალებით საალიმენტო შეთანხმებები უნდა

---

445 *Пчелинцева Л. М.*, Комментарий к Семейному кодексу Российской Федерации, 3-е издание, «Норма», М., 2004, 408.

წყდებოდეს სამოქალაქო სამართლებრივი შეთანხმების მოდელის შესაბამისად. ამავე აზრს იზიარებს მეცნიერთა ნაწილი: „საალიმენტო შეთანხმება არის არა სამოქალაქო ხელშეკრულება, არამედ ორმხრივი შეთანხმება, რომელიც გარანტიას აძლევს მონაწილეებს, მიიღონ ალიმენტი სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე“.[446] ამ შეთანხმების დადების, შეცვლის, გაუქმების, ბათილად ცნობისადმი სამოქალაქო გარიგების მოდელის გამოყენება კი მიუთითებს იმაზე, რომ საოჯახო სამართალი სამოქალაქო სამართლის შემადგენელი ნაწილია და მსგავს შემთხვევებში კანონმდებლები სწორედ ასეთ იურიდიულ - ტექნიკურ საშუალებებს მიმართავენ.

5.1.3. საალიმენტო შეთანხმების ფორმა

საალიმენტო შეთანხმება წერილობითი ფორმით უნდა იყოს შედგენილი და დადასტურებული სანოტარო წესით. ზოგიერთი ქვეყნის (რუსეთი) კანონმდებლობა პირდაპირ მიუთითებს საალიმენტო შეთანხმების დადების სამართლებრივ ფორმაზე: „შეთანხმება უნდა იყოს შედგენილი წერილობითი ფორმით და ნოტარიულად დადასტურებული; თუ კანონით დადგენილი ფორმა არ არის დაცული, შეთანხმება ბათილია; სანოტარო წესით დადასტურებული საალიმენტო გადახდევინების შეთანხმება იღებს სააღსრულებო ფურცლის ძალას“.[447] საალიმენტო შეთანხმების ნოტარიულ ფორმას აუცილებლად მიიჩნევს ზოგიერთი მეცნიერი, ვინაიდან „ეს შეთანხმება მხარეთა მეტად არსებით ინტერესებს ეხება და ისეთი ფორმით უნდა იქნეს შედგენილი, რომ გამოირიცხოს რაიმე უზუსტობა ან ეჭვი“.[448] საქართველოს სანოტარო მოქმედებათა პრაქტიკაში არსებული მონაცემების მიხედვით, არ არსებობს საალიმენტო შეთანხმების ნოტარიულად დამოწმების მაგალითები, ნოტარიულად მხოლოდ მშობელთა ხელმოწერების დამოწმება ხდება შეთანხმების პროცესში, რაც არასწორია და, ფაქტობრივად, არანაირ დამატებით ბერკეტს არ წარმოშობს ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით. საალიმენტო შეთანხმების ნოტარიული ფორმა საშუალებას იძლევა, შესრულდეს ვალდებულება დამატებითი პროცესუალური გართულებების გარეშე, ვინაიდან თავისი იურიდიული ძალით ის უთანაბრდება სასამართლოს მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელს. მაგრამ აქ ჩნდება კითხვა: რა შედეგები მოჰყვება სანოტარო ფორმის დაუცველობის საფუძველზე საალიმენტო შეთანხმების ბათილობას? – რა თქმა უნდა, მოხდება ამ შეთანხმების შედეგების გაუქმება და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, თუმცა, ამასთან, შეუძლებლია იმ თანხების ამოღება, რაც გადახდილი იყო ალიმენტის სახით, რადგანაც საალიმენტო შეთანხმების საფუძველზე მიღებული სახსრები მიზანმიმართულია ალიმენტის მიმღები პირის მიმდინარე მოთხოვნების დაკმაყოფი-

---

446 *Богданова Г. В.,* Автореферат диссертации: Проблемы правового регулирования личных и имущественных отношений между родителями и детьми, 1999, саратов, http://www.dissercat.com/content/problemy-pravovogo-regulirovaniya-lichnykh-i-imushchestvennykh-otnoshenii-mezhdu-roditelyami [05.10.13.].

447 იქვე, 407.

448 *Антокольская М. В.,* Семейное право, «Юрист», М., 2004, 239.

ლებაზე, რაც ზღუდავს მიღებული ალიმენტის უკან დაბრუნების შესაძლებლობას.

5.1.4. საალიმენტო შეთანხმების შეწყვეტა, შეცვლა ან ბათილად ცნობა

საალიმენტო შეთანხმების მოქმედება უნდა შეწყდეს ამ შეთანხმების მონაწილე ერთ-ერთი მხარის სიკვდილის, შეთანხმების ვადის დამთავრების, ან შეთანხმებაში სხვა გათვალისწინებული გარემოებების შემთხვევაში. მაგრამ დაუშვებელია, რომ ეს გარემოებები ბავშვს უარეს პირობებში აყენებდეს, ვიდრე სასამართლოს წესით ამოღებული ალიმენტის დროს. ამიტომ სასამართლოს წესით ამოღებულ ალიმენტთან შედარებით, საალიმენტო შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის საფუძვლები, თუ ისინი ბავშვის მდგომარეობას აუარესებენ, შეიძლება ჩაითვალოს ბათილად. მაგალითად, „არ შეიძლება გათვალისწინებული იყოს საალიმენტო შეთანხმების შეწყვეტის საფუძვლად ბავშვის მიერ არასაპატიო მიზეზით მუსიკის ან სპორტის შესწავლის შეწყვეტა“.[449]

საკმაოდ რთულია ბავშვის ინტერესების შელახვის ხარისხის დადგენა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში – ისინი არსებითადაა შელახული, თუ არა. ამის გარდა, ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში რა უნდა მივიჩნიოთ ბავშვის ინტერესებად? „საუკეთესო ინტერესი“ არის ისეთი ცნება, რომლის შექმნაზეც გავლენას ახდენს კულტურული, ეკონომიკური გარემოებები და რელიგიური ნორმები“.[450] ბაზისად უნდა მივიჩნიოთ კანონმდებლობის მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრავენ სასამართლოს წესით ალიმენტის გადახდევინების პირობებს, ოდენობას და ა.შ. საალიმენტო შეთანხმება არ უნდა მოიცავდეს იმ კანონმდებლობის საწინააღმდეგო პირობებს, რომელთა საფუძველზე ალიმენტის გადახდევინება სასამართლოს წესით ხორციელდება. ბავშვის მდგომარეობა, რომელიც ღებულობს ალიმენტს შეთანხმების საფუძველზე, არ შეიძლება იყოს უარესი იმ ბავშვის პირობებზე, რომელიც ღებულობს ალიმენტს სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ მათი პირობები შედარებით ერთნაირია. კანონმდებლობაში უნდა იყოს მითითებული, რომ საალიმენტო შეთანხმების პირობები ბათილად ითვლება შემდეგ შემთხვევებში: თუ ისინი არ შეესაბამებიან კანონის მოთხოვნებს ალიმენტის სასამართლოს გადაწყვეტილებით გადახდევინების შესახებ; თუ ისინი აუარესებენ ბავშვის საარსებო პირობებს. ასეთ შემთხვევაში არ არსებობს აუცილებლობა სასამართლოში პირობების გასაჩივრების ან საკუთარი მოთხოვნების დამტკიცებისა და სხვ. რომელიმე პირობების ბათილობის შემთხვევაში, დაინტერესებული პირი უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს სარჩელით შეთანხმების, ან რომელიმე მისი ნაწილის, შედეგების გამოყენების თაობაზე (მაგალითად, ბოლომდე

449 *Муратова С. А.*, Семейное право, 2-е издание, «Эксмо», М., 2005, 224.

450 *Blair M., D., Weiner M. H., Stark B., Maldonado S.*, Family Law in the World Community: Cases, Materials, and Problems in Comparative and International Family Law, Carolina Academic Pres Law Casebook Series, 2nd ed., Durham, North Carolina, 2009, 394.

ალიმენტის გადახდევინება, ალიმენტის გადახდევინება კანონით გათვალისწინებულ ვადებში). თუ ალიმენტის მიმღებს შეთანხმების პირობები არ აყენებს უარეს მდგომარეობაში, ვიდრე სასამართლოს გადაწყვეტილებით მიღებული ალიმენტის შემთხვევაში, მაგრამ იმავდროულად საგრძნობლად ილახება ბავშვის სხვა რაიმე ინტერესები, დაშვებულია სასამართლოში შესაბამისი პირობების გასაჩივრება.

საალიმენტო შეთანხმების შეცვლა ან ბათილად ცნობა უნდა განხორციელდეს შემდეგი წესით: შეთანხმების შეცვლით ან ბათილად ცნობით დაინტერესებულმა მხარემ წერილობითი ფორმით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილების შესახებ. თუ მეორე მხარე შეთანხმების შეცვლაზე ან ბათილად ცნობაზე უარს იტყვის, ან პასუხს არ გასცემს შეთანხმებაში მითითებულ ვადებში (თუ ეს ვადები შეთანხმებით გათვალისწინებული არ არის, მაშინ ეს ვადა კანონით უნდა განისაზღვროს, სავარაუდოდ, 30 დღით), დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს საალიმენტო შეთანხმების შეცვლის ან ბათილად ცნობის თაობაზე. ამ შემთხვევაში სასამართლო შეამოწმებს შეთანხმების შეცვლის ან გაუქმების საფუძვლებს. თუ სასამართლო დაადგენს, რომ აღნიშნული ცვლილებების გამო შეილახება ბავშვის ინტერესები, ის სარჩელს არ დააკმაყოფილებს. ამ შემთხვევაში სასამართლო ხელმძღვანელობს იმავე კრიტერიუმებით, რომლებიც გამოიყენება სასამართლოს წესით ალიმენტის გადახდევინების დროს.

საალიმენტო შეთანხმება არის ბერკეტი სასამართლოში ალიმენტის გადახდევინებაზე სარჩელის შეტანისათვის. შესაბამისად, ალიმენტის გადახდევინების ორი წესი – სასამართლო გადაწყვეტილებით და საალიმენტო შეთანხმებით – ერთდროულად ვერ იარსებებს. ეს არ ნიშნავს, რომ შეთანხმების არსებობისას მხარეებმა ჯერ ნებაყოფლობით ან სასამართლო წესით უნდა დაარღვიონ ეს შეთანხმება, დაელოდონ, როდის შევა ძალაში სასამართლოს გადაწყვეტილება და მხოლოდ შემდეგ მიმართონ სასამართლოს ალიმენტის გადახდევინების სარჩელით. ეს იქნებოდა ხანგრძლივი და რთული პროცესი, სახსრები კი ბავშვის სარჩენად მუდმივადაა საჭირო. უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს მას შემდეგ, რაც ვალდებული პირი არ ასრულებს შეთანხმების პირობებს და, ამასთან, მხოლოდ ამ შეთანხმების იძულებით შესრულების მოთხოვნით. სარჩელი ალიმენტის მიღების მოთხოვნაზე ამ შემთხვევაში არ დაკმაყოფილდება. თუ შეთანხმება არღვევს ერთ-ერთი მონაწილე მხარის ინტერესს, შესაძლებელია სასამართლოსათვის მიმართვა მისი იძულებით შეცვლის, გაუქმების ან ბათილად ცნობის მოთხოვნით, ამასთან, სანამ შეთანხმება არ გაუქმდება ან ბათილად არ იქნება ცნობილი ალიმენტის მიღებაზე, სასამართლო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება.

დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს სარჩელით საალიმენტო შეთანხმების შეცვლის ან ბათილად ცნობის მოთხოვნით, თუ მხარეთა მატერიალური ან ოჯახური გარემოებები მნიშვნელოვნად შეიცვალა და არასასამართლო წესით მათ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ხელშეკრულების შეცვლა ან ბათი-

ლად ცნობა არ უნდა აუარესებდეს ბავშვის მდგომარეობას, სასამართლოს წესით ალიმენტის გადახდევინებასთან შედარებით.

ბავშვის მიმართ გადამხდელის მოვალეობების შესრულების სტიმულირების თვალსაზრისით, საალიმენტო შეთანხმებაში, საალიმენტო დავალიანების შემთხვევაში, შეიძლება სანქციების გათვალისწინება, თუ ეს დავალიანებები შეიქმნება ალიმენტის გადამხდელის მიზეზით. ეს იქნება იურიდიული პასუხისმგებლობის პრევენციული ფუნქცია, რაზეც მიუთითებენ იურიდიულ ლიტერატურაში.[451]

მეცნიერთა ნაწილი აღნიშნავს, რომ რჩენის უფლების დასაცავად კანონმდებელი ტრადიციულ სამოქალაქო სამართლებრივ ხერხს მიმართავს და ალიმენტის დროულად გადაუხდელობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომების სახით პირგასამტეხლოს დაკისრებასა და ზარალის ანაზღაურებას იყენებს, „თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ დაცვის ამ საშუალებების გამოყენების შედეგად შეიცვალა საალიმენტო ვალდებულების ბუნება“.[452] პირგასამტეხლოს დაკისრების, როგორც ბავშვის უფლების დაცვის საშუალების, გამოყენება განპირობებულია საალიმენტო ვალდებულებების ქონებრივი ობიექტის არსებობით, მისი განსაკუთრებული როლით შრომისუუნარო პირების უზრუნველყოფის პროცესში, საოჯახო სამართალში არსებული მათი ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის გათვალისწინებით. „რჩენის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების მექანიზმში ეს საჯარიმო სანქცია იძენს სრულიად ახალი საოჯახო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომის თვისებას, რომელიც გათვალისწინებულია შესაბამისი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში“.[453] „თუ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საოჯახო სამართლებრივი მოვალეობების დამრღვევის მიმართ გამოიყენება საოჯახო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომები, მაშინ უნდა განისაზღვროს მათი მოქმედების მექანიზმიც“.[454] ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლების გამოყენება კანონის ანალოგიის გზით (სსკ-ის 394-ე, 395-ე მუხლები).

მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს დავალიანების ფაქტი და მისი ოდენობა, ასევე ზარალის ოდენობაც. დავალიანების წარმოქმნაში ალიმენტის გადამხდელის ბრალი უნდა იყოს პრეზუმირებული. სამართლებრივ ურთიერთობებში ალიმენტის მიმღები არის სუსტი მხარე და დაუშვებელია, მას დაეკისროს მოპასუხის ბრალეულობის დამტკიცება. ალიმენტის გადამხდელმა თავად უნდა დაამტკიცოს დავალიანების შექმნაში საკუთარი ბრალის არარსებობა. პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის საკმარისია ბრალის ნებისმიერი ფორმა, როგორც განზრახვა, ასევე გაუფრთხილებ-

---

451 იხ.*Чичерова Л.Е.,* Гражданско-правовая ответственность в семейном праве // Цивилистические записки. Вып. 5: Проблемы кодификации гражданского законодательства в РФ / под ред. *Рыбакова В.А., Гришко А.Я.,* «Юрист», М., 2004, 595.

452 *Косова О.Ю.,* Применение законодательство о просрочке уплаты алиментов, Вестник Академии Генеральной прокуратуры Российской Федераций, № 4(6), 2008, 15, <http://www.agprf.-org/journal/2008/vestnik_4_2008.pdf> [28.10.13].

453 იქვე, 16.

454 *Чичерова Л.Е.,* Гражданско-правовая ответственность в семейном праве // Цивилистические записки. Вып. 5: Проблемы кодификации гражданского законодательства в РФ / под ред *Рыбакова В.А., Гришко А.Я.,* «Юрист», М., 2004, 596.

ლობა. თუ ალიმენტის გადამხდელი ვერ დაამტკიცებს თავისი ბრალეულობის არარსებობას, სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას ალიმენტის მიმღების სასარგებლოდ კომპენსაციის ამოღების თაობაზე.

ზარალის კომპენსაციის თაობაზე სარჩელის შეტანისას მოსარჩლემ უნდა დაასაბუთოს ზარალის ოდენობა და დაადასტუროს იგი შესაბამისი მტკიცებულებებით. კანონმდებლობის თანახმად, ზარალს შეადგენს იმ პირის ხარჯები, ვისი უფლებაც იყო შელახული. დაზარალებულის ამ ხარჯებს მიეკუთვნება: უკვე გაწეული ან მომავალში გასაწევი ხარჯები შელახული უფლებების აღსადგენად; ქონების დაკარგვასთან ან დაზიანებასთან დაკავშირებული ხარჯები (რეალური ზარალი); შემოსავალი, რომელსაც ის მიიღებდა ალიმენტის სათანადო გადახდის შემთხვევაში. რა თქმა უნდა, ზარალი ანაზღაურებული იქნება რეალური ზიანის შემთხვევაში, მაგრამ არ არის გამორიცხული იძულებითი გადახდევინება ანაცდენი სარგებლის შემთხვევაში. მაგალითად, ალიმენტის მიმღებმა ალიმენტის სახით გადახდილი თანხის ნაწილი შეიძლება შეიტანოს ბანკში საკუთარ ანგარიშზე, სადაც მას დაერიცხება შესაბამისი პროცენტები. საალიმენტო დავალიანებასთან დაკავშირებით, ალიმენტის მიმღებმა ვერ გაზარდა თავისი შენატანი და პროცენტების სახით დაკარგა გარკვეული თანხა. ეს თანხა შეიძლება ამოღებული იყოს როგორც დაკარგული სარგებლის ანაზღაურება, თუმცა ამ აზრის ოპონენტები თვლიან, რომ ალიმენტს აქვს მიზნობრივი დანიშნულება – ბავშვის რჩენა. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ალიმენტის მიმღებმა სრულად უნდა დახარჯოს მიღებული თანხა და არ შეეძლოს მისი შეხედულებისამებრ გამოყენება, მათ შორის მისი დეპონირება, დაზოგვა და სხვა.

ზარალის ანაზღაურებისას მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს მიზეზობრივი კავშირი საალიმენტო დავალიანებასა და მიყენებულ ზარალს შორის. ალიმენტის გადამხდელის ბრალეულობა არ დგინდება, ის პრეზუმირებას საჭიროებს. ალიმენტის გადამხდელი ამტკიცებს საკუთარ უდანაშაულობას. თუ არსებობს პასუხისმგებლობის ყველა პირობა, ზარალი იქნება ანაზღაურებული იმ ნაწილში, რომელიც კომპენსაციით არ არის გადაფარული.

საინტერესოა საერთაშორისო საკანონმდებლო პრაქტიკა საალიმენტო შეთანხმებასთან დაკავშირებით: შვედეთი საშუალებას აძლევს განქორწინების პროცესში მყოფ მშობლებს, განსაზღვრონ ბავშვისათვის გადასახდელი ალიმენტის მოცულობა და, „თუ მშობლები შეთანხმდებიან, სასამართლოები, უბრალოდ, დაადასტურებენ მშობლების განცხადებას“. მშობლებს ასევე უფლება აქვთ, შეცვალონ ალიმენტის თანხის ოდენობა ახალი ხელშეკრულების საშუალებით, „მაშინაც კი, თუ ბავშვისათვის დახმარების მოცულობა ადრე განისაზღვრა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე“. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ შვედეთში სასამართლო საერთოდ არ უწევს ზედამხედველობას მშობლებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებს. „სასამართლოს უფლება აქვს, შეცვალოს ნებისმიერი არაგონივრული ხელშეკრულება გაფორმების დროს არსებული გარემოებებისა და ზოგადად სხვა გარემოებების გათვალისწინებით“.[455]

[455] *Blair M., D., Weiner M. H., Stark B., Maldonado S.*, Family Law in the World Community: Cases, Materials, and Problems in Comparative and International Family Law, Carolina Academic Pres Law Casebook Series, 2nd ed., Durham, North Carolina, 2009, 617.

შვედეთისგან განსხვავებით, ინგლისში, როგორც წესი, ნაკლებად მისდევენ წერილობით ხელშეკრულებებს. ბავშვის ალიმენტთან დაკავშირებული ხელშეკრულება, რომელიც არ ყოფილა შეტანილი სასამართლოს ბრძანებაში, ხელს ვერ შეუშლის „ხელშეკრულების რომელიმე მხარეს, ან ნებისმიერ სხვა პირს, მიმართოს სასამართლოს ალიმენტის განსაზღვრის მიზნით“, ეს ხდება იმის გამო, რომ ინგლისში ყველა არ მიესალმა საალიმენტო შეთანხმების კონფიდენციალურობის საკითხის გადაწყვეტისადმი ახლებურ მიდგომას. მაგალითად, შრომის მინისტრმა ბავშვისათვის გადასახდელ ალიმენტთან დაკავშირებით დაასახელა რამდენიმე მიზეზი, თუ რატომ ანიჭებენ მამები უპირატესობას ნებაყოფლობით კონფიდენციალურ საალიმენტო შეთანხმებებს: „ისინი ფიქრობენ, რომ მიაღწევენ უკეთეს შეთანხმებას; რომ გადაიხდიან ნაკლებ ფულს; ფიქრობენ, რომ მათზე ნაკლები ზეწოლა იქნება გადახდასთან დაკავშირებით; რომ შეძლებენ, მოიპოვონ ინფორმაცია, რომელიც მას – მზრუნველობაზე პასუხისმგებელ მშობელს – არ ექნება და რომელიც საშუალებას მისცემს მათ, გააკონტროლონ ის, რასაც ისინი იხდიან“.[456]

ამერიკის შეერთებულ შტატებში შეთანხმებულ ხელშეკრულებებში ალიმენტის თანხა, როგორც წესი, ნაკლებია ხოლმე სასამართლოს მიერ განსაზღვრულ თანხაზე. „ბევრი მშობელი, რომელიც ათანხმებს ალიმენტის თანხას, ცუდად არის ინფორმირებული შესაბამისი სამართლებრივი ნორმების შესახებ... სასამართლო საქმეებში, რომელთა რაოდენობა აშკარად იზრდება, ადვოკატის წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ ერთი – ან რომელიმე – მშობლისათვის. ამ გარემოებებში თითოეული მშობლის რესურსებმა და განქორწინების მიმართ დამოკიდებულებამ შესაძლოა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ბავშვისათვის ალიმენტის განსაზღვრის იმ შედეგზე, რომელსაც ცოტა თუ აქვს საერთო კანონმდებლის მიერ ნაგულისხმევ შედეგებთან“.[457]

სხვადასხვა ქვეყნის მიერ განხორციელებულ კვლევათა საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საალიმენტო შეთანხმების არსებობა ზრდის ბავშვისათვის ალიმენტის გადახდის ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას. მაგალითად, კანადაში შემთხვევები, როცა ბოლო ექვსი თვის განმავლობაში არ ყოფილა გადახდები, გაცილებით უფრო ხშირია იმ მშობლებს შორის, რომლებსაც აქვთ სასამართლოს გადაწყვეტილება, ვიდრე იმ მშობლებს შორის, რომლებსაც აქვთ საალიმენტო შეთანხმება. თერთმეტ ქვეყანაში ჩატარებულ თავიანთ კვლევაში ენ ქორდენმა და დენიელ მეიერმა დაასკვნეს, რომ „სკანდინავიის ქვეყნებმა (რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ საალიმენტო შეთანხმებებს) მიაღწიეს ბავშვისათვის ალიმენტის გადახდასთან დაკავშირებით უმაღლეს დონეს“.[458]

---

456 *Blair M., D., Weiner M. H., Stark B., Maldonado S.*, Family Law in the World Community: Cases, Materials, and Problems in Comparative and International Family Law, Carolina Academic Pres Law Casebook Series, 2nd ed., Durham, North Carolina, 2009, 617.

457 *Garrison M.*, The Goals and Limits of Child Support Policy, შრომათა კრებულში: Child Support: The Nexts Frontier, (*Oldham J. T., Melli M. S.* (eds.))., University of Michigan Press, 2000, 16.

458 *Corden A., Meyer D. R.,* Child Support Policy Regimes in the United States, United Kingdom, and other Countries: Similar issues, Different approaches, University of Wisconsin–Madison Institute for Research on Poverty, Focus, Volume 21, Number 1, 2000, Spring, 77, <http://www.irp.wisc.-edu/publications/focus/pdfs/foc211.pdf> [24.09.13].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ, ვინაიდან საოჯახო სამართლის უმთავრესი ამოცანაა არასრულწლოვანი ბავშვების სამართლებრივი ინტერესების დაცვა, მშობლებს შორის შეთანხმება ბავშვისათვის ალიმენტის გადახდის შესახებ არის ერთ-ერთი სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს ბავშვისათვის ალიმენტის გადახდის უფლების გამოყენებას. ამიტომაც საალიმენტო შეთანხმების მომწესრიგებელი ნორმები უფრო დეტალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული საქართველოს საოჯახო სამართლის ნაწილით, რაც ხელს შეუწყობს მშობლებისა და შვილების სამართლებრივი ურთიერთობის დარეგულირებას ფინანსური დახმარების კუთხით.

§5.2. საალიმენტო ფონდი

საალიმენტო ფონდის დაფუძნება გულისხმობს საალიმენტო ფონდის საქმიანობის საშუალებით იმის გააზრების მიღწევას, რომ ალიმენტზე უფლება არის იმ ბავშვის ფუნდამენტური უფლება, რომელიც არ ცხოვრობს თავის მშობლებთან. სახელმწიფო საალიმენტო ფონდის საშუალებით პირდაპირ ეხმარება ბავშვებს, გამოიყენონ ალიმენტთან დაკავშირებული კომპენსაციის მიღება მათი კანონიერი წარმომადგენლების დახმარებით და იძლევა რჩევას ამ უფლებების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. ასეთი ვალდებულების მქონე პირები მოტივირებულნი არიან, გადაიხადონ ალიმენტი, ან მოაწესრიგონ ურთიერთობა ბავშვის კანონიერ წარმომადგენლებთან. საალიმენტო ფონდიდან თანხების მიღების უფლებით სარგებლობენ არასრულწლოვანი ბავშვები, რომლებსაც ალიმენტის მიღება განესაზღვრათ სასამართლო გადაწყვეტილებით, მაგრამ ამ თანხის გადახდევინება შეუძლებელი გახდა. ასეთი ფონდები უკვე შექმნილია სხვადასხვა ქვეყანაში (გერმანია, ესპანეთი, პოლონეთი, ლატვია, სლოვენიის რესპუბლიკა), ბავშვებზე (და მოქალაქეთა სხვა კატეგორიებზე) ზრუნვის გაძლიერების მიზნით, ასევე მზადდება კანონპროექტები საალიმენტო ფონდების დაფუძნებასთან დაკავშირებით სხვა ქვეყნების სახელმწიფოების მიერ (მაგალითად, რუსეთი). საალიმენტო ფონდის შექმნა ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი უნდა გახდეს საქართველოსათვის, ვინაიდან ეს იქნება სახელმწიფოს მიერ ბავშვთა უფლებების დაცვისა და მისი ფინანსური ინტერესების მხარდაჭერის ძლიერი გარანტი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შემუშავდეს საალიმენტო ფონდის ძირითადი კონცეფციები, რომელთა საფუძველზეც შემდგომ მომზადდება კანონპროექტი „საალიმენტო ფონდის საქმიანობის შესახებ“

5.2.1. საალიმენტო ფონდის იურიდიული სტატუსი

საალიმენტო ფონდი უნდა ჩამოყალიბდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით, რომელიც დაექვემდებარება იუსტიციის სამინისტროს და ექნება დამოუკიდებელი ბიუჯეტი. ფონდს უნდა ჰყავდეს სამეთ-

ვალყურეო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შევა პირები, როგორც სახელმწიფო ორგანოებიდან, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობიდან. ფონდის ფინანსური რესურსების წყარო შეიძლება იყოს: ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები, ბ) ალიმენტვალდებული პირებისაგან ამოღებული თანხები (როცა ფონდი ალიმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირებისათვის კომპენსაციის გადახდის შემდეგ იკავებს მისი, როგორც კრედიტორის, ადგილს), გ) ნებაყოფლობითი შემოწირულობები, დოტაციები და გრანტები, რომლებიც დამტკიცებული უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან იუსტიციის მინისტრის მიერ, თუ გრანტი უცხო სახელმწიფოსაგან მომდინარეობს. სახელმწიფომ მხარდაჭერა და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური დახმარება უნდა გაუწიოს ფონდს მისი დაარსებიდან პირველი ორი წლის განმავლობაში.

5.2.2. საალიმენტო კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებული წინაპირობები

კანონით „საალიმენტო ფონდის საქმიანობის შესახებ“ უნდა განისაზღვროს პირობები, რომლებიც უნდა შესრულდეს საალიმენტო კომპენსაციის გადასახდელად. საალიმენტო ფონდის ძირითადი მიზანია სარგებლობის მოტანა ბავშვებისათვის, რომლებიც იგნორირებულნი არიან ალიმენტის გადაუხდელობის გამო, ხანდახან დარჩენილნი არიან მატერიალური წინაპირობების თვალსაზრისით არსებობისთვის საჭირო მინიმალური შესაძლებლობების გარეშე. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ამგვარი დამოკიდებულება, ალიმენტისათვის კომპენსაციის გადახდის უფლების მოპოვების პირობები ზუსტად უნდა განისაზღვროს.

საალიმენტო კომპენსაციის გადახდის სამართლებრივი საფუძველია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლის აღსრულებაც არ ხორციელდება იმის გამო, რომ ვალდებული პირი არ იხდის, ან არარეგულარულად იხდის საალიმენტო თანხას. აქ უნდა აღინიშნოს, რომ კომპენსაცია არის არა ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის ახალი ვალდებულება, არამედ ეს არის, უბრალოდ, იმ ვალდებულების შესრულების შემცვლელი ვალდებულება, რომელიც განისაზღვრა სასამართლო გადაწყვეტილებით.

მოქალაქეობა ან მუდმივი საცხოვრებელი. ალიმენტის კომპენსაციის მიღების უფლება აქვს ბავშვს, რომელიც არის საქართველოს მოქალაქე და მუდმივად ცხოვრობს საქართველოში, ასევე უცხოეთის მოქალაქეს, რომელსაც აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში და ამის შესახებ მითითებული იქნება სახელმწიფოებს შორის ორმხრივ შეთანხმებაში.

ასაკობრივი შეზღუდვა. საალიმენტო კომპენსაციის უფლება გრძელდება 18 წლამდე, ანუ ბავშვის სრულწლოვანების მიღწევამდე, ან, მისი შრომისუუნარობის შემთხვევაში, სრულწლოვანების მიღწევის შემდეგაც.

ალიმენტის კომპენსაციის სააღრიცხვო ჟურნალი. საალიმენტო ფონდი უნდა აწარმოებდეს ალიმენტის კომპენსაციის სააღრიცხვო ჟურნალს ფონდის ვალდებულებების, ასევე სტატისტიკური ან სამეცნიერო მიზნე-

ბით მათი გამოყენებისათვის. ალიმენტის კომპენსაციის სააღრიცხვო ჟურნალი მოიცავს ბავშვის, კანონიერი წარმომადგენლისა და ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის პირად მონაცემებს.

ბავშვის მონაცემების სააღრიცხვო ჟურნალი მოიცავს: ბავშვის სახელს, გვარს; დაბადების შესახებ მონაცემებს; მოქალაქის ინდივიდუალურ რეგისტრირებულ ნომერს; მოქალაქეობას; ოჯახის საერთო მონაცემებს; ალიმენტის მოცულობას; დასაქმებას; აღმზრდელობითი მიზნით რომელიმე დაწესებულებაში განთავსების მონაცემებს; ბოლო წლის თვეების მიხედვით გადახდილი ალიმენტის შესახებ ინფორმაციას განცხადების წარმოდგენამდე; ინფორმაციას გადახდილი ალიმენტის შესახებ, ალიმენტის კომპენსაციის უფლების აღიარების დროს.

კანონიერი წარმომადგენლის შესახებ ჟურნალი მოიცავს: სახელს, გვარს; დაბადების მონაცემებს; მოქალაქის ინდივიდუალურ რეგისტრირებულ ნომერს; საბანკო ანგარიშის ნომერს; შემნახველი სალაროს ანგარიშს ან უცხო ქვეყნის მოქალაქის არარეზიდენტის ანგარიშს; საცხოვრებელ მისამართს, სადაც უნდა გაიგზავნოს ფოსტა.

ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის შესახებ ჟურნალი მოიცავს: სახელს, გვარს; დაბადების თარიღს; მოქალაქის ინდივიდუალურ რეგისტრირებულ ნომერს; საცხოვრებელი ადგილის მისამართს; მოქალაქეობას, ოჯახის საერთო მონაცემებს; დასაქმებას; მონაცემებს შემოსავლისა და ქონების შესახებ.

ალიმენტის კომპენსაციის დადასტურების პროცესისათვის საჭირო მონაცემები განმცხადებლის, ბავშვის, განმცხადებლის კანონიერი წარმომადგენლისა და ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის შესახებ მიიღება უშუალოდ განმცხადებლისაგან. განმცხადებელმა უნდა გააგზავნოს შემდეგი მონაცემები: სახელი, გვარი, ინფორმაცია დაბადების, დროებითი ან მუდმივი საცხოვრებლის შესახებ და ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის დასაქმების შესახებ. სხვა მონაცემების შეგროვებას უზრუნველყოფს საალიმენტო ფონდი, შესაბამისი დაწესებულებების მიერ მოწოდებული საჭირო ინფორმაციის საფუძველზე.

5.2.3. საალიმენტო კომპენსაციის მიღების პროცესი

საალიმენტო კომპენსაციის მიღების პროცესი იწყება განცხადების საფუძველზე. პირველ დონეზე საალიმენტო ფონდი იღებს გადაწყვეტილებას საალიმენტო კომპენსაციის მიღების უფლებასთან დაკავშირებით. საალიმენტო ფონდი დამოუკიდებლად ახორციელებს ვალდებული პირების წინააღმდეგ თანხების ამოღების სასამართლო პროცესს მათი არსებობის დასაწყისშივე, იმ ადვოკატების დახმარებით, რომლებიც აწარმოებენ პროცესს საალიმენტო ფონდის სახელით და მის ანგარიშზე. თანხების ამოღების ასეთი პროცესის ორგანიზაცია მოითხოვს საალიმენტო ფონდის სახსრებისადმი ეკონომიურ მიდგომას, რადგან მათი აღსრულების სასამართლო პროცესები უკავშირდება დიდ ხარჯებს. საალიმენტო ფონდი წარადგენს აღსრულებასთან დაკავშირებულ განცხადებას და სარჩელებს საალიმენტო ფონდის თანამშრომლების დახმარებით. საალი-

მენტო ფონდის თანამშრომლები გამოძიების საშუალებით სწრაფად და ეფექტურად მოიპოვებენ აღსრულების თაობაზე არსებული განცხადებისათვის საჭირო მონაცემებს.

სასამართლოს გზით თანხის ამოღებით საალიმენტო ფონდი ცდილობს, ადრინდელ თანხების ამოღების ღონისძიებებთან ერთად, მიაღწიოს ვალდებულ პირებამდე, რათა მათ დაიწყონ არსებული ვალდებულებების გადახდა. ეს, ძირითადად, ეხება სასამართლოს გზით თანხების ამოღების დაწყებამდე ღონისძიებებს, რომელთაც მიეკუთვნება მოვალეების ინფორმირება ვალებთან დაკავშირებული მდგომარეობის შესახებ, რათა მათ გააცნობიერონ თავიანთი ვალდებულება და, აიძულონ ისინი, დაიწყონ ვალებისა და ალიმენტების გადახდა.[459]

საალიმენტო კომპენსაციის გადახდის დღეს ალიმენტის გადახდაზე ვალდებულ პირებთან მიმართებით საალიმენტო ფონდი ხდება კრედიტორი, და ეს არის დაახლოებით გადახდილი კომპენსაციის თანხა, რომელიც გაიზარდა გაანგარიშებული პროცენტისა და სასამართლო პროცესის ხარჯების გამო. ამის შესახებ საალიმენტო ფონდმა უნდა აცნობოს ალიმენტის გადახდაზე ვალდებულ პირს და წარუდგინოს მას ამის დამამტკიცებელი სათანადო დოკუმენტები.

საალიმენტო კომპენსაციის თანხის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ბავშვის ასაკი და ალიმენტის მოცულობა, რომელიც განისაზღვრა სასამართლოს გადაწყვეტილებით. საალიმენტო კომპენსაციის მოცულობა, სულ მცირე, უნდა აკმაყოფილებდეს ბავშვის სასიცოცხლოდ აუცილებელ მოთხოვნილებებს. ბავშვმა უნდა მოიპოვოს საალიმენტო კომპენსაციის უფლება, კანონის შესაბამისად, განცხადების წარდგენის დღის მომდევნო თვის პირველი დღიდან. საალიმენტო ფონდის მიერ საალიმენტო კომპენსაცია ბავშვის კანონიერი წარმომადგენლისათვის გადახდილ უნდა იქნეს მიმდინარე თვის 15 რიცხვამდე.

საალიმენტო კომპენსაციის უფლების მიღება სრულდება: ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის საფუძველზე; ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის მოთხოვნის საფუძველზე, თუ ის დაამტკიცებს, რომ ყველა მის მიერ გადასახდელი ალიმენტი გადახდილია და რომ ალიმენტი გადახდილია ორი თვით ადრე, ან ფინანსური სახსრები დეპონირებულია სასამართლოში ბავშვის სასარგებლოდ; იმ გარემოებების არსებობის საფუძველზე, რომელთა ძალითაც წყდება საალიმენტო ვალდებულება; საალიმენტო კომპენსაციის უფლების მიღების პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ახალი სამართლებრივი ინსტიტუტების – საალიმენტო შეთანხმებისა და საალიმენტო ფონდის მთავარი მიზანია, შეამციროს იმ მშობლის მიერ ალიმენტის გადაუხდელობის შედეგად ბავშვისათვის ზიანის მიყენების შედეგები, რომელთანაც ბავშვი არ ცხოვრობს. საალიმენტო ფონდის მიზანია, გავლენა მოახდი-

[459] იხ. *Rijavec V., Krajic S.*, The Maintenance of Children: Alimony Fund as the Saving Grace?, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 653.

ნოს ალიმენტის გადახდაზე ვალდებულ პირებზე, რომლებიც არ იხდიან და ისევ ცდილობენ, თავი აარიდონ მათი შვილებისათვის შეთანხმებული ან განსაზღვრული ალიმენტის გადახდას. საალიმენტო ფონდის დანიშნულებაა, მისი საშუალებით ბავშვები, რომლებიც ყველაზე მეტად ზარალდებიან ალიმენტის გადაუხდელობით, იღებდნენ დახმარებას.[460] სახელმწიფოებში, სადაც ბიუჯეტი საშუალებას იძლევა, დაფინანსდეს უამრავი პროექტი და მოგვარდეს პრობლემა, ბავშვების დახმარება უნდა იყოს პრიორიტეტული, როგორც ბავშვთა უფლებების დაცვის გაეროს კონვენციით გათვალისწინებული საერთაშორისო ვალდებულებების დაცვის, ასევე იმ ფაქტის აღიარების თვალსაზრისით, რომ ბავშვები ზარალდებიან სიღარიბის გამო, რაც, თავის მხრივ, ლახავს მათ ადამიანურ უფლებებს. სახელმწიფოები შესაძლოა, აღმოჩნდნენ დილემის წინაშე და გააკეთონ სახელმწიფო ინტერესებსა და ბავშვის საუკეთესო ინტერესებს შორის არაპოპულარული არჩევანი. თუმცა ეს უნდა იქნეს განხილული როგორც უფრო დამატებითი ღონისძიება და მხოლოდ ბავშვის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთებით სახელმწიფო შეძლებს, ეფექტურად აღიაროს ბავშვების მიმართ სრული პასუხისმგებლობა დახმარების ვალდებულებების შესრულებაში.[461] დახმარების გაწევისას ყოველთვის არსებობს სახელმწიფო ინტერესთან დაპირისპირების პრობლემა და ბავშვს ყოველთვის მოუწევს სახელმწიფო ხაზინის მიმართ არსებული სხვა მოთხოვნებისათვის კონკურენციის გაწევა, თუმცა მსოფლიოში, სადაც გამუდმებით აცხადებენ, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები ყველაზე მნიშვნელოვანია, ამგვარი შეხედულება მიუღებელია.[462]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განხილული სამართლებრივი ინსტიტუტები – საალიმენტო შეთანხმება და საალიმენტო ფონდი – შესაძლებელია, უმნიშვნელოვანეს დაცვის მექანიზმებად მოგვევლინონ ალიმენტის გადახდის უზრუნველსაყოფად, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ბავშვთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესის დაცვას.

---

460 იხ. *Rijavec V., Krajic S.*, The Maintenance of Children: Alimony Fund as the Saving Grace?, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 655.

461 იხ. *Farrugia R.,* State Responsibility in Enforcing Maintenance Obligations Toward Children, შრომათა კრებულში: Family Finances, (*Verschraegen B.* (ed.)), «Jan Sramek Verlag», Vienna, 2009, 84.

462 UNESCO-ს შესაბამისად, 250 მილიონი ბავშვი 5-იდან 17 წლამდე, ანუ ყოველი მეექვსე, ბავშვი მსოფლიოში მუშაობს, <http://portal.unesco.org/education/en/ev.php-URL_ID=-32966&URL_DO=DO_TOPIC&URL_SECTION=201.html> [10.12.2008]; ევროპაში, ევროსაბჭოს კვლევების შესაბამისად, 15% ბავშვებისა ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, <http://www.coe.int/t/commissioner/Viewpoints/070709>_ ENOC შესაბამისად (European Network of Commissioners for Children), 19%-ს კი სიღარიბეში ცხოვრების საფრთხე ემუქრება, <http://www.ombudsnet.org/enoc/resources /infodetail.asp?id=19126> [12.12.2008].

დასკვნა

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო აშკარა ხდება ჭეშმარიტება: საზოგადოების მომავალი – ეს მისი შვილებია. სწორედ ამიტომ XX საუკუნის ბოლოს მიღებულ იქნა გაეროს კონვენცია „ბავშვის უფლებათა შესახებ“, რომელმაც განსაკუთრებული აზრი შეიძინა ჩვენი ქვეყნის არასრულწლოვან პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. აღნიშნულ კონვენციას საქართველო 1994 წელს შეუერთდა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საოჯახო სამართალი ახალი გამოწვევების წინაშე დგება: სასწრაფოდ უნდა მოხდეს უფროსების თავისუფალ არჩევანსა და ბავშვების მიმართ მზრუნველობის ვალდებულებას შორის ბალანსის დაცვა. უფრო მეტიც, მომავალი თაობების მდგრად განვითარებას შესაძლოა, საფრთხე შეექმნას, თუ ჩვენ ვერ შევძლებთ არსებული მოდელის გადახედვას, რომელიც უკავშირდება საოჯახო სამართლის საკითხებს ამ ბალანსის დაწესების სფეროში.

საზოგადოების განვითარებასთან ერთად, დროთა განმავლობაში, მოხდა კულტურული ცვლილებები, რომელთა ფარგლებშიც ქორწინება უფრო განიხილება როგორც „შეწყვეტას დაქვემდებარებული კონტრაქტი და არა გრძელვადიანი ვალდებულება“. თანამედროვე ოჯახის უნარი, შეასრულოს ის ამოცანა, რომელსაც მას საზოგადოება აკისრებს, მნიშვნელოვნად შეიცვალა ოჯახის სტრუქტურის ცვლილებების, შრომით საქმიანობაში ქალების მონაწილეობისა და თვითონ დაქვემდებარებულობის ხასიათში ცვლილებების გამო. ორშემოსავლიანი ოჯახი ბავშვებით და, განსაკუთრებით, ერთმშობლიანი ოჯახი, მის დამოკიდებულ წევრებთან დაკავშირებით, უფრო მეტად უნდა ეყრდნობოდეს საკანონმდებლო სისტემის ნორმებს, რომლებიც რეალური თანასწორობის გარანტიას უნდა იძლეოდნენ ოჯახის ყველა წევრისათვის.

ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით, შვილსა და მშობელს, დედასა და მამას შორის წარმოიშობა ორი პირობითი სამართლებრივი ურთიერთობა: ერთი მხრივ, ბავშვი (უფლებამოსილი მხარე) და დედა (ვალდებული მხარე), მეორე მხრივ, შვილი (უფლებამოსილი მხარე) და მამა (ვალდებული მხარე). ბავშვის ერთობლივი აღზრდის აუცილებლობა განაპირობებს იმას, რომ დედასა და მამას შორის წარმოიშობა ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული პირობითი სამართლებრივი ურთიერთობა. მამის უფლებას – აღზარდოს შვილი, უპირისპირდება დედის მოვალეობა – არ შეეწინააღმდეგოს მას ამ უფლების განხორციელებაში, და პირიქით. ამის გარდა, სახელმწიფოს წინაშე მშობლები ვალდებულნი არიან, აღზარდონ შვილი.

გარდა ვალდებულებებისა, მშობლებს ენიჭებათ უფლება, აღზარდონ საკუთარი შვილი. მშობლებს, ამ შემთხვევაში, უპირისპირდება ყველა მესამე პირი, რომლებიც ვალდებულნი არიან, თავი შეიკავონ მშობელთა უფლებების შელახვისაგან. ეს სამართლებრივი ურთიერთობა, ისევე როგორც მშობლების უფლება, არის აბსოლუტური. აღზრდის ძირითადი მიმართულებები გამომდინარეობს ბავშვთა უფლებების კონვენციის შინაარ-

სიდან, რომლის 21-ე მუხლის თანახმად, აღზრდა უნდა იყოს მიმართული ადამიანთა უფლებების, ძირითადი თავისუფლებებისა და პრინციპების მიმართ პატივისცემის ჩამოყალიბებაზე, რაც აღიარებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებითაც; აღზრდა უნდა იყოს მიმართული მშობლების, საზოგადოების, ზნეობრივი ღირებულებების, კულტურული თვითმყოფადობის, ენისა და საკუთარი ქვეყნის ეროვნული ფასეულობების, ასევე განსხვავებულ ცივილიზაციათა მიმართ პატივისცემის ჩამოყალიბებაზე; ბავშვს უნდა ჰქონდეს მსოფლიოს ხალხების, ქალისა და კაცის თანასწორუფლებიანობის, ერებს, ეთნიკურ, ეროვნულ და რასობრივ ჯგუფებს შორის მეგობრობის შეგნება; აღზრდა უნდა იყოს მიმართული გარემოს მიმართ პატივისცემის, საკუთარი ღირსების გრძნობისა და საკუთარი მნიშვნელობის ჩამოყალიბებაზე და ა.შ. როგორც ყოველივე აღნიშნული მოწმობს, თანამედროვე კანონმდებლობა უარს არ ამბობს აღზრდის საკითხებში გარკვეული კონკრეტული ორიენტირების განსაზღვრაზე, რაც იმაზეც მეტყველებს, რომ აღზრდა მშობლების არა მხოლოდ უფლებაა, არამედ მათი მოვალეობაც.

წინამდებარე გამოკვლევის საფუძველზე, კანონმდებლობის სრულყოფისათვის შესაძლებელია შემდეგი თეორიული დებულებებისა და რეკომენდაციების ფორმულირება:

2. თანამედროვე ოჯახის მოდელი ხდება მშობლებსა და შვილებს შორის პირადი და ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგების ახალი საფუძველი. ასეთი ოჯახისათვის დამახასიათებელია მისი წევრების დამოუკიდებელი არჩევანის თავისუფლება, ასევე ჰარმონიული თანაცხოვრება. კანონმდებლობაში „ოჯახის“ ცნება შეიძლება შემდეგნაირად განიმარტოს: ოჯახი არის ერთობა პირებისა, რომელთაც ერთმანეთთან აკავშირებთ პირადი და ქონებრივი უფლება-მოვალეობანი, რასაც საფუძვლად უდევს ქორწინება, ბავშვების დაბადება და აღზრდა, ნათესაობა, ბავშვის აღსაზრდელად ოჯახში მიღება, ერთად ცხოვრება, საერთო მეურნეობის წარმოება, მორალური და მატერიალური მხარდაჭერა. რაც შეეხება თანამედროვე ოჯახს, ის მნიშვნელოვნად განსხვავდება ტრადიციული, საუკუნეებით ჩამოყალიბებული, დედისა და მამის ქორწინებაზე დამოკიდებული, მშობელთა ავტორიტეტულ ძალაუფლებაზე, მრავალშვილიანობაზე დაფუძნებული ოჯახისაგან. თანამედროვე ოჯახის მისწრაფება ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით არის მისი უნარის გაღვივება საზოგადოებაში ადაპტაციისათვის, სადაც ის იქნება წარმატებული, მატერიალურად უზრუნველყოფილი საქმიანი პარტნიორი, ხოლო ცხოვრების მთავარი მიზანი გამდიდრებაა. ეს თეზისები განსაკუთრებით შეინიშნება თანამედროვე ლიტერატურაში წარმატებული ოჯახის დამახასიათებელი ნიშნების განსაზღვრებისას, რომელსაც ასე განმარტავენ: ეკონომიკურად უზრუნველყოფილი, სოციალურად აქტიური ოჯახი, რომელიც შედგება ცოლქმრული კავშირისაგან და ორი ან მეტი შვილისგან, ან რომელიც ორიენტირებულია ორი ან მეტი შვილის გაჩენაზე. თუმცა ეს განსაზღვრება წარმატებული ოჯახისა ვერ იქნება მთავარი კრიტერიუმი თანამედროვე ოჯახის მნიშვნელობისა, ვინაიდან მხოლოდ მატერიალური მდგომარეობა და პროფესიული შესაძლებლობების წარმატება ადგილს არ უტოვებს ზნეობრივ ფასეულობებს, რის შედეგადაც ოჯახში აღზრდა კარგავს თა-

ვის პრიორიტეტულობას, რაც თანამედროვე ოჯახის შემადგენელი ელემენტია. სწორედ ამიტომ თანამედროვე კონცეფცია ოჯახის შესახებ ერთერთ მთავარ პრინციპად უნდა ითვალისწინებდეს ოჯახში ბავშვთა უფლებების პრიორიტეტს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს თანამედროვე ოჯახის ცნება შემდეგი ფორმულირებით: თანამედროვე ოჯახი არის ოჯახი, რომელიც დაფუძნებულია გენდერულ თანასწორობაზე, ოჯახის წევრთა დამოუკიდებელ არჩევანზე, ბავშვის უფლებათა პრიორიტეტულობაზე, ჰარმონიასა და თვითრეგულირებაზე.

3. თანამედროვე მსოფლიო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს და აღიარებს, რომ ბავშვს აქვს ჩართულობის უფლება და ეს უფლება დღეს არცთუ ისე დაცულია ევროპაში. ყველასათვის ცნობილია, რომ თვითშეფასება მნიშვნელოვანი ასპექტია ყოველი ადამიანის პირადი განვითარებისათვის. ეს გამოიყენება კონკრეტულად ბავშვების მიმართ, რადგან ის, თუ როგორ აღიქვამენ ისინი საკუთარ თავს ადრეულ ასაკში, გავლენას მოახდენს სხვებთან მათ ურთიერთობებზე და მათ მომავალ განვითარებაზე. ამიტომაც ახალგაზრდა ადამიანმა, რათა დაიცვას თავისი უფლებები და გახდეს თავდაჯერებული ზრდასრული ადამიანი, აუცილებელია იგრძნოს, რომ უფროსები მას პატივს სცემენ. ის სარგებელი, რომელიც მოაქვს ჩართულობას ინდივიდუალური ბავშვისათვის და ის, თუ როგორ ცვლის გადაწყვეტილების მიღების პროცესს, არის ორი მთავარი მიზეზი ბავშვის მონაწილეობის გასაძლიერებლად, ხოლო ამ უფლების რეალიზაციის მიზნით, საერთაშორისო რეკომენდაციის საფუძველზე, მიზანშეწონილია, საქართველოში შეიქმნას „ბავშვთა ომბუდსმენის“ ინსტიტუტი.

4. განსაკუთრებით საყურადღებოა გენდერული თანასწორობის დაცვა მშობლების მიერ ბავშვის აღზრდის მოვალეობის განხორციელებისას, რისთვისაც მნიშვნელობას იძენს მშობლების თანაბარი და განცალკევებული მოვალეობა, როგორც ბავშვის აღზრდისა, ასევე მისი რჩენისა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება საკანონმდებლო სისტემაში ახალი ცნებების „ერთობლივი“ და „ერთპიროვნული“ მეურვეობის დამკვიდრება, რომლებიც საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითზე დაყრდნობით ასე შეიძლება განიმარტოს: „ერთობლივი მეურვეობა გულისხმობს მშობლებს შორის უფრო თანაბრად გაწონასწორებულ პასუხისმგებლობას, ხოლო ერთპიროვნული – განქორწინების შემდგომ არასრულწლოვანი ბავშვის ცხოვრების დარეგულირებას უპირატესად ერთი (მეურვე) მშობლის მიერ“.

5. ერთპიროვნულია თუ ერთობლივი მეურვეობა, მნიშვნელოვანია ასევე საალიმენტო ვალდებულების განხორციელებისას. თუ ერთ-ერთი მშობელი 40 პროცენტზე ნაკლებ დროს ატარებს ბავშვთან, ითვლება, მეორე მშობელს ბავშვზე ერთპიროვნული მეურვეობა აქვს რჩენის თვალსაზრისით, შესაბამისად, ალიმენტის ოდენობაც უფრო მეტი იქნება, ვიდრე ორმაგი მეურვეობისას.

6. საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით ახალ მიდგომებს ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით, მაგალითად, ასეთია „ინტენსიური აღზრდა“. მიზანშეწონილია, განისაზღვროს და მიეთითოს „ინტენსიური მშობლის“ ცნება სამოქალაქო კოდექსის მიხედვით: „ინტენსიური

მშობელი არის მშობელი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს თავისი შვილის აღზრდაში, იძენს ბავშვის საუკეთესო აღზრდის პრაქტიკის მოწინავე გამოცდილებას, და იყენებს თავის ცოდნას იმისათვის, რომ ახლოს დააკვირდეს ბავშვის განვითარებას და ყოველდღიურ აქტივობებს“. ამასთან, ამ მუხლის მეორე პუნქტმა უნდა დააბალანსოს ინტენსიური მშობლის აქტივობა და ბავშვის ფსიქიკის დაცულობა ზედმეტი ჩარევისაგან, და ეს პუნქტი განისაზღვროს შემდეგი შინაარსით: „ინტენსიურმა მშობელმა არ უნდა გადააჭარბოს უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს მხოლოდ შვილის ინტერესების სასარგებლოდ“. ეს ნორმა შესაძლებელს ხდის, მშობელმა თავისი შეხედულებისამებრ აღზარდოს შვილი, გამოიყენოს ამ საკითხთან დაკავშირებული თანამედროვე შეხედულებები და რეკომენდაციები, ამასთან, გათვალისწინებულ იქნეს შვილის პიროვნული თვისებები, რაც სრულად შეუწყობს ხელს საოჯახო ურთიერთობების ჰარმონიზაციას.

7. რადგან მშობლებს ბავშვის აღზრდაზე თანასწორი უფლება-მოვალეობები აქვთ, იგულისხმება, რომ აღზრდასთან დაკავშირებული ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე და მშობელთა ურთიერშეთანხმების საფუძველზე. ამასთან, საერთაშორისო საკანონმდებლო პრაქტიკაში დომინირებს აზრი, რომ არა ყველა, არამედ მნიშვნელოვანი საკითხები უნდა იყოს ურთიერთშეთანხმებული, ხოლო მნიშვნელოვნად მიიჩნევა ის საკითხები, რომელთაც „განგრძობადი ხასიათი“ აქვთ, ანუ გადაწყვეტილება, რომელიც დიდი ხნით შეეხება ბავშვს. მაგალითად, განათლების საკითხი, ბავშვის აზრის გათვალისწინებით, ურთიერთშეთანხმებული უნდა იყოს მშობლების მიერ. შესაბამისად, მიზანშეწონილია, სამოქალაქო კოდექსით განისაზღვროს აღნიშნული დებულება შემდეგი ფორმულირებით: შვილთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები მშობლების მიერ უნდა იყოს ურთიერთშეთანხმებული, ხოლო მნიშვნელოვნად მიიჩნევა ის საკითხები, რომელთაც განგრძობადი ხასიათი აქვთ.

8. თუ მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, ბავშვის საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბავშვის შეთვისება, სიყვარული მშობლებსა და ოჯახის წევრებს შორის. გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ მშობლების პირადი თვისებები, მათი ურთიერთობები და, საბოლოოდ, მატერიალური პირობები. თუმცა საკანონმდებლო ნორმებით უნდა განისაზღვროს მოსამართლის ვალდებულება, გადაწყვეტილების გამოტანამდე გაითვალისწინოს ბავშვის ასაკი და განვითარების ეტაპი, პატარა ბავშვების კონკრეტული მოთხოვნილების მიხედვით; ბავშვის „მომწიფებულობა“ გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას; ოჯახის შესაძლებლობა, მზრუნველობა გაანაწილოს იმგვარად, რომ ამან გამოიწვიოს ბავშვისათვის ემოციურად შესაფერისი გარემოს შექმნა; მშობლებს შორის ნებისმიერი კონფლიქტი ან ძალადობა, რაც პოტენციურ გავლენას ახდენს ბავშვზე.

9. იძულებითი შრომის აკრძალვასთან დაკავშირებით სახელმწიფოს არ გააჩნია მშობლებზე ზემოქმედების საშუალებები, თუ მშობლები თავს არიდებენ სამუშაოს, ან ასრულებენ მხოლოდ ისეთ დაბალანაზღაურებად სამუშაოებს, რომ გადახდილი ალიმენტი ვერ უზრუნველყოფს ბავშვს საარსებო მინიმუმით. უნდა დადგინდეს ალიმენტის მინიმალური ოდენობა. ამ მინიმალური ოდენობის გადაუხდელობის შემთხვევაში, თუ მშობლები სა-

პატიო მიზეზის გარეშე სამუშაოზე უარს აცხადებენ, ან ასრულებენ მხოლოდ დაბალანაზღაურებად სამუშაოებს, ბავშვის რჩენისათვის აუცილებელი სახსრების მინიმუმი სახელმწიფოს მხრიდან უნდა იყოს უზრუნველყოფილი. ამ შემთხვევაში მშობლებს უნდა ჩამოართვან მშობელთა უფლებები.

10. სსკ-ის 1206-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის დებულება: „მშობელს, რომელიც სისტემატურად თავს არიდებს მშობლის მოვალეობების შესრულებას, მათ შორის, ალიმენტის გადახდას“.

11. მიზანშეწონილია უფლებაჩამორთმეული მშობლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ბავშვის მიერ მიყენებული ზიანის გამო, მაგრამ, ვინაიდან უფლებაჩამორთმეულ მშობლებს არ შეუძლიათ მონაწილეობის მიღება ბავშვების აღზრდაში, მათზე პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობა გარკვეული ვადით, ერთი წლით, უნდა შეიზღუდოს, რადგან საჭიროა, არსებობდეს მიზეზშედეგობრივი კავშირი ყოფილი მშობლის მიერ თავისი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებასა და ბავშვის მხრიდან ზიანის გამომწვევ არასათანადო ქცევას შორის, რაც ერთი წლის გასვლის შემდეგ საფუძველს მოკლებულია.

12. საალიმენტო ვალდებულება არის ე.წ. კანონისმიერი სამართლებრივი ურთიერთობები, რაც ნიშნავს ისეთ სამართლებრივ კავშირებს, რომელთა მოძრაობას საფუძვლად უშუალოდ კანონი უდევს. მშობლის რჩენისა და აღზრდის მოვალეობა შვილების მიმართ გამომდინარეობს კანონიდან, ხოლო თვით საალიმენტო ვალდებულება ემყარება სისხლით ნათესაობას. მშობლებს ეკისრებათ თავიანთი შვილების რჩენის მოვალეობა. ეს ვალდებულება იმ განგრძობადი იურიდიული ფაქტიდან (გრძელვადიანი ხდომილებები) მომდინარეობს, რომელსაც სუბიექტის თვისებრივ მდგომარეობას უწოდებენ და, რომელიც საოჯახო სამართლის მონაწილე პირებისათვის უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველი ხდება (ნათესაობა, ქორწინება, შვილად აყვანა, მეურვეობა, მზრუნველობა).

13. საალიმენტო სამართლებრივი ურთიერთობები ჩნდება მომენტიდან, როდესაც მშობლები აღარ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს ბავშვის მატერიალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, აღარ ზრუნავენ მასზე. ამ დროს მშობლების ვალდებულებები ბავშვის რჩენასთან (ამ ვალდებულების შესრულებასთან) დაკავშირებით გარდაიქმნება საალიმენტო სამართლებრივი ურთიერთობებად და ამ მომენტიდან ბავშვს უჩნდება უფლება, მიიღოს ალიმენტი იმ სახით, როგორც ეს იქნება გათვალისწინებული საალიმენტო შეთანხმებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ალიმენტის გადახდევინების შესახებ.

14. საალიმენტო შეთანხმება არის არა სამოქალაქო ხელშეკრულება, არამედ ორმხრივი შეთანხმება, რომელიც გარანტიას აძლევს მონაწილეებს, მიიღონ ალიმენტი სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენება, რომლებიც არეგულირებენ სამოქალაქო სამართლებრივი შეთანხმებების დადებას, შეცვლას, შეწყვეტას, ბათილად ცნობას, საალიმენტო შეთანხმების მიმართ აიხსნება იმით, რომ საპროცედურო საკითხები კანონმდებლის მხრიდან იყო გადაწყვეტილი სამოქალაქო სამართლებრივი შეთანხმების მოდელის ანალოგიურად. – ეს არის კანონმდებლის იურიდიულ-ტექნიკური საშუა-

ლება. შეთანხმება შეიძლება ბათილად იყოს ცნობილი, თუ ის საგრძნობლად არღვევს არასრულწლოვანი ან მხარდაჭერის მიმღები პირების ინტერესებს. ალიმენტის მიმღების ინტერესები მიიჩნევა როგორც საგრძნობლად დარღვეული, თუ საალიმენტო თანხა, რომელიც ამ შეთანხმების საფუძველზე მათ ეკუთვნით, გაცილებით ნაკლებია თანხაზე, რომელსაც ისინი მიიღებდნენ სასამართლოს გადაწყვეტილებით ალიმენტის გადახდევინების შემთხვევაში.

15. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1213-ე მუხლის შესაბამისად, „არასრულწლოვანი ან სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილებისათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობას განსაზღვრავენ მშობლების ურთიერთშეთანხმებით“. თუმცა აქ ისმის კითხვა: სამართლებრივად რა შედეგი მოჰყვება ამ შეთანხმებას, თუ მისი არც ფორმა და არც შესრულების მექანიზმი არ იქნა კანონით გათვალისწინებული? მიზანშეწონილია, ეს საკანონმდებლო ხარვეზი გამოსწორდეს და სსკ-ის 1213-ე მუხლს დაემატოს მეორე პუნქტი შემდეგი შინაარსით: „თუ მშობლებს სურთ, საალიმენტო შეთანხმებას მიენიჭოს სააღსრულებო ფურცლის ძალა, მაშინ იგი წერილობით უნდა იყოს შედგენილი და სანოტარო წესით დადასტურებული“.

16. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას თავიდან რომ იქნეს აცილებული მხოლოდ მოსამართლის თვითშეფასებაზე დაფუძნებული ალიმენტის მიმღების „გონივრული მოთხოვნილებების“ განსაზღვრა, სასურველია, საერთაშორისო საკანონმდებლო პრაქტიკის საფუძველზე შემუშავდეს ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის ახალი მექანიზმი – სახელმძღვანელო ფორმულების (მითითებები) სახით, არასრულწლოვნის ასაკის, ფსიქოლოგიური განვითარების, ალიმენტვალდებულის შემოსავლისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით.

17. მიზანშეწონილია, სამოქალაქო კოდექსით პირდაპირ განისაზღვროს დებულება შემდეგი შინაარსით: „ალიმენტის მოცულობა საშუალებას უნდა აძლევდეს ბავშვს, შეინარჩუნოს, სულ მცირე, ისეთი ცხოვრების სტანდარტი, როგორიც აქვს ალიმენტის გადამხდელ მშობელს“.

18. შვილის სრულწლოვანების მიღწევისას, თუ იგი აგრძელებს სწავლას, სასამართლომ, ალიმენტის მიმღების მოთხოვნიდან გამომდინარე, შეიძლება გააგრძელოს მისი გადახდის ვადა სწავლის დამთავრებამდე, იმ შემთხვევაში, თუ ალიმენტის გადამხდელის მატერიალური და ოჯახური პირობები, სასამართლოს აზრით, საკმარისია. „სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს ალიმენტის გადახდის ვადა, თუ აღმოჩნდება, რომ ალიმენტის გადამხდელის შვილი/შვილები სწავლას აგრძელებენ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ალიმენტთან დაკავშირებული მოთხოვნა აშკარად უსამართლოა“.

19. ალიმენტის გადაუხდელობის გამო ალიმენტის მიღებაზე უფლებამოსილ პირთა ინტერესების დაცვის მიზნით საქართველოში აუცილებელია შეიქმნას ახალი ინსტიტუტი საალიმენტო ფონდის სახით, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს მხრიდან დახმარებას იმ მოცულობით, რაც აუცილებელია ხსენებულ პირთა ინტერესების დასაცავად. ფონდის მიზნები და საქმიანობა უნდა განისაზღვროს კანონით „საალიმენტო ფონდის საქმიანობის შესახებ“.

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ ენაზე:

ახვლედიანი ზურაბ, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, „სამართალი“, თბ., 1999.

ინწკირველი გივი, სახელმწიფო და სამართლის თეორია, „მერიდიანი“, თბ., 1974.

იოსელიანი ნინო, ხელშეკრულების განმარტება, „იურისტის ბიბლიოთეკა“, თბ., 2008.

ნაჭყებია ალეკო, სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), „გერმანიის თანამშრომლობა GIZ“, 2014.

შოშიაშვილი ნინო, საოჯახო კანონმდებლობის სრულყოფისათვის, სამართალი №4, 2002.

კოხრეიძე ლეილა, ზოგიერთი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, მართლმსაჯულება და კანონი, №2 (41) 2014.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, „სამართალი“, თბ., 2001.

შენგელია რომან, შენგელია ეკატერინე., საოჯახო სამართალი, მესამე გამოცემა, „მერიდიანი“, თბ., 2013.

შენგელია რომან, შენგელია ეკატერინე., საოჯახო სამართალი, თეორია და პრაქტიკა, „მერიდიანი“, თბ., 2011.

ჩიკვაშვილი შალვა, საოჯახო სამართალი, „მერიდიანი“, თბ., 2004.

ცვაიგერტი კონრად, კოტცი ჰაინ, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, „ჯისიაი“, თბ., 2001.

ძნელაძე ნინო, სავალდებულო წილის ინსტიტუტის პრობლემები მემკვიდრეობით სამართალში, სამართალი №6-7, 2000.

ჭანტურია ლადო, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, რედ.: ჯორბენაძე სერგო, „სამართალი“, თბ., 2000.

ჯორბენაძე სერგო, საბჭოთა საოჯახო სამართალი, „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბ., 1957.

ევროსაბჭოს კვლევები <http://www.coe.int/t/commissioner/Viewpoints/070709>_ - ENOC შესაბამისად (European Network of Commissioners for Children), <http://www.ombudsnet.org/enoc/resources /infodetail.asp?id=19126> [12.12.2008].

კაცები და გენდერული ურთიერთობები, რაც ეყრდნობა Promundo-ს მიერ IMAGES (International Men and Gender Equality Survey) კვლევას < http://www.calameo.com/read/000713529851130dc6a7b> [06.04.2014.].

სამეცნიერო ლიტერატურა უცხოურ ენებზე:

Абрамова Е. Н., Аверченко Н. Н., Байгушева Ю. В., Гражданское право: учебник: в 3-х томах Том 3, Часть 1., 2010, <http://all-books.biz/pravo-grajdanskoe/otvetstvennost-vred-prichinennyiy.html> [21.01.14].

Абашин Э. А., Семейное право, «Форум-Инфра М», М., 2003.

Агарков М. М., Обязательство по советскому гражданскому праву, Типография «Известий Советов депутатов трудящихся СССР», М., 1940.

Алексеев С.С., Общая теория права, Т. 2, «Юрид. лит.», М., 1981.

Алексеев С. С., Проблемы теории права, Курс лекции, Т.3, «Статут», М., 1972

Ансон В., Договорное право, «Юрид. лит.», М., 1984.

Антокольская М. В., Семейное право, «Юрист», М., 2004.

Антокольская М. В., Семейное право, 2-е изд., «Юрист», М., 2002, 95, http://stratonomik.ru/combook/semejnoe_pravo_andopol'skaja_7.html [04.10.13].

Апень А.Л., Бабаянская Н.С., Расторжение брака, «Питер», СПб., 2004.

Бару И.М., Договорное обязательство о содержании, «Ученые записи Харьков. юрид. ин-та», вып.3, 1946, 25, მითითებულია წიგნში: Красавчиков О.А., Категории науки Гражданского права, избранные труды, том второй, «Статус», М., 2005.

Бекленищева И. В., Гражданско правовой договор: классическая традиция и современные тенденции, «Статут», М., 2006.

Брагинский М. И., Витрянский В.В., Договорное право, Книга первая: обшие положения, изд. 3-е, «Статут», М., 2000-2006.

Богдановский А.М., Молодые преступники, вопрос уголовного права и уголовной политики, Типография Моригеровского, СПБ., 1971, <http://www.-twirpx.com/file/182615/> [22.01.2014].

Богданова Г. В., Автореферат диссертации: Проблемы правового регулирования личных и имущественных отношений между родителями и детьми, 1999, саратов, http://www.dissercat.com/content/problemy-pravovogo-regulirovaniya-lichnykh-i-imushchestvennykh-otnoshenii-mezhdu-roditelyami [05.10.13.].

Братусь С. Н., Юридическая ответственность и законность, «Юрид. лит.» М., 1976.

Брагинский, М.И., Комментарий к части второй Гражданского кодекса РФ для предпринимателей, «Правовая культура», М., 1996.

Братусь С. Н., Предмет и система советского гражданского права, «Госюриздат», М., 1963.

Веберс Я. Р., Правосубъектность граждан в советском и семейном праве, «Зинатне», Рига, 1976.

Волчанская Л.М., Семейное право, 2-е изд., «ВолГУ», Волгоград, 2004.

Витрянский В.В., Договорное право, Книга первая: обшие положения, изд. 3-е, «Статут», М., 2000-2006.

Гоихбарг А. Г., Хозяйственное право РСФСР, т. I, Гражданский кодекс, изд. 3-е, 1924.

Гражданский Кодекс РФ, Статья 1075, 2014, <http://www.gk-rf.ru/statia1075 > [25.03.2014].

Гражданское право: под ред. Сергеева А.П., Толстого Ю.К., Учебник, Том 3, «Проспект», М., 2005.
Грибанов В.П., Осуществление и защита гражданских прав, «Статут», М., 2000.
Грибанов В. П., Пределы осуществления и защиты гражданских прав, изд. 2-е, «Статут», М., 2001, <http://civil.consultant.ru/elib/books/1/page_2.html#4> [14.10.13].
Гуляев А.М., Русское гражданское право, Тип. М.М., Стасюлевича, СПБ., 1913.
Данилин В. И., Реутов С .И., Юридические факты в семейном праве, «Изд-во Урал. ун-та», Свердловск, 1989.
Егоров Н. Д., Гражданско-правовое регулирование обшественных отношений, «Изд. Ленинградского университета», Л., 1986.
Елисеева А. А., Автореферат диссертации: Правовое регулирование личных неимущественных отношений в семейном праве Российской Федерации, М., 2008,http://www.dissercat.com/content/pravovoe-regulirovanie-lichnykh-neimushchestvennykh-otnoshenii-v-semeinom-prave-rossiiskoi-f [10.10.13].
Ершова Н.М., О правах и обязанностях опекунов и попечителей над несовершеннолетними по советскому семейному праву // Ученые записки: «Изд-во Казах. ун-та», Вып. 4, 1957, http://www.lawlibrary.ru/article1130650.html-<http://www.lawlibrary.ru/article1130650.html> [02.01.14].
Звенигородская Н.Ф., Договорные семейно-правовые санкции, Вестник Пермского Университета, «Юридические Науки», http://www.jurvestnik.psu.ru/-ru/component/content/article/59-dogovornye-semejno-pravovye-sankczii.html [13.10.13].
Законодательства//Росийская юстиция, №10, М., 1996.
Иванова С. А., Судебные споры о праве на воспитание детей, «Юрид. лит», М., 1974
Иванов В. В., Общие вопросы теории договора. М., 2000.
Иоффе О. С., Советское гражданское право, Том 1, «ЛГУ», Л., 1971.
Иоффе О.С., Избранные труды по гражданскому праву: из истории цивилистической мысли, «Статут», М., 2003.
Иоффе О.С., Советское гражданское право, «Изд. Ленинградского университета», Л., 1958.
Казанцева А. Е., Обязанности и права родителей (заменяющих их лиц) по воспитанию детей и ответственность за их нарушение, «Изд-во Томского ун-та.», Томск, 1987.
Комментарий к Семейному кодексу Российской Федерации, «БЕК», М., 1996.
Казанцев М.Ф., Гражданско-правовое договорное регулирование: исходные положения концепции//Правоведение, «СПб университет», СПб., 2003.
Кечекьян С. Ф., Правоотношения в социалистическом обшестве, «Изд-во АН СССР» М., 1958.
Комментарий к Семейному кодексу РФ/Под ред. Рясенцева В.А., «Юрид. лит.», М., 1982.
Королев Ю. А., Комментарий к Семейному кодексу Российской федерации, «Юстицинформ», М., 2004.
Конституция Итальянской Республики / Пер. с итал. Гринберг Л.П. // Конституции государств Европейского Союза / Под общ. ред. Окунькова Л.А., Инфра – М – Норма, М., 1997<http://italia-ru.com/page/konstitutsiya-italyanskoi-respubliki> [17.04.2014].

Конституция Греции, Вступила в силу 11 июня 1975 года, <http://constitutions.-ru/archives/249>[17.04.2014].
Конституция Ирландии, В сб.: Конституции государств Европейского Союза / Под ред. Окунькова Л. А., Инфра-Форум, М., 1997.
Косова О.Ю., Применение законодательство о просрочке уплаты алиментов, Вестник Академии Генеральной прокуратуры Российской Федераций, № 4(6), 2008, http://www.agprf.org/journal/2008/vestnik_4_2008.pdf.
Красавчиков О. А., Категории науки Гражданского права, избранные труды, том второй, «Статус», М., 2005.
Красавчиков О. А., Советское гражданское право, Том 1, «Высшая школа», 1972.
Красавчиков О. А., Юридические факты в советском гражданском праве, «Госюриздат», М., 1958.
Красавчиков О. А., Советское гражданское право, том 1, 3-е изд., «Высшая школа», М., 1985.
Кузнецова Л. Г., Шевченко Я. Н. Гражданско-правовое положение несовершеннолетних, «Юрид. лит.», М., 1968, 30.
Леженин В. Н., Проблемы семейно-правового регулирования имущественных и личных отношений, В кн.: Проблемы развития гражданского законодательства и методологиая преподавание гражданско – правовых дисциплин, Харьков, «ХИВД», 1993.
Малеин Н. С., Правоотношение: понятие, причины, ответственность, «Юрид. лит.», М., 1985.
Малеин Н. С., Охрана личных (неимущественных) прав граждан, В кн.: Развитие советского гражданского права на современном этапе / под ред: Мозолина В.П., «Наука», М., 1986.
Матвеев Г. К., Советское семейное право, «Юрид. лит.», М., 1985.
Матузов Н. И., Субъективные права граждан СССР, «Приволжское книжное издательство», Саратов, 1966.
Матузов Н. И., Личность. Права. Демократия. Теоретические проблемы субьективного права, «Изд-во Саратовского ун-та», Саратов, 1972, <http://www.-lawlibrary.ru/izdanie13403.html> [05.10.13].
Мейер Д. И., Русское Гражданское право: В 2 ч., «Статут», М., 2000.
Михаилова И. А., Правосубъектность физических лиц: некоторые направления далнейшего совершенствования российского гражданского законодательства, Журнал: "Гражданское Право", №1, «юрист», М., 2009.
Мостовой С. М., Развитие деликтной ответственности несовершеннолетних в русском дореволюционном праве, журнал Общество и право, 2010, <http://www.juristlib.ru/book_8210.html> [21.01.2014].
Муратова С. А., Семейное право, 2-е издание, «Эксмо», М., 2005.
Нечаева А. М., XXI век и наши дети, Государство и Право, N 6, Ред. Автономов А. С., «Наука», М., Июнь, 2014.
Нечаева А. М., Семейное право и педагогика, Государство и Право, N 5, Ред: Автономов А. С., «Наука», М., Май, 2014.
Нечаева А. М., Споры о детях, «Юрид. лит.», М., 1989.

Нечаева А. М., Ершова Н. М., Социальное значение правового регулирования брачно-семейных отношений, В кн.: Гражданско-правовое положение личности в СССР, «Наука», М., 1975.
Нечаева А. М., Семейное право, Курс лекций, «Юрист», М., 1998.
Нефедов Д. В., О различных методах регулирования коммерческих отношений, Сборник статей, Актуальные проблемы коммерческого права, вып. №6, Под общ. ред.: Нефедов Д.В., Попондопуло В.Ф., «Волтерс Клувер», М., 2007.
Пергамент А. И., Ответственность родителей за воспитание детей, В кн.: Проблемы совершенствования советского законодальства, «ВНИИСЗ», выпуск N 19, М., 1981.
Победоносцев К. П., Курс Гражданского права, Часть 1, «Статут», М., 2002.
Поляков И. Н., Ответственностъ по обязательствам, вследствие причинения вреда, «Городец», М., 1998.
Пугинский Б.И., Теория и практика договорного регулирования, «Зерцало», М., 2008.
Пугинский Б. И., Гражданско правовой договор, Вестник Московского университета, «Право», N 2, серия 11, 2002.
Пугинский Б. И., Гражданско-правовые средства в хозяйственных отношениях, «Юрид. лит.», М., 1984.
Пчелинцева Л. М., Комментарий к Семейному кодексу Российской Федерации, 3-е издание, «Норма», М., 2004.
Рузанова Е. В., Обязательства вследствие причинения вреда с участием несовершеннолетних граждан, Автореферат на соискание ученой степени кандидата юридических наук, Саратов, 2013, <http://test.ssla.ru/dissertation/-referats/16-10-2013-2.pdf > [21.01.2014].
Рясенцев В. А., Общие положения гражданско-правовой охраны семьи государством, В кн.: Право и защита семьи государством, Под ред. Мозолина В. П., Рясенцева В.А., «Наука», М., 1987.
Рясенцев В. А., Юридические акты в семейном праве //Проблемы охраны прав граждан и огранизаций в свете положений Конституции СССР: Труды / ВЮЗИ, М., 1980.
Рясенцев В.А., Семейное право, «Юрид. лит.», М., 1971.
Рясенцев В., Неимущественный интерес в советском гражданском праве, Ученые записки Московского юридического института НКЮ СССР, вып. 1, 1939.
Свердлов Г.М., Советское семейное право, «Юрид. лит.», М., 1958.
Смоленский М. Б., Семейное право России для студентов вузов, «Феникс», Ростов, 2004.
Советское семейное право, Под ред. Маслова В. Ф., Пушкина А. А., «Вища школа», Киев, 1982.
Советское семейное право. / Под ред. Красавчиков О. А., Т. 1, «Высшая школа», М., 1972.
Советское семейное право / Под ред. Рясенцева В.А., «Наука», М., 1982.
Соколовская Ю. С., Споры о детях по советскому праву, Автореф. дис. канд. юрид. наук, Челябинск, 1950, 16, http://www.dissercat.com/content/semeino-

pravovoe-polozhenie-nesovershennoletnikh-roditelei-po-zakonodatelstvu-rossiiskoi-fed [11.10.13].
Столбов М.Г., Как увеличить размер алиментов, «Ось-89», М., 2005.
Сухомлинский В. А., О воспитании, «Полит. лит-ры.», М., 1985.
Танага А.Н., Принцип свободы договора в гражданском праве России, «Юридический центр Пресс», СПб., 2003.
Тихомиров Ю.А., Договоры в экономике. М., 1993.
Толстои Ю.К., К теории правоотношения, «Из-во Ленинградского Ун-та», Л., 1959.
Фадеева Т.А., Личные права и обязанности граждан в семейных отношениях, журнал: «Правоведение», N2, «изд. Ленинградского университета», Л., 1988.
Халфина Р.О., Значение и сущность договора в советском социалистическом гражданском праве, М., 1952.
Халфина Р. О., Обшее учение правоотношении, «Юрид. лит.», М., 1974.
Харчев А.Г., Социология воспитания, «Юрист», М., 1990.
Чефранова Е. А., Имущественные отношения в Российской семье, «Юрист», М., 1997.
Чефранова Е.А., Применение к семейным отношениям норм гражданского законодательства//Росийская юстиция, №10, М., 1996.
Чечот Д.М., Субъективное право и форми его защиты, «Изд-во Ленингр. ун-та», Л., 1968.
Чичерова Л.Е., Гражданско-правовая ответственность в семейном праве // Цивилистические записки. Вып. 5: Проблемы кодификации гражданского законодательства в РФ / под ред. Рыбакова В.А., Гришко А.Я., «Юрист», М., 2004.
Шерстнева Н. С., Семейно-правовая сущность принципа обеспечения приоритетной защиты прав и интересов несовершеннолетних, Современное право, №3, 2006 http://www.nauka-pravo.org/m/articles/view/СОДЕРЖАНИЕ-3-2006 [28.10.13].
Яковлев В. Ф., Гражданско-правовой договор и пути повышения его эффективности // Развитие советского гражданского права на современном этапе, ред.: Мозолин В.П., «Наука», М., 1986.
Явич Л. С., Общая теория права, «ЛГУ», Ленинград, 1976.

Abella R. S., Economic Adjustment on Marriage Breakdown: Support, Family Law and Social Policy Workshop Series WS-4a, Toronto, 1981.
Amato P. R., Cheadle J, The Long Reach of Divorce: Divorce and Child Well-Being Across Three Generations, Journal of Marriage & Family, 2005, <http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/j.0022-2445.2005.00014.x/abstract>, [28.12.13].
Artigot-Golobardes M., Alascio-Carrasco L., (Universitat Pompeu Fabra, Barcelona, Spain), Family business: The Need for a General Framework, შრომათა კრებულში: Family Finances, (Verschraegen B. (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009.
Arendell T., (Associate Professor and Chair of the Department of Sociology at Colby College), Fathers and divorce, Sage Publications, Waterville, northwestern Ohio, 1995.

Basset U. C., Autonomous Choices of Adults and the Rights of Children to a Harmonious Family Life. Can a Satisfactory Balance Ever be Achieved?, Papers from North American Regional Conferece: Fostering Family Harmony: Principles and Practices, Brooklyn Law School, Brooklyn, June 6-8, 2013.

Bauserman R., Child Adjustment in Joint-Custody versus Sole-Custody Arrangements: A Meta-Analytic Review, American Psychological Association APA, Journal of Family Psychology, Vol. 16, No. 1, 2002, <http://sharedparenting.wordpress.com/2002/03/24/5/>, [28.12.13].

Batalova J. A., Cohen P.N., Premarital Cohabitation and Housework: Couples in Cross-National Perspective, Journal of Marriage and Family, Volume 64, Issue 3, August, 2002, http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/jomf.2002.64.issue-3/issuetoc [15.10.13].

Bernstein G., Under the Parental Gaze: Intensive Parenting, Social Networks and Children's Privacy, კონფერენციის მასალების კრებულში: Fostering Family Harmony: Principles and Practices, Papers from North American Regional Conferece, Brooklyn Law School, Brooklyn, June 6-8, 2013.

Bernstein G., Triger Z., „Over-Parenting", <http://ssrn.com/abstract=1588246> [15.10.13].

Blair M., D., Weiner M. H., Stark B., Maldonado S., Family Law in the World Community: Cases, Materials, and Problems in Comparative and International Family Law, Carolina Academic Pres Law Casebook Series, 2nd ed., Durham, North Carolina, 2009.

Blumberg G. G., Community Property in California (Law School Casebook Series), Second Edition, Little Brown & Co Law & Business, California, 1993.

Boele-Woelki K., in collaboration with Antokolskaia M., Principles of a European Family Law regarding parental responsibilities, European family law series,Volume 16, Intersentia, Antwerp, 2007.

Braekhus H., Regulation of Parenthood – Deregulation of Marriage, შრომათა კრებულში: Family Finances, (Verschraegen B. (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009.

Brinig M.F., (Notre Dame Law School, U.S.A.), Substantive Parenting Arrangements: The Tragedy of the Snipe Hunt,….<www.wikihow.com/Snipe-Hunt> [07.06.13].

Carriero Vaz Tome M. J. R., (Porto, Portugal), Elderly Dependency, Family Caretaking and Law in Portugal, შრომათა კრებულში: Family Finances, (Verschraegen B. (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009.

Cashmore J., Parkinson P., Weston A., Patulny R., Redmond G., Qu L., Baxter J., Rajkovic M., Sitek T., Katz I., Shared care parenting arrangements since the 2006 Family Law Reforms: Report to the Australian Attorney-General's Department, Social Policy Research Center, University of New South Wales, Sydney, 2010, https://www.sprc.unsw.edu.au/media/SPRCFile/2_AG_Shared_-Care.pdf, [13.10.13].

Casper L.M., Bianchi S.M.,Continuity and Change in the American Family, Sage Publications, London, New Delbi, printed in U.S.A., 2002.

Cohen Y., Issues Subject to Modification in Famuly Law: A New Model, Ono Academic College, Columbia Law School, 2013, <http://papers.ssrn.com/sol3/-DisplayAbstractSearch.cfm> [10.09.13].

Coontz S., Marriage, a History, from Obedience to Intimacy or How Love Conquered Marriage, Publisher: Viking, Penguin Group, New York, 2005.

Carriero Vaz Tome M. J. R., (Porto, Portugal), Elderly Dependency, Family Caretaking and Law in Portugal, შრომათა კრებულში: Family Finances, (Verschraegen B. (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009.

Cohen Y., Issues Subject to Modification in Famuly Law: A New Model, Ono Academic College, Columbia Law School, 2013, <http://papers.ssrn.com/sol3/-DisplayAbstractSearch.cfm> [10.09.13].

Corden A., Meyer D. R., Child Support Policy Regimes in the United States, United Kingdom, and other Countries: Similar issues, Different approaches, University of Wisconsin–Madison Institute for Research on Poverty, Focus, Volume 21, Number 1, 2000, Spring, 77, <http://www.irp.wisc.edu/publications/focus/pdfs/-foc211.pdf> [24.09.14].

Cvejic O. J., (Serbia), Challenges of the Modern Family-Draft Civil Code of Serbia Relating to Family Law Relations, ნაშრომთა კრებულში: The International Survey of Family Law, (Atkin B., Banda F. (ed.)), Jordan Publishing Limited, Great Britain, Bristol, 2012.

Duncan W., (Deputy Secretary General of the Hague Conference on Private International Law, Professor emeritus, Trinity College, Dublin), Note on the desirability of revising the Hague Conventions on Maintenance Obligations, Hague Conference on Private International Law, January, 1999, http://www.hcch.-net/upload/conventions/txt38en.pdf ან http://www.hcch.net/index_en.php?act=-conventions.listing, [29.10.13].

Detrick S., The United Nations Convention on the Rights of the Child: A Guide to the Travaux Preparatoires, 1992, www.childjustice.org/index.php/component/edoc-man/?task...id=49 [28.10.13].

Dewar J., Law and the Family, Butterworths, London, 2nd ed, 1992.

Doek J. E., What Does the Children's Convention Require? (Professor of Law, Vrije Universiteit in Amsterdam, and Chairperson of the U.N. Committee on The Rights of the Child), Spring, 20 **Emory** Int'l L, 2006, <http://www.law.emory.edu/fileadmin/journals/eilr/20/20.1/Doek.pdf>, [24.02.14].

Dyuzheva O.A., (Law faculty, Lomonosov Moscow State University), Is There a Way to Harmonize Dad's and Mom's Rights Under Russian Family Law? Papers from North American Regional Conferece: Fostering Family Harmony: Principles and Practices, Brooklyn Law School, Brooklyn, June 6-8, 2013.

Eekelaar J., (Pembroke College Oxford, United Kingdom), Partners, Parents and Children: Grounds for Allocationg Resources across Households, Family Finances, (Verschraegen B. (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009.

Eekelaar J., Are Parents Morally Obliged to Care for Their Children, Oxford Journal of Legal Studies,Vol. 11, N 3, «Oxford University Press», 1991, Autumn, <http://www.jstor.org/stable/764213> [20.10.13].

European Commission Recommendation 94/1069/EC, of 7 Decembers 1994, <http:eur-lex.europa. eu/:exUriServ/LexUriServ.do?uri> [15.09.2013].

Farrugia R.,(Advocate and Senior Lecturer, Faculty of Laws, University of Malta), State Responsibility in Enforcing Maintenance Obligations Toward Children, შრომათა კრებულში: Family Finances, (Verschraegen B. (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009.

Farrugia R., Juxtaposing Legal Systems and the Principles of European Family Law on Divorce and Maintenance, Orucu E., Mair J. (eds), Intersentia, 2007, http://malta.academia.edu/RuthFarrugia/Papers.

Farrugia R., Is there a State Responsibility to Foster Family Harmony?, კონფერენციის მასალების კრებულში: Fostering Family Harmony: Principles and Practices, Papers from North American Regional Conferece, Brooklyn Law School, Brooklyn, June 6-8, 2013.

Farrugia R., Achievements in Taking Children's Rights Further in Civil Justice, Towards European Guidelines on Child-Friendly Justice: Identifying Good Principles and Sharing Examples of Good Practices as Part of Council of Europe, Stockholm 2008: Building a Europe for and with Children-Towards a Strategy for 2009-2011, <www.coe.int/T/TransversalProjects/Children/pdf/Stockholm-Programme,> or http://www.crin.org/does/Farrugia_en.doc [25.10.13].

Fehlberg B., Smyth B., Maclean M., Roberts C., Legislating for Shared Parenting After Separation: A research review, International Journal of Law and the Family, Volume 25, Issue 3, Oxford University Press, 2011, http://lawfam.-oxfordjournals.org/content/early/2011/09/20/lawfam.ebr015.abstract.

Fineman M. A., Why marriage? 9 Virginia Journal of Social Policy & the Law, Fall, 2001, 245, მითითებულია შრომათა კრებულში: Family Finances, (Verschraegen B. (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009.

Fineman M. A., The Neutered Mother, the Sexual Family and Other Twentieth Century Tragedies, Published by Routledge, New York, London, 1995.

Flekkoy M. G., The Childrens Ombudsman as an Implementor of Childrens Rights, 1996, www.docstoc.com/docs/64785967/California-Relators-Association, <ouralexander.org/vaccines.doc> [24.02.14].

Fehlberg B., Smyth B., Maclean M., Roberts C., Legislating for Shared Parenting After Separation: A research review, International Journal of Law and the Family, Volume 25, Issue 3, «Oxford University Press», 2011, 321, http://lawfam.-oxfordjournals.org/content/early/2011/09/20/lawfam.ebr015.abstract [15.10.13].

FitzGibbon S., (Boston college law school, J.D. Harvard, B.C.L., Oxford), Harmonious Legal Discourse and The good of a Family Law, Papers from North American Regional Conferece: Fostering Family Harmony: Principles and Practices, Brooklyn Law School, Brooklyn, June 6-8, 2013.

Frank R., Family Solidarity in Support and Inheritance Law, translated from the original German into English by Dr. Scott A., Brigham Young University, Provo, Utah, USA, შრომათა კრებულში: Family Finances, (Verschraegen B. (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009.

Garfinkel I., Bringing Fathers Back Child Support Assurance Strategy, Magazine "American Prospect", Vol 11, N 26, December, 2000, 2, http://prospect.org/-article/bringing-fathers-back-child-support-assurance-strategy.

Garrison M., The Goals and Limits of Child Support Policy, შრომათა კრებულში: Child Support: The Nexts Frontier, (Oldham J. T., Melli M. S. (eds.))., University of Michigan Press, 2000, 16.

Garrison M., Promoting Cooperative Parenting: Programs and Prospects, Brooklyn Law School Legal Studies Research Papers No. 99, March, 2008, 7,8, <http://ssrn.com/abstract=1086441> [25.12.13].

Glennon L., Obligations between Adult Partners: Moving from Form to Function?, International Journal of Law, Policy & the Family, Volume 22, issue 1, april, 2008, http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1149658 [02.02.2014].

Goode W.J., World Changes in Divorce Patterns, Yale University Press, New Haven, 1993.

Graycar R., Family Law and Social Security in Australia: The Child Support Connection, Legal Studies Research Paper No. 08/99, August 2008, Social Science Research Network Electronic Library at: http://ssrn.com/abstract=1243082.

Grolick W. S., Seal K., Pressured Parents, Stressed-out Kids: Dealing with Competition While Raising a Successful Child, Prometeus book, New York, 2007.

Guillod O, A new Divorce Law for New Millennium, The International Survey of Family Law, Bainham A. (ed.), Jordan Publishing Limited, Bristol, 2000.

Harding M., (Ireland, Senior Lecturer, University of Portsmouth), A Softening of the Marital Family Paradigm?, ნაშრომთა კრებულში: The International Survey of Family Law, (Atkin B., Banda F. (ed.)), Jordan Publishing Limited, Great Britain, Bristol, 2012.

Henaghan M., (Professor and Dean of Law, University of Otago, Dunedin, New Zealand), The Changing Politics of Family Law in New Zealand, ნაშრომთა კრებულში: The International Survey of Family Law, (Atkin B., Banda F., (ed.)), Jordan Publishing Limited, Great Britain, Bristol, 2012.

Houlgate L., Must the Personal be Political? Family Law and Consept of Family, International Journal of Law, N 12, Policy and the Family, 1998.

Jaap D. E., Parents and the Rights of Child, Council of Europe Committee of Experts on Children and families (CS-EF), Stras-bourg, Dec 8 and 9, 2004, <http://www.kinderrechte.gv.at/home/upload/50%20thema/tm_0705_jaap_e_doek_eltern_und_die_krk.pdf> [16.04.2013].

Jacot-Guillarmod, Oral Intervention, in Proceedings of the Sixth International Colloquy about the European Convention on Human Rights, Seville, 1985, Published by Martinus Niiboff Publishers, Netherlands, 1988.

Kaspiew R., Gray M., Weston R., Moloney L., Hand K, Qu L. and the Family Law Evelution Team Evaluation of the 2006 Family Law Reforms, Australian Institute of Family Studies, 2009, <http://www.aifs.gov.au/institute/pubs/fle/-index.html> [13.10.13].

Kelley T., ‚Dear Parents: Please Relax, it's Just Camp, N.Y. Times, N.Y./Region, july 26, 2008, 1, <http://www.nytimes.com/2008/07/26/nyregion/26camp.html?_r=2&oref=-slogin&> [16.10.13].

Köros A., Supreme Court of Hungary, Budapest, New Features of Hungarian Matrimonial Property Law in the Draft of a New Civil Code, Family Finances, (Verschraegen B. (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009.

Kovacek-Stanic G., Child in Single (Absent) Parent family: Maintenance and Family Home, შრომათა კრებულში: Family Finances, (Verschraegen B. (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009.

Krause R., The Planning of Succession in International Family Business. Recent Developmens in Germany, შრომათა კრებულში: Family Finances, (Verschraegen B. (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009.

Krause H.D., Elrod L.D, Garrison M., Oldham J.T., Family Law: Cases, Commentsand Questions, 5th ed, West Group, St. Paul, 2003.

Kronborg A., Jeppensen de Boer C. G., Coperhagen University, Denmark, The Child's Right to Two Parents: Facilitating and Financing Joint Parenting, Family Finances, (Verschraegen B. (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009.

Kronborg A., Jeppensen de Boer C. G., The Child's right to Two Parents: Facilitating and Financing Joint Parenting, შრომათა კრებულში: Family Finances, (Verschraegen B. (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009.

Lareau A., Unequal Childhoods: Class, Race and Family Life, 2nd ed, University of California Press, U.S.A, 2003.

Laufer-Ukeles P., ,,Seperating Care from the Caregiver", კონფერენციის მასალების კრებულში: Fostering Family Harmony: Principles and Practices, Papers from North American Regional Conferece, Brooklyn Law School, Brooklyn, June 6-8, 2013.

Maldonado S., (Seton Hall University - School of Law), Beyond Economic Fatherhood: Encouraging Divorced Fathers to Parent, 2004, 61,<http://papers.ssrn.-com/sol3/papers.cfm?abstract_id=569363> [25.12.13].

Maldonado S., (Associate Professor, Seton Hall University School of Law), Deadbeat or Deadbroke: Redefining Child Support for Poor Fathers, «University of California», 2006, <http://lawreview.law.ucdavis.edu/issues/39/3/color-feminism-state /DavisVol39No3_MALDONADO.pdf > [20.10.13].

Maltese Law ,Chapter 16, Civil Code, Laws of Malta http://www.justiceservices.gov.-mt/DownloadDocument.aspx?app=lom&itemid=8580 [05.04.2014.].

Maria Joao Romao Carriero Vaz Tome, (Porto, Portugal), Elderly Dependency, Family Caretaking and Law in Portugal, შრომათა კრებულში: Family Finances, (Verschraegen B. (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009.

Masculinist Evolution New Zealand `MENZ Issues: News and Discussion About New Zealand, Men, Fathers, Family Law, Divorce, Courts Protests, Gender Polotics and Male Health's, 2004, http://menz.org.nz/ [16.04. 2012].

Mazeh Y., Custody and Other Labels as Unnecessary Obstacles to Post- Separation Harmony, კონფერენციის მასალების კრებულში: Fostering Family Harmony: Principles and Practices, Papers from North American Regional Conferece, Brooklyn Law School, Brooklyn, June 6-8, 2013, 31.

Mclanahan S., Sandefur G., Growing up with a Single Parent : What Hurts, What Helps, Harvard College, U.S.A., 1994.

McIntosh J., Smyth B., Kelaher M., Wells Y., Long C., A Longitudinal Study of School-Aged Children in High-Conflict Divorce, Collected reports, 2010, May, 23, <http://www.familytransitions.com.au/Family_Transitions/Family_Transitions-_files/Post%20Separation%20parenting%20arrangements%20and%20developmental%20outcomes%20for%20children%20%26%20infants%202010.pdf.

McIntosh J., Smyth B., Kelaher M., Wells Y., Long C., Post-separation parenting arrangements: Patterns and development outcomes, Studies of two risk groups, Family Matters 86, AIFS Journal (Australian Institute of Family Studies), 2011, http://www.aifs.gov.au/institute/pubs/fm2011/fm86/fm86e.html, [13.10.13].

Ogawa T., Child Custody Issues at the Time of Divorce-From the Point of View of Japanese Family Law, შრომათა კრებულში: The International Survey of

Family Law, Atkin B., Banda F., (ed.), Jordan Publishing Limited, Great Britain, Bristol, 2012.

Perez-Fadon Martinez J. J., La empresa familiar: fiscalidad, organizacion protocolo familiar, CISS, Bilbao, 2005.

Pote A., (London and Oxford, United Kingdom), Financial Provisions and Child Equility, Family Finances, (Verschraegen B. (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009.

Pozzi C. E., (University of Coimbra, Portugal), Self-Determination and State Intervention: A Balance for Protection of the Reserved Portion of the Estate in the 2002 Brazilian Civil Code Light of New Family Arrangements, Family Finances, (Verschraegen B. (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009.

Pujol R. B., El protocol familiar com a instrument apte per pactar la compansacio economica per rao de treball de l'article 41 del Codi de Familiar, Revista Juridica de Catalunya, 2006.

Resetar B., Matrimonial Property in Europe: A Link between Sociology and Family Law, Electronic Journal of Comparative Law, 10, <www.ejcl.org/123/art123-4.doc> [15.10.13].

Resetar B., (Croatia), New Child Maintenance Obligations in Croatia: More and More Being a Concern of the Public Law and Less of the Civil Law, Family Finances, (Verschraegen B. (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009.

Resetar B., Matrimonial Property in Europe: A Link between Sociology and Family Law, Electronic Journal of Comparative Law, 10, <www.ejcl.org/123/art123-4.doc> [15.10.13].

Rijavec V., Krajic S., The Maintenance of Children: Alimony Fund as the Saving Grace?, შრომათა კრებულში: Family Finances, (Verschraegen B. (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009.

Scott E.S., Robert E.E., Gender Politics and Child Custody: The Puzzling Persistence of the Best Interest Standart, კონფერენციის მასალების კრებულში: Fostering Family Harmony: Principles and Practices, Papers from North American Regional Conferece, Brooklyn Law School, Brooklyn, June 6-8, 2013.

Singer A., (Sweden), Parental Influence-More and Less, ნაშრომთა კრებულში: The International Survey of Family Law, (Atkin B., Banda F. (ed.)), Jordan Publishing Limited, Great Britain, Bristol, 2012.

Solomon J., George C., The developments of attachment in separated and divorced families: Effects of overnight visitations, parent and couple variables, AIFS journal Family Matters No. 86, 2011, <http://www.aifs.gov.au/institute/pubs/-fm2011/fm86/fm86e.html> [25.12.13].

Skjorten K., Barlindhaug R., The Involvement of Children in Decisions About Shared Residence, International Journal of Law, Policy and the Family, volume 21, issue N3 2007, <http://lawfam.oxfordjournals.org/content/21/3/373.short?rss=1> [25.10.13].

Sorensen E., Zibman C., A Look at Poor Dads Who Don't Pay Child Support, in Assessing the New Federalism, «The Urban Institute», Washington, 2000, http://www.urban.org/ Uploadedpdf/discussion00-07.pdf [31.10.13].

Stanik G. K., Important Issues Concerning a child: Decision Making, კონფერენციის მასალების კრებულში: Fostering Family Harmony: Principles and Practices, Papers from North American Regional Conferece, Brooklyn Law School, Brooklyn, June 6-8, 2013.

Stark B., International Family Law, an Introduction, Ashgate Publishing Limited, Great Britain, Burlington, 2012.

Stanik G. K., Important Issues Concerning a child: Decision Making, კონფერენციის მასალების კრებულში: Fostering Family Harmony: Principles and Practices, Papers from North American Regional Conferece, Brooklyn Law School, Brooklyn, June 6-8, 2013.

Van Der Linde A., (University of Pretoria, South Africa), The Extent of the State's Duty to Support Family Lifwe through Prevention and Early Intervention Programmes: A Reflection on the Children's Act 38 of 2005, შრომათა კრებულში: Family Finances, (Verschraegen B. (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009.

Verschraegen B, Family Law Reforms in Austria from 1992 to 1999, The International Survey of Family Law, Bainham A. (ed.), Jordan Publishing Limited, Bristol, 2001.

Willenbacher B., (Faculty of Law, Leibniz University Hannover, Germany), Family Finances through German Support Laws: Effects of Child Support Priority, შრომათა კრებულში: Family Finances, (Verschraegen B. (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009.

Young L., Reflections on the Shared Parenting Experience, შრომათა კრებულში: The International Survey of Family Law, Atkin B., Banda F., (ed.), Jordan Publishing Limited, Great Britain, Bristol, 2012.

Child and Youth Participation in Finland, Programme "Building a Europe for and with Children", A Council of Europe Policy Review, Council of Europe, 2011.

Federal/Provincial/Territorial Family Law Committee, Child Support: Public Discussion Paper, Report, «The Committee», Ottawa, 1991.

Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, entry into force 3/9/1953, (in Georgia entry into force 20/5/1999), www.conventions.coe.int, [17.05.2015].

Convention on the International Recovery of Child Support and other Forms of Family Maintenance, Concluded 23 November, 2007, http://www.hcch.net/index_en.php?act=conventions.text&cid=131 [10.12.13].

UN Convention on the Rights of the Child, Adopted and opened for signature, ratification and accession by General Assembly resolution 44/25 of 20 November 1989, <http://www.globaldetentionproject.org/fileadmin/docs/Convention-on-the-Rights-of-the-Child.pdfPreamble> [29.09.13].

International Covenant on Economy Social and Cultural Rights, ICESCR, adopted by the United Nations General Assembly on 16 December 1966 http://en.wikipedia.org/wiki/United_Nations_General_Assembly, [16.05.2015].

Draft Strategy for the Rights of the Child 2016-2019, http://www.coe.int/t/dg3/children/DECSENF/DECS-ENF_2nd_meeting_en.asp, [17.05.2015].

Protocol on the the Law Applicable to Maintenance Obligations, Concluded 23 November, 2007, http://www.hcch.net/index_en.php?act=conventions.text&cid=133, [29.10.13].

Recommendation on the Rights of Children, Eur. Parl. Ass. 27th Sess., Doc. No. 1121, 1990, <assembly.coe.int/Documents/AdoptedText/TA90/erec**1121**.htm> [24.02.14].

The Role of Independent National Human Rights Institutions in the Protection and Promotion of the Rights of the Child, CRC, U.N. Doc. CRC/GC/2002/2, <www.unhchr.ch/tbs/doc.nsf/(symbol)/CRC.GC.2002.2.En> [24.012.14].

Ministry of Justice Reviewing the Family Court: A Public Consultation Paper, Wellington Ministry of Justices, 2010, 12, <http://www.justice.govt.nz/publications/global-publications/a/a-focus-on-victims-of-crime-a-review-of-victims-rights/introduction> [05.04.2014.].

Ministry of Justice, Family Law: information on the Rules 39-40, 2007 <http://www.sweden.gov.se/content/1/c6/07/96/97/42c339 cc.pdf> [01.12.13].

The Court of Appeal for Western Sweden, Gothenburg, (verdict 2012-02-15, Case T 4008-11), The International Survey of Family Law, (Atkin B., Banda F. (ed.)), Jordan Publishing Limited, Great Britain, Bristol, 2012.

Leonelli-Contino v. Contino, Mclachhlin C. J., Major J., Bastarache J., Supreme Court of Canada 2006, Part 7 Case 4, <http://www.ipsofactoj.com/international/2006/-Part07/int2006(07)-004.htm> [29.10.13].

Richardson v. Richardson, [1987] 1S.C.R. 857 41 (La Forest, J., dissenting), Judgments of Supreme Court of Canada, SCC Case Information: 19287.

The ISFL Family Letter, Fall 2014, published by the International Society of Family Law, by Prof. Brinig M., F., editor, Notre Dame Law School, <http://www.isflhome.org/resources/Newsletters/2014Sep.pdf>[24.11.2014].

გამოყენებული ნორმატიული მასალა:

საქართველოს კონსტიტუცია, 2012 წლის 11 სექტემბრის მდგომარეობით, „იურისტების სამყარო“, თბ., 2012.

ბავშვის უფლებათა კონვენცია, 2007, <http://unicef.ge/uploads/CRC_text.pdf> [25.11.2014].

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2006 წლის 13 დეკემბრის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია“, <http://disability.ge/images/stories/pdfs/konvencia.doc.pdf>, [08.05.2015].

ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენცია „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“, რომელსაც საქართველო შეუერთდა პარლამენტის 2014 წლის 5 თებერვლის №1953-II ს დადგენილებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 2012 წლის 20 აპრილის მდგომარეობით, თბ., 2012.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 2015 წლის მდგომარეობით, https://matsne.gov.ge/, [05.05.2015].

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2013 წლის 25 მარტის მდგომარეობით, თბ., 2013.

კანონი „სამოქალაქო აქტების შესახებ“, თბ., 2011, 20 დეკემბერი, №5562 <http://codex.ge/2510> [25.09.14].

საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილებანი:

საქართველოს სახელით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება, № 2-4-532,533, ქ. ბათუმი, 8 ოქტომბერი, 2014.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა, საქმის №3კ/480-01, 28.11.2001, თბ., <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [18.01.14].

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე№ 3კ/1047-02, 19/12/2002, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.-aspx> [18.01.14].

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობის სამართალი, №5, განჩინება №ას-136-162-04, 14 ივნისი, თბ., 2005, 41, 42.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობის სამართალი, №5, თბ., 2005 წ. განჩინება №ას-118-454-05, 11 მაისი, 32-40.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობის სამართალი, №5, თბ., 2005, განჩინება №ას-917-1135-04, 2004, 10 დეკემბერი, 3-5.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, №9, თბ., 30 მარტი, 2006, № ას-1275-1514-05, 28-30.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე №ას – 711-1041-07, თბ., 19 მარტი, 2008, <http://prg.supremecourt.ge/-DetailViewCivil.aspx> [25.03.2014].

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე №ას-180-507-09, თბ., 25 ივნისი, 2009, <http://prg.supremecourt.ge/Detail-ViewCivil.aspx> [25.03.2014].

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე №ას-1356-1194-2010, თბ., 4 მარტი, 2011, <http://prg.supremecourt.ge/Detail ViewCivil.aspx>, [09.05.2015].

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე №ას-2-2-2011, თბ., 31 მაისი, 2011, <http://prg.supremecourt.ge/DetailView Civil.aspx> [07.05.2015].

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე №ას-58-49-2011, თბ., 27 ივნისი, 2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე №ას-441-416-2011, თბ., 27 სექტემბერი, 2011, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>, [08.05.2015].

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე №ას-904-944-2011, 18 ოქტომბერი, 2011, http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx, [09.05.2015].

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე №ას-1299-1226-2012, თბ., 24 დეკემბერი, 2012, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [25.03.2014].

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე №ას-211-204-2012, 19/07/2012, http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx [18.01.14].

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე №ას-1809-1783-2011, 22/08/2012, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [18.01.14].

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე №ას-1194-1123-2012, თბ., 22 ნოემბერი, 2012, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>, [08.05.2015].

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე №ას-204-191-2014, 20/10/14, http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx, [26.04.2015].

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება, განმარტების საგანი: ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა (სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლი), საქმე № ას-1356-1194-2010, თბ., 4 მარტი, 2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება, განმარტების საგანი: წარსული დროის ალიმენტის დაკისრება (სამოქალაქო კოდექსის 1234-ე მუხლი), საქმე № ას-2-2-2011, თბ., 31 მაისი, 2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება, განმარტების საგანი: ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა (სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლი), საქმე № ას-58-49-2011, თბ., 27 ივნისი, 2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება განმარტების საგანი: არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა (სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლი), საქმე №ას-441-416-2011, თბ., 27 სეტემბერი, 2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება, განმარტების საგანი: არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა (სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლი), საქმე № ას-1062-996-2012, თბ., 22 იანვარი, 2013.

კანონპროექტი „საალიმენტო ფონდის საქმიანობის შესახებ“

ნაწილი 1.

ამ კანონში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები:

ბავშვი – მცირეწლოვანი, რომელსაც მინიჭებული აქვს პირადი ნომერი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არის საქართველოს მოქალაქე და მუდმივად ცხოვრობს საქართველოში.

წარმომდგენი – ფიზიკური პირი, რომელიც ზრუნავს ალიმენტის მიღებაზე უფლებამოსილ ბავშვზე და რომელმაც წარუდგინა დოკუმენტაციის პაკეტი საალიმენტო ფონდის ადმინისტრაციას ბავშვისათვის ალიმენტის გადახდის თაობაზე.

მევალე – მშობელი, რომელიც ვალდებულია, გადაიხადოს ალიმენტი თავისი შვილისათვის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე და რომელიც არ ასრულებს სასამართლო გადაწყვეტილებას, ან ასრულებს მას, მაგრამ არაჯეროვნად.

საალიმენტო კომპენსაცია – ბავშვისათვის დახმარების გასაწევი ხარჯები, რაც თითოეულმა მშობელმა უნდა გადაუხადოს შვილს, თავისი ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, იმ ოდენობით, რამდენიც უნდა აკმაყოფილებდეს ბავშვის სიცოცხლისათვის აუცილებელ მოთხოვნებს.

ნაწილი 2.

ამ კანონის მიზანია, დაიცვას ბავშვის სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული უფლება, რათა მან შეძლოს მინიმალური დახმარების მიღება საალიმენტო ფონდის შექმნის საფუძველზე.

ნაწილი 3.

საალიმენტო ფონდი (შემდეგში – `ფონდი“) – ესაა რესურსები, რომლებიც წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტში, და რომელიც უზრუნველყოფს ბავშვს ალიმენტით, თუ სამოქალაქო საპროცესო სამართალში განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად ალიმენტთან დაკავშირებული სასამართლოს გადაწყვეტილება არ სრულდება, ან სრულდება, მაგრამ არაჯეროვნად. ფონდის რესურსების მფლობელი უნდა იყოს საალიმენტო ფონდის ადმინისტრატორი (შემდეგში – „ფონდის ადმინისტრატორი“).

ფონდის ადმინისტრატორი არის პირდაპირი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ექვემდებარება იუსტიციის სამინისტროს (შემდეგში – „სამინისტრო“) კონტროლს.

ნაწილი 4.

ფონდის ადმინისტრაციამ უნდა შეასრულოს შემდეგი დავალებები:

მიიზიდოს, დააგროვოს, სათანადოდ და ეფექტურად მართოს/განკარგოს ფონდის რესურსები, ასევე უზრუნველყოს მათი გამოყენების კონტროლი;

ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად დაარეგისტრიროს პირები, რომელთაც საალიმენტო კომპენსაცია გადაეხადა ფონდიდან, აგრეთვე მევალეები.

ნაწილი 5.

ფონდის ადმინისტრაცია უფლებამოსილია:

მიიღოს დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან;

მიიღოს შეწირულებები და საჩუქრები;

სახელმწიფო და ადგილობრივი სამთავრობო ინსტიტუტებისა და ორგანოებისაგან, ასევე კერძო პირებისაგან მოითხოვოს და მოიპოვოს ფონდის მიზნის განხორციელებისათვის აუცილებელი ინფორმაცია;

ინფორმაცია მიაწოდოს სახელმწიფოს ფონდის წარმომდგენებისა და ალიმენტვალდებული პირების რეესტრის საინფორმაციო სისტემიდან საკრედიტო ინსტიტუტებისათვის, საკრედიტო ინსტიტუტების ფილიალებისათვის, კომპანიებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ საკრედიტო და ფინანსურ საიჯარო მომსახურებებს, სადაზღვევო კომპანიებისა და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების პროვაიდერებისათვის მევალის შესახებ, რომლებთანაც მათ აქვთ საკონტრაქტო ვალდებულებები.

ფონდის ადმინისტრაცია ვალდებულია:

ნაწილობრივ თავის თავზე აიღოს ვალის იძულებით გადამხდელის მოვალეობა სპეციალური სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე საალიმენტო კომპენსაციასთან დაკავშირებულ საქმეში.

ამოიღოს ალიმენტვალდებული პირისგან ის თანხა და მასზე დარიცხული პროცენტი, რაც ფონდმა გადაიხადა ბავშვის საალიმენტო კომპენსაციისათვის, საალიმენტო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო.

ამოიღოს წარმომდგენისაგან ის თანხა და მასზე დარიცხული პროცენტი, რაც ფონდმა გადაიხადა ბავშვის საალიმენტო კომპენსაციისათვის, შეგნებულად წარმოდგენილი ყალბი დოკუმენტაციის საფუძველზე.

ნაწილი 6.

ფონდის მიზნების მისაღწევად და ფონდის ადმინისტრაციისათვის საჭირო ფინანსური საშუალებები წარმოდგენილი უნდა იყოს მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესახებ კანონში.

ფონდის რესურსები უნდა მოიცავდეს:

სახელმწიფო ბიუჯეტის გრანტს საერთო შემოსავლიდან;

ალიმენტვალდებულისგან, ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში კი, წარმომდგენისაგან ამოღებულ რესურსებს;

საჩუქრებს, შეწირულებებსა და უცხოურ ფინანსურ დახმარებას.

წლის ბოლოს მიღებული რესურსების ნამეტი უნდა დარჩეს ფონდში და გამოყენებულ იქნეს მომდევნო წელს.

ფონდის ადმინისტრაციის რესურსები უნდა მოიცავდეს:

სახელმწიფო ბიუჯეტის გრანტს საერთო შემოსავლიდან;

საჩუქრებს, შეწირულებებსა და უცხოურ ფინანსურ დახმარებას.

ფონდისა და ფონდის ადმინისტრაციის რესურსები უნდა ინახებოდეს ფონდის ხაზინაში.

ნაწილი 7.

ფონდის ადმინისტრაცია უნდა მართოს დირექტორმა, რომელიც ინიშნება და თავისუფლდება იუსტიციის სამინისტროს მიერ.

ფონდის ადმინისტრაციის დირექტორმა უნდა:

მართოს და ორგანიზება გაუკეთოს ფონდის ადმინისტრაციის ოპერაციებს და უზრუნველყოს ფონდში ადმინისტრაციის ოპერაციების უწყვეტობა, განსაზღვროს ფონდის თანამშრომლების კომპეტენცია და პასუხისმგებლობები;

განსაზღვროს ფონდის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულები;

განსაზღვროს ფონდის ადმინისტრაციის თანამშრომელთა საშტატო განრიგი;

იყოს პასუხისმგებელი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების კონტროლის სისტემის შექმნასა და მუშაობაზე;

მიიღოს გადაწყვეტილება საალიმენტო კომპენსაციის, ალიმენტის არგადახდისა და გადახდის შეწყვეტის შესახებ, მიიღოს გადაწყვეტილება და გასცეს აღსრულების ბრძანება წარმომდგენისაგან ფონდის მიერ არასათანადოდ გადახდილი ალიმენტის ამოღების თაობაზე;

მიიღოს გადაწყვეტილება ფონდში არასწორად გადარიცხული რესურსების დაბრუნების შესახებ;

წარმოადგინოს ფონდის ადმინისტრაცია სპეციალური უფლებამოსილების გარეშე;

იყოს პასუხისმგებელი ფონდის ადმინისტრაციის დავალებების შესრულებაზე;

იყოს პასუხისმგებელი ფონდის რესურსების რაციონალურად გამოყენებაზე;

იყოს პასუხისმგებელი ფონდის ადმინისტრაციის საქმიანობების კანონიერებაზე;

უზრუნველყოს ფონდის ადმინისტრაციის საქმიანობების შესახებ წლიური საჯარო ანგარიშისა და ფონდის მიზნის განხორციელებასთან დაკავშირებული ანგარიშის მომზადება და გამოქვეყნება.

ფონდის ადმინისტრაციის დირექტორს შეიძლება ჰყავდეს მოადგილე.

ფონდს შეიძლება ჰყავდეს სამეთვალყურეო საბჭო.

ნაწილი 8.

ფონდის რესურსებიდან საალიმენტო კომპენსაციის გადახდა უნდა მოხდეს წარმომდგენის მიერ დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, თუ ის ზრუნავს ბავშვზე, რომელსაც განესაზღვრა საალიმენტო გადასახადი, სასამართლო გადაწყვეტილებისა და ამ კანონის შესაბამისად.

ფონდის ადმინისტრაციამ უნდა განუცხადოს მევალეს ბავშვისათვის საალიმენტო კომპენსაციის გადახდასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან შვიდ დღეში. მევალე ვალ-

დებულია, ფონდს გადაუხადოს ბავშვისათვის გადახდილი დახმარება და მასზე დარიცხული კანონიერი პროცენტი იმ დღიდან, როცა ფონდიდან ბავშვის დახმარების გადახდა დაიწყო.

თუ მევალემ არ განაცხადა თავისი საცხოვრებელი ადგილის შესახებ, მაშინ საალიმენტო კომპენსაციის გადახდის დაწყებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს გაზეთში და ფონდის ადმინისტრაციის ინტერნეტგვერდზე.

გადახდილი საალიმენტო კომპენსაციის მოცულობა უნდა გაანგარიშდეს იმ დღიდან, როცა დოკუმენტაცია წარედგინება ფონდის ადმინისტრაციას.

ადმინისტრაციამ უნდა განსაზღვროს პროცედურები, რომლის მიხედვითაც ფონდი შეამოწმებს წარდგენილ დოკუმენტაციას და მასზე თანდართულ დოკუმენტებს, რომლის მიხედვითაც ფონდის ადმინისტრაციამ უნდა გადაიხადოს ბავშვის დახმარება.

ნაწილი 9.

ფონდის ადმინისტრაცია წყვეტს ბავშვისათვის საალიმენტო კომპენსაციის გადახდას, თუ:

ბავშვმა, რომლისთვისაც ფონდიდან ხდება დახმარების გადახდა, მიაღწია სრულწლოვანებას;

ბავშვი, რომლისთვისაც ფონდიდან ხდება დახმარების გადახდა, გარდაიცვალა;

ალიმენტვალდებული გარდაიცვალა;

დოკუმენტაციის წარმომდგენი გარდაიცვალა;

წარმომდგენმა უარი თქვა ფონდისაგან ბავშვის დახმარების მიღებაზე, ფონდის ადმინისტრაციისათვის დოკუმენტაციის წარდგენის საშუალებით;

წარმომდგენს ჩამოერთვა უფლება, უზრუნველყოს ალიმენტი ან მზრუნველობა;

წარმომდგენი ფაქტობრივად არ ზრუნავს ბავშვზე;

წარმომდგენი ან ბავშვი, რომელსაც ალიმენტს უხდის ფონდი, ტოვებს საქართველოს საზღვარგარეთ მუდმივად საცხოვრებლად გადასვლის გამო.

ბავშვისათვის საალიმენტო კომპენსაციის გადახდის სამართლებრივი საფუძველი აღარ არსებობს.

ნაწილი 10.

ფონდის ადმინისტრაციამ ფონდიდან ბავშვის დახმარების გადახდის შესახებ უნდა აცნობოს იმ სასამართლოს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ალიმენტის შესახებ.

ამ ნაწილის პირველ პარაგრაფში მითითებული შეტყობინების მიღების დღიდან ფონდის ადმინისტრაცია ხდება ვალის იძულების წესით ამომღები (წარმომდგენი) იმ შემთხვევაში, როცა ბავშვისათვის საალიმენტო კომპენსაციის გადახდილი დახმარების თანხიდან ამოსაღებია კანონით განსაზღვრული თანხა და პროცენტი.

ფონდის ადმინისტრაციის სარჩელს ალიმენტვალდებულისგან გადახდილი ბავშვის დახმარების ამოღების თაობაზე არ უნდა ჰქონდეს ხანდაზმულობის პერიოდი.

ნაწილი 11.

ალიმენტვალდებული ვალდებულია, დაუბრუნოს ფონდს გადახდილი საალიმენტო კომპენსაცია და მასთან დაკავშირებით კანონით განსაზღვრული პროცენტი, ამ კანონით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

ნაწილი 12.

ამ კანონის შესაბამისად, ფონდის ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.